

ჯუმბერ ოდიშელი

ისტორიულ-კუბლიცისტური
ნარკვევები

თბილისი 2010

წინამდებარე კრებული წარმოადგენს ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, საზოგადო მოღვაწის ჯუმბერ ოდიშელის (1932-1998) ხანგრძლივი ფიქრისა და მეცნიერული შრომის შედეგს. წიგნში შესული სამეცნიერო და პუბლიცისტური სტატიები, რომლებიც საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის საკვანძო საკითხებს შეეხება, მეცნიერის უკვდავსაყოფადა და სამეცნიერო ღვაწლის წარმოსაჩენად მოიძია და გამოსაცემად მოამზადა მისმა მეუღლემ ლამარა ეძგვერაძე-ოდიშელმა. ვიმედოვნებთ, ავტორის მოსაზრებები და დასკვნები საყურადღებო იქნება როგორც საქართველოს ისტორიის სპეციალისტების, ასევე ჩვენი ქვეყნის ისტორიით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

შემდგენლები: ლამარა ეძგვერაძე-ოდიშელი, რეზო გოგია
რედაქტორი: ზაზა ალექსიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: დიმიტრი შალუტაშვილი
დიზაინი: სოფიო კვანტალიანი



ჩემი მეგობარი ჯუმბერი

წიგნი, რომელსაც ახლა კითხულობთ, კარგი და მნიშვნელოვანია ქართული ისტორიოგრაფიისათვის, ქართული პუბლიცისტიკისათვის, ახალი თაობისათვის. მაგრამ მისი ავტორი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც ახსოვს იგი ცოცხალი, ვინც ერთხელ მაინც სადმე შეხვედრია მას, ვისაც ეს წიგნი გაუცოცხლებს თავისი ნასული მეგობრის შესახებ მოგონებებს.

1953 წლის ადრეული შემოდგომაა. პირველი კურსის სტუდენტი ვარ. ჯერჯერობით ერთ-ერთი ადგილი, რომელიც კარგად ვიცი, არის პირველ კორპუსში წიგნებისა და გაზეთების კიოსკი. გამყიდველიც მიცნობს და მინახავს იმ ერთადერთ უცხოურ გაზეთს, რომელიც ჩვენში შემოდის. ეს გაზეთი მიჭირავს ხელში და ვფურცლავ. ჩემთან მოდის თხელი, ევროპული ტიპის ინტელიგენტური გარეგნობის IV კურსის სტუდენტი, რომელიც მე, რა თქმა უნდა, უკვე შემჩნეული მყავს, მისი სახელი და გვარიც ვიცი. ეს არის ჯუმბერ ოდიშელი. ამ გაზეთში ილუსტრირებული იუმორისტული კუთხეა. ჯუმბერი სრულიად თავისუფლად, შინაურულ-მეგობრულად ჩემთან ერთად ფურცლავს ამ გაზეთს და ხუმრობს მის იუმორისტულ ნაწილთან დაკავშირებით არანაკლები იუმორით. მე, რომლისთვისაც არ არის ადგილი უცხო ადამიანებთან კონტაქტი, არაჩვეულებრივ სიმსუბუქეს ვგრძნობ ამ ჩემთვის უცნობ და, ამასთან, ასაკით უფროს ადამიანთან. იმასაც მაშინვე ვგრძნობ, რომ ჩვენ შემთხვევით არ შევხვედრივართ ერთმანეთს. ჯუმბერსაც რაღაც ქვეცნობიერმა გამოუწია ჩემკენ და მეც ასევე ქვეცნობიერად მივიღე ეს გამოწვევა. მთავარი კი, რისთვისაც მოვყევი ეს ამბავი, არის ის, რომ ჯუმბერთან შეხვედრის პირველივე წუთებში დავინახე მისი მრავალი ტალანტიდან ორი ყველაზე უფრო თვალში საცემი: ადამიანებთან ურთიერთობის ადვილად დამყარების უნარი და იუმორი.

ზუსტად აღარ მახსოვს, შეიძლება ეს იყო იმავე წლის შემოდგომაზე ან მომდევნო წლის ზაფხულში. მთანმინდაზე უნდა ავიღე ტრამვაით. ბილეთებთან რიგია. ჩემზე რამდენიმე კა-

ცით წინ დგას საუცხოო წყვილი და ძალიან თბილად, ხალისიანად საუბრობს. ვაჟი ჯუმბერია, ქალი, როგორც მერე გავიგე, ლამარა. ჯუმბერი ხელის აქნევით მესალმება, ბილეთსაც მიღებს (მარტო არა ვარ). ავდივართ ტრამვაიში. ერთ ვაგონში ვხვდებით, ოღონდ სხვადასხვა კუთხეში. თვალს ვერ ვაშორებ ამ ლამაზ წყვილს, ერთი შეხედვითაც ჩანს, რომ გულგრილნი არ არიან ერთმანეთის მიმართ. უეცრად ხდება სასწაული, მე-ხი რომ გავარდება მონმენდილ ცაზე: ჯუმბერი და ლამარა გვარიანად წაიჩხუბნენ. მიფუჭდება ხასიათი. მგონია, რომ ამათ ვერაფერი ველარ შეარიგებთ, ამიტომ თვალს ვარიდებ. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ უკვე პლატოზე ვხედავ ისევ ისე ლამაზებს და ისევ ისე ტკბილად მოუბართ. არ დამიჯერებს მკითხველი, მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, რამდენიც არ უნდა იჩხუბონ, ამათ ბოლომდე ვერაფერი გაყრის-მეთქი. ასეც მოხდა! მერეც ხშირად ვყოფილვარ მათი კინკლაობის მონმე, უცხოს რომ ჩხუბი ეგონებოდა. სიცოცხლის ბოლოს, ჯერ კიდევ გარეგნულად რომ კარგად გამოიყურებოდა, ჯუმბერმა მოულოდნელად მითხრა, როგორ გამიმართლა, რომ ლამარას შევხვდიო. მართალი იყო ჯუმბერი, მაგრამ ლამარასაც გაუმართლა, რომ ჯუმბერი შეხვდა. მათი არაჩვეულებრივი შვილები, შვილიშვილები და ამ წიგნის გამოცემაც ამ გამართლების შედეგია.

ჯუმბერს ხშირად ვხვდები უნივერსიტეტშიც, სხვაგანაც, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის მეგობრობა, თუმცა შეხვედრა ყოველთვის გულითადი და ხალისიანია. ყველაზე უფრო ხშირად სტუდენტთა სამეცნიერო წრის სხდომებსა და კონფერენციებზე ვხვდებით ერთმანეთს. მე უკვე ვიცი, რომ ჯუმბერი კარგად არის განათლებული, იმ დროის კვალობაზე იცის უცხო ენები, მათ შორის ლათინურიც. ერთი სიტყვით, მზად არის იმისათვის, რომ მომავალში წარმატებით იმუშაოს ანტიკური ხანის საქართველოს ისტორიის პრობლემატიკაზე. ვინც ამ კრებულს კითხულობს, დამეთანხმება, რომ ჯუმბერს ამ სფეროში კარგი მომავალი ჰქონდა. მაგრამ...

ჯუმბერი ასპირანტურაში აბარებს. გამოცდების დამთავრების შემდეგ ძალიან მალე ვხვდებით ერთმანეთს. ჯუმბერს სახეზე ღიმილი აქვს, მაგრამ ნირნამხდარი, „მოღრეცილი“

ლიმილი. მისი ასეთი ლიმილი მაშინ პირველად ვნახე, მერე კი – ბევრჯერ. ეს შემცბარი ლიმილი ყველა მისმა მეგობარმა იცის და დღესაც კარგად ახსოვს. ასეთი ლიმილი იმის ნიშანია, რომ ჯუმბერმა ისეთი რამ გააკეთა, რაც თვითონაც არ მოსწონს. ასპირანტურაში ადგილი მხოლოდ საქართველოს უახლეს ისტორიაში ყოფილა, ჯუმბერისათვის შეუთავაზებიათ და ისიც დათანხმებულა. სადისერტაციო თემაც უკვე შერჩეული აქვს ხელმძღვანელს: საქართველოში კოლექტიურ მეურნეობათა ჩამოყალიბების საკითხების შესწავლა (ზუსტი სათაური არ მახსოვს). ტაციტუსიდან პირდაპირ კოლმეურნეობაში! დღეს ადვილი არ არის ჯუმბერის მაშინდელი ტრაგიკომიკური მდგომარეობის გაგება. ეს რომ დღეს ხდებოდეს, შესაძლოა უფრო საინტერესო თემა ვერც მოენახა ისეთ შინაგანად თავისუფალ კაცს, როგორც ჯუმბერი იყო; შესაძლოა ადვილადაც შელეოდა ანტიკურობას. უფრო მეტსაც ვიტყვი, მას შემდეგ, რაც ჯუმბერთან მრავალი წელი გაეატარე, როდესაც, ასე მგონია, ჯუმბერი ჩემს თავზე უკეთ ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ამ თემას შეისწავლიდა იგი ისეთი გატაცებით, როგორც სხვას არაფერს. მაშინ კი ყველამ ვიცოდით, რომ ასეთ საკითხებზე მომუშავე კაცი უნდა გამოთხოვებოდა ნამდვილ მეცნიერებასაც, შინაგან თავისუფლებასაც და თავის სასიცოცხლო პრინციპებსაც. მაგრამ ეს მოხდა და ველარაფერს ვიზამთ. ჯუმბერი არ აღმოჩნდა იქ, სადაც მაშინ უნდა აღმოჩენილიყო და ველარ დაბრუნდა იქ, სადაც უნდა დაბრუნებულიყო. ესეც ერთი პარადოქსი იყო მის ისედაც პარადოქსებით სავსე ცხოვრებაში. ამ ტალანტით სავსე ადამიანმა თავისი შესაძლებლობების რეალიზაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სამი წელი ფაქტობრივად უქმად დაკარგა და, რაც უფრო მთავარია, ეს სამი წელიწადი და შემდეგში კიდევ ბევრი სხვა წელი ამ უქმად დაკარგულ წლებზე სინანულში გაატარა.

1958 წლის ნოემბერში ჩვენ ერთდროულად მივედით ახლადდაარსებულ ხელნაწერთა ინსტიტუტში. ამ დროს ნუკრი შოშიაშვილი უკვე დანიშნული იყო ჩვენი განყოფილების, საისტორიო დოკუმენტებისა და არქივების, გამგედ, მაგრამ ჯერ კიდევ არ შესდგომოდა მუშაობას. ნუკრი მალე მოვიდა ინსტ-

იტუტში მუზეუმიდან, თუმცა ამას მოსვლა არცა ჰქვია: ინსტიტუტი მუზეუმს სულ სამი თვის წინ გამოეყო და ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს მის შენობაში მდებარეობდა. ნუკრიმ მუზეუმის პატარა შიდა ეზო გადმოკვეთა და ჩვენთან გადმოვიდა. საკვირველი ურთიერთობა დაგვხვდა ინსტიტუტში და ამ ურთიერთობას დღემდე ინახავენ ძველი თაობის ინსტიტუტელები. ჩვენი განყოფილების ოთახის ნომერია 76 (თანდათან ეს ციფრი საზოგადო სახელიც ხდება). რვანი ვსხედვართ ამ ოთახში და, ასაკში განსხვავების მიუხედავად, ყველანი უახლოესი მეგობრები ვართ ერთმანეთისა. ჯუმბერი პირველი დღიდანვე სული და გული ხდება 76-ე ოთახისა. მე დრო მჭირდება ხოლმე ახალ გარემოსთან და ახალ ადამიანებთან ადაპტაციისათვის. ეს დრო ჯუმბერთან ერთად ყოფნამ სრულიად შეუმჩნეველი გახადა. განსაკუთრებულად დავახლოვდით ჩვენ სამი – ნუკრი, ჯუმბერი და მე. დღეს აღარ არიან ნუკრი და ჯუმბერი, მაგრამ სანამ ერთი ჩვენგანი მაინც არის ცოცხალი, ასე მგონია, რომ ეს მეგობრობაც ცოცხალია.

ჯუმბერი კვლავ თავის ადგილზე არ არის. ჯერ ერთი, სულ რამდენიმე წელიწადში მესამედ იცვლის სამუშაო თემატიკას: ანტიკურობა, უახლესი ისტორია და შუა საუკუნეები. აზროვნებითა და ქცევით სრულიად თავისუფალ ადამიანს უჭირს ინსტიტუტის მკაცრ რეჟიმთან შეგუება. ხელნაწერთა ინსტიტუტის თავისებურება ის არის, რომ სერიოზული შედეგის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ შენს კვლევას, რაც უნდა განმაზოგადებელი იყოს იგი შემდეგში, საფუძვლად დაუდებ კონკრეტულ და, ხშირად, პედანტიურ, „მავ“ სამუშაოს. ამისათვის კი ხანგრძლივად ერთ ადგილას ჯდომა და ტიქსტების ამოკითხვაზე „თვალების დათხრა“ საჭირო. ჯუმბერს არ უყვარს და არც შეუძლია დიდხანს ერთ ადგილას ჯდომა. თავის ორგანიზმსა და გონს ჯუმბერი მხოლოდ მოძრაობის დროს ფლობს სრულყოფილად და ეფექტურად. მიუხედავად ამისა, ტალანტს თავისი გააქვს და ჯუმბერი ხელნაწერთა ინსტიტუტში რამდენიმე კარგ სამუშაოს ასრულებს.

ილია აბულაძე და ჯუმბერი ერთმანეთის ანტიპოდები არიან. ილიას თანამშრომლის შესაფასებლად, ჩვენ გვგონია,

რომ ერთადერთი კრიტერიუმი აქვს: რამდენად დროზე მოდის სამსახურში და რამდენად დროზე მიდის სამსახურიდან, რამდენ ხანს ზის მაგიდასთან და რამდენად სრულად არის ჩართული სამუშაოში. ილია ახალ სამეცნიერო კოლექტივს ქმნის, თვითონაც ასკეტია თავისი ბუნებით და ცდილობს მკაცრი იყოს ამ მოთხოვნების შესრულებაში. ჯუმბერს კი ერთი სიცოცხლე არა ყოფნის. ყველაფერი უნდა ნახოს, ყველაფერი უნდა გააკეთოს, ყველგან უნდა ნავიდეს, ყველას უნდა შეხვდეს. არ შეუძლია რვა საათი ერთსა და იმავე ოთახში, ერთსა და იმავე მაგიდასთან, ერთსა და იმავე გარემოცვაში გაატაროს. მანქანაც ამიტომ უნდა და ამიტომაც ჰყავს კიდეც, რომ ყველაფერი მოასწროს. ამაში დირექტორი აშკარად ხელს უშლის. ილიას მისი გაგება არ შეუძლია. თვითონ ერთი სიცოცხლის მეტი არა სჭირდება და ეს ერთი სიცოცხლეც ხელნაწერებისთვის ემეტება მხოლოდ. თანამშრომლებისგანაც ამას მოითხოვს. ილია ჯუმბერის მანქანას ირონიით საჯაროდ „რამს“ უწოდებს („მოახტება თავის რამს სამსახურის საათებში და დააქროლებს აქეთ-იქით“). ჯუმბერი ილიას, როგორც თვითონ ჰგონია პირს უკან – „ბაღჩო ქობულოვს“. ხშირია კონფლიქტები, საყვედურები, ინსტიტუტის საერთო კრებაზე დამუშავებები. უცნაურია, მაგრამ ამ ანტიპოდებმა, მუდმივ კონფლიქტში მყოფმა დირექტორმა და მისმა თანამშრომელმა, იციან ერთმანეთის ფასი, ქვეცნობიერად მოსწონთ ერთმანეთში ის, რაც თვითონ აკლიათ, დაფარული მამაკაცური სიყვარულით უყვართ კიდეც ერთმანეთი.

ყოველ ზაფხულს დავდივართ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ხელნაწერების, საისტორიო დოკუმენტებისა თუ სარქივო მასალის მოსაძებნად. ერთხელ, ილია აბულაძე თვითონაც მიდის ექსპედიციაში და რამდენიმე მამაკაც თანამშრომელს თან გაიყოლიებს, მათ შორის, რა თქმა უნდა, ჯუმბერს. რა თქმა უნდა იმიტომ, რომ ილიამ ყველაფერი იცის ჩვენ შესახებ. ისიც იცის, როგორ ადვილად ამყარებს ურთიერთობებს და რამდენი ნაცნობ-მეგობარი ჰყავს ჯუმბერს მთელ საქართველოში, როგორი თანადგომა შეუძლია მას არაორდინარულ სიტუაციაში, ექსპედიციაში კი ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

მიდიან მატარებლით. ჯუმბერს არ შეუძლია დახუთულ ვაგონში გაძლება და კიბეზე დაკიდებული მგზავრობს. ასე სიჩქარესაც კარგად გრძნობს, გარემოსაც კარგად ხედავს და ქარიც სიამოვნებს. ილია ნერვიულობს, წარამარა კიბისკენ იყურება. ბოლოს ველარ ითმენს და თამაზ ბარამიძეს აგზავნის: ნადი, უთხარი არ გადავარდეს, ვაგონში შემოვიდეს. მე რომ ვუთხრა, შენიშვნა ეგონება და ბაღჩო ქობულოვიაო (!), იტყვის.

მეორედ, ილიას ძმისწული მძიმედ ავადა ჰყავს. მთელი ინსტიტუტი გვერდში უდგას თავის დირექტორს. საჭიროა მისი წაყვანა კიევში და შემდეგ მოსკოვში (თუ პირიქით), საჭიროა ექიმებთან კონტაქტი, წამლების შოვნა. ყველამ იცის ილიას უმწეობა ასეთ დროს. ჯუმბერი თან მიჰყვება თავის „ბაღჩო ქობულოვს“, მასთან არის ბოლომდე და უცხო ადამიანებთან კონტაქტის ყველა სიძნელესა და სიმძიმეს თავის თავზე იღებს.

განსაკუთრებით ნაზი სიყვარულით უყვართ ჯუმბერი ხელნაწერთა ინსტიტუტის ოთახის მეგობარ ქალებს. არ მავინყდება მათ თვალზე ცრემლი, როდესაც ჯუმბერი ისტორიის ინსტიტუტში გადადის. ხელნაწერთა ინსტიტუტის ქალებისათვის მის ადგილს ვერავინ დაიკავებს. ეს მაშინ, როდესაც ჯუმბერი მათ „სისხლს უშრობს“ ათასგვარი შერქმეული სახელით, მათზე შეთხზული ანექდოტებით, ხუმრობებით.

არაჩვეულებრივი მეგობრობა იცის ჯუმბერმა. მეგობრები უთვალავი ჰყავს. მაგრამ ჰყავს უახლოესი მეგობრებიც სკოლიდან, უნივერსიტეტიდან, ხელნაწერთა ინსტიტუტიდან, ისტორიის ინსტიტუტიდან. ჯუმბერს უყვარს, როცა მისი ახლობელი მეგობრები ერთმანეთის ახლო მეგობრებიც არიან. ხან თავის დაბადების დღეზე კრებს ყველას ერთად, ხან ფეხბურთის სათამაშოდ და სულაც არ აქცევს ყურადღებას იმას, ვინ როგორ თამაშობს და ყველა არც თამაშობს. მისთვის მთავარია, რომ ყველანი ერთადა ვართ, მოთამაშეებიც, მაყურებლებიც. ასე დავახლოვდით ყველანი, მისი სხვადასხვა დროის მეგობრები იმდენად, რომ ჯუმბერის გარეშეც ახლო მეგობრები ვართ ერთმანეთისა. რამდენი წახნაგი აქვს ჯუმბერს, რომ შეუძლია ყველასთან განსხვავებული ურთიერთობა, ყველასთვის თავისი სახელი და საურთიერთობო „პარო-

ლი" ჰქონდეს, ოჯახის წევრებთანაც კი. უახლოეს მეგობრებს შორისაც ჰყავს ჯუმბერს გამორჩეულად ახლობელი მეგობრები. თუ ხშირად ხარ ჯუმბერთან ერთად, ადვილად ხვდები, ვინ არიან მისი გამორჩეული მეგობრები: რაც უნდა უარყოფითი უთხრა მათ შესახებ, არ დაიჯერებს; რაც უნდა დაუჯერებელი დადებითი შეიტყოს – დაიჯერებს.

მარტო მეგობრობა არ იცის ჯუმბერმა. თუ ადამიანი ვერ მიიღო რაიმე თვალსაზრისით, მასთან ველარაფერი შეარიგებს. მისი არაფერი არ მოსწონს, თავის დამოკიდებულებას არა მალავს საჯარო შეკრებებზეც კი. პირს უკან არაფერს ამბობს ისეთს, რასაც პირში არ ეუბნება. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება მასში არასოდეს არ არის დამყარებული პირადულ ურთიერთობებზე, წყენაზე, კონფლიქტზე. ჯუმბერისათვის მისი „ანტიმეგობარი“ არ არის მისი პირადი „ანტიმეგობარი“, მას იგი საზოგადოებისთვის უცხოვდ, მავნედაც კი მიაჩნია. ასეთები ჯუმბერის გარშემო, საბედნიეროდ, ცოტანი არიან. შესაძლოა, აჭარბებს ჯუმბერი, მაგრამ გულწრფელი კი არის, ისევე გულწრფელი, როგორც გულწრფელია მეგობრობაში.

გადის დაახლოებით ათი წელი და ჯუმბერი უკვე ისტორიის ინსტიტუტშია. კვლავ ვერ ისვენებს, გაურბის რუტინულ სამუშაოს და ასე ხდება ინსტიტუტის სწავლული მდივანი. ეს უკვე ცოცხალი სამუშაოა, ჯუმბერისთვის საინტერესო და ადვილი. ინსტიტუტი დიდია, ბევრი თანამშრომელი ჰყავს, ფართო სამეცნიერო თემატიკა აქვს. ჯუმბერი ყველას იცნობს და იცნობს ახლოს, სწრაფად და იოლად ერკვევა სხვების ნაშრომებში, მათ ხარისხში, უშეცდომოდ აფასებს მათ, ადვილად და კარგად წერს სამეცნიერო ანგარიშებს. რამდენიმე წლის შემდეგ ჯუმბერი განყოფილების გამგე ხდება. განყოფილების სახელწოდება (ზუსტად არ მახსოვს) და ამოცანები ცოტა უცნაურია: საქართველოს სოფლებისა და ქალაქების შესწავლა. არა მთავრდება ჯუმბერის ცხოვრებაში პარადოქსები. უმეტეს შემთხვევაში თვითონვეა ამ პარადოქსების შემოქმედი. საინტერესო ის არის, რომ იმ პარადოქსებმა, რომლებმაც აქამდე უარყოფითად იმოქმედეს ჯუმბერის სამეცნიერო პროდუქციაზე, ისტორიის ინსტიტუტში

უკვე დადებითი ნაყოფის გამოლება იწყეს. ჯუმბერის პორი-ზონტი ფართოა, კარგად ერკვევა საქართველოს ისტორიის (და არამარტო საქართველოს ისტორიის) ყველა პერიოდის პრობლემატიკაში, იცის კვლევის მეთოდები, წყაროები და, რაც მთავარია, საისტორიო დოკუმენტებსა და ხელნაწერ ნი-გნებზე მუშაობა – პალეოგრაფია-ტიქსტოლოგია. იდეალური მასშტაბებია სწავლული მდივნისთვისაც და განუსაზღვრელი ქრონოლოგიური თუ გეოგრაფიული არეალის განყოფილებ-ის ხელმძღვანელისთვისაც.

დგება ე. წ. გარდაქმნისა და საჯაროობის ხანა საბჭოთა კა-ვშირში. გამოცოცხლდება საზოგადოებრივი აზრი. პუბლიც-ისტიკა იქცევა განსხვავებული აზრის გამოხატვის ყველაზე სწრაფ, ზუსტ და მოთხოვნილ საშუალებად. სამეცნიერო შრ-ომები და მხატვრული ლიტერატურაც კი ველარ ეწევა პუბლ-იცისტიკას. უფრო მეტიც, საუკეთესო მეცნიერები და მწერ-ლები თვითონვე ხდებიან ასევე საუკეთესო პუბლიცისტები. ჯუმბერი ყველაფერს კითხულობს, ყველაფერს ეხმაურება ხან ბეჭდურად, უმეტესად კი საუბრებსა და კამათში. ჰყავს თავისი ფავორიტი ავტორები.

აბობოქრებული თავისუფალი აზრი მალე ბოლოს უღებს საბჭოთა კავშირს. საქართველო დამოუკიდებელია! პრობლე-მები მატულობს. ეს პრობლემები უკვე საკუთრივ საქართვე-ლოს პრობლემებია. აქტიურდება ქართული პუბლიცისტიკა. ისტორია, თანამედროვეობა, ძველი თუ არც ისე ძველი (გა-ნსაკუთრებით) საქართველოს ისტორიის წყაროები, დოკუ-მენტები, ყველაფერი პუბლიცისტიკის სამსახურში დგება, ყველაფერი ახლიდან გააზრებას ითხოვს. ჯუმბერი ხელა-ხლა პოულობს თავის თავს. აღმოჩნდა, რომ მისი ნამდვილი სტიქია არის პუბლიცისტიკა. აქ უკვე ვერაფერი ბოჭავს მის თავისუფალ სულს, პრინციპულობას, შეუპოვრობას, მოუთ-მენლობას. ყველაფერი ხდება დღეს და ამ წუთში, ყველაფერს პასუხი უნდა გაეცეს დღეს და ამ წუთში. ჯუმბერში ამუშავ-დება ყველაფერი, რაც ადრე ნაეკითხა, რაზეც ეფიქრა, რაც, შესაძლოა, წინათ დროის დაკარგვადაც კი მიაჩნდა. კარგი იქნებოდა, თავის დროზე რომ კოლმეურნეობების ჩამოყალი-

ბების სანყისები ღრმად და თავისუფლად შეესწავლა. რაც მაშინ იძულებით გააკეთა, ისიც კი ახლა უკვე მისი უპირატესობაა. მაგრამ, რა ცოტა დრო რჩება...

მე მოწმე ვარ ჯუმბერის ფიზიკური აღსასრულის უმძიმესი დასანყისისა (სულ ბოლოს უკვე აღარა ვარ საქართველოში). საკვირველია, მაგრამ თითქმის ცნობიერება დაკარგული ჯუმბერის ფიქრები ისევ თავისი ინსტიტუტის გარემოშია. ცდებოდა ყველა, ვისაც ჯუმბერი უდარდელი ეგონა! ვდგავარ მის სარეცელთან უმწეოდ, ვუყურებ მის ტანჯვას და ვფიქრობ: პირიქით რომ იყოს, როგორი აქტიური იქნებოდა ჯუმბერი ჩემს საშველად, ასეთივე უიმედოც რომ ყოფილიყო ეს აქტივობა. მერეც, როდესაც რაიმე სიძნელე მაქვს ცხოვრებაში, არაპირადი, მაშინაც ჯუმბერს ვხედავ ჩემ გვერდით.

ასე მკრთალდება თანდათან ჩემს მეხსიერებაში ჯუმბერის სიცოცხლის ბოლო დღეები, მძიმე მოგონებები და რჩება მხოლოდ ცოცხალი ჩემი და თქვენი, მკითხველო, მეგობარი: სიცოცხლის სიყვარულით, იუმორითა და ჩვენდამი სითბოთი სავსე, ემოციური, აქტიური, მოძრავი, ხალისიანი, მომღიმარი, მზრუნველი, ენაკვიმატი და ალალი ჯუმბერი.

ზაზა ალექსიძე

റൂപതീയന

ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ¹

„ტაციტუსი უდაოდ საუკეთესო რომაელი ისტორიკოსია. კრიტიკის საერთო აღიარებით, მას ეკუთვნის საპატიო ადგილი მსოფლიო ლიტერატურის მხატვრული პროზის პირველხარისხოვან წარმომადგენელთა რიგებში; იგი ყოველმხრივ დიდი პიროვნებაა და, კერძოდ, მატარებელი და შემოქმედებითად მამოძრავებელია თავისი თანამედროვე კულტურისა. ამიტომ შედის ტაციტუსის სახე გამოჩენილ ადამიანთა გალერეაში“.² ასე გვიხსნიათებს ამ ცნობილ რომაელ ისტორიკოსს აკადემიკოსი ი. გრეესი.

ბიოგრაფიული ცნობები ტაციტუსის შესახებ ძალიან მცირე რაოდენობით მოგვეპოვება. მისი დაბადების თარიღი პირობითად არის დადგენილი. ფიქრობენ, რომ ტაციტუსი დაიბადა ჩვ. წელთაღრიცხვის 55 წელს იტალიის ქალაქ უმბრიაში. „ამაღლება ჩემი, – წერს ტაციტუსი, – დაიწყო ვესპასიანეს დროს“.³ 88 წელს იგი პრეტორი და ოლიმპიურ თამაშობათა ერთ-ერთი მომწესრიგებელთაგანი იყო (*guindecemvirum*). პრეტორობის შემდეგ ტაციტუსი პროვინციაში უნდა დაენიშნათ, მაგრამ ამის შესახებ ცნობები არა გვაქვს. 97 წელს, პლინიუს უმცროსის გადმოცემით, ტაციტუსი კონსულია, მაგრამ სარგებლობს კონსულის მხოლოდ ნომინალური უფლებებით. ამ პერიოდში ცნობილია მისი ბრწყინვალე გამოსვლა აფრიკის გამძარცველის მარიუს ფრისკის წინააღმდეგ. 111-112 წწ. ტაციტუსი აზიის პროკონსულია. გარდაიცვალა დაახლოებით 120 წელს.

წყაროთა გამოყენების საკითხში ტაციტუსი, შეიძლება ითქვას, რომ ნოვატორია. იგი ასახელებს გამოყენებულ თხზულებათა ავტორებს და, ამასთანავე, ლაპარაკობს მათ ავკარგიანობაზე. ძალიან აფასებს ტაციტუსი ტიტუს ლივიუსის

1. თსუ სტუდენტთა XIV სამეცნიერო კონფერენცია. 1952 წ.

2. И.М. Гревс, Тацит, Ленинград, 1946, გვ. 7.

3. В.Б. Дони, Тацит, СПб, 1876, გვ. 1.

სიტყვაკაზმულ თხრობას და აგრეთვე კრემუციუს კორდის ნაწარმოებებს. დიდაქტიზმი ტაციტუსთან უფრო მკვეთრად არის გამოვლენილი, ვიდრე პოლიბიოსთან. თავის თხზულებებში იგი ცდილობს სიკეთე განადიდოს და, ამასთანავე, იყოს ობიექტური. „ისტორიების“ პროლოგში იგი წერს: „ჩვენ ხშირად არ ვუჯერებთ მეხოტბე მწერალს, მძრახველს კი მოვუსმენთ ხოლმე, იმიტომ, რომ მლიქვნელობაში ბუდობს ბოროტმოქმედება სერვილიზმისა, ხოლო ძრახვაში – ხშირად ყალბი სახე დამოუკიდებლობისა“.¹ სწორედ ამიტომ ისახავს მიზნად ტაციტუსი წეროს გულისწყრომისა და მიკერძოების გარეშე (*sine ira et studio*). მიუხედავად იმისა, რომ იგი რომაელი პატრიოტია და თავისი სამშობლოს ძლიერების ზრდაზე ოცნებობდა, განსხვავებით სხვა რომაელი ისტორიკოსებისაგან, არ არის შეზღუდული ვიწრო ნაციონალიზმით.

მართალია, ტაციტუსი არისტოკრატიული ოჯახიდან არ იყო გამოსული, მაგრამ, ენგელსის სიტყვით, იგი გვევლინება, როგორც პატრიციული სულისა და აზრების მატარებელი ძველ რომაელთა უკანასკნელი წარმომადგენელი.² იგი ძირითადად იმპერატორების და, საერთოდ, მაღალი წოდების წარმომადგენლების ისტორიას აღწერს. პლებსისა და მონების საკითხის განხილვა, უფრო სწორად – აღწერა, იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ეს საჭიროა რომის არისტოკრატიის ისტორიისათვის.

საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ტაციტუსის ორ ძირითად ნაშრომს, „ისტორიებს“ და „ანალებს“. „ისტორიებში“ აღწერილია პერიოდი ნერონის სიკვდილიდან (68 წელი) დომიციანეს სიკვდილამდე (96 წელი). როგორც პირველწყაროს, ტაციტუსი იყენებდა რომის ყოველდღიურ გაზეთს – „ყოველდღიური ქმედებანი რომაელი ხალხისა“ („*Acta diurna populi Romani*“). იწერებოდა ფი-

1. И. М. Гревс, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 179.

2. ფ. ენგელსი, ქრისტიანობის წარმოშობის შესახებ. მარქსი და ენგელსი ანტიურობის შესახებ, თბილისი, გვ. 123.

ცარზე და გამოჰქონდათ ქალაქში თვალსაჩინო ადგილას) და სენატის ოქმებს (*Acta senatus*).

ყველაზე უფრო სრულყოფილი ნაწარმოები ტაციტუსისა – „ანალები“ – დანერილია ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის მეორე ათეულში. „ანალებში“ გადმოცემულია რომის იმპერიის ისტორია ავგუსტუსის სიკვდილიდან ნერონის სიკვდილამდე (14-68 წწ.). ორივე ზემოხსენებული ნაშრომი საკმაოდ დაზიანებულია და რამდენიმე ნაწილი, ანუ წიგნი აკლია.

ტაციტუსი, როგორც თავისი დროის ყველა ისტორიკოსი, ძირითადად ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აგვინერს ამბებს. საერთოდ, მის ნაწარმოებებში ისტორიული ფაქტები თანმიმდევრობითაა გადმოცემული და არ არის განმარტებული, თუ როგორ და რა მიზეზით მოხდა ესა თუ ის ისტორიული ფაქტი.

თანამედროვეთაგან განსხვავებით, ტაციტუსი ყველაზე ნაკლებად სუბიექტურია. ამიტომ იგი მიიჩნევა პრინციპულ, სანდო ისტორიკოსად, რომლის მონათხრობიც თავისუფალია რომაელთა დამპყრობლური ნაციონალიზმისაგან.

მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა ტაციტუსი საქართველოს, რომის, პართიის, სომხეთისა და ალბანეთის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ჩვ. წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. ამ პერიოდში რომისათვის განსაკუთრებით მწვავედ იდგა სომხეთის საკითხი. სირიის დასაწყისიდან მდინარე ევფრატამდე უზარმაზარი სივრცე მინებისა სულ ოთხი რომაული ლეგიონით იყო დაცული. „მეზობლად მდებარეობდნენ იბერთა, ალბანელთა და სხვათა სამეფოები, დაცულნი ჩვენის დიდებით სხვათა მფლობელობისგან“. – წერს ტაციტუსი (...*accolis Hiberno Albanoque et aliis regibus, qui magnitudine nostra proteguntur adversum externa imperia. Ann. Lib. IV. 5*).¹ პართიის მიერ სომხეთის დაპყრობის შემთხვევაში რომის იმპერიის აღმოსავლეთი საზღვარი შიშვლდებოდა, ვინაიდან

1. ლათინური ტექსტები „ანალებიდან“ ამოღებულია ერის კესტერმანის რედაქციით გამოცემული ნიგნიდან – *Cornelii Taciti, AB EXCESSU DIVI AUGUSTI, vol. I. Lipsiae in aedibus B.G. Teubneri MCMLXV, 1965* (რედ.).

ზემოთ ნახსენებ ოთხ, ტაციტუსის სიტყვებით, დაბალბრძოლისუნარიან ლეგიონზე დაყრდნობა რომს არ შეეძლო. ამიტომ რომის იმპერატორი ტიბერიუსი (14-37 წწ.) ცდილობს სომხეთის საკითხის მოგვარებას რომის მოკავშირე იბერიის სამეფოს დახმარებით.

ამრიგად, რომსა და პართიას შორის სომხეთის მფლობელობისათვის წარმოებულ ბრძოლებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იბერიისათვის, რომლის ამ დროის ისტორიისათვის ტაციტუსის „ანალები“ ხშირად შეუცვლელი პირველწყაროა.

„ანალების“ VI წიგნში (31-36-ე თავები) აღწერილია იბერიის მეფის ფარსმანის აქტიური ჩარევა სომხეთის შინაგან საქმეებში. 35 წელს უმეფოდ დარჩენილ სომხეთში პართიის მეფე არტავანი თავის შვილს არშაკს ნიშნავს მმართველად და რომისაგან ეონონის (არშაკიდების დინასტიის მეფე არშაკ XVIII – ჯ. ო.) მიერ დატოვებული ხაზინის დაბრუნებასაც მოითხოვს. მოვლენათა თანმიმდევრობის მიხედვით, ამავე წელს ტიბერიუსი შეარიგებს ფარსმანს მის ძმასთან მიჰრდატთან და ამ უკანასკნელს სომხეთის მეფედ ნიშნავს.

მიჰრდატი, რომელიც პატარა მეფე ყოფილა (regulis), სომხეთის დასაპყრობად პირველი დაიძვრის და ფარსმანის დახმარებასაც მოითხოვს, როგორც რომზე დამოკიდებული სახელმწიფოს მეფისას, რის შემდეგაც იბერიელნი დიდი ჯარით შეიჭრნენ სომხეთში და დაიპყრეს ქალაქი არტაშატი. ცხადია, არტავანი ვერ შეურიგდებოდა სომხეთის დაკარგვას და თავისი შვილის – ოროდის – სარდლობით იგი ჯარს გზავნის ფარსმანის წინააღმდეგ. „თავის მხრივ ფარსმანი, – განაგრძობს ტაციტუსი, – იერთებს ალბანეთს, ინვესს სარმატებს, რომელთა მთავრები იღებენ რა საჩუქრებს ორივე მხრიდან, თავისი ხალხის ჩვეულების მიხედვით, მიდიოდნენ როგორც ერთი, ისე მეორე მხარის დასახმარებლად. იბერიელნი, ფლობენ რა ადგილმდებარეობას, სწრაფად ატარებენ სარმატებს სომეხთა წინააღმდეგ კასპიის გზით. ხოლო იმათ, რომლებიც მიდიოდნენ პართიელთა დასახმარებლად, ადვილად აკავებდნენ, ვინაიდან

მონინა აღმდეგემ სხვა გადასასვლელები შეკრა, ხოლო ერთადერთი გზა, რომელიც რჩებოდა ზღვასა და ალბანეთის მთებს შორის, ნელინადის ამ დროს საძნელო იყო" (*Contra Pharasmanes adiungere Albanos, accire Sarmatas, quorum sceptuchi utrimque donis acceptis more gentico diversa induere. Sed Hiberi locorum potentes Caspia via Sarmatam in Armenios raptim effundunt. At qui Parthis adventabant, facile arcebantur, cum alios incessus hostis clausisset, unum reliquum, mare inter et extremos Albanorum montes, aestas impediret...* Ann. Lib. VI. 33). კასპიის გზა (*Caspia via*) ტაციტუსთან დარიალის გადასასვლელს უნდა გულისხმობდეს. პლინიუსი დარიალის შესახებ წერს: „კავკასიის კარები, რომელსაც მრავალნი, მეტად შემცთარად, უწოდებენ კასპიისას, უზარმაზარი ქმნილებაა ბუნებისა, მთების უეცარი გაპობის შედეგი“.¹ აკადემიკოსი მანანდიანი კასპიის კარად მიიჩნევს დღევანდელი ახალქალაქის მახლობლად ხოსპიის რაიონში მდებარე გადასასვლელს საქართველოდან სომხეთში, რომელზედაც გადადიოდა ე. წ. მეოტიდო-კოლხეთის სავაჭრო გზა.² ამავე ვერსიას შესაძლებლად მიიჩნევს აკადემიკოსი ლატიშევიც.³ მაგრამ ტაციტუსის მიერ აღნიშნული გადასასვლელი ალბანების მთების კიდურსა და ზღვას შორის, რომელიც ზამთრის გამო გაუვალი იყო, უეჭველია დარუბანდის გადასასვლელია. მასთან კომპლექსში დარიალის კარი უნდა იგულისხმებოდეს, როგორც ქართველთა მიერ დაცული კასპიის გზა. ხოლო თუ პართიელთა მოკავშირე სარმატები საქართველოში შემოვიდოდნენ, მაშინ იბერიელთა მიერ სომხეთში გადასასვლელის შეკვრა აზრს კარგავს.

უმოკავშირეოდ დარჩენილი ოროდი ცუდ დღეში ჩავარდა. მისი მდგომარეობა მით უფრო არასახარბიელო იყო, რომ იგი

1. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, I, თბილისი, 1949, გვ. 185.

2. О.В. Кудрявцев, Восточная политика Римской империи при Нероне. Вестник древней истории (შემდგომ – ВДИ), №2, 1948, გვ. 93.

3. В.В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе (Scythica et Caucasia). ВДИ, №3, 1949, გვ. 211, შენიშვნა 5.

მხოლოდ ცხენოსან ჯარზე იყო დამოკიდებული, იმ დროს, როდესაც იბერიელ-ალბანელთა ჯარში ქვეითებიც იყვნენ. ეს დეტალი მიგვითითებს იბერია-ალბანეთში საკმაოდ განვითარებული სამხედრო ხელოვნების არსებობაზე.

ბრძოლის წინ სარდლებმა თავიანთ ჯარებს სიტყვით მიმართეს. „ფარსმანი ეუბნებოდა თავისიანებს, – წერს ტაციტუსი, – იმის შესახებ, რომ მათ არასოდეს არ განუტღიათ პართიელთა ბატონობა, რომ რაც უფრო ეცდებიან, მით უფრო მეტ დიდებას მოიპოვებენ, როგორც გამარჯვებულნი, ან დამცირებას და საფრთხეს, თუ გაიქცევიან. ამასთან ერთად, მან მიუთითა თავის იარაღით ნეჯაგრულ მწკრივზე და ოქროთი მოსირმულ მიდიელების რიგებზე. აქ ვაჟკაცებია, იქ კი საშოვარია“ (*Pharasmanes integros semet a Parthico dominatu, quanto maiora peterent, plus decoris victores aut, si tegra darent, flagitii atque periculi laturos; simul horridam suorum aciem, picta auro Medorum agmina, hinc viros, inde praedam ostendere. Ann. Lib. VI. 34*).

როგორც ჩანს, სარმატები პირველნი ჩააბა ფარსმანმა ბრძოლაში. მათ არ მისცეს პართიელებს საშუალება მშვილდ-ისრების გამოყენებისა, რის შემდეგაც ბრძოლაში იბერიელ-ალბანელთა მხედრობა ჩაება და პართიელები, მტრის ცხენოსანი და ქვეითი ნაწილების ერთობლივი შეტევის შედეგად, მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩაეარდნენ. ორთაბრძოლაში ფარსმან მეფემ ოროდს ხმლით მუზარადი გაუჩეხა. მძიმედ დაჭრილი თავიანთი სარდალი პართიელებმა მოკლულად მიიჩნიეს და გაიქცნენ.

ამ ბატალური სურათის აღწერისას ტაციტუსს მოცემული აქვს ცნობა იბერიელ-ალბანელთა ეთნოგენეზის შესახებ: „ისინი ამბობენ, რომ წარმოდგებიან თესალიელთაგან. იმ დროს, როდესაც იაზონმა წაიყვანა მედეა, გაუჩნდა მასთან შვილები და შემდეგ მალე დაბრუნდა აიეტის დაცარიელებული ტახტის დასაკავებლად უმეფოდ დარჩენილ კოლხებთან. და მართლაც, – დასძენს იგი, – ბევრი რამ მეტყველებს, რომ იგი

და მისანი ფრიქსე აქ დღემდე ახსოვთ. არავინ სწირავს მსხვერპლად ცხვარს იმ რწმენის გამო, რომ მასზე მგზავრობდა ფრიქსე“ (*feruntque se Thessalis ortos, qua tempestate laso post avectam Medeam genitosque ex ea liberos inanem mox regiam Ae[e]tae vacuosque Colchos repetivit; multaue de nomine eius et oraclum Phruxi celebrant; nec quisquam ariete sacrificaverit, credito vexisse Phrixum... Ann. Lib. VI. 34*).

მსგავსი ვერსია ქართველთა წარმოშობის შესახებ მოცემული აქვს სტრაბონსაც იმ განსხვავებით, რომ მის თხრობაში თესალიელი არმენი არგონავტებთან ერთად ჩამოდის საქართველოში.¹ რაც შეეხება არგონავტების მითის საფუძვლიანობის დამადასტურებელ სხვა ფაქტებს საქართველოში, ეს ამბები კვლავ სტრაბონს აქვს გადმოცემული ლევკოთეას ტაძართან დაკავშირებით.²

როგორც ვიცით, თესალია იყო კერა წინაბერძნული – პელაზგური – კულტურისა, ამიტომ ტაციტუსის ზემოთ ნახსენები ცნობა, რომელიც თესალიელებთან ქართველთა ეთნიკურ კავშირზე მიგვითითებს, მისი სიძველის გამო შეგვიძლია დავუკავშიროთ იბერ-სუბარული ტომებისა და პელაზგების ნათესაობის საკითხს. ეს ცნობა უდავოდ შორეული ამბების ანარეკლია, ვინაიდან დაკავშირებულია არგონავტების მითთან და მისი გადმოცემის ფორმაც ამასვე მიგვითითებს – „ამბობენო“ (*feruntque*), – წერს ტაციტუსი.

„მაღე არტავანი, – განაგრძობს ტაციტუსი, – თავისი სამეფოს მთელი ძალებით დაიძრა შურის საძიებლად. ადგილმდებარეობის ცოდნის გამო იბერიელნი მასზე უკეთ აწარმოებდნენ ომს“ (*Mox Artabanus tota mole regni iit. Peritia locorum ab Hiberis melius pugnatum. Ann. Lib. VI. 36*).

ამავე დროს, რომის სარდალმა ლუციუს ვიტელიუსმა ხმები დაყარა, თითქოს მესოპოტამიაში შესაჭრელად ემზადებოდა და არტავანი იძულებული გახდა სომხეთი დაეთმო.

1. В.В. Латышев. დასახ. ნაშრომი, გვ. 212, შენ. 3.

2. იქვე, შენ. 4.

აღსანიშნავია, რომ სახელი ვიტელიუსისა, რომელიც ტიბერიუსმა აღმოსავლეთის ოპერაციების ხელმძღვანელად დანიშნა, მხოლოდ აქ მოიხსენიება, რაც ერთხელ კიდევ მიგვითითებს იმაზე, რომ რომი იძულებული იყო იბერიის მეფისათვის დამოუკიდებელი მოქმედების ასპარეზი გადაეშალა.

დაკარგულია ტაციტუსის ის წიგნები, რომლებშიც აღწერილია იმპერატორ კალიგულას (37-41 წწ.) მიერ რალაც მიზეზით მიჰრდატის შეპყრობა. ეს ფაქტი დიონ კასიუსისა და სენეკასგან არის ცნობილი. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრით, მიჰრდატი დაახლოებით 47 წელს იქნა გათავისუფლებული კლავდიუსის (41-54 წწ.) მიერ. სარგებლობს რა პართიელთა შინაური განხეთქილებით, მიჰრდატი ფარსმანის დახმარებით კვლავ მეფდება სომხეთში. „რომაელი ჯარისკაცის ძალა გამოყენებულ იქნა მალღობებზე აგებული სიმაგრეების დასაძლევად, ხოლო იბერიელთა ცხენოსანი მხედრობა დაბლობებში მოქმედებდა (...vi militis Romani ad excidenda castellorum ardua, simul Hiberno exercitu campos persultante. Ann. Lib. XI. 9).

დემონაკტის დამარცხების შემდეგ წინააღმდეგობას მხოლოდ მცირე სომხეთის მეფე კოტისი აგრძელებდა, მაგრამ კეისრის წერილის შემდეგ ისიც დაშოშმინდა.

XII წიგნის 44-ე თავში ტაციტუსი აგვინერს დანყებას იბერიელთა და სომეხთა ბრძოლისა, რომელიც, მისი სიტყვით, გახდა საბაზი რომაელთა და პართიელთა ბრძოლების განახლებისა. ეს ამბები 51 წელს უნდა მომხდარიყო.

ფარსმან მეფემ ტახტის მეტოქე შვილის რადამისტის თავიდან მოსაცილებლად გადანყვიტა თავის ძმასთან – სომხეთის მეფე მიჰრდატთან – გაეგზავნა იგი იმ გეგმით, რომ ეს უკანასკნელი ბიძის ტახტს იგდებდა ხელთ. რადამისტი, ანუ როდამი¹ განსწავლული და კარგი ფიზიკური აგებულების მქონე კაცი ყოფილა. როგორც თავის ქვეყანაში, ისე მეზობლებში მას დიდი ავტორიტეტი ჰქონია და სწორედ ამიტომ ემ-

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 170.

ინოდა მისი ფარსმანს. მამა-შვილმა სომხეთში ჯიქურ შეჭრა მიზანშეწონილად არ მიიჩნია. ვითომც დედინაცვლისაგან შეჭირვებული რადამისტი ბიძამ სომხეთში კარგად მიიღო, მაგრამ რადამისტმა მაინც მალე დაიწყო მისი სანინაალმდეგო მოქმედება. ფარსმანმა საბაბად ის გამოიყენა, რომ მიჰრდატმა მას ხელი შეუშალა ალბანელებთან წარმოებული ომის დროს¹ რომაელთა დახმარების მიღებაში და რადამისტს მის წინააღმდეგ ჯარი გაუგზავნა, რის შემდეგაც რადამისტისაგან დევნილი მიჰრდატი თავს აფარებს ციხესიმაგრე გარნეას.²

„არაფერი არ არის ისე უცნობი ბარბაროსისთვის, როგორც გამოყენება მანქანებისა და ციხესიმაგრეთა აღების ხერხები“. – წერს ტაციტუსი (*Nihil tam ignarum barbaris quam machinamenta et astus oppugnationum. Ann. Lib. XII. 45*). მიუხედავად რომაელთა ცენტურიონის კასპერიუსის პროტესტისა, რადამისტი გარნეას ალყას არ ხსნის და ბოლოს მაინც ახერხებს მიჰრდატის ხელში ჩაგდებას ციხის მცველი რომაული გარნიზონის პრეფექტის ცელიუს პილონის მოსყიდვის გზით.

რადამისტი ბიძას თავდაპირველად კარგად შეხვდა და ვითომც ფიცის მისაცემად ტყეში შეიტყუა. ფიცის მიცემის ცერემონიალის დროს მიჰრდატი ნააქციეს და შებორკეს. ვინაიდან ფიცი ჰქონდა დადებული, რომ მიჰრდატისა და მისი მეუღლის წინააღმდეგ, რომელიც ფარსმანის შვილი იყო და, მაშასადამე, რადამისტის და, არც იარაღს იხმარდა და არც სანამლავს, რადამისტმა საშინელი მკვლელობა მოიგონა – მეფე-დედოფალს ბევრი და მძიმე ტანსაცმლის ზედ დაყრით ამოხადეს სული. მიჰრდატის შვილებიც დედ-მამის გლოვისათვის დახოცეს.

როგორც ვხედავთ, იმპერატორ კლავდიუსის მეფობის ხანაში იბერიის ისეთ მდგომარეობას აღწევს, რომ ცდილობს, თუ არ შეიერთოს, ყოველ შემთხვევაში, თავის გავლენას დაუმორჩილოს კავკასიის სამეფოები. ამას მოწმობს ომი ალბანე-

1. ალბანელებთან ბრძოლის ისტორია ტაციტუსის დაკარგულ წიგნებში უნდა იყოს.
2. გარნეას ადგილმდებარეობა არ არის დადგენილი.

თან და თვით რომაული ორიენტაციის მეფის მიჰრდატის სომხეთის ტახტიდან ჩამოგდება.

ტაციტუსი ობიექტურია, როდესაც სომხეთ-საქართველოს ბრძოლისადმი რომაელთა დამოკიდებულებაზე მოგვითხრობს. უმიდიუს კვადრატის – სირიის მმართველის – მიერ შეკრებილმა საბჭომ გადანყვიტა ეხელმძღვანელა რომაელთა ცნობილი დევიზით „Divide et impera“ და არამცთუ შებრძოლებოდა ძლიერ მეტოქე ფარსმანს, არამედ კიდევ უფრო გაელვივებინა სომხეთ-საქართველოს შუღლი.

რომაელთა ძალების დასუსტებით აღმოსავლეთში სარგებლობს პართიის მეფე ვალარში (Vologes) და იჭრება სომხეთში. იბერიელებმა უბრძოლველად დატოვეს სომხეთი, ხოლო ქალაქებმა არტაშატმა და ტიგრანოკერტმა (დღევანდელი დიარბექირი) პართიის ქვეშევრდომობა მიიღეს.

რადამისტი შემდეგ კვლავ ახერხებს სომხეთში გამეფებას, მაგრამ მისმა სისასტიკემ აავსო ფიალა სომეხი ხალხის მოთმინებისა. რადამისტი და მისი ფეხმძიმე ცოლი ზენობია მხოლოდ ფეხმარდმა ცხენებმა იხსნეს აჯანყებული ბრბოსაგან, რომელმაც სასახლეს ალყა შემოარტყა და რომელიც, ცხადია, პართიელთა მხარდაჭერით სარგებლობდა. ზენობიამ მძიმე გზას ვერ გაუძლო. რათა სხვას არ ჩავარდნოდა ხელში, რადამისტმა იგი სასიკვდილოდ დაჭრა და მდინარე არაქსში გადააგდო, მაგრამ ზენობია მწყემსებმა გადაარჩინეს და შემდეგ სომხეთში, არტაშატში, პართიელთა შემწეობით გამეფებული ტარდატის სასახლეში ცხოვრობდა, როგორც დედოფალი.

რომის სარდალი კორბულინი თავს უყრის ძალებს სომხეთის კვლავ რომაელთა გავლენის ქვეშ მოსაქცევადა და ამ ხანებში „ფარსმანიც, მოაკვლევინა რა თავისი შვილი რადამისტი¹ ვითომც ღალატისათვის, რომ დაემტკიცებინა თავისი ჩვენდამი ერთგულება, უფრო მკვეთრად ამჟღავნებდა თავის ძველ სიძულვილს სომხებისადმი. ამავე დროს ჩვენდამი პი-

1. ლატიშევის აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 58 წლამდე.

რველად მომხრობილი მოსხები¹ – ტომი სხვებზე მეტად მეგობრულად განწყობილი რომაელებისადმი – თავს დაესხნენ გარე სომხეთს“ (*Nam Pharasmanes interfecto filio Radamisto quasi proditore, quo fidem in nos testaretur, vetus adversus Armenios odium promptius exercebat. Tuncque primum inlecti Moschi, gens ante alias socia Romanis, avia Armeniae incursavit. Ann. Lib. XIII. 37*).

გარდა სომხეთის საკითხისა რომი იბერიასთან სიმმაქიას (სამხედრო კავშირს) სხვა შემთხვევებშიც იყენებდა. მაგალითად, XIV წიგნის 23-ე თავში ვკითხულობთ კორბულინის მიერ მარდების წინააღმდეგ იბერიელთა სამხედრო ძალის გამოყენების შესახებ: „კორბულინმა, გაგზავნა რა მათ წინააღმდეგ იბერები, ააოხრა ისინი და მათი კადნიერებისათვის შური იძია სხვისი სისხლით“ (*Quos Corbulo immissis Hiberis vastavit hostilemque audaciam externo sanguine ultus est. Ann. Lib. XIV. 23*).

როდესაც ნერონის (54-68 წწ.) მიერ სომხეთის ტახტზე ტიგრანი იქნა გამეფებული, ტაციტუსს აღნიშნული აქვს, რომ სხვა რომაული ორიენტაციის მეფეებთან ერთად იბერიის მეფე ფარსმანმაც მიიღო ჯილდოდ სომხეთის ის ნაწილი, რომელიც მის სამეფოს ესაზღვრებოდა.

ამრიგად, ტაციტუსი „ანალებში“ იძლევა საკმაოდ ნათელ სურათს საქართველოს, უფრო სწორად, აღმოსავლეთ საქართველოს, პოლიტიკური მდგომარეობისა I საუკუნის შუა წლებში რომის, პართიის და მეზობელი სომხეთ-ალბანეთის მიმართ. ამ პერიოდში იბერია, რომის მიერ სამხედრო ძალით თავზე მოხვეული ამიციციის (*amicitia*), ანუ „მეგობრობის“ გამო, გამოდის როგორც რომაელთა პოლიტიკური ინტერესების დამცველი ამიერკავკასიაში. რომი, რომლისათვისაც არახელსაყრელია კავკასიის საულელტეხილო გზების (და-

1. ე. მოდესტოვის აღნიშვნით, ხელნაწერებში ყოფილა *Insochi* და *Insechl*. რიტესს გადაუკეთებია *Moschi*-დ, მცდარად მიიჩნევს რა, რომ შესაძლებელია პენიოხები სომხეთის მეზობლად ცხოვრობდნენ. მოდესტოვის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა *Heniochi*-ს ხმარება.

რიალი, მამისონი, ქლუხორი) მპყრობელ იბერიის მეფესთან ურთიერთობის გამწვავება, ხშირად დათმობაზე მიდის ქართველთა მიერ სიმმაქიის დარღვევის შემთხვევებშიც. ამავე დროს, რომისა და პართიის გაუთავებელი შუღლი, რომელიც პართიელთა ექსპანსიას აკავებდა კავკასიის სიღრმეში, მეტად ხელსაყრელი იყო საქართველოსათვის.

რომისა და პართიის ბრძოლების ასპარეზი გადაჭიმული იყო კავკასიიდან სპარსეთის ყურემდე და ყველაზე მეტად სომხეთი ზარალდებოდა. ტაციტუსის გადმოცემით, საქართველოს სამეფო დინასტია აქტიურ მონაწილეობას იღებს სომხეთის ტახტისათვის გაჩაღებულ ბრძოლაში და სარგებლობს რა შექმნილი ვითარებით, ამ საკითხში უპირისპირდება არა მარტო პართიას, არამედ რომის ინტერესებსაც.

ტაციტუსი ერთადერთი ისტორიკოსია, რომელიც აგვიწერს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროების ტომთა აჯანყებას რომის წინააღმდეგ ანიკეტის ხელმძღვანელობით. ეს ამბავი მოთხრობილია „ისტორიებში“ (Hist. III. 47-48).

შავიზღვისპირეთის ტომთა აჯანყება რომის იმპერიის 68-69 წწ. კრიზისს ემთხვევა და მის გამოძახილს წარმოადგენს. „აჯანყება იუდეაში, გალიაში, ცივილისის აჯანყება, კლოდიუს მაცერასი აფრიკაში, ანიკეტისა პონტოში საფრთხეს უქმნიდნენ იმპერიის მთლიანობას, ყველგან გაიღვიძა პროვინციულმა სეპარატიზმმა“.¹

აი, როგორ აგვიწერს თვითონ ტაციტუსი ანიკეტის აჯანყებას: §47. არც სხვა ხალხები იყვნენ წყნარად. უცბად პონტოში ბარბაროსმა მონამ, ოდესღაც სამეფო ფლოტის უფროსმა, იარალი აღმართა. იგი იყო ანიკეტი, პოლემონის აზატი, ფრიად ძლიერი ოდესღაც; როდესაც სამეფო რომის პროვინციად შეიცვალა, ეს ცვლილება ვერ აიტანა. ამრიგად ვიტელიუსის სახელით მიმხრობილი იმ უცხო ტომებით, რომლებითაც პონტო დასახლებულია და ძარცვის იმედით შეცდენილი ღარიბებით,

1. Е. М. Штаерман, Кризис 68-69 гг. и деятельность Веспасиана. ВДИ, №3 (37), 1951, გვ. 165.

არამცირე ძალის ხელმძღვანელმა უეცარი თავდასხმა მოახდინა ტრაპიზონზე, რომელიც ძველი გადმოცემით ბერძენი მოქალაქეების მიერ პონტოს ზღვისპირეთის უკიდურეს ნაწილში იქნა დაარსებული. ამოხოცა იქ კოპორტები, რომლებიც მეფის დამხმარე რაზმს წარმოადგენდნენ ოდესლაც და მალე რომაული მოქალაქეობის უფლება ეწყალობათ, დროშები და იარაღი ჩვენებური ჰქონდათ, ხოლო უქნარობას და თავაშეებულობას კვლავ ბერძნულს ინარჩუნებდნენ. დანვა აგრეთვე გემები და დასცინოდა რომაელებს ცარიელ ზღვაში, ვინაიდან საუკეთესო ლიბურნული ხომალდები მთელი ჯარით მუციანემ ბიზანტიუმში წაიყვანა: ბარბაროსები უდარდელად დახეტიალებდნენ, სწრაფად ააგეს რა ხომალდები. მათ „კამარებს“ უწოდებდნენ; ვინროკიდურებიანი და ფართოფსკერიანები, შეკრულნი არიან სპილენძისა თუ რკინის სამაგრებლების გამოუყენებლად. ზღვის ღელვისას, ტალღების სიდიდის შესაბამისად, კიდევს ამაღლებენ – უმატებენ რა ფიცრებს, ვიდრე სახურავის მსგავსად არ გადახურავენ. ასე ბრუნავენ ტალღებს შორის. ვინაიდან ხომალდს ორივე მხრივ ერთნაირი ცხვირი აქვს და ნიჩბების ადგილის შეცვლაც შეიძლება, ამიტომ ნაპირთან ორივე მხრიდან უხიფათოდ შეუძლიათ მიდგომა.

Nec ceterae nationes silebant. Subita per Pontum arma barbarum mancipium, regiae quondam classis praefectus, moverat. Is fuit Anicetus Polemonis libertus, praepotens olim, et postquam regnum in formam provinciae verterat, mutationis impatiens. Igitur Vitellii nomine adscitis gentibus quae Pontum adcolunt, corrupto in spem rapinarum egentissimo quoque, haud temnendae manus ductor Trapezuntem, vetusta fama civitatem, a Graecis in extremo Ponticae orae conditam, subitus inrupit. Caesa ibi cohors, regium auxilium olim; mox donati civitate Romana signa armaque in nostrum modum, desidiarum licentiamque Graecorum retinebant. Classi quoque faces intulit, vacuo mari eludens, quia lectissimas Liburnicarum omnemque militem Mucianus Byzantium adegerat. Quin et barbari

contemptim vagabantur fabricatis repente navibus: camaras vocant, artis lateribus latam alvom sine vinculo aeris aut ferri conexam; et tumido mari, prout fluctus attollitur, summa navium tabulis augent, donec in modum tecti claudantur. Sic inter undas volvuntur, pari utrimque prora et mutabili remigio, quando hinc vel illinc adpellere indiscretum et innoxium est (Hist. III. 47).¹

§48. ამან მიიქცია ყურადღება ვესპასიანესი და ამოირჩია რა ლეგიონებიდან ვექსილარიები, საუკეთესო ჯარისკაცებს ვირდი გემინი უსარდლა. იგი (ე. ი. ვირდი გემინი – ჯ. ო.) უნესრიგო და მძარცველობის მიზნით გაფანტულ მტერს თავს დაესხა, არეკა ისინი ხომალდებზე, სწრაფად ააგო ლიბურნიკები და დაენია ანიკეტს მდინარე ხობის შესართავში, სადაც სედოხეზების მეფის – რომელიც მოკავშირეობაზე ფულისა და ძღვენის მიცემით დაითანხმა – მფარველობის ნყალობით იგი თავს უშიშრად გრძნობდა. პირველად მეფე მართლაც ეხმარებოდა იარაღითა და თავისი ლოცვა-კურთხევით, მაგრამ მას შემდეგ, რაც ლალატის სანაცვლოდ დასაჩუქრებას დაჰპირდნენ, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში ომით დაემუქრნენ, დამო, ბარბაროსთათვის ჩვეული ფიცის გამტეხობით გასცა ანიკეტი და სხვა გამდგარნი დასალუჰად. ასე დასრულდა მონათა ომი.

Advertit ea res Vespasiani animum, ut vexillarios e legionibus ducemque Viridium Geminum spectatae militiae deligeret. Ille incompositum et praedae cupidine vagum hostem adortus coegit in naves, effectisque raptim Liburnicis adsequitur Anicetum in ostio fluminis Chobi, tutum sub Sedochezorum regis auxilio, quem pecunia donisque ad societatem perpulerat. Ac primo rex minis armisque supplicem tueri: postquam merces proditionis aut bellum ostendebatur, fluxa, ut est barbaris, fide pactus Aniceti exitium perfugas tradidit, belloque servili finis impositus (Hist. III. 48).

1. ლათინური ტექსტები „ისტორიებიდან“ ამოღებულია ერის კესტერმანის რედაქციით გამოცემული ნიგნიდან – P. Cornelii Taciti, Historiarum Libri, II, BSB B.G. Teubner verlagsgesellschaft, 1969 (რედ.).

ანიკეტის აჯანყების თარიღად მიჩნეული იყო ვესპასიანეს მეფობის წლები (69-79). ტაციტუსი ამბობების თარიღს არ ასახელებს, მაგრამ გერმანიაში ვიტელიუსის აჯანყების დაწყების შემდეგ, როგორც ვიცით, მუცლიანემ მის წინააღმდეგ პონტოდან ფლოტი წაიყვანა. ეს კი უნდა მომხდარიყო 69 წლის ივლისის ბოლოს ან აგვისტოს დასაწყისში. პონტოში ანიკეტის მონათა აჯანყების დასრულებასთან ერთად, ვესპასიანეს ცნობა მოსდის კრემონასთან ვიტელიუსზე გამარჯვების შესახებ. ეს კი ოქტომბრის ბოლოს მოხდა. ამრიგად, ანიკეტის აჯანყება 69 წლის ზაფხულის დასასრულსა და შემოდგომის დასაწყისში მიმდინარეობდა.

აჯანყების პერიოდისათვის ტრაპიზონს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. აქედან ვრცელდებოდა მთიელ ტომებზე რომაელთა კოლონიზატორული პოლიტიკა. სწორედ ამიტომ მიიტანა ანიკეტმა იერიში ტრაპიზონზე, როგორც რომაელთა პოლიტიკური ექსპანსიის ცენტრზე.

ცხადია, რომ თავისი არაორგანიზებული ძალებით ანიკეტი რომაელებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. ვირდი გემინის მიერ შევიწროებული, იგი სედოხეზების მეფის გულს იგებს და მასთან პოულობს თავშესაფარს მდინარე ხობის შესართავში. გ. რუპერტის რედაქციით გამოცემული ნიგნის (*Taciti, Historiarum quinque libri, Hannoverae MDCC XXXIX, 1869*) კომენტარებში აღნიშნულია: „მდინარე კოპიბის შესართავში, სედოხეზების მეფის მფარველობაში, – კოლერიუსმა მახვილგონივრულად შეასწორა, – მდინარე ხობის შესართავში, სედოხი ლაზების მეფის მფარველობაში“. ¹ იქვე არის აღნიშნული: „პლინიუსის მიერ ნახსენები ხობუსი და არიანეს *χάβος*-ი, ახლა ხობისწყალი, პონტოს ევქსინოსში ჩაედინება ფაზისის შესართავის ზემოთ“. ² მაგრამ მკვლევარი ელნიცკი, რომელიც ეყ-

1. „In ostio fluminis Cohibi tutum sub Sedochezorum regis auxilio, – Colerius ingeniose corrigebat, – in ostio fluminis Chobum tutum sub Sedochi Lazorum regis auxilio“. გვ. 376, შენ. 2.

2. იქვე: „Cobus dicitur Plinio e *χάβος* Arriano, nunc Kobldzkali et in Pontum influit supra Phasis ostia“.

რდნობოდა არიანეს გამონაგარიშებებს და პლინიუსის ცნობას, მიიჩნევს, რომ „მდინარე ხობოსი სვანეთის კავკასიონიდან მოედინება“ (Flumen Chobum e Caucaso per Suanos fluens. Naturalis Historia). ტაციტუსის ხობი სანაოსნო მდინარე ენგური უნდა იყოს და არა ხოფა ან ხობისწყალი.¹

თვითონ ტაციტუსი აჯანყებაში მონაწილე ტომთა სახელწოდებებს არ ასახელებს, მაგრამ ძველი ავტორები დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ აგვიწერენ შემდეგ ტომებს: ხალიბებს (პლინიუსი, მელა, ვალერიუს ფლაკი), ტიბარენებს (Tibareni=Tabareni – პლინიუსი, მელა, ვალერიუს ფლაკი), მასინებს (Massyni=Mossyni – პლინიუსი, მელა, ვალერიუს ფლაკი), მაკროცეფალებს (Macrocephali – პლინიუსი, მელა), ბიზერებს (Byzeres – ვალერიუს ფლაკი), მათ მეზობელ ბეხირებს (Bechiri=Bechires – პლინიუსი, მელა), ბუქსერებს (Buxeri – პლინიუსი, მელა). გარდა ამისა პლინიუსს ნახსენები ჰყავს მახორონები (Machorones) და სიდონები (Sidoni), რომელთაგან პირველნი, ბოლტუნოვას აზრით, ვალერიუს ფლაკის მაკრონებს უნდა შეესაბამებოდნენ.² ხალიბები პაფლაგონიელთა მეზობლად ცხოვრობდნენ ამისოსისა და სინოპის მახლობლად (პლინიუსი). მაკროცეფალების, ბეხირების და ბუქსერების ადგილებში პლინიუსისა და ვალერიუს ფლაკის საერთო ჩვენებით ქალაქები ცოტაა და მათგან ყველაზე ცნობილია ტრაპიზონი და კერასუნტი. უფრო გვიანდელი ხანის ისტორიკოს არიანეს გადმოცემით, ტრაპეზუნტიდან მოყოლებული ბზიფის ხეობამდე შემდეგი ტომები სახლობდნენ: სანები, მაკრონები, ჰენიოხები, ზუდრეიტები, ლაზები, აფსილები, აბასგები და სანიგები. აკადემიკოსი ს. ჯანაშია აღნიშნავს, რომ ამ ტომთაგან საკუთრივ დასავლეთ საქართველოს, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, გურია-სამეგრელო-აფხაზეთის ტერიტორიაზე უცხოვრიათ ლაზებს, აფსილებს, აბასგებსა და სანიგებს.³

1. Л.А. Ельциной, Из исторической географии древней Колхиды. ВДИ, №2 (3), 1938, გვ. 315.

2. А.И. Болтунова, Восстание Аникета. ВДИ, №2, 1939, გვ. 59.

3. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 208.

თუ სტრაბონის თანახმად, ჰენიოხები ჯიქებთან და ახებთან ერთად შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილში სახლობენ, არიანე, პლინიუსის მსგავსად, მათ უფრო სამხრეთით აგვიწერს. პომპონიუს მელას ცნობით, დიოსკურია ჰენიოხების ოლქში შედის. ელნიცკის ამის საფუძველზე გამოაქვს დასკვნა, რომ სტრაბონის დროიდან ვიდრე არიანემდე უნდა მომხდარიყო ჰენიოხების გარკვეული გადმოსახლება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, რის შედეგადაც მათ სომხეთის საზღვრებამდეც კი მიაღწიეს.¹ ჰენიოხები კამარებით სარგებლობდნენ და, პლინიუსის ცნობით, მათ მიერ აღებული და გაძარცვულ იქნა პიტიუნტი და დიოსკურია. ყველაფერი ეს იმის დასამტკიცებლად შეიძლება გამოვიყენოთ, რომ ჰენიოხები, რომელთათვის რომაელთა წინააღმდეგ გამოსვლა უჩვეულო არ ყოფილა, თავისი კამარებით მონაწილეობდნენ ანიკეტის აჯანყებაში. რაც შეეხება ელნიცკის იმ მოსაზრებას, რომ ენგურის სანაპიროზე მცხოვრები სედოხეზები, კოლერიუსის შესწორებით – სედოხი ლაზები, ჰენიოხები უნდა იყვნენ, ჩვენი აზრით, უფრო მართებული იქნებოდა სედოხეზები ლაზების დამახინჯებულ სახელწოდებად მიგვეჩინა, ვინაიდან ძველი ავტორების ცნობებით, ენგურის მიდამოებში სწორედ ლაზები უნდა ყოფილიყვნენ დასახლებულნი. გარდა ამისა, საფუძველს მოკლებული არ არის ის გარემოებაც, რომ სანაოსნო მდინარე ენგურის აუზი, რომელსაც დასავლეთ საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დასახლების ადგილი უნდა ყოფილიყო იმ ტომისა, რომელმაც შემდეგში მთელი კოლხეთი გააერთიანა.

სედოხეზების მეფის მიერ გაცემული ანიკეტისა და მისი მომხრეების შემდგომი ბედი ცნობილი არ არის. თვით სედოხეზების პოლიტიკური წყობა, ცხადია, გვაროვნული არ არის და მათი მეფე ტომის ბელადი კი არ არის, არამედ, აკადემიკოს ს. ჯანაშიას აღნიშვნით, „უკვე პატარა დინასტი, რომელიც დიდი სახალხო მოძრაობის მთავარი მოლაღატის როლში გამოდის“.²

1. Л. А. Ельницкий, Северчерноморские заметки. ВДИ, № 1, 1950, გვ. 191.

2. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

ელნიცკის აზრით, სედოხეზებმა, ანუ იმავე ჰენიოხებმა, ანიკეტის გაცემით რომაელთა მეგობრობა მოიპოვეს. „ანალებში“ (XIII. 37) Insochi-ზე (რომელიც, მისი აზრით, „ჰენიოხად“ უნდა იქნეს წაკითხული) ამიტომ არის ნათქვამი: „ტომი სხვებზე მეგობრულად განწყობილი რომაელებისადმი“ (gens ante alias socia Romani). მაგრამ ანიკეტი 69 წელს გასცეს, ხოლო „ანალებში“ აღწერილი ამბები ქრონოლოგიურად 68 წელს არ სცილდება. საერთოდ კი ჰენიოხებს, რომლებიც მეგობრობითა და ქალაქზე თავდასხმებით რომაელებს მოსვენებას არ აძლევდნენ, ტაციტუსი რომაელების მიმართ სხვებზე მეტად მეგობრულ ტომს ვერ უწოდებდა. გარდა ამისა, მართალია, ჰენიოხები სამხრეთისაკენ გადასახლდნენ, მაგრამ საფუძველს მოკლებულია ის ვარაუდი, რომ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის გარეშე ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ზღვისპირეთიდან სამხრეთ კავკასიის სიღრმეში აღმოჩენილიყვნენ.

შესაძლებელია, რომ ჰენიოხების გარდა აჯანყებაში მონაწილეობდნენ ლაზებიც, რომელთა მეფესთანაც დამარცხებული ანიკეტი თავშესაფარს პოულობს. საერთოდ აჯანყების მონაწილენი ძირითადად ეთნიკურად ქართულ ტომთა წარმომადგენლები უნდა ყოფილიყვნენ, რასაც მოწმობს სიტყვა „კამარა“, რომელიც, გ. გოზალიშვილის აღნიშვნით, „ქართულ სამყაროში ძალიან ადრეა გაჩენილი და, საერთოდ, ქართული სამყარო უნდა იყოს მისი სამშობლო“.¹

აკადემიკოსი ს. ჯანაშია აღწერილი აჯანყების ორმაგ ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას.² ცხადია, აჯანყების მონათა აჯანყებად წოდება (...beloque servili...) და მისი ხელმძღვანელის მონური წარმოშობა (barbarum mancipium) მონათა და ღარიბების სოციალურ მოძრაობაზე მიგვითითებს; ხოლო შავიზღვისპირეთის ადგილობრივი ტომების (adscitis gentibus

1. გ. გოზალიშვილი, რომის ექსპანსიის წინააღმდეგ შავი ზღვის სანაპიროზე პირველ საუკუნეში ქართველ ტომთა აჯანყების შესახებ. თსუ შრომები, XXXVII, თბილისი, 1949, გვ. 148.

2. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 189-190.

qui Pontum adcolunt) მონანილეობა აჯანყებაში, სედოხეზების მეფის როლი, აგრეთვე შესაძლებლობა იმისა, რომ ბერძნული სახელის, მაგრამ ბარბაროსული წარმოშობის ანიკეტი (barbarum mancipium) რომელიმე ადგილობრივი ტომის წარმომადგენელია, მეტყველებს შავიზღვისპირეთის ტომების ბრძოლაზე რომაელთა ძალადობის წინააღმდეგ.

ამრიგად, ანიკეტის აჯანყების სახით ჩვენ საქმე გვაქვს რთულ სოციალურ-პოლიტიკურ მოძრაობასთან, რომელმაც ფართო გაქანება მიიღო და მთელი პონტო მოიცვა. აჯანყება თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ რომის ექსპანსიის ზრდასთან ერთად შავიზღვისპირეთში ადგილობრივი თავისუფლების-მოყვარე ტომებიც თავისი სოციალურ-პოლიტიკური უფლებებისათვის ბრძოლის აქტიურ ფორმაზე გადადიან. ცხადია აგრეთვე, რომ აჯანყებაში მონანილე მონები თავიანთი მონათმფლობელების წინააღმდეგაც გამოვიდნენ (ნანილობრივ ამით არის განპირობებული სედოხეზების მეფის ლაღატი).

შავიზღვისპირეთის ისტორიისათვის მონათა ამ აჯანყებას არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა სოციალური თვალსაზრისით, ვიდრე ბოსფორის მონათა აჯანყებას სავმაკის ხელმძღვანელობით.

ელნიცკი ტრაპიზონის ოლქში წარსულ საუკუნეში შემორჩენილ დიდებას მებრძოლი ღმერთის აკრიტეს შესახებ ანიკეტის სახელს უკავშირებს. იგი შესაძლებლად მიიჩნევს, რომ რუსულ ფოლკლორში დაცული გადმოცემანი მეომარ ანიკეს შესახებ ამავე სახელს უკავშირდება, ვინაიდან ანიკეც სიმართლისათვის მებრძოლი მემამბოხე ბუნების ადამიანია. ეს გადმოცემა, ელნიცკის მოსაზრებით, რუსულ ფოლკლორში ბიზანტიური ფოლკლორის, ან კიდევ უფრო ძველი გზებით არის შესული.¹

როგორც ვხედავთ, ტაციტუსის „ისტორიებში“ და „ანალებში“ დაცული ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ

1. Л. А. Ельницкий, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 193.

მეტად საინტერესო ხასიათს ატარებენ და ეხებიან როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს ისტორიას. ტაციტუსის ამ ცნობათა შემდგომი შესწავლა და კრიტიკულად ათვისება ბევრ ახალს შესძენს საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს.

პლინიუს სეკუნდუსის ცნობები კოლხეთის შესახებ¹

საქართველოს ისტორიის უძველესი და ძველი პერიოდების შესასწავლად უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბერძენ-რომაელი მწერლების ცნობებს საქართველოს შესახებ, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ თითქმის ერთადერთ წერილობით წყაროს საქართველოს ისტორიის ამ პერიოდებისათვის.

ანტიკური ხანის მწერლების შრომებში განსაკუთრებით ბევრი ცნობაა დაცული დასავლეთ საქართველოს – კოლხეთის – შესახებ. როგორც ცნობილია, კოლხეთი არქეოლოგიურად არ არის კარგად შესწავლილი, რაც ნაწილობრივ ნიდაგის თავისებურებითაა გამოწვეული (არქეოლოგიური ძეგლები თანამედროვე ქვენიდაგის წყლებს ქვევითაა მოქცეული), ამიტომ კოლხეთის ისტორიის შესასწავლად წერილობით წყაროებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

მნიშვნელოვან ცნობებს კოლხეთის შესახებ იძლევა ცნობილი რომაელი მწერალი გაიუს პლინიუს სეკუნდუსი (Gaius Plinius Secundus), ანუ, როგორც ხშირად უწოდებენ, პლინიუს უფროსი. პლინიუსი დაიბადა ჩვ. წ.-ის 23 ან 24 წელს ქალაქ ნოვიომკომუმში (Noviomcomum). იგი დაიღუპა 79 წელს ვეზუვის ამოფრქვევის დროს. ჩვენამდე მოაღწია პლინიუსის მხოლოდ ერთმა ნაწარმოებმა „ბუნების ისტორიამ“.

„ბუნებისმეტყველების ფართო ენციკლოპედია (Naturalis Historia – „ბუნების ისტორია“ – 37 წიგნად), შედგენილი პლინიუს უფროსის მიერ, წარმოადგენს არაკრიტიკულ კომპილაციას დაუდალავი ავტორის მიერ წაკითხული უამრავი რაოდენობის წიგნებიდან“. – აღნიშნავს პროფესორი ი. ტრონსკი.² მიუხედავად ამისა, პლინიუსის ცნობები საერთოდ შავიზღვისპირეთისათვის და კერძოდ კოლხეთისათვის მეტად ძვირფასი მასალაა, ვინაიდან თვით ის წყაროები, რომლებიდანაც პლინიუსი კომპილირებას ახდენდა, ჩანს, ძალიან

1. თსუ სტუდენტთა XVI სამეცნიერო კონფერენცია. 1954 წ.

2. И. М. Тронский, История античной литературы, 1951, гв. 437-438.

მრავლისმომცველი ყოფილა, კერძოდ, ძალიან დეტალური ცნობებია დაცული შავიზღვისპირეთის ტოპონიმიკური ნომენკლატურის საკითხში.

პლინიუსი ხშირად თვითონვე ასახელებს წყაროებს. იგი იყენებდა „პერიპლუსებს“ („მოგზაურობის აღწერებს“) და სამეგზურო ნიგნებს, აგრეთვე იმ ოფიციალურ იტინერარიუმებს, რომლებითაც რომში სარგებლობდნენ I ს-ში. „მისი უზარმაზარი შრომა „Naturalis Historia“ დაფუძნებულია 20000 ამონაწერზე 2000 ნაწარმოებიდან, რომლებიც ეკუთვნოდა 400 რომაელ და უცხოელ მწერალს“.¹

პლინიუსსაც, არიანეს მსგავსად, ტომები, ქალაქები და მდინარეები აღწერილი, უფრო სწორად, დასახელებული აქვს სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ. ამასთანავე, მანძილებსაც ურთავს რომაული ორმაგი ნაბიჯებით (passus²), მაგრამ მის მიერ მოცემული მანძილები ხშირად არაზუსტია. მაგალითად, პლინიუსის მიხედვით, კავკასიის ყელის სიგანე კოლხეთიდან მტკვრის შესართავამდე უდრის 535 კმ-ს (CCCLXXV milium passuum), სინამდვილეში კი უხეში გაზომვითაც 800 კმ-მდეა.

გადავიდეთ უშუალოდ პლინიუსის ცნობების განხილვაზე. „არგონავტიკის“ ელინისტური ვერსიის მიხედვით, კოლხები ოქროს საწმისისა და მედეას გამტაცებელ იასონს მდინარე ისტრის (დუნაის) გაყოლებით დაედევნენ. როგორც ჩანს, ამ ვერსიას ეყრდნობა პლინიუსი, როდესაც ისტრის ქალაქ პოლას, რომელიც მისი დროისათვის Pietas Iulia-დ იწოდებოდა, კოლხების მიერ დაარსებულად მიიჩნევს (NH. III. 129). ამავე ვერსიაზე დაყრდნობით, დალმაციის ქალაქ Olcinium-ის, რომელიც ადრე თურმე კოლხინიუმად იწოდებოდა, და ილირიის ქალაქ ორიკის (Oricum) დაარსებას პლინიუსი კოლხებს მიანერს.³ პლინიუსის ამ ცნობებით იქმნება საკმაოდ ფართო კოლხური კოლონიზაციის სურათი დუნაის ნაპირებზე, დალ-

1. М.М. Покровский, История римской литературы, 1942, гл. 350.

2. Н.А. Машкин, История древнего Рима, 1949. Passus = 5 pes. = 1,4815 м. გვ. 720.

3. პლინიუსი, Naturalis historiae, III. 129. ВДИ, №2, 1949, გვ. 274, შენ. 12; გვ. 275, შენ. 1-2.

მაციაში, ილირიაში, რაც სინამდვილეს არ უნდა შეესაბამებოდეს. როგორც ვიცით, VIII-VI სს. ბერძნული კოლონიზაცია განპირობებული იყო ბერძნულ საზოგადოებასა და სახელმწიფოთა შიგნით მიმდინარე რთული სოციალურ-პოლიტიკური პროცესებით, პურის უკმარობითა და ბარბაროსი მოწიპის შოვნის სურვილით. კოლხურ კოლონიზაციას კი ასეთ განმაპირობებელ ფაქტორებს ვერ მოვუძებნით.

შავი ზღვის სახელწოდების შესახებ პლინიუსი იმეორებს სტრაბონის ცნობას, რომ მას ადრე „პონტოს აქსენუსი“, ე. ი. „არასტუმართმოყვარე ზღვა“ ეწოდებოდა, ხოლო ახლა „პონტოს ექსენოსი“, ე. ი. „სტუმართმოყვარე ზღვა“ ჰქვიაო. მკვლევარ ლ. ელნიცკის აზრით, იონიური კოლონიზაციის შემდეგ შავ ზღვას სახელი „ეგფემისტურ“ ნიადაგზე უნდა შეცვლოდა – ბერძნებმა მას ბედნიერების მომტანი სახელი უწოდეს.¹

მეტად მნიშვნელოვან ცნობებს იძლევა პლინიუსი „ბუნების ისტორიის“ VI წიგნში. შევეცდებით მოვახდინოთ ამ ცნობების ინტერპრეტაცია ლათინურის მიერ Scythica et Caucasica-სთვის ВДИ-ში (1949 წ. №2) დართული შენიშვნებისა და სხვა მეცნიერების მოსაზრებათა მიხედვით.

მდინარე თერმოდონტის (თანამედროვე ტერმე-ჩაის) შემდეგ პლინიუსი ასახელებს კენების (Caenarum) ტომს, რომელსაც კენების თრაკიულ ტომს უკავშირებენ. შემდეგ ქალაქ კოტიორას (თანამედროვე ქ. ორდუს) მიდამოებში დასახლებულია უძველესი ქართული ტომი ხალიბები. რკინის დამუშავების მაღალი ტექნიკით უძველესი დროიდან ცნობილ ხალიბების ტომს ჯერ კიდევ ჰეკატოს მილეთელი იხსენიებს, შემდეგ – ქსენოფონტეც, როგორც რკინის დამუშავებითა და სიმამაცით განთქმულთ.² სტრაბონის აზრით, ჰომეროსის „ჰალიძონები“, ეპისტროფოსის „ალიბები“ და ხალიბები ერთი და იგივე ტომ-

1. Л. А. Ельцинский, Северочерноморские заметки. ВДИ, №1, 1950, гл. 194.
2. Хер. Анаб. IV, 7, 15

მია.¹ შემდეგ პლინიუსი ჩამოთვლის: ტიბარენების, მოხატულს-ხეულებიანი მოსინებისა და მაკროცეფალების (გრძელთავიანების) ტომებს. ხალიბების მოსაზღვრე ტიბარენების ტომიც ერთ-ერთი უძველესი ქართულ ტომთაგანია. აკადემიკოს ს. ჯანაშიას გამოკვლევით, „ტიბარენი“ უკავშირდება „თუბალ-თაბალს“ და „იბერს“ – მათ შორის ეტიმოლოგიურად გარდამავალი ფორმაა. ტიბარენების შესახებ ცნობებს ვხვდებით ჰეროდოტესა და შემდეგ ქსენოფონტესთან. პლინიუსის მსგავსად, სტიფანე ბიზანტიელის მიხედვითაც, ტიბარენები ხალიბების მეზობლად, მათგან აღმოსავლეთით სახლობენ.² მოსინების, ანუ მოსინიკების მიერ სხეულის მოხატვის ჩვეულება აღნიშნული აქვს ქსენოფონტესაც.³ ასევე პომპონიუს მელას (I. 106). მაკროცეფალები ჰეკატოს მილეთელის მაკრონები და შემდეგ პლინიუსის მიერ მოხსენებული სანები უნდა იყვნენ.

შემდეგ პლინიუსი ასახელებს ქალაქ კერასუნტსა და პორტკორდულას (Cordula). კერასუნტი, როგორც ვიცით, სინოპელთა მიერ დაარსებული კოლონია იყო. სახელი შემორჩა თანამედროვე კერასუნის სახელწოდებაში, მაგრამ, მ. მაქსიმოვას აზრით, ამ უკანასკნელის მდებარეობა ძველი კერასუნტისას არ უნდა ემთხვეოდეს.⁴ კორდულას ფსევდო-არიანეც მოიხსენიებს. იგი ტრაპიზონიდან აღმოსავლეთით უნდა ყოფილიყო მდინარე ადინიასა და ქ. ათენის (თანამედროვე ატინიას) შორის.

პლინიუსის მიერ მოხსენებული ბეზირებისა და ბიზერების⁵ ტომები მოხსენებული ჰყავს აგრეთვე პომპონიუს მელას (I. 107). იგი ამ ტომებს ახასიათებს, როგორც სხვებთან შედარებით ნაკლებად ველურებს და აღნიშნავს, რომ მათ ტერიტორიაზე „ქა-

1. Strabo, Geogr. XII. 3, 20.

2. ВДИ, №3, 1948, გვ. 327.

3. Xen. Anab. V. 4, 32.

4. Ксенофон, Анабазис, 1952, გვ. 216.

5. ბიზერ-ვიზერების ტომის სახელი შემორჩენილია თანამედროვე დაბა ვიზერაში მდ. გალამინა-დერეზე (ტრაპიზონის სამხრეთ-დასავლეთით). ს. ჯანაშია, უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველსაცხოვრისის შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 94.

ლაქები ცოტაა; ყველაზე ცნობილია ტრაპეზუნტი და კერასუნტი¹. ბიზერებს სტრაბონიც იხსენიებს (XII. 18). მდინარე „შავი“ („Melas“), რომელსაც პლინიუსი მახრონებისა და სიდენების ტომებთან ერთად ასახელებს, არ არის ლოკალიზებული. იგი მელანხლენების ტომს უნდა უკავშირდებოდეს (სახელწოდებით, რა თქმა უნდა), როგორც მახრონები ფსევდო-არიანეს მიერ მოხსენებული მახლონების ტომის სახელწოდების ერთ-ერთი ვარიანტი უნდა იყოს. სიდენების ტომი სხვა ავტორებს მოხსენებული არა ჰყავთ. მას თავისი სახელწოდება სიდენეს ველისა და გამაგრებულ პუნქტ სიდასაგან (ახლანდელ ბულემანისაგან) უნდა მიეღო.² პლინიუსის მიხედვით, სიდა ამისოსიდან (ახლანდელი სამსუნიდან) 177 კმ-ით (120000 passus) იყო დაშორებული.

შემდეგ დასახელებული მდინარეებიდან იაზონიუმი (Iasonium) გაიგივებულია მდინარე იაზუნ-ბერნუსთან, ხოლო მდინარე მელანთიუმი – მელეთ-ირმაყთან.

პლინიუსის ცნობით, ამისიდან (სამსუნიდან) 117 კმ-ზე (80000 passus) მდებარეობს ქალაქი ფარნაკია (ახლანდელი გირესუნი), მაგრამ თანამედროვე გაზომვით ეს მანძილი დაახლოებით 187 კმ-ს უდრის.

პლინიუსის მიერ შემდეგ ჩამოთვლილი ქალაქებიდან და მდინარეებიდან მდინარე და სიმაგრე ტრიპოლი გაიგივებულია სოფელ ტირებოლთან და მდინარე ტირებოლი-სუსთან, ფილოკალიუმი – თანამედროვე ელეგუსთან. ლივიოპოლი სხვა ავტორებს მოხსენებული არა აქვთ (არის ცდები მისი გაიგივებისა თანამედროვე ფილთან ან ჰელიტა-კალესთან).

პლინიუსის ცნობით, ფარნაკიიდან 148 კმ-ის მანძილზე (100000 passus), მდებარეობს მაღალი მთებით გარშემორტყმული თავისუფალი ქალაქი ტრაპეზუნტი (ჩვენი გაზომვით ტრაპიზონი გირესუნიდან დაახლოებით 120 კმ-ით არის დაშორებული). სხვა მწერლების ცნობებით ვიცით, რომ ტრაპიზონი

1. Scythica et Caucasica, 1904. გვ. 117. „Urae urbes: Cerasunta et Trapezos maxime inlustas“.

2. ს. ჯანაშია, პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები. შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 256

სინოპელთა კოლონია იყო და მეტად მნიშვნელოვანი ქალაქი. როგორც ფიქრობენ, თავისუფალი ქალაქი (*oppidum liberum*) ტრაპიზონი ახ. წ-ით 70 წელს უნდა გამხდარიყო, მას შემდეგ, რაც იგი დარბეულ იქნა ანიკეტის მიერ 69 წლის ზაფხულის დასასრულსა და შემოდგომის დასაწყისში (Tacitus. Hist. III. 47-48). როგორც ჩანს, ამ უკანასკნელი მოვლენის შესახებ პლინიუსს ცნობები არ გააჩნია. რაც შეეხება მთებს, რომლებითაც ტრაპიზონი გარშემორტყმული ყოფილა, ესენი აღმოსავლეთ პონტოს მთაგრეხილის ნაწილები უნდა იყვნენ. სამხრეთ-აღმოსავლეთით – მოსხური მთები, ხოლო სამხრეთ-დასავლეთით – სკიდისი. „მათ უკან ცხოვრობს არმენო-ხალიბების ტომი და 30000 ნაბიჯის მანძილზე ძვეს დიდი სომხეთი“, – განაგრძობს თხრობას პლინიუსი. არმენო-ხალიბების ტომს მხოლოდ პლინიუსი ასახელებს. ეს სახელწოდება უნდა წარმომდგარიყო არტაქსიასა და ზარიადრის დაპყრობების შედეგად (II საუკუნეში ჩვენს წ-მდე) შემოჭრილი არმენებისა და დამხვედური ხალიბური ტომების შერწყმის ნიადაგზე. ანტიოქოზ დიდის სარდლების (ე. ი. არტაქსიასა და ზარიადრის) დაპყრობათა შესახებ ცნობებს იძლევა სტრაბონი (XI. 14, 5). საყურადღებოა მისი ცნობა: ჩემს დროს კარინითსა და ქსერსენაში (ქსერქსენე) უკვე სომხურად ლაპარაკობდნენო.¹ ეს ამბავი იქ მცხოვრები ხალიბების გასომხებაზე მიგვითითებს. რაც შეეხება ტრაპიზონიდან დიდი სომხეთის დაშორების მანძილს, რომელსაც პლინიუსი 44,4 კმ-ით (30000 passus) განსაზღვრავს, იგი აშკარად შემცირებული უნდა იყოს, ვინაიდან ხალიბებისა და მოსინიკების მიერ დაკარგული კარინითი მტკვრისა და ევფრატის სათავეებში მდებარეობდა, ხოლო ქსერქსენა (დერსენა) მის მეზობლად – თანამედროვე არზრუმის რაიონში. ასევე პარიადრის (მდინარეების კელკიტ-ჩაისა და ყიზილ-ირმაყის აუზთა ნყალგამყოფი მთები) კალთებიც 44 კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული ტრაპიზონს.

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 412.

ტრაპიზონის მახლობლად პლინიუსი ასახელებს მდინარე პიქსიტს, რომელიც კესლინგის მიერ იდენტიფიცირებულია ტრაპიზონიდან 3 კმ-ზე მდებარე ამავე სახელწოდების მდინარესთან. რაც შეეხება შემდეგ დასახელებულ სანი-ჰენიოხების (Sannorum Heniochorum) ტომს, ისინი სხვა ავტორებთან მოხსენებული სანები, იგივე სანიგები, უნდა იყვნენ.¹ ტრაპიზონიდან 207 კმ-ზე (140000 passus) დასახელებული მდინარე აფსარი გაიგივებულია მდინარე ჭოროხის დასავლეთ შენაკადთან, ხოლო სიმაგრე აფსარი – გონიოსთან (აფსარი მედეას ძმის აფსირტის სახელს შეგვიძლია დავუკავშიროთ, ვინაიდან გადმოცემით იგი ამ ადგილებში დაილუპა).² ჩვენი გაზომვით, მანძილი ტრაპიზონიდან გონიომდე დაახლოებით 190 კმ-ს უდრის.

„ამ ადგილებში მთებს იქით მდებარეობს იბერია“, – განაგრძობს პლინიუსი. ეს ცნობა მიგვითითებს იმაზე, რომ იბერიის ტერიტორია ჭოროხის ხეობაშიც ვრცელდებოდა. აღნიშნული მთები ჭანეთის, ანუ მოსხური მთები უნდა იყოს.³

პლინიუსის ცნობით, ნაპირის გაყოლებით ცხოვრობენ: ჰენიოხები, ამპრევტები და ლაზები. თუ ამპრევტებს დავუკავშირებთ ამარანტის მთებს, რომლებიც შესაძლებელია მიჩნეულ იქნენ მოსხურ მთებად, მაშინ შეიძლება ამპრევტები მოსხების უძველესი სახელწოდება იყოს. ამ ცნობაშივე მოცემულია უძველესი სახელწოდება ლაზების ტომისა, რომელმაც შემდეგში თავისი ძალაუფლება მთელ კოლხეთზე გაავრცელა. კესლინგი ლაზებს კერკეტების ტომს მიაკუთვნებს.

პლინიუსის მიერ შემდეგ ჩამოთვლილი მდინარეებიდან აკამფსისი ჭოროხის აღმოსავლეთის შტოა, ისისი – მდინარე ნატანები, მოგრი – მდინარე სუფსა, ხოლო ბატისი (არიანეს ბაფისი – „ღრმა“) ახლანდელი მდინარე კორონისწყალია.⁴

1. ჰენიოხების შესახებ იხ. ქვემოთ.

2. Л.А. Ельшицкий, Из исторической географии древней Колхиды. ВДИ, №2 (3), 1938, გვ. 309-310.

3. ს. ჯანაშია, იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში. შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 256.

4. ყველა ეს გაიგივებანი ამოღებულია ლ. ელნიცკის დასახ. ნაშრომიდან.

კორონისწყლის შემდეგ მდებარეობს მდინარე ფაზისი, ამიტომ პლინიუსის მიერ ბატისის (კორონისწყლის) შემდეგ კოლხების ტომის დასახლება მათ ფაზისის მიდამოებში აქცევს. რაც შეეხება შემდეგ დასახელებულ ქალაქ მათიუმს, იგი გაიგივებულია აღმოსავლეთ ანატოლიის ქალაქ კომანასთან, ხოლო მდინარე და სიმაგრე ჰერაკლეა ბიჭვინთის ჩრდილოეთით არის საძიებელი. ეს უკანასკნელი გეოგრაფიული სახელები არღვევენ პლინიუსის ჩამოთვლის თანმიმდევრობას და შესაძლებელია სხვადასხვა წყაროს მექანიკური კონტამინაციის საფუძველზე მოექცნენ აღნიშნულ ადგილზე.

ძველი მწერლები ხშირად ჭოროხსაც ფაზისს უწოდებდნენ, ამით უნდა იყოს გამოწვეული სტრაბონის (XI, 2, 17) და შემდეგ პლინიუსის მიერაც ფაზისის სათავის დადება მოსხების სამფლობელოში. პლინიუსი ფაზისს დიდი გემებისათვის სანაოსნოდ გამოსადეგად 56,8 კმ-ის (38500 passus) მანძილზე მიიჩნევს. ე. ი. დაახლოებით იმ ადგილამდე, სადაც ახლარეონში პატარა კუნძულებია. მცირე ხომალდებისათვის კი ფაზისი სანაოსნოა დიდ მანძილზეო (როგორც დადგენილია, ყვირილაც სანაოსნო მდინარე ყოფილა). პლინიუსი ადასტურებს სტრაბონის ცნობას, რომ ფაზისზე 120 ხიდი არისო.¹

„ნაპირებზე მდებარეობდა რამდენიმე ქალაქი, რომელთაგან ყველაზე განთქმული არიან: ტინდარიდა, კირკეუმი, კიგნუმი და შესართავთან ფაზისი. მათ შორის განსაკუთრებით ცნობილი იყო ეა (აია – ჯ. ო.), 150000 ნაბიჯზე ზღვიდან, სადაც დიდი მდინარეები ჰიპი და ქიანეუმი სხვადასხვა მხრიდან ერთვიან ფაზისს“ – მოგვითხრობს პლინიუსი. პირველად დასახელებულ ორ ქალაქს სხვა ავტორებთან ვერ ვხვდებით და თავიანთ სახელწოდებას ისინი მითოლოგიიდან უნდა იღებდნენ. ტინდარიდა შეიძლება დიოსკურიასთან გავაიგივოთ, ხოლო კირკეუმი – იქვე მოხსენებულ აიასთან, ვინაიდან, „ოდისეის“ მიხედვით, ეს ქალღმერთ კირკეას ქალაქია. კიგნუმს

1. სტრაბონი 120 ხიდს ფაზისზე შორაპანს (სორაპანს) ზემოთ ასახელებს (გეოგრაფია, XI, 3-4).

პომპონიუს მელაც მოიხსენიებს (I. 110). ქალაქ ფაზისის შესახებ სტრაბონი წერს: „ხდება რა წყალუხვი და სანაოსნო, ფაზისი ერთვის პონტს და მის გვერდით არის ქალაქი ამავე სახელის, ხოლო იქვე ახლოს ტბა“ (XI. 3-4). უნდა ვიგულისხმოთ, რომ ფაზისი მდებარეობდა ახლანდელი ფოთიდან აღმოსავლეთით დაახლოებით ერთ კილომეტრზე, სადაც შემდეგ ქაობი გაჩნდა.¹ ფაზისის ნავსადგურის მახლობლად არიანეს მიერ აღწერილი სიმაგრე, რომელზედაც შემდეგ თურქული სიმაგრე დაუშენებიათ, უნახავს დიუბუა დე მონპერეს.²

პლინიუსის მიერ მდინარე ჰიპისა, რომელიც მდინარე ცხენისწყალთან არის გაიგივებული და მდინარე ქიანეის (მდ. ტეხურის) შესართავებს შუა მითითებულ ქალაქ აიას (აიეტის სამყოფელოს) პროკოპი კესარიელი კოლხეთის დედაქალაქ არქეოპოლისთან აიგივებს. სწორედ არქეოპოლისის ნაშთად მიიჩნევს იგი ამ მდინარეების შესართავებს შუა მდებარე ნოქალაქევის ზემოთ ბორცვზე შემორჩენილი სიმაგრის ნანგრევებს. პლინიუსის მიერ მითითებული აიას შავი ზღვიდან დაშორების მანძილი – 22,2 კმ. (15000 passus) – მდინარე ტეხურის შესართავამდეც კი არ აღწევს.

სურიუმს, რომელიც პლინიუსის დროსაც არსებობდა, ლატიშევი, იმის გათვალისწინებით, რომ იგი, პლინიუსის მიხედვით, მდებარეობდა იქ, სადამდეც რიონი დიდი გემებისათვის სანაოსნო იყო, აიგივებს ნოქალაქევთან, ხოლო მდინარე გლავკს, რომელიც ამ ადგილას ერთოდა ფაზისს – მდინარე ჰიპთან (ცხენისწყალთან).³ ამავე აზრს ემხრობა ა. ჰერმანიც.

კესლინგი მდინარე სურიუმს მიიჩნევს რიონის ზედა დინებად, რომელსაც პროკოპი კესარიელი რეონს უწოდებს. აქედან გამომდინარე, კესლინგი პუნქტ სურიუმს დღევანდელ დაბა რიონს უკავშირებს. პტოლემეოსის რუკაზე სურიუმი შიდა

1. Л. А. Ельницкий, დასახ. ნაშრომი, გვ. 314.

2. იქვე, გვ. 313-314.

3. სხვადასხვა წყაროს კონტრამინაციის საფუძველზე შექმნილ პლინიუსის შრომაში ხშირია ერთი და იმავე გეოგრაფიულ სახელწოდებათა გამეორება.

კოლხიდის დასახლებულ პუნქტად არის ნაჩვენები. ფონეტიკურად სურიუმი (Curium) ახლანდელ სურამს შეესატყვისება.

პლინიუსის ცნობა იმის შესახებ, რომ სურიუმი აფსარიდან 103,6 კმ-ით (70000 passus) არის დაშორებული, ლატიშევის ვერსიის სასარგებლოდ მეტყველებს, ვინაიდან ეს მანძილი აფსარიდან დაახლოებით ტეხურასა და ცხენისწყალს შორის მოდის.

შემდეგ დასახელებული მდინარე ხარიენტი („მშვენიერი“), არიანეს მიხედვით, სანაოსნო ყოფილა. იგი გაიგივებულია მდინარე ხოფასთან.¹ აქვე ნახსენებია სალტიების, ანუ ფტირჩოფაგების (ტილიჭამიების) ტომი. ისინი სტრაბონსაც ჰყავს მოხსენებული პიტიუნტიდან ჩრდილოეთით (XI. 2, 1), ხოლო არიანე მათ თვით პიტიუნტის მახლობლად ათავსებს. თუ გავითვალისწინებთ ფიჭვის ბერძნულ სახელწოდებას (πιτς), მაშინ უფრო სწორი იქნებოდა სალტიების ტომის (რომელიც ჰეროდოტესა და ფსევდო-სკილაქსეს ცნობებით, ბუდინებს და ჰელონებს უკავშირდება) ეს მეტსახელი ასე გაგვეშიფრა – ფიჭვის გირჩაჭამიები (Pine-seed-eaters). როგორც ცნობილია, პიტიუნტის (ბიჭვინთის) რაიონში ფიჭვი ახლაც ბლომად არის გავრცელებული.

კვლავ ასახელებს რა სანების ტომს, პლინიუსი აღნიშნავს, მდინარე ხობი სვანეთის კავკასიიდან მოედინებაო (flumen Chobum e Caucaso per Suanos fluens. VI. 4). ამ ცნობამ არიანეს „პერიპლუსის“ მონაცემებთან ერთად მკვლევარ ელნიცკის საშუალება მისცა აღნიშნული მდინარე გაეიგივებინა მდინარე ენგურთან და არა ახლანდელ მდინარე ხობთან, როგორც ეს ადრე იყო მიღებული.²

ხობის შემდეგ პლინიუსი თანმიმდევრობით ასახელებს მდინარე როანს, კეგრიტიკის ოლქს და მდინარეებს: სივანიას, ტერსოსს (Thersos), ასტელფს და ხრისორეას („ოქროს ჩამომტანი“). მდინარე როანს კესლინგი უკავშირებს ფსევდო-სკილაქსეს ხერობიას და თანამედროვე პატარა მდინარე ჭურბას,

1. Л. А. Ельничский, დასახ. ნაშრომი, გვ. 315.

2. იქვე, გვ. 315.

რომელიც ხობის ჩრდილოეთით ერთვის ზღვას. პლინიუსის კეგრიტიკის ოლქი შეიძლება დავუკავშიროთ პტოლემეოსის მიერ შუა კოლხიდის ოლქად აღნიშნულ ეკრექტიკას. ფონეტიკურად ეს ფორმა უკავშირდება შემდეგდროინდელ ეგრისს.

ლ. ელნიციკი მდინარე სიგანიას აიგივებს მდინარე ლალიძგასთან. მისივე აზრით, მდინარე ტერსოსი, ანუ არიანეს ტარსური და ფსევდო-არიანეს მოხი ახლანდელი მდინარე მოქვია. მდინარე ასტელფი პლინიუსის მიერ არდასახელებული კოდორის ჩრდილოეთით მდებარე უსახელო მდინარე უნდა იყოს.¹

მდინარე ხრისორეას და პლინიუსის მიერ უფრო სამხრეთით მითითებულ ანთემუნტს (VI. 15) ელნიციკი სტრაბონის ხარესუს უკავშირებს, როგორც სებასტოპოლისის მიდამოებში აღნიშნულ მდინარეებს და შესაძლებლად მიიჩნევს, რომ ხრისორეა დღევანდელი მდინარეები კელასური ან ოქუმია (რუს. Гумиста).

შემდეგ პლინიუსი ასახელებს აბსილების (Absilae) ტომს და სიმაგრე სებასტოპოლისს. აბსილებს არ მოიხსენიებს არც სტრაბონი და შემდეგ არც პომპონიუს მელა. როგორც სებასტოპოლისის სამხრეთით და, საერთოდ, მის მიდამოებში მცხოვრებნი, აბსილები შეიძლება ე. წ. ახურ ტომებს მივაკუთვნოთ, აგრეთვე დავუკავშიროთ ჰეკატოსის და შემდეგ თვით პლინიუსის მიერვე მოხსენებულ კორაქსებს (VI. 15), რამდენადაც ისინი, საფიქრებელია, რომ მდინარე კორაქსზე, ანუ კოდორზე ცხოვრობდნენ. ადგილმდებარეობისა და თვით სახელის მიხედვით, აბსილები შემდეგდროინდელი აფხაზები უნდა იყვნენ (არიანე მათ ავაზებს უწოდებს).

სახელწოდება სებასტოპოლისი დიოსკურიას უნდა მიეღო არაუადრეს ავგუსტუსის დროისა. არიანე პირდაპირ მიგვით-

1. ლ. ელნიციკის გამოანგარიშებათა და მოსაზრებათა საფუძველზე მდ. კოდორს შეესატყვისება არიანესთან აღნიშნული მდ. პიპი (დასახ. ნაპრომი, გვ. 315-316). აკად. კუფტინის აზრით, მდ. კოდორი მდ. ასტელფია. არიანეს პიპს იგი კოდორად არ მიიჩნევს, მაგრამ პტოლემეოსის პიპი იძულებულია გააიგივოს მასთან (Б.А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, 1949, გვ. 107-108).

ითებს, რომ სებასტოპოლისს ადრე დიოსკურია ეწოდებოდა (PPE. 27), ხოლო პლინიუსმა, რომელიც დიოსკურიას ცალკე მოიხსენიებს (VI. 15), როგორც ჩანს, არ იცის ამის შესახებ.

ფიქრობენ, რომ დიოსკურია-სებასტოპოლისი თანამედროვე სოხუმის ადგილას მდებარეობდა, რასაც ადასტურებს 1888 წელს სიზოვის მიერ წარმოებული გათხრების შედეგად აღმოჩენილი ელინისტურ-რომაული პერიოდის კერამიკა. ამ ვერსიას ამაგრებს პლინიუსის მიერ მოცემული მანძილი სებასტოპოლისის ფაზისიდან (ფოთიდან) დაშორებისა, რომელიც 148 კმ-ს (100000 passus) შეადგენს და თითქმის ზუსტად ემთხვევა მანძილს ფოთსა და სოხუმს შორის.

პლინიუსი აქვე მოიხსენიებს სანიკების (Sanicarum), სხვა ავტორების მიერ სანიგებად წოდებულ ტომს, ადრე აღნიშნულ ქალაქ კოგანს, მდინარე და ქალაქ პენიუმს (რომელთა ლოკალიზაცია არ ხერხდება) და ჰენიოხების ტომებს, რომლებიც თურმე მრავალი სახელწოდებით გამოირჩეოდნენ.

VI წიგნის მე-15 თავში კოლიკის ოლქთან, რომელიც კოლხეთის დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა და რიპეის მთებთან ზღვის ნაპირის გაყოლებით, პლინიუსი მოიხსენიებს მელანხლენებისა და კორაქსების ველურ ტომებს და მდინარე ანთემუნტთან ქალაქ დიოსკურიას, რომელიც გაუკაცრიელებული ყოფილა.¹ ცხადია, დიოსკურიის დაცემულობის ამბავი პლინიუსის წყაროს ხანას ეკუთვნის, ვინაიდან მან არ იცის მისი კავშირი სებასტოპოლისთან, წინააღმდეგ შემთხვევაში, სებასტოპოლისის შესახებაც აღნიშნავდა ამ დაცემულ მდგომარეობას. პლინიუსს მოჰყავს ტიმოსტენეს ცნობა (ჩვ. ნ-მდე III ს.), რომ დიოსკურიადაში 300 ტომი იყრიდა სავაჭროდ თავს და მათთან ურთიერთობა 130 თარჯიმნის საშუალებით გვიხდებოდაო.² ეს ცნობა რამდენადმე გაზვიადებული ჩანს, მით უფრო, რომ სტრაბონი ტიმოსტენეს ისეთ მწერლებს მიაკუთვნებს, რომლებიც ჭეშმარიტ-

1. პლინიუსი, NH. VIII, №2, 1949, გვ. 291. შენ. 4.

2. იქვე.

ებაზე სრულებით არ ზრუნავენ და თავის მხრივ ასახელებს 75 ტომს (Strabo. XI). დიოსკურიის დამაარსებლებად პლინიუსი დიოსკურების (კასტორისა და პოლუქსის) მეეტლეებს – ამფიტეს და ცელქიუმს – აცხადებს და ჰენიოხურ ტომებსაც მათ შთამომავლებად მიიჩნევს (სხვა მწერლები დიოსკურიის დაარსებას მიაწერენ თვით დიოსკურებს, რომლებიც იასონს მოჰყოლიან კოლხეთში).

პლინიუსის მიხედვით, დიოსკურია მდინარე ანთემუნტთან მდებარეობდა. თუ გავითვალისწინებთ სხვა მწერლების ცნობებს, რომ დიოსკურია იგივე სებასტოპოლისია და გავიზიარებთ მეცნიერებაში დღეისათვის მიღებულ აზრს, რომ ეს უკანასკნელი სოხუმის ადგილას მდებარეობდა, მაშინ მისაღებია აკადემიკოს კუფტინის მოსაზრება, რომ ანთემუნტი ახლანდელი მდინარე ოქუმის პლინიუსისეული ტრანსკრიპციის შედეგად მიღებული ფორმაა – A+π-μϕem (us).¹

ამრიგად, პლინიუსის მიერ აღნიშნული დიოსკურია (იგივე სებასტოპოლისი) არ არის იონიური კოლონიზაციის დროინდელი დიოსკურია, რომელიც, როგორც ფიქრობენ, ისკურიის კონცხზე არის საძიებელი.

სებასტოპოლისიდან 103,6 კმ-ზე (70000 passus) დასახელებულია ქალაქი ჰერაკლეა, რომელიც ბიჭვინთიდან ჩრდილოეთით უნდა მდებარეობდეს (და არა მისგან სამხრეთით, როგორც ასკვნიან ჰერაკლეს ანაკლიასთან გიაგივების საფუძველზე). ამ ადგილებში პლინიუსი ასახელებს: ახველებს, მარდებს, კერკეტებს, სერებსა და კეფალოტომებს. მათგან მარდები ფსევდო-სკილაქსეს ტორეტებს შეესაბამებიან. სერებს, თუ მათ შესახებ მელას ერთ სადავო ცნობას არ გავითვალისწინებთ (I. 106), მხოლოდ პლინიუსი ახსენებს. კეფალოტომები შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ სანაპიროს რომელიმე ყაჩაღური ტომის ეპითეტი უნდა იყოს (ბერძნულად ნიშნავს „თავზე ხელალებულს“).

1. Б. А. Куфтин, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 105.

საყურადღებოა პლინიუსის შემდეგი ცნობა: „ამ სივრცის შიგნით ძვეს ჰენიოხების მიერ გაძარცული უმდიდრესი ქალაქი პიტინტი“ (NH. VI. 16). პიტინტი, რომელიც თავის სახელს შესაძლებელია ბერძნული $\pi\iota\tau\alpha\varsigma$ -იდან („ფიჭვი“) იღებდეს, როგორც აღნიშნული იყო, ბიჭვინთის ძველი სახელწოდება უნდა ყოფილიყო.

საინტერესოა პლინიუსის მიერ რამდენჯერმე მოხსენებული ჰენიოხების ტომის ისტორია. სტრაბონი ჰენიოხებს ახვევლებთან და ფიგებთან (ჯიქებთან) ერთად შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ ნაწილში ათავსებს (Strabo. II. 5, 31 და XI. 2, 12). ჰენიოხებს არიანე უფრო სამხრეთით მოიხსენიებს (PPE. 15), ისევე როგორც კომპონიუს მელა, რომლის მიხედვითაც, დიოსკურია ჰენიოხების ოლქში შედის (I. 115).

ჰენიოხებს პლინიუსიც დიოსკურიასთან ასახლებს. აგრეთვე მოიხსენიებს მათ მდინარე ჭოროხის სამხრეთით (NH. VI. 12), ხოლო ტაციტუსის აზრით, ჰენიოხები სომხეთის მეზობლად ცხოვრობენ (Ann. II. 68). შესაძლებელია, რომ ტაციტუსის მიერ მდინარე ხობის (ახლანდელი მდინარე ენგურის) რაიონში მოხსენიებული სედოხეზები იგივე ჰენიოხები არიან. ყველა ამ ცნობის შეთავსებისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პლინიუსის ცნობა ჰენიოხური ტომების მრავალსახელიანობის შესახებ. გამორიცხული არ არის ჰენისების გარკვეული გადმოადგილება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ.

VI წიგნის 30-ე თავში ჰენიოხური და ახური ტომების აღმოსავლეთით გურდინის მთებში პლინიუსი მოიხსენიებს ოქროს მოპოვებით განთქმულ სუავეებს. მათი ჰენიოხებთან ერთად დასახლება და ფონეტიკური მსგავსება იძლევა საშუალებას, სუავეები გავაიგივოთ სანებთან, ანუ შემდეგდროინდელ სვანებთან. ამ შემთხვევაში გურდინის მთები იგივე ჰენიოხური, ანუ კორაქსული მთებია.

ანტიკური ხანის მწერლების ცნობებით, კოლხეთში ოქრო მრავლად ყოფილა. სეზოსტრისის (რამზეს II) დამმარცხებელს, მითიური აიეტის შთამომავალ სავმაქს, სვანებით

დასახლებულ ადგილებში და საერთოდ ოქროს საბადოებით განთქმულ მთელ კოლხეთში ბევრი ოქრო დაუგროვებია და ოქრო-ვერცხლით მოჭედული პალატები ჰქონია.¹ რაც შეეხება თვით სავმაკის პიროვნებას, იგი სხვა წყაროებიდან უცნობია და უკავშირებენ ბოსფორის მეფე სავმაკს. გამოდის, რომ ჩვ. წ-მდე XIV-XIII სს-ში მცხოვრები რამზეს II დაამარცხა ჩვ. წ-მდე II ს-ში მცხოვრებმა სავმაკმა. სეზოსტრისის ლაშქრობის შესახებ გვაქვს ჰეროდოტეს და სტრაბონის ფრაგმენტული ხასიათის ცნობები.

II ნიგნის 52-ე თავში პლინიუსს დაცული აქვს ცნობა კავკასიის ყელზე გასავალი იმდროინდელი საერთაშორისო სავაჭრო-სამომოსვლო გზის შესახებ: „ინდოეთიდან შეიძლება 7 დღეში ბაქტრიაში ჩასვლა მდინარე ბაქტრთან, რომელიც ოქსის ერთვის და ამ მდინარიდან კასპიის ზღვით გასვლა მდინარე კიროსამდე და... ინდოეთის საქონელი არაუმეტეს 5 დღის განმავლობაში ხმელეთის გზით შეიძლება მიტანილ იქნეს პონტოს ფაზისთან“. ამ სატრანზიტო გზის შესახებ, რომელიც ოქსით, ანუ ამუდარიით კასპიის ზღვამდე მოდიოდა, შემდეგ მტკვრით (კიროსით) სურამის უღელტეხილამდე და აქედან მდინარე რიონით შავ ზღვაში ჩადიოდა, ცნობას იძლევა სტრაბონიც ჩვ. წ-მდე III საუკუნის ექსპედიციის ცნობებზე დაყრდნობით (XI, 4, 8).

როგორც ნატურალისტი, პლინიუსი იმეორებს ქსენოფონტეს ცნობას კოლხიდის მათრობელა თაფლის შესახებ (XXI, 77). მისი ცნობით ჩანს, რომ კოლხური ცვილი ექსპორტის საგანი ყოფილა (XXI, 83). ასევე ერთგვარი ფუფუნების ექსპორტის სახით გაჰყავდათ „ფასილური ფრინველები“, ანუ ხოხბები. საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ხოხბების საშონელად რომაელი პლებეები დიდ ხიფათში იგდებდნენ თავს

1. პლინიუსი, NH. XXXIII. 52. საერთოდ ცნობები ოქროს საბადოების შესახებ შეიძლება დავეუკავშიროთ მდ. ხრისორეას („ოქროს ჩამომტანი“). „არგონავტიკაში“ აღნიშნული ოქროს საწმისიც ტყავზე დანერილ ოქროს მოპოვების ნებს უნდა შეიცავდეს.

(XIX. 52). პეტრონიუს არბიტრიც აღნიშნავს, რომ ფრინველი, რომელიც ბინადრობს ფაზისელ კოლხებთან, ძალიან მოსწონს გაფაქიზებულ გემოვნებასო.¹

პლინიუსი ფაზისის მიდამოებში მოიხსენიებს განსაკუთრებული ჯიშის თხა-ირემს, რომელსაც წვერები და ბანჯგვლიანი ზურგი ჰქონია (VIII. 120). პლინიუსი ალბათ ჯიხვს გულისხმობს.

მოაქვს რა თეოფრასტეს ცნობა კოლხეთში სინგურის მოპოვების შესახებ, პლინიუსი შეცდომით სინგურის ნაცვლად სურინჯზე ლაპარაკობს (XXXIII. 13, 114). სინგური, როგორც საღებავი, პლინიუსს შესაძლებელია აინტერესებდა, როგორც კოლხური ექსპორტის საგანი.

როგორც ვხედავთ, პლინიუს სეპტიმიუსის (უფროსის) „ბუნების ისტორიაში“ დაცულია მნიშვნელოვანი ცნობები კოლხეთის შესახებ. ეს ცნობები ძირითადად კოლხური ქალაქებისა და ტომების საკითხს შეეხებიან. მათი შემდგომი შესწავლა და კრიტიკულად ათვისება სხვა მწერლების ცნობებთან და არქეოლოგიურ მასალებთან შედარების საფუძველზე ბევრ ახალს შესძენს დასავლეთ საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლის საქმეს.

1. Петроний Арбитр, Satirae. ВДИ, №2, 1949, 93, გვ. 271. როგორც აღნიშნული იყო, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ხოხბები ერთგვარი ექსპორტის სახით კოლხეთიდან რომში გააყავდათ. ამდენად, საინტერესოა ის გარემოება, რომ ბერძნულად ხოხობს φασια vos, ხოლო ლათინურად phasianus ეწოდება. აქედან მსგავსი სახელწოდებები გავრცელდა სხვა ენებში: გერმანულად – fasan, ფრანგულად – faisan, ინგლისურად – pheasant და რუსულად – фазан. შესაძლებელია ეს სახელწოდებანი ფაზის-ფასისიდან მომდინარეობენ.

პომპეუსის ლაშქრობა კავკასიაში¹

აღმოსავლეთში რომის ექსპანსიის საკითხი და მისი შესწავლის მოკლე ისტორია

ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე იმდროინდელ მსოფლიოში ყველაზე მეტად გაძლიერებულ რომის სახელმწიფოს უკვე დაპყრობილი ჰქონდა ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები და ფეხი ჰქონდა ჩადგმული აზიაში. ეს პერიოდი რომაული საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მეტად საინტერესო ხანაა. იგი აღინიშნება მძაფრი სოციალურ-ეკონომიკური ბრძოლით მინის მფლობელობისათვის, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა განუწყვეტელ სამოქალაქო ომებში.

დაპყრობილი პროვინციებიდან იაფი პურის შემოზიდვამ ეკონომიკურად გააჩანაგა საკუთრივ იტალიის მინათმოქმედი მოსახლეობა და მასობრივად გამოიწვია მისი გაპროლეტარება-გაბოგანოება. „პლებეების სწორედ ეს მძიმე ეკონომიური მდგომარეობა ედო საფუძვლად იმ გააფთრებულ სამოქალაქო ომებს, რომლებმაც განსაკუთრებით გრაქხების რეფორმების პერიოდიდან, ესოდენ მძაფრი ხასიათი მიიღეს რომში“.² ძველი წ-ის 123-122 წწ. გაიუს გრაკქუსის რეფორმებმა მეტად უარყოფითი როლი შეასრულეს აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. რომის მოსახლეობის იაფი პურით უზრუნველსაყოფად, გაიუს გრაკქუსმა პროვინცია აზიას ახალი მძიმე გადასახადები დაადო (*lex de provincia Asia*). გადასახადების იჯარით აღების უფლება ადგილობრივი კონკურენციის გამორიცხვით, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთში სისხლის სამართლის იურისდიქცია ეკონომიკურად ძლიერ მხედართა კლასს მიენიჭა. პროვინცია აზიის გარდა, შემდეგ პერიოდში მხედართა კლასის ეკონომიკური პრივილეგიები გავრცელდა რომის მიერ აღმოსავლეთში დაპყრობილი სხვა ქვეყნების

1. სადიპლომო ნაშრომი. 1955 წ.

2. მ. ალექსიშვილი, აი, რას ამბობს ისტორია, 1953, გვ. 371.

მიმართა. ამიტომ მხედრები, როგორც აღმოსავლეთის სა-
კითხებით ყველაზე მეტად დაინტერესებული კლასი, რომის
აღმოსავლური ექსპანსიის მამოძრავებელი და სულისჩამდგ-
მელი გახდნენ.¹

რომისთვის, როგორც კლასიკური მონათმფლობელური
სახელმწიფოსათვის, უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი
მონების შოვნის საკითხს. როგორც მარქსი წერს: „თვით მო-
ნების ბაზარს მუდამ აწვდის მის საქონელ-სამუშაო ძალას
ომი“.² ამდენად, აღმოსავლეთში რომის ექსპანსიის ერთ-ერთი
მთავარი საფუძველი სწორედ მონების მოპოვება იყო იმ
სახელმწიფოსათვის, რომელსაც „თავის ბუნებრივ საფუძვე-
ლად მონობა ჰქონდა“.³

რომის ექსპანსიის ერთ-ერთი მიზეზი იყო აგრეთვე ის,
რომ მონათმფლობელობისათვის ბრძოლა რომაულ საზოგადოებას
კრიზისულ მდგომარეობაში აყენებდა, სამოქალაქო
ომები არყვედნენ რომის სახელმწიფოს სიძლიერეს, საჭირო
იყო ატმოსფეროს განტვირთვა, პოლიტიკური პარტიების (ამ
სიტყვის, რა თქმა უნდა, არათანამედროვე გაგებით), ბელადების და,
რაც მთავარია, გაბოგანებული მასების გაყვანა რომიდან.
რომაული სამხედრო ნაწილების რომში დატოვების საშიშროებაზე
პირდაპირ წერს პოეტი მარკუს ანეიუს ლუკანი (I ს. ჩვენი
ერთი): „რომო, დე, ნურც ერთი შენი რაზმი ნუ დარჩება
თავისუფალი“.⁴ ამდენად, რომის სახელმწიფოს ექსპანსია
აღმოსავლეთში გაგრძელებას წარმოადგენდა მისი შინაგანი,
მთავარი ფუნქციისა – ლაგამამოდებული ჰყოლოდა
ექსპლოატირებული უმრავლესობა.

განსხვავებით ძველი საბერძნეთის ეკონომიკისაგან, რომის
ეკონომიკის თავისებურებას წარმოადგენდა ფულადმ-

1. მხედართა პრივილეგიები გაუქმებულ იქნა სულას მიერ, მაგრამ კომპიუტერული
კონსულოზის პირველსავე წელს (70 წ.) კვლავ აღადგინეს.
2. კ. მარქსი, კაპიტალი, II, 1933, გვ. 428.
3. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, წმინდა ოჯახი ანუ „კრიტიკული კრიტიკის“ კრიტიკა.
კ. მარქსი და ფ. ენგელსი ანტიურობის შესახებ, თბილისი, 1937, გვ. 16.
4. მარკუს ანეიუს ლუკანი, სამოქალაქო ომზე, II, 45-55. ВДМ, №2, 1949, გვ. 321.

ევახშური კაპიტალის უფრო მეტად განვითარება, ვიდრე სავაჭრო კაპიტალისა, რაც რომის მიერ აღმოსავლეთში დაპყრობილი ქვეყნების ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებდა, რადგანაც „ვალეებში ჩაეარდნილი მონათმფლობელი ან ფეოდალი მეტს გამოწოვს, ვინაიდან მისგანაც წოვენ; ანდა, ბოლოს და ბოლოს, იგი ადგილს უთმობს მევახშეს, რომელიც თვითვე ხდება მინათმფლობელი და სხვ. როგორც მხედარი და სხვ. ძველ რომში“.¹

მდიდარ პლებებს და მხედარ-მევახშეებს, რომლებსაც გაიუს გრაქქუსის კანონით აღმოსავლეთში გადასახადების იჯარით ალების მონოპოლია ჰქონდათ ხელთ, აზიიდან არა მარტო მატერიალური დოვლათი და კეთილშობილი ლითონები გაჰქონდათ, არამედ მონებად მიჰყავდათ თვით მატერიალური დოვლათის მწარმოებელნი – ადამიანები და ამით ყველაზე დიდი ზიანი მოჰქონდათ აღმოსავლეთისათვის. აღსანიშნავია, რომ როდესაც 105 წელს ჩვენს ერამდე კიმერებთან ბრძოლის დროს მარიუსმა სენატის თანხმობით დამხმარე ჯარი სთხოვა ბითინიის მეფე ნიკომედეს, ამ უკანასკნელმა უპასუხა, ბითინიის მთელი მამრობითი სქესის მოსახლეობა რომაელმა მევახშეებმა მონებად წაიყვანესო.²

აღმოსავლეთში რომაელთა მნიშვნელოვანი სამხედრო წარმატებების პირველი აკორდი და მათ მიერ მცირე აზიაში ფეხის მოკიდების დასაწყისი იყო სირიის მეფე ანტიოქოზ დიდზე მაგნეზიასთან 190 წელს მოპოვებული გამარჯვება. ამ დროიდან საბერძნეთიდან და მაკედონიიდან – თავისი სამფლობელოს აღმოსავლეთის ფორპოსტებიდან – რომი დაუფარავ ექსპანსიას ახორციელებს მცირე აზიაში. ამკარა შეიარაღებული აგრესიის გარდა, რომი დიდი წარმატებითა და სარგებლიანობით იყენებდა თავისი საგარეო პოლიტიკის ცნობილ პრინციპს – „დაყავი და იბატონე!“ (Divide et impera!). რომაელი

1. კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები. კ. მარქსი და ფ. ენგელსი ანტიურობის შესახებ, გვ. 115.

2. С.И. Ковалев, История античного общества, Ленинград, 1936, гв. 152.

პოლიტიკოსები მოხერხებულად იყენებდნენ მცირეაზიელი მონარქების შუღლს, ეკონომიკურად აკაბალებდნენ მათ. ფართო მასშტაბის რომაელ საქმოსნებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც აკრედიტებდნენ ხალხებს და სესხს აძლევდნენ მეფეებს.¹ 133 წელს პერგამონის მეფის ატალ III-ის ანდერძით, მცირე აზიის ამ უმნიშვნელოვანესი ელინისტური სახელმწიფოს – პერგამონის – რომაელთა ხელში გადასვლა სწორედ რომაელი საქმოსნებისა და პოლიტიკოსების მოხერხებული საქმიანობის შედეგი იყო. პერგამონის სამეფო ამიერიდან რომის პროვინცია აზიად (provincia Asia) იწოდებოდა.

თუ რამდენად უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა რომაელთა ექსპანსიას აღმოსავლეთისათვის, განსაკუთრებით გაიუს გრაკქუსის კანონების შემდეგ, ამის შესახებ რომის ისტორიის ყველაზე დიდი მკვლევარი თ. მომზენი წერს: „რომაელთა ისედაც აუტანელი ბატონობა აზიაში გადაიქცა ისეთ გაუსაძლის ჩაგვრად, რომ არც მეფის გვირგვინი, არც სოფლების ქოხი არ იყო დაზღვეული კონფისკაციისაგან, რომ თითოეული თავთავი რომაელი ხარჯთამკრეფისათვის იზრდებოდა, რომ თითოეული ბავშვი თავისუფალი მშობლებისა ალბათ იმიტომ იბადებოდა, რომ მონებით მოვაჭრის მსხვერპლი გამხდარიყო“.² „იმპერიალისტური“ რომის ექსპანსიური პოლიტიკა, მისი ცნობილი სარდლების თუ მეფახმე-მოიჯარეთა მიერ აღმოსავლური ქვეყნების ძარცვა-გლეჯა აჩანაგებდა ამ ქვეყნების ეკონომიკურ პოტენციალს და, ცხადია, იქ დამკვიდრებული ელინისტური კულტურის დაცემასაც განაპირობებდა.

რომაელთა აღმოსავლური ექსპანსიის უარყოფითი მნიშვნელობა მთელი სიცხადით გამოვლინდა რომის სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ელინისტური აღმოსავლეთის პროგრესულ მონარქებთან: პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორთან და სომხეთის მეფე ტიგრან II დიდთან. სავსებით სწორად აფასებს აღმოსავლეთში რომაელთა ბატონობის უარყოფით მნ-

1. Н. А. Машкин, История древнего Рима, 1948, гл. 290.

2. Т. Моммзен, Римская история, II, Москва, 1887, гл. 269.

იმპუნელობას აკადემიკოსი ი. მანანდიანი. იგი წერს: „რომის რესპუბლიკის ბატონობა (I ს. ჩვენს ერამდე) აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის შეიქნა ბედუკულმართ ეპოქად მათი ეკონომიკური და კულტურული დეგრადაციისა: რომაელები მხოლოდ ქაჩავდნენ მათგან აურაცხელ სიმდიდრეს, მიჰყავდათ უთვალავი რაოდენობის მონები, ძარცვავდნენ და ატილებდნენ ადგილობრივ ელინისტურ ქალაქებსა და სახელმწიფოებს“.¹ საკმაო სიცხადით შეგვიძლია ვიქონიოთ წარმოდგენა აღმოსავლეთში რომაელთა დამპყრობლური მიზნების შესახებ რომაელ ორატორთა უბრწყინვალესი წარმომადგენლის მარკუს ტულიუს ციცერონის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან – „მანილიუსის კანონისათვის“ (Pro lege Manilia).²

თანამედროვე ევროპულ ისტორიოგრაფიაში გამეფებული აზრი აღმოსავლეთში რომის ექსპანსიის პროგრესული მნიშვნელობის შესახებ ისტორიის გაყალბებას წარმოადგენს. „უკვე რესპუბლიკის უკანასკნელი ხანიდან დაწყებული რომაელთა ბატონობა დაპყრობილი პროვინციების უღმობელ ექსპლოატაციად გადაიქცა. იმპერიამ ეს ექსპლოატაცია არათუ არ მოსპო, არამედ, პირიქით, სისტემად აქცია“.³

პონტოსა და კავკასიაში რომაელთა შემოჭრის თანადროული პირველწყაროები ჟამთა სიავემ ჩვენს დრომდე არ შემოინახა მცირეოდენი გამონაკლისის გარდა. რომაულ ისტორიოგრაფიაში დაცული ცნობებით (სტრაბონი, პლუტარქე) ირკვევა, რომ არსებობდა ადგილობრივი წყაროებიც. მათ შორის, რომაული წყაროების აღიარებით, ნიჭიერი მწერლის, „რომაელთა მოძულედ“ (Misoromeus) წოდებული მეტროდორე სკეპსიელის ნაშრომი ტიგრან II-ზე. დაცულია ცნობები მითრიდატე პონტოელის მომხრე ისტორიკოსთა: ჰერაკლიდეს, აპოლოდორის, დიოფანტესა და სხვათა დაკარგული შრომების შესახებაც. ძირითადი პირველწყაროები, რომლებიც

1. Я. А. Мананян, Тигран Второй и Рим, Ереван, 1943, გვ. 13.

2. М. Тулий Цицерон, Полное собрание речей, III, СПб, გვ. 501-523.

3. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, II, თბილისი, 1950, გვ. 358.

რომის პონტოსა და კავკასიაში ექსპანსიის საკითხს ეხებიან (I ს-ში ჩვენს ერამდე), ერთი ან რამდენიმე საუკუნით გვიანდელ პერიოდს ეკუთვნიან და, სამწუხაროდ, არა მარტო ძველი რომაელი, არამედ მცირეაზიელი ე. წ. ნეიტრალური ისტორიკოსებიც ტენდენციურად ამუშებენ ამ საკითხს. მათი ნაშრომები მიზნად ისახავენ რომის ძალისა და ძლიერების აპოლოგიას და ამ პანეგირიკული ნაწარმოებებიდან ისტორიული სინამდვილის დადგენა მათ მიმართ მეტად კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვს.

როგორც ცნობილია, რომი მეტად მოხერხებულად აფუძნებდა ტენდენციურ ისტორიოგრაფიას. ისტორიის გაყალბება, რომაელთა დამარცხებისათვის განზრახ გვერდის ავლა, სრულიადაც არ ითვლებოდა საძრახის საქმედ, პირიქით, სიტყვაში „მანილიუსის კანონისათვის“ ციტერონი პირდაპირ ამბობდა: „აქ, ნება მომეცით მე, ქვირიტებო, მივსდიო ჩვენი პოეტი-მემატიანეების მაგალითს და არაფერი ვთქვა ჩვენს დამარცხებაზე“.¹ პირველწყაროებში დაცული ცნობების საეჭვობა, ხშირ შემთხვევაში კი მათ მიერ ისტორიული სინამდვილის განზრახ დამახინჯება, აღნიშნულია ევროპელი ისტორიკოსების მიერ. წინამორბედ ისტორიკოსებს ზოგჯერ თვით ძველი მწერლებიც არ ენდობოდნენ. პომპეუსის ლაშქრობის მონაწილე ისტორიკოს პოსიდონიუსზე სტრაბონი წერს: „მე არ ვიცი, როგორ შეიძლება ვერწმუნო მას იმაში, რაც ეხება უცნობ ამბებს, რომელთა შესახებ მას არაფერი სიმართლის მაგვარი არ შეუძლია თქვას, თუ იგი ცნობილ ამბებზეც ამდენ შეუსაბამობას ამბობს“.² რომაული ისტორიოგრაფიის ტენდენციურობა აღნიშნული ჰქონდა ჩვ. წ-ის I საუკუნის ებრაელ ისტორიკოსს იოსებ ფლავიუსს წიგნში „იუდეველთა ომის შესახებ“. რომაული იარაღის განდიდების მიზნით განსაკუთრებულ ტენდენციურობას იჩენენ წყაროები ბატალური სცენების აღწერის დროს. მათი ცნობებით, როგორც წესი,

1. М. Тулий Цицерон, Полное собрание речей, СПб, 1901, гл. 511.

2. Страбон, География, XI, 6. ВДИ, №4, 1947, гл. 208.

რომაელთა მცირერიცხოვანი მხედრობა უმნიშვნელო დანაკლისით სასტიკად ამარცხებს მრავალგზის ჭარბი ძალების მქონე მტერს. პომპეუსის მიერ მითრიდატეს დამარცხების შესახებ მცირე სომხეთში ევტროპიუსი (IV ს.) პირდაპირ ანეკდოტური ხასიათის ცნობას იძლევა. იგი წერს: „გაჟულიტა რა ორმოცი ათასი მტერი, მან თავისი ჯარიდან დაკარგა ოცი ქვეითი და ორი ცენტურიონი“. ¹ ქერონეასთან დამარცხებულ არქელაოსს, აპიანესთან დაცული ცნობით, 110 ათასი ჯარისკაცი დაეღუპა, ხოლო სულას – 13.²

დაპყრობილი ქალაქებისა და სახელმწიფოების მიმართ რომაელები ისეთი ბარბაროსული სისასტიკით იქცეოდნენ, მშვიდობიანი მოსახლეობის ისეთ ხოცვა-ჟლეტას აწყობდნენ, რომ ამას, მიუხედავად ტენდენციურობისა, რომაული წყაროებიც კი ვერ მალავენ.

პონტოსა და კავკასიაში რომაელთა ექსპანსიის შესახებ მთავარი ცნობები დაცულია პლუტარქეს (II-III სს.), აპიანესა (II ს. ჩვ. ერით) და დიონ კასიუსის (II-III სს.) თხზულებებში. მნიშვნელოვან ცნობებს იძლევიან აგრეთვე: ტიტუს ლივიუსი (I ს. ჩვენს ერამდე და ჩვენი ერით), ციცერონი (I ს. ჩვენს ერამდე), ველეიუს პატერკულუსი (I ს. ჩვენს ერამდე), ფლორუსი (II ს. ჩვენი ერით), პლინიუს უფროსი (I ს. ჩვენი ერით), სტრაბონი (I ს. ჩვენს ერამდე და ჩვენი ერით), მარკუს ანეიუს ლუკანი (I ს. ჩვენი ერით), ევტროპიუსი (IV ს.), პავლე ოროზიუსი (V ს.) და სხვები. მათი ნაშრომები ეყრდნობიან უფრო ადრინდელი ხანის ისტორიკოსების: თეოფანე მიტილენელის, პოსიდონიუსის, ნიკოლოზ დამასკელის და სხვათა ცნობებს. აღსანიშნავია, რომ ახალი ისტორიული კრიტიკის საფუძველზე თვით ეს პირველწყაროებიც არ შეიძლება ჩაითვალოს უტყუარად. განსაკუთრებული ტენდენციურობით გამოირჩევიან ძველი ისტორიოგრაფების მიერ გამოყენებული ოფიციალური პა-

1. ევტროპიუსი, ბრევიარიუმი ქალაქის დაარსებიდან, VI, 12. ВДИ, №3, 1949, გვ. 280.
2. აპიანე, მითრიდატეს ომები, 45; გ. გოზალიძეილი, ძველი ისტორიის ქრესტომათია, თბილისი, 1951, გვ. 229.

ტაკები რომაელი სარდლებისა სენატისადმი. გარდა ტენდენციურობისა, ანტიკური ისტორიოგრაფიის საერთო ნაკლს წარმოადგენს გატაცება პოლიტიკური ისტორიით, უფრო სწორად, მეფეთა და მხედართმთავართა ისტორიით, რის შედეგადაც მათ შრომებში ნაკლები ყურადღება ექცევა ან სრულებით არა აქვს დათმობილი ადგილი ეკონომიკურ ისტორიას. ევროპელ მეცნიერთა შრომებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვან გამოკვლევებს პონტოსა და კავკასიის ისტორიისათვის (რომაელთა შემოჭრის პერიოდის) წარმოადგენენ მომზენის, რაინახისა და ფერეროს თხზულებები.¹ ძველი ავტორების კვალდაკვალ ევროპელი მეცნიერებიც ცდილობენ რომაელი აგრესორები აღმოსავლეთის ცივილიზატორებად და ელინისტური კულტურის დამცველებად მონათლონ, ამასთანავე, ისინი ბოროტი ქედმაღლობით უყურებენ აღმოსავლეთის ხალხებს.

აღწერს რა რომაელთა აღვირახსნილ ძალადობას პროვინცია აზიაში, მომზენი წერს: „აზიელები იტანდნენ ამ ტანჯვასაც კი უმოქმედობისადმი მათი უსაზღვრო მიდრეკილების გამო, მაგრამ მათი მშვიდობისმოყვარეობა არ გამომდინარეობდა ამტანობისა და კეთილგონიერებისაგან, არამედ აღმოსავლეთის ხალხებისათვის ნიშანდობლივი უუნარობიდან, წამოიწყონ რაიმე საკუთარი ინიციატივით“.² მომზენი დამამცირებელ ეპითეტებს არ იშურებს აღმოსავლეთის ხალხების მიმართ. მისი აზრით, აღმოსავლეთში „ქვეშევრდომი ძალდასავით ერთგულია და ძალდასავითვე ყალბი“.³

რომის აგრესიის უშუალო გამტარებლებს, ცნობილ რომაელ სარდლებს, რომლებიც, ნყაროებში დაცული ცნობებით, ნამდვილ ვანდალებად ევლინებოდნენ ესპანეთს, საბერძნეთს, პონტოს და, საერთოდ, იმ ქვეყნებს, რომლებშიც კი რო-

1. Т. Моммзен, Римская история, тт. II-III. 1887; Theodor Reinach, Mithridate Eupator roi de Pont, Париж, 1890; Г. Ферреро, Величие и падение Рима, I, Москва, 1915.

2. Т. Моммзен, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 269.

3. Т. Моммзен, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 271.

მაელები ცეცხლითა და მახვილით ფეხს შედგამდნენ, ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ნათლავს ქალაქთა მშენებლებად და ელინისტური კულტურის მეჩირაღდნეებად. ფერერო ასე გვიხასიათებს ლუკულუსს: „ლუკულუსი ტიპიური რომაელი გენერალი იყო, მაგრამ მას სულგრძელი გონება ჰქონდა, კულტურით ამაღლებული და ელინიზმის დიდი თაყვანისმცემელი იყო“.¹ აღმოსავლეთის მთელი რიგი განვითარებული ელინისტური ქალაქების დანგრევა-გაპარტახების შემდეგ, პომპეუსის მიერ რამდენიმე ქალაქის დაარსების შესახებ მომზენი წერს: „უპირველესად ყოვლისა პომპეუსი ზრუნავდა საქალაქო ცხოვრების განვითარებაზე რომის ახალ პროვინციებში“.² რომაელი სარდლების, კერძოდ, ლუკულუსისა და პომპეუსის აშკარა ანტიმეცნიერულ გაიდუალებას ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია ახდენს აღმოსავლეთის პროგრესული მონარქების – მითრიდატე პონტოელისა და ტიგრან დიდის – დამცირებითა და მათი უარყოფითი თვისებების გამომზეურებით. მითრიდატეს და ტიგრანს მომზენი სულთნებს უწოდებს და შემდეგდროინდელი ოტომანის პორტას დესპოტ მბრძანებლებთან აიგივებს. მბრძანებლის სისასტიკეს და უნდობლობას, მათ აღვირახსნილ დესპოტიზმს, მომზენი განსაკუთრებით აღმოსავლეთისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს და განზრახ ივინყებს რომაელ დიქტატორთა თავაშვებულობას, სულას პროსკრიპციებს და რომაელ იმპერატორთა უმსგავსობას.

ევროპულ ისტორიოგრაფიაში გამეფებული აზრით, რომაელთა ომები პონტოსა და კავკასიაში გამოხატულება იყო „აზიისა და ევროპის ძველი ანტაგონიზმისა“.³ მომზენი იმასაც კი ამტკიცებს, თითქოს ეს ომები „იყო დასაწყისი რომაელთა წინააღმდეგ აჯანყებისა... ისინი წარმოადგენდნენ აზიელთა

1. Г. Ферреро, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

2. Т. Моммзен, დასახ. ნაშრომი, III, 1941, გვ. 125.

3. Th. Reinach, დასახ. ნაშრომი, გვ. XI.

რეაქციის დასაწყისს დასავლელი ხალხების წინააღმდეგ".¹ ამის საფუძველზე მ. ჯანაშვილი ამ ომებს მიიჩნევს საქართველო-პონტოსა და რომის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შეჯახებად მსოფლიოს მპყრობელობისათვის.²

მითრიდატეს ომები ევროპულ ისტორიოგრაფიაში განხილულია როგორც საერთო-ნაციონალური საღმრთო-რელიგიური ომები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სინამდვილეში ეს ომები მონათმფლობელური რომის მიერ იყო წამოწყებული აღმოსავლეთის ხალხების გაძარცვისა და ეკონომიკური დაკაბალების მიზნით. ამასთანავე, ზედმეტია ლაპარაკი აღმოსავლეთის საერთო-ნაციონალურ ინტერესებზე, ვინაიდან იმ პერიოდში აღმოსავლეთში „იყვნენ არა ერები, არამედ ჯგუფთა შემთხვევითი და ნაკლებად შეკავშირებული კონგლომერატები“.³

რომაული საზოგადოების ისტორიის ზოგად კურსებში საბჭოთა ისტორიკოსებმა: კოვალიოვმა, სერგეევმა და მაშკინმა სწორად დააყენეს ეს საკითხი.⁴ საბჭოთა ისტორიკოსების (გაიდუკევიჩი, ს. ჯანაშია, გოლუბცოვა, კუდრიავცევი, ბოლტუნოვა და სხვ.) შრომებში მეცნიერულად იქნა გაშუქებული აღმოსავლეთში რომის ექსპანსიის ცალკეული საკითხები. დიდი ღვაწლი დასდო პონტოსა და კავკასიაში, განსაკუთრებით კი სომხეთში, რომაელთა ექსპანსიის ისტორიის შესწავლის საქმეს აკადემიკოსმა ი. მანანდიანმა. ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოში რომაელთა შემოჭრის საკითხს ეხებოდნენ თეიმურაზ ბაგრატიონი, მოსე ჯანაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და სხვ. კარგად არის გაშუქებული აღნიშნული საკითხი ლევან სანიკიძის საკანდიდატო დისერტაციაში.⁵

1. Т. Моммзен, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 273.

2. მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1906, გვ. 103.

3. ი. სტალინი, მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი. თხზულებანი, II, 1947, გვ. 315.

4. С.И. Ковалев, დასახ. ნაშრომი; ვ. სერგეევი, ძველი რომის ისტორიის საკითხები, I, თბილისი, 1940; И.А. Машкин, დასახ. ნაშრომი.

5. ლ. სანიკიძე, რომის ექსპანსია პონტოსა და ამიერ-კავკასიაში, ქუთაისი, 1952.

მითრიდატეს ომები აღმოსავლეთში მთავარსარდლად პომპეუსის დანიშვნამდე

მითრიდატე ევპატორის მეფობის ხანაში (120-63 წწ. ჩვენს ერამდე) პირველი საუკუნის დასაწყისისათვის პონტოს სამეფო ტერიტორიულად დიდ და ძლიერ სამეფოდ გადაიქცა. გეოგრაფიულად პონტო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა და მოიცავდა ოლქებს მდინარე ჭოროხიდან (ძვ. აფსარიდან) დასავლეთით ვიდრე მდინარე პარტენიონამდე. აგრეთვე მცირე აზიის მაღლობებსა და მდინარე ევფრატის დინების ჩრდილოეთ ნაწილს. ანტიკური ხანის მწერლების ცნობების საფუძველზე ეს ტერიტორია უძველესი დროიდან ქართველური მოდგმის ტომებით ყოფილა დასახლებული. პონტოს ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროს აბორიგენებად ქსენოფონტე, რომელმაც 401 წელს (ჩვ. ერამდე) პირადად მოიარა ეს ადგილები, ნაშრომში „ანაბ-აზისი“ ასახელებს ქართველურ ტომებს: ხალიბებს, ტაოხებს, ფასიანებს (IV, IV, 5), სკვითინებს (IV, VII, 18), მაკრონებს, სანიგებს (V, IV, 2), ტიბარენებს (V, V, 3) და ხალდებს (V, V, 16, 18). ამასთანავე, სინოპელთა კოლონიების: ტრაპეზუნტის, კერასუნტისა და კოტიორას ბერძნულ მოსახლეობას ქსენოფონტე არ მიიჩნევს ადგილობრივად. ანტიკური მწერლობის სხვა წარმომადგენლებიც: აპოლონიუს როდოსელი (III ს. ჩვენს ერამდე), სტრაბონი, პლინიუს უფროსი, არიანე (II ს. ჩვენი ერით) და სხვები იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც პონტოს სამეფო იყო, ასახელებენ ქართველურ ტომებს, როგორც მკვიდრთ. ჩვენ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ პონტოს სამეფოს ეთნიკური შემადგენლობის შესახებ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ლაზთა ქართული ტომი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე უკანასკნელ დრომდე შემორჩა. თვით თურქულ ოფიციალურ ენციკლოპედიაში „ჰამუსულ ალამ“-ში ნათქვამია, რომ „ლაზები ცხოვრობენ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსა-

ვლეთ სანაპიროზე, ტრაპიზონის ვილაიეთში“.¹ ზემოთ აღნიშნულის და აგრეთვე იმის საფუძველზე, რომ მითრიდატე VI ევპატორის შვილს წმინდა ქართული სახელი მახარე ერქვა, სულხან ბარათაშვილს გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება, რომ პონტო ელინიზებულ ქართველთა სახელმწიფო იყო.²

მემკვიდრეობით მიღებულ პონტოს სამეფოზე დაყრდნობით, მითრიდატე VI-მ დიდი ენერგიითა და ნიჭით გაშალა ფართო საექსპანსიო მოძრაობა. მითრიდატე ევპატორი, დიდად ნოდებულის, ძველი აღმოსავლეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ნიჭიერი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი იყო. რაინახი მის შესახებ წერს: „აღმოსავლეთის ყველა მონარქიიდან მის დრომდე უცნობი ქვეყნის ამ მეფეუკამ, ისე რომ მეტსახელად „დიდი“ თავისთვის არასოდეს უწოდებია, იგი მიიღო მტრების მძაფრი სიძულვილისა და მათი უნებლიე ალტაცების შედეგად. მისი სიკვდილი მათ მოევლინა, როგორც ხსნა 40 წლის კომმარისაგან“.³ ძლიერ რომს პიროსისა და თვით ჰანიბალის დასამარცხებლად გაცილებით უფრო ნაკლები დრო დასჭირდა, ვიდრე მარტო მითრიდატეს დასამარცხებლად.⁴ ამასთანავე, ეს ენერგიული მეფე სიკვდილის უკანასკნელ ნუთებამდე არ გრძნობდა თავს დამარცხებულად და ფართო მასშტაბის გეგმებს ადგენდა რომის წინააღმდეგ. სწორედ ამიტომ ამბობდა ციცერონი მის შესახებ: „თუ გულდასმით აწონით მითრიდატეს ძლიერებას, წარმატებებსა და ხასიათს, მას უსათუოდ მალლა დააყენებთ ყველა იმ მეფეზე, რომლებთანაც რომაელ ხალხს ოდესმე ჰქონია ომი“.⁵ დიდი ფიზიკური ძალისა და კარგი აღნაგობის მქონე მითრიდატე ხშირად გამარჯვებული გამოდიოდა სპორტული შეჯიბრებებიდან.

1. ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ. გაზ. „კომუნისტი“, 1945, 14/XII.

2. С. Баратов, История Грузии, I, СПб, 1865, გვ. 47.

3. Th. Reinach, დასახ. ნაშრომი, გვ. V.

4. ფლორუსი, მითრიდატეს ომი, 40, 2. ВДИ, №3, 1949, გვ. 231. მითრიდატესთან ომის დაწყებიდან მის დამთავრებამდე 25 წელი გავიდა (88-63).

5. М. Тулий Цицерон, Полное собрание речей, II, გვ. 727.

იგი მეტად განათლებული ადამიანი იყო, ელინისტური კულტურის დამფასებელი. მას საბუნებისმეტყველო ნაშრომიც კი ეკუთვნის. ისტორიაში მითრიდატე ევპატორი შევიდა როგორც პოლიგლოტი.¹ ხასიათის უარყოფითი თვისებები, დესპოტური სისასტიკე და სხვ. მისმა აღზრდამ და ცხოვრებამ განაპირობა: მოღალატეებითა და მკვლელებით გარშემორტყმული მეფე ეჭვიანი და დაუნდობელი გახდა. აღმოსავლეთის ხალხებისადმი თავისი ჩვეული ბოროტი და ქედმაღლური დამოკიდებულებით, მომზენი ამცირებს ამ გამოჩენილ მონარქს და სააშკარაოზე მისი უარყოფითი თვისებები გამოაქვს. ევპატორზე იგი წერს: „იგი იყო ყველაზე უფრო ჩვეულებრივი თანრიგის აღმოსავლეთის მკვიდრი, – უზომოდ განწყობილი იყო გრძნობადი განცხრომისაკენ, იყო ცრუმორწმუნე, გულსასტიკი, ფიცის გამტეხი და უსინდისო, მაგრამ სხეულის ისეთი მაგარი აგებულების იყო და ისეთ ფიზიკურ ძალას ფლობდა, რომ მის შეუპოვარ სიმამაცეს და დაუშრეტელ ვაჟაკობას წინააღმდეგობის განწევაში ხშირად მიიჩნევდნენ თვალსაჩინო ნიჭად და გენიალობადაც კი“.²

მითრიდატე ევპატორმა ისარგებლა რომის საგარეო პოლიტიკის დროებითი დასუსტებით აღმოსავლეთის მიმართ და პონტოს მეზობელი ქვეყნების სისუსტით, II საუკუნის დამლევისათვის და I საუკუნის დასაწყისისათვის დაიმორჩილა ყირიმი, ზოგიერთი სარმატული ტომი, აზოვის ზღვის სანაპიროზე მცხოვრებნი, სინდიკა (ტამანის ნახევარკუნძული და ანაპის მხარე), აგრეთვე კოლხეთი, მცირე არმენია და ზოგი მცირეაზიული ოლქი. იბერიასთან, დიდ არმენიასთან და არშაკიდების პართიასთან მითრიდატე ევპატორს სამეგობრო ხელშეკრულებები ჰქონდა დადებული. აღმოსავლეთში პო-

1. პლინუსის ცნობით (NH. VII. 88), მას 22 ენაზე შეეძლო ლაპარაკი. გერმანელმა ფილოლოგმა ადელუნგმა მისი სახელით ფილოლოგიური შრომაც კი დაასათაურა (არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 3).

2. Т. Моммзен, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 272. შემდეგ მომზენი მაინც აღიარებს, მითრიდატე მაინც არ იყო უბრალო სულთანო (III, გვ. 43).

ნტოს სახელმწიფოს გაძლიერება იმპერიალისტური რომის ინტერესებისათვის საზიანო იყო და ამიტომ მითრიდატეს საექსპანსიო პოლიტიკის პირველივე ნაბიჯები რომის მხრივ წინააღმდეგობას წააწყდა. ამასთანავე, აგრესიული რომის პოლიტიკა მთლიანად „ძალის პოზიციებზე“ იყო დაფუძნებული. ამ მხრივ აღსანიშნავია პლუტარქესთან დაცული შემდეგი ცნობა, თითქოს მარიუსს ეთქვას მითრიდატესათვის: „მეფეო, ან ეცადე იყო რომაელებზე უფრო ძლიერი, ან უსიტყვოდ შეასრულე მათი ბრძანებანი“.¹

მითრიდატე ევპატორს არ შეეძლო დაეშვა პერგამონში დამკვიდრებული რომაელების მიერ ბითინიისა და კაპადოკიის, პონტოსთვის ეკონომიკურად და სტრატეგიულად მეტად მნიშვნელოვანი ქვეყნების, ხელთ გდება, მაგრამ ცდილობდა ამ საკითხში გამარჯვებისათვის მიეღწია დიპლომატიური ხერხებით, ვინაიდან, როგორც ნიჭიერ სახელმწიფო მოღვაწესა და სამხედრო საქმის კარგ მცოდნეს, შეგნებული ჰქონდა რომაული იარაღის დიდი სიძლიერე. სადავო საკითხების გადაჭრას იგი ცდილობდა რომაელი სენატორების მოქრთამვით. რომი, თავის მხრივ, არ თმობდა, რის გამოც ბითინია და კაპადოკია განუწყვეტილად წარმოადგენდნენ განხეთქილების ვაშლს მითრიდატე ევპატორსა და რომაელებს შორის. იტალიაში გაჩაღებული მოკავშირეთა ომი (88-81 წწ.) მითრიდატემ თავისი მიზნებისთვის გამოიყენა და 91 წელს ბითინიიდან განდევნა რომანოფილი მეფე ნიკომედე III, ხოლო მითრიდატეს სიძემ ტიგრან II-მ კაპადოკიიდან გააძევა ასევე რომანოფილი არიობარზანი. შემდეგში რომაელმა სარდლებმა კასიუსმა და მანიუს აკვილიუსმა დააბრუნეს რომაელთა მარიონეტებად ქცეული არიობარზანი და ნიკომედე თავიანთ სამეფოებში. მითრიდატეს, რომელიც ნამდვილად ერიდებოდა მძიმე და სახიფათო ომს რომთან, საომარი მოქმედება რომაელთა წინააღმდეგ არ დაუწყია. მაგრამ პონტოს სამეფო რომს გზ-

1. პლუტარქე მარიუსი, 31.

აზე ელობებოდა. გარდა მცირე აზიაში წინააღმდეგობისა, რომაელებს მითრიდატესათვის ვერ ეპატიებინათ მისი დამკვიდრება რომაული ექსპანსიის მეორე გზაზე – ყირიმში, რითაც მან დაარღვია მათი ბრძანება: „აზიის მეფეებმა ფეხი არ შედგან ევროპაში!“¹ აკვილიუსის მიერ შეგულიანებულმა ნიკომედმა დაარბია პონტოს სამხრეთ-დასავლეთი ოლქები. მითრიდატეს კვლავ არ სურდა აშკარა განხეთქილებაზე წასულიყო რომთან, ამიტომ რომაელებსავე სთხოვა დახმარება და დაცვა აგრესორისაგან, მაგრამ რომაელებს ომი სურდათ, რასაც განსაკუთრებით აჩქარებდა სარდალი მანიუს აკვილიუსი. რომაელებმა უბრძანეს მითრიდატეს თავი შეეკავებინა ბითინიასა და კაპადოკიაზე თავდასხმისაგან. ცხადია, მითრიდატეს მდგომარეობიდან სამშვიდობო გამოსავალი აღარ ჰქონდა დარჩენილი. „ავაზაკის წინააღმდეგ, – წამოიძახა მან, – ხომ თითოეული მიმართავს იარაღს თუ გადარჩენისთვის არა, ყოველ შემთხვევაში, სამაგიეროს მისაზღვრად მაინც!“ – გადმოგვცემს იუსტინი.² ამრიგად, 89 წლისათვის წილი ნაყარი იყო: ომი მითრიდატესა და რომს შორის გარდაუვალ აუცილებლობად იქცა. იუსტინის ცნობით, როდესაც გადწყვიტა რომაელ აგრესორებთან ომი დაენყო, მითრიდატემ კავშირი შეკრა სომხეთის მეფე ტიგრანთან.³ ეს კავშირი, აკადემიკოს მანანდიანის მტკიცებით, მხოლოდ კაპადოკიის საკითხს შეეხებოდა, დადებული იყო 93 წლამდე და ფაქტობრივად სომხეთის მიერ პონტოსთვის კაპადოკიის დაპყრობაში დახმარების აღმოჩენაზე შორს არ წასულა.⁴ ტიგრანი რომ უფრო შორსმჭვრეტელი ყოფილიყო, აღნიშნული ხელშეკრულება მითრიდატესადმი რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარების აღმოჩენაში გადაიზრდებოდა. გარდა ტიგრანის არაშორსმჭვრეტელობისა, რაც მან საერთოდ რომაელთა

1. აპიანე, 15; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

2. იუსტინი, XXXVIII. 5, 2.

3. იუსტინი, XXXVII. 3, 5. ВДИ, № 1, 1949, გვ. 255.

4. Я. А. Манандян, დასახ. ნაშრომი, გვ. 29-31.

ექსპანსიისადმი დამოკიდებულებით დაამტკიცა, მის მიერ მითრიდატესთვის დახმარების აღმოჩენას რომის წინააღმდეგ წინ ედგა მითრიდატეს კიდევ უფრო მეტად გაძლიერებისა და პართიასთან მოსალოდნელი ომის შიში.

რომაელებთან პირველი ომის (88-84 წწ.) დასაწყისში მითრიდატემ გამოიყვანა უზარმაზარი არმია, რომელიც შედგებოდა 250 ათასი ქვეითისა და 40 ათასი ცხენოსნისაგან.¹ პონტოელთა მიერ მოპოვებული გამარჯვებების შედეგად, მალე მთელი მცირე აზია მითრიდატეს ხელთ აღმოჩნდა. მცირე აზიის ბერძნული მოსახლეობის გულის მოსაგებად თავდაპირველად მითრიდატე რომაელებთან ბრძოლაში ელინიზმის დაცვის დროშით გამოდიოდა. რაინახი კი წერს: „მითრიდატე გამოვიდა როგორც ელინობის, მისი სულისა და კულტურის დამცველი ბარბაროსული მონობისაგან და ბერძნები ამისათვის ადიდებდნენ“.² ძლიერი რომის წინააღმდეგ მითრიდატე ყველგან ეძებდა მოკავშირეებს და გარდა მეკობრეების მიმხრობისა, რომლებიც ზღვაზე გაბატონებულ ძალას წარმოადგენდნენ, იგი არ დაერიდა მონებისათვის თავისუფლების აღთქმას, თუკი ისინი დახმარებას აღმოუჩენდნენ პონტოელთ. ამის გამო მანანდიანი მითრიდატე ევპატორს სოციალური რევოლუციის ბელადად ასახელებს და წერს, რომ მითრიდატე ომის დასაწყისიდანვე გახდა დამცველი და მფარველი მცირეაზიელი ექსპლოატირებული მოსახლეობისა.³ მითრიდატეს მიერ მონებისათვის თავისუფლების აღთქმა მხოლოდ მათი მოტყუებისა და დროებითი გამოყენების მიზნით იყო გამოწვეული. მსგავსი დემაგოგიური ლოზუნგები ადრეც ყოფილა წამოყენებული თვით კლასიკური მონათმფლობელური ქვეყნის – რომის სარდლების (მარიუსი, ცინა) მიერ. გოლუბცოვას სამართლიანი შენიშვნით, მითრიდატეს გამოცხადება სოციალური რევოლუციის ბელადად აშკარა შეცდომაა.⁴ ელ-

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 17; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 213.

2. Th. Reinach, დასახ. ნაშრომი, გვ. 62.

3. Я. А. Манандян, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

4. Е. С. Голубцова, Северное Причерноморье и Рым на рубеже нашей эры, Москва, 1951, გვ. 50.

ინიზმის დაცვის დროშით გამოსულ პონტოელთა მეფეს დიდი დახმარება გაუწიეს ელინმა დემოკრატებმა, აგრეთვე იმ სიძულვილმა, რომელიც დაიმსახურეს რომაელმა მძარცველებმა დაპყრობილ ქვეყნებში. სწორედ ამის შედეგად იყო, რომ მცირე აზიის ქალაქებმა დიდი მზადყოფნით შეასრულეს მითრიდატეს ბრძანება, მოეწყობა მცირე აზიის ქალაქებში მცხოვრებ იტალიელთა ყლეტა, რასაც 80 ათასი იტალიელი შეენირა. 88 წელს, თავისი ძველი დემოკრატიული წყობილების აღდგენის იმედით, აჯანყდა ათენი და მითრიდატემ იქ თავისი უნიჭიერესი სარდალი არქელაოსი გაგზავნა. მითრიდატეს ვაჟმა არიარატმა დაიკავა თრაკია და მაკედონია. ამრიგად, მითრიდატემ მეტად მოხერხებულად გამოიყენა კლასობრივი ანტაგონიზმი, ბერძენ-რომაელთა წინააღმდეგობანი და ზღვაზე გაბატონებული მეკობრენი, განდევნა რომაელები აზიიდან და საფრთხე შეუქმნა რომაელთა ბატონობას ევროპაში. მანიუს აკვილიუსმა¹ მეტად არახელსაყრელ პირობებში დაიწყო ომი. შინააშლილობით დაავადებულ რომში თვით ასეთ კრიტიკულ პირობებშიც გაჩაღდა პარტიათა ბრძოლა მითრიდატეს წინააღმდეგ გასაგზავნი არმიის მთავარსარდლის პოსტის დასაკავებლად. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა სენატის ოფიციალურმა კანდიდატმა, ოპტიმატების პარტიის ბელადმა, კორნელიუს სულამ და 87 წლის დამდეგისათვის 30-ათასიანი ჯარით იგი ეპირში გადასხდა.

მიუხედავად ჯარის სიმცირისა, მისი შენახვის მატერიალურ შესაძლებლობათა შეზღუდულობისა, ფლოტის უყოლობისა და რომში მარიუსელთა გამარჯვების (87-82 წწ.) შედეგად რომიდან დახმარების ნაცვლად ხელის შეშლისა, რაც მისი თანამდებობიდან გადაყენებაშიც კი გამოიხატა, სულამ უსაზღვრო ნიჭითა და ენერგიით დიდი წარმატებით აწარმოა

1. ეს ხარბი სპასალარი, რომელმაც თავისი მოქმედებით დააჩქარა ომი, მითრიდატემ შეიპყრო და გამდნარი ოქრო ჩაასხა პირში „ნიშნად რომაელთა მექრთამეობისა“ (აპიანე, მითრიდატეს ომები, 21; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 216).

ბრძოლა მითრიდატეს სარდლებთან. სულა სისასტიკით მოქმედებდა. ათენის ასაღებად იგი ლიცეუმისა და აკადემიის შესანიშნავი ხეივნების გაჩეხვასაც არ დაერიდა¹ და მნ წლის 1 მარტს კიდევ აიღო იგი, რის შემდეგაც არქელაოსმა პირეოსი დაცალა. ელინიზმის დამცველმა რომაელებმა ათენში საშინელი ხოცვა-ჟლეტა და ძარცვა-რბევა მოაწყვეს.² მნ წლის მარტშივე სულამ ქერონეასთან დაამარცხა არქელაოსი და მაკედონიიდან მასთან შემოერთებული პონტოელთა ჯარი. ამ ბრძოლის დაწყება პონტოელთა მხრივ შეცდომა იყო, ვინაიდან იტალიიდან უკვე გამოგზავნილი იყო სულას შემცველი დემოკრატი სარდალი მარკუს ვალერიუს ფლაკი და როგორც მომზენი აღნიშნავს: „აზიელებს, შესაძლოა, სულ რამდენიმე თვე უნდა დაეცადათ და სულასა და ფლაკს შორის ბრძოლის მონმენი გახდებოდნენ“.³ ქერონეასთან გამარჯვების შემდეგ, ორქომენტან სულამ საკმაოდ მძიმე ბრძოლაში დაამარცხა არქელაოსისა და პონტოდან გამოგზავნილი დორილასის შეერთებული ჯარი. სულას ამ გამარჯვებათა შედეგად მითრიდატეს მდგომარეობა მცირე აზიაში საკმაოდ შეირყა. ელინისტურმა ქალაქებმა შეცვალეს მითრიდატესადმი დამოკიდებულება და მეფეც იძულებული გახდა მათ ნინაალმდე რეპრესიებისათვის მიემართა. პონტოს ზღვაში გამოჩნდა სულას ემისრის ლუკულუსის მიერ შეკრებილი ფლოტი, გააქტიურდა რომაელი პოპულარების არმიაც, რომელსაც ფლაკის მოკვლის შემდეგ ენერგიული ფიმბრია ჩაუდგა სათავეში. მელიტოპოლთან გამარჯვების შემდეგ, ფიმბრიამ კინალამ ტყვედ ჩაიგდო მითრიდატე. ამ მძიმე მდგომარეობაში ხელსაყრელი ზავის მისაღწევად მითრიდატემ გადაწყვიტა გამოეყენებინა ნინაალმდეგობანი სულასა და ფიმბრიას შორის. თავის მხრივ, რომში არსებული მდგომარეობის გამო, სულაც იძულებული იყო წასულიყო დათმობებზე და 84 წელს დარდ-

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 30; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

2. Плутарх, Сулла. 14 Избранные биографии, М.-Л, 1941, гв. 238.

3. Т. Моммзен, დასახ. ნაშრომი, II, გვ. 297.

ანში მითრიდატესა და სულას პირადი შეხვედრის შემდეგ დაიდო ზავი ე. წ. ჯენტლმენური შეთანხმების წესით. ამ ზავით მითრიდატეს უნდა გადაეცა რომაელებისათვის სამხედრო ტყვეები, მოღალატეები და მონები, აგრეთვე 80 გემი, გადაეხადა 3000 ტალანტი კონტრიბუცია. რომაელები, თავის მხრივ, კისრულობდნენ არ დაესაჯათ მითრიდატეს მხარეზე გადასული ქალაქები.¹ ამრიგად, ეს ზავი status quo-ს აღდგენას ნიშნავდა და ამის გამო მას ციცერონი სამარცხვინო ზავს უწოდებს.² მაგრამ დარდანის ზეპირი ზავი არასოდეს ყოფილა რატიფიცირებული რომის სენატის მიერ, რომაელები მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე არღვევდნენ.

ზავის დადების შემდეგ სულამ ადვილად მოულო ბოლო ფიშბორიას და გაემგზავრა რომში, სადაც მას ტრიუმფი და მარიუსელთა დამარცხების შემდეგ დიქტატორობა ელოდა.

83 წელს აზიის მმართველად დატოვებული ლუციუს მურენა, სენატისა და რომაელი ხალხის თანხმობის გარეშე, პონტოში შეიჭრა, მაგრამ 82 წელს პონტოელთა მიერ დამარცხებული, სულამ უკან გაიწვია და პონტოს მიმართ status quo კვლავ აღდგენილ იქნა. ომი მურენასთან (83-82 წწ.) ცნობილია მითრიდატესთან II ომის სახელწოდებით.

სულასა და მურენას ლაშქრობებმა ვერ დააკმაყოფილეს რომაელთა მიზნები აღმოსავლეთში და 74 წელს, ბითინიის სამეფოს საკითხთან დაკავშირებით, დაიწყო მესამე ომი მითრიდატესთან (74-64 წწ.). ბითინიის მეფე ნიკომედე III ფილოპატორმა, ატალ III-ის მსგავსად, თავისი სამეფო, რომელიც ფაქტობრივად რომაელ მევახშეებსა და ვაჭრებს ეკონომიკურად უკვე დაპყრობილი ჰქონდათ, ანდერძით რომს გადასცა. ბითინიაში დამკვიდრებით რომი პონტოს უშუალო მეზობელი ხდებოდა და შავი ზღვის სრუტეებზე გაბატონებით პონტოსა და ბოსფორის სავაჭრო ქალაქებისათვის დიდი ზიანის მოტა-

1. მემნონი, პერაკლესას შესახებ, XXXV, 2. ВДН, № 1, 1951, გვ. 304; აპიანე, მითრიდატეს ომები, 55; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 236.

2. ციცერონი, მანილიუსის კანონისათვის, III, 7. სიტყვათა კრებული, გვ. 506.

ნა შეეძლო, რასაც მითრიდატე, ცხადია, ვერ შეურიგდებოდა. მითრიდატე კარგად გრძნობდა, რომ გიგანტური და ძლიერი რომი თითქმის დაუმარცხებელი იყო. ამისათვის ომის დაწყებამდე მან კავშირი შეკრა რომაელი დემოკრატების ბელად სერტორიუსთან. პონტო სერტორიუსის მოკავშირეობას კისრულობდა. მითრიდატემ მას ესპანეთში 40 ხომალდი და 3 ათასი ტალანტი გაუგზავნა. თავის მხრივ სერტორიუსმა გამოგზავნა თავისი ემისრები, რომლებიც პონტოს ჯარს რომაულ სისტემაზე წვრთნიდნენ. სერტორიუსი დათანხმდა პონტოს მეფეს, შეეერთებინა ბითინია, პაფლაგონია, გალატია და კაპადოკია. მითრიდატესათვის ეს ისეთი შენაძენი იყო, „რომელსაც რატიფიკაცია ბრძოლის ველზე უნდა მიეღო კიდეც“.¹ ამიტომ ისარგებლა რომის არასახარბიელო საშინაო მდგომარეობით და რომაელთა სამხედრო ძალების სისუსტით მცირე აზიაში, 73 წლის გაზაფხულზე მითრიდატე ომის გამოუცხადებლად კაპადოკიასა და ბითინიაში შეიჭრა.

რომმა მითრიდატეს წინააღმდეგ საბრძოლველად 75 წლის კონსულები: ლუციუს ლიციინიუს ლუკულუსი და მარკუს ავრელიუს კოტა გამოგზავნა. პონტოს არმიას, რომელიც 100 ათასი ქვეითისა და 16 ათასი მხედრისაგან შედგებოდა, უპირისპირდებოდა რომაელთა 30 ათასი ქვეითი და 1600 მხედრისაგან შემდგარი ჯარი. პონტოელთა წარმატებას ხელს უწყობდა აგრეთვე მათი გაბატონებული მდგომარეობა ზღვაზე. ქალკედონთან სასტიკად იქნა დამარცხებული სარდალი კოტა და განადგურებულ იქნა რომაელთა ფლოტი. მაგრამ ამ ომში მითრიდატემ ველარ მოახერხა აზიის ელინური მოსახლეობის მიმხრობა და წარუმატებლობა ხვდა მის დემაგოგიურ ლოზუნგებს გამიზნულს კლასობრივი ანტაგონიზმის გასაღვივებლად. ძალების სისუსტის გამო, ლუკულუსი ერიდებოდა გენერალურ ბრძოლას მითრიდატესთან და პონტოელთა მრავალრიცხოვანი ლაშქრის ფურაჟირებაში არსებული სი-

1. Т. Моммзен, даსახ. ნაშრომი, III, გვ. 45.

ძნელების მოხერხებულად გამოყენებით, სურსათის მიმწოდებელი კომუნიკაციების გადაჭრით ქანცს აცლიდა პონტოელთა არმიას. ზღვაზე ქარიშხალმა დიდი ზარალი მიაყენა პონტოელთა ფლოტს და ზღვიდან მომარაგების შეწყვეტის გამო კიზიკს შემოწყობილმა მითრიდატეს მოალყე ჯარმა დიდი ზარალი და მარცხი განიცადა. 72 წლის მეორე ნახევარში ლუკულუსი ძარცვა-რბევით შევიდა დასავლეთ პონტოში. რომაელთა ნარმატებების შედეგად მითრიდატეს არა მარტო ქალაქები და პონტოს პატარა დინასტიები, არამედ საკუთარი შვილი, ბოსფორის მმართველად დანიშნული მახარეც განუდგა. არ აღმოუჩინა დახმარება თავის სიმამრს არც ტიგრან II-მ, რაც გამოწვეული იყო მისი პართიასთან მოსალოდნელი ომის შიშით. ამასთანავე, ტიგრანი რომაელთა მოხერხებული და ვერაგი დიპლომატიის ანკესზე ნამოეგო და ირწმუნა რომის მისდამი კეთილგანწყობა.¹

ნეიტრალიტეტის დაცვის მცდარი პოლიტიკით სომხეთის არაშორსმჭვრეტელმა მეფემ „დაყავი და იბატონეს“ პრინციპის განხორციელება გაუადვილა რომაელებს აღმოსავლეთში და თავისი შეცდომის შედეგი შემდეგ თვითონვე იწვნია. 71 წლის გაზაფხულზე კაბეირასთან დამარცხებული მითრიდატე ევპატორი ტიგრანმა თავის სამეფო კარზე არ მიიღო და განაპირა პროვინციაში ამყოფა, მაგრამ ამით მშვიდობის შენარჩუნება მაინც ვერ მოახერხა – ლუკულუსმა რომაელი ხალხისა და სენატის ნებართვის გარეშე დაიწყო ომი ტიგრანთან. აპიანე გადმოგვცემს: „ააოხრა და ისევე ხელახლა დაასახლა ლუკულუსმა სინოპი და ამისი, ხოლო მითრიდატეს ვაჟთან მახარესთან, რომელიც ბოსფორში მეფობდა და ლუკულუსს ოქროს გვირგვინი გამოუგზავნა, მან მეგობრობა დაამყარა; ტიგრანისაგან კი იგი მოითხოვდა მითრიდატეს გაცემას...“² იგი გაემართა ტიგრანის წინააღმდეგ ორი ლე-

1. Я. А. Манашян, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

2. იხ. აგრეთვე მენონი, პერაკლესა შესახებ. ВДИ, №1, 1951, გვ. 313; პლუტარქე, ლუკულუსი, XXIV. ВДИ, №4, 1947, გვ. 281; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 255.

გიონით და 500 ცხენოსნით, რადგან მან არ გასცა მითრიდატე.¹ ტიგრანის მიერ მითრიდატეს გაუცემლობა მხოლოდ საბაბი იყო სომხეთთან ომის დაწყებისა. როგორც მანანდიანი აღნიშნავს, ნამდვილ მიზეზს სომხეთთან ომის დაწყებისა ის წარმოადგენდა, რომ „რომს, რა თქმა უნდა, არ შეეძლო დაეშვა, რომ მისი მცირეაზიური სამფლობელოების ზურგში – კომაგენაში, აღმოსავლეთ კილიკიასა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე – საბოლოოდ ორგანიზებულიყო და განმტკიცებულიყო ძლიერი და დიდი იმპერია – სომხეთი, რომელიც მუდმივი საშიშროება იქნებოდა მისი ბატონობისათვის აღმოსავლეთში“.² სომხეთზე მოულოდნელი თავდასხმით ლუკულუსმა ტიგრანოკერტთან (სომხეთის იმდროინდელი დედაქალაქი, ახლანდელი ფარკინი) სასტიკად დაამარცხა ტიგრანის რიცხოვრივად ჭარბი ჯარი. შემდეგ აიღო თვით ქალაქი ტიგრანოკერტიც. ნმ წლის სექტემბერში მდინარე არსანიასთან წარუმატებელი ბრძოლის შემდეგ, სადაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ტიგრანის ჯარში მყოფმა მარდებმა და იბერიელმა შუბოსნებმა, ლუკულუსის ლაშქარში იმატა გაჭიანურებული და უდავლო ომით გამონვეულმა უკმაყოფილებამ. ლუკულუსი იძულებული იყო შეენყვიტა წინსვლა არტაშატისაკენ და უკან გამობრუნებულიყო.

ლუკულუსი, მისი არისტოკრატიზმისა და ჯარისკაცებისათვის ნადავლის შეძენის აკრძალვის გამო, მეტად არაპოპულარული იყო თავისსავე ლაშქარში. უკმაყოფილო იყო მისი თვითნებური მოქმედებით სენატიც და, რაც მთავარია, აღმოსავლეთის საქმეებით ყველაზე მეტად დაინტერესებული კლასი – მხედრები, რომლებსაც პატივმოყვარე ოპტიმატმა საგრძნობი ეკონომიკური ზარალი მიაყენა. „ეს მძარცველები, – გადმოგვცემს პლუტარქე, – როგორც საჭმლის დამტაცებელი ჰარპიები, სრულიად განდევნა ლუკულუსმა აზიიდან“.³ რომში ლუკულუსის მონინააღმდეგეთა საქმიანობის შედეგად, მას პროვინცია აზია ჩამოერ-

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 84; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 256.

2. Я. А. Манандян, დასახ. ნაშრომი, გვ. 91-92.

3. პლუტარქე, ლუკულუსი, VII.

თვა და ერთ-ერთ პრეტორს გადაეცა, ხოლო კილიკია – კვინტუს მარციუს რექსს. ლუკულუსს მხოლოდ მთავარსარდლობა შერჩა, ამასთანავე, სენატის ბრძანებით, მის ჯარში მყოფი ფიმბრიასიუსი ლეგიონების ჯარისკაცები, სამსახურის ვადის გასვლის გამო, რომში უნდა დაბრუნებულიყვნენ. მითრიდატე იყენებდა ლუკულუსის მძიმე მდგომარეობას, წარმატებით აწარმოებდა რომაელთა წინააღმდეგ გერილიას ტიპის ომს და ცდილობდა ლუკულუსი მისივე ხერხით დაემარცხებინა. ზელასთან მითრიდატემ დაამარცხა მისი სარდალი ტრიარუსი. ეს ამბავი კარგად გამოიყენეს ლუკულუსის პოლიტიკით უკმაყოფილო მხედრებმა – „მომინებადაკარგულმა მოიჯარეებმა გადანყვიტეს გადაეყენებინათ ლუკულუსი და შეეცვალათ იგი უფრო დამყოლი მეთაურით“.¹ მის ნაცვლად მთავარსარდალად გამოგზავნილ იქნა უნიათო კონსული მანიუს აცილიუს გლაბრიონი. ასევე უნიციპატივო იყო კილიკიის მმართველად დანიშნული რექსიცი. ფერერო ლუკულუსის მეტად გადაჭარბებულ შეფასებას იძლევა და მას ნაპოლეონსაც კი ადარებს.² მაგრამ ერთი კი ცხადია, მითრიდატესთან და ტიგრანთან ომში ლუკულუსმა თავისი ნიჭისა და ენერჯის წყალობით მცირე ძალებით დიდ წარმატებებს მიაღწია და ისე მაგრად შეარყია პონტოსა და სომხეთის სამეფოების სიძლიერე, რომ მისი მომდევნო სარდლის – პომპეუსისათვის – უკვე ადვილი იყო მათზე საბოლოო გამარჯვების მოპოვება. ფლორუსი აღნიშნავს: „ლუკულუსის გამარჯვებით უკვე გატეხილი იყო უძლიერესი მეფის (მითრიდატე ევპატორის – ჯ. ო.) ყველა ძალები“.³

67 წლისათვის, ისარგებლა რა იმ მდგომარეობით, რომ რომს აზიაში ჰყავდა არმიები უგენერლებოდ და გენერალი უარმიოდ,⁴ მითრიდატემ ძალი მოიცა და ტიგრანთან, აგრეთვე ატროპატენის მეფე მითრიდატესთან ერთად, მთლიანად განდევნა რომაელები მათ მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან და საფრთხე

1. P. Виппер, Очерки истории римской империи, Москва, 1908, გვ. 114.

2. Г. Ферреро, დასახ. ნაშრომი. გვ. 204-206.

3. ფლორუსი, მითრიდატეს ომი, 40, 20. ВДИ, №3, 1949, გვ. 231.

4. Th. Reinach, დასახ. ნაშრომი, გვ. 378.

შეუქმნა რომაელთა ბატონობას პერგამონში. მითრიდატეს მხედრები ბითინიაში თარეშობდნენ, ხოლო ტიგრანმა კვლავ გადაძევა კაპადოკიიდან არიობარზანი. რომაელებს პონტოში ერთი მტკაველი მიწაც აღარ ეკავათ. გარდა აღმოსავლეთში შექმნილი ცუდი მდგომარეობისა, დიდ ზიანს აყენებდნენ რომს ზღვებზე გაბატონებული მეკობრეები. არა მარტო ზღვაოსნობა, არამედ თვით აპიუსის გზაზე მოგზაურობაც კი სახიფათო გახდა. სავაჭრო ნრეებთან დაკავშირებული პოპულარების მოთხოვნით, 67 წელს მიღებულ იქნა ე. წ. გაბინიუსის კანონი, რომლის ძალითაც გნეუს პომპეუსს, რომაელთა შორის სახელგანთქმულ სარდალს, 3 წლით დიქტატორის უფლებები მიენიჭა. დიქტატორის განკარგულებაში უნდა ყოფილიყო საკმაოდ დიდი სამხედრო ძალები და მატერიალური რესურსები, ამასთანავე, პომპეუსი არ დაკმაყოფილდა მისთვის ოფიციალურად გადაცემული ძალებით და მეკობრეებთან საბრძოლველად შეკრიბა 120 ათასი ქვეითისა და ოთხი ათასი მხედრისაგან შემდგარი ლაშქარი. აგრეთვე 260 ხომალდი. 25 ლეგატი თანაშემწეებად წაიყვანა.¹ პომპეუსმა დიდი ენერჯიითა და მეთოდურობით აწარმოა ბრძოლა მეკობრეებთან და მოკლე ხანში (48 დღეში) ზღვა განმწინდელ იქნა მათგან. ამ გამარჯვებამ ისედაც სახელგანთქმულ სარდალს რომის პირველი მოქალაქის – პრინციპსის (*princeps civitatis*) საპატიო ნოდება მოუპოვა.

პომპეუსისათვის მთავარსარდლობისა და უმაღლესი ხელისუფლების ჩაბარება აღმოსავლეთში და მისი ლაშქრობა პონტოსა და სომხეთში

სულას ყოფილი მიმდევარი გნეუს პომპეუსი დემოკრატებს დაუახლოვდა და მათი მეშვეობით ცდილობდა მიეღწია აღმოსავლეთის ჯარების მთავარსარდლობისათვის. 70 წელს კრასუსთან ერთად გნეუს პომპეუსი კონსულად იქნა არჩეული

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 94; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 262.

როგორც დემოკრატების კანდიდატი. მათი კონსულობის პირველსავე წელს გამოცემული კანონებით დემოკრატებმა მოსპეს სულანური წყობილება. ამიერიდან დემოკრატიული პარტია ოპოზიციურიდან მმართველ პარტიად იქცა. პოპულარებთან დაკავშირებულმა მხედრებმა და, საერთოდ, აღმოსავლეთით დაინტერესებულმა ფულადმა არისტოკრატებმა დღის წესრიგში დააყენა აღმოსავლეთში რომის პოლიტიკის გააქტიურების საკითხი. აღმოსავლეთის არმიის მთავარსარდალი თავის მოქმედებაში სენატის მიერ შეზღუდული რომ არ ყოფილიყო, სახალხო პარტიები აქტიურად იბრძოდნენ მისთვის ექსტრა-ორდინარული დიქტატორული უფლებების მინიჭებისათვის, ამასთანავე, ყველაზე შესაფერის კანდიდატად აღმოსავლეთის მთავარსარდლის პოსტზე გნეუს პომპეუსს დიდი მიაჩნდათ.

გნეუს პომპეუსი დაიბადა 106 წლის 29 სექტემბერს. მოვლენათა მისთვის ხელსაყრელი განვითარების გამო, ჯერ კიდევ მეკობრეებზე გამარჯვებამდე (67 წ.) პომპეუსს დიდი სარდლის სახელი ჰქონდა დამკვიდრებული სიცილიაში, აფრიკაში, ესპანეთში და სპარტაკის ჯარის ნარჩენებზე მოპოვებული გამარჯვებების შედეგად. ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდას, სულამ მას დიდი (მაგნუს) უწოდა და ტრიუმფით დააჯილდოვა. ათლეტური აღნაგობის პომპეუსი არ იყო დაჯილდოებული დიდი ნიჭით და სახელმწიფო მოღვაწისათვის აუცილებელი გამჭრიახი გონებით. უინიციატივობაში და მშიშრობაში გადაზრდილი გადაჭარბებული სიფრთხილის გამო, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს დიდ მხედართმთავრად. მის შესახებ მომზენი წერს: „ის არ იყო ცუდი და უნიჭო, მაგრამ სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ბუნებამ იგი კარგ ზემდეგად დაბადა, ხოლო გარემოებამ სარდლად და სახელმწიფო მოღვაწედ აქცია“.¹

პომპეუსის განდიდება იმის შედეგი იყო, რომ იგი პოლიტიკურ შეხლა-შემოხლაში გამარჯვებული სოციალური დაჯგუფების პოზიციაზე დგებოდა. ამავე დროს, თავისი პოლიტიკუ-

1. T. Mommsen, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 7-8.

რი მრწამსის მერყეობით იგი გამონაკლისს არ წარმოადგენდა რომაელ სახელმწიფო მოღვაწეთა შორის. სამხედრო საქმეში განსაკუთრებული ნიჭით ვერ დაიკვეხნიდა, სამაგიეროდ გამოცდილი, ფრთხილი და მამაცი მხედარი იყო. იმ დროს, როდესაც მითრიდატეს და ტიგრანის წინააღმდეგობა ძირითადად უკვე გატეხილი იყო ლუკულუსის მიერ, პომპეუსს შეეძლო მიეღწია საბოლოო გამარჯვებისათვის. ამჯერად საჭირო იყო სწორედ სიფრთხილე და წინდახედულობა, ომის მეთოდურად წარმოება.

66 წელს სახალხო ტრიბუნმა გაიუს მანილიუსმა კომიციებში განსახილველად შეიტანა კანონპროექტი პომპეუსის აღმოსავლეთში მთავარსარდლად დანიშვნისა და მისთვის განუსაზღვრელი დიქტატორული უფლებების მინიჭების შესახებ. ამ კანონპროექტით პომპეუსს რჩებოდა მისთვის გაბინიუსის კანონით მინიჭებული imperium-ი ზღვაზე და, ამასთანავე, ინიშნებოდა მცირე აზიის ყველა პროვინციის მმართველად. მას შეეძლო თავისი ნება-სურვილით დაეწყო ომი და ზავი შეეკრა მეზობელ სახელმწიფოებთან. მანილიუსის კანონპროექტის დასაცავად თავისი პირველი პოლიტიკური ხასიათის სიტყვა წარმოთქვა მარკუს ტულიუს ციცერონმა. სიტყვაში „მანილიუსის კანონისათვის“ (de imperio Gnei Pompeii ad quirites oratio) ანტიკური მჭევრმეტყველების დიდოსტატი პირდაპირ გუნდრუკს უკმევდა პომპეუსის დიდებას. ციცერონი აღიდებდა მის მხედართმთავრულ ტალანტს, საერთოდ, ბუნებრივ ნიჭს, პირად მიმზიდველობას და მიუთითებდა პომპეუსის სვებედნიერებაზე. ციცერონის ეს სიტყვა აღსანიშნავია იმით, რომ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის აზიაში რომის რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ. ციცერონი მიანიშნებდა აზიის ურიცხვ სიმდიდრეებზე და აზიიდან შემოსული გადასახადების მნიშვნელობაზე რომის ეკონომიკისათვის. ამ სიტყვაში იგი მხედართა კლასის დამცველად და იდეოლოგიად გამოდის და დიდ ადგილს უთმობს მათი კაპიტალის დაცვას აზიაში. „საჭიროა მხოლოდ შეგნება მომენტის მთელი საშინელებისა, – ამბობდა ციცერონი, – აზიის პროვინციის დაკარგვა აურაცხელ უბედურებას განუმზადებს ჩვ-

ენს მოკავშირეებს, რომლებიც ჩვენ მოვალენი ვართ დავიცვათ ჩვენი სახელმწიფოს კეთილდღეობასა და ღირსებასთან ერთად; იჩაგრებიან და ისჯებიან აგრეთვე გადასახადებისა და ბაჟების ნარდად შემსყიდველები (პუბლიკანები), ეს მეტად დარბაისელი და პატივცემული პირნი (*homines honestissimi atque ornatis-simi*), რომელთაც ამ პროვინციაში დააბანდეს თავიანთი სახსრები (*suas rationes et copias*); და ბოლოს, იჩაგრებიან დანარჩენი მოქალაქეებიც, რომლებიც დაკავშირებული არიან ნარდად შესყიდვის ოპერაციებთან. ხომ ვერ მოეწყობა სახელმწიფოში საქმე ისე, რომ მრავალთა დანაკარგმა გავლენა არ იქონიოს უფრო მეტ მოქალაქეზე".¹ მანილიუსის კანონპროექტი ვერც ერთი პარტიის მხრივ ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ წააწყდა და თითქმის ერთხმად იქნა მიღებული.

მანილიუსის კანონი, უფრო მეტად, ვიდრე გაბინიუსისა, თავის თავში მონარქიის ჩანასახს შეიცავდა და მისი მიღება გამონვეული იყო რესპუბლიკური წყობილების კრიზისული მდგომარეობით. მანილიუსის კანონის მიღების შემდეგ დავინწყებას ეძლეოდა რომის რესპუბლიკური კონსტიტუცია და სენატის ძლიერებაც ირყეოდა. შეუზღუდავი უმაღლესი ხელისუფლებით (*imperium mains*) აღჭურვილი პომპეუსი აზიაში ომის დამთავრებამდე სრულიად დამოუკიდებელი ხდებოდა სენატისაგან. „რომის არსებობის მთელი დროის განმავლობაში, – წერს მომზენი, – ასეთი ხელისუფლება არასოდეს ყოფილა თავმოყრილი ერთი კაცის ხელში“.² თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ სულას.

როდესაც აღმოსავლეთში მთავარსარდლად თავისი დანიშვნის ამბავი შეიტყო, პომპეუსი კილიკიაში იმყოფებოდა. მეკობრეებთან საბრძოლველად აქ მას საკმაოდ დიდი არმია და ფლოტი ჰყავდა. დელიონში ლუკულუსთან შეხვედრის შემდეგ პომპეუსმა მისი არმიის ნარჩენებიც შეიერთა, მათ

1. ციცერონი, მანილიუსის კანონისათვის, 17-18; ვ. სერგეევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 354-355.

2. Т. Моммзен, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 97-98.

შორის, ფიმბრიასეული ლეგიონების ნაწილიც. პომპეუსის განკარგულებაში იყო აგრეთვე გლაბრიონისა და რექსის ჯარებიც. ამრიგად, მის ხელთ საკმაოდ დიდმა არმიამ მოიყარა თავი. აპიანეს იმ ცნობაზე დაყრდნობით, რომ პომპეუსმა რომში დაბრუნების წინ თავის ჯარს 16000 ტალანტი დაურიგა¹ და პლინიუსზე დაყრდნობით (NH. XXXVII. 2, 16), თუ როგორ განაწილდა ეს ჯილდო ჯარისკაცებს შორის, მომზენი პომპეუსის არმიის საკუთრივ რომაულ ნაწილს, მოკავშირეთა გამოკლებით, ლაშქრობის დასასრულისათვის 40-დან 50 ათასამდე ანგარიშობს.² რაინახი მიიჩნევს, რომ პომპეუსს 60000 ჯარისკაცი ჰყავდა.³ ყოველ შემთხვევაში, ცხადია ერთი, პომპეუსს ლუკულუსზე უფრო დიდი არმია ჰყავდა თვით მძიმე ლაშქრობის შედეგად განცდილი დანაკლისის შემდეგაც კი.

პონტოში შეჭრამდე მითრიდატეს დასაზვერად პომპეუსმა წინდახედულად ემიგრანტი მიტროფანე გაგზავნა როგორც დესპანი, ხოლო შემდეგ, რათა ჩაეშალა, ერთი მხრივ, მითრიდატე-ტიგრანსა და, მეორე მხრივ, პართიის მეფე ფრაატს შორის მოსალოდნელი შეთანხმება, ელჩები მიავლინა ქტესიფონში და პართიის მეფეს, თუ იგი რომაელებს მხარს დაუჭერდა, მესოპოტამიის გადაცემა აღუთქვა. ამის შედეგად ფრაატმა რომაელებთან მოკავშირეობის ხელშეკრულება დადო. ფრაატმა დიდი დახმარება გაუწია რომაელებს – შეივრდომა ტიგრან II-ის გამდგარი შვილი ტიგრან მცირე, მისცა მას ლაშქარი და არტაშატიც დაიპყრო. პართიელებთან საომარ მოქმედებაში ჩაბმულმა ტიგრან დიდმა დახმარება ველარ აღმოუჩინა მითრიდატე ევპატორს და ეს უკანასკნელი ამჯერადაც მარტო დარჩა რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

66 წლის გაზაფხულზე ომი რომაელებსა და მითრიდატეს შორის განახლდა. ამ ომში მითრიდატეს უკვე აღარ ჰყავდნენ მოკავშირეებად მეკობრეები, ზღვაზე პომპეუსის 270 ხომალდ-

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 116; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

2. T. Mommsen, დასახ. ნაშრომი, გვ. 104.

3. Th. Reinach, დასახ. ნაშრომი, გვ. 382, შენ. 2.

ისაგან შემდგარი ფლოტი ბატონობდა. მითრიდატემ 30 ათას ქვეითსა და 2 თუ 3 ათას მხედარს მოუყარა თავი.¹ პომპეუსის მხარეს, გარდა საკუთრივ რომაული სამხედრო ნაწილებისა, მცირეაზიელთა მხედრობაც გამოდიოდა და, მიუხედავად იმისა, რომ რექსის ლეგიონები კილიკიაში დატოვა, მაინც გაცილებით უფრო ჭარბი ძალები ჰყავდა, ვიდრე მითრიდატეს. სწორედ ამიტომ მოითხოვდა იგი მითრიდატესაგან უსიტყვო კაპიტულაციას.² მცირე ძალების მქონე მითრიდატე ნახევრად პარტიზანულ ომს აწარმოებდა რომაელთა წინააღმდეგ და ცდილობდა კომუნიკაციების გადაჭრით შეეფერხებინა პომპეუსის არმიის მომარაგება. ამის გამო პომპეუსმა ომის დასაწყისში რაიმე საგრძნობ წარმატებას ვერ მიაღწია. პონტოში შეჭრილმა პომპეუსმა მცირე არმენიისაკენ გაილაშქრა, სადაც სურსათ-სანოვავის დიდი მარაგი იყო. მალე იქ მითრიდატეც მივიდა და თავისი ლაშქრით ერთ მიუვალ მთაზე გამაგრდა. მაგრამ პონტოელებს მალე წყალი შემოაკლდათ, რის გამოც იძულებული გახდნენ მიეტოვებინათ გამაგრებული ბანაკი და უკან დაეხიათ. შემდეგ, სტრაბონის ცნობით, მითრიდატემ დაიკავა „წყაროებით მდიდარი მთა აკილისენე დასტიერის მახლობლად“³, მაგრამ კილიკიიდან მოსული ლეგიონებით გაძლიერებული პომპეუსის ალყას ვერ გაუძლო და აქედანაც დაიხია. მდინარე ლიკთან, დღევანდელი პიურკის მახლობლად, პომპეუსი წამოენია პონტოს მეფეს და სასტიკად დაამარცხა იგი. შემდეგში პომპეუსმა თავისი გამარჯვების ადგილას (ახლანდელ პიურკთან) ქალაქი ნიკოპოლისი დააარსა. დამარცხებული მითრიდატე გაიქცა სომხეთის საზღვარზე მდებარე ქალაქ სინორიაშიკ,⁴ სადაც მისი განძეულობა ინახებოდა, თავის ჯარს ფული დაურიგა და სომხეთში აპირებდა გადასვლას,

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 97; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264; პლუტარქე, პომპეუსი, XXXII. ВДН, №4, 1947, გვ. 282.

2. აპიანე, მითრიდატეს ომები, 98; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 264.

3. სტრაბონი, გეოგრაფია, XII. 3, 28.

4. მანანდიანის აზრით, სინორია ახლანდელი კალდარიჩიდან 22 კმ-ის მანძილზე მდებარეობდა. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

მაგრამ ტიგრან II-მ თავისი სიმამრი არათუ არ მიიღო, არამედ მისი დესპანები შეიპყრო და თავად მითრიდატეს შეპყრობისათვის 100 ტალანტი ჯილდო დანიშნა.¹ ამის მიზეზი ის იყო, რომ მითრიდატე ხელს უწყობდა ტიგრან მცირეს მამის წინააღმდეგ აჯანყებაში, ვინაიდან იგი მისთვის უფრო სასურველი იყო სომხეთის მეფის ტახტზე, გარდა ამისა, ტიგრან II ამჯერადაც ცდილობდა ნეიტრალიტეტი დაეცვა და თავიდან აეცილებინა რომაელებთან შეჯახება. მითრიდატე ხოტენურ არმენიაში გადავიდა. ხოტენელი (ხორძენელი) იბერებისა და არმენების დამარცხების შემდეგ კოლხეთში წავიდა და 66 წლის ზამთარი დიოსკურიაში გაატარა.

პომპეუსმა მითრიდატესთან ომი დასრულებულად ჩათვალა და სომხეთისაკენ დაიძრა, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ მითრიდატეს ომებში ტიგრანი რომაელთა მიმართ ნეიტრალიტეტს იცავდა, რომი ვერ დაუშვებდა წინა აზიაში ძლიერი სომხეთის სამეფოს არსებობას.

სომხეთის სამეფოს საფუძველი ჩაუყარეს ანტიოქოზ დიდის სარდლებმა არტაქსიასმა (არტაშესმა) და ზარიადრმა, რომლებიც მაგნეზიასთან განცდილი დამარცხების შემდეგ (190 წელს ჩვენს ერამდე) განუდგნენ ანტიოქოზს, დამკვიდრდნენ სომხეთში და განავრცეს მისი საზღვრები მეზობელთა ხარჯზე. განსაკუთრებულ ძლიერებას მიაღწია სომხეთმა ჩვენს ერამდე 95 წელს გამეფებული ტიგრან II-ის დროს. უპირველესად ყოვლისა, ტიგრანმა მეზობელი სოფენა შემოიერთა. 90-იანი წლების ბოლოს მან კავშირი დადო მითრიდატე პანტოელთან და ამით უზრუნველყო თავისი სამეფოს უშიშროება დასავლეთის მხრიდან. ტიგრანმა, რომელიც მოხერხებულად იყენებდა პართიისა და რომის შინააშლილობას, აგრეთვე ომებს პონტოსა და რომს შორის, ფართოდ გაშალა საექსპანსიო მოძრაობა. ტიგრან II-ის საექსპანსიო პოლიტიკის წარმატების ძირითადი მიზეზი იყო თვითონ სომხეთის ეკონომიკური სიძლიერე. „ტიგრ-

1. პლუტარქე, პომპეუსი, XXXII. ВДИ, №4, 1947, გვ. 282; დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVI, 50. ВДИ, №2, 1948, გვ. 268.

ან დიდის წარმატებების გასაღები, – აღნიშნავს პროფესორი ხალატიანიცი, – უნდა ვეძიოთ ეკონომიკური ძალების იმ უზარ-მაზარ მარაგში, რომელიც გროვდებოდა სომხეთში საუკუნეთა განმავლობაში სპარსელების ბატონობის მშვიდობიან ხანაში, სელევკიდების დროს და შემდეგ“.¹

საკუთრივ სომხეთში გაძლიერების შემდეგ, ტიგრან II-მ თავისი მახვილი, უპირველესად ყოვლისა, პართიის წინააღ-მდეგ მიმართა და თავის გამოსასყიდად პართიისათვის და-თმობილი (იგი ტყვედ იყო პართიაში) ჩრდილო-აღმოსავლეთ ატროპატენაში მდებარე 70 ხეობა დაიბრუნა. შემდეგ დაიპ-ყრო ადიაბენა, მიდია-ატროპატენა და სომხეთის ვასალებად აქცია მათი მეფეები მას შემდეგ, რაც მისმა ლაშქარმა ეკბა-ტანამდე მიაღწია. დამარცხებული პართია იძულებული იყო ტიგრანისათვის მესოპოტამია დაეთმო.² 83-81 წწ. ტიგრანმა მთელი ზემო სირია დაიპყრო ქალაქ სელევკიის გამოკლებით და აგრეთვე ფინიკიის ქალაქები.

ტიგრანის დიდ სამეფოში ფართოდ გავრცელებული იყო ელ-ინისტური კულტურა, რასაც ხელს უწყობდა ელინისტურ პო-ნტოსთან მეზობლობა. თავის მხრივ, ტიგრან II ძალიან უწყობდა ხელს ელინიზმის გავრცელებას თავის სამეფოში. 77 წელს მან დააარსა ელინისტური ქალაქი ტიგრანოკერტი (მდებარეობდა ახლანდელი ფარკინიის ადგილას). მეფის კარზე თავს იყრიდნენ ფილოსოფოსები, მხატვრები და ლიტერატორები. ტიგრან II-ის შვილი არტავაზდი ბერძნულ ენაზე ტრაგედიებს წერდა.

ახორციელებდა რა Divide et impera-ს პრინციპს, რომი მხ-ოლოდ გარკვეულ დრომდე ითმენდა სომხეთის გაძლიერებას, მითრიდატეს დამარცხების შემდეგ კი პომპეუსს უკვე განსნი-ლი ჰქონდა ხელები სომხეთის წინააღმდეგ სამოქმედოდ. ლუ-კულუსისაგან განსხვავებით, პომპეუსი რომაელი მდიდარი არისტოკრატიის სრული მხარდაჭერით სარგებლობდა. ის-

1. Г. А. Халатици, Очерк истории Армении... Москва, 1910, გვ. 161.

2. მანანდიანის აზრით, სომეხ-პართიელთა ომები და ტიგრანის დაპყრობები პარ-თიის ხარჯზე მოხდა 89-85 წწ. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

არგებლა რა მამის წინააღმდეგ აჯანყებული ტიგრან მცირის მოწვევით, პომპეუსმა სომხეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების საბაზად ტიგრანის მიერ ვითომც მითრიდატესათვის გაწეული დახმარება მოიმიზეზა და წნ წლის შემოდგომაზე რომაელთა ლაშქარი სომხეთში შეიჭრა. პომპეუსის ლაშქრის სინორიიდან არტაშატისაკენ მოძრაობის მარშრუტი დადგენილი აქვს აკადემიკოს მანანდიანს.¹ იგი მისდევდა პევტინგერის ტაბულაზე აღნიშნულ მნიშვნელოვან ძველ სავაჭრო-სამომოსვლო მაგისტრალს – Satala-Sinara-Artaxata. მდინარე არაქსიდან არტაშატისაკენ მოძრაობის დროს პომპეუსს უნდა გაეწოდებინა პევტინგერის ტაბულაზე აღნიშნული გამაგრებული პუნქტები: Andaga (ძველი სომხური ანთაკი), ალაშქერტის ხეობაში მდებარე Chadas (ხასდურ, ხანზირი), აგრეთვე Bagauna (ძველსომხური ბაგავანი, ახლანდელი უჩ-კილისი). თავდაპირველად ტიგრან დიდმა წინასწარი მოლაპარაკებების დროს კაპიტულაციაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ პომპეუსმა გადალახა მდინარე არაქსი და არტაშატიდან ჩრდილოეთით, მისგან 15 კმ-ში დაბანაკდა.² ამ გზით რომაელები მათ ჯარში მყოფმა ტიგრან მცირემ მოიყვანა და გასამრჯელოდ მამის ტახტს ელოდა, მაგრამ მისი სომხეთის ტახტის ხელთ გდების ვარაუდი არ გამართლდა. იმ დროს, როდესაც პართია ზურგიდან ემუქრებოდა და მითრიდატე პონტოელი უკვე დამარცხებული იყო, ტიგრან II-მ შეუძლებლად ჩათვალა ბრძოლის წარმოება რომაელებთან, შეუშვა მათი გარნიზონი არტაშატში და თვითონ პომპეუსთან გამოცხადდა. დიონ კასიუსი ასე აგვიწერს ტიგრან დიდის დანებებას: «ტიგრანმა ჩააბარა მას ქალაქი და თავისი ნებით გამოცხადდა მის ბანაკში. იგი ისე შეიმოსა, რომ ძველი დიდების კვალიც დატყობოდა და ამჟამინდელი დამცირებაც ეჩვენებინა, რათა პომპეუსის წინაშე წარმდგარიყო თანაბრად ღირსი პატივისცემისა და შებრალებისა: მან გაიხადა თავისი თეთრი კვართი, შემოიხსნა მენამული მანტია, მაგრამ დაიტ-

1. იხ. მისი შრომა – *Круговой путь Помпея в Закавказье*. ВДИ, №4, 1939, გვ. 71-74.

2. იქვე, გვ. 73.

ოვა ტიარა და სახვევი. პომპეუსმა გაგზავნილი ლიქტორის პირით უბრძანა მას ჩამოქვეითებულიყო (რადგანაც იგი ახლოვდებოდა აშკარა განზრახვით, ამხედრებული შემოსულიყო გამაგრებულ ბანაკში ადგილობრივი ჩვეულების თანახმად), მაგრამ როდესაც იგი ფეხით შემოვიდა, დააგდო დიადემა და მიწაზე განრთხმული მიესალმა (პომპეუსს – ჯ. ო.), როგორც მეფეს. ამის დამნაშავემა პომპეუსმა სიბრალული იგრძნო, ადგა, წამოაყენა იგი, შემოახვია სახვევი, დასვა უახლოეს სავარძელზე და მიმართა დამამშვიდებელი სიტყვით, რომელშიც, სხვათა შორის, თქვა, რომ მან (ტიგრანმა – ჯ. ო.) არათუ არ დაკარგა სომხეთის სამეფო, არამედ რომაელთა მეგობრობაც მოიპოვა.¹ ე. ი. ტიგრან დიდი ჩარიცხულ იქნა „რომაელი ხალხის მეგობართა და მოკავშირეთა“ (*amicus et socius populi Romani*) რიცხვში, მაგრამ სომხეთს ეს ძვირად დაუჯდა. აპიანეს, დიონ კასიუსისა და პლუტარქეს ერთობლივი გადმოცემით, ტიგრანს მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებული სომხეთი შერჩა. სომხეთს ჩამოერთვა: სირია, აღმოსავლეთი კილიკია, ფინიკია, კაპადოკია, გორდიენე და სოფენე.² პომპეუსმა სომხეთისაგან მიიღო სამხედრო კონტრიბუცია 6000 ტალანტის (დაახლოებით 12,5 მლნ. ოქროს მანეთის) ოდენობით. გარდა ამისა, ტიგრანმა პომპეუსის ლაშქრის თითოეულ ჯარისკაცს 50 დრაქმა (17,5 ოქროს მანეთი), თითოეულ ცენტურიონს 1000 დრაქმა (350 ოქროს მანეთი) და თითოეულ ტრიბუნს 1 ტალანტი (2100 ოქროს მანეთი) გადასცა ფულადი საჩუქრის სახით. ამ ამბების შესახებ აპიანე გადმოგვცემს: „...პომპეუსს მან (ტიგრანმა – ჯ. ო.) მისცა 6000 ტალანტი, მის თითოეულ ჯარისკაცს – 50 დრაქმა, ცენტურიონს – 1000, ხოლო სამხედრო ტრიბუნს – 10000. პომპეუსმა აპატია მას ყველაფერი, რაც კი წინათ მოხდა, შეარიგა იგი შვილთან და როგორც მედიატორმა, გადაწყვიტა, რომ შვილი იქნებოდა სოფენისა და გორდიენის მმართველი, – ეს

1. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVI. 52, 2-4. ВДП, №2, 1948, გვ. 269.

2. აპიანე, მითრიდატეს ომები, 105; დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVI. 53, 2; პლუტარქე, პომპეუსი, 33.

ის ნანილებია, რომლებსაც ახლა სწორედ მცირე არმენიას უწოდებენ, – ხოლო მამა იქნებოდა გამგებელი მთელი დანარჩენი არმენიისა. ამასთანავე, ეს შვილი უნდა ყოფილიყო მისი მემკვიდრე. ის ქვეყნები კი, რომლებიც მან შეიძინა, პომპეუსმა უბრძანა უკანვე დაებრუნებინა. ტიგრანს მოუხდა დაეთმო სირია ევფრათიდან ზღვამდე, რადგანაც ხელთ ეპყრა ისიც და კილიკიის ნანილიც“.¹

ამრიგად, არმენიის დიდი და ძლიერი სამეფო დასუსტებული და ტერიტორიულად შეკვეცილ იქნა. პომპეუსი, მისთვის ჩვეული სიფრთხილის გამო, მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, არ აპირებდა ომის დაწყებას პართიის წინააღმდეგ და სწორედ ამიტომ დატოვა ტიგრან II სომხეთის ტახტზე. მან გამოიყენა ტიგრან მცირის უკმაყოფილება მამამისის არმენიის ტახტზე დატოვებით და როდესაც ტიგრან მცირემ სოფენეში მდებარე ტიგრან დიდის განძსაცავებიდან რომაელებისათვის ფულის გაცემაზე უარი განაცხადა და კვლავ განაგრძობდა პართიელების ამხედრებას პომპეუსის წინააღმდეგ,² შეიპყრო იგი ქალიშვილთან და ცოლთან (ფრათის ქალიშვილთან) ერთად და რომში გააგზავნა. ცხადია, პართიის დაუძინებელი მტერი მოხუცი ტიგრანი უფრო სასურველი იყო რომაელთათვის სომხეთის ტახტზე, ვიდრე ფრათის სიძე და მეგობარი ტიგრან მცირე. სომხეთს ბუფერული სახელმწიფოს როლი ერგო. იგი რომის ფორპოსტად იქცა აღმოსავლეთში.

პომპეუსმა შეცვალა დამოკიდებულება პართიასთან. როგორც ცნობილია, „ძირითად, წარმმართველ ხაზს რომაელთა პოლიტიკისა აღმოსავლეთში წარმოადგენდა პართიას, სომხეთსა და პონტოს შორის წინააღმდეგობათა მოხერხებული გამოყენება, კავშირი ყველაზე სუსტთან ძლიერის საზიანოდ“.³ – ეს იყო რომაელთა დევიზის Divide et impera-ს განხორციელება.

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 104-105; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 269.

2. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVI. 53, 3-5. ВДИ, №2, 1948, გვ. 269; გ.

გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 269; პლუტარქე, პომპეუსი, 33.

3. E. C. Готьева, დასახ. ნაშრომი, გვ. 55.

სომხეთის რომაელთა გავლენის სფეროში მოქცევის შემდეგ, პომპეუსი მხარს უჭერდა ტიგრანს თავისი ყოფილი მოკავშირის ფრაატის წინააღმდეგ. ამიერიდან ფრაატს მხოლოდ „მეფის“ ტიტულით მიმართავდნენ რომაელები, ხოლო ტიგრანს კვლავ „მეფეთ მეფეს“ უწოდებდნენ. 64 წლისათვის რომაელი სარდლის აფრანიუსის პართია-სომხეთის საქმეებში სამხედრო ჩარევის შემდეგ, პომპეუსის მიერ დანიშნულმა მედიატორე-მოსამართლეებმა პართიასა და სომხეთს შორის ატეხილი დავა ტერიტორიულ საკითხებზე სომხეთის სასარგებლოდ გადაწყვიტეს და პართია იძულებული გახდა გადაეცა სომხეთისათვის არა მარტო კორდუენა, არამედ ჩრდილოეთ მესოპოტამიაც, რომელიც პომპეუსთან დადებული ხელშეკრულებით, პართიის საზღვრებში უნდა მოქცეულიყო. ტიგრანმა რომაელებისაგან მიიღო აგრეთვე დერჯანი და აკილისენა.

ლუკულუსის და პომპეუსის ლაშქრობათა შედეგად სომხეთის ბუფერულ სახელმწიფოდ გადაქცევამ მეტად სავალალო დალი დააჩნია სომხეთის ისტორიის შემდგომ განვითარებას. მართალია, პართია იმ დროს, როდესაც პომპეუსის ლაშქარი სირიაში იდგა, იძულებული იყო თავისი სისუსტის გამო შერიგებოდა სომხეთის მოქცევას რომაელთა გავლენის ქვეშ და ტერიტორიულ დანაკარგებს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ, მაგრამ პომპეუსის სიფრთხილისა და გაუბედაობის გამო ფრაატი დამარცხებული არ ყოფილა და პართიაზე რომაელთა გავლენა არ გავრცელებულა. ამიერიდან პართიასა და რომს შორის მოქცეული სომხეთი ამ დიდ სახელმწიფოთა შორის ბრძოლის ასპარეზად იქცა. სომხეთზე მნიშვნელოვანი სავაჭრო-სამიმოსელო მაგისტრალი გადიოდა და მას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რომის, ისე პართიისათვის. ამიტომ ორივე სახელმწიფო ცდილობდა ცეცხლითა და მახვილით დაეპყრო იგი ან მოხერხებული დიპლომატიის მეშვეობით თავისი გავლენის ქვეშ მყოფ მოკავშირედ ექცია. ამიერიდან სომხეთის პოლიტიკურ მდგომარეობას დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოთა პოზიციები განსაზღვრავდა, რის შედეგადაც სომეხი ხალხი იძულებული იყო მონაწილე-

ობა მიეღო მისთვის უსარგებლო და გაუთავებელ მძიმე ომებში. „ეს საბედისწერო მდგომარეობა, – წერს აკადემიკოსი მანანდია-ნი, – რომელიც შეიქმნა სომხეთში პომპეუსის 66 წ. ლაშქრობის შდეგად, გრძელდებოდა მისი ისტორიის არა მარტო რომაულ-პართიულ ეპოქაში, არამედ აგრეთვე ბიზანტიურ-სასანიდურ, ბიზანტიურ-არაბულ და შემდეგ ეპოქებში“.¹

ლუკულუსისა და პომპეუსის ლაშქრობების დროს სომხეთი გაიძარცვა. აოხრებულ და დანგრეულ იქნა ელინისტური ქალაქი ტიგრანოკერტი. როგორც აღნიშნული იყო, რომაელთა ექსპანსიამ აღმოსავლეთში საერთოდ ელინიზმის დაცემა და აღმოსავლური ქვეყნების დასუსტება გამოიწვია. ელინური კულტურა სომხეთშიც დაეცა, პართიასთან მეზობლობის გამო კი გაიზარდა ირანიზმის გავლენა.

სომხეთის მეფე ტიგრან დიდი გარდაიცვალა 56 თუ 55 წელს 85 წლის ასაკში. „ტიგრანის სიკვდილთან ერთად სრულდება ფრიად ხანმოკლე პერიოდი სომხეთის დიდმპყრობელური აღმავლობისა“.²

პომპეუსის ბრძოლები ალბანელებთან და მისი ლაშქრობა იბერია-კოლხეთში

რომაელების მიერ სომხეთის ტახტზე ტიგრან II-ის დატოვება და სომხეთისათვის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, პართიასთან დამოკიდებულების საკითხის გარდა გამონვეული იყო აგრეთვე იმით, რომ პომპეუსი მითრიდატე პონტოელის დევნის იურიდიული საფარვლის ქვეშ აპირებდა ალბანეთისა და იბერია-კოლხეთის დალაშქვრას. ამიერკავკასიაში შეჭრილი პომპეუსისათვის ზურგში დარჩენილი დამონებული სომხეთი მუდმივი საფრთხე იქნებოდა. „რომაელი ხალხის მეგობარმა და მოკავშირე“ ტიგრანმა კი მას დახმარებაც აღმოუჩინა.³

1. Я.А. Манандян, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

2. იქვე, გვ. 213.

3. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVI, 53, 5-6. ВДИ, №2, 1948, გვ. 269.

66-65 წწ. ზამთარში პომპეუსის სამად გაყოფილი ლაშქარი მეტელუს ცელერის, ლუციუს ფლაკის და თავად პომპეუსის სარდლობით სამხედრო ბანაკებში იყო განლაგებული ერთმანეთის შორიახლოს მდინარე კირნის (მტკვერის) მახლობლად ანაიტის ოლქში.¹ პომპეუსმა მოლაპარაკება აწარმოა ალბანელებთან, რათა მათ ისინი თავის ტერიტორიაზე გაეტარებინათ. თავდაპირველად ალბანელები დათანხმდნენ, მაგრამ როდესაც რომაელები სატურნალიების² დღესასწაულს იხდიდნენ, ალბანელთა დაახლოებით 40-ათასიანი ლაშქარი ოროზის სარდლობით თავს დაესხა ცელერისა და ფლაკის ბანაკებს. თუმცა ალბანელებმა ვერ მოახერხეს რომაელთა სამხედრო ბანაკების შემუსვრა და რომაელთა დასახმარებლად მოსულმა პომპეუსმა ისინი მტკვერის გადაღმა გადარეკა დიდი ზარალით, რის შემდეგაც ოროზმა შეწყალეა ითხოვა. ამის შემდეგ, 65 წლის გაზაფხულზე, პომპეუსი იბერიაში შეიჭრა და მოულოდნელად იბერიელთა მეფე არტაგისათვის, რომელმაც ვერ მოასწრო აკროპოლისში (არმაზში) შემავალ გზაზე მდებარე ძნელი გასასვლელის ჩაკეტვა, რომაელები იბერიის დედაქალაქთან გაჩნდნენ.

ანაიტის ოლქის აკილისენასთან გაიგივების საფუძველზე, მომზენი ფიქრობდა, რომ პომპეუსის საზამთრო ბანაკი ევფრატის ზემო წელზე იყო.³ მაგრამ 65-64 წწ. ზამთარში პომპეუსის საზამთრო ბანაკი იმავე ადგილას იყო და ამჯერად დიონ კასიუსი იმ ოლქს ასპიას უწოდებს. მანანდიანი სამართლიანად აკრიტიკებს მომზენის ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას პომპეუსის ბანაკის ადგილმდებარეობის შესახებ და დიონ

1. პომპეუსის საზამთრო ბანაკისა და ალბანელებთან მისი ბრძოლის ამბის გადმოცემისას ჩვენ ძირითადად ვეყრდნობით დიონ კასიუსს (რომის ისტორია, XXXVI. 53-54. ВДИ, №2, 1948), რომელიც პომპეუსის ალბანელებთან ბრძოლის და მისი იბერია-კოლხეთში ლაშქრობის ისტორიისათვის ძირითად წყაროს წარმოადგენს, აგრეთვე პლუტარქეს (პომპეუსი, 34-35).

2. სატურნალიები (Saturnalia) იყო რომაელთა უბრწყინვალესი საახალწლო დღესასწაულები, რომლებიც იმართებოდა დეკემბერში (17-დან 19-ამდე). იხ. Ф. Велишский, Быт греков и римлян, Прага, 1878, გვ. 183.

3. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, III, გვ. 108.

კასიუსის მიერ ნახსენებ ასპიასა და ტაბულა პევტინგერიანას Caspiae-ს გაიგივების საფუძველზე ფიქრობს, რომ პომპეუსი ხოსპიის (ტაბულა პევტინგერიანას Caspiae-ს) დასავლეთით დაბანაკდა.¹ მისი აზრით, აქედან აწყურ-ბორჯომის გზით პომპეუსმა ბორჯომს მიაღწია, ხოლო შემდეგ დაჰყვა მტკვრის დინებას და არმაზს მიაღწა.

თავის მხრივ, თუ პომპეუსის ბანაკის მანანდიანისეულ ლოკალიზაციას ვენდობით, მაშინ წყაროებში დაცულ ცნობებში ადგილი ექნება მთელ რიგ შეუსაბამობებს. პომპეუსის საზამთრო ბანაკი არ შეიძლება ყოფილიყო Caspiae-ხოსპიის რაიონში და, აი, რატომ: 1) მითრიდატე პონტოელის დევნა პომპეუსისათვის ერთგვარ იურიდიულ გამართლებას წარმოადგენდა იბერია-ალბანეთში სალაშქროდ. Caspiae მდებარეობს Artaxata-Sebastopolis-ის გზაზე და ამ შემთხვევაში პომპეუსს იბერია-ალბანეთში სალაშქროდ არავითარი არგუმენტი აღარ რჩება; 2) ხოსპიის რაიონი ალბანეთს არ ესაზღვრება და გაუგებარი ხდება, თუ რატომ აწარმოებდა პომპეუსი მოლაპარაკებას ალბანელებთან, რათა კოლხეთში მიმავალი მისი ლაშქარი ალბანეთზე გაეტარებინათ. ამავე დროს, როგორც მანანდიანი ამტკიცებს, კოლხეთში მიმავალმა რომაელთა ლაშქარმა იბერიაზე გაიარა და არა ალბანეთზე; 3) პომპეუსის ბანაკის მდინარე კირნთან (მტკვართან) სიახლოვე წყაროებში დაკავშირებულია ბანაკზე ალბანელთა თავდასხმასთან. ხოსპიიდან აღმოსავლეთით მტკვარი საკმაოდ შორს არის (მით უმეტეს, ნუნდიდან), ხოლო ხოსპიიდან დასავლეთით მტკვრის გადმოლახვა ალბანელთა მიერ მეტად საეჭვოა, ვინაიდან ამ შემთხვევაში მათ უნდა გაეველოთ იბერიაზე და შეჭრილიყვნენ არმენიის ტერიტორიაზე. პომპეუსს, რომელმაც დამარცხებული ალბანელები მტკვარს გაღმა გადარეკა,

1. Я. А. Манандян, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 74, 76. აღნიშნულ ადგილას მდებარეობდა ჯავახეთის ცენტრი – ქალაქი ნუნდა, რომლის დაარსებას ლეონტი პროველი უძველეს დროს მიაწერს. იხ. ანასეული „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1942, გვ. 6.

დიონის ცნობით, მათ ტერიტორიაზე შეჭრით უნდოდა სამაგიეროს გადახდა,¹ რაც კვლავ გაუგებრობას იწვევს, ვინაიდან ხოსპიიდან დასავლეთით ალბანეთის ტერიტორია არ იყო; 4) საექვოა, რომ წუნდიდან მტკვრის დინების დაყოფებით იბერიის შუაგულზე გავლის შემდეგ, სადაც იბერიის ძველი კულტურულ-პოლიტიკური ცენტრები მდებარეობდა, პომპეუსი არტაგისტვის მოულოდნელად გაჩენილიყო აკროპოლის-არმაზთან; 5) დიონ კასიუსის მიერ არმაზთან აღნიშნული ძნელად გასავლელი ვინობი, რომლის გამაგრებაც არტაგმავერ მოასწრო,² სამხრეთით, თბილისის მხრიდან მდებარეობს მცხეთა-არმაზში მიმავალ გზაზე; 6) სტრაბონის ცნობები კავკასიის შესახებ პომპეუსის ლაშქრობის მონაწილეთა ცნობებს ეყრდნობა.³ მის მიერ იბერიაში შემავალი გზების შესახებ დაცული ცნობების (XI. 3, 1-5) მეცნიერული შესწავლის საფუძველზე ა. ბოლტუნოვა-ამირანაშვილი ადგენს, რომ სტრაბონის წყაროს ავტორი იბერიის დედაქალაქში სამხრეთიდან შესულა;⁴ 7) აქვე დავუმატებთ, რომ ახალციხე-ახალქალაქის რაიონი, სადაც ხოსპია და ნაქალაქევი წუნდა მდებარეობენ, თავისი მკაცრი კლიმატური პირობების გამო საზამთრო ბანაკისათვის ცუდი ადგილია, მით უმეტეს, რომაელებისათვის.

ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ უფრო მართებულიად მიგვაჩნია დიონ კასიუსთან მოხსენებული ასპია დავუკავშიროთ ძველი ალბანეთის ტერიტორიაზე სომხეთის მოსაზღვრედ მცხოვრებ კასპების ტომის სახელწოდებიდან წარმომდგარ კასპიანას მხარეს. დიონ კასიუსისა და პლუტარქეს ცნობების მიხედვით, პომპეუსის ბანაკი არტაშატიდან ჩრდილოეთით უნდა ყოფილიყო, ალბანეთისა და სომხეთის საზღვარზე მტკვრის სიახლოვეს, იბერიის საზღვართან ახლოს. ასეთ ადგილს წარმოადგენს გოგარენის მხარე (შემდ-

1. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVI. 54, 5. ВДИ, №2, 1948, გვ. 270.

2. იქვე, XXXVII. 1, 3.

3. იხ. А. И. Болтунова, Описание Иберии в „Географии“ Страбона. ВДИ, №4, 1947, გვ. 143.

4. იქვე, გვ. 151.

ეგდროინდელი ყაზახ-შამშადილო)¹ და, ჩვენი ვარაუდით, პომპეუსს ბანაკი სწორედ აქ, სადმე ალსტაფისა და ყაზახ-შამშადილოს რაიონში უნდა დაეცა.

პომპეუსის ალბანელებთან ბრძოლის პერიოდისათვის ალბანეთის ისტორიის ძირითად წყაროს წარმოადგენს სტრაბონის „გეოგრაფია“. სტრაბონის ეს ნაშრომი ძირითადი წყაროა აგრეთვე ძველი იბერიის სოციალური წყობის შესასწავლად. ისტორიკოსების (ფაბრიციუსი, ნეიმანი, არნოლდი) მიერ დამტკიცებულია, რომ ცნობები კავკასიის შესახებ სტრაბონს ალებული აქვს პომპეუსის ლაშქრობის მონაწილე თეოფანე მიტილენელის შრომიდან. „თეოფანე იყო პომპეუსის თანამგზავრი, მის აღმოსავლეთის ლაშქრობაში (Strabo. XI. 5, 1), დაკავშირებული იყო მასთან მეგობრობით (Strabo. XIII. 2, 3), დაჯილდოებულ იქნა რომაელი მოქალაქის უფლებებით და პომპეუსის ნამოქმედარის შესახებ თხზულების ავტორია“ (scriptor rerum suarum, Cicero, pro Archia, 10, 21).² სტრაბონი აგრეთვე წინამორბედ მწერალთა ცნობებსაც იყენებდა. ალბანეთის შესახებ მის გარდა ანტიკური ხანის სხვა მწერლების ფრაგმენტული ხასიათის ცნობებიცაა შემონახული.

სტრაბონის მიხედვით, იბერიასა და კასპიის ზღვას შუა მცხოვრები ალბანელები ძირითადად მეჯოგეობა-მომთაბარეობას მისდევდნენ. ჩრდილოეთით ალბანეთს კავკასიონის მთები საზღვრავდნენ, ხოლო სამხრეთით – არმენიის ოლქი კამბისენე. ალბანეთში, მიუხედავად მისი ზღვის პირას მდებარეობისა, არ იყო განვითარებული ზღვაოსნობა. მიუხედავად ნიადაგის მაღალნაყოფიერებისა, მინათმოქმედება მეტად სუსტად იყო განვითარებული და ნაცვლად რკინის სახნისისა, ხისას იყენებდნენ. არ იცოდნენ ალბანელებმა ვაზის მოვლაც, მაგრამ ყურძნის მოსავალი მაინც დიდი იყო. განუვითარებელი იყო ვაჭრობა და სანაყულ-საზომთა სისტემა. ალბანე-

1. გოგარენის მხარის ლოკალიზაციის შესახებ იხ. პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულე“, თბილისი, 1954, გვ. 470-473, 476.

2. А. И. Боптунова, დასახ. ნაშრომი, გვ. 143.

ლებს არ ჰქონდათ ფული, უშუალოდ საქონელგაცვლას ან-არმოებდნენ და 100-ზე ზევით თვლა არ იცოდნენ. ტომების განცალკევებულობის გამო ალბანეთში 26 სხვადასხვა დიალექტი არსებულა. ქონებრივი დიფერენციაცია ან სულ არ იყო, ან მეტად სუსტად იყო გამოხატული. სტრაბონი წერს: „ისინი (ალბანელები – ჯ. ო.) საფლავში აყოლებენ მიცვალებულებს მათ ქონებას და ამიტომ სიღარიბეში ცხოვრობენ, არა აქვთ რა არაფერი მამისეული“.¹

პომპეუსთან ბრძოლის დროისათვის ალბანეთში ტომთა გაერთიანება მომხდარა ერთი ბელადის ხელქვეშ, ხოლო ადრე თითოეულ ტომს ცალკე ჰყოლია მეთაური. სტრაბონი ამ ბელადებს მეფეებს უწოდებს, მაგრამ მისივე ცნობების მიხედვით, ალბანეთში სამეფო ხელისუფლებისათვის შესაფერი პირობები არ ჩანს. სტრაბონი სვანების ტომის ბელადსაც მეფეს უწოდებს. აკადემიკოს ს. ჯანაშიას შენიშვნით: „შეუძლებელი არ არის, რომ იმდროინდელს გარეშე დამკვირვებელს ძლიერ ტომის მეთაურის ხელისუფლების განსაზღვრისას სიზუსტე ვერ დაეცვა“.² მით უმეტეს შესაძლებელი იყო ასეთი შეცდომა მოსვლოდა სტრაბონს (ან მისი წყაროს ავტორს) გაერთიანებული ალბანური ტომების მეთაურის – ოროზის – მიმართ. აღსანიშნავია, რომ სტრაბონის ცნობების შესწავლის საფუძველზე მომზენი ოროზს თავადს უწოდებს, ხოლო არტაგ იბერიელს – მეფეს.³

ალბანელები თაყვანს სცემდნენ ციურ მნათობებს: მზეს და განსაკუთრებით მთვარეს. ღმერთების პანთეონში ელინური ზევსიც ჰყავდათ შეყვანილი. ალბანეთში შემორჩენილი ყოფილა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, რომლის რიტუალი იბერიის საზღვარზე მდებარე მთვარის ტაძარში სრულდებოდა.⁴ ბრძოლაში ალბანელებს 60 ათასი ქვეითის

1. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 4, 8. ВДИ, №4, 1947, გვ. 221.

2. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, პრობები, I, თბილისი, 1949, გვ. 136.

3. Т. Мошмелл, დასახ. ნაშრომი, III, გვ. 109.

4. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 4, 7.

და 20 თუ 12 ათასი მხედრის გამოყვანა შეეძლოთ.¹ როგორც იბერიელების, ისე მათ საბრძოლო იარაღებს შეადგენდნენ: სათხედები, მშვილდ-ისრები, შუბები და სხვ. ხოლო სხეულის დაცვისათვის იყენებდნენ მხეცების ტყავისაგან გაკეთებულ ჯავშანს, დიდ ფარებსა და მუზარადებს. ამრიგად, ალბანელები შეჭურვილობით ჩამოუვარდებოდნენ რომაელებს და ვერც სამხედრო საქმის ცოდნაში შეედრებოდნენ ანტიკური სამხედრო ხელოვნების დიდოსტატებს. მიუხედავად ამისა, ალბანელებს, როგორც ჩანს, საკმაოდ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწევიათ და პომპეუსმა მათ ქვეყანაში შეჭრა ვეღარ გაბედა.

ალბანელებთან ბრძოლის შემდეგ პომპეუსი იბერიისაკენ დაიძრა. იბერიის, ისევე როგორც ატროპატენას და სომხეთის, მეგობრული ურთიერთობა მითრიდატე პონტოელთან არ გულისხმობდა პონტოელთათვის დახმარების აღმოჩენას რომაელთა წინააღმდეგ ომში, იგი ძირითადად სავაჭრო ინტერესებით იყო ნაკარნახევი.² იბერიელებს მითრიდატეს ომებში თავიანთი სამხედრო ნაწილებით მონაწილეობა არ მიუღიათ, ხოლო ლუკულუსის წინააღმდეგ მებრძოლ ტიგრან II-ის ჯარში პლუტარქეს მიერ მოხსენებული იბერიელი შუბოსნები³ ან II საუკუნეში (ჩვენს ერამდე) ქართველთა მიერ დაკარგული ტერიტორიების მკვიდრნი უნდა ყოფილიყვნენ, ან ტიგრანის მიერ დაქირავებულნი. მაგრამ ის ფაქტი, რომ იბერია ნეიტრალიტეტს იცავდა, რომელი აგრესორებისათვის შემაფერხებელ მიზეზს არ წარმოადგენდა. „პომპეუსის ლაშქრობა ამიერკავკასიაში, – წერს ბოლტუნოვა, – ერთ-ერთი რგოლია აზიაში რომაელთა სამხედრო ღონისძიებების ჯაჭვისა, რასაც მიზნად ჰქონდა რომაელების თანდათანობითი და გეგმაზომიერი წინსვლა აღმოსავლეთში და რომაული სავაჭრო

1. პლუტარქეს მიხედვით, რომაელებთან პირველ ბრძოლაში 40 ათასი (პომპეუსი, 34), ხოლო მეორე ბრძოლაში 72 ათასი (პომპეუსი, 35) ალბანელი მონაწილეობდა.

2. Я. А. Манандян, Тигран Второй и Рим, გვ. 29.

3. პლუტარქე, ლუკულუსი, 31.

კაპიტალის აღმოსავლეთში შეღწევისათვის გზების უზრუნველყოფა, შესაძლებლობა სავაჭრო გზის დადგენისა აზიის სიღრმეში“.¹

პომპეუსს ლაშქრობაში თან ახლდნენ ადამიანები, რომლებიც სავაჭრო-სამიმოსვლო გზებს იკვლევდნენ. პლინიუსის ცნობით, „პომპეუსის ლაშქრობის დროს გამოკვლეულ იქნა, რომ ინდოეთიდან შვიდ დღეში შეიძლება ბაქტრიაში მისვლა მდინარე იკართან, რომელიც ოქსს ერთვის. აქედან ინდური საქონელი გადააქვთ კასპიის ზღვით მდინარე მტკვრის აყოლებით და საქონელი სახმელეთო გზით არაუმეტეს 5 დღისა შესაძლებელია მიტანილ იქნეს მდინარე ფაზისთან, რომელიც შავ ზღვაში ჩაედინება“.² პომპეუსის კავკასიაში ლაშქრობის პერიოდისათვის ამ სავაჭრო-სამიმოსვლო გზას დიდი მნიშვნელობა აღარ უნდა ჰქონოდა³ და მისი გამოყენება, რისთვისაც მისი შესწავლა-გამოკვლევა ხდებოდა, რომაელებს იმიტომ აინტერესებდათ, რომ სამხრეთში სომხეთზე გამავალ გზებზე პართია გაბატონდა.

გარდა მასზე გამავალი სავაჭრო-სამიმოსვლო გზით დაინტერესებისა, რომაელებს იბერია აინტერესებდათ აგრეთვე როგორც მათთვის ეკონომიკურად და სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი ქვეყანა. იბერია ფლობდა კავკასიონის საუღელტეხილო გადასასვლელებს და, ამდენად, მის კონტროლქვეშ იყო მოქცეული მეტად მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული გზები, ქართველებს შეეძლოთ გაეღოთ კავკასიონის გადასასვლელები და რომაელთა წინააღმდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ სარმატთა და სხვა მომთაბარე ტომების დაქირავებული ჯარის ტალღა შემოეშვათ. კავკასიონის საუღელტეხილო გადასასვლელებიდან უმნიშვნე-

1. А.И. Амирашвили (Болтунова), Иберия и римская экспансия в Азии. ВДИ, №4 (5), 1938, გვ. 166.

2. პლინიუსი, NH. VI. 19, 2. ВДИ, №2, 1949, გვ. 307. იხ. აგრეთვე სტრაბონი, გეოგრაფია, XI. 2, 17; XI. 3, 4.

3. Я.А. Манандян, О торговле и городах Армении, Ереван, 1930, გვ. 43.

ნელოვანესი იყო კასპიის კარად ნოდებული დარიალის გადასასვლელი. „კასპიის (დარიალის კარი), – წერს პროფესორი გოზალიშვილი, – დიდი ხანია მიჩნეული ყოფილა როგორც მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი და იგი სამხედრო რუკებზეც ყოფილა აღნიშნული“.¹ ეკონომიკურად კავკასიონის გადასასვლელებს მონათმფლობელური რომისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგანაც ჩრდილოეთ კავკასია მონების შოვნის მეტად მდიდარ წყაროს წარმოადგენდა.² ამდენად, ცხადია, რომ მითრიდატე პონტოელის დევნა მხოლოდ იურიდიული საბურველი და საბაბი იყო პომპეუსისათვის იბერიაში ლაშქრობის გასამართლებლად.

ალბანელთა დამარცხების შემდეგ პომპეუსის იბერიაში შეჭრის შესახებ პლუტარქე წერს, რომ პომპეუსი დაიდრა იბერიელთა წინააღმდეგ, რომლებიც არ ჩამოუვარდებოდნენ პირველებს (ალბანელებს – ჯ. ო.) რიცხოზობრივად, სიმატაცით კიდევაც სჯობნიდნენ მათ და ძალიან ცდილობდნენ ესიამოვნებინათ მითრიდატესთვის პომპეუსის უკუქცევით.³ იბერიელები არ ემორჩილებოდნენ არც მიდიელებს, არც სპარსელებს და ჰირკანიიდან ალექსანდრეს სწრაფად წასვლის გამო, მაკედონიელთა ბატონობაც აიცილეს.⁴ თავისუფლებისმოყვარე იბერიელებს არც ამჯერად სურდათ რომაელთა ბატონობის ქვეშ მოქცევა. იბერიელთა მეფე არტაგი გრძნობდა რომაელებთან ბრძოლის გარდუვალობას და, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, იგი ხელმძღვანელობდა თვით რომაელთა საყვარელი ანდაზით – „თუ გინდა მშვიდობიანობა იყოს, ომისათვის მზად იყავიო (si vis pacem, para bellum)“.⁵

1. გ. გოზალიშვილი, კასპიის კარი. ენიშის მოამბე, V-VI, თბილისი, 1940, გვ. 469. კასპიის კარის შესახებ იხ. ტაციტუსი, ისტორიები, I, 6; პლინიუსი, NH. VI. 40.

2. იხ. ს. ჯანაშია, რა მოხდა 2000 წლის წინათ საქართველოში, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 17.

3. იბერიელები საკუთარი თავისუფლებისათვის იბრძოდნენ და, როგორც ს. ჯანაშია შენიშნავს (შრომები, I, გვ. 179, შენ. 2), მითრიდატეს სიამოვნებაზე არ ფიქრობდნენ.

4. პლუტარქე, პომპეუსი, XXXIV. ВДН, №4, 1947, გვ. 283.

5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბილისი, 1952, გვ. 165.

დიონ კასიუსის გადმოცემით, არტაგმა რომაელებს დესპანები გაუგზავნა და მეგობრობა შესთავაზა, თვითონ კი ჯარს ამზადებდა, ვინაიდან მშვიდობის შენარჩუნების იმედი, ჩანს, არ ჰქონდა.¹ პომპეუსმა ალბათ შეიტყო იბერიელთა სამხედრო მზადების შესახებ, რის გამოც სწრაფად შეიჭრა იბერიაში მტკვრის დინების აყოლებით და არტაგისათვის მოულოდნელად რომაელები იბერიის დედაქალაქ აკროპოლის არმაზთან გაჩნდნენ. არტაგი ბრძოლისათვის მზად არ იყო, ამიტომ რომაელებთან შეტაკებას თავი აარიდა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და შემდეგ ტკვარზე ხიდი დანვა. პომპეუსმა მტკვრის მარჯვენა ნაპირის იბერია დაიპყრო და მტკვარგალმა აპირებდა გასვლას, როდესაც არტაგმა კვლავ ელჩები გამოუგზავნა, – სურსათ-სანოვავის მიცემას, აგრეთვე ხიდის აღდგენას დაჰპირდა და შემდეგ კიდევ შეასრულა დანაპირები. პომპეუსი მაინც გავიდა აღდგენილ ხიდზე. რომაელთა ვერაგობის მცოდნე არტაგმა მოსალოდნელ ბრძოლას კვლავ თავი აარიდა და მდინარე პელორისაკენ უკუიქცა. პომპეუსი დაენია მას და დაამარცხა იგი, რის შემდეგაც იბერიელები პელორის გალმა გავიდნენ, ხოლო ხიდი მდინარეზე არტაგმა აქაც დანვა.² იბერიელთა ლაშქარი ბრძოლებში და მდინარის გადალახვის დროს საკმაოდ დაზარალდა. ნყალგალმა დარჩენილი იბერიელები, დიონის გადმოცემით, მაღალი ხეებიდან ისარს უშენდნენ რომაელებს და ზარალს აყენებდნენ მათ. რომაელებმა გაჩეხეს ტყე და დახოცეს ეს გულადი მეომრები. პლუტარქეს გადმოცემით, იბერიელებს ბრძოლებში 9000 კა-

1. ქვემოთ პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის შესახებ ძირითადად ვეყრდნობით დიონ კასიუსს (რომის ისტორია, XXXVII. 1-2. ВДМ, №2, 1948, გვ. 270-271).

2. ფიქრობენ, რომ მდინარე პელორი არაგვი უნდა იყოს. გადაჭრით ამის თქმა ჩვენ არ შეგვიძლია. არ მიგვაჩნია დამაჯერებლად ს. კაკაბაძის მტკიცება პელორ-არაგვის იდენტურობის შესახებ (იხ. საისტორიო მოამბე, წიგნი I, თბილისი, 1924, გვ. 11). იმ შემთხვევაში, თუ პელორს არაგვად მივიჩნევთ, ხიდი, რომელიც არტაგმა დანვა, წინვალის ქვემოთ მდებარე ოხერხიდი უნდა იყოს (იხ. ნ. კეეზერელი-კოპაძე, Древний михетский мост, Тбилиси, 1947, გვ. 20).

ცი დაელუპათ, ხოლო 10000 კაცი რომაელებმა ტყვედ იგდეს.¹ არტაგმა კვლავ მოლაპარაკება გამართა პომპეუსთან და მას მდიდრული ძღვენი მიართვა: სარეცელი, მაგიდა და ტახტი, ყველაფერი ოქროსაგან გაკეთებული.² მაგრამ პომპეუსი ძღვენს არ დასჯერდა და არტაგს საკუთარი შვილები მოსთხოვა მძევლებად. ზაფხულის სიცხეების გამო პელორი გამეჩხერებულა, რომაელთა ლაშქარს მისი გადალახვა შეეძლო და იბერიელთა მეფე იძულებული გახდა პომპეუსის მოთხოვნა შეესრულებინა. ამის შემდეგ პომპეუსმა არტაგთან ხელშეკრულება დადო და კოლხეთისაკენ გაილაშქრა.

პომპეუსის ლაშქრობის პერიოდის იბერიის ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობები აქვს დაცული სტრაბონს.³ ირკვევა, რომ იბერია მეზობელ ალბანეთზე გაცილებით უფრო განვითარებული ქვეყანა ყოფილა. სტრაბონი არჩევს ქართველთა მთიელ ტომებს და ბარის მოსახლეობას, რომელიც მინათმოქმედებას მისდევდა. მინათმოქმედება საქართველოში უძველესი დროიდან იყო განვითარებული და, როგორც ფიქრობენ, თვით საქართველოს სახელწოდება – „გეორგია“ (Georgia) აქედან უნდა წარმოდგებოდეს. საქართველო მჭიდროდ ყოფილა დასახლებული. განვითარებული ყოფილა ხუროთმოძღვრება-მშენებლობა. ტანსაცმელი იბერიელებს მიდიელთა და სომეხთა მსგავსი ჰქონდათ.

მეტად ძვირფას ცნობას იძლევა სტრაბონი ძველ ქართველთა სოციალური წყობის შესახებ.⁴ ამ ცნობის განხილვას ჩვენ აქ არ შევუდგებით, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ, როგორც აკადემიკოსი ს. ჯანაშია წერს: „აქ, ამ ძვირფას ლიტერატურულ ცნობაში, წარმოდგენილია არა გვაროვნული

1. პლუტარქე, პომპეუსი, 34.

2. იქვე, 36.

3. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 3, 1-5.

4. იქვე, XI, 3, ნ. მის შესახებ ს. ჯანაშია, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე (შრომები, I) და ნ. ბერძენიშვილის რეცენზია ამ შრომაზე (მიმომხილველი, 1953, №3). აგრეთვე ს. ჯანაშია, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში (შრომები, II).

საზოგადოება თუნდაც რღვევის გზაზე შემდგარი, არამედ გარკვეული კლასობრივი საზოგადოება, ერთგვარ გვაროვნულ გადმონაშთების მქონე".¹

პომპეუსის წინააღმდეგ მებრძოლი იბერიელების მეთაური არტაგი წყაროებში მოიხსენიება როგორც მეფე, რაც სავსებით შესაძლებელი იყო, რამდენადაც საქართველოში კლასობრივი საზოგადოება არსებობდა. ანტიკური ხანის მწერლების ზემოთ მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ პომპეუსს ურთიერთობა უშუალოდ არტაგთან ჰქონდა, ვინაიდან იბერიის ბატონ-პატრონად სწორედ მას მიიჩნევდა. წყაროებში იბერიაში უმაღლესი ხელისუფლების სხვა ორგანო გაკვრითაც კი არ იხსენიება.

გვაროვნული წყობილების ტომებისაგან რომაელებს მძევლებად ან გვაროვნული არისტოკრატის წარმომადგენლნი, ან მათი შვილები მიჰყავდათ. იულიუს კეისარმა გალებთან ომის დროს გვაროვნული წყობილების რემების ტომის „მთელ სენატს (აქ: უხუცესთა საბჭო – ბულე – ჯ. ო.) უბრძანა გამოცხადებულყო მასთან და მოსთხოვა მოეყვანათ მძევლებად მათი თავადების (გვაროვნული არისტოკრატის წარმომადგენლების – ჯ. ო.) შვილები“.² ასევე სუესიონების ტომის დამარცხების შემდეგ „კეისარმა მძევლებად წაიყვანა ყველაზე გამოჩენილი მოქალაქეები, მათ შორის, თვით მეფე (აქ: ტომის მეთაური – ჯ. ო.) გალბას ორი ვაჟი“.³ ედუელთაგან კეისარმა 600 მძევალი წამოიყვანა.⁴ დიონ კასიუსისა და ფლორუსის ცნობებით, როგორც ზემოთ გვქონდა აღნიშნული, პომპეუსმა იბერიასთან მხოლოდ მას შემდეგ დადო ხელშეკრულება, რაც არტაგის შვილები აიყვანა მძევლებად. „სუვერენული უფლებები რომ ხალხს ჰკუთვნებოდა, – აღნიშნავს აკადემიკოსი ს. ჯანაშია, – მაშინ, ცხადია, მძევლებად თვით ხალხისავე წარმ-

1. ს. ჯანაშია, ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობისათვის საქართველოში, შრომები, II, გვ. 137-138.

2. Записки Юлия Цезаря и его продолжателей, 1948, გვ. 40.

3. იქვე, გვ. 44.

4. იქვე, გვ. 45.

ომადგენლები იქნებოდნენ”.¹ ამრიგად, ცხადია, რომ არტაგი მონარქი იყო და სწორედ მის ხელთ იყო იბერიაში უმაღლესი ხელისუფლება. როგორც იბერიელთა მთავარსარდალი, არტაგი უმაღლეს სამხედრო ხელისუფლებასაც ახორციელებდა და მართლმსაჯულების საქმეც მის ხელთ უნდა ყოფილიყო.

ჩვენამდე მოღწეულ ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში არტაგ მეფის რომაელებთან ბრძოლის შესახებ არაფერია ნათქვამი. „ქართლის ცხოვრება“ იძლევა ცნობას არტაგის სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელთა ლაშქრობას საქართველოში კი სრულიად არ მოიხსენიებს.² „ქართლის ცხოვრების“ ანალოგიურად, ალბათ მასზე დაყრდნობით, ვახუშტი ბაგრატიონიც იბერიაში არტაგის მეფობის ხანაში სპარსელთა შემოჭრის შესახებ ლაპარაკობს.³ „ქართლის ცხოვრებაში“ და ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ისტორიაში“ მოცემულია იბერიის მეფეთა გენეალოგია, რომლის მიხედვითაც არტაგი, რომელმაც „ქართლის ცხოვრების“ თანახმად 2 წელი იმეფა, სომეხთა მეფის ძის, ქართველთა მეფის არშაკის მომდევნო მეფეა (ვახუშტის მიხედვით – მისი ძე), ხოლო არტაგის შემდეგ მისი ძე ბარტომი გამეფებულა. „ქართლის ცხოვრებაში“ ისტორიული სინამდვილე ხშირად ლეგენდარულ ამბებთან არის გადახლართული და იქ დასახელებულ მეფეთა არსებობა ანტიკური ხანის მწერლების ცნობებით არ დასტურდება. ამიტომ ამ მატრიანეზე დაყრდნობით არტაგ მეფის გენეალოგიაზე ვერაფერს ვიტყვით.

პომპეუსის მიერ იბერიელთა დამარცხება აიხსნება თითქმის იმავე მიზეზებით, რომელთა გამოც დამარცხდნენ ალბანელები. ტყავით შეჯავშნილი, სათხედებით, მშვილდ-ისრებითა და შურდულ-შუბებით შეიარაღებული იბერიელთა მხედრობა, მიუხედავად იბერიელ მეომართა დიდი სიმამაცით

1. ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 158.

2. ანასეული „ქართლის ცხოვრება“, გვ. 22.

3. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, ნაწილი I, თბილისი, 1885, გვ. 42.

სა, იმ დროისათვის საუკეთესოდ აღჭურვილ და სამხედრო საქმეში დიდად დახელოვნებულ რომაელთა ლაშქარს, ცხადია, ჩამოუვარდებოდა საბრძოლო თვისებებით, ამასთანავე, რომაელები მოულოდნელად დაესხნენ მათ თავს, როდესაც იბერიელებს თავდაცვისათვის სამხედრო მომზადება დამთავრებული არ ჰქონდათ.

იბერიელთა წინააღმდეგობის გატეხა პომპეუსმა საბოლოოდ მაინც ვერ შეძლო. არ იყო საშუალება იბერიაში რომაელთა გარნიზონების ჩაყენებისა და სწორედ ამიტომ დადო პომპეუსმა ხელშეკრულება არტაგ მეფესთან. ამიერიდან რომაელებმა იბერიას თავიანთი „მეგობრობა“ (amicitia) ძალდატანებით მოახვიეს თავს. როგორც წესი, ეს „მეგობრობა“ რომაელებს ხელს არ უშლიდა ეძარცვათ „რომაელი ხალხის მეგობარი და მოკავშირე“ ქვეყანა და უეჭველია, რომ არტაგის მიერ მირთმეული მდიდრული ძღვენის გარდა, რაც ამ უკანასკნელის ხელში დიდი ქონების დაგროვებაზე მიგვივითებს, პომპეუსმა იბერიიდან დიდი ნადავლიც წაიღო.

პომპეუსის მიერ არტაგთან ხელშეკრულების დადების დროიდან, რომისა და იბერიის „მეგობრობა“, ნყაროების ენით თუ ვიტყვი, „სიმამქიაში“, ე. ი. სამხედრო კავშირში გამოიხატებოდა, რასაც, რა თქმა უნდა, ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა. ამ სამხედრო კავშირით იბერიას ევალეობდა კავკასიონის საულელტეხილო გზების დაცვა, აგრეთვე დახმარების განევა რომაელებისათვის სომხეთში პართიის გაბატონების წინააღმდეგ. იბერიელები აგრესიულ მეზობელ პართიასთან შედარებით, შორეულ რომთან ურთიერთობის დაჭერის მომხრენი რჩებოდნენ, მაგრამ თავსმოხვეულ „მეგობრობას“ იბერია ყოველთვის არ ურიგდებოდა და რომაელებს სძირად იარაღის ძალით უხდებოდათ მისი აღდგენა. ამავე დროს, რომაელები ყოველთვის სამხედრო ძალით ვერ მოქმედებდნენ და ზოგჯერ იბერიელთა გულის მოგებასაც ცდილობდნენ. მცხეთის მახლობლად აღმოჩენილ ქვაზე ამოჭრილ ბერძნულ წარწერაში ვკითხულობთ: (ვესპასიანემ, ტიტემ და დომიციანემ) იბერთა მეფეს მითრიდ-

ატეს, მეფე ფარსმანის (ძეს) და იამასასჰ ძეს კეისრის მეგობარსა და რომაელთა მოყვარულს კედლები გაუმაგრა (75 წ. ჩვენი ერით).¹ აღმოსავლეთში რომაელთა სამხედრო ძლიერების დასუსტების შემდეგ, იბერია განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს რომისათვის – ადრიაწე კეისრის (117-138 წწ.) დროს რომში ჩასული იბერთა მეფე ფარსმანი დიდი პატივით მიუღიათ, დაუსაჩუქრებიათ, მისთვის კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის ნებაც დაურთავთ და მარსის მოედანზე მისი ცხენოსანი ქანდაკება დაუდგამთ.

ამრიგად, იბერიის დამორჩილება, მისი ვასალად ქცევა, რომაელებმა ვერ შეძლეს. პომპეუსმა იბერიას თავს მოახვია ამ უკანასკნელისათვის არასასურველი, იძულებითი „მეგობრობა“ დამპყრობელ რომთან და ამის შემდეგ კოლხეთისაკენ გაემართა.

პომპეუსის კოლხეთში ლაშქრობის მარშრუტი ეჭვს არ იწვევს – იგი ძველ სავაჭრო-სამომოსვლო გზას მიჰყვებოდა, ალბანეთიდან იბერიაზე გავლით კოლხეთში რომ მიდიოდა. სურამის უღელტეხილის გადალახვის შემდეგ რომაელები შორაპანში (Sarapanus) უნდა მისულიყვნენ და აქედან მდინარე ფაზისის (ყვირილა-რიონის) დაყოლებით პომპეუსი ქალაქ ფაზისში ჩავიდა.²

კოლხეთი მითრიდატე ევპატორმა ძველი ნელთაღრიცხვის 90-იანი წლებისათვის შეუერთა პონტოს სამეფოს. მითრიდატეს მიერ კოლხების – ამ ომიანობისათვის გიჟი ტომის³ – დამორჩილების ძირითადი მიზეზი ის იყო, რომ კოლხეთი პოლიტიკურად დაქუცმაცებული და, აქედან გამომდინარე, სუსტი იყო. სტრაბონი კოლხეთის მეფეების შესახებ წერს: „ფლობდნენ რა პროვინციებად დაყოფილ ქვეყანას, არ ჰქონდათ განსაკუთრე-

1. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XIX. 3. ВДИ, №2, 1948, გვ. 277.

2. მდებარეობდა ახლანდელი ქ. ფოთის მახლობლად, მისგან ოდნავ აღმოსავლეთით მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე. იხ. მ. ბერძინიშვილი, ქალაქ ფაზისის ლოკალიზაციისათვის, თსუ შრომები, XXIII, 1942.

3. აპიანე, მითრიდატეს ომები, 15; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

ბული ძალა. როდესაც მითრიდატე ევპატორი განსაკუთრებით გაძლიერდა, ქვეყანა მისი ხელისუფლების ქვეშ გადავიდა".¹

ვერ დავეთანხმებით ლ. სანიკიძის იმ მოსაზრებას, რომ თითქოს „კოლხები ბუნებრივად ჩათვლიდნენ, ერთ პოლიტიკურ ერთიანობაში ყოფილიყვნენ იმ თანამოძმეებთან, რომლებიც პონტოს სახელმწიფოს ბირთვის შეადგენდნენ“, მით უმეტეს, რომ კოლხები არაერთგზის აჯანყებულან პონტოს მეფის წინააღმდეგ.

თავდაპირველად კოლხებისავე მოთხოვნით მითრიდატეს თავისი ვაჟი გაუგზავნია კოლხეთის მმართველად. აპიანე გადმოგვცემს: „კოლხებმა სთხოვეს მას (მითრიდატეს – ჯ. ო.) მიეცა მათთვის მეფედ მისი, მითრიდატეს ვაჟი, და მიიღეს რა იგი, მაშინათვე დამორჩილდნენ. მაგრამ რადგანაც მეფეს ეჭვი დაებადა, რომ ეს მისი ვაჟის განზრახვის თანახმად მოხდა, რომელსაც სურდა მეფედ გახდომა, ამიტომ მან მოიწვია იგი და დაადო რა ოქროს ბორკილი, რამდენიმე ხნის შემდეგ დასაჯა იგი“.² ამ დროიდან პონტოს მეფე კოლხეთის მმართველებად თავის დაახლოებულ პირებს გზავნიდა. კოლხეთის მმართველად ყოფილა ისტორიკოს სტრაბონის დედის ბიძა მოაფერნი.³

ცნობები ძველი კოლხეთის შესახებ ნაკლები სისრულით არის წარმოდგენილი ძველ წყაროებში. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ კოლხეთში ძველი დროიდან არსებობდა ბერძენთა კოლონიები: პიტიუნტი (ახლანდელი ბიჭვინთა), დიოსკურია-სებასტოპოლისი (სოხუმი) და „კოლხების ემპორიუმი“⁴ – ფაზისი. კოლხეთში ვაჭრობა განვითარებული ყოფილა და, როგორც სტრაბონი გადმოგვცემს, დიოსკურიაში სავაჭროდ 70-ზე მეტი ტომი იყრიდა თავს.⁵ კო-

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 15; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

2. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 18. BPH, №4, 1947, გვ. 216.

3. ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯანაშიაშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1948, გვ. 64-65.

4. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 17, გვ. 123.

5. იქვე, XI, 2, 16, გვ. 122-123.

ლხეთი იმით იზიდავდა ჯერ მითრიდატე პონტოელს, ხოლო შემდეგ რომაელებს, რომ იგი განთქმული იყო თავისი ხილით, სელით, კანაფით, ცვილით და გემთსაშენი ხე-ტყით.¹ კოლხეთში ხომალდების მშენებლობაშიც დაოსტატებულნი ყოფილან. „კოლხეთიდან იღებდა მითრიდატე უმნიშვნელოვანეს შემწეობას თავისი საზღვაო ძალებისათვის, საშენ ხე-ტყესა და თვით მეზღვაურებსაც“.² შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მეკობრეობით განთქმულ ტომებს (ჯიქები, აქეველები, ჰენიოხები), თავიანთი სწრაფმავალი და უხიფათო ორიგინალური კონსტრუქციის ნავეებით – კამარებით – უდავოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირათ იმ მეკობრეთა შორის, რომლებიც დიდ დახმარებას უწევდნენ მითრიდატეს რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აღმოსავლეთში რომაელთა გაბატონების შემდეგ ეს მეკობრეები რომაელთა მხარდაჭერით სარგებლობდნენ და მონებით ამარაგებდნენ ბოსფორის სამეფოს, საიდანაც შემდეგ მონები რომში გაჰყავდათ.³

კოლხეთის სხვადასხვა რაიონში განსხვავებული სოციალური ვითარება ყოფილა. სვანეთში, სტრაბონის ცნობის მიხედვით, გვაროვნული საზოგადოება იყო. სვანებს ჰყოლიათ ტომის მეთაური, რომელსაც სტრაბონი მეფეს უწოდებს და 300 კაცისაგან შემდგარი უხუცესთა საბჭო – ბულე-გვაროვნული წყობილების საფეხურზე მდგომ სვანეთს 200000 მეომრის, ანუ „ქუღზე კაცის“ გამოყვანა შეეძლო.⁴ ქონებრივი დიფერენციაცია კოლხეთის სხვა რაიონებში საკმაოდ შორს ყოფილა წასული. მოსხიკეს (მესხეთის) იმ ნაწილში, რომელიც კოლხეთს ეკუთვნოდა, მდებარეობდა ლეეკოთეას ტაძარი, რომელშიც იმდენი სიმდიდრე დაგროვილა, რომ ტაძარი რამდენჯერმე გაუძარცვავთ.⁵

1. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 17, 123-124.

2. იქვე, XI, 2, 17.

3. იქვე, XI, 2, 12. იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, I, გვ. 187-188.

4. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 19.

5. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 17.

კოლხეთში ქონებრივი დიფერენციაციის განვითარებისა და მეფობის ინსტიტუტის შესწავლისათვის მეტად საინტერესოა პლინიუსის ცნობა აიეტის შთამომავალ კოლხეთის მეფე სავლაკის შესახებ, რომელსაც თავის ქვეყანაში ბევრი ოქრო დაუგროვებია და ოქრო-ვერცხლით მოჭედილი დარბაზები ჰქონია. ძველი მწერლების ცნობებით, ოქრო კოლხეთში ბლომად მოიპოვებოდა. არგონავტების მითიც ოქროს მოპოვებას უნდა უკავშირდებოდეს და ამ მითით პომპეუსის დაინტერესებაც სწორედ ამით აიხსნება.

კოლხეთი მითრიდატეს მიერ დაპყრობილი ქვეყანა იყო და რომაელთათვის რაიმე განსაკუთრებული წინააღმდეგობა არ გაუწევია. პომპეუსმა „გაიარა კოლხების და მათი მეზობლების მიწაზე, მოქმედებდა რა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით. რომაელების დამოკიდებულება კოლხეთისადმი, როგორც მითრიდატეს სამეფოს ნაწილისადმი, განსხვავებული იყო იბერიასთან შედარებით. პომპეუსმა მითრიდატეს მიერ კოლხეთის მმართველად დაყენებული ოლთაკი გადააყენა და მის ნაცვლად თავისი კაცი არისტარხი დანიშნა (*Aristarchum Colchis regem imposuit*). მცირე აზიასა და შავ ზღვაზე გაბატონების შემდეგ რომაელებს უფრო ადვილად შეეძლოთ დასავლეთ საქართველოში ფეხის მოკიდება და კოლხეთიც რომის ერთგვარ ვასალად იქცა. დასავლეთის ძლიერი ქვეყნების მიმართ კოლხეთის ვასალური მდგომარეობა შემდეგში ბიზანტიურ პერიოდშიც გრძელდებოდა.

არისტარხის მმართველობის პერიოდშივე კოლხეთს დამოუკიდებლობის გარკვეული ნიშნები ჰქონდა – არისტარხი, როგორც დამოუკიდებელი მონარქი, ფულს ჭრიდა საკუთარი გამოსახულებით. კოლხეთის მმართველები რომაელთა მფარველობის ქვეშ მყოფი მეკობრეების წინააღმდეგ იბრძოდნენ და ხელს უშლიდნენ მათ მონებით ვაჭრობაში.¹ რომის ვასალობას კოლხეთი არ ურიგდებოდა. 69 წ. ჩვენი ერით, შავი

1. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 12. ВДН, №4, 1942, გვ. 214. იხ. აგრეთვე ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები ტომები ანიკეტის ხელმძღვანელობით აჯანყდნენ რომის ექსპანსიის წინააღმდეგ. რომი თავის პოზიციებს კოლხეთში მხოლოდ იარაღის ძალით ინარჩუნებდა.

როგორც აღნიშნული გვექონდა, 66-65 წწ. ზამთარი დამარცხებულმა მითრიდატე პონტოელმა ლოსურიაში გაატარა, მაგრამ როდესაც პომპეუსი კოლხეთში შევიდა, იგი უკვე ბოსფორის სამეფოში იყო გადახვენილი, სადაც მისი შვილი ფარნაკი იყო მეფედ. გზების სიძნელისა და, რაც მთავარია, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრები მეომარი ტომების წინააღმდეგობის გამო, პომპეუსმა ველარ გაბედა დასდევნებოდა ბოსფორში თავშეფარებულ მითრიდატე პონტოელს. რომაელთა ფლოტს სერვილიუსის მეთაურობით მან ბოსფორის ეკონომიკურ ბლოკადაში მოქცევა უბრძანა, ხოლო თვითონ ალბანეთისაკენ გაემართა, მაგრამ არა უმოკლესი გზით – იბერიაზე, არამედ არმენიაზე გავლით, რათა მოულოდნელად დასხმოდა თავს.

ფაზის-ფოთიდან პომპეუსის ალბანეთში ლაშქრობის მარშ-რუტი შეიძლება დადგენილ იქნეს ტაბულა პევტინგერიანაზე მოცემულ Sebastopolis-Artaxata-ს ხაზზე. ფაზისი დაკავშირებული იყო ამ ხაზზე აღნიშნულ პუნქტთან ad fontem felicem (ბენდიერების წყაროსთან), რომელიც მდებარეობდა მიწერალური წყლებით ცნობილ საირმის გზაზე, მდინარე ხანისწყლის რიონში შერთვის ადგილას, სადაც კოლხეთის უძველესი ქალაქი როდოპოლოსი, ანუ ვარციხე იყო.¹ ახლანდელი ვარციხის ახლოს დღესაც არის მოხერხებული გადასასვლელი რიონზე. პევტინგერის ტაბულის შემდეგ პუნქტს ad Mercurium-ს ი. მანანდიანი კითხულობს როგორც ad Metrcurium-ს და ძველ მწერლებთან მდინარე კიროსის ქართულ სახელწოდებას – მტკვარს – უკავშირებს² (სიტყვასიტყვით – მტკვრისაკენ). მაგრამ მტკვარი ქართული სახელწოდებით არათუ ძველ, არამედ შემდეგი დროის

1. იხ. С.Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху Сасанидов. ВДИ, №1, 1939, გვ. 92-93.

2. იხ. Я.А. Манандян, Крутовой путь Помпея в Закавказье. ВДИ, №4, 1939, გვ. 75.

უცხოურ ლიტერატურაშიც არ მოიხსენიება. გზა fontefelice – ვარციხიდან სომხეთისაკენ ზეკარის გადასასვლელის გავლით მიდის. კასტორი გადასასვლელთან რომელიმე პუნქტს აღნიშნავდა და ამიტომ ad Mercurium უნდა იყოს აბასთუმნის მახლობლად მდებარე სამცხის ცენტრი – ოძრხე, რომლის დაარსებასაც ლეონტი მროველი უძველეს დროს მიაწერს.¹ მანძილი ვარციხიდან ოძრხემდე შეესაბამება პეეტინგერის ტაბულაზე მოცემულ მანძილს (77 კმ.) – fontefelice-სა და Mercurium-ს შორის. ამ გზაზე, მცხეთის მთებში, ჰეპტაკომეტებმა მათრობელა თაფლ-ის მეშვეობით პომპეუსს სამი კოჰორტა გაუწევინეს.²

Mercurium-იდან პომპეუსის ლაშქარი Caspiae (ხოსპიაში) უნდა მისულიყო და აქედან Ganlita-ში (განლაგაში), საიდანაც რომაელები ალბანეთისაკენ გაემართნენ ამამლუ-დილიჯან-ყაზახის გზით. აღსტაფისა და ყაზახის რაიონში პომპეუსმა დიდი სიფრთხილით გადალახა ალბანელების მიერ მორებით ჩახერგილი მტკვარი. კამბისენეში (ახლანდელი ყარაიაზის ველზე) რომაელებმა უწყლობის გამო დიდი გაჭირვება განიცადეს, მიუხედავად იმისა, რომ 10000 ტიკი წყალი მიჰქონდათ თან. მდინარე კამბიზის (იორის) ციემა წყალმაც აწყინა რომაელ მოლაშქრეებს.³

მდინარე აბანტის (ალაზნის) მარცხენა ნაპირზე, ზაქათალისა და ნუხის მახლობლად, რომაელებს ალბანელთა 72-ათასიანი ლაშქარი დახვდა ოროზის ძმის კოსისის სარდლობით.⁴ პომპეუსმა მათ წინააღმდეგ სამხედრო ფანდი იხმარა – წინ მხედრები დააყენა, უკან ქვეითი ჯარი ჩაასაფრა და ალბანელებს მოაჩვენა, თითქოს მისი ლაშქარი მცირერიცხოვანი იყო.⁵ ალბანელებმა ბრძოლა დაიწყეს, მაგრამ სასტიკად და-

1. ანასეული „ქართლის ცხოვრება“, გვ. 6.

2. სტრაბონი, გეოგრაფია, XII. 3, 18. ВДИ, №4, 1947, გვ. 235.

3. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII. 3, 6; პლუტარქე, პომპეუსი, 35.

4. პლუტარქე. პომპეუსი, 35; დიონ კასიუსი ალბანელთა სარდლად თვით ოროზს ასახელებს (რომის ისტორია, XXXVII. 4. ВДИ, №2, 1948, გვ. 272).

5. პომპეუსის ამ სამხედრო ხერხის შესახებ იხ. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII. 4, 2. ВДИ, №2, 1948, გვ. 272; სექსტ იულიუს ფრონტინი, ოთხი წიგნი სამხედრო ხერხების შესახებ, II. 3, 14.

მარცხდნენ. ბრძოლაში კოსისმა შუბი აძგერა პომპეუსს, მაგრამ რომაელთა სარდალი ჯავშანმა იხსნა და მან შუბითვე განგმირა კოსისი. ამ გამარჯვების მიუხედავად პომპეუსმა მაინც ვერ მიაღწია კასპიის ზღვას და იბერიასთან დადებული „სამეგობრო“ ხელშეკრულების მსგავსი გარიგება დადო ალბანელებთან.¹ შემდეგ, დიონის ცნობით, პომპეუსმა ასპინის რაიონში დაიზამთრა წინანდელი საზამთრო ბანაკის ადგილას და აქედან პონტოში დაბრუნდა.

ი. მანანდიანი იცავს თავის მოსაზრებას პომპეუსის საზამთრო ბანაკების ხოსპიის რაიონში მდებარეობის შესახებ და ფიქრობს, რომ ალბანეთიდან პომპეუსი მტკვრის დინების აყოლებით არმაზზე გავლით Caspiae-ში მოვიდა, აქედან – არტაშატში, შემდეგ კი Artaxata-Sinara-Satala-ს მაგისტრალით პონტოსაკენ გაემართა.² როგორც ზემოთ გვექონდა აღნიშნული, ბანაკი, სადაც რომაელებმა ორგზის დაიზამთრეს, ალსტაფისა და ყაზახ-შამშადილოს რაიონში უნდა ყოფილიყო. ის ფაქტიც, რომ ნყაროები დუმან პომპეუსის იბერიაში მეორედ ყოფნის შესახებ, მანანდიანის მიერ ნავარაუდები მარშრუტის სანინაალმდეგოდ მეტყველებს. ჩვენი აზრით, პომპეუსი ყაზახ-შამშადილოს რაიონიდან ახლანდელი დილიჯანის გზით Artaxata-Sinara-Satala-ს მაგისტრალზე გავიდა და იმ გზით დაბრუნდა პონტოში.

დასკვნა

ბოსფორში გადახვენილი მითრიდატე არ ცხრებოდა და მიუხედავად ავადმყოფობისა, რომაელთა წინააღმდეგ გაბედულ გეგმებს ადგენდა.³ იგი იახლოებდა სკვითური ტომების ბელადებს, რადგანაც მას მიზნად ჰქონდა სკვითური ტომებისაგან შემდგარი ლაშქრით მდინარე ისტრის (დუნაის) ხეობით

1. დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII. 5. ВДИ, №2, 1948, გვ. 272.

2. Я.А. Манандян, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

3. იხ. აპიანე, მითრიდატეს ომები, 109; გ. ვოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 272; დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXXVII. 11. ВДИ, №2, 1948, გვ. 272.

აღებებისა კენ ნასულიყო, შეეერთებინა გზად თრაკიელებისა და კელტების ტომები და იმ დროს, როდესაც პომპეუსი აზიაში იბრძოდა, ეს ანტირომაული ზეავი აღებებიდან რომისაკენ უნდა დაშვებულყო. ხუთი საუკუნის შემდეგ სწორედ აქედან მოველინენ რომს ალარიხის, გელბერიხისა და ატილას ურდოები. მაგრამ მითრიდატეს თავისი გეგმის განსახორციელებლად კოლოსალური მატერიალური და ადამიანური რესურსები სჭირდებოდა, ამავდროს, ბოსფორის ქალაქები მის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილი რომაელთა მიერ მონყობილი ეკონომიკური ბლოკადით გამოწვეული ზარალისა და მითრიდატეს სკვითური ტომების ბელადებთან დაახლოების გამო. მამას მეფობის სურვილით შეპყრობილი ფარნაკიცი განუდგა. ყოველივე ამის შედეგად, რაინახის გამოთქმით, თოვლის გუნდა, რომელიც ანტირომაულ ზეავს გამოიწვევდა, დაშვებამდე დადნა.¹ მითრიდატეს ქალაქი ფანაგორია აუჯანყდა, ფარნაკმაც არ შეინყალა იგი და 63 წელს პონტოელთა ხელმწიფე იძულებული იყო თვითმკვლელობით დაემთავრებინა თავისი მშფოთვარე და თავგადასავლებით მდიდარი ცხოვრება. მკვლელობისაგან თავდასაცავად მითრიდატეს იმუნიტეტი ჰქონდა გამომუშავებული შხამების მიმართ, ამიტომ სანამლავით თავის მოკვლა ვერ შეძლო და მისივე თხოვნით, იგი კელტების ჯარის უფროსმა ბიტიტიმა მოკლა.²

63 წელს, როდესაც მითრიდატე მოკვდა, პომპეუსი სირიაში იყო და იქ შეიტყო რომაელთა დაუძინებელი მტრის სიკვდილი. ფარნაკმა მამის ცხედარი პომპეუსთან გაგზავნა, ხოლო ამ უკანასკნელმა მითრიდატე ევპატორი დიდი პატივით დაასაფლავა პონტოს მეფეთა აკლდამაში.³ ფანაგორიამ რომაელთაგან ავტონომია მიიღო, ხოლო ფარნაკს მამის ლალა-

1. Th. Reinach, დასახ. ნაშრომი, გვ. 403-404.

2. აპიანე, მითრიდატეს ომები, 111; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 274-275; დიონ კასიუსის მიხედვით, მითრიდატე მისმა მხლებლებმა მოკლეს (იხ. მისი რომის ისტორია, XXCVII. 13, 3. ВДИ, №2, 1948, გვ. 273).

3. აპიანე, მითრიდატეს ომები, 113; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 276; დიონ კასიუსი, რომის ისტორია, XXCVII. 14. ВДИ, №2, 1948, გვ. 273.

ტისათვის პომპეუსმა ბოსფორის მეფობა დაუტოვა და „რომაელი ხალხის მეგობრისა და მოკავშირის“ წოდება უბოძა.

ომი რომსა და პონტოს შორის ელინისტური მსოფლიოს უკანასკნელი გაბრძოლება იყო რომის წინააღმდეგ. რომაელთა მიერ მითრიდატესა და ტიგრან დიდის დამარცხება აიხსნება იმით, რომ მსგავსად კიროსისა და ალექსანდრე დიდის იმპერიებისა, პონტოსა და სომხეთს ერთიანი ეკონომიკური ბაზა არ ჰქონდათ, წარმოადგენდნენ არამყარ სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებებს. მათ სამეფოებში შემავალ ხალხთა სიჭრელის გამო შეუძლებელი იყო ამ ხალხებს შორის ურთიერთგაგების მიღწევა, რაც განსაკუთრებით სავალალო იყო მითრიდატესა და ტიგრანის დიდი არმიებისათვის. მითრიდატესა და, შეიძლება, კიდევ რამდენიმე კაცის პოლიგლოტობა, ცხადია, საქმეს ვერ უშველიდა. გარდა ამისა, აღმოსავლეთის ხალხები ჩამორჩებოდნენ რომაელებს სამხედრო საქმის ხელოვნებითა და შეიარაღებით.

პონტოს სამეფოს დამარცხების შემდეგ რომაელებს გზა გაეხსნათ კავკასიისაკენ, მაგრამ მიუხედავად მათი განთქმული ძლიერებისა, კავკასიის დაპყრობა-დამორჩილება მათ ვერ შეეძლეს. „კავკასიამ კვლავ აჩვენა თავისი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა, სპარსელებისა და ელინების დაპყრობათა მსგავსად, რომაელთა შემოსევასაც აქ დაედო ზღვარი“.¹

პომპეუსის ლაშქრობის შედეგად რომის იმპერიამ შორს განავრცო თავისი საზღვრები აღმოსავლეთში. მითრიდატეს სიკვდილის დროისათვის ომი დამთავრებული იყო როგორც მთელ აღმოსავლეთში, ისე სირიაშიც. 65-64 წწ. პომპეუსის სარდლებს: გაბინიუსს, სკავრს, აფრანიუსს და სხვ. სამხრეთში უკვე დაპყრობილი ჰქონდათ ფინიკია, პალესტინა, აგრეთვე სირიისა და მესოპოტამიის პატარა ოლქები და ქალაქები. ბითინია და პონტოს სამეფოს დასავლეთი ნაწილი პომპეუსმა რომის იმპერიას შეუერთა. სირიაც რომის პროვინციად იქცა, ხოლო მის მეფედყოფილ ანტიოქოზ აზიელს სანაცვლოდ კო-

1. Т. Моммзен, *დასახ. ნაშრომი*, III, გვ. 109.

მაგენის სამეფო უბოძეს. კაპადოკიის მეფემ არიობარზანმა რომაელთა დახმარებისათვის კილიკიის ნაწილი და მთელი სოფენა მიიღო. ამავე დამსახურებისათვის გალატიის მმართველ დეიოტარს გადაეცა აღმოსავლეთ პონტო ქალაქებით – ფარნაკიით და ტრაპიზონით, აგრეთვე მცირე არმენია. ბოსფორის სამეფოც, იბერიის, სომხეთის, ალბანეთის, ატროპატენის და ოსროენას სამეფოთა მსგავსად, „რომაელი ხალხის მეგობართა და მოკავშირეთა“ რიცხვში მოექცა.

აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ რომაელთა ექსპანსიამ რეგრესიული როლი ითამაშა. რომაელ დამპყრობლებს კულტურა კი არ შემოუტანიათ აღმოსავლეთში, არამედ ბევრ რამეში აღმოსავლეთის ხალხებს დაესესხნენ. პომპეუსმა დიდი ნადავლი წაიღო აღმოსავლეთიდან. მარტო ქალაქ ტალავრიდან, სადაც მითრიდატე ევპატორის ერთ-ერთი საგანძური იყო, ოქრო-ვერცხლით მოჭედული და ძვირფასი ქვებით შემკული იმდენი ჭურჭელი, ტახტ-სავარძლები და ცხენის ძვირფასი მოსართავები წაუღიათ, რომ მის დათვლას და ჩაბარებას 30 დღე დასჭირვებია.¹ რიტერი შენიშნავს, რომ ვიდრე პომპეუსი არ გაილაშქრებდა აღმოსავლეთში, არ დაამარცხებდა მითრიდატეს და იქიდან არ მიიტანდა აუარებელ ნადავლს, მანამდე რომაელებისთვის მარგალიტი, ძვირფასი თვლები, ალმასი, აბრეშუმეული უცხო ხილი იყო. მხოლოდ ამ დროიდან იწყებს რომში მდიდრული ცხოვრებაო.² ტერტულიანუსის ცნობით, ბალი პირველად რომში პონტოდან შეუტანიათ.³ ანტიტოქსინების შესახებ მითრიდატე პონტოელს სპეციალური სამედიცინო-საბუნებისმეტყველო შრომები ჰქონია და ამ შრომების გადათარგმნის შემდეგ რომაულ მედიცინაში მეტად გავრცელებული ყოფილა ანტიტოქსინი, რომელსაც „მითრიდატესეულს“ უწოდებდნენ.⁴

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 115; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

2. მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1906, გვ. 111.

3. ფლორენტუს ტერტულიანუსი, ორი ნიგნი წარმართობის შესახებ, II. 16. ВДЦ, №3, 1949, გვ. 238.

4. პლინიუსი, NH. XXV. 6-7. ВДЦ, №2, 1949, გვ. 313.

პომპეუსს, რომელმაც აღმოსავლეთში თავისი წინამორბედი სარდლის ლუკულუსის მიერ მიღწეული წარმატებები ირგო, რომში 61 წლის 28-29 სექტემბერს ბრწყინვალე ტრიუმფი მოუწყვეს. „35 წლის ასაკის კაცმა (პომპეუსმა – ჯ. ო.), – წერს აპიანე, – ორი დღის განმავლობაში იდღესასწაულა ტრიუმფი მრავალ ხალხებზე პონტოდან და არმენიიდან, კაპადოკიიდან და კილიკიიდან, მთელი სირიიდან. აქ იყვნენ ალბანელებიც, ჰენიოხელებიც, სკვითი აქეველებიც და აღმოსავლეთელი იბერიელებიც“.¹ გამოიტანეს მითრიდატეს ოქროს ქანდაკება და დემონსტრირებულ იქნა პომპეუსის ლაშქრობის შედეგად ნაშოვნი დიდი ნადავლი. პომპეუსის ეტლის წინ მიდიოდა 34 ტყვე და მხევალი, მათ შორის, ტიგრან მცირე, მითრიდატეს 5 ვაჟი და კოლხების ყოფილი მმართველი ოლთაკი. ტრიუმფზე მოჰქონდათ დაფა, რომელზედაც ეწერა: „ხომალდები სპილენძის საბრძოლო ცხვირით დატყვევებულია – 800; ქალაქები დაარსებულია კაპადოკიაში – 8, კილიკიასა და კელესირაში – 20, პალესტინაში კი ქალაქი ამჟამად სელევკიად ნოდებულნი. დამარცხებული არიან მეფეები: სომხეთისა – ტიგრანი, არტოკ იბერიელი, ოროზონუს ალბანელი, მიდიის მეფე დარიოსი, ნაბატეის მეფე არეთა, ანტიოქ კომაგენელი... თვითონ პომპეუსი მიდიოდა ძვირფასი ქვებით მოჭედილი ეტლით, გამონყობილი, როგორც ამბობენ, ალექსანდრე მაკედონელის ტანისამოსში – თუკი ეს დასაჯერებელია, – მგონია მან იპოვნა მითრიდატეს საგანძურებში“.²

1. აპიანე, მითრიდატეს ომები, 116; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 278.
 2. აპიანე, მითრიდატეს ომები, 117; გ. გოზალიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 278-279. ქალაქ-პოლისები აღმოსავლეთში, ისევე როგორც საბერძნეთში, ძირითადად პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ და რომაელებს სურდათ ისინი თავიანთ ფორპოსტებად ექციათ. პომპეუსის მიერ ქალაქების დაარსება ამით იყო გამოწვეული და არა, როგორც მომზენი ფიქრობდა, მათ მიერ იმის შეგნებით, რომ ელინიზმის წარმომადგენლები არიან. (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, III, გვ. 126).

XV-XVI სს. დასავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის¹

დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორია აღმოსავლეთ საქართველოსთან შედარებით, ნაკლებადაა ცნობილი. ეს გამოწვეულია როგორც ნარატიული, ისე დოკუმენტური მასალის სიმწირით დასავლეთ საქართველოს შესახებ და მეტყველებს საქართველოს ამ ნაწილის შედარებით დაბალ კულტურულ-სამწერლობო დონეზე. დასავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის, პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი საკითხების დასადგენად ხშირად მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებს ვეყრდნობით.

დავით ნარინის გარდაცვალების შემდეგ გამეფებულ მის ძეს კოსტანტინეს ძმა მიქელი აუჯანყდა. ძმებს შორის ბრძოლა კოსტანტინეს გარდაცვალებამდე არ შეწყვეტილა. 1327 წელს კოსტანტინე გარდაიცვალა და, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ამავე წელს გამეფდა მიქელი. ვახუშტისავე ცნობით, 1329 წელს მიქელ მეფეც გარდაიცვალა, მისი მცირეწლოვანი ვაჟი ბაგრატი ლიხთიმერეთში გადმოსულმა გიორგი ბრწყინვალემ შეიპყრო, ორმეფობა მოსპო და საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობა აღადგინა.² ამ ისტორიასთან დაკავშირებით საინტერესოა 1326 წლით დათარიღებული სასისხლო სიგელი მიქელაძეთა. „ქ. სახელითა ღმრთისათა, მამისა, ძისათა, სულისა წმიდისათა შავთ (sic), შრვაშთა, კახთა, აფხაზთა, სომეხთა, კახთა ქართველთა ყოვლისა მპყრობელმან მიქაელ მეფისა ომშიდა მოკდა ეს საქმე: ჭარელიძესა აზნაური მიქელაძე შეაკუდა მანგასარ გოგიტაშვილსა გიორგის და დავითს მაზედა დიდი საქმე მოუვიდა. შემოვიდნეს დარბაისელნი კახაბერიძე, მკეიძე, სხვანი დარბაისელნი, დასხნეს მოურავნი, კათალიკოზი, სხვანი დარბაისელნი, ქნეს სიგლისა

1. დანერილია 1961 წ. ქვეყნდება პირველად.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III. თბილისი, 1949, გვ. 269.

მოკითხული, თათართაგან ნაღებული ქონდა".¹ შემდეგ მოთხრობილია, რა სასისხლო საურავი გადაახდევინეს გოგიტაშვილს მიქელაძის სასარგებლოდ. აქ ჩვენ თანხვდენა გვაქვს სასისხლო სიგელის ცნობებისა ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებთან, იმ განსხვავებით, რომ სიგელში მიქელი უკვე 1326 წელს მეფედაა ნახსენები.

ეს ჩვენ საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნეთ, რომ მრავლად გვაქვს იმერული წარმოშობის სასისხლო სიგელები. ბევრი სიგელი კარგადაა გაფორმებული და თარიღიც აქვს. ცნობილია, რომ ივ. ჯავახიშვილი სასისხლო სიგელებს ნატყუარ საბუთებად მიიჩნევდა, მეტად კრიტიკული თვალით უყურებდა მათ.² უმეტეს შემთხვევაში ამ სიგელთა მთელი რიგი ისტორიული ცნობების სიმცდარე ამკარაა, მათი გაბათილება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. სასისხლო სიგელების მონაცემთა უკრიტიკოდ მიღება, რასაც პროფ. ს. კაკაბაძე აკეთებს, იწვევს სრულ არეულობას ქართველ, განსაკუთრებით იმერეთის მეფეთა ქრონოლოგია-გენეალოგიებში. სასისხლო სიგელების განსაკუთრებით მრავლად გავრცელება დასავლეთ საქართველოში, ს. კაკაბაძის აზრით, აიხსნება საქართველოს ამ ნაწილში სახელმწიფოებრივი სამართლის შედარებით დაბალი დონით, ადგილობრივი სოციალური და უფლებრივი ნორმების თავისებური განვითარებით.³ ეს ალბათ ასეცაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყალბი საბუთების შემდგენელნი ქრონოლოგიურად დიდად არ იყვნენ დაშორებულნი ხანას, რომლის შესახებაც საბუთს ქმნიდნენ. ამდენად, ნატყუარ საბუთებში ნებისთ თუ უნებლიეთ ფასეული, ვარგისი ცნობებიცაა მოხვედრილი. ამ რიგის ცნობებს ივ. ჯავახიშვილიც იყენებს. მაგრამ მხოლოდ სასისხლო სიგელზე დაყრდნ-

1. ხელნაერთა ინსტიტუტი, Hd-14793; საქართველოს სიძველენი, II, გვ. 33.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბილისი, 1926, გვ. 176-178, 185-187.

3. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე, II, თბილისი, 1924, გვ. 1.

ობას და ისიც იმ შემთხვევაში, როდესაც მის მონაცემებს სხვა სიგელები, ნარატიული ცნობები არათუ მხარს არ უჭერენ, არამედ სრულიად ეწინააღმდეგებიან, ცხადია, უმართებულო დასკვნები მოაქვს.

სასისხლო სიგელების ცნობათა უკრიტიკოდ მიღების საფუძველზე პროფ. ს. კაკაბაძემ რამდენიმე უცნობი მეფე დაადგინა. მიღებულ ქრონოლოგია-გენეალოგიებში მათ მოსათავსებლად საკმაო შრომა გასწია, რისთვისაც სხვა სასისხლო სიგელებს იშველიებდა და იმ დროს, როდესაც წყაროთა ერთობლივი ჩვენებით ერთიანი საქართველოს მეფედ 1433 წელს ალექსანდრე დიდი იყო, ს. კაკაბაძის მიხედვით, დასავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე უცნობი თამარ II კოსტანტინე მეფის ასული ზის.¹ განზრახული გვაქვს სპეციალურად შევისწავლოთ სასისხლო სიგელები, მაგრამ დასავლეთ საქართველოში მათი სიუხვის, ამასთანავე სწორედ ჩვენს საკვლევ პერიოდში მათი შექმნის გამო, ამ საბუთების მონაცემებს გზადაგზა ჩვენ კიდევ შევხებით.

1433 წლით დათარიღებული იაკობიძეთათვის ბოძებული სასისხლო სიგელი თამარს მოიხსენებს „აფხაზთა, ჯიქთა, სუანთა და მეგრელთა, კახთა და სომეხთა, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ორისავე სახელმწიფოსა“ მპყრობელად, მეფეთ მეფედ. ამდენად, ს. კაკაბაძის მართებული დაკვირვებით, იგი უდავოდ დასავლური წარმოშობისაა, მაგრამ თუ საერთოდ ნატყუარი არაა, მაშინ უფრო მართებული ჩანს ამ სიგელის პირველი გამომცემლის ექ. თაყაიშვილის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ეს თამარი ალექსანდრე დიდის მეუღლეა და „დიდი თამარის მიბაძულობით ესეც თამარ მეფეთ უწოდს თავის თავს“.²

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გიორგი ბრწყინვალის დროს საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა აღდგენილ იქნა, მაგრამ მონღოლთა მიერ ჩანერგილი განხეთქილების

1. ს. კაკაბაძე, უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II, თბილისი, 1913; საქართველოს სიძველენი, II №330, გვ. 371.

2. საქართველოს სიძველენი, II, №330.

ვაშლი, ორმეფობა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, შესაფერ ნიადაგს იყო მოხვედრილი. საფიქრებელია, რომ ადრინდელი სახით საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა ველარ აღდგა. ამაზე მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონის ბუნდოვანი ცნობები იმერეთის ერისთავთა შესახებ.¹ სამწუხაროა, რომ არ გაგვაჩნია ამ პერიოდის სანდო დასავლური დოკუმენტები, რომლებიც ნათელს შეიტანდნენ არსებული ვითარების გარკვევაში.

საქართველოს დაშლის სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები შესანიშნავად აქვს ახსნილი აკად. ნ. ბერძენიშვილს: „Слабый экономический базис объединения Грузии при господстве натурального хозяйства, сохранение самобытности отдельных племён, теперь при подходящих условиях давали соответствующие политические ростки, после того, как крепостное право вошло в полную силу, а объединяющие страну слабые экономические узы ещё более ослабили, после того, как поддерживающие централизацию социальные слои окончательно подпали под власть феодалов, и в то же самое время не народились новые, – в таких условиях распад страны на ряд отдельных политических образований (на „царства“ и „княжества“) стал вопросом времени.

Политический распад феодальной Грузии произошел в условиях окончательно победившего крепостничества и развившегося феодального иммунитета, вследствие экономического регресса и хозяйственной деградации, что в свою очередь явилось результатом весьма сложного переплета сословно-классовых и внешне-политических отношений“.²

საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცების ადრევე დაწყებული პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა ალექსანდრე დიდის ძის გიორგი VIII-ის მეფობაში. 1465-1466 წწ. გიორგი VIII ყვარყვარე ათაბაგმა შეიპყრო, ამავე წელს იმერთა მეფე ბა-

1. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 183-185.

2. Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношении в Грузии, 1938, გვ. 18.

გრატმა ქართლი დაიჭირა. შემდგომში გიორგი VIII კახეთში გადავიდა და ბაგრატიონების კახური შტოს მამამთავარი გახდა. ქართლში 1465 წელს ბაგრატის გამეფების ფაქტს, რაც ვახუშტი ბაგრატიონთან არის აღნიშნული, ბაგრატი მეფის ინდიქტიონიანი საბუთებიც ადასტურებენ, როგორც ეს დადგენილი აქვს ივ. ჯავახიშვილს.¹

1468 წლის 20 ნოემბერს თავისი მეფობის მესამე ინდიქტიონს „ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა ლიხთიმერისა და ლიხთამერისა“ მპყრობელი მეფეთ მეფე ბაგრატი „ძმასთან“ – პატრონ კოსტანტინესთან – ერთად მამულის წყალობის წიგნს აძლევს ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილებს.² ამ სიგელის მიხედვით გამოდის, რომ იგი 1465-1466 წწ. გამეფებულა. სიგელი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ბაგრატი მეფე კოსტანტინეს ძმასა და პატრონს უწოდებს. ჩანს, კოსტანტინეს ქართლში რეალური ძალა გააჩნდა, მართალია, ბაგრატისთვის მხოლოდ „პატრონის“ ტიტულის მქონე იყო, მაგრამ მაინც ერთგვარად თანატოლი – „ძმა“.³ ასეთივე სურათია ავშანდაძეთა ნატყუარ სასისხლო სიგელში, სადაც კოსტანტინე კვლავ „პატრონად“, ხოლო ბაგრატი უძლეველ მეფეთ მეფედ იწოდება.⁴

ბაგრატი მეფის ქართლში შემოჭრისა და იქ გამეფების ამსახველია ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთი უთარილო სიგელი (Sd-1242). ბაგრატი 1454-1455 წწ. გამეფებულა, რაც ეთანხმება ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დაცულ ბაგრატი მეფის იმერეთში გამეფების თარიღს, იმ განსხვავებით, რომ ვახუშტი ბაგრატიონთან ბაგრატი რატომღაც იმერთა ერისთავის დიმიტრის ძედ არის მიჩნეული.⁵ დღეისათვის ბაგრატი VI-ის მამისშვილობის, მისი წარმომავლობის საკითხი გარკვე-

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 97-98.

2. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 40.

3. თვით კოსტანტინე თავის თავს მეფეს უწოდებს ბაგრატის მეფობაშივე 1466 წ. (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-1010, Hd-2007), 1467 წ. (ცსსა, ფ. 1448, №64), 1472 წ. 2/1, 1477 წ. (ისტორიული საბუთები, III, გვ. 20-21).

4. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 41-44; თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, გვ. 265.

5. ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 240.

ულად უნდა ჩაითვალოს, ბაგრატი ალექსანდრე დიდის ძმის გიორგის შვილი იყო.¹

ბაგრატი VI სიგელებში უკანასკნელად 1477 წ. 4 ივლისს არის მოხსენებული. კერძოდ, ნიკოლოზ და სხვ. პალატისშვილთა მიერ გოგია არდაშერასშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნში აღნიშნულია: „დაინერა ჟამსა მეფეთ-მეფისა ბაგრატისა“.² ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1478 წ. ბაგრატი VI რაჭას წასულა.³ თუ გავითვალისწინებთ, რომ კოსტანტინე II-ის ინდიქტიონიანი საბუთები კოსტანტინეს გამეფებას სწორედ ამ წლიდან ითვლიან, მაშინ ბაგრატი ალბათ არა უბრალოდ წასულა რაჭაში, არამედ, ჩანს, მისი არასტაბილური მდგომარეობა საბოლოოდ შერყეულა და კოსტანტინეს იგი გაუძევებია ქართლიდან. ამასთანავე, კოსტანტინე თავის გამეფებას 1478 წლიდან იმიტომ ანგარიშობს, რომ ბაგრატის თანადროული დამცრობილი მეფობა ახლა სათაკილოდ დარჩენია. კოსტანტინეს მომძლავრებაზე მიუთითებს ისიც, რომ ბაგრატი VI-ის ძემ ალექსანდრემ იმერეთის ტახტის დაკავებაც ვერ მოახერხა და 1479 წ. კოსტანტინემ „კვალად იმერეთი დაიჭირა“.⁴ ამრიგად, კოსტანტინემ დასავლეთ საქართველოც შემოიერთა. ბაგრატი VI-ის ძემ ალექსანდრემ ტახტის დაბრუნება მხოლოდ მას შემდეგ შეძლო, რაც „ორისავე ტახტის,“ ლიხთიმერისა და ლიხთამერის, მპყრობელი კოსტანტინე 1484 წელს ათაბაგმა ყვარყვარემ დაამარცხა. ამ წელს „ალექსანდრე-მ ძე-მან ბაგრატი მეფისა-მან ქუთათისი აღიღო, მეფედ დაჯდა“.⁵ ამ თარიღს ადასტურებს სეხნია ჩხეიძის ქრ-

1. იხ. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, გვ. 170-171; ჯ. ოდიშელი, XIV-XVII სს. აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის.

2. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, №4 ა.

3. ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 240.

4. იქვე.

5. იქვე.

ონიკაც.¹ რაც შეეხება ყვარყვარე ათაბაგის მიერ არადეთში კოსტანტინე მეფის დამარცხების თარიღს, იმავე სეხნია ჩხეიძის ქრონიკის, იკორთის ძლისპირის და „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, ეს ამბავი 1483 წ. მოხდა.² „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, ბრძოლა 16 აგვისტოს გაიმართა: „ქ-კსა როა თვესა აგვისტოსა ივ მეფე კოსტანტინე და ათაბაგი ყვარყვარე შეიბნეს არათეს და ათაბაგს გაემარჯვა“.³ ალექსანდრე ბაგრატიძის იმერეთში გამეფების თარიღის დასადგენად, ცხადია, უპირატესი მნიშვნელობა მის მიერვე გაცემულ ინდიქტიონიან სიგელს ენიჭება. 1495 წლით დათარიღებულ გელათურ სიგელში ვკითხულობთ: „ჩუენ ორისავე ტახტისა და სამეფოსა ძლითა ფლობით-მპყრობელმან მეფეთა მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან (sic) თამარ, შვესწირეთ და მოვახსენეთ ჩუენსა სულისა და კორცისა შესავედრებელსა დიდსა და ცათა მობაძავსა, მეორესა იერუსალიმსა, მონასტერს გელათს, ტაძარსა ყ-დ წ-დისა ღ-ისმშობლისა ჟორჟოლადის დავითის ნაქონები მამული გლეხები“.⁴ შემდეგ ჩამოთვლილი არიან გლეხები, რომელთა ბეგრითაც მეფე ალაპს გაიჩენს. საბუთი დანერილია ალექსანდრეს მეფობის მეთორმეტე ინდიქტიონს და ამ დოკუმენტის ცნობითაც დასტურდება, რომ ალექსანდრე 1484 წ. გამეფებულია იმერეთში, უფრო სწორად, ამ წელს დაუბრუნებია 1478 წ. დაკარგული ტახტი. 1509 წელს კვლავ გელათისთვის ნაწყალობევ სიგელში ალექსანდრეს მეფობის 15 ინდიქტიონია აღნიშნული, რაც ივ. ჯავახიშვილს საბუთის გადამწერის ან თვით დედნისეულ შეცდომად მიაჩნია.⁵

ალექსანდრე მეფის სახლობა ისტორიული დოკუმენტების და სხვა წყაროების მომარჯვებით დადგენილი აქვს ივ. ჯავახიშვილს.⁶ ჩვენ აქ მხოლოდ აღვნიშნავთ სანდო წყარ-

1. ქრონიკები, II, გვ. 303.

2. იქვე, გვ. 302.

3. „პარიზის ქრონიკა“, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1903, გვ. 6.

4. ქრონიკები, II, გვ. 310.

5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 134.

6. იქვე, გვ. 135.

ოებით უეჭველად დადასტურებულ ცნობებს, რომ ალექსანდრეს ჰყავდა მეუღლე თამარ, ძე ბაგრატი, რასაც სასისხლო სიგელებიც იმეორებენ. ბაგრატი მოხსენებულია ფონჯავიძისთვის გაცემულ 1497 წლით დათარიღებულ სასისხლო სიგელში.¹ ალექსანდრეს თანამეცხედრე დედოფალ თამართან ერთად გაბელიძეთა სასისხლო სიგელში მოხსენებულია მისი დედა დედოფალი ელენე.² ბაგრატი ალექსანდრეს ძედ მოხსენებულია 1502 და 1510 წლით დათარიღებულ სასისხლო სიგელებში.³ 1505 წ. 11/1 დათარიღებულ ივანე ქერხიძისთვის მიცემულ სასისხლო სიგელში ალექსანდრე მეფესთან ერთად მოხსენებული არიან: თანამეცხედრე თამარ და შვილები: ბაგრატი, ვახტანგ, გიორგი.⁴ საერთოდ მრავლადაა სასისხლო სიგელები, ალექსანდრე მეფეს რომ მიენერება.

„ორისავე ტახტის, ლიხთიმერისა და ლიხთამერის“, მპყრობელობა, ჩანს, არც კოსტანტინე მეფისთვის და არც ალექსანდრე იმერთა მეფისთვის ისტორიული დოკუმენტების ტრადიციული პრეამბულის ლიტონი განცხადება არ ყოფილა. ორივეს ჰქონდა სათანადო ლეგიტიმური უფლებები გაერთიანებული საქართველოს ტახტის დაკავებისა. ვახუშტი ბაგრატიონისა და „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელი გაგრძელების, აგრეთვე სხვა ცნობებით, თავდაპირველად კოსტანტინე მძლავრობდა. 1487 წ. ლიპარიტ დადიანის შემწეობით მას იმერთი დაუპყრია, მაგრამ 1488 ან 1489 წ. ალექსანდრეს ქუთაისი კვლავ დაუბრუნებია, 1491 წლისთვის კი მეფეებს შორის დროებითი ზავი ჩამოვარდნილა.⁵

კოსტანტინე მეფის გარდაცვალების შემდეგ ალექსანდრე იმერთა მეფემ ძალი მოიცა და შუაგულ ქართლამდის შემოიჭრა 1508 თუ 1509 წ. მთელი რიგი მატთან-კინკლოსური ცნ-

1. საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 66-67.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-8731; საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 23-25.

3. ქუთაისის მუზეუმი, №995; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Cd-7877.

4. ქუთაისის მუზეუმი, № 1026.

5. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144-145, 151.

ობებით, მან გორიც დაიჭირა.¹ ამ პერიოდს ეკუთვნის ალბათ ალექსანდრე მეფის მიერ მცხეთისთვის მიცემული ქართლის სოფლების შეწირულების წიგნი.²

არახელსაყრელი საშინაო და საგარეო ვითარების გამო, ცენტრალიზმის დროშით წარმოებული მეფეთა ეს შინაბრძოლები მხოლოდ უარყოფითად, საზიანოდ მოქმედებდნენ ქვეყნის მდგომარეობაზე, აჩანაგებდნენ ისედაც სავალალო მდგომარეობაში მყოფ მწარმოებელ საზოგადოებას. დროებით წარმატებას ესა თუ ის მეფე გარეშე, უცხო ძალის შემოჭრის შედეგად აღწევდა. პარიზის ქრონიკის მიხედვით, 1489 წ. ალექსანდრე მეფემ ქუთაისის დაბრუნება ახალციხეში თათართა მოსვლის შედეგად შეძლო. „ქ-კსა როზ ახალციხეს თათარნი მოვიდენ, – ვკითხულობთ „ქრონიკაში“, – იმასვე წელიწადსა ალექსანდრემ ქუთაისი აიღო ძემან ბაგრატიანამან“.³ მართალია, სამცხე კოსტანტინეს სამფლობელოში არ შედიოდა, მაგრამ მოსალოდნელი საფრთხე სამხრეთიდან, უნდა ვიფიქროთ, მის აქტივობას იმერეთში დაასუსტებდა და აქ ცნობების უბრალო სინქრონულ დამთხვევასთან არ უნდა გვექონდეს საქმე.

იმ დროს, როდესაც ალექსანდრე იმერთა მეფე გორს იდგა, ვახუშტი ბაგრატიონის და მთელი რიგი ისტორიული წყაროების ცნობებით, ოსმალებმა იმერეთი დაარბიეს 1510 წ. და ახლა ამან აიძულა იმერთა მეფე დაეტოვებინა ქართლი.⁴

პარიზის ქრონიკაში ალექსანდრე მეფის გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებით უცნაური აღრევაა. ისე გამოდის, რომ 1509 წ. ალექსანდრე მეფემ გორი აიღო, ხოლო 1508 წ. იგი მკვდრად არის გამოცხადებული.⁵ იკორთის ძლისპირის მიხედვით, ალექსანდრე მეფე 1513 წ. გარდაიცვალა.⁶ ოყურემის

1. იქვე, გვ. 213.

2. ქრონიკები, II, გვ. 326.

3. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 6.

4. ქრონიკები, II, გვ. 327.

5. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 7.

6. ქრონიკები, II, გვ. 331.

ეკლესიის ხატის წარწერა და მეფეთ მეფე ალექსანდრეს სულის მოსახსენებლად მოძღვართმოძღვარ ილარიონის მიერ გელათისთვის 1513 წელს ბაგრატიის გამეფების სამ ინდიქტიონს მიცემული შეწირულების წიგნი ადასტურებენ ვახუშტი ბაგრატიონის და თ. ჟორდანიას „ქრონიკებში“ დაცული ერთი ცნობის სიზუსტეს ალექსანდრე მეფის 1510 წელს გარდაცვალებისა და ამ წელს მისი ძის ბაგრატიის გამეფების შესახებ.¹

1510 წელს იმერეთში გამეფებული ბაგრატი მეფის სახლობა ისტორიული საბუთების მიხედვით შემდეგნაირად წარმოგვიდგება: გამეფების თითქმის თანადროულ ერთ სიგელში ბაგრატი მოიხსენიებს ძმებს: ვახტანგს და დავითს.² თანამეცხედრე დედოფალი ელენე მოხსენებულია 1527 წ. 27 აპრილს შვილებთან გიორგისთან და თეიმურაზთან ერთად. საბუთი წარმოადგენს წყალობის წიგნს, მიცემულს ბაგრატი მეფის მიერ ჯვარისმტვირთელ იოსებ ფანჩულიძისთვის.³ დედოფალი ელენე შვილებთან: გიორგისთან, თეიმურაზთან და კოსტანტინესთან ერთად მოხსენებულია 1534 წ. 10 დეკემბრის სიგელში.⁴ ამავე წლის 9 აგვისტოს ნიკორწმინდისათვის ბოძებულ სიგელში ელენე დედოფალი მოხსენებულია შვილებთან გიორგისა და ალექსანდრესთან ერთად, ხოლო 1545 წ. ივლისში გენათელი ეპისკოპოსის მელქისედეკ საყვარელიძის თხოვნით ივანე ცირლილაძისთვის ბაგრატი მეფის მიერ საყდრისშვილობისა და ყმა-მამულის წყალობის წიგნში მოხსენებული არიან დედოფალი ელენე და ბაგრატი მეფის ძენი: გიორგი და თეიმურაზ (სიცი).⁵ ვახუშტი ბაგრატიონთან შემონახული ცნობით, გარდაცვალებისას ბაგრატი მეფეს ორი ძე დარჩა: გიორგი და კოსტანტინე,

1. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 217-218.

2. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 6; ქრონიკები, II, გვ. 344.

3. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 8; ქრონიკები, II, გვ. 370; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-2894/3.

4. ქრონიკები, II, გვ. 379.

5. იქვე. 1545 წ. სიგელი იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-11202; საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 134-135.

ხოლო „ქართლის ცხოვრების“ ერთ გაგრძელებაში შემონახულია ცნობა ბაგრატის ერთი შვილის 1519 წ. მუცლის ტკივილით გარდაცვალების შესახებ.¹

ბაგრატი მეფის ძმა ვახტანგი „ქართლის ცხოვრებაში“ არაერთგზისაა მოხსენებული. როგორც საკმაოდ აქტიურ პიროვნებას იხსენიებს მას ვახუშტი ბაგრატიონიც.²

როგორც ცნობილია, ქართლის მეფე დავით X 1525 წელს შემონაზვნდა თუ იძულებით იქნა შეყენებული მონაზვნად, ვინაიდან მის შემონაზვნებასთან ერთად ირღვევა ტახტის მემკვიდრეობის დადგენილი წესი – მეფე ხდება არა დავითის შვილი ლუარსაბი, არამედ მისი ძმა გიორგი IX. ცნობები ამ ამბის შესახებ დაცულია „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ გაგრძელებებში და ვახუშტი ბაგრატიონთან: უზურპატორ გიორგი IX-ს, როგორც ჩანს, მაინცდამაინც მყარი მდგომარეობა არ ჰქონდა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „ესე გიორგი მეფე დაემეგობრა უმეტეს დავით მეფისა კახთ-ბატონს ლევანს და ჰყო სიყვარული მისთანა, ეგრეთვე ბაგრატი იმერთა მეფისა-თანა“.³ ხოლო გიორგი IX-ის სიყვარული ბაგრატი იმერთა მეფის მიმართ იმაში გამოიხატა, რომ „ქორონიკონსა სიდ (1526 წ. – ჯ. ო.) მისცეს ბაგრატი ქართლი, მეფესა იმერეთისასა, არადეთის წყალს გამოლმა: ალი, სურამი და ახალდაბა“.⁴ ზუსტად არის გამეორებული ეს ცნობა „პარიზის ქრონიკაში“, „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ გაგრძელებაში.⁵

ბაგრატი იმერთა მეფის მიერ ქართლის ზემოთ აღნიშნული მიწების ხელთ გდების ფაქტთან დაკავშირებით საინტერესოა „პარიზის ქრონიკისა“ და „ქართლის ცხოვრების“ ერთი

1. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1959, გვ. 493.
 პარიზის ქრონიკაც ანალოგიურ ცნობას იძლევა.
 2. ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 188; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 360^{ა-ბ}, 361^ა, 502^{ა-ბ}.
 3. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 21
 4. „ნიგნი ქორონიკონნი“; ქრონიკები, II, გვ. 357
 5. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 7; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 493^ა.

გვიანდელი გაგრძელების ერთობლივი ცნობა, რომლის მიხედვითაც, 1526 წელს ქართლის სამეფო ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ ლუარსაბ დავითის ძემ (შემდგომში ლუარსაბ I-მა) ბაგრატ იმერთა მეფის ასული თამარი შეირთო ცოლად.¹ საფიქრებელია, რომ ტახტის მიმტაცებელი გიორგი IX ტერიტორიულ დათმობაზე წავიდა კანონიერი მემკვიდრის, სიმამრის – ბაგრატ იმერთა მეფის დასაშოშმინებლად.

1529 წელს ბაგრატს იმერეთი სამ საეპისკოპოსოდ დაუყვია.²

1548 წელს ნმ. გიორგის გელათური გულანისა და ოყურემის ხატის წარწერის ცნობებით, ბაგრატ მეფემ ლევან დადიანი შეიპყრო ღალატით.³ იგივე ცნობა, ოღონდ უთარილოდ, დაცულია „ქართლის ცხოვრების“ გვიანდელ გაგრძელებაშიც.⁴ ეს უნდა იყოს ბაგრატ მეფის უკანასკნელი მოხსენება ისტორიულ წყაროებში, ხოლო ბაგრატ მეფის შემორჩენილ სიგელთაგან უკანასკნელი – ცირლილაძეთა სიგელი, დათარილებულია 1545 წლით.⁵ ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ბაგრატ მეფე გარდაიცვალა „ქრისტესით ჩემმ ქორონიკონსა სლვ (1548 წ. – ჯ. ო.) და დაუტევნეს ძენი ორნი გიორგი და კოსტანტინე და დაიმარხა გელათს“.⁶ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში გარდაცვალების თარიღი დაცული არაა, აღნიშნულია მხოლოდ გელათში დამარხვის ფაქტი.⁷

ბაგრატის იმერეთში მეფობის უკანასკნელი დროით, 1547 წ. ანვრით, არის დათარილებული ალექსანდრე მეფეთ მეფის შვილების პატრონების: კოსტანტინე, გიორგი, მელქიზედეგს მიერ თევდორე, ნიკოლოზ იაკობიძეთათვის მიცემული წყალობის სიგელი. სიგელი წარმოადგენს ეტრატს, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (Sd-725r). გარდა იმისა, რომ ამ

1. პარიზის ქრონიკა, გვ. 7; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 49¹⁰⁻¹¹.

2. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 8.

3. ქრონიკები, II, გვ. 389.

4. ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 133-135.

5. იქვე.

6. ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 191.

7. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 361², 502²¹.

დროს ალექსანდრე მეფისა და სხვა წყაროებიდან სრულიად უცნობი მისი შვილების სახელების მოხსენება ეჭვს ბადებს, საერთოდ სიგელი მეტად უეცრად, აბდაუბდადაა შედგენილი და გვაფიქრებინებს, რომ ნატყუარია. ეტრატის verso-ზე უკვე XVII საუკუნის სიგელია. ეს უკანასკნელიც ნატყუარ სიგელთა რიცხვს უნდა განეკუთვნოს.

„ქართლის ცხოვრების“ ორი გაგრძელება და ვახუშტი ბაგრატიონი ბაგრატ მეფის გარდაცვალების შემდეგ აღნიშნავენ მისი ძის გიორგის გამეფებას. თარიღი გიორგის გამეფებისა კონკრეტულად მოცემული არაა, მაგრამ თხრობის დროს ქრონოლოგიური ამბების თანმიმდევრულ გადმოცემაზე დაყრდნობით მარი ბროსემ გიორგის გამეფება ქრონოლოგიურ ტაბულაში 1548 წლით შეიტანა.

სულ გვაქვს გიორგი მეფის 4 ინდიქტიონიანი საბუთი. თ. ჟორდანიას ქრონიკებში 1565 წლის 13 მაისის თარიღით დაცულია აფხაზთა კათალიკოსის ევდემონ ჩხეტიძის შესახებ მინაწერი ბიჭვინთის გუჯარზე, სადაც აღნიშნულია, რომ „გათავდა ნ~ა ესე თუშ ოკდომბერი ყოვლითურთ სრული დიდებულსა საყდარსა გელათს ინდიქტიონსა მეფობისა ჩვენისასა, მეფეთმეფისა გიორგისა ძისა ბაგრატ მეფეთმეფისასა, ქქ~ს სნგ, მაისს გ“.¹ როგორც ვხედავთ, აქ ინდიქტიონის კონკრეტული მითითება არ არის, ან ნაგულისხმევია პირველი ინდიქტიონი.

გიორგი მეფის კარის მდივან-მწიგნობრის ალასი თავაქალაშვილის მიერ დაწერილი ყმა-მამულის შეწირულების წიგნი, მიცემული მეფის მიერ გელათისათვის, დათარიღებულია 1568 წ. 30 აგვისტოთი და გიორგის გამეფების IV ინდიქტიონს ითვლის.² ე. ი. ამ საბუთის მიხედვით, გიორგი 1565 წ. გამეფდა. იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ 1569 წ. 4 თებერვალს დაწერილ სიგელში გიორგის გამეფების კვლავ IV ინდიქტიონია აღნიშნული და ამჯერად გამოდის, რომ იგი 1560 წ. გამეფდა.³

1. ქრონიკები, II, გვ. 405-406.

2. იქვე, გვ. 409-410.

3. იქვე, გვ. 412; ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 17-19.

გიორგი მეფის მიერ დავით ნულუკიძისთვის მიცემულ ყმა-მამულის წყალობის წიგნში აღნიშნულია მისი მეფობის ოცდამეორე ინდიქტიონი. ისტორიკოსი შ. ბურჯანაძე ვახუშტი ბაგრატიონზე დაყრდნობით ამ სიგელს 1570 წლით ათარილებს.¹

წარმოდგენილ სურათს კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის მეფეთ მეფე კოსტანტინეს და მისი თანამეცხედრის დედოფალთ დედოფალ თინათინის შეწირულების წიგნი, მიცემული იერუსალიმის ჯვრის მონასტრისათვის. „ამ სოფლის უძეოდ გარდავლენის გულისათვის და საუკუნო სასუფეველის მოცემისათვის“ კოსტანტინე მეფე მონასტერს სწირავს ყოვლისა მოსავლისა და საშოვარისგან ოცისთავს. საბუთის დედანი დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში (Qd-1447). იგი დათარიღებულია 1558 წლით და მის იმერულ წარმოშობაზე მიუთითებს ის, რომ დაწერილია სამეფო კარის მდივან-მწიგნობრის მირველ თავაქალაშვილის მიერ. ვიფიქრებდით, რომ ეს არის საბუთი, გაცემული გიორგი მეფის ძმის კოსტანტინეს მიერ. იმის შიშით, რომ ტახტს იგდებდა ხელთ, 1583 წ. გიორგის იგი შვილთან როსტომთან ერთად შეუპყრია. თუმცა როსტომი შემდგომში მაინც ვახდა მეფე, მაგრამ სიგელში კოსტანტინეს უძეობაა აღნიშნული ხაზგასმით.² ამიტომ საკითხი ღიად რჩება.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, გიორგი მეფეს ჩერქეზთ ბატონის ქალი რუსუდანი შეურთავს 1563 წ. დედოფალი რუსუდანი გიორგის თანამეცხედრედ მოხსენებულია 1568 წ. ორ საბუთში, 1569 წ. 4 თებერვლის საბუთში და შ. ბურჯანაძის მიერ 1570 წ. დათარიღებულ საბუთში.³ „პარიზის ქრონიკის“ ცნობით, „შარვაშიძის ქალი დედოფალი რუსუდან მიიცვალა აგვისტოს დ“ 1578 წ.⁴ 1586 წ. ბაგრატი მეფის უხუცესი ვაჟის

1. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, I, თბილისი, 1959, გვ. 18.

2. იხ. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 193.

3. ქრონიკები, II, გვ. 409-410, 412; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-2901.

4. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 15.

მეფეთ მეფე გიორგის მეუღლე, სახელოვანი შერმაზან დიასამიძისა და ანას ქალი თამარყოფილი ქრისტინე გელათის წმ. გიორგის ეკლესიას სწირავს ფასეულობებსა და ყმებს: ჩხარელ გოგიჩა, ზაქარია აბულაძეებს და სხვ.¹ დედოფალ რუსუდანთან ერთად ზემოთ დამონმებულ სიგელებში მოხსენებულია გიორგი მეფის პირმშო ბაგრატი, რომელსაც, ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, 1573 წ. ლევან დადიანის ასული გიორგი დადიანის და შეურთავს, ხოლო ვახუშტისავე და პარიზის ქრონიკის ცნობით, 1578 წელს ბაგრატი გარდაცვლილა.² არ გაგვანჩნია სიგელები, რომლებშიც მოხსენებული იყოს გიორგი მეფის ძე ლეონ, შემდგომში იმერთა მეფე.

წმინდა გიორგის ეკლესიის გულანის მიხედვით, გიორგი მეფე 1583 წ. გარდაცვლილა.³ შემოქმედის გულანის მიხედვით, ეს 1584 წ. მოხდა.⁴ ვახუშტი ბაგრატიონი გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღად 1585 წ. ასახელებს.⁵ ბერი ეგნატაშვილის «ახალი ქართლის ცხოვრებაში» გიორგი მეფის გარდაცვალების თარიღი აღნიშნული არ არის და შეცდომით მიჩნეულია, რომ გიორგის შემდეგ გამეფდა მისი ძე კოსტანტინე, რომელიც მალე გარდაიცვალა და ახლა უკვე გიორგის მეორე შვილი ლეონი ავიდა ტახტზე.⁶ იგივე ამბავია გამეორებული «ქართლის ცხოვრების» გაგრძელების III ტექსტში, იმ განსხვავებით, რომ აქ კოსტანტინე გიორგის ძედ არ იწოდება.⁷ აქ გასათვალისწინებელია გიორგი მეფის ადრეული შიში, რომ მის ძმას კოსტანტინეს მისი მცირეწლოვანი ვაჟის ლევანისთვის ტახტი არ წაერთმია და ვახუშტის ცნობა: «მოკუდა მეფე გიორგი, დაჯდა ძე მისი ლევან მეფედ და კოსტანტინემ მისმა

1. ს. კაბაძე, საეკლესიო საბუთები I, გვ. 32.

2. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 192, 193; «პარიზის ქრონიკა», გვ. 15.

3. ქრონიკები, II, გვ. 421.

4. იქვე, გვ. 422.

5. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 245.

6. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 375.

7. იქვე, გვ. 531.

ბიძამ არგვეთი დაიჭირა". ხოლო შემდეგ ვახუშტი აღნიშნავს, 1587 წელს ლეონ მეფემ რიონს გაღმა გაილაშქრა, ბიძამის კოსტანტინეს სკანდა ნაართვა და საუფლისწულო მისცაო.¹

ვახუშტი ბაგრატიონისავე ცნობით, 1586 წ. ლევან მეფეს ლევან დადიანის ასულ მარეხზე უქორწინია.

ერთადერთი სიგელია დადასტურებული ლეონ მეფისა. ეს არის ყმა-მამულის წყალობის წიგნი, მიცემული 1591 წ. 15 მაისს ლეონის მეფობის მეორე ინდიქტიონს ნიკორწმიდელი ამბროსი ზაქრადისთვის.² სიგელის მონაცემები სრულიად ეწინააღმდეგება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას იმის შესახებ, რომ 1590 წ. „ლევან მეფე და დადიანი მამია ქუთაისს შეიბნენ და დადიან-მან მეფე დაიჭირა, შხეთის ციხეში დააბა და მუნ ჰოკუდა, მეფედ დასვეს როსტომ, კოსტანტინეს ძე“.³ პარიზის ქრონიკა ამავე ამბავს 1587 წლის თარიღით მოგვითხრობს.⁴ ბერი ეგნატაშვილთან ამ ამბის თარიღად 1592 წელია მოცემული. ქართლის ცხოვრების გაგრძელების მესამე ტექსტში აღნიშნულია ქრისტეს აქეთ ჩფუბ, ე. ი. 1592 წელი, ხოლო ქორონიკონია სოშ, ე. ი. 1590 წელი.⁵ ერისთავიანთ დაუჯდომელის ცნობით: „ქ-კსა ორას სამოცდა ცხრამეტსა მეფე სუმონ და მეფე ლეონ შეიბნეს გოფანთას და მეფეს სუმონს გაემარჯვა.“⁶ „პარიზის ქრონიკის“ თანახმად, ეს ბრძოლა 1587 წელს გაიმართა, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით – 1588 წელს.⁷

ლეონ იმერთა მეფის მომდევნო მეფის, ლევანის ბიძის კოსტანტინეს შვილის როსტომის მხოლოდ ერთი სიგელია ჩვენთვის ცნობილი. დედოფალთ დედოფალ თინათინთან

1. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 245.

2. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 34; ცსსა ფ. 1449, №156.

3. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 246.

4. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 21.

5. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 376^{გვ.} 532¹⁷.

6. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 279. ამავე წყაროთი როსტომ კოსტანტინეს ძე იმერეთში 1592 წ. გაამეფეს. იხ. იქვე, გვ. 280.

7. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 21; ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 246.

ერთად როსტომ მეფეს თავისი მეფობის ინდიქტიონს (კონკრეტულად არაა ნაჩვენები, რომელი ინდიქტიონია), 1603 წ. აგვისტოს სიგელით ყმა-მამული შეუწირავს გელათისთვის.¹ საბუთის დამწერია მთავარეპისკოპოსი ბატონიშვილი სვიმონი. ამ საბუთით დასტურდება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა როსტომ მეფის მიერ ათაბაგის ქალის თინათინის შერთვის შესახებ.²

როგორც ლეონ, ისე როსტომ მეფის დროს იმერეთში სვიმონ ქართლის მეფე მძლავრობდა.

1. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

2. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 246.

დავით აღმაშენებლის 1123 წლის სიგელი, რომორც წყარო¹

დათარილება დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის მიცემული ქონება-მამულების შეწირულები-სა და აღაპის გაჩენის წიგნისა, რომელიც ამავე დროს დავით მეფის ანდერძსაც წარმოადგენს, მკვლევართა ეჭვებს არ იწვევს. როგორც საბუთის ტექსტიდან ირკვევა, იგი დაწერილია მეფის „უამსა... შარვან[სა ზედა] განმართვისასა“. ვინაიდან საქართველოს დედაქალაქი თბილისი, საბუთისავე ტექსტიდან გამომდინარე, განთავისუფლებულია თურქთაგან,² ეს უნდა გულისხმობდეს დავით მეფის რიგით მესამე გალაშქრებას შირვანზე, თბილისის განთავისუფლების მეორე, ე. ი. 1123 წელს, ზაფხულს. დავითმა 1124 წელსაც ილაშქრა შირვანზე, მაგრამ აქ ამ ლაშქრობაზე არ უნდა იყოს ლაპარაკი, რადგან ლაშქრობის მიზანი 1124 წ. ანისი იყო.

დღემდე საბუთი სამჯერ არის გამოცემული. 1895 წელს იგი ცალკე წიგნად პირველად გამოსცა თ. ჟორდანიამ, დაურთო მას მცირე შესავალი წერილი რუსულ ენაზე და კომენტარები საბუთის რუსულ თარგმანს. ერთი წლის შემდეგ, 1896 წელს, მანვე შესწორებებით გადაბეჭდა საბუთი წიგნში „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა“. უკანასკნელი გამოცემა ნუსხურად ეკუთვნის პროფ. ს. კაკაბაძეს (თბილისი, 1912 წელი). ამ გამოცემას განსაკუთრებული ფასი აქვს, რადგანაც დართული აქვს საბუთის ცინკოგრაფიულად გამოცემული ფოტოპირი. საქმე ის არის, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს საბუთი, სხვა საარქივო მასალებთან ერთად ჩრდილო კავკასიაში გახიზნეს, საიდანაც 1923 წელს დაბრუნდა მხოლოდ მისი ფრაგმენტი, რომელიც ამჟამად საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივშია დაცული (ფონდი № 1448, საბ. № 1015).

1. დაწერილია 1961 წ. ქვეყნდება პირველად.

2. „ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია...“ თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896, გვ. 16.

მკვლევართა ხელში საბუთი უკვე დაზიანებული სახით მოხვდა და მისი დასაწყისის (რომელიც მხედრულით არის შესრულებული, ისევე, როგორც დაბოლოება), ნაკითხვა დიდხანს გაუგებრობას იწვევდა. 1924 წელს აკად. ა. შანიძემ საბუთის დასაწყისი ასე წაიკითხა: „მე დ-თს მიწყიეს“,¹ რაც ნიშნავს, მე დავითს დამიწყია ანდერძის წერაო. მხედრულით შესრულებული დასაწყისი და დაბოლოება საბუთისა მიჩნეულია დავით აღმაშენებლის უნიკალურ ავტოგრაფად. „რაკი ანდერძის სიდიდისა და სისწრაფის გამო დავით აღმაშენებელს, – აღნიშნავს აკად. ივ. ჯავახიშვილი, – ანდერძის მთლად თავის საკუთარი ხელით დანერა არ შეეძლო, მას ეს ანდერძი საკუთარი ხელით მაინც დაუწყია და ეს გარემოება საგანგებოდ აღუნიშნავს და ბოლოშიც თავისი საკუთარი ხელრთვა მოუთავსებია: „სიმტკიცეო ყოველთაო, ღმერთო, მტკიცე მტკიცედ აქციე“.²

ის ამბავი, რომ მეფე საკუთარი ხელით თავისი ანდერძის მხოლოდ თავსა და ბოლოს წერს, სწორედ ასე მარტივად აიხსნება და არა იმიტომ, თითქოს მას ხუცურად წერა არ ემარჯვებოდა,³ მით უმეტეს, რომ დავითის ისტორიკოსის ცნობები სრულიად სანინაალმდეგოზე მიგვითითებენ: „და ვთქუა სხუაცა საქმე, საცნაურ-მყოფელი წიგნთა სიყუარულისა“-ო, – წერს იგი დავითის შესახებ.⁴ მისი ცნობით, ერთი წლის განმავლობაში მეფეს მარტო წიგნი სამოციქულო 24-ჯერ წაუკითხავს, ხოლო ერთხელ, კითხვით გატაცებულს, ლაშქრობაში კურიოზული ამბავიც კი შემთხვევია.

საერთოდ კი ის ამბავი, რომ დავითის ავტოგრაფი მხედრულით არის შესრულებული, მეტად ნიშანდობლივია. აკად. ა. შანიძე აღნიშნავს, რომ ამ ფაქტს ხუცურისა და მხედრულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის, საერთოდ, ქართ-

1. იხ. ა. შანიძე, Miscellanea. „ჩვენი მეცნიერება“, №8, თბილისი, 1924, გვ. 2-3.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვეთი II, თბილისი, 1929, გვ. 381-382.

3. ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

4. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 349.

ული წერის განვითარების ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.¹ სამწუხაროდ, დღეისათვის დავითის ავტოგრაფი დაკარგულია.

არ გვგონია, რომ უშუალოდ დავით აღმაშენებლის კარნახით არის დანერილი მისი ანდერძი შიომღვიმისადმი. ერთი კი ცხადია, იგი შესრულებულია სასულიერო ლიტერატურის კარგი მცოდნე პირის მიერ. როგორც ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის მ. შანიძის გამოკვლევიდან ირკვევა, სხვა საერო ხასიათის ძეგლებშიც და დავითის მიერ შიომღვიმისთვის ბოძებულ ანდერძშიც არის რემინისცენციები ფსალმუნიდან.² მაგალითად, ძაგან ერისთავის განდგომის შესახებ საბუთში ნათქვამია: „არა ითნა ესრედ ყოფად... და არცა მიუშუა კუშრთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალთასა“³ რაც გამოძახილია 124-ე ფსალმუნისა: „არა დაუტეოს უფალმან კუერთხი ცოდვილთა ნაწილსა ზედა მართალთასა“ (ეს შემთხვევა შენიშნული აქვს თ. ჟორდანიასაც, გვ. 17). ზუსტად ეს ადგილი აქვს აღებული დავითის ისტორიკოსსაც (ქართლის ცხოვრება, 362). მემღვიმე მამათა დამსახურების შესახებ ძაგანის შეპყრობის საქმეში ნათქვამია: „იხარებს მართალი, რაჟამს იხილოს შურისგებაჲ“⁴ ფრაზის ბოლო ნაწილი ციტატა 57-ე ფსალმუნიდან. შეწირულების ჩამოთვლის შემდეგ დავითი შესთხოვს ბერებს, ილოცონ ასრე: უფალო ღმერთო, დავითს მიუტევენ ბრალნი მისნი სიყრმისა და ცთომილებისანი!“⁵ უდავოა, რომ აქ გარკვეულ ისტორიულ ფაქტთან – დავითის მიერ სიჭაბუკეში ჩადენილ ღვთისსაგმობ დანაშაულთან – გვაქვს საქმე, რაზეც მიგვითითებს დავითის ისტორიკოსის ცნობა: „ნუ მეტყუ მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიქსენეს!“⁶ დავითის „გალობანი სინანულისანიში“

1. ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

2. მ. შანიძე, ხელნაწერ A-135-ის კომენტური ტექსტისათვის (გამოუქვეყნებელია).

3. თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

4. იქვე.

5. იქვე.

6. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 352^{9,10}.

პირდაპირ არის მითითებული, რომ ეს ღვთისსაგმობი საქმე, უპირველესად ყოვლისა, მეფის ინტიმურ ცხოვრებას შეეხებოდა: „მბრძოლ-ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა, – ვკითხულობთ „გალობანი სინანულისანიში“, – და ქორწილთა-მიერ ხენუშთა ვმძღავრე სანოლსა ჩემსა, და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაშლი“. ¹ ისტორიკოსთათვის კონკრეტულად ცნობილი არ არის, რაში მდგომარეობდა დავითის ცოდვა, სხვა მხრივ კი ქრისტიანული ეგზეგეტიკიდან ცნობილია, რომ ისრაელის მეფე დავითმა ურიას მოსტაცა ცოლი ბერსაბე.

დავითის ანდერძის ე. წ. კრულობითი ნაწილი აგებულია 68-ე ფსალმუნის მიხედვით: „მიანიე რისხვაჲ შენი დაუსრულებელად მას ზედა... იყავნ სამკუდრებელი მისი ოკერ და ნაშობნი მისნი მოსასრველ. მოლოდებასა შინა წყალობისასა რისხვაჲ შენი ენიენ...“² შევუდართო 68-ე ფსალმუნის წყევას: „მოჰფინე მათ ზედა რისხვა შენი... იყავნ სამკუდრებელი მათი ოკერ და საყოფელთა მათთა ნუ იყოფინ მკუდრი“ (ფსალმუნი 68²⁵⁻²⁶). კრულობით ნაწილში 68-ე ფსალმუნის გამოყენების ფაქტით დავითის ანდერძი შიომღვიმის მონასტრისადმი გამონაკლისს არ წარმოადგენს ბევრ სხვა ქართულ ისტორიულ დოკუმენტთა შორის.

დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებული წიგნიდან ირკვევა, რომ შიომღვიმის მონასტრის შუა ადგილას აღმართული ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია დავითის მიერ არის აგებული. საბუთის დანერის დროისათვის, ე. ი. 1123 წლისათვის, ეკლესია თითქმის დასრულებული ჩანს: „ვიხილე ეკლესიაჲ ჩემ-მიერ აღშენებული [და] სრულებულად“-ო,³ – ამბობს მეფე. მოესწრო თუ არა დავითი ეკლესიის მოხატვა-მოკაზმვასა და კურთხევას, ეს ჩვენ არ ვიცით, ერთი კი ცხადია – 1123 წლისათვის ეკლესია საბოლოო-

1. ქრონიკები, II, გვ. 105.

2. თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 19.

3. იქვე, გვ. 15.

ოდ დასრულებული არ ყოფილა. დავითი ანდერძად იბარებს: „თუ მე ღირს-მყოს ღმერთმან ენკენობაჲ მისი ვიხილო, კურთხეულ არს სულგრძელობაჲ მისი, თუ არა – არსენი ბერსა, რომელ აქუს კოსტანტი და პერპერაჲ, კალაპოტი გამოუყარონ, მოლესენ, მოხატონ, და ძემან ჩემმან დეტე (დემეტრე), თანადგომითა კურთხეულის მნეთ-უხუცესის (კთლის მწ უხუცესისა) და ჩემთა ბერთაჲთა, აკურთხონ კელითა იოანე ქართლისა კათალიკოზისათაჲ (იწნე ქკზისათაჲ) თანა-დახუდობითა იმერთა და ამერთა ყოველთა ეპისკოპოსთაჲთა“.¹

შიომღვიმის ღვთისმშობლის ეკლესიის აღმშენებელი რომ ნამდვილად დავითია, ეს, თედო ჟორდანიას აღნიშვნით, შიომღვიმის წიგნთსაცავში მის მიერვე აღმოჩენილი გიორგი მონაზვნის 1270 წლის ჩანაწერიდანაც ჩანს: „დიდისა დავითისი, წმიდისა ამის ეკლესიისა მაშენებელისა საუკუნო... [იყავნ ქსენება მისი]“.²

ზემოთ ნახსენები არსენი ბერი, რომელსაც აღმაშენებელი უანდერძებს თავის მიერ აგებული ეკლესიის მოკაზმვა-კურთხევას, რისთვისაც 30 ლიტრა ვერცხლს (კოსტანტისა და პერპერას სახით) უტოვებს, ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა ჩანს დავითის ანდერძში. უპირველესად ყოვლისა, საბუთი სწორედ მისი ჩაგონებით და, შესაძლებელია, მისივე ხელით არის დანერილი: „სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დანერა“-ო, – ამბობს მეფე.³ მასვე გაუწევია ხელმძღვანელობა ეკლესიის მშენებლობისათვის, რომელიც სწორედ „მომადლებითა მისითა“ გასრულდა. მონასტრის წესდება-ტიბიკონი არსენი ბერსა და მეფის მოძღვარ იოანეს შეუმუშავებიათ, დავითს მოსწონებია იგი და დაუმტკიცებია: „რათამცა წესსა ზედა სუმონ-წმიდისასა დავსხენ მონასტრისა მღჳმისა წესნი“, – ამბობს იგი.⁴

1. თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

2. ქრონიკები, I, გვ. 146, 243.

3. თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

4. იქვე, გვ. 16.

მონასტრისთვის განკუთვნილი თურქთათვის წართმეული ქონება („იავარი სპარსთაჲ“) მეფეს არსენი ბერისა და თავის მოძღვარ იოანესთვის ჩაუბარებია. გარდა მეფის მიერ შენიღბული კანდლებისა, არსენი ბერსაც დაუდგამს მონასტერში ბროლის, ბაზიჯისა და მინის კანდლები. და ბოლოს, არსენი ბერი არის მონასტერში მეფის ალაპის გადახდის წესის დამდგენელი და მწირველ-მლოცველი მეფისა შეუტყვალეზღად.

აკად. კ. კეკელიძის სარწმუნო აზრით, სწორედ აღნიშნული არსენი ბერი არის მოხსენებული დავით აღმაშენებლის სიკედილის წინ დაწერილ ანდერძში.¹ საინტერესოა, რომ არსენი ბერი ამ ანდერძში მოხსენებულია საქართველოს კათალიკოსის წინ, რომ დავით მეფე უპირველესად მას უანდერძებს, გამოარჩიოს გელათის მონასტრისათვის მეფის მიერ ნაშოვნნი „ადგილნი... უმკუდრონი და უმამულონი“.² თვით ანდერძიც არსენი ბერის მიერ უნდა იყოს დაწერილი. „გიბრძანებს და მოგაკსენებს მეფეთა მეფე დავით... ჩემ მიერ უნდოჲსა და უღირსისა მლოცუშლისა მათისა ბერისა პირითა“,³ – ვკითხულობთ ანდერძში. შიომღვიმისთვის დავითის მიერ ბოძებული ანდერძის გათვალისწინებით, დავითის უკანასკნელ ანდერძში მოხსენებული მისთვის მლოცველი ბერი, რომლის სახელი არ არის აღნიშნული, როგორც წინასწარ ცნობილი, უდავოდ არსენი ბერია.

თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძის და კ. კეკელიძის საერთო აზრით, იგივე არსენი ბერი არის ავტორი რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით დავით აღმაშენებლისთვის მიწართმეული შესხმისა – „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“.⁴

1. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 289.

2. ქრონიკები, II, გვ. 52.

3. იქვე, გვ. 51.

4. აკად. კ. კეკელიძე არსენი ბერს რუის-ურბნისის ძეგლისწერის ავტორადაც მიიჩნევს, რადგანაც შესხმა მისი გაგრძელებაა, ორგანული ნაწილია. აქედან გამომდინარე, კ. კეკელიძე ასკენის, რომ არსენი ბერსავე ეკუთვნის მეტაფრასული ცხოვრება წინოსი და ისევე ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ მთარგმნელი ბერძნულიდან. იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 291-294.

როგორც ეს მითითებული აქვს აკად. კ. კეკელიძეს, ამ შესხმამში და დავითის ისტორიკოსის თხზულებაში შეიმჩნევა პარალელიზმი, ერთი მხრივ, დავით აღმაშენებელსა და, მეორე მხრივ, ალექსანდრე მაკედონელსა და აქილევს ელინს შორის. აქედან გამომდინარე, მკვლევართა მიერ ამ საკითხზე გამოთქმული სხვა არგუმენტების მოშველიებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავით აღმაშენებლის შესახებ საისტორიო თხზულების ავტორი არსენი ბერია.¹ ამ აზრს ამაგრებს ისიც, რომ დავითის ორივე ანდერძს, რომელთა უშუალო შექმნაში არსენი ბერის მონაწილეობა უდავოა, ერთგვარი ისტორიზმით გატაცების ბეჭედი აზის, განსაკუთრებით ეს ითქმის დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმისთვის ბოძებულ ანდერძზე. აქვე შევნიშნავთ, რომ აკად. ივ. ჯავახიშვილის კვალდაკვალ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორ კ. გრიგოლიას დავითის ისტორიკოსი დღემდე უცნობ პირად მიაჩნია.²

XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის, სამეფო ხელისუფლების ცენტრალისტურ ტენდენციებსა და ფეოდალურ სეპარატიზმს შორის წარმოებული ბრძოლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით დავით აღმაშენებლის მიერ შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებულმა წიგნმა ერთი საინტერესო ეპიზოდი შემოგვინახა: ერთ-ერთი დიდგვარიანი ფეოდალი, ძაგანი, ამბოხებულა, მამულები მიუტაცებია, ხოლო თავისი ძე მოდისტოსი უკანონო გზით ეპისკოპოსად უქცევია. შემდეგ მეფისგან შევინროებული ძაგანი შიომღვიმის მონასტერში შელტოლვილა, მაგრამ მემღვიმე ბერების შემწეობით მეფეს იგი შეუპყრია. სწორედ ამიტომ აუგია ეკლესია და მონასტერიც მეფურად დაუჯილდოებია.

1. იხ. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 291; მისივე ტ. II, 1958, გვ. 265. ს. კაკაბაძის არგუმენტაცია ჩვენ არასაკმარისად მიგვაჩნია. იხ. მისი, დავით აღმაშენებლის მემატინის ვინაობა, თბილისი, 1913.

2. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები... გვ. 213; კ. გრიგოლია, დავითის ისტორიკოსი (გამოუქვეყნებელი).

დავით აღმაშენებლის საშინაო პოლიტიკაში ცენტრალური ადგილი უჭირავს სამეფო ცენტრალიზმის განმტკიცებას, ტახტის ქვეგამხედვარებთან, ძირითადად დიდგვარიან ფეოდალებთან უღმობელ ბრძოლას. დავითის წინამორბედ მეფეთა ისტორიაც სასესეა ასეთი ბრძოლების ეპიზოდებით. „...დიდგვარიან აზნაურთა და მეფეების ბრძოლა იმდროინდელ საქართველოსათვის დამახასიათებელი მოვლენა იყო“. ¹ ხშირ შემთხვევაში ამ ბრძოლებში მეფეებიც მარცხდებოდნენ, ხოლო ხშირად მათ გამარჯვებასაც არ მოჰქონდა მაინცდამაინც დიდი ნაყოფი. დავით აღმაშენებლის ტახტზე ასვლის დროისათვის საქართველო თურქთა თარეშებისა და ფეოდალური სეპარატიზმისაგან ძლიერ დაუძღურებული იყო. დიდგვარიანთა ამბოხება-მოლაღატეობის ისტორიის მოთხრობა შორს წაგვიყვანდა. რომ გავითვალისწინოთ, თუ რად უჯდებოდა საქართველოს სამეფოს ძლიერ ფეოდალთა განდგომა, საკმარისია თვალი გავადევნოთ ისტორიას ბაღვაშებისა, რომელთა წარმომადგენელი ლიპარიტ ბაღვაში 1097 წ. დავით აღმაშენებელმა საბოლოოდ ჩამოიშორა პოლიტიკური სარბიელიდან.

მეფე დავითის სიბრძნე და შორსგამჭვრეტელობა იმაში ჩანს, რომ „განცალკევებული და შემთხვევითი ბრძოლის მაგიერ, დავით აღმაშენებელმა საქართველოს სოციალურ წესწყობილებას მიაქცია ყურადღება. პირველად თავისი გეგმის განხორციელება მან საეკლესიო სფეროში სცადა“. ² ეკლესიის საკითხის მოგვარება მეტად საშური ჩანს. თუ რამდენად შორს იყო წასული დიდგვარიანთა აღვირაზსნილობა ეკლესიის საკითხებში, ეს ცხადად გამოვლინდა შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძშიც. როგორც აღნიშნული იყო, ძაგანს აქტიურად უჭერდა მხარს მისი ძე მოდისტოსი – „მძღვრებით ღვთისაცა არა-მრიდი... წინა-უკმოჲ მღდელთ-მოძღუარი“, რომელმაც „ეკლესიები საზეზთ-მჩენოდ

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1948, გვ. 165-166.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, თბილისი 1929, გვ. 129.

თვსად მიიტაცა“.¹ ხოლო „ძაგანმან სადგომად საეპისკოპოსნი-ცაჲ უდიდესნი გარნა (გახადა) სამთავროდ; თუთ აღრითგან მამაობასა ეწერა-ყე საეპისკოპოსოდ და მცხეთისა საქონე-ლნი მრავალნი დაემჭირნეს და წილკანი საყდრისა“.² დავითის ისტორიაში ვკითხულობთ: „...წმიდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუბა ავაზაკთა ქმნილ იყვნეს, და უღირსთა და უწესთა მამულობით უფროს ვიდრე ღირსებით დაეპყრნეს უფროსნი საეპისკოპოსონი, ვითარცა ავაზაკთა“.³ ხოლო უფრო ქვემოთ უშუალოდ მოდისტოსს შეეხება: „...იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნეს საყდრები“.⁴ სურათი ნათელია და ამავე დროს იმდენად ზუსტი ანალოგიაა დავითის ანდერძთან, რომ არსენი ბერისა და დავითის ისტორიკოსის იდენტურობა თითქმის უეჭველია.

პრეცედენტები საეპისკოპოსო ტახტის მიტაცებისა ადრეც ყოფილა. გავიხსენოთ თუნდაც გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან ცქირი – მიმტაცებელი ანჩის ეპისკოპოსობისა.⁵

უღირსი მღვდელმთავრები, უფრო სწორად, მეფისთვის არასასურველი ცენტრიდანული სულისკვეთების პირები, დავით აღმაშენებელმა თავის მიერ მოწვეული რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების თანადგომით ჩამოიშორა. კრება, როგორც ცნობილია, კარგად იყო შემზადებული დავითის მომხრეების, გიორგი ათონელის იდეების მიმდევართა მიერ და როგორც დავითის შესახებ საისტორიო თხზულება გადმოგვცემს, კრებაზე დამსწრეებმა: „კეთილად გამოიძიეს და ყოველი ცთომა განმართეს... ჭეშმარიტნი მწყემსნი და სა-

1. თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 15. Modestus ლათინურად ნიშნავს „წყნარს“, „თავმდაბალს“.

2. იქვე, გვ. 18.

3. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 327_{1,3}.

4. იქვე, გვ. 328_{2,3}.

5. გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას გამოცემა, თბილისი, 1949, გვ. 115-118.

თონი ღმრთისანი დაადგინეს".¹ ცნობა რამდენადმე გაზვიადებული ჩანს – გამარჯვება ასე სრული არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ პოლიტიკური მიზანი მეფისა ძირითადად მიღწეული იყო – ამიერიდან ქვეყნის უძლიერესი ფეოდალური ორგანიზაცია – ეკლესია – რეაქციული ოპოზიციის ბანაკიდან დროებით მაინც სამეფო ბანაკში გადავიდა. ცხადია, ამას მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ უდიდეს მორალურ მხარდაჭერას მეტად მოხერხებულად იყენებდა დავით აღმაშენებელი, ამასვე ცდილობდნენ მისი წინამორბედი მეფეები თუ სამეფო პარტიის წარმომადგენელი, ცენტრალიზმის მხარის ამბმელები. სწორედ სამეფო ცენტრალიზმის ინტერესები ალაპარაკებს დავითის ისტორიკოსს: „თუთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თუსი, და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას. რამეთუ კელი მისი შეენეოდა მას, და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი“.²

შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებულ ანდერძს ნითელი ხაზივით გასდევს იდეა მეფის – დავით აღმაშენებლის ღვთისწნორობისა (იზოთეიზმი). ანდერძის სიტყვებით რომ ვთქვათ, ღმერთმა „არწმუნა“ დავითს უზენაესი ხელისუფლება: „თუთ იგი (ღმერთი – ჯ. ო.), ოდეს მარწმუნა მის-მიერ განგებულსა მეფობასა თუსითა რაჟთამე განგებითა არა-უღირს-მჩენელმა შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისამან, აქაჟთგანვე აღილო კელი სიტკბოებითა თუსითა განძლებად ჩემდა, და თუთ მეფე მეფეთაჟ იქმოდა საჭირველთა უჭირველად; ცხადთა წინააღმდგომთა განმგეობისა თუსისათა მისცემდა მოსასრველად“, – გადმოგვცემს დავითი საბუთში.³ ქრისტიანული თეოლოგიის მომარჯვებით, ეკლესიის ლოცვა-კურთხევით ფეოდალური საქართველოს უზენაესი გამგებელი – მეფე – ღვთის მიერ დანიშნულად არის გამოცხადებული, მისი გამგებლობა ღვთის მიერ გამგებლობაა,

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 327¹⁴⁻¹⁵-328³⁻⁴.

2. იქვე, გვ. 324⁷.

3. თ. ყორღანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

ხოლო მეფის მოწინააღმდეგენი ღმერთის მოწინააღმდეგეებად ცხადდებიან და, ამდენად, მათი დათრგუნვა ღვთიური საქმეა.¹

ქრისტიანული რელიგიისავე საფუძველზე იზოთეიზმს მყარად ჰქონდა მოკიდებული ფეხი ბიზანტიაში და, ჩანს, იქიდან გავრცელდა საქართველოში. საერთოდ კი, მეფის უზენაესობის, ღვთისსწორობისა და თვით ღმერთად აღიარების ისტორია უფრო შორეულ წარსულს ეკუთვნის – იგი ფესვგადგმული იყო ჯერ კიდევ ეგვიპტეში, ხოლო ბიზანტიას ანტიკურობიდან გადაეცა მემკვიდრეობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების პოლიტიკური პლატფორმა ნათლად ჩანს – ცენტრალიზმის განმტკიცებისათვის ბრძოლაში მეფისთვის მხარდაჭერით კრება ღვთის სასურველ საქმეს აკეთებდა. როგორც ჩანს, მოდისტოსსაც რუის-ურბნისის კრებამ ჩამოართვა მის მიერ ძალად მიტაცებული მაღალი საეკლესიო ხარისხი. „მწყემსი უკაროჲ, – ვკითხულობთ ანდერძში, – ჭეშმარიტთა მწყემსთა-მიერ დაემკუაჲ“.² სწორედ ამავე დროს შეუპყრიათ ძაგანიც. ე. ი. 1103 წლისათვის ძაგანის პოლიტიკური ინციდენტი აღმოფხვრილია. ძაგანის დამარცხების ამბების მოთხრობის შემდეგ დავითი ანდერძში გადმოგვცემს: „მყის მოუწოდე არსენი ბერსა და განუცხადე სათნოჲ ჩემი და ვარწმუნე აღშენებად ეკლესიაჲ“.³ ე. ი. შიომღვიმის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიის მშენებლობაც სწორედ 1103 წლისათვის, ამ წლის ახლო ხანებში დაწყებულია.

ძაგანის განდგომა-ამბოხების შესახებ ძველ ქართულ წყაროებში სხვა ცნობები გარდა შიომღვიმის მონასტრისადმი ბოძებული დავითის ანდერძისა, არ გავგაჩნია. საბუთის მიხედვით ირკვევა, რომ ძაგანი ძლიერი ფეოდალი ყოფილა. ამავე დროს, არაფერია ცნობილი მისი საგვარეულოს შესახებ. იმ

1. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 120.

2. თ. უორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

3. იქვე.

პერიოდის საქართველოს ფეოდალურ გვარებში დამკვიდრებული იყო ერთგვარი ვინრო რეგლამენტაცია გვარის შიგნით სხვა გვარებისაგან განსხვავებული საკუთარი სახელების ხმარების საკითხში. ე. ი. სხვადასხვა ფეოდალურ გვარებში ხდებოდა ერთგვარი ბრუნვა ტრადიციულად დამკვიდრებული გარკვეული საკუთარი სახელებისა. ადრეფეოდალურ ხანაში დანყებული ეს ტრადიცია გვიანფეოდალურ ხანაშიც გრძელდებოდა და ამისი მაგალითები ჩვენ ბევრი გვაქვს. აღნიშნული თვალსაზრისით ჩვენი ყურადღება მიიქცია ძაგან აბულეთის ძის დანერილმა და რადგანაც შესაძლებელია დავითის ანდერძში მოხსენებული ძაგანიც აბულეთის ძე იყოს, ჩვენ შევეცადეთ თვალი გაგვედევნებინა აბულეთისძეთა ისტორიისთვის, ძირითადად ამ გვარის მაკავშირებელი სახელის – აბულეთის მიხედვით.

„ქართლის ცხოვრებაში“ აბულეთი პირველად მოხსენებულია დავითის ისტორიკოსთან – გიორგი ჭყონდიდლის მეთაურობით თევდორეს, აბულეთსა და ივანე ორბელს სამშვილდე აუღიათ 1110 წელს.¹ სომეხი ისტორიკოსის ვარდანის ცნობით, 1124 წელს განთავისუფლებულ ქალაქ ანისის გამგებლებად დავით აღმაშენებელს აბულეთი და მისი ძე ივანე დაუნიშნავს. ამ უკანასკნელთ, ვარდანისავე ცნობით, ქალაქი მისი მაჰმადიანი მფლობელის აბულსუვარის მემკვიდრეებისთვის ჩაუბარებიათ.² დავითის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა „ანისისა მცველად დაუტენა აზნაურნი მესხნი“.³ ეს ორი ცნობა შეიძლება არც ეწინააღმდეგება ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, სომხეთის ამბების აღწერისას უპირატესობას ჩვენ ვარდანს ვანიჭებთ.

აბულეთის ძეთა შესახებ ცნობას გვანვდის აგრეთვე სტეფანოს ორბელიანი. მისი გადმოცემით, ივანე აბულეთის ძეს დავით აღმაშენებლისთვის დახმარება გაუწევია დმანისის

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 331_{18.20}.

2. Вардан Великий, Всесообщая история, Москва, 1861, გვ. 146-147.

3. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 345₁₅.

აღებაში (1125 წ.).¹ 1130 წელს, ვარდანის ცნობით, ივანე აბულეთის ძეს დემეტრე მეფის მოკვლა განუზრახავს, მაგრამ მის მამას აბულეთს ხელი შეუშლია მისთვის ამ საქმეში, ხოლო 1132 წ. ივანე აბულეთის ძე თვითონ გამხდარა მსხვერპლი მეფისა, იგი ღალატით მოუკლავთ.² ამ ცნობას ადასტურებს ლაშა გიორგის დროინდელი მემკვიდრე. მაგრამ მისი გადმოცემით, დემეტრემ ივანე მოაკვლევინა თავისი მეფობის მეოცე წელს.³ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ გიორგი III-ის შესახებ თხრობის დროს გადმოგვცემს, რომ არდოხ სალდუხის ძის მამამ „გამოჩენილი ივანე აბულეთის ძე ლტოლვილყო“.⁴ შემდეგ არდოხ სალდუხის ძის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია ქირქიშ აბულეთის ძეს. ამავ ექრონიკის ცნობით, თამარ მეფის ერისთავთა შორის მოხსენებულია „კახეთის ერისთავად – ბაკურ-ყმა ძაგანის-ძე“.⁵

ძაგან აბულეთის ძის დანერილს თ. ჟორდანიას 1260 წლით ათარილებს. ამ საბუთში, რომელიც შიომღვიმის მონასტრისათვის მამულების შეწირულების წიგნს წარმოადგენს, მოხსენებული არიან ერისთავთერისთავი ივანე აბულეთის ძე, მამა ძაგანისა, მისი ბიძა გიორგი აბულეთის ძე შვილით ივანეთი. თ. ჟორდანიას აზრით, ძაგანი და ივანე სწორედ ის აბულეთისძენი არიან, რომელთა შესახებ უამთაღმწერელში ვკითხულობთ: „...ქმნა ბოროტი აჰმადა ყაენმან და მომყვანებელმან ძმისა მისისა ყონღარდასმან საბერძნეთით მოაკუდინა ორნი ძმანი, აბულეთის ძენი, საღუნისგან ლტოლვილნი, და ყონღარდას თანა მოაკუდინა ხუტლუბულა, ძემან საღუნისმან“.⁶ ეს ამბავი, თ. ჟორდანიას აზრით, 1282 წლის ახლოს უნდა მომხდარიყო.

როგორც დავინახეთ, აბულეთისძეთა ფეოდალური საგვარეულოს წარმომადგენელნი საკმაოდ მნიშვნელოვანი პირე-

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 222.

2. ვარდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151.

3. ქართლის ცხოვრება, I, 1959, გვ. 367^ყ.

4. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 7.

5. იქვე, გვ. 34^ა.

6. იქვე, გვ. 281^ა, 282^ბ. იხ. აგრეთვე თ. ჟორდანიას, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

ბი ყოფილან საქართველოს სამეფოში – სჭერიათ ერისთავთ-ერისთავის თანამდებობა და სხვ. აბულეთისძეებს სავსებით მიესადაგება დავითის მიერ ნათქვამი სიტყვები ძაგანის საგვარეულოს შესახებ: „მათა გუართა... არავის ოდეს ექნა ჩუენი ერთგულობა“-ო.¹ მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ამ გვარის შემდგომ ისტორიას.

შიომღვიმის მონასტრისათვის ბოძებულ დავითის ანდერძში მუხრანი და ზედაზადენი ადრიდანვე ძაგანის სამფლობელო ადგილებად არის მოხსენებული. ეს ადგილები „სხუათაცაჲ ჰქონებოდა, მათთა გუართა“. ამასთანავე, დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან ვიცით, რომ 1101 წელს: „მოსცა ჟამი ღმერთმან მეფესა დავითს და წარულო კურიკეს (კახთა მეფეს – ჯ. ო.) ციხე ზედაზადენი“.² ლოგიკური მსჯელობის საფუძველზე თ. ჟორდანია ასკვნის, რომ ძაგანის საგვარეულოს გამგებლობაში მყოფი მუხრანი და ზედაზადენი 1086 ან 1087 წელს მიიტაცა აღსართან კახთა მეფემ მათი გამგებელი საგვარეულოს ხელშეწყობით და ლალატის საფასურად საგამგიოდ მათვე დაუტოვა.³ ამრიგად, 1087-1101 წწ. ძაგანი და მისი საგვარეულო კახთა მეფეების სამსახურში უნდა ყოფილიყვნენ, ხოლო 1103 წლის ახლოს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მეფეს ძაგანი დაუმარცხებია, რის შემდეგაც პოლიტიკურ სარბიელზე იგი აღარ ჩანს. უნდა გავითვალისწინოთ თამარ მეფის ერისთავთა შორის კახეთის ერისთავად ბაკურყმა ძაგანის-ძის მოხსენება.

ანდერძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ძაგანი „ცხად წინა-აღმდგომთა“ რიცხვს ეკუთვნის, კერძოდ, თავისი წინანდელი პრეროგატივების შენარჩუნებისთვის მებრძოლ დიდებულთა ბანაკს, რომელნიც ცდილობდნენ საგამგიოების მამულებად ქცევას. დავით აღმაშენებელს მისთვის დამახასიათებელი შორსგამჭვრეტელობითა და სახელმწიფოებრივი სიბრძნით

1. თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

2. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 326, ა.

3. Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя, Тбилиси, 1895, გვ. 4

– მატრიანეების კითხვითა და ცხოვრებაზე დაკვირვებით – შესწავლილი ჰქონდა ფეოდალთა ორგული ბუნების კანონზომიერება. მან იცოდა, რომ „ნათესავი ქართუელთა ორგულ ბუნება არს პირველთგან თუსთა უფალთა, რამეთუ რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ და დიდება პოვონ და განსუენება, იწყებენ განზრახვად ბოროტისა.“ პირველ რიგში სწორედ ამ ბოროტად განზრახულ განდიდებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად შექმნა დავითმა მუდმივი ჯარი, ჩაატარა საეკლესიო რეფორმა და დიდ წარმატებებსაც მიაღწია. ამ წარმატებების ჯაჭვის ერთი რგოლია ძაგანზე გამარჯვება.

„ცხადი წინააღმდეგომი“, ცხადია, ფარულსაც გულისხმობს. ასეთნი არსებობდნენ არამართო დიდებულთა წრეში და მეფეც ყოველგვარი წინააღმდეგობის გამოვლენას ძირშივე სპობდა პირდაპირ საარაკოდ მოწყობილი საპოლიციო-ჯამშუშური აპარატის მეშვეობით. დავითის ისტორიკოსი გადმოგვცემს: „... ორგულებასა, და ზაკუასა, და ლალატსა რასამე ვერვინ დიდთა ანუ მცირედთაგანი იკადრებდა მოგონებადცა, არა თუ თქმად ვისდა, არცა თუ მეუღლესა და ცხედრეულსა თუსსა თანა, ანუ მოყუასსა თუსსა, გინა ყრმათა თუსთა თანა, ვინათგან ესე მტკიცედ უწყოდა ყოველმან კაცმან, რომელ პირით აღმოსლვასავე თანა სიტყუსასა საცნაურ ქმნილ არს უეჭუელად წინაშე მეფისა“.¹ „ნუ ამას ეძიებ, მკითხველო, თუ ვითარ იქმნებოდა ესე“,² – შენიშნავს ისტორიკოსი.

დავითის ანდერძში ყურადღებას იპყრობს შიომღვიმის მონასტრის მიერ დავით აღმაშენებლის ენერგიული მხარდაჭერა ძაგანის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს ფაქტი იმით არის აღსანიშნავი, რომ საერთოდ ეკლესია-მონასტრებს მათი ფეოდალური ბუნების გამო სამეფო ცენტრალიზმისათვის ბრძოლაში მეფის ობიექტურ მოკავშირეებად არათუ ვერ ჩავთვლით, პირიქით, მეფეს ხშირად ამ ეკლესია-მონასტრების წინააღმდეგაც უხდებოდა ბრძოლა. თავის უკანასკნელ ან-

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 355₁₁₋₁₈.

2. იქვე, გვ. 355₆₇.

დერძში დავითი ამბობს: „რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიმნარებიან, მოძღუარმან ჩემმან უკუნ ცემითა მათითა ალოცნეს ჩემთჳ“.¹ ცხადია, მხარდაჭერისთვის არ გაამნარებდა მეფე ზოგიერთ მონასტერს მისთვის მამულების ჩამორთმევით. რაც შეეხება შიომღვიმის მონასტერს, ჯერჯერობით ძნელია თქმა, შედიოდა თუ არა იგი ძაგანის ეპიზოდამდე სამეფო მონასტერთა რიცხვში, მაგრამ განსაკუთრებული წყალობა და ზრუნვა ამ მონასტრისადმი ძველთაგანვე შეიმჩნევა. ბასილ ვაჩეს ძის თხზულებიდან შიომღვიმის სასწაულების შესახებ ირკვევა, რომ სტეფანოზ ქართლის ერისთავს (775-781 წწ.) აგარაკები შეუწირავს შიომღვიმის მონასტრისათვის.² შიომღვიმისავე ლავრისთვის მამულების შეუვალად წყალობის ნიგნს წარმოადგენს ბაგრატ IV-ის დაწერილი, რომელიც 1058 წლით თარიღდება.³ ასევე შიომღვიმისთვის მამულების შეუვალად წყალობის განახლების ნიგნია 1072 წლის დაწერილი გიორგი II-ისა.⁴ ამავე მეფის 1082 წლის დაწერილი შიომღვიმის მონასტრისათვის კუთვნილი სოფელი აგარა განთავისუფლდა ერთ-ერთი ვალდებულებისაგან.⁵ გიორგი II-ის 1072 წლის დაწერილში ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი ადგილი: „მოვიდეს მღჳმეს ჩუენ წინაშე წმიდა მამა მიქელ და ყოველნი მამანი, მკჳდრნი მღჳმისანი და [მოიხუნეს] სიგელნი [მამათა და პაპათა] ჩემთანი და დაწერილნი მთავართა ყოველთა [და აზნაურთა] საქონელთათჳ მათთა“.⁶ ე. ი. მონასტერს ქართველ მეფეთა მრავალი სიგელი და დაწერილი ჰქონია. ამასვე ადასტურებს დავითის ანდერძიც.

გიორგი II-ის 1072 წლის დაწერილში მოხსენებული წმიდა მიქელი, თ. უორდანიას აზრით, არის სწორედ ის მიქელი, რო-

1. ქრონიკები, II, გვ. 52.

2. ი. აბულაძე, ასურელ მოღვაწეთა ცხოვრების ნიგნთა ძველი რედაქციები, თბილისი, 1955, გვ. 203-206.

3. თ. უორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 3-7.

4. იქვე, გვ. 9-12.

5. იქვე, გვ. 12-14.

6. იქვე, გვ. 10.

მელიც დავითის ანდერძში მთავარმემლვიმედ არის მოხსენებული. გამოდის, რომ მიქელი 31 წელზე (1072-1103 წწ.) მეტხანს ყოფილა მთავარმემლვიმედ. მისი მთავარმემლვიმეობის დროს მონასტერმა ეკონომიკურ აყვავებას მიაღწია და ალბათ სწორედ მის მოსახსენებლად შიოს ეკლესიის დასავლეთის ფასადზე გამოჩუქურთმებულ ჯვრის მარცხენა მკლავზე გამოკვეთილია წარწერა ასომთავრული ასოებით: „ქრისტე შეინყაღე მიქაელი“.¹

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, დავითის ანდერძში მოხსენებულია, რომ შიომღვიმის მონასტერს ქართველ მეფეთაგან შეწირული მამულები ჰქონდა. მისთვის განეული სამსახურის საფასურად დავითი უახლებს მონასტერს მამულების წყალობათა ძველ წიგნებს, უმტკიცებს მონასტერს მის მიერ ნასყიდ მამულებს, უწყალობებს ახალ მამულებს და დაადგენს: „ყუელაჲ უბაჟოდ და უსუხრაოდ ყოელისა სასეფოჲსა გამოსავლისაგან ჰქონდეს“.² ე. ი. აძლევს მონასტერს სრულ საგადასახადო შეუვალობას – იმუნიტეტს. ამ მამულების რიგში დასახელებულია მამულები, რომლებიც მონასტერს „ქალაქს ტფილისს, რომელი სპარსთა ქონებასა ჰქონებია და რომელი ან უყიდია“, აგრეთვე რომლებიც მეფეს შეუწირავს.³ ეს ფაქტი საინტერესოა ქართული ეკლესიის ფეოდალური ორგანიზაციის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით – ქრისტიანულ მონასტერს მაჰმადიანი მფლობელების ხელში მყოფ თბილისის საამიროში მამულები ჰქონია. ამრიგად, ორი ფეოდალური ორგანიზაციის ნასყიდობა – ფულზე დაფუძნებული ურთიერთობა – მუსულმანურ-ქრისტიანულ ანტიგონიზმზე მალლა დგება.

დავითის თანმიმდევრული პოლიტიკა ეკლესიის სამეფო ცენტრალიზმის სამსახურში ჩაყენებისა შორს მიდიოდა. და-

1. იხ. ბ. ლომინაძე, შიომღვიმე, თბილისი, 1953, გვ. 11. ბ. ლომინაძის აზრით, მიქელი მთავარმემლვიმედ იყო 1072-1123 წლებში, მაგრამ დავითის ანდერძში მიქელის მოხსენიება 1103 წ. უკავშირდება და არა 1123 წ.

2. თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16. არაბულად „სუხრიუნ“ უფასოდ მუშაობის იძულებას ნიშნავს. იხ. ნ. შოშიაშვილი, რკონი დანერილი, გვ. 156, შენ. 1.

3. თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

ვითის ისტორიკოსი გადმოგვცემს: „ხოლო განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი მოსაკარგვეთა მაჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა“.¹ ეს ცნობა საინტერესოა ბეგარის განვითარების, ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავების ისტორიის თვალსაზრისითაც.

შიომღვიმის მონასტერი 1123 წლიდან სამეფო მონასტერია. ეს საერთოდ ქართული ეკლესიის სამეფო ხელისუფლების კონტროლისათვის დაქვემდებარების დავითის თანმიმდევრული პოლიტიკიდან გამომდინარეობდა, ისევე როგორც ვაზირთა უპირველესად მნიგნობართუხუცესად ჭყონდიდლის დანიშვნა და ის ამბავი, რომ „მონასტერნი და საეპისკოპოსონი და ყოველნი ეკლესიანი წესსა და რიგსა ლოცვისასა და ყოვლისა საეკლესიოსა განგებისასა დარბაზის კარით მიიღებდიან, ვითარცა კანონსა უცთომელსა“.² თავის მხრივ, მონასტრებისთვის, ამ შემთხვევაში შიომღვიმის მონასტრისათვის, საგადასახადო შეუვალობის მინიჭება გარკვეული კომპრომისი იყო დავით აღმაშენებლის მხრივ განეული ამ ძლიერი ორგანიზაციის მისამხრობად. შემდეგში ეს კომპრომისი თავს იჩენდა თავისი მავნე შედეგებით, რის გამოც მეფეები ან სამეფო მოხელეები ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერით არღვევდნენ ეკლესია-მონასტრების შეუვალობას.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით, დავით აღმაშენებელმა თავისი 1123 წლის ანდერძით შიომღვიმის მონასტერს სასამართლო შეუვალობაც მიანიჭა. „იოანე კათალიკოზს მეფის პატივისცემით დავით აღმაშენებლისაგან აგებული ეკლესიისათვის განსაკუთრებული უპირატესობა მიუნიჭებია, საკათალიკოზო სასჯულო სამრებლოთგან ამოუშლია და საკუთარი სამონასტრო მოსამართლის ყოლის უფლება მიუცია, ე. ი. სასამართლო

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 353₁₅₋₂₀.

2. იქვე, გვ. 352₁₅₋₁₇.

შეუვალობა უწყალობებია“¹ – აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი. ამ დასკვნისთვის იგი ეყრდნობა ანდერძის შემდეგ ადგილს: „რომელ საქონებელნი სოფელნი და აგარანი ჰქონან, მღვმისა საშჯულოა სამრებლოა არს ყოველგან, თუთ მემღუმისა დიაკონმან მოისამართლოს და ეკლესიისა ზეთადა მოიკმაროს“.² ივ. ჯავახიშვილის აზრს იზიარებს ბ. ლომინაძეც.³ მაგრამ საქმეის არის, რომ „სჯული“, „შჯული“, მართალია, „კანონს“, „სამართალს“ ნიშნავდა, მაგრამ დავითის დროისათვის უკვე სპეციფიკური გაგებით, რამაც განაპირობა ამ სიტყვის არსის ტრანსფორმაცია მხოლოდ და მხოლოდ სარწმუნოების მნიშვნელობით. ამდენად, „სასჯულო სამრებლო“ სწორედ ის სასამართლო უნდა იყოს, „რომელსაც გარკვეული სისხლის სამართლის დანაშაულების დროს (მაგ. მკვლელობის, სქესობრივი ზნეობის წინ., მკრეხელობისა და სხვა) საერო სასამართლოს გარდა ყველანი ექვემდებარებოდნენ“.⁴

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ დავითის ანდერძით შიომღვიმის მონასტერს მიენიჭა სასამართლო შეუვალობა. ამას გვაფიქრებინებს ანდერძის ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ მონასტრის ბერებს შესამოსლად შეუვალად მიეკუთვნება „სხუა ნაბჭობი“.⁵ ანდერძისავე საფუძველზე, სადაც ასევე ვკითხულობთ: „განბჭო მართლად მსაჯულობამან ღმრთისამან“, აკად. ივ. ჯავახიშვილი „განბჭობას“ განმარტავს როგორც „გასამართლებას“.⁶ ამდენად, „ნაბჭობი“ სასამართლოს სასჯელს, ჯარიმას ნიშნავს. ამასთან, მონასტრის ვითარებაში „სასჯულო სამრებლო“ უფრო მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო და ამიტომაც არის პირველ რიგში მოხსენებული.

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკვ. II, გვ. 472.

2. თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

3. იხ. Б. Ломинадзе, Из истории грузинской церковной сеньорий, ავტორეფერატი, თბილისი, 1949, გვ. 8.

4. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 471.

5. თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

6. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 475.

შიომღვიმის მონასტერს რომ მართლა მოუპოვებია სასამართლო შეუვალობა, ამას ამტკიცებს 1227-1230 წწ. ბეგა სურამელის დანერილი, სადაც შიომღვიმის მონასტრის შესახებ ნათქვამია: „თუ ჩუენი კაცი და მღუმისა ჩამუიკიდნენ, ჩუენისა კაცისაგან სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აილოს და მღუიმისა კაცისა თუთ მემღუიმის კელისუფალმან აილოს“.¹

დავით აღმაშენებელს მონასტრისათვის საკმაოდ დიდი ქონება შეუწირავს:² ბროლის, ბაზიჯისა და მინის კანდლები, 30 ლიტრი ვერცხლი კოსტანტისა და პერპერას სახით, თვალმარგალიტი თავისი ხატისთვის, „სხუაჲ ჭურჭელი იავარი სპარსთაჲ“, 100 დრაჰკანი გაუჩენია მღვდელთა და მგალობელთათვის. შეუწირავს აგრეთვე 30 ჯორი, მონასტრის 3000 ცხვარი შეუვალობის ძველი წიგნების საფუძველზე საბანჯრე, ე. ი. საბალახე³ გადასახადისაგან გაუთავისუფლებია და დამატებით უსაბანჯროდვე 2000 ცხვარი უწყალობებია; სოფელ ბჭითში,⁴ რომელიც ძველთაგანვე მონასტრის საკუთრება ყოფილა, აგრეთვე ბჭითს ზევით მუხრანში 100 ფური მიუცია მონასტრისთვის.

როგორც მონასტრის პატრონი-სიუზერენი, მეფე უდგენს მონასტერს, თუ რას უნდა მოხმარდეს მისი შეწირულებიდან, აგრეთვე ქულბაგთაგან, საზეთეთაგან და წისქვილთაგან მიღებული შემოსავალი; რა წესით უნდა გადაიხადონ მისი აღაპი და რა უნდა გააკეთონ მონასტრის მესვეურებმა მეფის მუხრანში ყოფნის დროს.

მეფის უამიდან უამამდე მუხრანს ყოფნა („ოდეს მუხრანს ვიყვნეთ“), იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მუხრანი სამეფო დომენის რეზიდენცია იყო. ამაზევე მიუთითებს მონასტრისათვის შეუვალობის მინიჭების ფორმულირებაში სპეციალური აღ-

1. თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 53.

2. იქვე, გვ. 17.

3. ძვ. სომხური ენის საფუძველზე ასეთი ახსნა მოგვანოდა ხელნაწერთა ინსტიტუტის უმცროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ზ. ალექსიძემ.

4. იხ. გიორგი II-ის 1072 წ. წიგნი. თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

ნიშვნა იმისა, რომ „მუხრანის მგეთ“ მონასტერზე ხელი არა აქვთო. ასევე განსაკუთრებულად მოიხსენებიან მუხრანის ციხისთავები გიორგი II-ის 1082 წლის დანერღში.¹

მონასტრისათვის საჭირო ცვილი მეფეს ვაჭრებისთვის დაუკისრებია, ხოლო ნაწილი პურ-ღვინოსი მონასტერს სამეფო დომენიდან ეძლეოდა.

თავისი მონასტრის მეურვეობა მეფემ დააკისრა სვიმონ ბედიელ-ალავერდელს, რომელიც, დავითის ისტორიკოსის ცნობით, მნიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი იყო.²

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დავით აღმაშენებელმა შიომღვიმის მონასტერს ტიბიკონიც დაუმტკიცა, ხოლო მონასტრის დემოკრატიზაციისათვის დაადგინა წინამძღვრის არჩევითობის, „წილგდებით“ დანიშვნის წესი.³

შიომღვიმის მონასტრისადმი დავითის ბოძებულ ანდერძს იურიდიულ ძალას ანიჭებს მხოლოდ დავითის ავტოგრაფი, მისი ხელრთვა. საბოლოოდ გაფორმებული ასეთი დოკუმენტისათვის კი აუცილებელია კათალიკოსისა და ეპისკოპოსების ხელრთვები ან ბეჭდები, რაც საბუთს საბოლოოდ დაზიანებამდეც არ გააჩნდა. ამდენად, საფიქრებელია, საბუთის დასაწყისში მოცემული დაპირებისამებრ („თუ ინებოს ღმერთმან ჩემი შემოქცევაჲ, უმჯობესად შეიცვალოს“⁴) დავით აღმაშენებელმა ახალი, უფრო სრული ანდერძი დატოვა, რომელშიც სისწრაფისგან არაფერი იქნებოდა დაკლებული.

1. თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 14.

2. ქართლის ცხოვრება, I, 345¹⁸⁻²¹.

3. თ. ჟორდანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 18.

4. იქვე, გვ. 15.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის¹

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობაზე მკვლევართა შორის შეთანხმებული აზრი არ არსებობს.

თ. ჟორდანიას ვარაუდით, დავითის ისტორიკოსი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი მისი გამოჩენილი თანამოსაგრეთაგანი: ან იოანე კათალიკოსი, ან სვიმონ ჭყონდიდელი, ანდა არსენ იყალთოელი (თუმცა ამ უკანასკნელის ავტორობას თ. ჟორდანიას თვითვე აყენებდა ეჭვის ქვეშ. დავითის ისტორიაში იგი შეტად აღმატებული ეპითეტებით არის შემკული და, თ. ჟორდანიას აზრით, არსენ იყალთოელი საკუთარი თავის ასე შექებას არ იკადრებდა).² აქვე შეგვიძლია დავძინოთ, რომ დავითის ისტორიკოსი ვერ იქნებოდა ვერც იოანე კათალიკოსი, ვერც სვიმონ ჭყონდიდელი, ვინაიდან დავითის ისტორიაში მათ შესახებ მესამე პირშია მოთხრობილი.³

ს. კაკაბაძის აზრით, დავითის ისტორიკოსია დავით აღმაშენებლის ანდერძებში მოხსენებული არსენი ბერი.⁴

კ. კეკელიძე საფუძვლიანად მიიჩნევს ს. კაკაბაძის თვალსაზრისს ამ საკითხზე და უკომენტაროდ იზიარებს მას.⁵

ივ. ჯავახიშვილი დავითის ისტორიკოსის ვინაობას გაურკვეველად მიიჩნევდა. „ვინ იყო ის ისტორიკოსი, რომელმაც დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა აგვიწერა, ჯერჯერობით არ ვიცით. არც თვით ისტორიაში, არც სხვა რომელსამე წყაროში, – წერდა განსვენებული მეცნიერი, – ამის შესახებ ცნობები არ მოიპოვება“.⁶

დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძზე მუშაობის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო არსენ ბერის პიროვნებამ, რომელიც

1. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, 1963 წ.

2. ქრონიკები, I, თბილისი, 1892, XLVI.

3. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 326^ა, 345^ა.

4. ს. კაკაბაძე, დავით აღმაშენებლის მემკვიდრის ვინაობა, თბილისი, 1913.

5. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბილისი, 1951, გვ. 290.

6. ივ. ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები... თბილისი, 1945, გვ. 208.

აღნიშნულ ანდერძში ცენტრალურ ფიგურად ჩანს. ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მართლაც არსენი ბერია, როგორც ამას ს. კაკაბაძე ფიქრობს. მაგრამ ს. კაკაბაძის დასაბუთება ამ თვალსაზრისისა მართებულად და დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. ამით აიხსნება ალბათ, რომ ივ. ჯავახიშვილმა არ გაიზიარა მისი მოსაზრება ამ საკითხზე.

ჩვენი ნაშრომი მიზნად ისახავს ახლებურ დასაბუთებას იმ თვალსაზრისისას, რომლის მიხედვითაც, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი არის არსენი ბერი.

ს. კაკაბაძე, ზემოაღნიშნული მოსაზრების სასარგებლოდ გვთავაზობს შემდეგ არგუმენტებს:

1. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი (ისევე როგორც არსენი ბერი) დავითის თანამედროვე, მეფესთან მეტად დაახლოებული სამღვდელო პირია და თავისი თხზულება დაწერილი აქვს დავით აღმაშენებლის გარდაცვალების შემდეგ (ეს თვალსაზრისი ს. კაკაბაძეს გაზიარებული აქვს თ. ჟორდანისაგან).¹

2. დავით აღმაშენებლის ისტორია დაწერილია დავითის მოძღვრის მიერ, რომელიც მოძღვრად იყო დავითის სიცოცხლის უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში. ეს დასკვნა ს. კაკაბაძეს გამოაქვს დავითის ისტორიკოსის შემდეგი ცნობიდან: „ნუ მეტყუ მისთა სიჭაბუკისათა რათამე, რომელნი არცა ღმერთმან მოიქსენეს! უწყი ჭეშმარიტებით, რამეთუ ყოველთა ათისა წლისა ჟამთა სამარადისოდ წმიდითა პირითა და განწმედილითა გონებითა მიიღებდა უხრწნელთა ქრისტეს საიდუმლოთა თანამონამებითა სუნიდისისათა და არა მხილებითა გონებისათა, რომლისა მონამე არს სარწმუნო იგი ცათა შინა“.² „ამის დაწერა შეეძლო მხოლოდ თვით მეფის მოძღვარს, რომელიც მეფისაგან აღსარებას ღებულობდა უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში“, – ასკვნის ს. კაკაბაძე.³

1. ქრონიკები, I, XLIII-XLV.

2. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352^{9,14}.

3. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი. გვ. 5.

3. დავითის ისტორიკოსად არ შეიძლება მივიჩნიოთ მეფის მოძღვარი იოანე, რადგან დავითის ისტორიაში იოანე მესამე პირში იხსენიება.

4. დავითის მეორე მოძღვარი იოანეს შემდეგ, 1115 წლიდან მეფის სიკვდილამდე ყოფილა არსენი, რომლის შესახებაც დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძში აღნიშნულია: „...სასომან და განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დანერა“.¹

ამრიგად, ს. კაკაბაძის ლოგიკური მსჯელობის სქემა ასეთია: 1) დავით აღმაშენებლის ისტორია დანერილია მეფის მოძღვრის მიერ; 2) დავით აღმაშენებელს თანმიმდევრულად ჰყავდა 2 მოძღვარი: იოანე და არსენი, რომელთაგან დავითის ისტორიკოსად უნდა მივიჩნიოთ არსენი ბერი.

ჩვენი აზრით, ს. კაკაბაძის მსჯელობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსად მეფის მოძღვარი მივიჩნიოთ, ხოლო მეფის მოძღვრად – არსენი. ათი წლის განმავლობაში მეფის მოძღვრად ნამყოფი პირისაგან გაუმართლებელია თქმა: „უნცი ქეშმარიტებით“, თუ როგორ იღებდა მეფე საიდუმლო ზიარებასო. ვფიქრობთ, ეს სიტყვები ეკუთვნის ისეთ პირს, რომელმაც შეიძლება უნყოდეს და შეიძლება არც უნყოდეს ქეშმარიტად ეს ამბავი. სწორედ ამიტომ სჭირდება ხაზგასმა: დანამდვილებით ვიცი, ეჭვი არ შეგეპაროთო.

თ. ჟორდანიას აზრით, არსენი ბერი დავით აღმაშენებლის მოძღვრად საერთოდ არ ყოფილა, რადგანაც არც ერთ საისტორიო წყაროში ასეთად არ იხსენიება. ისტორიული წყაროების მიხედვით, იგი მეფის ანდერძის აღმასრულებელია და არა მოძღვარი.² ის ამბავი, რომ დავითის 1123 წლის ანდერძში არსენი მოიხსენება ეპითეტით „სასო და განმანათლებელი“ მეფისა, არ იძლევა საკმარის საფუძველს, მივიჩნიოთ იგი მეფის მოძღვრად. მით უმეტეს არ შეიძლება მივიჩნიოთ არსენი

1. თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896, გვ. 15.

2. Ф. Жордания, Завещание царя Давида Возобновителя, Тбилиси, 1895, გვ. 16, შენ. 20.

იოანეს შემცვლელად მეფის მოძღვრის პოსტზე 1115 წლიდან, ვინაიდან 1123 წლის ანდერძში იოანე მეფის მოძღვრადაა მოხსენებული, ხოლო არსენი მხოლოდ მისი ანდერძის აღმასრულებლად.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის დასადგენად, მართალია, გადამწყვეტი არა, მაგრამ მნიშვნელოვანი დამხმარე არგუმენტია, რომ დავითის ისტორიკოსი მეფესთან მეტად დაახლოებული, მისი თანამოაზრე და ბევრი აღწერილი ამბის თვითმხილველი ჩანს. მკვლევართა შორის ამ საკითხზე ორი აზრი არ არსებობს. ამ ფაქტის დამადასტურებელი საილუსტრაციო მასალაც დავითის ისტორიიდან საკმაოდ არის მოტანილი სამეცნიერო ლიტერატურაში და მის გამეორებას ჩვენ აქ არ შევუდგებით.¹

ასეთივე მნიშვნელობის არგუმენტია ის ფაქტი, რომ დავით აღმაშენებლის ცხოვრების ისტორია სასულიერო პირის მიერ არის დანერილი. ეს საკმაოდ დამაჯერებლად გამოთქმული აზრი ეკუთვნის თ. ჟორდანიას² და გაზიარებულია პროფ. ნ. ბერძენიშვილის მიერ. ივ. ჯავახიშვილის შეხედულებით, დავითის ისტორიკოსს არ ემჩნევა რაიმე განსაკუთრებული მიდრეკილება სასულიერო-ღვთისმეტყველური აზრებისადმი. თ. ჟორდანიასთან პოლემიკაში ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, დავითის ისტორიკოსი საღმრთო და სულიერ სათნოებად მიიჩნევს არა საეკლესიო, არამედ მეფის ყოველგვარ დადებით ზნეობრივ პოლიტიკურ საქმიანობას.³ ჩვენი აზრით, სწორედ ეს გარემოება ერთხელ კიდევ მიუთითებს იმაზე, რომ ისტორიკოსი ერისკაცი არაა, რომ მისთვის ამოსავალი მეფის ყოველგვარი საქმიანობის შეფასებაში სარწმუნოებაა.

დავითის ისტორიკოსის სასულიერო-ღვთისმეტყველური განწყობის შესახებ მისი თხზულებიდან მრავალი ადგილის მოტანა შეიძლება, მაგრამ დავკმაყოფილდებით ერთით, რო-

1. იხ. ქრონიკები, I, XLII; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 209.

2. ქრონიკები, I, XLV.

3. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

მელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანია. ისტორიკოსი დიდი კმაყოფილებით წერს, რომ დავითის მიერ „საემ-მაკონი სიმღერანი, სახიობანი და განცხრომანი, და გინება ღმრთისა საძულელი, და ყოველი უწესოება მოსპობილ იყო ლაშქართა შინა მისთა და ურიცხუსა მას შინა სიმრავლესა ენათა ნათესავთასა, ვითარცა ცათა შინა მყოფთა შორის“.¹ ასეთი სიტყვები არ შეიძლება ერისკაცს ეკუთვნოდეს. თხზულებას მკვეთრად აზის ბეჭედი ავტორის საფუძვლიანი სასულიერო-ღვთისმეტყველური განათლებისა, მასში მრავლადაა გაბნეული რემინისცენციები ბიბლიიდან.

დავით აღმაშენებელთან დაახლოებულ სასულიერო პირთაგან დავითის ისტორიკოსის თხზულებაში არსად არ არის მოხსენებული არსენი ბერი. დავითის 1123 და 1125 წწ. ანდერძებიდან კი ვიცით, რომ ეს უკანასკნელი მეფესთან მეტად დაახლოებული პირი იყო. არსენი ბერს მეფე ავალებს თავისი ანდერძების შესრულების მეთვალყურეობას, კერძოდ, მის მიერ შიომღვიმეში ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესიის დასრულებას: კალაპოტის გამოყრას, მოლესვას, მოხატვას, რისთვისაც 30 ლიტრა ვერცხლს (კოსტანტისა და პერპერას სახით) უტოვებს მას. შიომღვიმის მონასტრის წესდება-ტიბიკონი არსენი ბერსა და მეფის მოძღვარ იოანეს შეუმუშავებიათ, დავით აღმაშენებელს კი, როგორც მონასტრის პატრონს, დაუმტკიცებია.² მონასტრისთვის განკუთვნილი თურქთათვის წართმეული ქონება („იავარი სპარსთაჲ“) მეფეს არსენი ბერისა და თავის მოძღვარ იოანესთვის ჩაუბარებია. გარდა მეფის მიერ შენიღბული ნივთებისა, არსენი ბერსაც დაუდგამს მონასტერში ბროლის, ბაზიჯისა და მინის კანდლები. არსენი ბერი იყო შიომღვიმის მონასტერში დავით აღმაშენებლის აღაპის წესის დამდგენელი და „მწირველ მლოცველი მეფისა შეუცვალებელად“.³

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 352,^{19,21}

2. თ. ჟორდანი, ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა, გვ. 16.

3. იქვე, გვ. 17.

საინტერესოა, რომ დავით აღმაშენებლის უკანასკნელ ანდერძში არსენი ბერი მოხსენებულია საქართველოს კათალიკოსის წინ. დავით აღმაშენებელი უპირველესად მას უანდერძებს, გამოარჩიოს გელათის მონასტრისათვის მეფის მიერ ნაშოვნნი „ადგილნი... მკუდრონი და უმამულონი“.¹

ამავე ანდერძიდან ჩანს, რომ არსენი ბერი დავით აღმაშენებლის მოძღვარიც ყოფილა.

ანდერძის ტექსტში, მართალია, არსენი მეფის მოძღვრად პირდაპირ დასახელებული არ არის, მაგრამ შინაარსის მიხედვით ცხადია, რომ მეფის მოძღვარი და არსენი ბერი ერთი და იგივე პირია. ამასვე ადასტურებს ანდერძისათვის შემდგომ პერიოდში ტრადიციით მიცემული სათაური: „ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებლისა, პანკრატიონ დავითიანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღუარსა თუსსა არსენის ჟამსა გარდაცვალებისა თუსისასა ყოველთათუს დიდებულთა თუსთა.“² ვფიქრობთ, არსენი დავითის მოძღვრად მეფის სიცოცხლის 2 უკანასკნელი წლის განმავლობაში იყო. ანდერძში დავით მეფე თავისი პირმშოს დემეტრეს შესახებ ამბობს: „...მხიარულ ჰყოფდის ყრმაჲ ესე დაფარულთა გულისა ჩემისათა და მენებაცა მოცლა სანუთოსაგან მეფე-ყოფითა მაგისითა, რომელიესე ღმერთმან და მე და ორის წლითგან მოძღვარმან ჩემმან უწყით“.³ სწორედ ორი წლით ადრე – 1123 წელს – შიომღვიმისათვის ბოძებულ ანდერძში მეფის მოძღვრად იოანეა მოხსენებული, ხოლო არსენი არა. როგორც ჩანს, იოანეს გარდაცვალების ან სხვა მიზეზის გამო, არსენი ბერი იმავე 1123 წელს გამხდარა მეფის მოძღვარი.

არსენი ბერისთვის, დავით აღმაშენებელთან ესოდენ დაახლოებული პირისთვის, დავითის ისტორიაში სიჩუმით გვერდის ავლა შეეძლო მხოლოდ თვით არსენი ბერს, რომელსაც, როგორც ჩანს, უხერხულად მიაჩნდა თავის თავზე წერა.

1. ქრონიკები, II, თბილისი, 1897, გვ. 52.

2. იქვე, გვ. 51.

3. იქვე.

დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძის ინიციატორი არსენი ბერი იყო: „განმანათლებელმან და სასომან ჩემმან ბერმან არსენი მიბრძანა ამის ანდერძისა დაწერა,“ – აღნიშნავს დავითი ანდერძში.¹

ანდერძი, როგორც ცნობილია, იწყებოდა და მთავრდებოდა დავით აღმაშენებლის უნიკალური ავტოგრაფით მხედრულად, ხოლო სიგელის ძირითადი ნაწილი ნუსხურით არის დაწერილი. როგორც აკად. ა. შანიძე აღნიშნავს, ამ ფაქტს ნუსხურისა და მხედრული დამწერლობის შესწავლის საკითხისათვის, საერთოდ ქართული დამწერლობის განვითარების ისტორიისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს.² კონკრეტულად კი ეს ფაქტი მოწმობს, რომ უშუალო დამწერი სიგელისა სასულიერო პირი იყო. ამასთან, ეს დამწერი ავტორიცაა სიგელისა, რადგან, ცხადია, სიგელი დავით აღმაშენებლის ნაკარნახევის სიტყვასიტყვითი ჩანაწერი ვერ იქნებოდა. მით უმეტეს, რომ სიგელში ხაზგასმით არის აღნიშნული მეფის მოუცლელობა სიგელის შექმნისას.³

კ. კეკელიძის სარწმუნო აზრით, დავით აღმაშენებლის 1123 და 1125 წლების ანდერძებს შორის დიდი სტილისტურ-აზრობრივი სიახლოვე შეიმჩნევა, ხოლო დავით აღმაშენებლის უკანასკნელი 1125 წლის ანდერძის ავტორი არსენი ბერია. ამდენად, დავით აღმაშენებლის ორივე შემორჩენილი ანდერძის ავტორი არსენი ბერია. ეს რომ მართლაც ასეა, ჩანს შემდეგიდან: „გობრძანებს და მოგაქსენებს მეფეთა-მეფე დავით... ჩემ მიერ უნდოჲსა და უღირსისა მლოცველისა მათისა ბერისა პირითა“, – ვკითხულობთ 1125 წლის ანდერძში. დავით აღმაშენებლის მიერ 1123 წელს შიომღვიმისთვის ბოძებული სიგელიდან კი ვიცით, რომ არსენი ბერი არის განმანათლებელი მეფისა, მისთვის მლოცველი, მისი „მაქსენებ-

1. თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

2. აკ. შანიძე, დავით აღმაშენებლის ანდერძისათვის. *Miscellanea*, I, „ჩვენი მეცნიერება“, თბილისი, 1924, გვ. 3.

3. იქვე.

ელი შეუცვალებლად". მაშასადამე, დავითის უკანასკნელი ანდერძის ავტორი დავით მეფისთვის მლოცველი ბერი, რომლის სახელი ანდერძში აღნიშნული არ არის, როგორც წინასწარ ცნობილი, უდავოდ არსენი ბერია. ამასვე ადასტურებს ტრადიცია, რომლის საფუძველზეც 1125 წლის სიგელს მიეცა ზემოთ დამოწმებული სათაური.

მკვლევართა საერთო აზრით (თ. ჟორდანიას, ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე), არსენი ბერი ავტორია რუის-ურბნისის კრების სახელით დავით აღმაშენებლისთვის მირთმეული შესხმისა – „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“. ეს შესხმა ბუნებრივი გაგრძელებაა რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერისა და ამის გამო აკად. კ. კეკელიძე სრულიად სამართლიანად მიიჩნევს არსენი ბერს რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერის ავტორად, ამ კრების მდივნად და წმ. ნინოს მეტაფრასული ცხოვრების ავტორადაც ამ ძეგლისა და რუის-ურბნისის ძეგლისწერის შინაარსობრივ-სტილისტური მსგავსების გამო.¹

ამრიგად, არსენი ბერის კალმის ნაყოფად აღიარებულია შემდეგი ძეგლები: დავით აღმაშენებლის 2 ანდერძი შიომღვიმისა და გელათის მონასტრებისადმი, რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა, ამ კრების სახელით დავითისათვის მირთმეული შესხმა და წმ. ნინოს მეტაფრასული ცხოვრება. განვიხილოთ, რა მსგავსება-ნათესაობა შეიძლება დავინახოთ, ერთი მხრივ, ამ ძეგლებსა და, მეორე მხრივ, არსენი ბერის ნაწარმოებად ნავარაუდევ დავითის ისტორიკოსის თხზულებას შორის.

დავით აღმაშენებლის ორივე ანდერძში, და განსაკუთრებით 1123 წლის ანდერძში, შეიმჩნევა ერთგვარი გატაცება ისტორიზმით. ისტორიული ცნობებით ეს უკანასკნელი „...და-

1. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 311-312. წმ. ნინოს მეტაფრასული ცხოვრების ავტორად არსენი ბერის გამოცხადება ჩვენ საკმაოდ დასაბუთებულად მიგვაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ აკად. ს. ჯანაშია ამ აზრს არ იზიარებს (იხ. მისი ფსევდო-არსენი. სსრკ მეცნ. აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, I, №6, თბილისი, 1940).

ვითის მატთანეს ავსებს და, კერძოდ, სამონასტრო წესწყობი-
ლებას გვისურათებს“.¹

1123 წლის ანდერძიდან ვიცით, რომ „წინა-უკმო“ ეპისკოპო-
სმა მოდისტოსმა ძალით მიიტაცა მღვდელმთავრობა. როგორც
ჩანს, ეს ზოგადი მოვლენა ყოფილა, ყოველ შემთხვევაში, სამე-
ფო ცენტრალისტური პოზიციებიდან გამომდინარე, ბევრი მღ-
ვდელმთავარი უღირსად იყო მიჩნეული. ასეთი ანალოგიური
ეპითეტებით არიან შემკულნი 1123 წ. ანდერძში, დავითის ის-
ტორიკოსის თხზულებასა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრებ-
ის ძეგლისწერაში („წინა-უკმო მღვდელთ-მოძღუარი“ და „მწყე-
მსი უკაროჲ“ – ანდერძში; „კაცნი მთავართა და ნარჩინებულთა
შვილნი, რომელთა უნესოდ დაეპყრნეს საყდრები“ – დავითის
ისტორიკოსთან; „ეპისკოპოსნი ვინმე ვერ ღირსებით შემოსრ-
ულნი პატივსა მღვდელმთავრობისასა“ – ძეგლისწერაში).²
ამასთანავე, დავითის ისტორიკოსთან და რუის-ურბნისის ძე-
გლისწერაში ეს ამბავი ზუსტად ერთნაირი გამოთქმით არის კე-
ალიფიცირებული (დავითის ისტორიკოსთან: „წმიდანი, სახლნი
ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნენ“; ძეგლისწერაში: „სა-
ლოცველთა მათ ადგილთა ქუაბ ავაზაკთა შექმნითა, სულთაცა
თქუქმნთა საკარდულეები საღმრთოჲსა სიტყუსა მიერ დაიქცეს“).³
სახარებისეული გამოთქმის „ქუაბ ავაზაკთა“-ს ხმარების გამე-
ორება ერთი და იმავე ამბის აღსანიშნავად სხვადასხვა ძეგლში,
ვფიქრობთ, მაინც ნიშანდობლივია.

რუის-ურბნისის ძეგლისწერასა და დავითის ისტორიკოსის
თხზულებაში სავსებით იდენტური აზრებია გამოთქმული
სომეხთა მწვალებლობის შესახებ. ორივე ძეგლში ერთნაირად
გამოსჭვივის რელიგიური შეუწყნარებლობა სომეხთა სარწ-
მუნოებისადმი.⁴

1. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 310.

2. იხ. თ. ჟორდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 15; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 328,
ქრონიკები, II, გვ. 62.

3. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 327, ქრონიკები, II, გვ. 65.

4. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 356, ქრონიკები, II, გვ. 65, 67.

დავითის ისტორიკოსის თხზულება პოლემისტური ხასიათის ნაწარმოებია და მიზნად ისახავს დავით აღმაშენებლის პიროვნების, მთელი მისი საქმიანობის დაცვას ბოროტ „მაბრალლებელთაგან“. ნიშანდობლივია, რომ არსენი ბერის ნაწარმოებად მიჩნეული წმ. ნინოს მეტაფრასული ცხოვრებაც პოლემისტური ხასიათის ნაწარმოებია.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დავითის ისტორიკოსის თხზულებაში მრავლადაა რემინისცენციები ბიბლიიდან. საინტერესოა ერთი რემინისცენცია 124, 3 ფსალმუნიდან: „და არაოდეს მიუშუა ღმერთმან კუერთხი ცოდვილთა მართალსა მას ზედა“, რომლის შესახებ პროფ. ს. ყაუხჩიშვილი „ქართლის ცხოვრების“ უკანასკნელი გამოცემის შენიშვნაში აღნიშნავს: „ამავე ციტატას იმეორებს ანდერძი დავით აღმაშენებლისა შიო-მღვიმისადმი: „და არცა მიუშუა კუერთხი ცოდულთა ნაწილსა ზედა მართალთასა“ („მიუშუა“ ანათესავებს დავითის ისტორიკოსთან, „ნაწილსა“ ანათესავებს ბიბლიასთან).¹

ლიტერატურულ-სტილისტური ნათესაობის დასადასტურებლად შევადართო ერთი ადგილი დავითის 1123 წლის ანდერძიდან და დავითის ისტორიკოსის თხზულებიდან.

ანდერძში ლაპარაკია მრავალ სიკეთეზე, რომელსაც ღმერთი მოიღებდა დავითის მიმართ, ხოლო შემდეგ ნათქვამია: „რომელთაგან კერძოჲ (ე. ი. ამ სიკეთეთაგან ერთი – ჯ. ო.) რაამე და ურიცხუთაგან ერთი მიზეზად თხრობისავე მივსცე თხრობასა“.² დავითის ისტორიკოსთან მეფის საღვთისმთავრო საქმეებზეა ლაპარაკი და შემდეგ ვკითხულობთ: „რომელთაგანნი მცირედნი მრავლისაგან, ვითარცა სასმელი ერთი მტკურისაგან, ჩუენცა მივსცეთ თხრობასა“.³

ურთიერთსიახლოვე დავითის ისტორიკოსის თხზულების და რუის-ურბნისის კრების სახელით დავითისთვის მირთმეული ხოტბისა – „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“ – აღ-

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 362, შენ. 1.
 2. თ. ყორღანია, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.
 3. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 347, ,,

ნიშნული აქვს აკად. კ. კეკელიძეს: „ორივე ძეგლში ერთი და იგივე პარალელიზმია დავითისა და ალექსანდრე მაკედონელისა, დავითისა და აქილევს ელინისა“.¹

აკად. ნ. ბერძენიშვილს დავითის ისტორიკოსის თხზულებაში ხაზგასმით აქვს გამოვლენილი მეფის ღვთისსწორობის იდეა – იზოთეიზმი. „ყოველი წინააღმდეგი მეფისა შინაგამცემელია... დავითი „მესიის ხმალი“, მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს და ამდენადვე მეფის წინააღმდეგ მოქმედება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედებაა. როგორც ვხედავთ, – ასკენის აკად. ნ. ბერძენიშვილი, – აქ ბრძოლა თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მიღწეულა. არსად აქამდე ქართულ საისტორიო მწერლობაში მეფის ხელისუფლება, მეფის უფლება, მეფის მოქმედება და მისი პიროვნება არ ყოფილა ღვთაებამდე ატანილი“² (ხაზგასმა ყველგან ავტორისაა). ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა დავით აღმაშენებლის 1123 წლის ანდერძი, სადაც ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში პირველად, მართალია, რამდენადმე უფრო შეფარულად, მეფე ღვთისსწორადაა გამოცხადებული. დავით მეფე ანდერძში ამბობს: „ოდეს მარნმუნა (ღმერთმა – ჯ. ო.) მის მიერ განგებულსა მეფობასა, თუსითა რაჲთამე განგებითა არა უღირს მჩენელმან შარავანდსა შინა პატიოსანსა უპატიოებისა ჩემისამან, აქაჲთგანვე აღილო კელი სიტკბოებითა თუსითა განილებაღ ჩემადა თუთ მეფე მეფეთაჲ იქმოდა საჭირველთა უჭირველად; ცხადთა წინააღმდეგომთა განმგეობისა თუსისათა მისცემდა მოსასრველად; იდუმალთა კუალად ზაკუვისათუს შორის მფარველთა არა შეუნდობდა სიცბილად“.³ აქაც, როგორც ვხედავთ, მეფის მოწინააღმდეგე ღვთის მოწინააღმდეგეა, დავითის მეფობა ღვთისმიერი მეფობაა.

1. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, II, თბილისი, 1958, გვ. 265.

2. ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრომები, I, თბილისი, 1955, გვ. 173.

3. თ. ჟორდანიას, დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

იმავე იზოთეიზმის იდეის გამოვლინებაა შემდეგი სიტყვები დავით აღმაშენებლის უკანასკნელი, 1125 წლის, ანდერძიდან: „მე წარვედ წინაშე მსაჯულისა (ე. ი. ღვთისა – ჯ. ო.), მისისაებრ განმგებელი მეფობისა“.¹

უმაღლეს ფაზაშია აყვანილი დავით აღმაშენებლის პიროვნების ღვთისსწორობის იდეა არსენი ბერის სხვა თხზულებაში – შესხმაში: „მეფესა დავითს მონაზონი არსენი“. დავითის ისტორიკოსის თხზულების მსგავსი ზეალმატებული ეპითეტებით შემკობასთან ერთად შესხმაში დავით აღმაშენებელი დახასიათებულია როგორც: „უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის; განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავლუსტოს კეისართა შორის; კაცთმოყუარე, ვითარცა იესო ღმერთთა შორის; ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთქმნულთა შორის“.²

ადამიანის, თუნდაც მეფის, „ბუნებით ღმერთად“ გამოცხადება ქრისტიანული რელიგიის ნორმების აშკარა დარღვევაა – მკრეხელობაა. ქრისტიანული დოგმატიკის მიხედვით: „სხუა არს ღმერთი და სხუა კაცი, ესე იგი არს სხუა ბუნებად ღმრთეებისა და სხუა კაცებისა“.³ ამიტომაც სწორედ, რომ ზემოთ მოყვანილ ნაწყვეტში შესხმიდან, დავით აღმაშენებლის ბუნებით ღმერთად გამოცხადება, რაც შესხმის არქიტექტონიკიდან გამომდინარე სრულიად უდავოა, ერთგვარად შეფარულადაა მოცემული და საჭიროების შემთხვევაში ავტორს შეეძლო თავი ემართლებინა: „ბუნებით ღმერთი“ იესო ქრისტეს მიმართ არის ნათქვამიო.

კაცის ბუნებით ღმერთად გამოცხადების მკრეხელობა და ისიც სასულიერო პირის – არსენი ბერის – მხრივ კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რამხელა იყო თავყვანისცემა დავით აღმაშენებლისა და უკიდურესი აღტაცება მისი პიროვნებით.

1. ქრონიკები, II, გვ. 69.

2. იქვე.

3. იოანე დამასკელი, სიტყუაჲ სარწმუნოებისათჳს დასახასიათებლად ნესტორიანთა. ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-1463, გვ. 108. ეს ადგილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა თ. ჭყონიამ მიგვიითთა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

ეს თაყვანისცემა ნაწილობრივ ალბათ იმითაც აიხსნება, რომ დავით აღმაშენებელი, მისივე ისტორიკოსის დახასიათებით, „ყოველთა საშიშად საზარელი იყო ყოველთა“.¹

თავის მხრივ, სიტყვები „ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთ-ქმნულთა შორის“ ზუსტ ანალოგიას პოვებს დავითის ისტორიკოსის თხზულებაში. აქ ლაპარაკია დავითის გარდაცვალებაზე, რომ ღმერთმა მოუწოდა დავითს: „სადა თუთ იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთ-ქმნილთა ზედა“². ეს სიტყვები დავითის გარდაცვალების შემდეგაა დაწერილი და მეტ-ნაკლებად ქრისტიანული დოგმატიკის ნორმებში ზის. „ბუნებით ღმერთი“ აქ უკვე იესოა, ხოლო დავითი „მადლით ღმერთ-ქმნილთა“ შორის იგულისხმება.

ერთი მხრივ, დავითის ისტორიკოსის თხზულების, ხოლო, მეორე მხრივ, დავითის ანდერძებისა და რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელით დავითისთვის მიერთმეული შესხმის თანდამთხვევა იზოთეიზმის გამოვლინებაში მნიშვნელოვან არგუმენტად მიგვაჩნია ამ ძეგლების ერთი საერთო ავტორის – არსენი ბერისთვის მისაკუთვნებლად. მეფის ღვთისსწორობის იდეის ქართულ ნიადაგზე, ალბათ, მეზობელი ბიზანტიიდან გადმომწერგავი მეფის ერთმპყრობელობის უდავოდ დიდი მხარდამჭერი იქნებოდა და სწორედ ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ არსენ ბერის პიროვნება. ეს მეტად განათლებული სასულიერო პირი, რომელიც საერო მწერლობის, კერძოდ, ბერძნულ-ლათინური კლასიკური ლიტერატურის შესანიშნავ ცოდნასაც ამჟღავნებს, ბრმა თაყვანისმცემელი როდია დავით აღმაშენებლის პიროვნებისა, არამედ დავითის პოლიტიკის აქტიური, შეგნებული მხარდამჭერი და გამტარებელია. გიორგი ჭყონდიდლის მიმართ ნათქვამი სიტყვები რომ გავიმეოროთ, იგი არის: „თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ღუანლთა მისთა“.³

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 354.

2. იქვე, გვ. 362.

3. იქვე, გვ. 336.

ტბეთის სახარების ანდერძში მოხსენებული დემეტრე მეფის მწირველი არსენი იგივე ჩვენი არსენი ბერი უნდა იყოს. რაც შეეხება აქედან გამომდინარე პ. ცხვილოელის (კარბელაშვილის) მოსაზრებას არსენი ბერის საღირისძეობის შესახებ, ჩვენ ეს ამბავი მეტად სათუოდ მიგვაჩნია.¹

1. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, I, გვ. 30. იხ. აგრეთვე პ. ცხვილოელის წერილი, „ივერია“, 1900, №229; Е. Такашвили, Материалы по археологии Кавказа, вып. XII, გვ. 151-158.

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.)¹

პოლიტიკური ისტორიის შესწავლა უპირველესად ყოველ-ისა ისტორიული ქრონოლოგიის დადგენას მოითხოვს. ამ საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ხშირად დათარიღებულ, კრიტიკულად შესწავლილ ისტორიულ დოკუმენტებს ენიჭება. თავის მხრივ, ისტორიული დოკუმენტების დასათარიღებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ პირთა ქრონოლოგიას, პირველ რიგში, მეფეთა ქრონოლოგიას, სამეფო გვარის დადგენილ გენეალოგიას. აღნიშნული დანიშნულების გარდა (საბუთების დათარიღება) ქრონოლოგიურ, „მშრალ ამბებში“ ნათლად ისახება ძვრები ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში. მეფეთა ზეობის წლები, წყვეტილები ამ წლებში, ისტორიული დოკუმენტებითა და სხვა ისტორიული წყაროებით დადასტურებული სინქრონიზმი ორი მეფის ზეობისა („ორიანობა“) ნათელი მახასიათებლებია ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობის, მძაფრი შინაკლასობრივი ბრძოლის. ნათლად ჩანს, რომ მეფეთა ზეობა განუწყვეტელი ბრძოლაა ტახტისათვის, მისი შენარჩუნებისათვის.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს XIV-XVII სს. აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის ფონზე ქრონოლოგიურად დაზუსტებულ იქნეს ზოგიერთი ფაქტი, რაც ცალკეულ შემთხვევებში ახლებურად წარმოგვიდგენს ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის მომენტებს.

ნაშრომზე მუშაობა დავიწყეთ იმასთან დაკავშირებით, რომ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში გამოსაცემად მზადდება ქართული ისტორიული დოკუმენტების პირთა და გეოგრაფიულ სახელთა კომენტირებული საძიებელი. საძიებლის შედგენა მოითხოვდა ზოგიერთი საბუთის დათარიღებას. თავის მხრივ, საძიებლის მასალამ მუშაობა გაგვიადვილა.

1. კრებული „XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი“. 1964 წ.

ცნობები ჩვენთვის საინტერესო პერიოდის შესახებ დაცულია ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში, კინკლოსებში, ალაპებში; ნარატიული წყაროებიდან: ჟამთააღმწერელთან, ქართლის ცხოვრების გაგრძელებებში, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიაში, პარიზის ქრონიკაში, ვახუშტი ბაგრატიონის ისტორიაში, უცხოელი მოგზაურების, სომეხი და თურქ-ირანელი ისტორიკოსების თხზულებებში.

ქრონოლოგიური საკითხების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაუყარა ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც „ქართველი ერის ისტორიის“ III და IV წიგნებში დაადგინა ქართლ-კახეთის მეფეთა ქრონოლოგიაც და გენეალოგიებიც.

ნაშრომში გამოყენებულია ნ. ბერძენიშვილის, თ. ჟორდანias, ს. კაკაბაძის, ელ. მეტრეველის, ქრ. შარაშიძისა და სხვა მეცნიერთა შრომები.

პირველი მეფე, რომელიც ჩვენს საკვლევ ქრონოლოგიურ ჩარჩოშია მოქცეული, არის დიმიტრი თავდადებულის ძე დავით VIII. ჩვენამდე მოაღწია ამ მეფის სიგელმა, რომელიც 1297 წლით თარიღდება.¹ საქართველოს დასასუსტებლად სწორედ დავით VIII-ის მეფობისას კვლავ განახორციელეს მონღოლებმა დამპყრობელთა ნაცადი პოლიტიკა დევიზით: „დაყავი და იბატონე“ და საქართველოში რამდენიმე მეფე განაჩინეს.

მონღოლებმა ისარგებლეს დავით VIII-სა და მის ძმა ვახტანგს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოებით და მთებში შეხიზნული ურჩი დავით VIII-ის ნაცვლად საილხანოდან ვახტანგიც მეფედ გამოგზავნეს საქართველოში. ვახუშტი ბაგრატიონთან აღნიშნულია: „ხოლო ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა წელსა 1301, ქართულსა 521“.² ცნობილია, რომ ჟამთააღმწერლის თხზულებაში თარიღები არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ საისტორიო თხზულების თხრობის თანმიმდევრობიდან გამომდინარე, ივ. ჯავახიშვილმა ვახტანგ III-ის გამეფების თარიღად 1302 წელი

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1330; ს. კაკაბაძე, საისტორიო მოამბე, I, 1924, გვ. 141-143; ი. აბულაძე, პალეოგრაფიული ალბომი, 1949, ტაბ. 119, გვ. 325.

2. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, დ. ბაქრაძის გამოცემა, თბილისი, 1885, გვ. 268.

მიიღო.¹ ეს თარიღია დამკვიდრებული სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში, მიუხედავად იმისა, რომ ნუმიზმატმა თამარ ლომოურმა ნუმიზმატური მასალის სხვა საისტორიო მასალებთან შეჯერების საფუძველზე დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ ვახტანგ III ჰიჯრით 698 წელს, ანუ ჩვენი წელთაღრიცხვით 1298-1299 წწ. მონღოლების მიერ უკვე მეფედ არის დადგენილი. რამდენადაც დადასტურებულია ამ წელს მოჭრილი ვახტანგი-სეული მონეტა, ცხადია, ვახტანგი ამ დროს უკვე მეფეა.²

ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური მოტივების საფუძველზე ყაზან ყაენმა საქართველოს მეფობა მისცა აგრეთვე დემეტრე თავდადებულის უმრწემეს ვაჟს-გიორგის, რომელიც დემეტრე მეფეს ბეჟა ჯაყელის ასულის ნათელასაგან ჰყავდა. მიუხედავად ძლიერი პაპის – ბეჟა ჯაყელის მხარდაჭერისა, გიორგი მხოლოდ თბილისის მეფე იყო. მცირეწლოვანი გიორგი V-ის თბილისში გამეფების თარიღად ივ. ჯავახიშვილს, ალბათ, ჟამთააღმწერელზე დაყრდნობით, მიღებული აქვს 1299 წ. ეს თარიღი, ცხადია, ზუსტად ვერ ჩაითვლება, იგი ვახტანგ III-ის გამეფების თარიღზე წინ უნდა იქნეს გადატანილი.³

თარიღიანი ცნობა დავით VIII-ის გარდაცვალების შესახებ დაცულია მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონთან, რომლის მიხედვითაც დავით VIII 1310 წ. გარდაიცვალა.⁴ არა გვაქვს საშუალება შევამოწმოთ ამ თარიღის სიზუსტე და ეს მით უფრო სავალალოა, რომ ვახტანგ მეფის გარდაცვალებისა და დავით VIII-ის ვაჟის გიორგი VI (მცირის) გამეფების თარიღებიც მასთანაა დაკავშირებული, მისგან გამომდინარეობს.

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისი, 1949, გვ. 255-256.

2. თ. ლომოური, დავით VII-ის და ვახტანგ III-ის ფულები. საქართველოს მუზეუმის მოამბე, XV-B, გვ. 75-78. აქვე შევნიშნავთ: როგორც ეს დადგენილი აქვს ივ.

ჯავახიშვილს, დავით მეფის უკუდგომა ყაზან ყაენისაგან, რამაც გამოიწვია ვახტანგის გამეფება, 1297 წ. 7 ნოემბერს მომხდარა (იხ. მისი დასახ. ნაშრომი, გვ. 248).

3. ჟამთააღმწერელთან არის გვიანდელი ჩანამატა: „ხოლო ესე გიორგი იგი არს, რომელსა ამა მეფის ვახტანგის უწინ მისცა ყაენმან მეფობა. ესე არს ძე დიმიტრი თავდადებულისა და ძმა დავით მეფისა და ვახტანგ მეფისა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, 1959, გვ. 322.¹⁴⁷

4. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 275.

დავით VIII-ის სიცოცხლეშივე მონღოლებმა მისი შვილი გიორგიც გაამეფეს. „ამან ყაენმან, – ვკითხულობთ ჟამთააღმწერელთან, – ნარმოუვლინა მოციქული დავითს და სთხოვა შვილი, რათა მეფე ყოს. მაშინ მცირე იყო გიორგი, იგიცა მოსცეს, და ნარმოგზავნეს ურდოსა, და ყაენმან მოსცა მეფობა და ტფილისი, და უჩინა საზღვარად და საქმის მოურავად დიდი გიორგი“. ¹ ეს ამბავი უშუალოდ მოსდევს თხრობას ვახტანგ III-ის გარდაცვალების შესახებ. უნდა ვიგულისხმოთ, ვახტანგის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დავით VIII-ს და მონღოლებს შორის რალაც ნაწილობრივი შეთანხმება მომხდარა, რადგან მონღოლებმა დავითის ვაჟი გაამეფეს. დავით VIII-ის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჟამთააღმწერელი აღნიშნავს: „...დაუტევეს ნაცვლად მისად ძე მისი მცირე გიორგი, ორ წელ მეფე ქმნული“. ² ამრიგად, გიორგი მცირე 2 წელიწადი მამის სიცოცხლეშივე ყოფილა მეფედ, ე. ი. 1308 წ. გამეფებულა (თუ მივიღებთ ვახუშტის თარიღს დავით VIII-ის გარდაცვალებისას – 1310 წ.). ამავე თარიღს ადასტურებს ვახუშტი ბაგრატიონიც. ³

მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არსებობს გიორგი ბრწყინვალის ხელმეორედ (რეალურად) გამეფების თარიღის შესახებ. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, რომელიც, ივ. ჯავახიშვილის აზრით, რომელიმე კინკლოსურ ან სხვა საისტორიო წყაროს უნდა ემყარებოდეს, გიორგი V 1318 წ. გამეფდა. ⁴ სოფელ დაბის (ბორჯომის ხეობაში) ეკლესიის წარწერაზე დაყრდნობით თ. ჟორდანიას მიიჩნევედა, რომ გიორგი ბრწყინვალე 1314 წ. გამეფდა, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოცემული თარიღი, მისივე აზრით, გიორგის შემდგომში კვლავ გამეფებას გულისხმობს. ⁵ ჟამთააღმწერლის ბოლო ნაწილში

1. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1959, გვ. 323, კ.

2. იქვე, გვ. 323, რ. ჯ.

3. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 274.

4. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 259.

5. ქრონიკები, II, გვ. 180.

გიორგი VI დავითის ძე (მცირე) და გიორგი ბრწყინვალე ერთმანეთშია არეული. სრულიად არ ჩანს დასასრული დავითის ძის გიორგი VI-ის მეფობისა.¹

სხვაობა ვახუშტი ბაგრატიონთან დაცულ თარიღსა და დაბის ეკლესიის თარიღს შორის შეიძლება შეესაბამებოდეს სხვაობას გიორგი ბრწყინვალის, გიორგი VI-ის მეურვის, ფორმალურად მეფედ კურთხევასა და იმ დროს შორის, რა დროიდანაც ანგარიშობს იგი მის მიერ სრული სამეფო ძალაუფლების ხელში აღებას გიორგი VI (მცირის) შემდეგ.

გიორგი ბრწყინვალის ძის დავით IX-ის მეფობის შესახებ ცნობათა სიმციროს გამო, ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში“ (ნიგნი III) პირდაპირ ბაგრატ V დიდის მეფობაზე გადადის. დავით IX, ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, 1346-1360 წწ. მეფობდა.² ვახუშტისავე ცნობით დავითის მეუღლე ყოფილა დედოფალი სინდუხტარი, რომელსაც თ. ჟორდანიას ათაბაგების ნათესავ სითიხათუნთან აიგივებს.³

დავით IX-ის მეფობის დროინდელია დანერილი, მიცემული ნიკოლოზ მანყვერელის მიერ კათალიკოს-პატრიარქ იოვანესა და სვეტიცხოველისთვის.⁴ „მას ჟამს, ოდეს აღიდენ და დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და უძლეველი ღთივ გუირგონოსნობა მეფეთა-მეფისა დავითისი – შემინყალეს და საყდარი აწყვერის მიბოძეს, თქვენი თანადგომითა და ჯერჩინებითა... ვითა წესი... ესე დანერილი და აღთქმა მოგაქსენე“. – მიმართავს მანყვერელი კათალიკოს იოვანეს. ეს საბუთი თ. ჟორდანიამ და შემდეგ ქრ. შარაშიძემ რატომღაც დავით

1. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მინაწერი ამ ადგილას D ხელნაწერში: „[ა]მას ქვემო ამ წიგნში ყველა სწორედ [ა]რ უწერიათ. ღმერთმან [მი]უტოს ეგნატა[შვილ]ს ბერს იმდენი შურით და მტერობით სიკრუე. მაგრა წერილ[ის] დაგდება მტერობით [ე]თლი და უმჯობესთაგანი საქმე არ არის“ (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 322, შენ. 6).

გიორგი ბრწყინვალის სიგელთაგან ერთადერთს – ივანე თორელ ჯავახიშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნს აქვს ინდიკტიონი 39 (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-11628; საქართველოს სიძველენი, II, №4). სამწუხაროდ, სიგელს ქორონიკონი არა აქვს.

2. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 280.

3. ქრონიკები, II, გვ. 183-184.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-547.

X-ის დროინდელად მიიჩნიეს, რაც შეცდომაა, ვინაიდან საბუთის აღმნიშვნელი ტერმინი „დანერილი“ XVI საუკუნეში აღარ გვხვდება. პალეოგრაფიულადაც აღნიშნული საბუთი XIV საუკუნისაა და ამასვე ადასტურებს ჭვირნიშანიც.¹ საბუთი საინტერესოა მცხეთის საკათალიკოსო ტახტსა და სამცხე-საათაბაგოს ეკლესიას შორის ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისით.

ბაგრატ V-ის მეფობა საქართველოში თემურ-ლენგის შემოსევებს დაემთხვა. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ბაგრატ V-ს ჟამიანობის დროს 1366 წ. მეუღლე ელენე გარდაეცვალა, ხოლო მიქელ პანარეტოსის ცნობით, ბაგრატს 1367 წ. ტრაპიზონის კეისრის ასული ანა შეურთავს.²

თემურ-ლენგის მიერ საქართველოს დარბევა-დანოკების და მეფე-დედოფლის შეპყრობის შესახებ მეტად ფასეული ცნობებია ალექსანდრე I-ის 1440 წლით დათარიღებულ მალის ამოკვეთის წიგნში: „...ტფილისით ციხითა მეფე ბაგრატ და ანა დედოფალი გამოასხნეს ტყვედა. მრავალი სული მოესრა, და თავად დედაქალაქი მცხეთა, და რაოდენნი საქართველოში საყდარნი და ეკლესიანი იყუნეს ყოველნივე საფუძველითგან დაექცივნეს, და სრულიად საქართველო ტყვე ექმნა და ჩუენისა მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი ტყუენვა და რბევა იყო საქართველოსა, და მოოკრდა და იავარ-იქმნა და ყოვლადვე ძალი და ნუგეშინისცემა არსით ეპოებოდა“.³ თ. ჟორდანიას მართებული დაკვირვებით, ცნობები ბაგრატ მეფისა და ანა დედოფლის შეპყრობის შესახებ „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა შემდგენელთ ზემოთ დამონმებული სიგელიდან

1. ქრონიკები, II, გვ. 330; სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVI სს.). ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშიძისა, თბილისი, 1961, გვ. 28. ხელნაერთა ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლის რ. პატარიძის დაკვირვებით, საბუთის ჭვირნიშანი 1360-1370 წწ. ყოფილა გავერცელებული.

2. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 282; მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“, აღ. ვამყრელიძის გამოცემა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბილისი, 1960, გვ. 38.

3. ხელნაერთა ინსტიტუტი, Hd-1386; ქრონიკები, II, გვ. 247-248.

უნდა ჰქონდეთ ამოღებული. „პარიზის ქრონიკაში“ დაცულია ცნობა, რომლის მიხედვითაც თბილისი თემურ-ლენგმა 1385 წ. აიღო;¹ „ქრონიკებში“ მოყვანილია ცნობა ბაგრატ მეფისა და ანა დედოფლის 1387 წ. დატყვევების შესახებ; ვახუშტი ბაგრატიონთანაც მოცემულია უკანასკნელი თარიღი, რაც თომა მენოფელის თხრობის თანმიმდევრობითაც დასტურდება.²

ვახუშტი ბაგრატიონისა და თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ ერთი კინკლოსური ცნობის მიხედვით, ბაგრატ V 1395 წ. გარდაიცვალა, ხოლო „ქრონიკებშივე“ აღნიშნული კიდევ ერთი კინკლოსური ცნობით – 1396 წ.³

1393 წ. მურვან ღარიბაშას ძის მიერ ვაჰანის მონასტრისათვის მიცემულ მამულის შეწირულების წიგნში ბაგრატის ძე გიორგი მეფედ არის მოხსენებული.⁴ ამავე წლის 5 ივლისით დათარიღებულ საბუთში გიორგი მეფე ვარძიის ღვთისმშობლის ეკლესიას მამულებს უმტკიცებს ინდიქტიონსა კდ. გამოდის, რომ გიორგი 1369 წ. გამეფდა.⁵ უფრო ადრე, 1377 წელს, გუგუნა მაყაშვილისათვის მიცემულ წყალობის წიგნში გიორგი VII თავისი გამეფების 19 ინდიქტიონს ითვლის და ამჯერად გამოდის, რომ იგი 1358 წ. გამეფებულა.⁶ აღნიშნული საბუთების გამომცემლის თ. ჟორდანიას აზრით, გიორგი მისი მამის ბაგრატის მეფობაში საქართველოს ცალკეულ ნაწილებში გამგებლობდა მეფის ტიტულით. ბაგრატ მეფის შეპყრობის შემდეგ გიორგი რომ მეფედ იქნებოდა კურთხეული, ეს ცხადია, მაგრამ ისტორიული დოკუმენტებით დამოწმებული ბაგრატისა და გიორგის ადრევე დაწყებული თანადროული მეფობა (თანამოსაყდრეობა) 1387 წლისათვის მაინც, „ქართ-

1. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 5.

2. ქრონიკები, II, გვ. 191; ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 284-285; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 289.

3. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 289; ქრონიკები, II, გვ. 201.

4. თ. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, თბილისი, 1896, გვ. 45.

5. ქრონიკები, II, გვ. 200.

6. იქვე, გვ. 190-191.

ლის ცხოვრების“ მეორე გაგრძელების ტექსტითაც დასტურდება: „მაშინ სცნა რა საქმე ესე მეფემან ბაგრატი (ლაპარაკია თემურ-ლენგის შემოსევაზე – ჯ. ო.), მნუხარე იქმნა ფრიად, და ეძიებდა ღონესა რასამე საქმისასა, რამეთუ ვერ ძალ-ედვა წინააღდგომა მისი. ხოლო შევიდა ციხესა ტფილისისასა. მაშინ გიორგი მეფე წარვიდა და მივიდა სამწევრისს. და ოდეს ესმა მოსლვა ტფილისს თემურისა, მაშინ აღიყარა მეფე გიორგი ლიხთ-იმერეთით“.¹

ცნობა გიორგი VII-ის მეფობის ზედა თარიღის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონთან არის დაცული: „...შემდგომად ძლიერისა ბრძოლისა მოიკლა მეფე გიორგი თურქთაგან წელსა 1407... შემდგომად გიორგი მეფისა დაჯდა მეფედ ძმა მისი კოსტანტინე“.²

„ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში (მეორე ტექსტი) კოსტანტინე I-ის მეფობის შესახებ აღნიშნულია: „...მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი იმერეთისა. ამასვე წელსა გარდაჰკდა დიდი მეფე ბაგრატი იმერეთისა, და დაჯდა მეფედ ძე ბაგრატიისა კოსტანტინე, და იმეფა შუდ წელ, და მოკლეს ჩალაღას“.³ როგორც ვხედავთ, აქ ბაგრატი V და გიორგი VII შეცდომით იმერთა მეფეებად არიან მიჩნეული, ამდენად – კოსტანტინეც. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, კოსტანტინე I თურქებთან ბრძოლაში 1414 წ. დაიღუპა.⁴ შირვანის ამირას დასახმარებლად მისული კოსტანტინე მეფე რომ ჩალაღას მოუკლავს ყარა-იუსუფს, ამის შესახებ ამ ამბის თანადროული სომხური ცნობა შემორჩა მათეოს განძასარელისა.⁵ სამნუხაროდ, კოსტანტინეს მოკვლის თარიღი ამ წყაროს არ შემოუნახავს.

აღექსანდრე I დიდის სიგელები მრავლად შემორჩა. სიგელები მდივანმწიგნობრულად მეტად კარგადაა გაფორმებ-

1. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 449^{ტ.ჯ}

2. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 296.

3. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 472^{ტ.ჯ}

4. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 297.

5. ი. აბულაძე, მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კოსტანტინეს შესახებ. ენციკლის მოამბე, V-VI, 1940, გვ. 47-55.

ული. ალექსანდრე I რომ 1412 წ. გამეფდა, ეს მისი ინდიქტიონიანი სიგელებით ეჭვმიუტანლად დასტურდება. კოსტანტინე I-ის მოკვლის თარიღის დადგენისას სწორედ ეს მონაცემებია გათვალისწინებული.

ს. კაკაბაძის გამოანგარიშებით, ალექსანდრე I 1412 წ. 11-19 სექტემბერს უნდა ასულიყო ტახტზე, ხოლო ივ. ჯავახიშვილის აზრით, რაც საბუთების გულდასმით შეჯერება-შესწავლას ეყრდნობა, ეს ფაქტი 20 თებერვალსა და 11 მარტს შორის უნდა მომხდარიყო.¹

ამილახორ-ზედგინიძეთა ერთ-ერთი საჩივრის ნიგნში ვკითხულობთ: „გაუნყრა მე[ფე კოსტა]ნტინი შვილსა, მეფესა ალექსანდრეს [და] [ალექ]სანდრე მეფე ათაბაგსა ივანესთანა წავიდა [და მამა] ჩემი თან წაჰყვა ღარიბობასა. ხუთსა წე[ლი]წადსა ღარიბობას იახლა. კოსტანტინე მეფე[ემან] ჩალაღანს გაილაშქრა და იქი მოკლეს“.² საინტერესო ისტორიული მომენტია გადმოცემული, ამასთანავე დამოწმებულია, რომ ალექსანდრე I კოსტანტინე მეფის ძე იყო.

ალექსანდრე I-ის მამისშვილობის საკითხის გარკვევისას სხვა დოკუმენტებთან ერთად ივ. ჯავახიშვილს გამოყენებული აქვს კოსტანტინე მეფის მიერ გენათის მელვინეთუხუცეს ნავროზისთვის მიცემული სასისხლო სიგელიც, რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (Qd-9019).³ ამ შემთხვევაში ივ. ჯავახიშვილი ღალატობს თავის სკეპტიკურ დამოკიდებულებას სასისხლო სიგელებისადმი. ეს სასისხლო სიგელი სამსახურს უწევს ჭეშმარიტების დადგენას. ივ. ჯავახიშვილ-

1. იხ. ს. კაკაბაძე, დიდის ალექსანდრე მეფის გამეფების თარიღი, თბილისი, 1913; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, თბილისი, 1948, გვ. 18. ივ. ჯავახიშვილს თ. ფორდანას ქრონიკებში გამოცემულ (II, გვ. 220) ბუირთელის მიერ მცხეთისთვის მიცემული ყმა-მამულის შეწირულების ნიგნის თარიღიდან 11 მარტის ნაცვლად შეცდომით 21 მარტი აქვს გადმოღებული.

2. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, 1937, გვ. 9, 34, 40; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1799.

3. საქართველოს სიძველენი, III, №461, გვ. 434.

მა გაასწორა ვახუშტი ბაგრატიონის შეცდომა, რომელსაც ალექსანდრე დიდი გიორგი VII-ის ძედ მიაჩნდა და დაადგინა, რომ ალექსანდრე I კოსტანტინე I-ის შვილია.¹ ამ ფაქტს ადასტურებს აგრეთვე ჯვრის მონასტრის სულთა მატიანეში დაცული ცნობა, რომელიც მისი ადგილის მიხედვით ალექსანდრე I-ს ეხება და რომელშიც ვკითხულობთ: „პირველსა კურიაკესა ნშიდათა მარხვათასა ნირვა და ალაპი საუკუნო კოსტანტინ[ე]ს შვილისა ალექსანდრესი, შეუნდვენ ღმერთმან“.²

1433 და 1438 წწ. ორ ისტორიულ დოკუმენტში ალექსანდრე მეფის პირმშო ვახტანგი ალექსანდრე მეფის სიცოცხლეში მეფის მიერვე გაცემულ სიგელებში მეფედ არის მოხსენებული.³ ივ. ჯავახიშვილი ამ ფაქტს თანამოსაყდრეობით ხსნის და მიაჩნია, რომ ეს თანამოსაყდრეობა შემდგომში, ჯერჯერობით ისტორიული მასალის სიმცირის გამო აუხსნელი მიზეზებით, მოშლილა. ნ. ბერძენიშვილის ვარაუდით, აქ ვახტანგი „პროვინციის მეფედ“ გვევლინება.⁴ საქართველოში „პროვინციის მეფეთა“ წარმოშობის სოციალურ-პოლიტიკური არსი შესანიშნავად არის ახსნილი ნ. ბერძენიშვილის მიერ. ეს არის ფეოდალური სეპარატიზმის თავისებური გამოვლინება საქართველოში. სამეფო ცენტრალიზმი ამ მოვლენას ბოლომდე ვერასდროს შეურიგდებოდა. უნდა ვიფიქროთ, სამეფო ხელისუფლება „პროვინციის მეფეებს“ უფრო ავიწროებდა (როდესაც ძალას მოიცემდა), ვიდრე სხვა გამდგარ ფეოდალებს, რადგან „პროვინციის მეფეებს“ მეფობის ტიტულის ტარების სრულიად გარკვეული ლეგიტიმური უფლებები ჰქ-

1. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, IV, გვ. 24-26. თავისთავად ის ფაქტი, რომ ივ. ჯავახიშვილი არგუმენტაციისათვის სასისხლო სიგელს ეყრდნობა და მართებულადაც, მეტყველებს იმაზე, რომ სასისხლო სიგელებში შეთხზულ ამბებთან ერთად მრავალი ფასეული ისტორიული ცნობაც არის დაცული. შესაძლებელია ზოგიერთი სასისხლო სიგელი არც იყოს ნატყუარი და ამ თვალსაზრისით საჭიროა სასისხლო სიგელების კვლავ სპეციალური შესწავლა.

2. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბილისი, 1962, გვ. 72.

3. ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, თბილისი, 1913, გვ. 15, 20.

4. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

ონდათ და ამით ცენტრალური სამეფო ხელისუფლებისათვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდნენ. „პროვინციის მეფეები“ თვითმარქვია მეფეები არიან და სხვა არც ერთი სიგელი არაა ცნობილი, სადაც საქართველოს მეფე „პროვინციის მეფეს“ მეფეს უწოდებდეს. „პროვინციის მეფეები“ თავის სიგელებში უწოდებენ თავს მეფეს. სინას მთის სულთა მატთანეში და იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ალაპებში კი, როგორც ალაპების დამკვეთნი, „პროვინციის მეფენი“ მეფეთ მეფის ტიტულითაც არიან მოხსენებული. ზემოთ აღნიშნული გარემოების გამო ნაკლებდასაჯერებელია, რომ ალექსანდრე I-ს თავის სიგელში „პროვინციის მეფე“ მოეხსენებინოს და ეს „პროვინციის მეფე“ ყოფილიყო ტახტის კანონიერი მემკვიდრე, შემდგომში საქართველოს მეფე ვახტანგ IV.

ალექსანდრე I-ის ძე დიმიტრი მეფის ტიტულით უმტკიცებეს შიომღვიმის მონასტერს მამულებს (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1). 1450 წ. დიმიტრი მეფემ სოფლები უწყალობა სიონის ღვთისმშობლის ეკლესიას.¹ 1445 წ. 26/VIII ზაქარია დარჩიბეგიშვილისათვის მიცემულ სიგელშიც დიმიტრი თავის თავს მეფეს უწოდებს.² ცაიშის სანინამძღვროს ვერცხლის ჯვარზე გაკეთებულ ასომთავრულ წარწერაშიაც მოხსენებულია მეფეთ მეფე დიმიტრი ალექსანდრეს ძე.³ 1451 წ. დიმიტრი მეფე შიომღვიმეს უმტკიცებეს ყველა მამულს.⁴ ვახუშტი ბაგრატიონი ყოველგვარი ტიტულის გარეშე ახსენებს დიმიტრის: „ნადირობასა შინა მოკლა ცხენმან დიმიტრი ძე ალექსანდრე მეფისა წელსა 1452“.⁵

ვახტანგ მეფესა და დიმიტრის შორის ურთიერთობას ზედგინიძეთა ერთ-ერთი საჩივრის წიგნი არკვევს: „...ოდეს] ვახტანგ მეფობა დაიჭირა, წყალს იქით მისსა ძმასა პატ[რო]ნსა დემეტრეს მიანება თაყას გარეთ“, – ვკითხულობთ ამ საბუთში.⁶

1. Д. Пурцеладзе, Грузинские церковные гуджары, Тбилиси, 1881, გვ. 52.

2. ქრონიკები, II, გვ. 257; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1002.

3. ქრონიკები, II, გვ. 270.

4. Д. Пурцеладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

5. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, I, გვ. 303.

6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-1242; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 50.

ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას: ვახტანგის დროებით თანამოსაყდრეობას, შემდეგ ალექსანდრე მეფის ბერად შედგომას სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, იქმნება სრული საფუძველი, ალექსანდრე მეფის ძე დიმიტრი „პროვინციის მეფედ“ მივიჩნიოთ.

ალექსანდრე დიდის ძის გიორგი VIII-ის მეფობაში საქართველოს პოლიტიკური დაქუცმაცების ადრევე დაწყებული პროცესი კიდევ უფრო გაღრმავდა. 1465-1466 წწ. გიორგი VIII ყვარყვარე ათაბაგმა შეიპყრო და ამავე წლებში იმერთა მეფე ბაგრატმა ქართლის მეფობაც მოიპოვა.¹ გიორგი VIII შემდგომ კახეთში გადავიდა და ბაგრატიონების კახური სამეფო შტოს მამამთავარი გახდა.

ყვარყვარე ათაბაგის მიერ გიორგი VIII-ის შეპყრობის თარიღი (1465-1466 წწ.) ივ. ჯავახიშვილს ბაგრატ VI-ის ქართლში გამეფების თარიღიდან გამოჰყავს. ამიტომ თარიღი ზუსტად ვერ ჩაითვლება. საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში 1464 წ. 5 აპრილის თარიღით დაცულია კოსტანტინე მეფის მიერ დოლისძეთათვის მიცემული სახასო ზერის ნყალობის წიგნი (კარგად შესრულებული და შემონახული დედანი). დაგვებადა აზრი, რომ ამ დროს გიორგი VIII უკვე შეპყრობილი იყო და ქართლში კოსტანტინე I დიმიტრის ძე მეფობდა, მაგრამ საბუთის შესწავლამ დაგვანახვა, რომ იგი 1474 წ. განეკუთვნება („ქორონიკონსა რნიბ“-ის ნაცვლად შეცდომით ნაკითხული იყო „რნბ“).²

1468 წლის 20 ნოემბერს თავისი მეფობის მესამე ინდიქტიონს „ორისავე ტახტისა და სახელმწიფოსა, ლიხთიმერისა და ლიხთამერისა“ მპყრობელი მეფეთ მეფე ბაგრატ მამულის ნყალობის წიგნს აძლევს ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახიშვილ-

1. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

2. ცსსა, ფ. 1448, №5027. შ. ონიანმა ვაჰანის ქვაბებში გიორგი მეფის წარწერა ამოიკითხა. წარწერა, მისი აზრით, პალეოგრაფიულად XV საუკუნისაა, გიორგი მეფის ტყვედ ყოფნისასა შესრულებული. დათარიღებულია I აპრილით, აღდგომით, რაც 1464 წელზე მოდის (გიორგი მეფის მოხსენებასთან შეთანხმებით). ამრიგად, 1464 წ. გიორგი მეფე უკვე ტყვედქმნილი ჩანს საათაბაგოში.

ებს.¹ ამ სიგელის მიხედვით ირკვევა, რომ იგი 1465-1466 წწ. გამეფებულა ქართლში. ბაგრატ VI-ის ქართლში შემოჭრის ამსახველია ზედგინიძეთა ზემოთ დამონმებული უთარილო საჩივრის ნიგნი (Sd-1242), სადაც ნათქვამია, რომ ბაგრატ მეფე ქართლში გადმოვიდა და ციციშვილის წინააღმდეგ გაილაშქრა. ყურულების ცნობილ სასისხლო სიგელშიც ნათქვამია: „ჩვენ ღთივ გუირგუინოსანმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ ნე-ბითა ღთისათა დავიპყარით მეფობა ორისავე ტახტისა ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა“.²

ბაგრატ VI-ის მამისშვილობის შესახებ მრავალი საპირი-სპირო აზრია გამოთქმული: „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მიხედვით (მეორე ტექსტი) იგი ალექსანდრე დიდის ძმაა, რამდენადაც ორივე გიორგის შვილად არის მიჩნეული.³ მართალი აქ ის არის, რომ ბაგრატი მართლაც გიორგის ძეა, რაც მის მიერ მცხეთისთვის 1466 წ. მიცემული სიგელით დასტურდება. ამ სიგელით ბაგრატი ალაპს გაუჩენს თავის მამას გიორგის, რომელიც მეფე არ არის.⁴ რაც შეეხება ალექსანდრე მეფეს, იგი, როგორც სათანადოდ არის დამტკიცებული, კოსტანტინე მეფის ძე იყო.

ს. კაკაბაძის აზრით, ბაგრატ VI ალექსანდრე მეფის ძმის ბაგრატის შვილიშვილია. ივ. ჯავახიშვილი ბაგრატს დავით ნარინის შტოს უკავშირებს, ხოლო ნ. ბერძენიშვილი ალექსანდრე I-ის ძის დიმიტრის შვილად მიიჩნევს.⁵

ჯვრის მონასტრის ალაპების შესწავლის დროს ელ. მეტრეველმა მიაქცია ყურადღება XV საუკუნის ალაპს, რომელიც

1. საქართველოს სიძველენი, II, №30, გვ. 40.

2. ხელნაერთა ინსტიტუტი, Qd-7118 (ბ); საქართველოს სიძველენი, I, №2; ქრონიკები, II, გვ. 280.

3. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 476_{ა.ა}.

4. ქრონიკები, II, გვ. 287-288. 1466 წელს ბაგრატის მეფობის XII ინდიქტიონი შესრულებულა, ე. ი. ბაგრატი 1455 წ. გამეფებულა იმერეთში.

5. ს. კაკაბაძე, გენეალოგია ბაგრატ VI აფხაზთა და ქართველთა მეფისა, თბილისი, 1912; ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80; ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

განკუთვნილია ალექსანდრეს ძმისწულ ბაგრატიისათვის, რომელმაც 1476 წელს გოლგოთა იშოვა და მისი გუმბათი ააშენა. უტიტულოდ მოხსენება ალექსანდრესი და მისი გოლგოთის მშოვნელი ძმისწულის ბაგრატიისა, მკვლევრის ლოგიკური დასკვნით, მიუთითებს მათ დიდ პოპულარობაზე, სახელდობრ იმაზე, რომ გოლგოთის მშოვნელი უდავოდ მეფე უნდა ყოფილიყო.¹ ელ. მეტრეველი წერს: „ისევე, როგორც №237 ალაპში, ალექსანდრე დასახელებულია როგორც საყოველთაოდ ცნობილი პირი, რომლის ძმისა თუ ძმისწულის ვინაობა ალექსანდრესთან მიმართებით უნდა გახდეს ცნობილი მკითხველისთვის. ასეთი დიდი და სახელმძიმევილი მეფე XV საუკუნეში ალექსანდრე დიდი იყო. ამგვარად, – დაასკვნის ავტორი, – №237 ალაპი განწესებულია ალექსანდრე დიდის ძმის გიორგისთვის, ხოლო ალაპი №252 ალექსანდრეს ძმისწულის ბაგრატიისთვის“.² შემდეგ მკვლევარი ზედმეტ სიფრთხილეს იჩინს და არ გამორიცხავს, რომ ზემოთ აღნიშნულ ალაპებში შესაძლებელია მოხსენებული იყვნენ იმერთა მეფე ალექსანდრე V და მისი ძმა გიორგი I (ვახუშტის მიხედვით). №237 ალაპში გიორგი მხოლოდ მეფის ძმადაა მოხსენებული და არა მეფედ, რაც სავსებით ეთანხმება ბაგრატი VI-ის ზემოთ დამოწმებული სიგელის ცნობას, რომლის მიხედვითაც, ბაგრატიის მამა გიორგი მეფე არ ყოფილა.

ერთადერთი სიგელი, სადაც ბაგრატი მეფე მოიხსენიებს თავის ძეს ალექსანდრეს, დათარიღებულია 1467 წლის 21 იანვრით და წარმოადგენს ბაგრატი მეფის მიერ ჯვარისმტვირთველ დანიელ ელიოზისძისთვის სოფელ სასხორისა და ხეკორძულას რუს წყალობის წიგნს.³ „ეს რუ ასრე გვიყიდი, – ნათქვამია სიგელში, – რომე წუერიანმა კაცმა წყალი დალიოს, წუერი შიგავ ჩაიბერტყოს“. ელიოზისძეებს უწყლობა დაუჩივლიათ: „ჩვენ არაფერი დაგვესწრო, – ამბობს ბაგრატი

1. ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 170-171.

2. იქვე.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-27.

მეფე სიგელში, – ოქროს გრგოლები გამოვიყარეთ“, რუ იმ-ით ვიყიდეთ და გინყალობეთო. სიგელი, როგორც ვხედავთ, წყალთა მეურნეობის ისტორიის თვალსაზრისითაც საინტე-რესოა და ამასთანავე „ხეკორძულას“ მოხსენებით, რაც მც-ხეთური ზეპირი ტრადიციით სვეტიცხოვლის აღმშენებლის სახელს უკავშირდება.

ბაგრატიის უცილობელი ბატონობა ქართლში სიგელთა მო-ნაცემებით დასტურდება. გარდა ზემოთ აღნიშნული სიგელე-ბისა, გვაქვს 1470 წლის სიგელები, სადაც აღნიშნულია, რომ ბაგრატიის მეფობისას ქვენიფნეველმა სოფლები შესწირა ლა-რგვისის მონასტერს. ბაგრატიის მეფობის მეხუთე ინდიქტიონს დაიწერა მახარებელ მალალასძის ივანიასძედ დასმის წიგნი.¹ ამასთანავე, ჩანს, ბაგრატს განუწყვეტელი ბრძოლა უხდებო-და კოსტანტინესთან. 1471 წელს ვახუშტი ბაგრატიონი აღნი-შნავს, „მეფემან ბაგრატ ქართლი დაიჭირა“-ო, ხოლო თ. ჟო-რდანიას ქრონიკებში დაცული ერთი ცნობის მიხედვით, 1472 წ. „აქა [ქართლი] დაიჭირა ბაგრატ მეფემ და კ ე გარდ[აავდო].“²

ქართლში ბაგრატიის უცილობელ ბატონობას ადასტურებს ვენეციელი ელჩების ამბროზიო კონტარინისა და იოსაფა ბა-რბაროს ცნობებიც. მათივე ცნობებით, 1470-1474 წწ. ბაგრ-ატის სამფლობელოში დასავლეთ საქართველო, სკანდა-ქუ-თაისიც შედიოდა.³ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ვადდინგოს“ თავის Annales Minorum-ში ნათქვამი აქვს, რომ 1460 წ. დასა-ვლეთ ევროპაში საქართველოთგან მისულ დესპანებს ოსმა-ლთა საწინააღმდეგო მოქმედების მონაწილეთა შორის დაუს-ახელებიათ აგრეთვე Pancratius Iberorum qui nunc Georgiani vocantur („ბაგრატი იბერთა (მეფე), რომელნიც აწ გიორგიან-ებად (ე. ი. ქართველებად) იწოდებიან“).⁴ თუ ვადდინგოს ცნობა

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-9020, Hd-1352; საქართველოს სიძველენი, III, №578, გვ. 555.

2. ქრონიკები, II, გვ. 290.

3. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

4. იქვე, გვ. 98.

სარწმუნო წყაროს ეყრდნობა, მაშინ იგი ბაგრატიის იმერეთში მეფობას უნდა შეეხებოდეს.

აღნიშნულ ვითარებაში სრულიად გასაგებია, რომ „ქართლში გადმოსული ბაგრატი სრულიადაც არ იქცევა როგორც დამპყრობელი ვინმე და არამკვიდრი მეფე. მას ქართლი სრულიადაც არ წარმოუდგენია დაპყრობილ ქვეყნად, არამედ თავი ქართლის მემკვიდრე მეფედ მიაჩნია“. ¹ როგორც გაირკვა, ბაგრატი VI-ს შექმნილ ხელსაყრელ ვითარებაში, ძალასთან ერთად ერთგვარი ლეგიტიმური უფლებებიც ჰქონია ქართლის სამეფო ტახტზე.

ბაგრატი VI-მ ვერ შეძლო ტახტის ბოლომდე შენარჩუნება და მისი მომდევნო მეფე კოსტანტინე II მეფეს უწოდებს თავს ჯერ კიდევ 1466 წლიდან. ² ამ სიგელის მიხედვით, კოსტანტინე მეფეს ჰყავს მეუღლე გულშარ, ბიძა – გიორგი მეფე (გიორგი VIII), განუვლი სამსახურისათვის იგი ყმა-მამულს უწყალობებს ჯავახიშვილებს. მეფეს უწოდებს კოსტანტინე თავს 1467 წ. ზაზა ფანასკერტელისათვის მიცემულ ყმა-მამულის წყალობის წიგნშიც. ³ ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, კოსტანტინემ ქართლის მეფობა 1469 წ. დაიჭირა მისი მამის გიორგის გარდაცვალების შემდეგ. ⁴ მეფედ არის მოხსენებული კოსტანტინე II 1472 წ. 2/1 საბუთში, აგრეთვე ზემოთ დამოწმებულ (1464 წლის საბუთად რომ იყო მიჩნეული) 1474 წ. 5/IV საბუთშიც. ⁵ აღსანიშნავია, რომ ბაგრატი VI კოსტანტინეს 1468 წლის სიგელში

1. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2007; საქართველოს სიძველენი, II, № 13 (შეცდომით აქ 1466 წ. ნაცულად დაბეჭდილია 1463 წ.). საბუთის დედანი (Hd-2007) თავნაკლულია. საბუთის დასაწყისში კოსტანტინე მეფისა და გულშარ დედოფლის სახელები საბუთის პირს შემოუნახავს (Qd-1010). სიგელი უდავოდ კოსტანტინეს ეკუთვნის, სწორედ მისი ბიძა სიგელში მოხსენებული, ათაბაგის მიერ ნალაღატივი გიორგი მეფე. კოსტანტინეს კარის მდივან-მწიგნობარია ამ საბუთის დამწერი ზაქარია თუმანიშვილი (იხ. ა. ბაქრაძე, თუმანიშვილთა გენეალოგიის დადგენის ცდა XV-XVI სს. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, V, თბილისი, 1963, გვ. 163.

3. ცსსა ფ. 1448, №64; საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 30-31.

4. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1918, გვ. 16.

5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1669.

„პატრონსა“ და „ძმას“ უწოდებს.¹ ეს უნდა იყოს შედეგი ბაგრატ VI-ის მიერ რეალური ვითარებისათვის ანგარიშგანევისა. ჩანს, კოსტანტინეს ქართლში რეალური ძალა გააჩნდა, თავის თავს მეფეს უწოდებდა და, მართალია, ბაგრატ VI-ისათვის მხოლოდ „პატრონის“ ტიტულის მქონე იყო, მაგრამ მაინც ერთგვარად თანატოლი – „ძმა“. ზემოთ დამონმებულ 1472 წ. 2/1 დოკუმენტში – კოსტანტინე ქართლის მეფის მიერ იოთამ მაღლანიძისთვის მიცემულ სოფელ ზერტის წყალობის წიგნში, სადაც კოსტანტინეს მეფობის მე-8 ინდიქტიონია აღნიშნული, ნაწყალობევი მამულის შესახებ ნათქვამია: „...არავინ დამეცილოს არა ჟამისა გამოცუალებისათვის და არა ორიანობისათვის“. როგორც ს. კაკაბაძეს აქვს შენიშნული, – „ორიანობა“ ბაგრატ VI-ის და კოსტანტინე II-ის თანადროულ ორთა მეფობას აღნიშნავს.²

კოსტანტინე II-ის უფრო მოგვიანო ინდიქტიონიანი საბუთებიდან ჩანს, რომ იგი თავის გამეფებას ბაგრატის შემდგომ 1478 წლიდან ანგარიშობს.³ ბაგრატის თანადროული დამცრობილი მეფობა, რასაც თავის დროზე არ თაკილობდა, ახლა მას, ჩანს, ეჩოთირება.

კოსტანტინე II-ის გარდაცვალებისა და მისი ძის დავით X-ის გამეფების თარიღის შესახებ წყაროებში განსხვავებული ცნობებია (1503 წ. 1504 წ. 1505 წ.).⁴ არც ერთი ინდიქტიონიანი სიგელი არ არის ცნობილი დავით X-ისა. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით მიღებულია, რომ დავით X 1505 წ. გამეფდა.

დავით X-ის შემონაზვნების თარიღის შესახებ ცნობას მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონი გვანვდის: „ქკსა სიბ (1524 წ.) დავით მეფე მონაზონ იქმნა და დაჯდა ძმა მისი გიორგი, მეორეს წელს მოკუდა დავით მეფე მონაზონი“.⁵

1. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 40.

2. ხელნაერთა ინსტიტუტი, Ad-1669; ს. კაკაბაძე, წერილი შენიშვნები და მასალები, საისტორიო კრებული, III, თბილისი, 1928, გვ. 115-116.

3. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128-130.

4. იქვე, გვ. 209.

5. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, გვ. 368.

დავითყოფილ დამიანეს შემონაზვნებისას, წესისამებრ, ყმა-მამული შეუწირავს სვეტიცხოვლისათვის, ქართლის კათალიკოს ბასილისათვის. საბუთი უთარილოა. ს. კაკაბაძეს, ვახუშტის მიხედვით, ეს სიგელი 1524 წლით აქვს დათარიღებული, ხოლო თ. ყორღანია მას 1526 წლის საბუთად მიიჩნევს.¹

დავით მეფის შემონაზვნების თარიღი ვახუშტი ბაგრატიონის გარდა სხვა წყაროებში არ არის. პარიზის ქრონიკის, იკორთის ძლისპირისა და ჟამნის (№2) მიხედვით, დავითყოფილი დამიანე 1526 წ. გარდაიცვალა. ამავდროულად თარიღს გვაძლევს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელება (მესამე ტექსტი), ხოლო ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, დავით X 1527 წ. გარდაიცვალა.²

დავით X-ის შემონაზვნება უნდა მომხდარიყო არაუადრეს 1525 წლისა (ვახუშტი ცდება, როდესაც ამ ფაქტს 1524 წ. აღნიშნავს), ვინაიდან გვაქვს 1525 წლის შეწირულების წიგნი, მიცემული შიომღვიმისთვის დავით მეფის სახლთუხუცესისა და მწიგნობართა მთავრის ივანე სოლაღაშვილის მიერ.³ წიგნს დავით მეფე და ქართლის კათალიკოსი ბასილი ამტკიცებენ.

დავითის შემონაზვნებასთან ერთად ირღვევა ტახტის მემკვიდრეობის დადგენილი წესი. ვახუშტი ბაგრატიონისა და ბერი ეგნატაშვილის მიხედვით, ტახტი დაიკავა დავით X-ის ძმამ გიორგი IX-მ და არა ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ, უფლისწულმა ლუარსაბმა, რომელმაც უფრო მოგვიანებით დაიბრუნა ტახტი. ლუარსაბის გამეფებას ვახუშტი 1534 წლით ათარიღებს: „კვალად გიორგი მონაზონ იქმნა და დაჯდა ლუარსაბ ძე დავითისი“.⁴ ე. ი. აღდგენილ იქნა ტახტის მემკვიდრეობის წესი და კანონიერი მემკვიდრე ლუარსაბ I დავითის ძე გამეფდა. ამ ამბებს ბერი ეგნატაშვილის „ახალი

1. ისტორიული საბუთები, II, 1913, გვ. 32; ქრონიკები, II, გვ. 368.

2. ქრონიკები, II, გვ. 357; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 493, 353^{19,20}.

3. ქრონიკები, II, გვ. 357; ისტორიული საბუთები, II, 1913, გვ. 57-58.

4. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, გვ. 386.

ქართლის ცხოვრება“ ასე გადმოგვცემს: დავით X-მ „მისცა მეფობა თუსი ძმასა თუსსა უმრწემესსა გიორგის“ და შემდეგ „ხანსა რაოდენსამე მეფობდა გიორგი და მას ჟამსა შინა იყო კათალიკოზი მელქისედეკ, ძმა მისი“. ¹ როგორც თვით გიორგის მიერვე მცხეთისათვის ბოძებული სიგელიდან ჩანს, მისი შემონაზვნება მომხდარა არა 1534 წელს, არამედ 1540 წელს. გიორგიყოფილი გერასიმე ამ წელს, შემონაზვნებასთან დაკავშირებით, მცხეთას სოფელ ზერტებს სწირავს. საინტერესოა ამ სიგელის დასაწყისი, სადაც გიორგი არსად თავის თავს მეფეს არ უწოდებს: „გიორგი ბაგრატიონიანმან, ძემან მეფეთ-მეფისა კონსტანტინესმან, – ვკითხულობთ სიგელში, – ნებითა ღვთისათა ყოვლისა საქართველოს თვითმპყრობელთა შარავანდედთა ნათესავმან“. ² ასე იხსენიებს იგი თავის თავს. გიორგი ქართველ მეფეთა ნათესავია მხოლოდ, ნათესავი, მაგრამ არა მეფე. არ გაგვაჩნია არც ერთი სიგელი გიორგი მეფისა. ქართლის ცხოვრების ერთ-ერთ გაგრძელებაში (მესამე ტექსტი) დავით X-ის გარდაცვალების შემდეგ მოთხრობილია ლუარსაბ I-ის მეფობის შესახებ. გიორგი IX-ის შესახებ იქ არაფერია ნათქვამი. ³ ყოველივე ამის გამო ივ. ჯავახიშვილს გიორგი IX-ის მეფობა აეჭვებდა და შესაძლებლად მიაჩნდა იმდენად, რამდენადაც შესავსები რჩებოდა ლაკუნა დავით X-ის შემონაზვნებიდან მისი ძის ლუარსაბის გამეფებამდე. ⁴ ჩვენ მიგვაჩნდა, რომ კონსტანტინე მეფის ძეს გიორგის საერთოდ არ უმეფია. ⁵ როგორც ირკვევა, გიორგი IX, მართალია მცირე ხნით, მაგრამ მაინც მეფობდა. 1584 წელს ლუარსაბ I-ის ძის სვიმონ I-ის მიერ ნიტრიის ეკლესიის-

1. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 353_{ა,ბ}.

2. ისტორიული საბუთები, II, გვ. 37-40. სამწუხაროდ, თვით სიგელმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

3. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 493.

4. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 244.

5. ვ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის საკითხისათვის. ხელნაწერთა ინსტიტუტის IV სამეცნიერო სესია, თეზისები, თბილისი, 1962, გვ. 8.

ათვის მიცემულ სიგელში მოხსენებულია სვიმონ მეფის ბიძა (საბუთის პირია შემორჩენილი მხოლოდ, უნდა ყოფილიყო სვიმონის მამის ბიძა) მეფეთ მეფე გიორგი, რომლისგანაც ნიტრიის ეკლესიას სოფელი ნიტრია და ყმა-მამული უყიდა.¹ მეფე გიორგი IX-მ რომ ნიტრიის ეკლესიას ნამდვილად მიჰყიდა ყმა-მამული, ეს ნიტრიის ეკლესიისთვის მიცემული დოკუმენტოზ კათალიკოსის წიგნითაც დასტურდება.² გიორგი მეფეთ მეფის მიერ ნიტრიისათვის ყმა-მამულის მიყიდვის ამბავს საბუთში უშუალოდ მოსდევს შემდეგი: „მოვიდა მაჰმადის მოსახელე შაჰ-თამაზ ყეენი გულისწყრომით მქსინვარე, ამოსწყუიტა და მოაოხრა ქართლის ქვეყანა. ეს ყველა მეფობასა პატრონის ლუარსაფისსა“. უდავოა, საბუთში მოხსენებული მეფეთ მეფე გიორგი არის ლუარსაბ I-ის ბიძა – მეფე გიორგი IX.

დავით X-ის შემონაზვნებას ვახუშტი ბაგრატიონი ასე გადმოგვცემს: „...განიხილა მეფემან დავით სოფლისა სიმუხთლე და უსვეობა თუსი, დაუტევა მეფობა და იქმნა მონაზონ და დაშთენ ძენი სამნი თამარ დედოფლისაგან: ლუარსაბ, დემეტრე და რამაზ, არამედ მისცა მეფობა ძმასა თუსსა გიორგის“.³ ჩანს, გიორგის მძლავრებით შეუყენებია მონაზვნად თავისი ძმა დავით და ტახტის უზურპაცია მოუხდენია. ამასთანავე მომხდარა უზურპაცია საკათალიკოსო ტახტისაც: ბერი ეგნატაშვილის და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებით, საკათალიკოსო ტახტზე გიორგის ძმა მელქისედეკ კათალიკოსი დაჯდა.⁴ ზ. ალექსიძემ სპეციალურ გამოკვლევაში აღმოსავლეთ საქართველოს კათალიკოსთა ქრონოლოგიის შესახებ დაადგინა, რომ ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, 1517 წლ-

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-29093.

2. საქართველოს სიძველენი, III, №155, გვ. 124-129.

3. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, გვ. 32.

4. იქვე; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 353²². მღვდელ-მონაზონ მელქისედეკის აღზევება დავითის შემონაზვნებასთან ერთად მომხდარა. დავითი შემონაზვნების დროს მოიხსენებს თავის ძმას მღვდელ-მონაზონ მელქისედეკს. სიგელში კათალიკოსი ბასილიც არის მოხსენებული (ისტორიული საბუთები, II, გვ. 24).

იდან მოკიდებული 1535 წლის ჩათვლით, გარკვეული ხარვეზებით, საქართველოს კათალიკოსი იყო ბასილი.¹

გიორგი IX-ს, როგორც ჩანს, მყარი მდგომარეობა არ ჰქონდა. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „...გიორგი მეფე დაემეგობრა უმეტეს დავით მეფისა კახთ-ბატონს ლევანს და ჰყო სიყვარული მისთანა, ეგრეთვე ბაგრატ იმერთა მეფისათანა“.² „ქორონიკონსა სიდ (1526 წ.) მოსცეს ბაგრატს არადეთის წყალი, გამოლმა ალი, სურამი და ახალდაბა“. პარიზის ქრონიკით, ამავე წელს: „მოსცეს ბაგრატს ქართლი არადათის წყალს გამოლმა, ალი, სურამი და ახალდაბა“. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების მიხედვით (მესამე ტექსტი): „ქორონიკონსა სიდ მისცეს ბაგრატს ქართლი, მეფესა იმერეთისასა, არადათის წყალს გამოლმა ალი, სურამი და ახალდაბა“.³ ამ ცნობებთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ლიხთამერზე, ქართლის ნაწილზე, იმერთა მეფეებს, ჩანს, ხელი მიუწვდებოდათ. 1511 წ. 15/IX ბაგრატ იმერთა მეფემ რუისში, წინუბანში, ტინის ხიდში ყმა-მამული უწყალობა ზაქარია, თაყა ფანასკერტელებს.⁴

საკითხის გარკვევაში, თუ რამდენ ხანს გასტანა გიორგი IX-ის მეფობამ, ნათელი შეაქვთ ლუარსაბ I-ის სიგელებს. ჩვენამდე მოღწეული მისი პირველი თარიღიანი სიგელი 1530 წლისაა (ლუარსაბ მეფის მიერ ქვათახეველთათვის მიცემული სითა-

1. ზ. ალექსიძის ნაშრომი გამოუქვეყნებელია. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ბასილი კათალიკოსად ჩანს: 1525 წ. (ქრონიკები, II, გვ. 334-374); 1527 წ. (ისტორიული საბუთები, III, გვ. 57-58); 1527 წ. (გელათის სიგელი. ქართლის კათალიკოსი ბასილი აქ მოხსენებულია აფხაზეთის კათალიკოს მალაქიასთან ერთად – ქრონიკები, II, გვ. 370); 1527 წ. (კახური სიგელი ლევან მეფისა – ქრონიკები, II, გვ. 371); 1527 წ. (პირობის წიგნი – ქრონიკები, II, იქვე); 1529 წ. (ყმა-მამულის შეწირულების წიგნი, მიცემული ბარათაშვილების მიერ მცხეთისათვის, კათალიკოს ბასილისათვის – ისტორიული საბუთები, III, გვ. 59); 1531 წ. (ჭარმაულების სიგელი – ხელნაწერთა ინსტიტუტი, №-733; საქართველოს სიძველენი, II, №360).

2. ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 21.

3. ქრონიკები, II, გვ. 364; პარიზის ქრონიკა, გვ. 7; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 493.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2118; საისტორიო მოამბე, II, 1924, გვ. 28.

რხნის განახლების ნიგნი).¹ 1540 წელს ლუარსაბ მეფის მიერ თბილისის სიონისათვის ბოძებულ წყალობის ნიგნში აღნიშნულია ლუარსაბის მეფობის XIII ინდიქტიონი, ე. ი. ლუარსაბი 1527-1528 წწ. გამეფებულა. ამასთანავე, 1527 წელს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, კვლავ დადასტურებულია ბასილის კათალიკოსობა. ნიშანდობლივია, რომ მსგავსად გიორგი IX-ისა, მელქისედეკ კათალიკოსის არც ერთი სიგელი არაა შემორჩენილი (შეიძლება მას ეკუთვნოდეს სიგელი, რომელშიც ნათქვამია, კათალიკოსმა ბასილმა მცხეთას მამულები დაუქარგაო – ქრონიკები, II, გვ. 373). უზურპაციის კვალის მოსპობის მიზნით, როგორც ვიცით, ბერად შედგომისას გიორგი IX-მ თავისი მეფედყოფილობის გამხელაც ველარ გაბედა.

ერთგვარ ეჭვს იწვევს გიორგი IX-ის შემონაზვნების თარიღი – 1540 წ. (სიგელის მიხედვით). თარიღი ძლიერ მოშორებულია გიორგის მიერ ტახტის დაკარგვის დროს. სამწუხაროდ, თვით სიგელი აღარ გაგვაჩნია, ხოლო დ. ფურცელაძესთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ქრონოლოგიური უზუსტობანი, იგივე საბუთი 1518 წლით არის დათარიღებული.²

აკად. ნ. ბერძენიშვილს მონღოლთა ბატონობის შემდგომი ხანის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის თავისებურებათა გათვალისწინების შედეგად ახსნილი აქვს საფუძველი ისეთი მოვლენისა, როგორიც იყო ე. წ. პროვინციის მეფეთა წარმოშობა: „ცენტრს ეხლა ის მიმზიდველობა აღარა აქვს და „კელმწიფობა“ მხოლოდ იქ აღარ არის. ცენტრი „საკელმწიფობად“ დაშლის ტენდენციებს იჩენს“.³ ფეოდალური სეპარატიზმის ამ თავისებურ გამოვლინებას დასაბამი მისცეს მონღოლებმა, რომელთა ბატონობის პერიოდში დამკვიდრებული მრავალმეფობა შემდგომში დასაყრდენი გახდა გაძლიერებულ ფეოდალთათვის, რათა გარკვეულ ლეგიტიმურ საფუძველზე დაეფუძნებინათ თავიანთი

1. ხელნაერთა ინსტიტუტი, Hd-1372.

2. И. Пырцеладзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

3. ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

პრეტენზიები მეფობაზე. „პროვინციის მეფენი“ უბრალო ფეოდალებად აროდეს გვევლინებიან, მათ უშუალო კავშირი აქვთ სამეფო საგვარეულოსთან. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „პროვინციის მეფეთა“ საკითხი ცალკე მონოგრაფიულ შესწავლას იმსახურებს.

შესაძლებელი ხდება „პროვინციის მეფეთა“ ლეგიტიმური შტოდან წარმომავლობის საკითხის გარკვევა. ისტორიულ დოკუმენტებში პირველი „პროვინციის მეფე“ გვხვდება დიმიტრი თავდადებულის ძის დავით VIII-ის საბუთში, რომელიც დავითის მეფობის მეხუთე ინდიქტიონს, ანუ 1297 წელს არის გაცემული.¹ ამ სიგელს ამტკიცებს „ქართლის ცხოვრებისათვის“ უცნობი მელქისედეკ მეფე, ხოლო შემდეგ მისი ძმა ანდრონიკე, რომელიც ჯერჯერობით მეფე არ არის. ოპანუ-ვანქის ეკლესიის წარწერაზე დაყრდნობით, ს. კაკაბაძე მელქისედეკსა და მის ძმას ანდრონიკეს გიორგი VI (მცირის) შვილებად, ე. ი. დავით VIII-ის შვილიშვილებად მიიჩნევს.² ამასთანავე, უფრო ადრე ს. კაკაბაძე ანდრონიკეს გიორგი ბრწყინვალის შვილადაც მიიჩნევდა.³

დავით VIII-ის ზემოთ აღნიშნული საბუთის ის ნაწილი, სადაც საბუთს ანდრონიკე ამტკიცებს, ს. კაკაბაძის მიერ ასე იქნა წაკითხული: „ქ. პატრონთა: მეფისა და ძმისა ბრძანებისა მეც ანდრონიკე დამამტკიცებელი ვარ“. ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თ. ენუქიძემ შემოგვთავაზა საბუთის ამ ადგილის ახალი, მართებული წაკითხვა: „ქ. პატრონთა: მამისა და ძმისა ბრძანებისა მეც ანდრონიკე დამამტკიცებელი ვარ“. „მამისა“ დაკვირვებული თვალით ადვილად იკითხება და ლოგიკურადაც სწორია. სხვა შემთხვევაში გაუგებარია, რას ნიშნავს — „პატრონთა: მეფისა და ძმისა“ — ნათქვამი დავითისა და მელქისედეკის შესახებ იმ დროს, როდესაც ორივე მეფის ტიტულს ატარებს.

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1330; საისტორიო მოამბე, I, გვ. 141-142.

2. ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, საისტორიო მოამბე, I, გვ. 143.

3. ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, 1914, გვ. 140.

ამრიგად, მელქისედეკი და ანდრონიკე დავით VIII-ის შვილები ყოფილან. რაც შეეხება ოჰანუ-ვანქის ეკლესიის წარწერას, იქ მელქისედეკი მართლაც გიორგისთან ერთად არის მოხსენებული, მაგრამ გიორგის მეფედ გამოცხადება ს. კაკაბაძის ვარაუდია მხოლოდ. ამასთანავე, უფრო გიორგი უნდა იყოს ძე მელქისედეკისა, ვიდრე პირიქით. წარწერის ამ ადგილას წარყვნილი ტექსტი უფრო ამ ვარაუდის საშუალებას იძლევა.

მელქისედეკი, როგორც ისტორიული პიროვნება, ცნობილია აგრეთვე სინას მთის სულთა მატრიანედან, საიდანაც ჩანს, რომ მას ვაჟიშვილებიც ჰყოლია.¹ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში ჩანერილია აღაპი მეფეთ მეფის მელქისედეგისათვის.²

მეტი ცნობები მოგვეპოვება მელქისედეკის მომდევნო „პროვინციის მეფის“, მისი ძმის ანდრონიკეს შესახებ. შემორჩა მისი თარიღიანი სიგელი, რომელსაც ინდიქტიონიც აქვს.³ სიგელი წარმოადგენს ანდრონიკე მეფის მიერ ლარგველის შვილ ნითლოსან ქვენიფნეველისთვის მიცემულ სოფლების წყალობის წიგნს, დათარიღებულია 1348 წლით და დაწერილია ანდრონიკეს მეფობის IX ინდიქტიონს. ამრიგად, ანდრონიკე 1340 წელს გამეფებულა და ამავე დრომდე უნდა ვიგულისხმოთ მისი ძმის მელქისედეკის მეფობაც.

ცნობილია „პროვინციის მეფეთა“ აღნიშნული შტოს შემდგომი მეფეც, სახელდობრ, გიორგი ალასტანელი – ძე ანდრონიკე მეფისა. ალექსანდრე I-ის მიერ 1434 წ. მცხეთისთვის მიცემული შეწირულების წიგნიდან ვგებულობთ, რომ კათალიკოსს ანდრონიკეს ძის გიორგი ალასტანელის თურქთაგან მონამებრივი სიკვდილის მაგალითით ჯარი გაუმხნევებია.⁴

1. ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 242.

2. ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, № 144, გვ. 155.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1360; საქართველოს სიძველენი, II, № 7.

4. ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი. წერილი შტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბილისი, 1914, გვ. 4-5.

შესაძლოა სწორედ ამ მონამებრივი სიკვდილის გამო არის ჩანერილი გიორგი ალასტანელი სინას მთის სულთა მატთანში მელქისედეკ და ანდრონიკე მეფეთა წინ. მისი სიკვდილის თარიღი „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით დადგენილი აქვს ს. კაკაბაძეს. მის მიხედვით, ეს მოხდა 1373 წელს. ამავე თარიღს იმეორებს „პარიზის ქრონიკაც“ და დამატებით აზუსტებს დღეს – ეს ამბავი 6 აგვისტოს მომხდარა.¹ როგორც ეს გამოკვლეული აქვს ელ. მეტრეველს, ამავე დღეზე (ფერისცვალებაზე) მოდის გიორგი მეფის ალაპი ჯვრის მონასტრის ალაპებში და ამით თარიღი დასტურდება.² სინას მთის სულთა მატთანის მოსახსენებლის, ჯვრის მონასტრის ალაპების მიხედვით ირკვევა, რომ გიორგი ალასტანელის მეუღლე ყოფილა შვენიერყოფილი მაკრინე.³

გიორგი ალასტანელის გარდა, სინას მთის ალაპების მიხედვით, ანდრონიკეს სხვა შვილებიც ჰყავდა. მართებული გვეჩვენება ს. კაკაბაძის ვარაუდი იმის შესახებ, რომ გორის რაიონში დამონმებული დავით მეფე, ოქონის ეკლესიისთვის 1382 წ. ყმა-მამულის მიმცემი, შესაძლებელია ანდრონიკე მეფის შვილი იყოს, დაფუძნებული შიდა ქართლში.⁴ აღნიშნულ სიგელში დავითის მეფობის 28 ინდიქტიონია აღნიშნული, ამდენად, იგი 1354 წ. გამეფებულა შემდგომად ანდრონიკე მეფისა. სიგელის მიხედვით, დავითს ორი ვაჟი ჰყავდა – გიორგი და ალექსანდრე, რომელთა შესახებ სხვა ცნობები არ გაგვაჩნია.

1. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 12; პარიზის ქრონიკა, II გამოცემა, 1903, გვ. 5. „ქრონიკონსა და თურქნი მოვიდნენ, მეფე გიორგი მოკლეს, ლამქარნი სრულიად დახოცნეს, საქართველო მოარბიეს, და წარტყუნეს თვესა აგვისტოს 3“.

2. ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

3. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 18; ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, იქვე. პ. ინგოროყვა შვენიერყოფილ მაკრინეს რატომღაც გიორგი ალასტანელის დად თელის და მიანია, რომ იგი მთავრად (დედოფლად) გამოცხადდა 1373 წ. მისი ძმის სიკვდილის შემდეგ (იხ. პ. ინგოროყვა, რუსთველიანას ეპილოგი, თხზულებათა კრებული, I, გვ. 702).

4. ს. კაკაბაძე, დავით უცნობი მე-XIV საუკუნის მეფე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 140.

ანდრონიკე მეფის მიერ ნითლოსან ქვენიფნეველისთვის ნაწყალობევი სოფლები: კარბი, გარეჯვარი, ბაკურისუბანი გორის მახლობლად მდებარეობენ. თვით გორი, როგორც ეს შენიშნული აქვს ს. კაკაბაძეს, ჩანს, ანდრონიკეს სამფლობელოში არ შედიოდა („ან ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, – ვკითხულობთ სიგელში, – შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, კარის ჩუენის ვაზირთა და მოურავთა, ერისთავთა და ქართლის ერისთავთა, გორისა და [ჩქვენთა ციხისთავთა...“). ანდრონიკეს მიმართ სენიორალურ დამოკიდებულებაში ყოფილან ქსნის ერისთავები. საბუთის მიმღები ლარგველის ძე ნითლოსან ქვენიფნეველი ქსნის ერისთავთა საგვარეულოს წარმომადგენელია (ლარგველი, ქვენიფნეველი ქსნის ერისთავთა საგვარეულო სახელებია).

1354 წ. გამეფებული „პროვინციის მეფე“ დავითიც გორის რაიონის მეფეა. ოქონის საყდარს, რომელიც, სიგელის მიხედვით, თამარ მეფეს აუშენებია, დავით მეფემ შესწირა: **ზემო რეხაში 10 საკვამლო, გარეჯვრის ლომსათუბანი, რუისში და ატენში ყმა-მამული.** შეწირული ყმა-მამულის საზღვრების აღნიშვნისას დასახელებულია: **ქვემო რეხა, ხელთუბანი, თორტიზა.**

ქრონოლოგიური თანადამთხვევის გარდა არაფერი საფუძველი გაგვაჩნია გავაიგივოთ გორის რაიონში დამონმებული „პროვინციის მეფე“ დავითი მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკაში“ მოხსენებულ თბილისის მეფე დავითთან. ქრონიკის კონტექსტის მიხედვით, ეს დავითი მისი თბილისის მეფედ მოხსენების გამო არის დავით IX, როგორც ეს ალ. ხანანაშვილსა და ალ. გამყრელიძეს მიაჩნიათ.¹ ამ აზრს ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ გულქან-ხათუნი – ასული დავით IX-ისა – მანუილ კომნენოსზე 1377 წ. ჯვრისნერის დროს საქმროზე რამდენიმე წლით უფროსი იქნებოდა (დავით IX 1360 წ.

1. მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“, ალ. გამყრელიძის გამოცემა.

მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, 1960, გვ. 41, შენ. 147, გვ. 83.

გარდაიცვალა, ხოლო მანუილი 1364 წ. დაიბადა). მსგავსი ქორწინებანი პირველ რიგში წმინდა პოლიტიკური ხასიათის მოტივებით იყო ნაკარნახევი. საქართველოს და ტრაპიზონის სამეფო კართა დაახლოების მიზნით იყო დადებული ქრონიკაში თბილისის მეფედ მოხსენებული დავით IX-ის ასულის გულქან-ხათუნის ტრაპიზონელი უფლისწულის ანდრონიკე კომნენოსისთვის მითხოვების საქორწინო ხელშეკრულება. ანდრონიკეს სიკვდილის შემდეგ პოლიტიკური მიზნების გამო ხელშეკრულება არ დაურღვევიათ და გულქან-ხათუნი მასზე უმცროსი მანუილისთვის (ანდრონიკეს ძმისთვის) მიუთხოვებიათ.

ს. კაკაბაძე ოქონისთვის სიგელის მიძღვემ დავით მეფეს და „ტრაპიზონის ქრონიკის“ თბილისის მეფე დავითს არ აიგივებდა, შემდეგ კი ეს ორი მეფე ერთსა და იმავე პირად მიიჩნია.¹

„პროვინციის მეფეთაგან“ მხოლოდ ანდრონიკეს ძე გიორგი იწოდება ალასტანელად. არსად წყაროებში ანდრონიკე და მელქისედეკ მეფეები ალასტანელებად არ იწოდებიან. უნდა ვიფიქროთ, მელქისედეკიც ანდრონიკე და დავით მეფეთა მსგავსად გორის ახლომახლო რაიონის მეფე იყო. ამავე რაიონთან, ქსნის ერისთავებთან გარკვეულად დაკავშირებული ჩანს გიორგი ალასტანელიც. იერუსალიმის ჯვრის მონასტრის სვინაქსარის აღაპებში გიორგი ალასტანელის აღაპს უშუალოდ მოსდევს აღაპი ამილახორ ქვენიფნეველისა (№291), რომელიც „ძეგლი ერისთავთას“ მიხედვით, გიორგი მეფესთან ერთად მოუკლავთ.²

ანდრონიკე მეფის ძის მეფე გიორგის სახელწოდება – ალასტანელი, ცხადია, ჯავახეთის სოფელ ალასტანიდან მოდის. რათა გავერკვეთ, თუ რატომ ეწოდა ანდრონიკეს ძეს ალასტანელი, გავადევნოთ თვალი წინამაჟვალ ისტორიას. ბაღვაშ-

1. ს. კაკაბაძე, დავით უცნობი მე-XIV საუკუნის მეფე. წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, I, გვ. 140; ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი. წერილი შტუდიები... გვ. 22; ს. კაკაბაძე, ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო. საისტორიო მოამბე, I, გვ. 144.

2. ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 116; ძეგლი ერისთავთა, შ. მუსხიას გამოცემა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 354.

თა გვარის დათრგუნვის, ხოლო თამარის დროს მსახურთუხუცეს და კლდეკარის ერისთავ აფრიდონის დამხობის შემდეგ კლდეკარის საერისთავო სამეფო დომენში შევიდა და, ჩანს, ადრევე გახდა საუფლისწულო მამული. გუნია-ყალის სტელის ნარწერის დასაწყისში თამართან ერთად მისი ძე გიორგი ლაშაც არის მოხსენებული. ნარწერის ბოლოში კი ვკითხულობთ: „დაასუა კელი ესე ღმრთისა სწორთა მეფეთ-მეფისა გიორგასი“, რაც, ა. ბაქრაძის აზრით, ამ მხარეში თამართან შედარებით ლაშას უპირატესობაზე უნდა მიუთითებდეს და გამონეეული უნდა იყოს ამ მხარის, როგორც საუფლისწულო მამულის ადრევე ლაშასთვის გადაცემით.¹ ამ მოსაზრებას ამტკიცებს გიორგი ლაშას მონეტის (მონეტა ე. ნ. ნესიერად მოჭრილთა ტიპს განეკუთვნება) ასომთავრული ზედწერილი შუბლზე: „ქ. გიორგი მეფისა, თამარის ძისასა, ჯავახთ უფლისა“. „ჯავახთ უფალი“ უფლისწულობის დროს უნდა შერქმეოდა გიორგი ლაშას. რუსუდან დედოფლის გარდაცვალების შემდგომი ამბების გადმოცემისას „მეფეთა დივანში“ ულუ დავითის შესახებ აღნიშნულია: „ამ დროს ალასტანელისა შვილი დ¹თ (დავით) მეფე მივიდა ყაენს ნ²შე (წინაშე) მეფობისა გამოსათხოვნად“.² „ჯავახთ უფალი“ გიორგი ლაშა აქ უკვე ალასტანელად იწოდება.

„ძეგლი ერისთავთას“ ცნობით, როდესაც ვახტანგ III-სა და დავით VIII-ს შორის მორიგება მომხდარა, „მაშინ მისცა ვახტანგ დავითს ჯავახეთი და ალასტანი და გამოიყვანა გუელეთით“.³

ამრიგად, როგორც დავინახეთ, ალასტანს, როგორც საუფლისწულო რეზიდენციას, განსაკუთრებული ადგილი სჭერია.

1373 წ. თურქებთან ბრძოლაში დამარცხებისა და გიორგი ალასტანელის მოკვლის შედეგად, როგორც ეს ალექსანდრე

1. ა. ბაქრაძე, XVIII საუკუნის ნარწერა გუნია-ყალიდან. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVII-ნ, 1953, გვ. 224.

2. ძველი საქართველო, II, თბილისი, 1911-1913 წწ. განყ. III, საისტორიო მასალანი, გვ. 65.

3. ძეგლი ერისთავთა, შ. მესხიას გამოცემა, გვ. 348^{19,ჯ}.

I-ის 1434 წლის სიგელიდან ჩანს, საქართველოს ლორე დაუკარგავს, ამიტომ მართებული ჩანს ს. კაკაბაძის მოსაზრება: „რაკი 1373 წ. სომხითში გიორგი ალასტანელი იბრძვის, ამიტომ საფიქრებელია, რომ ლორე მისი შესავალითურთ მას ეკუთვნოდა. მაშინ გამოდის, რომ გიორგი ალასტანელის სამფლობელო, გარდა ჯავახეთისა, შეიცავდა სომხითის სამხრეთს ნანილსაც (ლორეს)“.¹

XVI-XVII საუკუნეებში საქართველო, როგორც ერთიანი სახელმწიფო, კარგა ხანია, რაც აღარ არსებობს. ჯერ კიდევ XIV საუკუნეში წარმოქმნილ ტერმინს „საქართველოები“ სრულიად რეალური შინაარსი უდევს საფუძვლად. ახალი ეტაპი ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ისტორიაში, როგორც აღნიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, ნათლად გამოიხატა უკვე XVI საუკუნეში ქართლის მეფე დავითსა და ლევან კახთა მეფეს შორის დადებულ საზავო პირობებში: „საქართველო დაყოფილია სამ თანასწორუფლებიან სამეფოდ, მაგრამ ყველა ეს „საქართველოები“ გარე სამყაროსთან მიმართებაში ერთი კულტურული მთლიანობაა“.² ამავე დროს, „საქართველოების“ მეფეები, საქართველოს სამეფო საგვარეულოს – ბაგრატიონების – წარმომადგენლები, პირველ რიგში, ქართლის მეფეები, ხელს არ იღებენ საქართველოს ერთ სამეფოდ შემოკრების იდეაზე. მაგრამ ის გარემოება, რომ ქვეყანაში არ არის ცენტრალიზმით დაინტერესებული სოციალური ძალა, ნიადაგს აცლის ამ იდეის განხორციელების საქმეს. პოლიტიკურ დაშლილობას ხელს უწყობდა უკიდურესად არახელსაყრელი საგარეო ვითარება. ამასთანავე, ეს ორი ფაქტორი – საგარეო და საშინაო – ერთმანეთს განაპირობებს, ურთიერთგადაჯაჭვულია. სწორედ ამან გამოიწვია ფეოდალური

1. ს. კაკაბაძე, მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი. წერილი მტუდიები საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, გვ. 23.

2. Н. Бердзенишвили, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI вв), Тбилиси, 1938, გვ. 35.

საქართველოს დაჩიხულობა, სანარმოო ძალთა განვითარების დამუხრუჭება. ამ დაჩიხულობის პოლიტიკური მახასიათებლებია რომელიმე ბაგრატიონის გამეფება ჯერ კახეთში, შემდეგ ქართლში (ერეკლე I ნაზარალიხანი) ან იმერეთში (არჩილი), რასაც თურქ-სპარსელთა მძლავრობასთან დაკავშირებული ისტორიული კონიუნქტურის ცვალებადობა ინვევდა. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ სისუსტეს უტყუარად გვიჩვენებს წარმოქმნილ სათავადოთა სისტემის სიმძლავრე, „ორიანობა“, ქართლში და კახეთში ირანელი ხანების პარპაში.

ასეთ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ქართლის მეფის ბრძოლა კახეთის შემოსაერთებლად და პირიქით, უფრო ქვეყნის დამასუსტებელი შინაფეოდალური ბრძოლაა, წარმოებული ცენტრალიზმის დროში.

გამწვავებული კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლის ვითარებაში საკუთარი სისუსტის „ლონედ“, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, ხშირად „უცხო ძალას“ ინვევდნენ.¹

„უცხო ძალის“ მოწვევის თვალსაზრისით უნდა აიხსნას ქართული საზოგადოების სხვადასხვა კლასის დამოკიდებულების საკითხი შაჰ-აბასთან. „აქაც, – აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, – კლასობრივ-წოდებრივ ბრძოლაში საკუთარი სისუსტის „ლონედ“ „უცხო ძალის“ მოწვევის თვალსაზრისი ერთადერთი მართებული ხერხი ჩანს ამ განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული ფაქტის მეცნიერული ახსნისათვის („სააკადის საკითხი“), ასევე ნაყოფიერი იქნებოდა ამ თვალსაზრისით გაშუქება „სპარსოფილურის“ თუ ამის საწინააღმდეგო პოლიტიკისა XVII-XVIII სს-ში (როსტომი და თეიმურაზი, გიორგი XI და ერეკლე I, გივი ამილახვარი და თეიმურაზ-ერეკლე და სხვა)“.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ის მეთაურნი (ძირითადად მეფენი), ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე მტკიცედ რომ იდგნენ, ისტორიულმა ტრადიციამ ქების სამოსლით

1. ნ. ბერძენიშვილი, კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამოვლინება საქართველოს საგარეოურთიერთობაში. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, I, თბილისი, 1955, გვ. 179.

შეამკო (ზოგიერთს აღმატებული ეპითეტი – „დიდი“ დაუმკვიდრა). ეროვნულ გმირთა სახელებს შორის არის ქართლის მეფის ლუარსაბ I დიდის სახელიც. ლუარსაბ I ერისთავიანთ დაუფდომელის კინკლოსური ცნობით, 1556 წ. მოუკლავთ გარისის ომში ოსმალებს.¹ ვახუშტი ბაგრატიონი შესაბამისად ლუარსაბის დაღუპვას გარისის ომში და მისი ძის სვიმონის გამეფებას, რომელიღაც კინკლოსურ ცნობაზე დაყრდნობით, გულისხმობს 1558 წ. ამავე თარიღს იძლევა პარიზის ქრონიკაც.² სვიმონ მეფის მიერ გაცემული ყველა ინდიქტიონიანი საბუთი ერისთავიანთ დაუფდომელში დაცულ თარიღს უჭერს მხარს. სიგელების მიხედვით, სვიმონ I 1556 წ. გამეფდა და, ამდენად, ლუარსაბ მეფეც ამავე წელს უნდა დაღუპულიყო. მოგვყავს დოკუმენტების მონაცემები:

1558 წ. – ინდიქტიონი 11 – 1556-1557 წწ. (ისტორიული საბუთები, III, გვ. 65-67; ქრონიკები, II, გვ. 399).

1570 წ. – ინდიქტიონი 14 – 1556 წ. (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1557, საქართველოს სიძველენი, I, 1899, №205; ქრონიკები, II, გვ. 413).

1580 წ. 2/VII – ინდიქტიონი 24 – 1556 წ. (ისტორიული საბუთები, III, გვ. 77-79).

1595 წ. 9/VIII – ინდიქტიონი 38 – 1556 წ. (ისტორიული საბუთები, III, გვ. 84).

საინტერესო საბუთია ზემოთ დამონმებული 1570 წლის სიგელი სვიმონ მეფისა, მიცემული სვეტიცხოვლისთვის: მეუღლესთან ნესტან-დარეჯანთან, შვილებთან – გიორგი, ვახტანგ, ლუარსაბ, ალექსანდრესთან – ერთად სვიმონ მეფემ ანეშის საყდარი და დაბა შესწირა სვეტიცხოველს, რაც ტაძრისა ყოფილა და მოშლია: „ვინათგან მთიულნი და მკეცის ბუნებნი ბოროტნი კაცნი იყვნეს“. სვიმონ მეფემ სვეტიცხოვლის ტაძარს შესწირა აგრეთვე „წირდალს... მეფისა პატრონისა ლეონისაგან წილად მოკდომილნი ორი კუამლი გლეხნი შიომ-

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 257.

2. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 370; პარიზის ქრონიკა, გვ. 10.

ას ზარიძის შვილნი და მისი განაყოფი გულბათა". საბუთი ასე იწყება: „ქ. ჩუენ მონდობილმან ცვა-ფარვათა თქუენტამან ალექსანდრემ და სუმეონ პანკრატოვანმან ნებითა ლ^ათისათა ქართველთა მეფემან“. რამდენადაც სვეტიცხოვლისთვის კახთა მეფე ლეონისაგან სვიმონ მეფისთვის წილად მოხვდომილი ყმა-მამულია შენირული, ამდენად, საბუთის დასაწყისში მოხსენებული ალექსანდრე, რომელიც მეფედ არ იწოდება, ლეონ კახთა მეფის ძე კახი უფლისწული უნდა იყოს, რომელზედაც ქვემოთაც გვექნება საუბარი. საბუთში ალექსანდრე, ალბათ, იმიტომ მოიხსენება, რომ აღნიშნული ყმა-მამული მის საუფლისწულო დომენში შედიოდა.

ს. კაკაბაძის მოსაზრება, ალექსანდრე უნდა იყოს იმავე სვიმონის სახელიო, მართებული არ ჩანს.¹ „ერთი და იმავე პირისთვის ორი სახელის მიკუთვნება საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო და არის ქართველ ხალხში“, მაგრამ მარტო ამ ამბის აღნიშვნა არგუმენტად არ გამოდგება, მით უმეტეს, რომ ასეთ შემთხვევებში ერთგვარი წყვილები არსებობს სახელებისა, ხოლო ალექსანდრე-სვიმონის სახელის მატარებელი პიროვნება საქართველოს ისტორიაში, ქართულ ლიტერატურაში არ ჩანს. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საბუთის დასაწყისში წერია: „ალექსანდრე და სუმეონ“, ცხადია, ლაპარაკია ორ სხვადასხვა პირზე.

XVI ს. სვიმონ I-ის მეფობით მთავრდება. ბერი ეგნატაშვილის, ვახუშტი ბაგრატიონის, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების (პირველი და მესამე ტექსტი) მიხედვით, სიმონ მეფე 1600 წ. შეიპყრეს და ამავე წელს გამეფდა მისი ძე გიორგი. „პარიზის ქრონიკით“, სიმონ მეფის შეპყრობა 1599 წ. მოხდა.²

სვიმონ I-ის ოჯახის შემადგენლობა ისტორიული დოკუმენტების მონაცემთა საფუძველზე ასეთია: მეუღლე – დედოფა-

1. ს. კაკაბაძე, ალექსანდრე-სვიმონი, ქართლის მეფე XVI ს-ში. საისტორიო კრებული, III, თბილისი, 1928, გვ. 118.

2. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 379, 536, 536; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 50; „პარიზის ქრონიკა“, გვ. 21.

ლი ნესტან-დარეჯან, რომელიც ზოგან მხოლოდ დარეჯანის სახელით გვხვდება, საბუთებში მოხსენებულია პირველად 1561 წ. 10/X და უკანასკნელად 1595 წ. 30/IV;¹ სიმონ პირველის პირმშო გიორგი, შემდგომში საქართველოს მეფე გიორგი X, მოხსენებულია 1561 წ. 10/X – 1596 წ. 1/III;² ლუარსაბი – 1561 წ. 10/X – 1589 წ.;³ ალექსანდრე – 1566 წ. – 1581 წ. 14/VII;⁴ უფლისწული არსენი, შემდგომში მონაზონი, მოხსენებულია 1586 და 1589 წწ.⁵

სვიმონ მეფის შემორჩენილ სიგელთაგან უკანასკნელი, მისი ბრძანება სვეტიცხოვლის ყმების სამეფო გადასახადებისაგან გათარხნების შესახებ დათარიღებულია 1599 წლით. ცნობილია აგრეთვე მისი 1595 და 1596 წწ. სიგელებიც.⁶ ამრიგად, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობა თურქთაგან 1592 წელს (სპ ქორონიკონს) სიმონ მეფის შეპყრობის შესახებ, მცდარია.⁷

ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დაცული თარიღი სვიმონ მეფის შეპყრობისა და გიორგის გამეფებისა, სრულიად მართებულად არის დამკვიდრებული სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში. ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებაში შემონახულ თარიღს სანდოობას მატებს ერთი ადგილი მისი „უნყებულებიდან“: „ხოლო დიდის სვიმონ მეფისა და დაუთხანისა და კვალად მისივე სვიმონ მეფისა და გიორგისა ძისა მისისა და ლუარსაბისა გიორგის ძისა... და ბაგრატისა დაუთხანისა ძისა... სრულიად ჩვენთა ქორონიკონებთა სპარსთა-გან და გუჯართა და სიგელთა-გან

1. ხელნაერთა ინსტიტუტი, Qd-6994, Sd-2871 პ; ისტორიული საბუთები, გვ. 85.

2. ხელნაერთა ინსტიტუტი, Qd-6994, Sd-597.

3. ხელნაერთა ინსტიტუტი, Qd-6994; ცსსა, ფ. 1449, № 1594.

4. ცსსა, ფ. 1448, № 1948; ფ. 1448, № 2328; ქრონიკები, II, გვ. 420.

5. ხელნაერთა ინსტიტუტი, Ad-2233; ქრონიკები, II, გვ. 424; ცსსა, ფ. 1449, № 1594. არის კიდევ ერთი უთარიღო სიგელი, რომელშიც არსენი იხსენება – ცსსა, ფ. 1448, № 5087.

6. ცსსა, ფ. 1448, № 2329.

7. ს. კაკაბაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია. საისტორიო მოამბე, II, 1925, გვ. 224.

გვიქმნიეს“.¹ იოანე ნარეცის ისტორიაზე დაყრდნობით, რამდენადაც ეს ისტორია 1600 წელს მთავრდება, მარი ბროსეც ასკვნის, რომ სვიმონ I 1600 წლის ზაფხულში შეიპყრეს.²

საისტორიო წყაროების მიხედვით (პარიზის ქრონიკა, ბერი ეგნატაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი), სვიმონ I-ის შემდეგ მისი ძე გიორგი X გამეფდა, როგორც ეს შენიშნული აქვთ ექვთიმე თაყაიშვილს და ივ. ჯავახიშვილს. აქ გაუგებრობას იწვევს ლუარსაბ მეფის მიერ გუდარეხის მონასტრისათვის მიცემული შეწირულების წიგნი, რომლის დანერის ქორონიკონი არის სჰჰ, ე. ი. 1600 წ.³ ცნობილია, რომ ამ დროს მეფეადაა გიორგი X ზემოთ დასახელებული შეწირულების წიგნი ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული (Hd-1554). საბუთის ბოლოს ქორონიკონი ნათლად იკითხება, მაგრამ იგი ერთხელ გადაშლილ ნაწერზე უნდა იყოს დანერილი. სიგელი უდავოდ ლუარსაბის მეფობის დასაწყისს უნდა ეკუთვნოდეს. „ჩვენც (ლუარსაბ მეფეს – ჯ. ო.) შესანიშნავად მრავალი საქმე გვინდოდა, – ვკითხულობთ სიგელში, – მაგრამ ვერ ძალგვედვა მისდა საკადრისოდ“ (ლაპარაკია გუდარეხის მონასტერზე – ჯ. ო.). ლუარსაბის გამეფების დროისთვის ზუსტად ასეთივე შეუძლო მდგომარეობის სურათს იძლევა ბერი ეგნატაშვილიც: „...ამას ჟამსა შინა იყო ქართლი ფრიად გლახაკი და საქმართაგან უღონო“.⁴ ეს მდგომარეობა გაუთავებელი ტყვევნა-ლაშქრობითა და სიმონ მეფის გამოსახსნელად გაცემული დიდი გამოსაღების დაკარგვით აიხსნება.

გიორგი X-ის ხანმოკლე მეფობის შესახებ ბევრი არაფერია ცნობილი. 1602 წლის 8 დეკემბრის თარიღით გვაქვს გიორგი მეფის სიგელი, მიცემული ჯიმშერის დედის თუხარისთვის.⁵ შემორჩენილია გიორგი მეფის 1605 წ. 11/VII დათარიღებული მამულის წყალობის წიგნი, მიცემული ზაქარია ავალიშვი-

1. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 13.

2. M. Brosset, Histoire de la Georgie, 1856, გვ. 456.

3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, თბილისი, გვ. 4.

4. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 384.

5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-522, საქართველოს სიძველენი, II, № 16.

ლისთვის.¹ გიორგი მეფე მოხსენებულა ბეჟან ჯავახიშვილის მიერ 1606 წ. ქაიხოსრო ჯავახიშვილისთვის მიცემულ მიწის ნა-სყიდობის ნიგნში.² გვაქვს კიდევ ერთი უთარილო სიგელი გიორგი X-ისა, რომელშიც მოხსენებული არიან გიორგის მეუღ-ლე დედოფალი თამარ და შვილები: ლუარსაბი და დავითი.³

თარიღიანი ცნობა გიორგი მეფის უცნაურ ვითარებაში გა-რდაცვალების შესახებ დაცულია „პარიზის ქრონიკაში“ და ვახუშტი ბაგრატიონთან.⁴ ვახუშტისთან დაცული თარიღი გიორგი X-ის გარდაცვალებისა – 1603 წ. სრულიად ეწინააღმ-დეგება ისტორიული დოკუმენტების ზემოთ მოყვანილ მონა-ცემებს. „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, გიორგი X 1605 წლის 7 ნოემბერს გარდაიცვალა.⁵ ბერი ეგნატაშვილი ლუარსაბ II-ის გამეფებას თეიმურაზ პირველის კახეთში გამეფების თა-ნადროულად მოგვითხრობს და ე. ი. 1606 წელს გულისხმობს.

პირველი სიგელი, რომელშიც ლუარსაბ მეფეა მოხსენებ-ული, დათარიღებულია 1606 წ. 24/III. „ქ. ესე წყალობისა წი-გნი და ნიშანი, – ვკითხულობთ სიგელში, – შეგინწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ დედოფალთ დედოფალმან პატრონმან ნესტან-დარეჯან, დედოფალმან პატრონმან თამარ და ძემან ჩუენმან კელმნიფემ მეფემ პატრონმან ლუარსაბ და ძმამან ჩუენმან პატრონმან დავით, თქუენ ჩუენთა ერთგულთა და თავდადებ-ით ნამსახურთა ყმათა სოლალაშვილს ბებურიშვილს ბეჟანს და გიორგის“-ო.⁶ როგორც ვხედავთ, საბუთის გამცემნი არ-

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1327; საქართველოს სსრ-ის ცენტრალური არქივი, III №553, გვ. 533-534.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-9319.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-356.

4. ქართულ წყაროებში გიორგის გარდაცვალებაზე ბევრი არაფერია ნათქვამი. პარიზის ქრონიკის თანახმად (გვ. 25), მეფე ენაზე ფუტკრის ნაკებნა მოკლა. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, გიორგი X შაჰთან ხლების შემდეგ დაბრუნებული გარდაიცვალა. ამასვე იმეორებს სომეხი ისტორიკოსი არაქელ თავრიზელიც, ოღონდ მისი ცნობით, გიორგი მეფე შაჰთან მონამლეს და ამის შედეგად რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში გარდაიცვალა. იხ. M. Brosset, Histoire de la Georgie, II, 1856, გვ. 424, 427, 431.

5. პარიზის ქრონიკა, გვ. 25.

6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2091.

იან: ბებია ლუარსაბ მეფისა ნესტან-დარეჯან დედოფალი, მისი დედა თამარ დედოფალი, ხოლო თვით ლუარსაბ მეფე შემდეგ არის მოხსენებული. ამ საბუთით დასტურდება წყაროების (ბერი ეგნატაშვილი, არაქელ თავრიზელი, ისკანდერ მუნში, პარიზის ქრონიკა) ერთობლივი ცნობები, რომ გამეფებისას ლუარსაბ II მცირეწლოვანი იყო.¹

ლუარსაბ მეფის ოჯახის წევრები სიგელებში მოხსენებული არ არიან, ხოლო მისი დედა თამარი მოიხსენება 1611 წ. 1612 წ. და 1612 წ. 20/X.² ლუარსაბ მეფის უკანასკნელი ორი სიგელი 1615 წლითაა დათარიღებული: 1. ყმა-მამულის წყალობის წიგნი, მიცემული მეფის მიერ ციციშვილებისთვის; 2. სოფელ აბანოს ფლობის დამტკიცების წიგნი, მიცემული მეფის მიერ დავით [დავითიშვილისთვის].³ ამავე 1615 წელს, პარიზის ქრონიკის და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, შეპყრობილი ლუარსაბ მეფე შაჰმა სპარსეთში წაიყვანა, ხოლო 1622 წ. ქრისტიანობის დაუტეველობის საბაბით გულაბ-ყალაში საბლით მოაშთობინა.⁴



XV საუკუნის ბოლოს, როგორც ცნობილია, კახეთი ცალკე გამოიყო და იქ გამეფდა ბაგრატიონთა შტო, რომლის მამამთავარია გიორგი VIII. ქართლში მეფობის პერიოდში გიორგის ტახტისათვის ბრძოლა უხდებოდა ბაგრატი იმერთა მეფესთან

1. „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით (გვ. 21), ლუარსაბი 1595 წ. დაიბადა (ქრონიკონ სპ-ს შემდეგ კ-ს მსგავსი ასო ჩანს ალბათ ბეჭდვის შეცდომის შედეგად), ამდენად, 1606 წ. 14 წლის იქნებოდა. არაქელ თავრიზელს ლუარსაბის წლოვანება გამეფების დროისათვის აღნიშნული არა აქვს, ხოლო ისკანდერ მუნშის მიხედვითაც, ლუარსაბი 14 წლის გამეფდა. იხ. M. Brosset, Histoire de la Georgie, II, 1856, გვ. 470.
2. ხელნაერთა ინსტიტუტი, Sd-61; ისტორიული საბუთები, IV, გვ. 6; ცსსა ფ. 1448, №8760; ხელნაერთა ინსტიტუტი, Hd-5297.
3. ხელნაერთა ინსტიტუტი, Ad-1410 და Sd-600 პ; საქართველოს სიძველენი, II, №187.
4. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 43; ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 60. 1622 წლის 27 ივლისს პიეტრო დელა ვალეს აღნიშნული აქვს, რამდენიმე თვეა, რაც ლუარსაბ მეფე მოაშთვესო. იხ. Pietro della Valle, Woyages, de fr. in - 12. t. VI, 19.

და ამ ბრძოლაში წარმატებაც ჰქონია.¹ ათაბაგის მიერ გიორგი მეფის ტყვედქმნის შემდგომი პერიოდიდან გიორგი VIII-ის მხოლოდ ერთი თარიღიანი სიგელი გვაქვს. სიგელი გაცემულია 1468 წ. 22/III: მეფეთ მეფე გიორგი თავისი ძის ალექსანდრეს სადღეგრძელოდ სვეტიცხოვლის ყმა-მამულს სათათრო მალისაგან ათარხნებს.² ყმა-მამულის კონკრეტული მინიშვნა საბუთში არაა, ლაპარაკია სვეტიცხოვლის ყმა-მამულზე საერთოდ და ამდენად სიგელი, თუ იგი მხოლოდ ნომინალურ ხასიათს არ ატარებს, ქართლური წარმოშობისა უნდა იყოს. თუ ეს ასეა, მაშინ ამ დროისათვის ქართლში სამი მეფეა: ბაგრატი VI, კონსტანტინე II და გიორგი VIII, რომელთა შორის ტახტისათვის ბრძოლა წარმოებს. გიორგი VIII-ს, მის ოჯახს ქართლის ტახტისათვის ბრძოლაზე ხელი არ აუღია. როგორც ქრ. შარაშიძემ დაასაბუთა, გიორგი VIII-ის ძემ ვახტანგმა გერგეტის სულთა მატეანის მიხედვით, 1484 წ. მოახერხა ქართლში, უფრო სწორად, არაგვის ხეობაში გამეფება.³ ვახტანგი, ჩანს, „პროვინციის მეფეა“.⁴

ვახუშტი ბაგრატიონს საქართველოს დაშლის პერიოდის მეფეთა ქრონოლოგია-გენეალოგიები არეული აქვს. „ქორონიკონსა რნდ (1466 წ.) კვალად განდგა დავით და ჰერ-კახნი დაიჭირა, – ვკითხულობთ ვახუშტი ბაგრატიონთან, – მერმე გიორგი მეფემ ქართლი დაიჭირა და ჰერ-კახნი, ბაგრატი იმერეთს წარვიდა, დავით დიდოეთს“. ქვევით წერია: „ქორონიკონსა რნზ (1469 წ.) გარდაიცვალა გიორგი მეფე და დაჯდა ძე

1. ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში (II ტექსტი) ვკითხულობთ: „სძლო გიორგი ბაგრატს და დაჯდა ქართლს მეფედ“, ქართლის ცხოვრება, II, გვ. 476²¹ა.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1370; ქრონიკები, II, გვ. 289.

3. ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 232. ეს მოსაზრება უფრო ადრე გამოთქმული იყო თ. უორდანიას მიერ. ქრონიკები, II, გვ. 303.

4. უფრო გვიან, XVI საუკუნის დასაწყისში, ქართლში კიდევ ერთი „პროვინციის მეფე“ დასტურდება. ეს არის მუხრან-ბატონების შტოს მამამთავარი მეფე ბაგრატი, კონსტანტინე II-ის ძე. მის შესახებ იხ. ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1937, გვ. 26.

მისი კონსტანტინე მეფედ და ჰერ-კახთა ჩამოიყვანეს დავით, მეფედ ჰყვეს¹. ივ. ჯავახიშვილის აზრით, გიორგი VIII-ის გარდაცვალების თარიღი აქ ხელოვნურად არის გამოყვანილი კონსტანტინე II-ის გამეფების თარიღიდან.² ამასთანავე აქ მეორე შეცდომაცაა – გიორგი VIII ბიძა იყო კონსტანტინესი და არა მამა, როგორც ეს ზემოთ არის დადასტურებული ამ უკანასკნელის სიგელით.

დავითი კახეთის პირველ მეფედ ბერი ეგნატაშვილს ჰყავს მიჩნეული: „ხოლო კახეთისა მებატონეთა მამა იყო დავით. და ამა დავითის მამა არ უწყით, თუ ვინ იყო. ესე დავით დიდოეთიდამე ჩამოიყვანეს და კახთა გაიბატონეს. მოკუდა დავით და დაჯდა ძე მისი ლევან, და შემდგომად ლევანისა ძე მისი ალექსანდრე“.³ აქაც ამკარა შეცდომაა, ცნობილია, რომ კახთა მეფე ლევან I ავ-გიორგის ძე იყო. ვახუშტი ბაგრატიონმა ის დავითი ალექსანდრე I-ის შვილიშვილად, დიმიტრის ძედ მიიჩნია, ხოლო კახეთის პირველი მეფე გიორგი VIII მის შვილად.⁴ ისტორიული დოკუმენტებით გიორგი VIII-ის კახეთში მეფობის შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. გვაქვს ერთი უთარილო სიგელი – გიორგი VIII-მ კახეთში აზნაური შესწირა მცხეთას.⁵

გიორგი VIII-ის ძე კახთა მეფე ალექსანდრე I 1476 წ. გამეფდა. გვაქვს ამ მეფის ორი სიგელი, მიცემული 1479 წ. მცხეთისათვის, სადაც ალექსანდრეს მეფობის 3 ინდიქტიონია აღნიშნული.⁶ მის მიერ გაცემულ სიგელებში ალექსანდრე კახთა მეფე ხაზგასმით აღნიშნავს თავის მამისშვილობას, რამდენადაც იგი საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის ძე იყო: „ლიხთიმერისა და ლიხთამერისა ორისავე ტახტისა მტკიცედ მპყრ-

1. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 364-365.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 94.

3. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 348₁₆₋₁₉.

4. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი. გვ. 93.

5. ისტორიული საბუთები, III, გვ. 39.

6. 1479 წ. 23/1 – ხელნაერთა ინსტიტუტი, Ad-6; ქრონიკები, II, გვ. 299; 1479 წ. 24/1 – ხელნაერთა ინსტიტუტი, Ad-1838; ქრონიკები, II, გვ. 301.

ობელისა მეფეთა მეფისა სულკურთხეულისა გიორგისა ძემან მეფემან ალექსანდრე“-ო, – ნათქვამია მცხეთისათვის 1479 წ. 23/1 მიცემულ შენირულების წიგნში.¹ ალექსანდრე მეფე, ისევე როგორც კახეთის მომდევნო მეფეები, მცხეთას, კათალიკოს-პატრიარქს შენირულების წიგნებს აძლევს. იმავე მიზეზით, რომ ალექსანდრე საქართველოს მეფის ძეა, მის მიერ მცხეთისთვის მიცემულ სიგელებში ჩანს ტენდენცია კახთა მეფისა, აჩვენოს თავისი უფლებები საქართველოს რელიგიური ცენტრისა და ქართული ეკლესიის საჭეთმპყრობლის ქართლის კათალიკოს-პატრიარქის მიმართ. 1503 წ. 13/V სიგელში ვკითხულობთ: „ქ. ჩუენ პატრონმა მეფეთ მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩნთა გი და დიმიტრი და პატრონმან დედამან ჩნმან დედოფალთა დედოფალმან ნესტან-დარეჯან და თა მეცხედრემან ჩნმან დედოფალმან ანნა ესე გასათავებელი წიგნი მოგაქხენეთ... მცხეთისა საყდარსა... და პატრიარქსა კხსა დოროთეოსს მას ჟამსა, ოდეს მცხეთისა საქმე შემცირებულ იყო, იპირიანა ღმერთმან, ნებითა და შენევნითა ღვთისათა კათალიკოზად დაგადგინეთ“.²

აღნიშნულ გარემოებათა გამო ალექსანდრე მეფე ივანია-სძეთა საქადაგო სახლის, ამ სახლის კავთისხევეური მამულეების დამტკიცების წიგნს აძლევს მცხეთისშვილ მახარებელ (მაღალაძეს) და მის შვილებს.³ სიგელის გადაშლილი ქორონიკონი თ. ჟორდანიამ შეცდომით ოთ-ად ამოიკითხა, საბუთი 1391 წლით დაათარილა და ამიტომ ვერ მოახერხა გაერკვია, ვინ იყო საბუთის გამცემი ალექსანდრე მეფე. უდავოა, საბუთის გამცემი არის კახთა მეფე ალექსანდრე I. ამ საბუთშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ალექსანდრე არის მეფეთ მე-

1. ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ სიგელებში ალექსანდრე მეფეს უწოდებს თავის თავს და არა მეფეთ მეფეს („...ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა აღმოსავლეთით ვიდრე დასავლეთამდე, თუით ქელმწიფედ ფლობით მპყრობელ-მქონებელისა ნათესავმან მეფემან ალექსანდრე“). იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

2. ქრონიკები, II, გვ. 319.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-6995; ქრონიკები, II, გვ. 192.

ფე გიორგის ძე. სწორედ ამ გარემოების გამო აქვს კახთა მეფეს ერთგვარი ნომინალური უფლება ივანიასძეთა საქადაგო სახლზე, ამ სახლის კავთისხევური მამულის შესავალზე და სახელოზე. სიგელში ალექსანდრე მეფის ძეებად მოხსენებული არიან გიორგი და დიმიტრი, რომელნიც სხვა საბუთების მიხედვით ალექსანდრე I-ის შვილები იყვნენ.¹ სხვა საბუთებთან შედარებამ დაამტკიცა, რომ სიგელის ხელრთვა და ბეჭედი (ლეგენდა: „მონა ღვთისა ალექსანდრე“) ნამდვილად კახთა მეფე ალექსანდრე I-ს ეკუთვნის.²

1511 წელს ავ-გიორგიდ წოდებულმა გიორგიმ, ალექსანდრეს პირმშომ, მამა მოკლა, ხოლო ძმას თვალები დათხარა. ამავე წელს მცხეთისთვის ბოძებულ სიგელში ავ-გიორგი თავისი მეფობის ერთ ინდიქციონს ითვლის და ამბობს: „...სოფლისაგან ვითარებისაგან ცოდვისა საქმესა შევესწარ“-ო და ალაპს გაუჩენს თავის მიერ მოკლულ მეფე ალექსანდრეს.³

ავ-გიორგის გამუდმებული ქიშპობა ჰქონდა ქართლის მეფე დავითთან და რამდენიმეჯერ დაურბევია ქართლი. მისი უკანასკნელი სიგელი – ყმა-მამულის შეწირულების წიგნი, მიცემული დავით-გარეჯისთვის – 1513 წ. 4/VI არის დათარიღებული.⁴ ამავე წელს ვახუშტი ბაგრატიონის, ყანჩაეთის გულანის, ჟამნისა და „პარიზის ქრონიკის“ მიხედვ-

1. ქრონიკები, II, გვ. 319; 1504 წ. – ქრონიკები, II, გვ. 323; 1505 წ. – ისტორიული საბუთები, III, გვ. 42; ქრონიკები, II, გვ. 325. შვილები გიორგი და დიმიტრი მოხსენებული ჰყავს ალექსანდრე მეფეს ალავერდისთვის მიცემულ ყმა-მამულის შეწირულების წიგნშიც. საბუთის პირია შემორჩენილი (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-9494) და თარიღში შეცდომაა. ქორონიკონით (სი) გამოდის, რომ საბუთი 1522 წ. გასცეს. ალექსანდრეს მეფობის ინდიქციონით (ივ) საბუთი 1492 წლით თარიღდება.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1838, Ad-6. ამ საბუთს ხელრთვისთან ერთად ბეჭედიც აქვს.

3. ქრონიკები, II, გვ. 328; ისტორიული საბუთები, III, გვ. 44.

4. ქრონიკები, II, 332; ცსსა, ფ. 1449, № 1599. ავ-გიორგის მეუღლის დედოფალ ელენეს და მისი ძის ლევანის მიერ მცხეთისშვილების მარკოზის და გიგოსთვის მიცემული ყმა-მამულის ნყალობის წიგნი (ქრონიკები, II, გვ. 330) ავ-გიორგის სიკვდილის შემდეგ არის გაცემული. ამდენად, თარიღი – 1512 წ. – შეცდომით არის გადაწერილი.

ით, ავ-გიორგი შეპყრობილ იქნა და პატიმრობაში მოკვდა თუ მოკლეს.¹

გამარჯვებული ქართლის მეფე დავითი კახეთს დაეპატრონა, ავ-გიორგის შვილს ლევანს დევნა დაუნყო, მისი შეპყრობა სურდა, მაგრამ უშედეგოდ. ლევანმა მაინც მოახერხა კახეთში გამეფება. თვით ლევან მეფის შემორჩენილი ინდიქტიონიანი საბუთები მისი გამეფების მეტად უცნაურ თარიღს იძლევიან:

1563 წ. – ინდიქტიონი 59 – 1504 წ. (ქრონიკები, II, გვ. 405).

1569 წ. – ინდიქტიონი 63 – 1503 წ. (ცსსა ფ. 1448, №5529; ქრონიკები, II, გვ. 412).

ორივე შემთხვევაში თ. ჟორდანიას ათეულს აკლებს სიგელებში მოცემულ ინდიქტიონებს (ნთ-ის ნაცვლად – მთ, ნიგ-ის ნაცვლად – ნგ) და გამოჰყავს, რომ ლევანი 1513-1514 წწ. გამეფდა.

ვახუშტი ბაგრატიონს ლევანის გამეფების სამი თარიღი აქვს დაცული: „მაშინ ლევან შემოიკრიბნა ყოველნი სრულიად კახნი, მივიდა ბოდბეს და ეკურთხა მეფედ ქს. ჩფე, ქრ. სმ“.² პირველი თარიღი – 1505 წ. მიუღებელია, მეორე კი (ქორონიკონით) – 1520 წ. დამკვიდრებულია ლევანის გამეფების თარიღად. ვახუშტისთან (ქორონიკონებში) 1518 წლის ერთი კინკლოსური ცნობაც არის შემონახული, რომლის მიხედვითაც ლევანი სპარსეთის შაჰის საქართველოში შემოსევის დროს გამეფებულა 1518 წ. „ქორონიკონსა სე (1518 წ.) ყეენი წარმოვიდა ქართლს ოხრებად, დავით მეფემ ძე თვისი რამაზ მიაგება და

1. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 26-27; ქრონიკები, II, გვ. 332; Chronique Georgienne, მარი ბროსეს თარგმანი, პარიზი, 1831, გვ. 6. „პარიზის ქრონიკის“ ქართულ თარგმანში შეცდომით 1513 წლის ნაცვლად არის ქორონიკონი ს, ე. ი. 1512 წ. ქართლის ცხოვრების გაგრძელებათა მიხედვით, ავ-გიორგი 1514 წ. შეიპყრეს და შემდეგ ციხეში მოაშთვეს (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 351₁₄₋₁₆, 489_{2-2a}). ავ-გიორგის შეპყრობის თარიღად უფრო მისაღები ჩანს 1513 წ. ნყაროთა უმეტესობა ამ თარიღს უჭერს მხარს და ავ-გიორგის უკანასკნელი სიგელიც 1513 წლით არის დათარიღებული.

2. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 161.

დაიხსნა ქართლი და საქრისტიანო ტყვეობა-ოხრებისა-გან და ავ-გიორგის ძე-მ ლევან კახეთი დაიჭირა".¹ ამ წელს სპარსეთის შაჰის ისმაილის საქართველოში შემოსევის ფაქტი სხვა ქართული წყაროებით, აგრეთვე სპარსელი ისტორიკოსის ხონდემირის ცნობითაც არის დადასტურებული.²

1518 წელზე გვიან ლევანი ვერ გამეფდებოდა, ვინაიდან უკვე 1511 წლის საბუთში ავ-გიორგი მოიხსენიებს თავის ძე ლევანს, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა მიხედვით, ლევანი 7 წლის იყო, როდესაც გამეფდა.³

ბერი ეგნატაშვილს ლევანის კახეთში გამეფების ამბავი ქართლში ოსმალთა შემოჭრის ამბავთან აქვს დაკავშირებული (ქართლის მეფე დავითი ოსმალთა შემოჭრის გამო იძულებული გახდა კახეთს გასცლოდა და ამ დროს გამეფდა ლევანი). შაჰ-ისმაილის შემოსევაზე ბერი ეგნატაშვილთან არაფერია ნათქვამი. ქართლის ცხოვრების სხვა გაგრძელების მიხედვით (მესამე ტექსტი), ლევანის გამეფება იმავე ოსმალთა შემოსევის ამბავს უკავშირდება, ხოლო 1518 წ. შაჰ-ისმაილის შემოსევა შემდეგ არის მოთხრობილი. ვახუშტი ბაგრატიონს „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებიდან შეუტანია თავის თხზულებაში ოსმალთა შემოსევის ამბავი, მაგრამ რატომღაც შაჰ-ისმაილის შემოსევის შემდეგ მოუქცევია.

ვფიქრობთ, ოსმალთა სამცხე-საათაბაგოში და იქიდან ქართლში შემოჭრა, რაც ქართულ წყაროებშია ასახული, გამოორიცხული არ არის. 1514 წ. 23 აგვისტოს ჩალდირანთან თურქ-სპარსელთა ბრძოლის შემდეგ შესაძლებელია, ოსმალთა მხედრობის ნაწილი მარბიელის სახით შემოიჭრა სამცხიდან ქართლში. მარბიელი რაზმი, კახეთიდან დაბრუნებულმა დავით მეფემ რომ დაამარცხა და ქართლიდან განდევნა, მრავალრიცხოვანი არ უნდა ყოფილიყო და თურქულ წყაროებში

1. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 367.

2. იხ. ქრონიკები, II, გვ. 335. ხონდემირის ცნობა - იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 227.

3. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 353, 491.

ამ დროისათვის ოსმალთა ქართლში შემოჭრის ამბავი არც ასახულა.

რამდენადაც ლევან I-ის გამეფების თარიღი ოსმალთა შემოსევის ამბავს უკავშირდება და 1518 წელზე გვიან არ შეიძლება მომხდარიყო, ამდენად, ლევანი 1514-1518 წლებს შუა (უფრო 1514 წ. ახლოს) უნდა გამეფებულიყო.

ქართული წყაროებისა და სპარსი ისტორიკოსის ისკანდერ მუნშის ცნობებით ვიცით, რომ ლევან I-ის პირმშო გიორგი, სვიმონ მეფის მისაშველებლად წასული, მოკლეს სპარსეთის ჯარის სარდალთან შავერდისთან ბრძოლაში, ხოლო მომდევნო ძე, იესე ბატონიშვილი, ლევან მეფემ ძღვნითა და ხარკით მძევლად გაუგზავნა სპარსეთის შაჰს.¹ ამრიგად, ტახტის მემკვიდრე გახდა ლევანის მომდევნო ძე ალექსანდრე.

ვახუშტი ბაგრატიონთან დაცულია ცნობა განხეთქილების შესახებ, რომელიც ლევან მეფესა და მის ძეს ალექსანდრეს შორის იყო ჩამოვარდნილი. ლევანს შამხლის ქალი ჰყავდა მეუღლედ „და კახეთიცა ენება მის-გან შობილისა-თუს და არა განტევებულის ძისა ალექსანდრესა-თუს.“² ეს ცნობა იმ პერიოდს უნდა განეკუთვნოს, როდესაც ალექსანდრე ტახტის მემკვიდრედ იქცა.

ბატონიშვილ ალექსანდრეს შესახებ ჩვენ ზემოთაც გვექონდა საუბარი. დამონშებული იყო 1570 წლის საბუთი (კახეთში ყმა-მამულის შეწირულების წიგნი – Hd-1557), მიცემული კახი უფლისწულის ალექსანდრესა და ქართლის მეფე სიმონის მიერ სვეტიცხოვლისთვის. აღვნიშნეთ, რომ ლეონ მეფის მიერ ადრე სვეტიცხოვლისთვის შეწირული, საბუთში აღნიშნული ყმა-მამული ალექსანდრეს საუფლისწულო დომენში უნდა ყოფილიყო და სწორედ ამიტომ ფიგურირებს ალექსანდრე საბუთში, როგორც გამცემი საბუთისა.

გვაქვს კიდევ უფრო ადრეული საბუთი – ყმა-მამულის შეწირულების წიგნი, მიცემული სიმონ მეფის მიერ სვეტიც-

1. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 237, 285.

2. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 165.

ხოვლისათვის 1559 წ. 1/XII. როგორც ზემოთ აღნიშნულ სიგელში, აქაც სხვა შენირულ ყმებთან ერთად ოდიშელისძენიც არიან მოხსენებული. ამ საბუთსაც ამტკიცებს ალექსანდრე (ხელრთვა: „ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა“) და უსვამს ბეჭედს: „მონა ღვთისა ალექსანდრე“.¹

ლეონ მეფის გარდაცვალების შემდეგ, „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა მიხედვით, ვახუშტი ბაგრატიონის, „პარიზის ქრონიკის“ ცნობებით, ალექსანდრეს ტახტისათვის გამძაფრებული ბრძოლა ქჷმონდა. ზემოთ დამონმებული საბუთებით გარკვეული სიახლოვე ჩანს ბატონიშვილ ალექსანდრესა და ქართლის მეფე სიმონს შორის. შესაძლებელია ეს უკანასკნელი ალექსანდრეს დახმარებასაც უწევდა ტახტისათვის ბრძოლაში. თვით ალექსანდრე უკვე გამეფების შემდეგ ამ ბრძოლის შესახებ ამბობს: „მას ჟამსა ოდეს იქნა და ბედნიერი კელმნიფე მამა ჩუენი პატრონი ლეონ ამიერ სოფლით გარდაჲდა და ჩუენსა და ძმისწულთა ჩუენთა შუა მეფობისა და პატრონობისა საქმეზედა საცილობელი საქმე ჩამოგუივარდა, ომი და ბრძოლა მოჰჲდა. იპირიანა მონყალემა და მოსამართლემა ღ[მერ]თმან, ჩუენ გაგუემარჯუა, მეფობა და პატრონობა დაგურჩა“-ო.²

გვაქვს ალექსანდრე II კახთა მეფის ორი სიგელი, დათარიღებული 1662 წლით. პირველი საბუთი ყმა-მამულის შენირუ-

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1672; საისტორიო კრებული, III, თბილისი, 1928, გვ. 119. იქ, სადაც უფლისწულ ალექსანდრეს ხელრთვაა, ქორონიკონი შესწორებულია: რმგ-ს (თავისთავად ეს ქორონიკონი - 1445 წ. შეცდომაა, რადგან თვით საბუთის თარიღია 1559 წ.) ჩამატებული აქვს ასოების ს და ი. ბატონიშვილი ალექსანდრე პაპისეულ (ალექსანდრე I-ის) ბეჭედს ხმარობს. სამეფო გვირგვინის გამოსახულებიანი ბეჭედი ლეგენდით „მონა ღვთისა ალექსანდრე“ დამონმებულია ალექსანდრე I-ის საბუთებში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-6, Qd-6996), აგრეთვე ალექსანდრე II-ის საბუთებში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-614, Sd-464).

2. ცსსა, ფ. 1448, №540; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან (XV-XVIII სს.), წ. ბერძენიშვილის რედაქციით, I, №505, თბილისი, 1940, გვ. 359. ქართლის ცხოვრების გაგრძელებათა (ბერი ეგნატაშვილი, მესამე ტექსტი) და ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ალექსანდრეს ბრძოლა ძმებთან ჰქმონდა. „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, ალექსანდრემ ჭიკაურთან თავისი მოქიშპე ძმისწულნი დაამარცხა და დახოცა (პარიზის ქრონიკის ჭიჭინაძისეულ გამოცემაში ჭიკაურის ნაცვლად, როგორც ბროსესთან არის, შეცდომით ჭიკათურა წერია. გვ. 11).

ლების წიგნია მიცემული ალექსანდრე მეფის, მისი მეუღლის დედოფალ თამარის (დედანში გასწორებულია თინათინად) და ძის დავითის მიერ სვეტიცხოვლისთვის.¹ საბუთში მოცემულია ალექსანდრეს მეფობის უცნაური ინდიქტიონი – 15. მეორე საბუთით ალექსანდრე მეფე უმტკიცებს კათალიკოსს სვეტიცხოვლის ყმების სარდლობას.² საბუთის დამწერს სიტყვა „ქორონიკონის“ ბოლო ასო „ს“, რომელიც მეორე სტრიქონის დასაწყისში გადაუტანია, 200-ის რიცხვით აღმნიშვნელადაც ჩაუთვლია და განმეორებით აღარ დაუნერია. ისე გამოდის, თითქოს ქორონიკონი არის ში და ამიტომ თ. ქორდანას საბუთი 1362 წლისად მიუჩნევა. სრულიად უდავოა, რომ სიგელი ალექსანდრე II-ს ეკუთვნის. ამის დამადასტურებელია პირველ რიგში ხელრთვა, რომლის სხვა საბუთების ხელრთვებთან შედარებამ დაადასტურა, რომ იგი სწორედ ალექსანდრესეულია.³ სიგელში ასახული დაშლილი საქართველოს სურათიც („ქართლსა, კახეთსა, საათაბაგოს, სომხეთს, თუ საბარათიანოს თრიალეთზედა, თუ იმერეთს“) ალექსანდრე II-ის ხანას ასახავს, ხოლო საბარათიანოს და სადროშოების მოხსენება XIV საუკუნეს სრულებით არ შეესაბამება.

1579 წ. ვრცელ სიგელში (სვეტიცხოვლისთვის მიცემული შენირულებისა და შენირულებათა დამტკიცების წიგნი, სადაც ბატონიშვილობის პერიოდში სვიმონ ქართლის მეფესთან ერთად გაცემული სიგელების მსგავსად სხვა ყმა-მამულთან ერთად ალექსანდრე სვეტიცხოველს უმტკიცებს ანუშს ოდიშელიძეებს, სოფელ წირდალს და სხვ.), აღნიშნულია ალექსანდრეს მეფობის „ათხუთმეტი“ ინდიქტიონი.⁴

გრემის სამეწოვანი წარწერის ქართულ ტექსტში წერია: ეკლესია აშენდა „ჟამსა შინა მეფობასა... პატრონის ალექ-

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-614.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1721; ქრონიკები II, გვ. 187-188.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-614, Sd-464.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-464; ქრონიკები II, გვ. 412. აქ საბუთი დაბეჭდილია 1569 წ. თარიღით, როდესაც ქორონიკონი საბუთისა არის სნიზ – 1579 წ.

სანდრესითა წელსა მეოცდასამესა ქ^ეკსა სპა“.1 თუ 1593 წ. ალექსანდრეს მეფობის ოცდამესამე ინდიქტიონი იყო, მაშასადამე, იგი 1570-1571 წწ. გამეფდა. სპარსული ტექსტის მიხედვით, 23-ე ინდიქტიონი 1595 წ. შესრულდა და ე. ი. ალექსანდრე 1572-1573 წწ. გამეფებულა.²

გრემის ეკლესიის წარწერის თარიღები, ზემოთ დამონმებული საბუთების არეული თარიღები და ინდიქტიონები ერთგვარად ეჭვს იწვევენ, მაგრამ მიგვითითებენ, რომ ალექსანდრე ჯერ კიდევ ლევან მეფის მიერ ტახტის ჭერის დროს მეფობას ეჭიდებოდა, მეფის ტიტულს ისაკუთრებდა და რეალური ძალაც გააჩნდა, ან ტახტისათვის ბრძოლაში გამარჯვებულმა ალექსანდრემ (მემკვიდრეობის წესით, მოკლული უფროსი ძმის გიორგის შემდეგ ტახტი მომდევნო ძმას იესეს ეკუთვნოდა) განზრახ მოახდენინა საბუთების თარიღთა ფალსიფიცირება.

უკანასკნელი შემორჩენილი სიგელი ლევან მეფისა 1573 წლით არის დათარიღებული (სამწუხაროდ, პირია – ბეგარის ამოკვეთის ნიგნი, მიცემული ლევან მეფის მიერ გურამიძე-ილებისთვის).³

ბუთი სიგელი ალექსანდრე II-ისა მიგვითითებს, რომ ალექსანდრე 1574 ან 1575 წ. (უფრო 1574 წ.) გამეფდა:

1581 წ. – ინდიქტიონი V|| – 1575 წ. (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-371; ქრონიკები, II, გვ. 419, 420).

1584 წ. 7/VII – ინდიქტიონი X – 1575 წ. (ცსსა ფ. 1448, №5528; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, №506).

1584 წ. 16/X – 1574 წ. (ცსსა ფ. 1448, №5571).

1597 წ. 30/IV – ინდიქტიონი 23 – 1574 წ. (ცსსა ფ. 1448, №2242; ქრონიკები, II, გვ. 429-430).

1. ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე, სამეწოვანი წარწერა გრემში. ენიშკის მოამბე, თბილისი, V-VI, 1940, გვ. 6.

2. იქვე, გვ. 9.

3. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, №504, გვ. 358.

1601 წ. – ინდიქტიონი 27 – 1574 წ. (ცსსა ფ. 1448, №5526; ქრონიკები, II, გვ. 431; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, №93).

გვაქვს ალექსანდრე II-ის 1575, 1576 წწ. სიგელები.¹ გრემის მთავარანგელოზის ეკლესიის ბერძნულ წარწერაში 1577 წ. მოხსენებულია ალექსანდრეს მამა ლეონი; მოხსენებულია, როგორც მეფე აღმშენებელ-განმაახლებელი ეკლესიისა.² „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, ლეონ მეფე 1578 წ. გარდაიცვალა.³ ალექსანდრე II-ის საბუთებში პირველად „სულკურთხეულად“, ე. ი. გარდაცვლილად ლევანი 1579 წ. არის მოხსენებული, ხოლო ზემოთ დამონმებულ ერთ საბუთში წერია, რომ ალექსანდრეს ძმისწულებთან ტახტისათვის ბრძოლა ლეონის გარდაცვალების შემდეგ აუტეხია.⁴

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ ლევანს გარდაცვალებაამდე, 1578 წლამდე, მეფობა ჰქონდა, მაგრამ ძლიერ შეზღუდული იყო თავისი ძის ალექსანდრეს თანამეფობით, თუ უფრო ადრიდანვე არა, ყოველ შემთხვევაში, 1574 წლიდან მაინც (1573 წ. შემდეგ, ალბათ, სწორედ ამიტომ აღარ გვაქვს ლეონის საბუთები). აქვე აღვნიშნავთ, რომ კახეთის ტახტისათვის ბრძოლა შემდგომშიც არ შეწყვეტილა. შაჰთან ნამყოფი ტახტის კანონიერი მემკვიდრე იესე, ანუ იესე-ხანი სიაუმ სააკაძეს სააბრეშუმე თემში 40 კომლს უწყალობებს. საბუთი გაცემულია 1580 წ. და ასე იწყება: „...ჩუენ ღვთივ

1. ისტორიული საბუთები, II, გვ; 49; ხელწაწერა ინსტიტუტი, Ad-1355.

2. ა. შანიძე, ვ. ფუთურიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 11.

3. პარიზის ქრონიკაში (გვ. 11), როგორც აღნიშნული იყო, ქართლის ცხოვრების გაგრძელებებისა და ვახუშტი ბაგრატიონისაგან განსხვავებით, მოთხრობილია ალექსანდრეს ბრძოლაზე ძმისწულებთან და არა ძმებთან, რაც შეესაბამება თვით ალექსანდრეს სიგელის მონათხრობს და პარიზის ქრონიკის ცნობას სანდობას მატებს.

4. ხელწაწერა ინსტიტუტი, Sd – 464, Ad-1604; საქართველოს სიძველენი, I, №3; ისტორიული საბუთები, II, გვ. 49; ცსსა, ფ. 1448, №540; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, №505, გვ. 359. უკანასკნელი საბუთის დედანში კარგად იკითხება ქორონიკონი სიე, მაგრამ ჩანს, ე-ს ნივთი ეწერა და ერთი ფეხი მოშლილი აქვს, ე. ი. საბუთი 1587 წლის უნდა იყოს.

გვირგვინოსნისა მეფისა ლეონისა ძემან და თუით მეფემან პატრონმან იესეხან".¹

ალექსანდრე კახთა მეფის ძის, დავით I კახთა მეფის, ხანმოკლე მეფობის (პარიზის ქრონიკის, ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, მან მხოლოდ ექვსი თვე იმეფა) თარიღის დადგენა ძნელდება. დავითის გამეფების შესახებ თარიღიანი ცნობა მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონს აქვს დაცული: „ქორონიკონსა სჟა (1603 წ.) ალექსანდრე მეფის ძემ დავით, გიორგი ძმა თვისი დაიჭირა და მამა პატიმარ ჰყო“.² საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი გამოცემებისთვის დართულ მეფეთა ქრონოლოგიაში დავითის მეფობა რატომღაც 1601 წლითაა აღნიშნული. ამავე დროს, თ. ჟორდანიას ქრონიკების II ტომში დაცულია დავით მეფის 1602 წლის სიგელი, რომლითაც იგი თანამეცხედრესთან – დედოფალ ქეთევანთან, შვილებთან: თეიმურაზთან, ბაგრატიონთან ერთად წინონმიდას ყმებს სწირავს. იქვე არის დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც ამავე წელს დავით მეფე გარდაიცვალა.³

რენეგატი უფლისწულის (მამის – ალექსანდრე II-ისა და ძმის – გიორგის მკვლელის) კონსტანტინეს დამარცხებისა და მოკვლის შემდეგ კახეთში დავით I კახთა მეფის ძე თეიმურაზ I გამეფდა. ვახუშტის მიხედვით, ეს 1605 წ. მოხდა (იხ. ქორონიკონები). ამავე დროს, თეიმურაზ მეფის პირველი სიგელი – ყმების წყალობის წიგნი, მიცემული ლუარსაბისთვის, 1606 წლითაა დათარიღებული და, რაც მთავარია, 1612 წ. 10 მაისს თეიმურაზის მიერ ალავერდის წმინდა გიორგის ეკლესიისთვის მიცემულ ყმების შეწირულების წიგნში აღნიშნულია მისი მეფობის 6 ინდიქტიონი.⁴

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14441

2. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 374-375.

3. ქრონიკები, II, გვ. 432.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-693; ცხსა, ფ. 1448, №5017; საისტორიო მოამბე, I, 1925, გვ. 146.

თეიმურაზ I-ის ოჯახის შემადგენლობა ისტორიული დოკუმენტების მიხედვით ასე წარმოგვიდგება: მეუღლის ანა დედოფლის გარდაცვალებასთან დაკავშირებით მეფემ 1612 წ. 10/V ალავერდს ყმები შესწირა.¹ თეიმურაზის პირმო ლევან და ალექსანდრე მოხსენებული არიან 1610 წ. და 1622 წ. 2/VII.² 1614 წ. გიორგი მეფის ასულ ხორეშანზე დაქორწინებასთან დაკავშირებით თეიმურაზ მეფე მეტეხის ღვთისმშობლის ეკლესიისთვის დიდ შესანიარავს გასცემს.³ 1626 წლიდან ხორეშანი უკვე თავის შვილთან დავითთან ერთად იხსენიება.⁴ 1648 წლის ერთი სიგელით დასტურდება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა ამ წელს ბატონიშვილ დავითის (დათუნას) მოკვლის შესახებ, რადგანაც სიგელში მხოლოდ შვილიშვილები არიან ნახსენები, ხოლო დავითი აღარ მოიხსენება.⁵

დავით ბატონიშვილი როსტომ მეფის მიერ გამოგზავნილი სპარსული რაზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპა. საერთოდ თეიმურაზმა როსტომთან ბრძოლა წააგო. „ხოლო როსტომ მეფემან, – ვკითხულობთ ბერი ეგნატაშვილთან, – დაიპყრა სრულიად კახეთი და პატრონობდა ქართლსა და კახეთსა, გაუგზავნა თავი დათუნასი ყაენსა და მიულოცა გამარჯუება“.⁶

როსტომ მეფე 1648 წ. გაცემულ თავის ერთ, ისტორიული თვალსაზრისით მეტად საინტერესო სიგელში (მცხეთისთვის დავით გარეჯის შეწირულების წიგნში) ამბობს: თეიმურაზი „იმერეთს გავაგდეთ, კახნი და დარბაისელნი ერთგულობაზე ვაფიცეთ და კახეთი ნასისხლად დავიჭირეთ... ყაენმაც გუბოძა“-ო.⁷ ჩვენთვის ცნობილი პირველი კახური სიგელი რო-

1. ცსსა, ფ. 1448, №5017; საისტორიო მოამბე, I, გვ. 146.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-530; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, №509, გვ. 363; ცსსა, ფ. 1443, №548.

3. ქრონიკები, II, გვ. 440.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14636.

5. ცსსა, ფ. 1448, №1531.

6. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 427.

7. ქრონიკები, II, გვ. 464.

სტომ მეფისა – მამულის წყალობის წიგნი, მიცემული შანშე ჩოლოყაშვილისთვის, 1647 წლით არის დათარიღებული.¹ საერთოდ, როსტომ მეფის კახური სიგელები მეტად მცირე რაოდენობით გვაქვს. 1656 წ. როსტომ მეფემ ჭიაურთ მოურავ შანშეს მამულის წყალობის წიგნი მისცა.² ეს არის ჩვენთვის ცნობილი უკანასკნელი კახური სიგელი როსტომ მეფისა.

როსტომმა კახეთში, ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, 1657 წლამდე იმეფა. მისი მეფობა, როგორც ჩანს, ერთგვარად ნომინალურ ხასიათს ატარებდა: „კახნი უმეტეს იყუნენ თვისად და ზაალისა თანა“³ (ზაალ ერისთავი – ჯ. ო.). როსტომ მეფის შემდეგ კახეთში ირანელი ხანების პარპაში იწყება. ბახტრიონის აჯანყების შემდეგ, 1659 წელს, სელიმ-ხანს მურთუზ-ალი-ხანი ცვლის. „კახეთი, – წერს ვახუშტი, – თუცა ეპყრა მურთუზ-ალი-ხანს, გარნა უფროს მორჩილებდენ მეფესა ვახტანგს და იყუნენ წინაშე მისს“.⁴

თეიმურაზ მეფის მეუღლე ხორეშან დედოფალი სიგელებში აღმატებულადაა შემკობილი. „თეიმურაზ მეფე, – აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, – თავისი თანამეცხედრის ჩამომავლობას დიდად აფასებდა და აყენებდა, რაკი იგი დიდთა ქართველთა მეფეთა ასული იყო“.⁵

თეიმურაზ I-ის ძის დავითის ძე ლუარსაბი პირველად ისტორიულ საბუთებში 1641 წ. გვხვდება ძმასთან ერეკლესთან ერთად, ხოლო შემდეგ 1648 წლამდე მოხსენებულია ძმებთან, ნიკოლოზსა (იგივე ერეკლე) და გიორგისთან ერთად.⁶

სიგელებით სრულიად ნათლად დასტურდება ნარატიული ძეგლების ცნობები 1616 წელს თეიმურაზის იმერეთში გადახვეწის შესახებ. ამ დროიდან ვიდრე 1622 წლამდე თეიმურაზის სიგელები აღარ ჩანს. ამ წელს კი, სახელდობრ, 1622 წ. 2/

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14428.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-2841 მ.

3. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 188.

4. იქვე, გვ. 190.

5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, გვ. 6.

6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-2064 პ; ცსსა, ფ. 1448, №1531.

VII, იგი გაბრიელ ბახუტაშვილს ერთგული სამსახურისთვის ყმა-მამულთ აჯილდოებს.¹ ეს საბუთი თეიმურაზის კახეთში იმ ხანმოკლე გამეფების დროისაა, რაც მან შეძლო ნოდარ ჯორჯაძის და დავით ასლანიშვილის შემწევობით.

თეიმურაზ I-ის ქართლ-კახეთში მეფობის, უფრო სწორად, მეფობისათვის ბრძოლის ისტორიის გადმოცემას ჩვენ აქ არ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ თუ მისი გარდაცვალების წინა, 1662 წლის, საბუთები ერთგვარ ნომინალურ ხასიათს არ ატარებენ, რაც საეჭვოა, მაშინ ამ წელს თეიმურაზ მეფე კახეთშია და ყმა-მამულის წყალობა განუახლა სახლთუხუცეს იესე ჯორჯაძეს; 9/IV – ენისელთ ნაცვალ ხოსროს ყმა-მამული უბოძა, განუახლა ენისელთა, ბაზრისა და კემურ-ყანდახის ნაცვლობა.² საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელ სიგელში თეიმურაზი ძეს უწოდებს თავის შვილიშვილ ერეკლეს (ნაზარალიხანს).

ქართლში ლუარსაბ II-ის ნაცვლად შაჰ-აბასმა, ბერი ეგნატაშვილის ცნობით, „დასუა... ბატონად ძმისწული მეფის სუმონისა (დაუთხანის ძე – ჯ. ო.) ბაგრატი, მაშინ ქრისტეს აქეთ ჩქით“³ (ე. ი. 1619 წ.). ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ეს მოხდა 1616 წელს, რაც სწორია, ვინაიდან 1618 წ. 26/1 მცხეთისთვის თარხნად სოფლების შეწირულების წიგნში ბაგრატი თავისი გამეფების III ინდიქტიონს ითვლის და დადასტურებულია 1616 წლის ორი სიგელი გაცემული ბაგრატის მიერ.⁴

ბაგრატს ჰყავდა მეუღლე ანა, ხოლო 1619 წლის 10 აგვისტოს ერთ წყალობის სიგელში მოხსენებულია ბაგრატის ძე სვიმონ მეფეც.⁵

ბაგრატი VII-ს მეტად დამცრობილი მეფობა ჰქონდა. მძიმე საგარეო მდგომარეობამ, ქვეყნის შინაგანმა პოლიტიკურმა დაცემამ, სათავადოთა სისტემის კიდევ უფრო მეტი გაძლიერ-

1. ცსსა, ფ. 1448, №548.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-1787; ცსსა, ფ. 1448, №600; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, №515, გვ. 367-368.

3. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 400.

4. ქრონიკები, II, გვ. 442; ცსსა, ფ. 1448, №1024; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1418.

5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-736; საქართველოს სიძველენი, II, №363, გვ. 406.

რება გამოიწვია. ბაგრატი მფობაში „იყოფოდენ მთავარნი თჳს-თჳსად და განიმკვიდრებდენ თჳსთა კერძოთა“.¹ ბაგრატი ირანის სამხედრო ძალას ეყრდნობოდა და ფაქტობრივად მხოლოდ ქვემო ქართლის – საბარათიანოს – მეფე იყო. „ამ-ან ბაგრატი, – გადმოგვცემს ბერი ეგნატაშვილი, – ვერ დაუჭირა თავი ქართველსა და ვერცა ეუფლა ქალაქს ზეით ზემო ქართლსა და არცა ჰყუარობდენ ქართველნი და არცა-რად აქსენებდენ თათრობისათჳის და ეძახდენ საბარათაშვილოს ბატონსა“.² ნიშნდობლივია, რომ „საბარათაშვილოს ბატონი“ ბოლნისში გარდაიცვალა. ამავე ცნობებს იმეორებს ვახუშტი ბაგრატიონიც და დამატებით ბაგრატის გარდაცვალების თარიღსაც იძლევა, სახელდობრ, 1619 წ.³

ბაგრატი VII-ის მომდევნო მეფე, მისი ძე სიმონ II, ქართლში ირანელთა მხედრობაზე დაყრდნობით, დიდმა მოურავმა გიორგი სააკაძემ გაამეფა. მეუღლედ სვიმონ II-ს შაჰ-აბასის ასულის ზუბეიდას და ისა-ხან ყორჩიბაშის ასული ჯაჰან-ბანუ შერთეს⁴.

სვიმონ მეფის გამეფება ქართლში ქართველთა თვალის ასახვევი ფანდი იყო. შაჰს ქართლ-კახეთის მოსვრა-განადგურება ჰქონდა მიზნად, ხოლო შეურაცხყოფილი, დევნილი, შაჰის კარს შეფარებული გიორგი სააკაძე და მისი ცოლისძმა ზურაბ ერისთავი შაჰის ზრახვების გამტარებელი იარაღის როლში გვევლინებიან ამ შემთხვევაში.

სვიმონ II, მამისა და პაპის დაუთხანის მსგავსად სომხით-საბარათიანოს მეფე იყო. მისი სიგელებიც სწორედ საბარათიანოს და, კერძოდ, ბარათაშვილებს ეხება. გვაქვს სიმონ II-ის შემდეგი სიგელები: 1619 წ. (Hd-14422), 1619 წ. 10/VIII (Sd-736), 1620 წ. 15/IV (Hd-6259), 1623 წ. 15/III (Sd-588, Hd-10293/31), 1623 წ. 7/IX (Qd-7062). ამ წელს ყარჩიხა-ხანმა და

1. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 39.

2. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 402^{19,21}.

3. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 376.

4. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 48; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 405⁴⁴.

სააკაძემ სიმონი თბილისშიც გაამეფეს, ხოლო მარტყოფის ომის შემდეგ, როდესაც მოურავმა და ზურაბ ერისთავმა ძალა მოიცეს, მათ ქართლში ქაიხოსრო მუხრან-ბატონი გააბატონეს. „ხოლო მაშინ განმგედ ქართლისა, – მოგვითხრობს ბერი ეგნატაშვილი, – დაადგინეს დავით მეფის ძის შვილისშვილი ქაიხოსრო, მუხრანის ბატონი, და არც განმგეობითა ემორჩილებოდენ მათ, არამედ თჳს-თჳსად უფლობდენ ქართლის თავადნი. და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორჩილობდენ, რამეთუ თუთ ზურაბ ერისთავი და ვინცაჲ ვინ დიდი კაცნი იყვნენ ქართლისანი, დიდს მოურავს ქეშიკში უწევებოდნენ და ყმურად მონებდენ მას“. ¹ გვაქვს ერთი საბუთი, სადაც ქაიხოსრო ბატონიშვილს გიორგი მოურავთან ერთად ერთგულება-უწვებლობის პირობასა და ფიცს აძლევს კათალიკოსი მალაქია. ² მურად IV-ის მიერ გიორგი სააკაძისათვის მიცემულ სიგელს ფერიდუნ ბეის კრებულში ეწოდება: „სულთნის მიერ ქართლის მმართველის მოურავ ხანისადმი გაცემული ფირმანი“. ³

მრავლად მოგვეპოვება ამ პერიოდის სიგელები სვიმონ მეფისა. მის შემორჩენილ სიგელთაგან უკანასკნელი დათარიღებულია 1630 წ. 2/VIII. ⁴ გვაქვს აგრეთვე სიგელები, გაცემული მისი მეუღლის დედოფალ ჯაჰან-ბანუს მიერ. პირველი დათარიღებულია 1618 წ. სექტემბრით. ⁵ ამ საბუთის პირია მხოლოდ შემორჩენილი და თარიღში შეცდომაა, ვინაიდან ამ პერიოდში ქართლში ბაგრატი მეფობდა. გარდა ამ სიგელისა, არის ჯაჰან-ბანუს ორი უტყუარი სიგელი, გაცემული 1628 წ. 21/II და 1629 წ. 2/IX. ⁶

1. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 407, ^{16,21}.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1908.

3. ვ. ჩოჩიევი, ოსმალეთის სულთნის მურად IV-ის მიერ დიდი მოურავისადმი მიცემული სიგელის თარიღის შესახებ. სტალინირის პედიანტიტუტის შრომები, VII, 1959. შრომაში დადგენილია მარტყოფის ბრძოლის ზუსტი თარიღი.

4. ცსსა, ფ. 1448, №5101.

5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-10232 პ.

6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1023 პ; ცსსა, ფ. 1448, №3262.

სვიმონ II-ის სომხით-საბარათიანოსა და თბილისში მეფობის პერიოდში ბაზალეთში 1626 წ. გიორგი სააკაძესა და ქაიხოსრო მუხრან-ბატონზე გამარჯვების შემდეგ ზურაბ ერისთავმა უორგულა თეიმურაზ მეფეს და სვიმონ II-ს „...მისცა საფიცარი დიდი და გამოიყვანა ციხიდან და მოუდგა ზურაბ ერისთავი და გააბატონა და მოუყენა ქართლი“.¹ შემდგომში ზურაბმა სვიმონსაც უმუხთლა, მძინარე მოკლა და „ბატონი თეიმურაზ... უფალ-ყო ქართლსა და კახეთსა ზედა“.² ბერი ეგნატაშვილთან და ფარსადან გორგიჯანიძესთან სვიმონის ცხვილს მუხანათურად მოკვლის ამბის თარიღი არაა მოცემული. ვახუშტი ბაგრატიონთან დაცული ცნობის მიხედვით, ეს მოხდა 1629 წ.³ „პარიზის ქრონიკის“ მიხედვით, სომხით-საბარათიანოსა და თბილისის მეფე სვიმონ II 1632 წ. მოკლეს. ეს თარიღი სწორი ჩანს.⁴

დაუთხანის ხარჭის ნაშობი ძის, ხოსრო-მირზად წოდებული როსტომ მეფის გამეფების თარიღი დადგენილი აქვს ივ. ჯავახიშვილს. მისი აზრით, როსტომი 1632 წ. გამეფდა. „საფიქრებელია, – დასძენს იგი, – რომ ქართული კინკლოსების ცნობა როსტომის 1630 წ. გამეფების შესახებ სხვებზე უფრო ჭეშმარიტი იყოს“.⁵

როსტომ მეფის ერთი ვრცელი საბუთი მისი გამეფების მე-16 ინდიქტიონს ითვლის 1648 წ.⁶ როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სვიმონ II 1632 წ. იქნა მოკლული, ამდენად, როსტომ მეფის 1632 წ. გამეფება მართებული ჩანს.

როსტომი პირადი ნიჭითა და გონებით აღზევებულა შაჰის კარზე. ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, როსტომის შაჰის კარზე დაწინაურების საქმეში საკმაოდ დიდი წვლილი გიორგი სააკაძესაც მიუძღოდა.

1. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 413_ა.

2. იქვე, 414.

3. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 376-377.

4. „პარიზის ქრონიკა“, გვ. 49.

5. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, გვ. 30.

6. ქრონიკები, II, გვ. 461-464.

ქართლში გამეფებულ როსტომ მეფეს პირველ რიგში ტრადიციულად, როგორც დაუთხანის ძეს, სომხით-საბარათიანო მიემხრო. ამასვე ადასტურებს მისი მეფობის პირველი პერიოდის სიგელებიც.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, როსტომ მეფემ გოჯასპი აბაშისშვილის ქალი ქეთევანი შეირთო, ქორწილი ქრისტიანულ-მაჰმადიანური წესით გადაიხადა და მეუღლეს გულდუხტარი უწოდა.¹ სხვა წყაროები როსტომის პირველი მეუღლის შესახებ არაფერს ამბობს. ეს ქეთევანი თუ გულდუხტარი არც ისტორიულ დოკუმენტებშია მოხსენებული.

ნარატიულ ძეგლებში განსაკუთრებულად არის აღნიშნული ამბავი როსტომ მეფის ლევან დადიანის დაზე, სვიმონ გურიელის ცოლყოფილ მარიამზე დაქორწინების შესახებ. ეს ქორწილი დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისა იყო და იმიტომაც გახდა საგანგებო აღნიშვნის საგანი. ბერი ეგნატაშვილს და ფარსადან გორგიჯანიძეს როსტომის დაქორწინების თარიღი არ შემოუნახავთ. პარიზის ქრონიკის მიხედვით, ქორწილი 1635 წ. გადაიხადეს, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ეს ამბავი მოხდა 1638 წ.² ისტორიულ დოკუმენტებში კი დედოფალი მარიამი უკვე 1634 წლიდან ჩანს.³

პირველი ქმრისგან, სვიმონ გურიელისაგან, დედოფალ მარიამს ჰყოლია ძე ოტია.⁴ ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბაგრატიონის ერთობლივი ცნობებით, თვით როსტომ მეფე უშვილო იყო. ტახტის მემკვიდრეობის საკითხის გადასაწყვეტად უძეო მეფე როსტომი ნაშვილობას მიმართავდა.

ბერი ეგნატაშვილის ცნობით, უშვილო როსტომმა ისპაჰანიდან გამოითხოვა და იშვილა სვიმონ მეფის ძის ვახტანგის შვილის თეიმურაზის ვაჟი ლუარსაბი. ვახუშტის მიხედვით,

1. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 71.

2. იქვე, გვ. 73-74.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2301, 1634, 22/V - ცხსა, ფ. 1450, 15, №122 პ, 1635,

ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1010, 1635, 14/VI - Ad-972 და ა. შ.

4. მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, II, 1895, გვ. 35.

ლუარსაბი სვიმონ მეფის შვილიშვილია, ვახტანგის შვილი.¹ ლუარსაბის ნაშვილობის თარიღი არც ერთ ნარატიულ ძეგლში არ არის. ისტორიულ დოკუმენტებში კი როსტომ მეფე მარიამ დედოფალთან ერთად პირმშო ძედ იხსენიებს ლუარსაბს 1645 წლიდან.²

თ. ჟორდანიას მიერ გამოცემული სვეტიცხოვლის საფლავის ქვის წარწერიდან ირკვევა, რომ 1646 წ. მარიამ დედოფალს გარდაცვლია სვიმონ გურიელთან ქორწინებაში შეძენილი ძე ოტია.³ ოტია გარდაცვლილადაა მოხსენებული მარიამ დედოფალთან ერთად ურბნისის ტაძრის 1668 წლის წარწერაში. მრავლად არის შემორჩენილი როსტომ მეფის სიგელები, სადაც მოხსენებული არიან მისი თანამეცხედრე მარიამ და ძე ლუარსაბ. 1652 წლიდან ლუარსაბის ხსენება სიგელებში წყდება. როგორც ნარატიული წყაროებიდანაა ცნობილი, იგი მოკლულ იქნა ნადირობის დროს, მაგრამ როდის მოხდა ეს ამბავი, ამ წყაროებში არ ჩანს.

„ქორონიკონსა ტმა (1653 წ.) ვახტანგ მუხრანის ბატონი ძე თეიმურაზისა ქართლის გამგე იქმნა“. – წერს ვახუშტი ბაგრატიონი.⁴ ბერი ეგნატაშვილი მოგვითხრობს, რომ ლუარსაბის გარდაცვალების შემდეგ უძეო როსტომმა ახლა ვახტანგ მუხრან-ბატონი იშვილა. ყაენთან ხლების შემდეგ ვახტანგი „გათათარეს და წარმოგზავნეს ჯანიშინად ქართლისა და მოვიდა ქართლსა“.⁵ აქვე მოცემულია ვახტანგ V შაჰნავაზის გენეალოგია. ცნობა უთარილოა.

ვახტანგი როსტომ მეფის ძედ სიგელებში პირველად 1654 წ. იხსენიება.⁶ 1655 წელს სიგელებში როსტომი მხოლოდ მარიამ დედოფალს მოიხსენიებს. ასევეა 1656 წლის ექვს სიგე-

1. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 428; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 76.

2. ცსსა, ფ. 1448, № 1035; აქტები, I, გვ. 18. ლუარსაბის მეთაურობით როსტომს იმერეთში ლაშქარი გაუგზავნია – ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14443.

3. ქორონიკები, II, გვ. 460.

4. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 378.

5. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 433₁₂₋₁₃

6. ცსსა, ფ. 1450, №65 პ.

ლში. ვახტანგი კვლავ ჩანს 1656 წ. 1/VIII და ამავე წლის 15/XII სიგელებში.¹ საკმაოდ არის შემორჩენილი 1657 წ. სიგელებიც, სადაც მარიამ დედოფალთან ერთად ვახტანგიც მოიხსენება.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, როსტომ მეფე 1658 წ. გარდაიცვალა და ამავე წელს გამეფდა მისი ნაშვილები ვახტანგ V შაჰნავაზი.² ამავე თარიღს ადასტურებს ჟამნი, ცაიშის ჟამნ-გულანი და ყანჩაეთის გულანი.³ სეხნია ჩხეიძე ვახტანგის გამეფების თარიღად 1659 წელს მიიჩნევს, ამავე თარიღს აღნიშნავს ქვათახევის გულანიც.⁴

თვით ვახტანგ V-ის ინდიქტიონიანი საბუთები უფრო პირველად დასახელებულ თარიღს – 1658 წ. უჭერენ მხარს. 1660 წელს, ვახტანგის მეფობის ორ ინდიქტიონს, მისი მეუღლე მარიამ დედოფალი სოფელ არაშენდას უბრუნებს მცხეთას. 1670 წ. ვახტანგის მეფობის 12 ინდიქტიონია, ხოლო 1673 წ. – თხუთმეტი.⁵ ყველა ეს საბუთი ვახტანგის 1658 წ. გამეფებაზე მიუთითებს. სამწუხაროდ, არა გვაქვს შაჰნავაზის არც ერთი სიგელი, გაცემული 1658 წ.

როგორც აღვნიშნეთ, ბერი ეგნატაშვილთან დაცულია სახელები შაჰნავაზ I-ის ოჯახის წევრებისა. ახლად გამეფებულმა ვახტანგმა, ყაენის ბრძანებით, მეორე ცოლად როსტომ მეფის ნაცოლარი მარიამი შეირთო: „ხოლო ესხნეს ფრიად პატიოსნისა სჯულიერის მეუღლისა თჳსისა როდამისაგან ძენი ექუსნი და ასულნი ორნი. სახელი ასულთა მათ ანუკა და თამარი, ხოლო ძეთა მათ სახელები: პირმშო და საყუარელი არჩილ, გიორგი, ლუარსაბ, ალექსანდრე, ლევან და სულეიმან“.

9 სიგელი გვაქვს შაჰნავაზისა გაცემული 1659 წ. ყველაზე ადრეული მათგან 17 მარტს არის დაწერილი. მეუღლესთან მარიამ დედოფალთან, შვილებთან არჩილსა და გიორგისთან

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-8967; ცსსა, ფ. 1448, №2315.

2. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 378.

3. ქრონიკები, II, გვ. 473.

4. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 308; ქრონიკები, II, გვ. 475-476.

5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2627; ქრონიკები, II, გვ. 478; 486; 488.

ერთად მეფე ვაჭარ ქიმალაშვილს ათარხნებს სამეფო გადასახადებისაგან.¹ 1660 წლიდან მოხსენებულა ვახტანგის ძე ლევანიც, ხოლო 1662 წლის ორ საბუთში – ლუარსაბიც.²

1663 წლიდან არჩილი ვახტანგ მეფის საბუთებში აღარ ჩანს და ეს გასაგებიცაა: ნარატიული წყაროების მიხედვით, იგი იმერეთის მეფე გახდა, მაგრამ არა 1661 წელს, როგორც ეს ვახუშტი ბაგრატიონს მიუჩნევია, არამედ სწორი გამოდის „პარიზის ქრონიკის“ ცნობა, რომლის მიხედვითაც, არჩილი იმერეთში სწორედ 1663 წელს გამეფდა.³

1663 წ. 27 აგვისტოს შაჰნავაზის ძის გიორგის მიერ დავით გაბადაძისთვის მიცემულ ყმა-მამულის წყალობის ნიგნში მოხსენებული არიან შაჰნავაზის შვილები: ლევანი, ლუარსაბი, სულეიმანი.⁴ იგივე პირები არიან მოხსენებული 1664 წლის სიგელში.⁵

ამვე წლის სხვა სიგელებში მოხსენებული არიან დედოფალი მარიამ, გიორგი და ლევან.⁶

1665 წლის სიგელებში შაჰნავაზი შვილებს არ იხსენიებს, არც შვილებს და არც მეუღლეს არ იხსენიებს მეფე 1666-1667 წწ. სიგელებში. 1669 წ. მოხსენებული არიან: გიორგი, ლეონი, ლუარსაბ, სულეიმან (შაჰნავაზი წილკნელის სარგოს ნუსხას ამტკიცებს).⁷ 1670 წლის საბუთში მოხსენებული არიან ბატონიშვილები: გიორგი, ლევან.⁸ 1671 წელს შაჰნავაზმა ზაალ მაჩაბელს თამარაშენში 6 კომლი გლეხი უწყალობა. საბუთში მოხსენებული არიან: გიორგი, ლევან, ლუარსაბ, სულეიმან.⁹ ამ დოკუმენტში გიორგი პირმოდ იწოდება. 1672 წ. 1/V სიგელს

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-13064.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2457; Hd-2627; Hd-1492; Sd-621.

3. ქართლის ცხოვრება, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, გვ. 249; პარიზის ქრონიკა, გვ. 66.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-8794 პ.

5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1453B.

6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-1, Sd-752.

7. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-526.

8. ქრონიკები, II, გვ. 486.

9. ცსსა, ფ. 1448, №93.

შაჰნავაზის ძენი გიორგი და ლევანი ერთად ამტკიცებენ, ხოლო მათი ძმა სულეიმანი კი ცალკე ამტკიცებს ამავე საბუთს.¹ 1672 წლის სხვა საბუთში მოხსენებული არიან: მარიამ დედოფალი, გიორგი, ლევან, ლუარსაბ, სულეიმან. 1673 წ. იმავე პირებთან ერთად ამტკიცებს შაჰნავაზი 1459 წელს შედგენილ სამთავნელის სოფლების გამოსაღებთა და სარგოს ნუსხას.² არ ვიცნობთ შაჰნავაზ მეფის არც ერთ სიგელს 1674 წლის თარიღით.

1675 წ. 8/II ჯვარის მამა ნიკოლოზ ნულუკიძემ ფიცის წიგნი მისცა შაჰნავაზს, მის ძეს არჩილსა და კათალიკოს დომენტის.³ საინტერესოა ამავე წლის 25 მარტით დათარიღებული სასისხლო სიგელი, მიცემული შაჰნავაზ მეფის მიერ მცხეთის სახლთუხუცეს პაპუა მაღალაძისათვის.⁴ სიგელში მოხსენებული არიან: კახთა მეფე არჩილ, გიორგი, ლეონ, ლუარსაბ, სოლომონ და ბაგრატ. დასახელებულ პირთაგან მხოლოდ ბაგრატია უცნობი, სხვა წყაროებში იგი არსად ვახტანგ მეფის შვილად არ ჩანს. ამ და სხვა გარემოებათა გამო, თუ ეს სასისხლო სიგელი ნატყუარია, ყოველ შემთხვევაში, მასში ისტორიულად სწორი და ვარგისი ცნობებიც არის დაცული.

შაჰნავაზის უკანასკნელი სიგელი 1676 წლითაა დათარიღებული. ამ სიგელით მან მდივანბეგობა უწყალობა ვახტანგ ორბელიშვილს, სულხან-საბას ძმას.⁵ სიგელში მოხსენებული არიან: მარიამ დედოფალი, გიორგი, ლევანი და სულეიმანი.

1676 წ. ცაიშის ჟამნ-გულანისა და სხვა ცნობებით, შაჰთან მიმავალი შაჰნავაზი გზაში გარდაიცვალა. ყანჩაეთის გულანისა და იკორთის ძლისპირის მიხედვით, ეს მოხდა 1677 წ.⁶ ყანჩაეთის გულანის მიხედვით, შაჰნავაზის ძე გიორგი 1679

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1689.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-2041³, Ad-559³, Ad-604³.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-553.

4. ქრონიკები, II, გვ. 489.

5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-536; ქრონიკები, II, გვ. 491; საქართველოს სიძველენი, II, № 109.

6. ქრონიკები, II, გვ. 491.

წელს გამეფდა.¹ ვახუშტის ცნობა შაჰნავაზის 1675 წ. გარდაცვალების შესახებ მიუღებელია, რადგან დამონმებულია ვახტანგ მეფის 1676 წ. სიგელი.

ვახუშტი ბაგრატიონზე დაყრდნობით, ვახტანგ V-ის ძის გიორგი XI-ის ქართლში გამეფებას 1676 წლიდან ანგარიშობენ.² 1676 წ. 18/X წყალობის წიგნში გიორგი მეფედ არაა მოხსენებული, მხოლოდ ხელმწიფის შვილად იწოდება ის 1676 წ. პაპუნაბეგ ორბელიძევილისთვის მიცემულ ყმა-მამულის წყალობის წიგნში.³

ერთ სიგელში ნიკოლოზ ამილახორი ამბობს, როდესაც გიორგი გამეფდა, კათალიკოსობა მაშინ მოგვეცაო. სიგელი დათარიღებულია 1678 წ.⁴ კიდევ ერთი ცნობით: „ქკს ტფვ (1678 წ.) გიორგი მეფე წაბძანდა ყუენთან. ყუენმან ქართლი მისცა და მოვიდა იანერის ჯ ქალაქსა“.⁵

გიორგი XI-ის ინდიქტიონიანი საბუთებიც მის გამეფებას 1678 წლიდან ითვლიან:

1678 წ. 1 ინდიქტიონი – 1678 წ. (ცსსა, ფ., 1448, №521).

1681 წ. 3 ინდიქტიონი – 1678 წ. (ქრონიკები, II, გვ. 496).

1684 წ. 6 ინდიქტიონი – 1678 წ. (ცსსა, ფ. 1448, №5523; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, №106).

1684 წ. 5 ინდიქტიონი – 1679 წ. (ქრონიკები, II, გვ. 499).

1685 წ. XIII ინდიქტიონი – 1678 წ. (ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-8443 პ).

1688 წ. XI ინდიქტიონი – 1678 წ. (ცსსა, ფ. 1448, №610).

ამრიგად, გიორგი XI 1678 წ. გამეფებულა და არა 1676 წ.

გიორგი მეფის მეუღლე დედოფალი თამარ და ძე ბაგრატ მოხსენებულნი არიან მეფის სიგელებში 1678-1683 წწ.⁶

1. ქრონიკები, II, გვ. 494.

2. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 86.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1706, Ad-1357; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, №138; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1357.

4. ქრონიკები, II, გვ. 493.

5. „წიგნი ქორონიკონნი“.

6. ცსსა, ფ. 1448, №№521, 609; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-1970.

ვახუშტი ბაგრატიონის, იკორთის ძლისპირისა და კიდევერთი ცნობით, თამარ დედოფალი 1683 წელს გარდაცვლილა უამიანობის შედეგად.¹ 1684 წ. 1/IV სიგელში მხოლოდ ბაგრატია მოხსენებული გიორგი მეფესთან ერთად.² ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას იმის შესახებ, რომ გიორგი მეფემ მიქელაძის ქალზე ხორეშანზე 1687 წ. იქორწინა, უარყოფს 1685 წ. სიგელი – გიორგი მეფის მიერ ბეგთაბეგისთვის სოფელ ნაბახტევის წყალობის წიგნი, სადაც უფლისწულ ბაგრატთან ერთად მოხსენებულია დედოფალი ხორეშანიც.³

ქვათახევის გულანის მინაწერის ცნობითა და „აფხაზთა ქრონიკით“, 1688 წ. არაგვის ერისთავმა გიორგი მეფე დაამარცხა და აგვისტოში ერეკლე I ნაზარალიხანი გამეფდა.⁴ მართლაც, არა გვაქვს არც ერთი სიგელი 1689 წლისა, გაცემული გიორგი XI-ის მიერ. 1690 წელს კი გიორგი XI-მ ფეშანგ ფინეზაშვილს შუა ბოლნისში ყმა-მამული უწყალობა; 1691 წ. მეუღლე ხორეშანთან და შვილთან ბაგრატთან ერთად თოფჩიაშვილებს თარხნობა მისცა; 1692 წ. 5/XI ხორეშან დედოფალთან ერთად ფარემუზ ჯავახიშვილს ყმები გაუთარხნა.⁵

1692 წლის საბუთები კარგად ასახავენ გიორგი XI-ისა და ერეკლე I-ის ბრძოლას სამეფო ტახტისათვის. ასეთია, მაგალითად, 1692 წ. 10/IX-ს სიგელი, სადაც მოთხრობილია, რომ გივი ამილახვრის ძმისწულები ოტია და ავთანდილი გიორგის ორგულობდნენ, ერეკლე მეფისაგან საფიცრებიც მიიღეს და გივი ამილახვრის მოსპობა განიზრახეს. საქართველოში (ქართლში) მოსულმა გიორგი მეფემ ჯერ შეარიგა ისინი, წყალობაც მიუმატა, მაგრამ ორგულობის მოუშლელობისათვის

1. ქრონიკები, II, გვ. 497-498.

2. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან I, № 106, გვ. 75; ცსსა, ფ. 1448, № 5523.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-8443 (პ).

4. ქრონიკები, II, გვ. 507.

5. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, № 123, გვ. 87, № 125, გვ. 89; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2639.

დასაჯა.¹ ამავე წლის ერთ საბუთში აღწერილია, რომ ლტოლვილი გიორგი მეფე ჯერ იმერეთში გადავიდა და შემდეგ სამცხეში. თუ საბატონოს დავიბრუნებ, მამულს გინყალობებო, ჰპირდება იგი დემურისძეებს.² მსგავსი პირობის წიგნია საბუთი, მიცემული გიორგი მეფის მიერ ავალიშვილისთვის.³

გიორგი XI წყალობის სიგელებსაც არიგებს: 1693 წ. ყმა-მამული უწყალობა ავთანდილ მოურავისძეებს,⁴ იმავე წელს პაპუნა ბარათაშვილს ნასოფლარი გაუთარხნა, 1694 წ. არქიმანდრიტ ნიკოლოზ მაღალაძეს ყმა-მამული უწყალობა, 1695 წ. ფარემუზ ჯავახიშვილმა სხვებთან ერთად დავა გაარიგა მისი ბრძანებით, ამავე წელს გიორგი მეფემ მამუკა უნაძეს მამასახლისობა უწყალობა.⁵ კვეზერელი ზურაბის მიერ ტარშიაჭელ თამაზასთვის 1695 წელს მიცემულ მამულის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: დაინერა ერეკლეს და გიორგის „ორთა მეფობის“ დროსო.⁶

1697 წელს გიორგი XI იმერეთშია და განეული სამსახურისთვის წერეთლებს ნახევარი საციციანოს მებალახეობას და ყმების წყალობას ჰპირდება, თუ თავის საბატონოში დაბრუნდება.⁷ საინტერესოა 1698 წ. ერთი საბუთი, რომლიდანაც ვიგებთ, რომ ზურაბ ბერუკაშვილის ბიძაშვილი სეხნია ისპაჰანს წასულა გიორგი მეფესთან.⁸

1663 წ. ასტარაბადში თეიმურაზ I-ის გარდაცვალების შემდეგ კახელებს მისი ცხედარი გამოუთხოვიათ და, ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, ალავერდში დაუკრძალავთ. ვახუშტისავე ცნობით, ამავე წელს კახეთში ვახტანგ V-ის ძე

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2134.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-559.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2358.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1966. 1692 წ. XI საბუთში მოთხრობილია, როდესაც გიორგი მეფე ქართლში გადმოვიდა ნაზარალიხანთან ერთად, მას ებრძოდნენ იოთამ და ავთანდილ სააკაძეები - ცსსა, ფ. 1448, №526.

5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-8769, Qd-8923, Hd-6021, Hd-4352.

6. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1431.

7. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1170; შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები, I, გვ. 42.

8. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2598.

არჩილი გამეფდა.¹ 1664 წ. არჩილის გამეფება კახეთში ისტორიული დოკუმენტებითაც დასტურდება. ამ წელს მისი ძმა შაჰნაზარხანის (იმავე არჩილის) ყაენისგან დაბრუნების შეტყობინების სამახარობლოდ მდივან მერაბიშვილს ყმა-მამულს უწყალობებს. ამავე წელს შაჰნაზარხანმა წმინდა გიორგის ეკლესიის მამულები გაათარხნა მეფეთა ძველი სიგელების საფუძველზე, ყმა-მამული შესწირა ღვთისმშობლის ეკლესიას.² 1669 წ. არჩილ მეფემ მეუღლე ქეთევანთან, შვილებთან: ალექსანდრესთან, მამუკასთან ერთად გავაზში მამული უწყალობა სამკვიდროდ ენისელთ მოურავ დავითს.³

1670 წ. 15/IV არჩილის გამეფების 7 ინდიქტიონია. ამ საბუთის მიხედვით გამოდის, რომ არჩილი 1663 წ. გამეფდა (ნაგულისხმევია, ალბათ, იმერეთში გამეფება).⁴ ამავე საბუთში მოხსენებულია მისი მეუღლე ქეთევან დედოფალიც. 1675 წ. ქეთევანი, ალექსანდრე და მამუკა მოხსენებული არიან არჩილ მეფის მიერ სამების ეკლესიისათვის მიცემულ ყმების შეწირულების წიგნში.⁵

1675 წლიდან არჩილ მეფის კახური სიგელები აღარ ჩანს, რითაც დასტურდება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობა იმის შესახებ, რომ ამ წელს არჩილი იმერეთის ტახტის დასაჭერად წავიდა.⁶

1683 წ. 6 იანვარს არჩილ მეფემ მეუღლე ქეთევანთან და პირმშო ალექსანდრესთან ერთად ბეჟან აგათოშვილს მამული უწყალობა.⁷ თვით არჩილ მეფე გადმოგვცემს, კახეთში 12 წელს ვმეფობდიო.⁸

1. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 379. პარიზის ქრონიკის მიხედვით, 1663 წ. „ამირ შაჰნაზარხან თალიში ყაენს გამოეგზავნა შაჰნაზარხან მეფესთან, იმერეთი წუგინდა, დაეხსენო, შენი შვილი არჩილ გამომიგზავნე, კახეთს მივცემო“ და არჩილი კახეთში გაამეფეს. იხ. პარიზის ქრონიკა, გვ. 67.

2. ცსსა, ფ. 1448, №5631, ფ. 1448, №2949, ფ. 1448, №2937.

3. ცსსა, ფ. 1448, №613.

4. ისტორიული საბუთები, IV, გვ. 47-49.

5. ქრონიკები, II, გვ. 489.

6. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 380.

7. ცსსა, ფ. 1448, №102.

8. ქრონიკები, II, გვ. 498.

მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა არჩილ მეფის ისტორიის შესახებ ჩვენამდე ნახევრად დამწვარი სახით მოღწეული სიგელი არჩილ მეფისა, მიცემული ნოდარ ჯორჯაძისთვის. ამ სიგელში მოხსენებული არიან დედოფალი ქეთევან და არჩილის ძენი: ალექსანდრე, მამუკა და დავით.¹

1688 წლიდან კახეთში, ვახუშტის მიხედვით, აბაზ-ყული-ხანი ბატონობს. მან 1693 წ. მამუკა ჩოლოყაშვილსა და მის ძმებს სოფლები უწყალობა.² გვაქვს აგრეთვე აბაზ-ყული-ხანის ერთი უთარალო საბუთის დედანი.³

1696 წ. 24/III სვეტიცხოვლისთვის საგარეჯოს მამულების დამტკიცების წიგნში კახეთის გამგებელი ქალბალი-ხანი თავისი ხანობის II ინდიქტიონს ითვლის და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობითაც იგი 1695 წ. გამხდარა კახეთის ხანი.⁴ ამ წელს ქალბალი-ხანი – „კახეთის აქიმი, ველიანამათის მუსაიბი და სარდალი“ – აბელ ენდრონიკაშვილს აბაზ-ყული-ხანის ნაწყალობე სოფლებს უმტკიცებს. 1698 წ. მან დავით გარეჯის ბერებს სარჩო-საბადებელი და ჯამაგირი გაუჩინა, ხოლო 1699 წ. ენისელთ მოურავს მამულები უწყალობა.⁵

ერეკლე I ნაზარალიხანის კახეთში მეფობის წლები ნარატიულმა წყაროებმა არ შემოგვინახეს. 1662 წ. ერეკლე მეფემ მალრანის ნაცვალ მამუკას ყმა-მამული უწყალობა; ამავე წელს დედასთან, ელენე დედოფალთან, ერთად გიორგი კობიაშვილს უწყალობა ყმა-მამული.⁶ 1664 წ. 4 სექტემბერს ერეკლე მეფემ ელენე დედოფალთან ერთად წმინდა გიორგის ეკლესიას ფარაზე გადასახადი შესწირა.⁷ 1672 წელს კვ-

1. ცსსა, ფ. 1448, №995. ანტონ კათალიკოსიც ამბობს თავის ისტორიაში (ხელნაწერთა ინსტიტუტი, S-2518), რომ არჩილს სამი შვილი ჰყავდა.

2. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 196; ქრონიკები, II, გვ. 507.

3. ცსსა, ფ. 1448, №258.

4. ქრონიკები, II, გვ. 516; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, გვ. 197.

5. ცსსა, ფ. 1448, №1192, ფ. 1448, №1034, ფ. 1448, №2943.

6. ცსსა, ფ. 1448, №581, ფ. 1448, №558. ამ საბუთებში ერეკლე თავს მეფესა და ხელმწიფეს უწოდებს, ბოლოში კი საბუთებს უზის ბეჭედი: „ბატონიშვილი ერეკლე“.

7. ცსსა, ფ. 1448, №65.

ლავ ჩნდება თეიმურაზ მეფის შვილიშვილის ერეკლე მეფის სიგელი, რომლითაც იგი ოთარ თურქისტანიშვილს სასახლის ადგილს უწყალობებს.¹

ერეკლე I კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე იყო. კახეთში არჩილის მეფობის პერიოდში და უფრო ადრეც, ჩანს, ერეკლეს კახეთში გარკვეული რეალური ძალაუფლება ჰქონდა. ზემოთ მოყვანილი სიგელები სწორედ ამაზე მიუთითებენ.

ვახუშტი ბაგრატიონის გადმოცემით, ერეკლე ბატონიშვილი რუსეთიდან კახეთში 1674 წ. მოვიდა. ამ ამბავთან მიმართებაში საინტერესოა, რომ ერეკლე, რომელიც უკვე ადრეულ სიგელებში თავის თავს მეფეს უწოდებდა, 1675 წ. ალავერდისთვის ყმა-მამულის შეწირულების წიგნში თავისი მეფობის ერთ ინდიქტიონს ითვლის.²

1682 წ. 25/1 საბუთში ერეკლე უკვე ნაზარალიხანად იწოდება.³ საბუთში მოხსენებული არიან აგრეთვე მისი დედა ელენე, შვილები: იმამყული და კონსტანდილე. 1684 წ. ამ პირებთან ერთად მოხსენებულია ნაზარალიხანის ძე ისლამირზაც.⁴

სეხნია ჩხეიძის ქრონიკით, ერეკლე ქართლში 1686 წ. გამეფდა. ქვათახევის გულანისა და „აფხაზთა ქრონიკის“ ცნობებით, ერეკლე 1688 წ. გაამეფეს გიორგი XI-ის გადაგდების შემდეგ. ასეთსავე ცნობებს იძლევიან იკორთის ძლისპირი და ვახუშტი ბაგრატიონი.⁵ ამ დროისათვის ცნობილია 1687 წ. მარტის დამდეგის სიგელი, რომლითაც ნაზარალიხანმა მუსტოფ მაჰმად ბალირას ჯამაგირი გაუჩინა და მამულები უთარხნა.⁶ ნაზარალიხანის ერთ საბუთში აღნიშნულია მისი მეფობის შვიდი ინდიქტიონი.⁷

1. ცსსა, ფ. 1448, №101.

2. ცსსა, ფ. 1448, №599.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-2447.

4. ცსსა, ფ. 1448, №1177.

5. ქრონიკები, II, გვ. 507.

6. ცსსა, ფ. 1448, №543.

7. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-13167 პ. საბუთს სხვა თარიღი არა აქვს.

ნაზარალიხანის სიგელებში მეტწილად მოხსენებულია მისი დედა ელენე, მეუღლე ანა იშვიათად გვხვდება, პირველად – 1689 წელს.¹

1691 წლიდან ერეკლე I-ის სიგელებში აღარ ჩანს მისი ძე ისლამირზა.

1696 წ. დედოფალ ელენეს, იმამყულის და კონსტანტინეს გვერდით მოხსენებულია ერეკლეს ძე გიორგიც.² 1697 წ. ეს გიორგი გორგასლანის, ხოლო კონსტანტინე მამადყულის სახელებით გვხვდებიან.³

1698 წლით დათარიღებული საბუთები არ გაგვაჩნია.

1700 წლიდან ნაზარალიხანის ძედ მოხსენებულია თეიმურაზიც.⁴

მიღებული ქრონოლოგიით, ნაზარალიხანი ქართლში 1703 წლამდე მეფობდა. გვაქვს საბუთები დედნების სახით, რომელთა მიხედვით ირკვევა, რომ ნაზარალიხანი 1704-1705 წწ. მეფობდა:

1. 1704 წ. 12/IV მამულის წყალობის წიგნი, მიცემული მეფე იმამყულისხანის მიერ ბებურ ვაჩნაძისათვის. საბუთს ამტკიცებს მეფე ნაზარალიხანი.⁵

2. 1704 წ. 4/VI მეფე ნაზარალიხანის მიერ გურამ გურამიშვილისათვის მიცემულ ყმა-მამულის წყალობის წიგნს ამტკიცებს მეფე იმამყულისხანი.⁶

გვაქვს კიდევ ერთი – 1705 წ. 15 იანვრის საბუთის დედანი (მეფე იმამყულისხანი ქიზიყის მოურავობას უწყალობებს რევაზ ენდრონიკაშვილს).⁷ საბუთს ამტკიცებს მეფე ნაზარალი-

1. ცსსა, ფ. 1448, №53.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-564. 13/IV – Hd-6357. 18/XI – Ad-86. 8/XII – ცსსა, ფ. 1448, №46.

3. ცსსა, ფ. 1448, №45.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-2220 პ, Ad-1590 პ, Qd-814.

5. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14627; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, №529, გვ. 376-377.

6. ცსსა, ფ. 1448, №57.

7. ცსსა, ფ. 1448, №133.

ხანი: „ქ. ჩვენ, მეფემან, ერანის ყულარალასმან, პატრონმან ნაზარალიხან ეს ჩვენი შვილის ნაბოძები სიგელი ჩვენც ამრიგად დაგვიმტკიცებია და არავინ გვიბრძანებია ამის მშლელად და მოცილედ“. ბეჭდები: „მეფე ნაზარალიხან“, „დედოფალი ანა“, „მ[ონ]ა ლ[ვთ]ისა ბატონიშვილი თეიმურაზ“.

ყველა დამონმებული საბუთი კახეთს შეეხება და, ამრიგად, 1704-1705 წწ. ადგილი ჰქონია მეფე ნაზარალიხანისა და მისი ძის იმამყულიხანის კახეთში თანამოსაყდრეობას.

ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან¹

ზოგიერთი სასისხლო სიგელის შესახებ

ისტორიული დოკუმენტები, განსაკუთრებით მეფეთა სიგელ-გუჯრები, ფეოდალური საზოგადოების ცალკეულ წევრებს, მათ შიამომავლობას გარკვეულ ქონებრივ, წოდებრივ თუ სხვა ხასიათის უპირატესობებს ანიჭებდა. ამდენად, დოკუმენტების ფაბრიკაციის საფუძველზე შესაძლებელი ჩანდა ქონებრივ-სოციალური წარმატების მიღწევა. ცდუნება დიდი იყო და ამის შედეგად მრავალი ყალბი საბუთი შეიქმნა.

ისტორიული დოკუმენტების რაობის საკითხს წყაროთმცოდნეობის სპეციალური და საკმაოდ არსებითი დარგი – დიპლომატიკა შეისწავლის. პრაქტიკული, მეცნიერულ მეთოდებს მოკლებული სანყისები დიპლომატიკისა ძველადვე ჩაისახა, ხოლო მისი განვითარება, სპეციალურ დარგად ჩამოყალიბება ფეოდალურ და პროგრესულად განწყობილ ბურჟუაზიულ წყაროთმცოდნეობათა ჭიდილში მოხდა.

მეცნიერებად გაფორმებისაკენ პირველ ნაბიჯებს დიპლომატიკა დგამდა როგორც სრულიად პრაქტიკული, უტილიტარული დარგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. მეცნიერული დიპლომატიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი, ცნობილი ბენედიქტელი ბერი ჟან მაბილიონი ისტორიული დოკუმენტების შესწავლასთან პრაქტიკულმა საჭიროებამ მიიყვანა. იგი აცხადებდა, რომ „დიპლომატიკა არის ხელოვნება ნამდვილი საბუთების გარჩევისა ყალბისაგან“.² აღნიშნული მომენტი პირველ რიგში დგას დღესაც, როდესაც ისტორიული დოკუმენტების შესწავლას წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით ვუყურებთ.

აქტების შესწავლა დიპლომატიკის თვალსაზრისით იწყება ამ აქტების მიმართ პალეოგრაფიის, ქრონოლოგიის, ისტორი-

1. „მაცნე“. 1966 წ.

2. А. А. Введенский, Лекции по документальному источниковедению истории СССР, изд. Киевского Университета, 1963, гл. 28.

ული გეოგრაფიის, ნუმისმატიკის, სფრაგისტიკის მონაცემთა საფუძველზე წარმოებული მეცნიერული კრიტიკით. ე. ი. გამოყენებულ უნდა იქნეს მთელი რიგი დამხმარე ისტორიული მეცნიერებანი. თავის მხრივ, დიპლომატიკა ისტორიულ მეცნიერებას აძლევს ზუსტ, შემონმებულ ცნობებს ისტორიული გეოგრაფიის, ქრონოლოგიისა და სხვა საკითხებში. ისტორიული დოკუმენტების საფუძველზე ირკვევა რიგი საკითხებისა ნუმისმატიკაში, სფრაგისტიკაში, ხოლო რიგ შემთხვევებში ისტორიული მეცნიერება მდიდრდება ახალი, მეტად მნიშვნელოვანი ხასიათის სარწმუნო ისტორიული ცნობებით.

ისტორიულ დოკუმენტებს საერთოდ და განსაკუთრებით სახელმწიფო კანცელარიიდან გამოსულ აქტებს ფორმის გაყინული, ტრადიციული სტანდარტი ახასიათებს. დიპლომატიკის ენაზე კლაუზულებად, ანუ ფორმულებად წოდებული ცალკეული დასრულებული წინადადებანი საბუთებისა იშვიათად იცვლებიან. ამდენად, ერთგვარად სტანდარტულია ამა თუ იმ სახეობის (ნასყიდობის, წყალობის, გაბრჭობის) დოკუმენტის ზოგადი ფორმულარიც. გამონაკლისს ამ მხრივ არც ქართული სიგელ-გუჯრები წარმოადგენს. ეს მომენტი აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული დიპლომატიკური ხასიათის კვლევა-ძიებისას.

ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს ე. წ. სასისხლო სიგელები. „დიპლომატიკა, – წერდა ივ. ჯავახიშვილი, – ყოველგვარი საბუთების აგებულება-დანეროლობას უნდა იკვლევდეს, მაგრამ რაკი პოლიტიკურ-კულტურული ისტორიისათვის ცნობები უფრო უხვად მეფეთა და მწყემსმთავრების საბუთებში მოიპოვება ხოლმე, ამიტომ ჩვეულებრივ სიგელთამცოდნეობა სწორედ ამ ორგვარი საბუთების შესწავლას აქცევდა და აქცევს ყურადღებას“.¹ სასისხლო სიგელები ივ. ჯავახიშვილის კვლევის სფეროში მოექცა იმდენად, რამდენადაც ისინი სამეფო სიგელებია. ქართული ფეოდალური სამართლის მიხედვით,

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, თბილისი, 1926, გვ. IV.

სასისხლო სიგელი არც შეიძლება ყოფილიყო გაცემული არასამეფო პირის მიერ. ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართლის კრებულში შესულ მხითარ გომის სამართლის 417-ე თავში ვკითხულობთ: „ქ. სისხლის სამართალი კელმნიფისა არის და მან უნდა ქნას, სხვას მოსამართლეს არ შეუძლია“.¹

ივ. ჯავახიშვილმა რიგი სასისხლო სიგელების შესწავლისას ეჭვი შეიტანა მათ ნამდვილობაში, დაასაბუთა ბევრი მათგანის სიყალბე, მაგრამ, სამწუხაროდ, შემდეგ ზეკრიტიკულად მიუდგა ყველა სასისხლო სიგელს და თავისი ნაშრომის ბოლოს დაასკვნა: „სასისხლო სიგელების ნაწილების დაწვრილებითი განხილვა როგორც ენისა და გამოთქმულობის მხრით, ისევე ქართული სიგელთამცოდნეობის წესების თვალთსაზრისით მათი შედარებითი შესწავლა ამ საბუთების ნატყუარობას ცხადპყფს. ამ სიგელების განხილვა პალეოგრაფიულად და მასალის მხრითაც შეიძლებოდა, ნაწერის დეტალური ანალიზიც ბევრს საგულისხმოდ დაკვირვებას შეგვძენდა მათი ნატყუარობის დასამტკიცებლად, მაგრამ სასისხლო სიგელები ისე უხვიროდ და უვიცად არიან შეთხზულ-მოჩმახული, რომ მათი ამგვარი გულდასმითი განხილვით დროს დაკარგვა არ ღირს“.²

ივ. ჯავახიშვილის შრომებში უმეტესწილად იგნორირებულია სასისხლო სიგელთა ცნობები. ასე მაგალითად, სპეციალურ გამოკვლევაში ნუმისმატიკა-მეტროლოგიის შესახებ, ივ. ჯავახიშვილმა სრულებით არ განიხილა სასისხლო სიგელებში სისხლის საზღაურის ფულად ერთეულად აღნიშნული მონეტა კირმანეული, რომელზეც ჩვენ ქვევით გვექნება ლაპარაკი, როგორც ქართულ ნუმისმატიკაში ახლა უკვე სრულიად უდავოდ დადასტურებულ XIII-XV სს. დასავლურ-ქართული ფულის ერთეულის შესახებ, რომლის რაობის გარკვევაში სწორედ სასისხლო სიგელებში დაცულმა ცნობებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი.

1. ქართული სამართლის ძეგლები, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ, თბილისი, 1963, გვ. 386.

2. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

ამთავითვე შეიძლება განვაცხადოთ: ყველა სასისხლო სიგელი ნატყუარიც რომ იყოს, მათში დაცული ცნობები მაინც გასათვალისწინებელია, რა თქმა უნდა, გარკვეული სიფრთხილით. რამდენადაც, ხელის მიხედვით მაინც, სასისხლო სიგელები ძველადვეა შექმნილი და საბუთში მოცემული ყველა ცნობა არასწორად რომ იყოს წარმოდგენილი, მაშინ თვით ყალბისქნელობა ყოველგვარ აზრს დაკარგავდა.

სასისხლო სიგელები, როგორც იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტები, ძნელად სახმარი ყოფილა უკვე ვახტანგ VI-ის დროს და, ალბათ, კარგა ხნით ადრეც იმ მიზეზებით, რაც სამართლის ნიგნშია განცხადებული: „არიან ზოგნი თავადნი და აზნაურნი, – ვკითხულობთ ვახტანგ VI-ის სამართლის 23-ე მუხლში, – ძველითგან კელმნიფეთაგან სისხლის განაჩენები აქვსთ, იმისი ჩვენ არა დაგვინერია რა, ამიტომ რომე არიან თავადნი, მაშინდელს დიდებაზე ისრევე მოუშლელნი იყვნენ, და არიან ზოგნი, ჩამომცრობილ იყვნენ, და ზოგნი მდაბალნი ამაღლებულ იყვნენ. ამიტომ იმ ძველის განაჩენებით, თუ არ მოუშლელის დიდებულისას, ჩვენ ვერას ვიტყვი. რომლისაც მოსამართლის ჟამში მათი საჩივარი და განაჩენები მოვიდეს, იმისი იმან იცის, მაგრამე მე ასრე მგონია, იმ ძველს განაჩენებზე სამართალი ძნელი იყოს, ამიტომ რომე მაშინ ქართველი ბატონიც დიდი კელმნიფე ყოფილა“.¹ კანონმდებელი მეფე სასისხლო სიგელებს პრაქტიკული თვალსაზრისით უდგება და ამ შემთხვევაში მათი ნაყალბეობა-ნამდვილობის საკითხი მისთვის არც დგას.

ივ. ჯავახიშვილის მიერ განვითარებულ თვალსაზრისს სასისხლო სიგელების შესახებ დიამეტრულად უპირისპირდება დამოკიდებულება ამ სიგელებისადმი პროფ. ს. კაკაბაძისა, რომელიც მათ უტყუარ საბუთებად მიიჩნევს და მხოლოდ ორ-

1. ვახტანგ VI, სამართლის ნიგნი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებელი დაურთო თ. ენუქიძემ, თბილისი, 1955, გვ. 55. ვახტანგ VI-ის სამართლის ნიგნთა კრებულის ზანდუკის №397-ის კიდეზე, იქ, სადაც აღნიშნული მუხლია მითითებული, წერია: „სისხლის ნიგნზე სამართლისა“ (გვ. 40).

იოდეს (კონკრეტულად არა აქვს მითითებული) ნამდვილობაში ეპარება ეჭვი. ს. კაკაბაძემ სპეციალური წერილი მიუძღვნა სასისხლო სიგელების შესწავლას (ახლად მოპოვებულ სასისხლო სიგელებთან დაკავშირებით).¹ ამ საკამოდ ვრცელ ნაშრომში არის მცდელობა, სასისხლო სიგელებში ისტორიული პირების მოხსენიების თვალსაზრისით დადასტურებული ქრონოლოგიური შეუსაბამობანი, სამეფო კანცელარიიდან გამოსული დოკუმენტებისთვის შეუწყნარებელი აშკარა უნიგნურობის ნიშნები და სხვა ცხადი უზუსტობანი საბუთების გადამწერთა კალმისმიერი ლაფსუსებით აიხსნას. სიგელებში კორექტივების შეტანით აღნიშნული საბუთების გამცემი მეფეები ისტორიულ პირებად არიან მიჩნეულნი. არის ცდები მათი ურთიერთგენეალოგიური კავშირის დადგენისა. ნატყუარ სასისხლო სიგელებში მოხსენიებულ მეფეთა ნამდვილობის აღიარების საფუძველზე ს. კაკაბაძე სპეციალური გამოკვლევებით შეეცადა სხვა ისტორიული წყაროებით დასავლეთ საქართველოს რამდენიმე უცნობი მეფე დაედგინა.²

სასისხლო სიგელები, მათი ნაყალბეობა-ნამდვილობა საინტერესოა არა მხოლოდ ცალკეული გვარების სოციალურ პრივილეგიათა ისტორიის თვალსაზრისით (თუმცა ეს თვალსაზრისიც არ არის მოკლებული ინტერესს), არამედ როგორც მასალა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიისათვის. ვიმეორებთ, რომ ამ თვალსაზრისით ფასეული ცნობები შეიძლება აშკარად ნაყალბევე საბუთებშიც გამოირჩეს, რამდენადაც ყალბი საბუთების შემდგენელნი ახლოს იყვნენ ხანასთან, რომლის შესახებაც საბუთს ქმნიდნენ. სარწმუნო ჩანს ს. კაკაბაძის მიერ სასისხლო სიგელების შესახებ გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება. „ყალბი სასისხლო სიგელების დამზადებას აზრი არ ექნებო-

1. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ. საისტორიო მოამბე, II, თბილისი, 1924.

2. იხ. ს. კაკაბაძე, ვახტანგ, უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფეთაგანი... თბილისი, 1912; მისივე უცნობი აფხაზ-იმერეთის მეფე თამარ II, თბილისი, 1913; მისივე ბაგრატი მეფე, XV ს. რაჭა-არგვეთის მფლობელი, თბილისი, 1913.

და, – წერს ს. კაკაბაძე, – თუ ანალოგიური თავისი შინაარსით და ფორმით საბუთები ცხოვრებაში მიღებული არ ყოფილიყო და საერთოდ მსვლელობაში არ იქნებოდა. ცხადია მაშასადამე, რომ ასე ბლომად მოღწეულ სასისხლო სიგელების ერთნაირ აგებულების ფაქტი თავისთავად უკვე უარყოფს ყველა მათი ყალბად გამოცხადების შესაძლებლობას¹. აქვე შევნიშნავთ – რამდენადაც სისხლის სამართლის ნორმებს ძველ საქართველოშიც ზოგადი საკანონმდებლო ძეგლები ანეხებდა, ამდენად, წარმოშობა სასისხლო სიგელებისა ალბათ მაინც ფალსიფიკაციით უნდა აიხსნას. შემდეგ ასეთი პარადოქსული მდგომარეობა შეიქმნა – სასისხლო სიგელების გამრავლებამ ანალოგიური უტყუარი საბუთები წარმოშვა.

აღნუსხული გვაქვს 50-მდე სასისხლო სიგელი. ამათგან დედნების ან ადრეული ასლების სახით კ. კეკელიძის სახ. ხელნაერთა ინსტიტუტში დაცულია 14, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში – 9, საქართველოს სახელმწიფო საისტორიო არქივში – 5.

ნიშანდობლივია, რომ დიდი ნაწილი სასისხლო სიგელებისა იმერული, დასავლურქართული წარმოშობისაა. თავისთავად ეს ფაქტი კიდევ უფრო ართულებს სასისხლო სიგელების შესწავლის საქმეს, ვინაიდან დასავლეთ საქართველოს ისტორია, შედარებით აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიასთან, ნაკლებადაა ცნობილი ნარატიული და დოკუმენტური მასალის სიმწირის გამო, რაც საქართველოს ამ ნაწილის შედარებით დაბალ კულტურულ-სამწერლო დონეზე მიუთითებს. შუა საუკუნეებში სახელმწიფოებრივი სამართალიც, ჩანს, იქ ნაკლებად იყო განვითარებული და თავისი უფლებრივი ნორმების დაცვას ან სოციალურ პრივილეგიათა მოპოვებას ცალკეული გვარები სასისხლო სიგელებით ცდილობდნენ.

დასავლეთ საქართველოს ისტორიული ქრონოლოგიის, პოლიტიკური ისტორიის მთელი რიგი საკითხების დასადგ-

1. ს. კაკაბაძე – ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთ-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა (რეცენზია). საისტორიო კრებული, ნიგნი II, თბილისი, 1928.

ენად, ავთენტური ქართული წყაროების უქონლობის გამო, ხშირად მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონთან დაცული ცნობები მოგვეპოვება. ამავე დროს, ვახუშტის „უწყებულებიდან“ ცნობილია მისი ჭარბი ნდობა საერთოდ სიგელ-გუჯრებისადმი, რომელთაგან მისთვის გამონაკლისს არც სასისხლო სიგელე-ბი შეადგენდა.

სასისხლო სიგელებიდან ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილავთ რამდენიმეს.

1. 1326 წ. („ქორონიკონი ათოთხმეტი“) სიგელი მიქელაძეებისა.¹ საბუთის დასაწყისი, როგორც მაჩვენებელი სიგელის ნატყუარობისა, ციტირებულია ივ. ჯავახიშვილის მიერ. „ქ. სახელთა ღმრთისათა, – ვკითხულობთ სიგელში, – მამისა, ძისათა, სულისა წმიდისათა შავთ (sic), შარვაშთა, კახთა, აფხაზთა, სომეხთ, კახთა, ქართველთა ყოვლისა მპყრობელმან მიქელ მეფისა ომშიდა მოკდა ეს საქმე – ჭარელიძესა აზნაური მიქელაძე შეაკუდა...“ მეფის ტიტულატურა დამახინჯებულია. „კახთას“ გამეორებას თავი რომ დავანებოთ, „შარვანშაჰი“ და „შაჰანშა“ „კახთა, აფხაზთა, სომეხთ“ გვერდით „შავთ“ და „შარვაშთად“ რომ ქცეულან, ეთნიკურ სახელებად შეიძლება მივიჩნიოთ. არეულია ტიტულატურის თითქმის ურყევი ტრადიციით მიღებული თანმიმდევრობაც. დასადგენია, „მიქელ მეფის“ შემდეგ საბუთში წერტილი უნდა დავსვათ, როგორც ეს დოკუმენტის გამომცემელ ექ. თაყაიშვილს გაუკეთებია, თუ ვიგულისხმობთ, რომ მიქელაძე მიქელ მეფის ომში მოკლეს. ბოლო შემთხვევაში გამოდის, რომ სიგელი მეფის გაცემული არ არის, რაც მას სულ ცალკე აყენებს სასისხლო სიგელების საერთო რიგიდან. სიგელის ნაყალბეობაზე მიუთითებს დასასრულს ნაწერი: „**დამინურია ქათალიკოს**“-ო.

სასისხლო სიგელში მიქელი მეფედაა მოხსენიებული 1326 წ. (თუ იქ მიქელ მეფის ომის წარსული ამბის მოთხრობა არ არის). ჟამთააღმწერლის ცნობით, იგი ძე იყო ნარინ დავითისა,

1. საქართველოს სიძველენი, II, გვ. 33, №26; ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-14793. დედანი არ გავაჩნია.

თავის ძმას კოსტანტინე მეფეს აუჯანყდა, რაჭა-არგვეთი ნა-ართვა და ძმებს შორის მათ გარდაცვალებამდე მშვიდობა არ ყოფილა.¹ ჟამთააღმწერლის თხზულება გიორგი ბრწყინვალის გამეფების მოთხრობით სრულდება და რამდენადაც იქ მიქელი უკვე გარდაცვლილადაა მოხსენიებული, ეს ქრონოლოგიურად არ შეესაბამება ვახუშტისთან დაცულ ცნობებს, რომელთა მიხედვით, დავით ნარინის ძე მიქელი 1327 წ. გამეფდა, ხოლო 1329 წ. გარდაიცვალა.²

სინას მთის მონასტრის სულთა მატიანეში ჩანერილია მოსახსენებელი: „დაჯითისთვის, და ძისა მათისა კონსტანტინეს-თჳს, და ძმისა მისისა მიქელისთჳს“.³

2. 1392 წ. 13/VI („ქრონა (sic) ოთხმოცა“) – სიგელი გაცემული ალექსანდრე მეფის მიერ.⁴ ამ სიგელშიც მეფის ტიტულატურა ძლიერ დამახინჯებულია და, საერთოდ, მნიგნობრული თვალსაზრისით, საბუთი დაბალ დონეზე დგას.

დამაეჭვებელია სრული სისხლის მეტად დიდი საფასური – „სამჯერ ასი ათასი კირმანეული თეთრი“. „ინდიქტიონის“ ნაცვლად საბუთში წერია „ინვდიკიონი“, ყოველგვარი რიცხვითი მაჩვენებლის გარეშე; „მნიგნობრის“ ნაცვლად წერია „მნიბრი“. თუმცა საბუთის verso-ზე ტექსტისავე ხელით აღნიშნულია: „ქ. ესე სიგელისა ძველისა დედოსაგან გარმოვნერეთ“-ო, მაგრამ ეს მინაწერი ნაყალბეობის კვალის დასა-კარგადაც რომ არ იყოს გაკეთებული, მაინც ძნელია ზემოთ აღნიშნული ლაფსუსები გადამწერის კალმისმიერ შეცდომებ-

1. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1959, გვ. 295₁₄₁.

2. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, თბილისი, 1913, გვ. 277, 361. ვფიქრობთ, უპირატესობა ჟამთააღმწერლის ცნობას უნდა მიენიჭოს. აღნიშნული ქრონოლოგიური შეუსაბამობა შენიშნული აქვს ს. კაკაბაძეს. ჟამთააღმწერლის და სასისხლო სიგელის მიქელ მეფე მას სხვადასხვა პირებად მიაჩნია და მათ შორის ახლო ნათესაურ კავშირს რატომღაც მათი საერთო სახელის მიხედვით ეძებს, იმ დროს, როდესაც დავით ნარინის ძე, ცხადია, ბაგრატიონი იყო. იხ. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 9-10.

3. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბილისი, 1947.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-932; ქრონიკები, II, გვ. 194.

ად მივიჩნით. უნდა ვიფიქროთ, თვით დედანი ყოფილა ნაყალბევი. ნაყალბეობის დამამტკიცებელი ნიშნების აღმოჩენა კიდევ შეიძლება.

ამ სიგელს სამეცნიერო ლიტერატურაში გორგაძეთა სასისხლო სიგელს უწოდებენ. მაგრამ დავით გორგაძე საბუთში ორჯერვე ჩვენი თანადროული და ისიც საკმაოდ ცუდი ხელით არის ჩანერილი, შესაძლოა, სწორედ იმ დ. გორგაძის მიერ, რომელმაც იმერეთიდან ჩამოტანილი ეს სიგელი თ. ჟორდანიას გადააწერინა.

სიგელის თარიღის თანადროულად საქართველოში ბაგრატ V დიდი მეფობდა. ვახუშტი ბაგრატიონთან 1387 წ. აღნიშნულია მიქელ მეფის ძის ბაგრატის შვილის ალექსანდრეს გამეფება, ხოლო 1389 წ. – მისი გარდაცვალება¹. სხვა ცნობები ამ ალექსანდრე იმერთა მეფის შესახებ არ გავაჩნია.

ს. კაკაბაძე სიგელის თარიღს ასე კითხულობს: „ქ^წსა ას პთ თვესა ივნისსა ცამეტსა“² (ე. ი. 1501 წ. – ალბათ, დედანში ასე იქნებოდა). ასე უცნაურად შედგენილი ქორონიკონი („ას პთ“) არც ერთ ქართულ სიგელს არა აქვს და ამგვარი ალბათობა მისაღები არ ჩანს.

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით (იგულისხმება ასოების: ო, პ, ნ, უ, ჩ, ც, წ ნუსხურიდან მხედრულისაკენ გარდამავლობა), საბუთი XV საუკუნისა უნდა იყოს, თუ იგი გრაფოლოგიურად მეტად ოსტატური მინაბაძი არ არის.

3. საინტერესო ცნობებს შეიცავს 1408 წ. 4 ივნისით („ქრონიკონსა ჟკ, ივნისსა დ, ინდიქტიონი მესამე“) დათარიღებული სასისხლო სიგელი, მიცემული კოსტანტინე მეფის მიერ გენათის მელვინეთუხუცეს ნაგროზ ცირილიაძისთვის³. კალიგრაფიულად სიგელი კარგადაა შესრულებული, პალეოგრაფიულადაც XV საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება, მნივნობრ-

1. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, გვ. 278, 362.

2. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 68.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-9019/9022; საქართველოს სიძველენი, III, №461, თბილისი, 1910, გვ. 432-435.

ული თვალსაზრისით კარგადაა გამართული და თითქოს რაიმე აშკარა ლაფსუსი მასში არ შეიმჩნევა. დოკუმენტის კრიტიკულ ანალიზს მეტად აძნელებს ის, რომ XV ს. დასაწყისის საქართველოს ისტორია სუსტადაა შესწავლილი. თანადროული ქართული წარატიული პირველწყაროები ამ პერიოდის შესახებ არ გაგვაჩნია, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებებისა და ვახუშტი ბაგრატიონის ცნობებით საეჭვო სურათი იქმნება.

ბაგრატ V-ის ძის, გიორგი VII-ის, თურქმანებთან ბრძოლაში დაღუპვის შემდეგ საქართველოში გამეფდა მისი ძმა კონსტანტინე I, რომელიც შემდგომში ყარაყონილუს (შავბატკნიანთა) ტომის ბელადმა ყარა-იუსუფმა მოკლა. საქართველოს მეფის ბაგრატ V-ის პარალელურად იმერეთშიც არის მმართველად ბაგრატი (ვახუშტი მას ერისთავს უწოდებს), რომლის ძეს, მეფე გიორგის, მეგრელთა მიერ მოკლულს, იმერეთის ტახტზე მისი ძმა კოსტანტინე ცვლის.¹

შირვანის ამირასთან დასახმარებლად მისული კოსტანტინე მეფე რომ ჩალალანში მოუკლავს ყარა-იუსუფს, ამის შესახებ ამ ამბის თანადროული სომხური ცნობა შემოგვრჩა მათეოს განძასარელისა.² ქართლის ცხოვრების გაგრძელებისა (მეორე ტექსტი) და ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ჩალალანში იმერთა მეფე კოსტანტინე მოკლეს.³

საქართველოს და ცალკე იმერეთის მეფეთა მონაცვლეობა-ნათესაობის მიხედვით ზუსტ დამთხვევას თავი რომ დავანებოთ, ძმების (გიორგის შემდეგ კონსტანტინეს) ტახტზე მონაცვლეობა თავისთავად მემკვიდრეობის ფეოდალური წესის დარღვევაა და ცხადია, ამ ანომალიის გამეორება ქართლ-კახეთსა და იმერეთში იმდროინდელი საქართველოს პოლიტიკური ისტორიის წარმოდგენილ სურათს მეტად საეჭვოს ხდის.

1. იხ. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 472^{ა-ბ}; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, გვ. 279.

2. ი. აბულაძე, მათეოს განძასარელის ცნობა ქართველთა მეფის კოსტანტინეს შესახებ. ენიშკის მოამბე, 1940, V-VI, გვ. 47-55.

3. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 472^{ა-ბ}; ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, II, გვ. 280.

ივ. ჯავახიშვილმა, მიუხედავად მისი სკეპტიკური დამოკიდებულებისა სასისხლო სიგელებისადმი, სხვა ისტორიულ მასალასთან ერთად გამოიყენა ცირლილაძეთა სიგელის თავში მოცემული ცნობა: „კოსტანტინესაგან ბაგრატიონიანისა, ძისა ბაგრატისა, და ძეთა ჩუენთა სასურველთა ალექსანდრე, ბაგრატ და გიორგისაგან“ და ამით გაასწორა შეცდომა ვახუშტი ბაგრატიონისა, რომელსაც ალექსანდრე I გიორგი VII-ის ძედ მიაჩნდა.¹ დადგინდა, რომ ალექსანდრე I კონსტანტინე I-ის ძე იყო. ჯვრის მონასტრის სულთა მატიანეში დაცული ცნობა, რომელიც ადგილის მიხედვით ალექსანდრე I-ს ეხება, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ალექსანდრე კონსტანტინე I-ის ძე იყო: „პირველსა კურიაკესა წმიდათა მარხვათასა წირვა და ალაპი საუკუნო კოსტანტინ(ე)ს შვილისა ალექსანდრესი, შეუნდვენ ღმერთმან“.²

ამრიგად, სასისხლო სიგელის ცნობამ ქვეყნარტების დადგენაში წვლილი შეიტანა.

ცირლილაძეთა სიგელი 1408 წ. 4 ივნისით, კოსტანტინე I-ის მეფობის მესამე ინდიქტიონით არის დათარიღებული და გამოდის, რომ კოსტანტინე I 1406 წ. გამეფებულა. კოსტანტინეს გამეფებისა და მისი წინამავალი მეფის გიორგი VII-ის მოკვლის თარიღი ვახუშტი ბაგრატიონთან არის დაცული: „... შემდგომად ძლიერისა ბრძოლისა მოიკლა მეფე გიორგი თურქთაგან 1407... შემდგომად გიორგი მეფისა დაჯდა მეფედ ძმა მისი კოსტანტინე“.³ ვფიქრობთ, რომ კოსტანტინეს გამეფებისა და, შესაბამისად, გიორგი VII-ის ზეობის ზედა თარიღად ჩვენი სასისხლო სიგელის თარიღის – 1406 წ. – მიღება უფრო მართებულია. „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებაში (მეორე ტექსტი) ვკითხულობთ: „გარდაჰქდა დიდი მეფე ბაგრატ იმერეთისა, და დაჯდა მეფედ ძე ბაგრატისა კოსტანტინე“.

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 25-26.

2. ელ. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, 1962, გვ. 72.

3. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, I, დ. ბაქრაძის გამოცემა, გვ. 296.

ტინე, და იმეფა შუდ ნელ, და მოკლეს ჩალალას".¹ ბაგრატი და კოსტანტინე აქ შეცდომით იმერთა მეფეებად არიან მიჩნეულნი, მაგრამ თუ მივიღებთ, რომ 1406 წ. გამეფებულ საქართველოს მეფე კოსტანტინეს უმეფია 7 წელი, იგი მეფედ ყოფილა 1413 წლამდე, რაც უფრო სანდო წყაროებითაც დასტურდება. თემურიანთა პერიოდის ისტორიკოსების ფასიჰი ჰაფის და აბდ არ-რეზაყ სამარყანდის ავთენტური ხასიათის ცნობათა შეჯერების საფუძველზე გამოდის, რომ ყარაყონლუს ბელადს ყარა-იუსუფს შეიხი იბრაჰიმ შირვანელი და მის დასახმარებლად მისული ქართველთა მეფე კოსტანტინე 1412 წ. დეკემბრის შუა რიცხვებში დაუმარცხებია. შეპყრობილი კოსტანტინე მეფე მის მხლებელ 300 აზნაურთან ერთად მოუკლავთ, ხოლო შეიხი იბრაჰიმ შირვანელი თავრიზს გაუგზავნიათ.²

კოსტანტინე I-ის მეფობის ზედა თარიღის შესახებ ქართული ცნობები მეტად განსხვავებულია.³ ერთ ქრონიკალური ხასიათის ქართულ ცნობაში კორექტივის შეტანით („ქრონიკონსა პ[ი]თ (99-1411 წ.) მეფე კოსტანტინე მოკლეს ჩალალანს“) ივ. ჯავახიშვილმა მიიჩნია, რომ მეფე კონსტანტინე 1411 წ. მოკლეს, ხოლო კოსტანტინეს ძის ალექსანდრე I-ის ინდიქტიონიანი სიგელების შესწავლის საფუძველზე მან დაადგინა, რომ ალექსანდრე I 1412 წ. 20 თებერვალსა და 11 მარტს შორის პერიოდში გამეფდა.⁴

1. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 472²⁰¹; ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვითაც კოსტანტინეს 7 წელი უმეფია: 1407-1414 წწ. იხ. ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 363.

2. სპარსულენოვანი ისტორიკოსების: ფასიჰი ჰაფის და აბდ არ-რეზაყ სამარყანდის ცნობებით ვისარგებლეთ დ. კაციტაძის შრომიდან – „ფასიჰი ჰაფის „შაჯღალე ფასიჰის“ ცნობები საქართველოს შესახებ“, რომელიც ავტორმა ხელნაწერის სახით გაგვაცნო, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

3. 1401-1402 წწ. – ქრონიკები, II, გვ. 206; 1414 წ. – ვახუშტი, საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 363.

4. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1941, გვ. 232; წიგნი IV, 1948, გვ. 19. გაპარულია მექანიკური შეცდომა: ბუირთელის მიერ მცხეთისთვის მიცემულ ყმა-მამულის შეწირულების წიგნის თარიღის – 1413 წ. I/III ნაცვლად ივ. ჯავახიშვილთან არის 21/III (იხ. ქრონიკები, II, გვ. 220).

ახლა ვიცით, რომ კოსტანტინე 1412 წლის დეკემბერში მოუკლავთ. ალექსანდრე I-ის ინდიქტიონიანი სიგელების ივ. ჯავახიშვილის მიერვე შედგენილი ტაბულის 8 დოკუმენტი ალექსანდრეს გამეფებას 1413 წ. ანგარიშობს, ხოლო ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ადრეული სიგელი ალექსანდრე მეფისა 1413 წ. 11/III არის დათარიღებული. ამრიგად, გამეფებულა ალექსანდრე I 1413 წლის დასაწყისში, არაუგვიანეს 11 მარტისა. ალექსანდრეს გამეფების ამ თარიღს იზიარებდნენ მ. ბროსე და დ. ბაქრაძე.¹

ცირლილაძეთა სიგელით კიდევ ერთხელ ჩანს, რომ მონღოლთა ბატონობის პერიოდში იმერეთში ჩანერგილი სეპარატიზმი ნოყიერ ნიადაგზე მოხვდა და ამ მხარის შემომტკიცება მის ცალკე სამეფოდ საბოლოოდ გამოყოფამდე აღარ მოხერხდა. გელათის მეღვინეთუხუცეს ნაუროზ ცირლილაძისათვის მიცემულ ამკარად იმერული წარმოშობის სიგელში მეფის მოხელეთა ჩამოთვლისას პირველ რიგში დასახელებული არიან: დადიანი, სვანთა ერისთავი, გურიელი და შემდეგ ქართლის ერისთავნი. სიგელი კი გაცემულია **საქართველოს მეფის კოსტანტინე I-ის მიერ.**

ცირლილაძეთა სიგელს დოკუმენტის ძალას უნდა ანიჭებდეს კოსტანტინე მეფის ხელრთვა: „ქ. კოსტანტინე ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა“. მომდევნო ხელრთვა: „ქ. მეფეთ-მეფე ალექსანდრე მონამე ვარ“, გვაიძულებს ეჭვი შევიტანოთ სიგელის ნამდვილობაში. როგორც კოსტანტინეს მომდევნო მეფე, მისი ძე ალექსანდრე დამამტკიცებელი უნდა ყოფილიყო სიგელისა და არა მონამე.

1. მეფე (კოსტანტინე - ჯ. თ.) დამარცხების შემდეგ დაატყვევეს 1413 წ. დასაწყისს და დანარჩენი ქართველები გაჰსწყვიტეს“, - ვკითხულობთ მ. ბროსესთან, რომელიც აქ ისტორიკოს მირხონდს იყენებს წყაროდ. მირხონდთან არ არის კოსტანტინეს მოკვლის თარიღი და რას ეყრდნობა მ. ბროსე თარიღის საკითხში, არ ვიცით. იხ. მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, I გამოცემა სიმონ და ნიკოლოზ ლოლობერიძეთა მიერ, 1895, გვ. 15.

1413-1442 წწ. არის დათარიღებული ალექსანდრე I-ის მეფობა ვახუშტი ბაგრატიონის „საქართველოს ცხოვრების“ I ნიგნში, გვ. 297.

4. 1452 წ. („ქრონოკონსა ას ორმოცსა და ინდიკოსნა (sic) მეფობასა ჩვენისასა მეათესა“) სასისხლო სიგელი, მიცემული კოსტანტინე აღმაშენებლის მიერ ავჟანდაძისათვის.¹

მარი ბროსესა და თ. ყორდანიას ეს საბუთი ყალბად უცნიათ, ხოლო ივ. ჯავახიშვილი სრული საფუძვლიანობით ასაბუთებს სიგელის ნაყალბეობას.² საინტერესოა რუსული მინანური სიგელის დასასრულს: „Сей документ в имеретинском временном правлении от крестьянина... оребя Абжандадзева 12 мая 1824 года явлен и в книгу под №913 записан...“ და შემდეგ: „ესეა, მდივანბეგი თავადი (თ-ი) დავით ჩხეიძე“. სიგელის მიხედვით, ავჟანდაძეებს ჯერ კიდევ ლიონ მეფისაგან სრული სისხლის საფასურად ორასი ათასი ბოტინატური თეთრი ჰქონიათ გაჩენილი, მაგრამ, ჩანს, ნაყალბე სიგელს არ გაუჭრია და რუსულ მმართველობაში ეს სიგელი გლეხმა ავჟანდაძემ წარადგინა.

ავჟანდაძეთა სიგელში მოთხრობილია ნახევრად ზღაპრული ამბავი გელათის მშენებლობისას გაღავნიდან გადმოვარდნილი დავით აღმაშენებლის განკურნებისა ავჟანდაძეთა 12 ფურირმის რძით, დავითის ისტორიკოსთან ეს ამბავი ერთგვარ დადასტურებას პოულობს. საისტორიო თხზულებაში დავითის შესახებ ვკითხულობთ: „...მრავალგზის მრავალთა მიზეზთა და განსაცდელთა სიკუდილისათა შთავარდა იგი“.³

5. 1455 წ. 8/X („ქ-კს რმგ, ინდიკტიონსა ი, ოქტონბერსა 0“) სასისხლო სიგელი და ყმა-მამულის წყალობის განახლების წიგნი, მიცემული გიორგი მეფის მიერ მეღვინეთუხუცეს ასათ ვაჩნაძისათვის.⁴ ივ. ჯავახიშვილს, უტყუარ სიგელებზე დაყრდნობით, დადგენილი აქვს, რომ გიორგი VIII 1446 წ. 25 დეკემბრის

1. ხელნაერთა ინსტიტუტი, Sd-521; ქრონიკები, II, გვ. 264-266. საბუთის გამომცემელთა არასწორი წაკითხვის გამო ეს სიგელი ცნობილი იყო ავჟანდაძეთა სიგელად.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, გვ. 168, 173; ქრონიკები, II, გვ. 264.

3. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 361₁₆₋₁₇.

4. ხელნაერთა ინსტიტუტი, Hd-7588 პ; ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

ახლო ხანებში გამეფდა და მას 1454-1456 წწ. მეორე ცოლად უნდა შეერთო დედოფალი ნესტან-დარეჯანი.¹ ვაჩნაძეების სიგელშიც 1455 წ. გიორგი მეფის მეუღლედ მოხსენიებულია დედოფალი ნესტარჯან (sic), ხოლო იქ მოცემული ინდიქტიონი ი, ივ. ჯავახიშვილის მიერ დადგენილ გიორგი VIII-ის გამეფების თარიღთან შედარებით ერთნაირად სხვაობას იძლევა.

საინტერესოა სიგელში ვაჩნაძეთა სრული სისხლის საზღაურის ფორმულირება: „ან ჩუენცა სიგლითა ამით შევიწყალეთ და გაგიჩინეთ თქუენის გვარისა სისხლი რვასი ათასი კირმანეული და საზაოდ და სანახშირედ მოგ[ე]ცეს. და ამა თეთრისა საქმე ასე უწყოდეთ: ბერძენთა მეფეს კირმანეულ ერქვა და მისეულად კირმანეულისეული ჰქვიათ. არის წონითა ერთი თეთრი, ერთი დრამის წონა წმინდა ხალასი ვერცხლი“. დამაქვებელია სისხლის საზღაურის მეტად დიდი ოდენობა – 800 000 კირმანეული (სხვა მხრივ კი ამ ცნობამ ნუმიზმატიკებს საშუალება მისცა, გაერკვიათ XIII-XV სს. დასავლურქართული ფულის – კირმანეულის სახელწოდება).² ნუმიზმატიკა გ. დუნდუამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ კირმანეულის, დასავლეთ საქართველოში დადასტურებული და ფართოდ გავრცელებული ფულის, რაობა და ოდენობა სპეციალურად განმარტებულია სწორედ აღმოსავლურქართულ სასისხლო სიგელებში (ყურულების სიგელის მონაცემებზე ქვევით გვექნება ლაპარაკი), ე. ი. იმ სამყაროში, სადაც ეს ფული უცხოა, ნაკლებადაა გავრცელებული.³ აქვე დავძენთ, რომ თვით სასისხლო სიგელების წარმოშობა დასავლურქართული მოვლენა უნდა იყოს. ამიტომაც, რომ აღმოსავლურქართული

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 48-49.

2. იხ. თ. აბრამიშვილი, XIII-XIV სს. დასავლურ-ქართული ფული, თბილისი, 1959, გვ. 43. თავის დროზე სწორად განუმარტავს კირმანეული მ. ბროსესაც. იხ. იქვე. ცირილილაძეთა სიგელში აღნიშნული საზღაური სისხლისა – 120 000 ძველი თეთრი, ვაჩნაძეთა სიგელის ცნობის საფუძველზე (1 კირმანეული=1 თეთრს), 120 000 კირმანეულის ტოლია.

3. გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბილისი, 1964, გვ. 93-94.

სასისხლო სიგელების ფულადი საზღაურის ერთეული – კირმანეული – არ არის დამახასიათებელი ადგილობრივი გარემოსათვის და როგორც დასავლეთ საქართველოდან სიგელის ტიპთან ერთად გადმონერგული ფულის ერთეული, განმარტებას საჭიროებს.

ვაჩნაძეების სასისხლო სიგელის დამწერი რატი წირქვალელისძე ცნობილია, როგორც გიორგი VIII-ის სამი სანდო საბუთის შემდგენი. 1451 წ. I/VII მას დაუწერია სოფლის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი მეფის მიერ ვირშელ წულუკისძისთვის.¹ 1453 წ. 12/XI მუშრიბ რატი წირქვალელისძის მიერ არის დაწერილი ყმა-მამულის წყალობის წიგნი, მიცემული გიორგი მეფის მიერ გორის მოურავ ზევედგინიძისთვის.² 1468 წ. 22/III წირქვალელ გლონისთავისძე რატის დაუწერია გიორგი მეფის მიერ მცხეთისთვის მიცემული სათათრო მალის ამოკვეთის წიგნი.³ სასისხლო სიგელის დედანი არ გაგვაჩნია და ხელის მიხედვით საბუთების შედარების შესაძლებლობას, სამწუხაროდ, მოკლებული ვართ.

6. 1460 წ. 12/VI („ქ“ კნსა რმშ, ინდიქტიონს მეთხუთმეტესა, ივნისსა ათორმეტსა“) სასისხლო სიგელი, მიცემული გიორგი მეფის მიერ მღვდელ გიორგი ყურულისთვის.⁴

პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით (ძალიან დამახასიათებელია ასოები: ა, ბ, გ, ო, პ, ჩ), სიგელი უდავოდ XV საუკუნისაა. საბუთი კარგად, სწორადაა გაფორმებული. სწორად არის აღნიშნული ინდიქტიონი გიორგი VIII-ის მეფობისა და მისი სახლობა: დედოფალი ნესტან-დარეჯანი და ძე ალექსანდრე. ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს: „ყურულიანთ სიგელი დანარჩენებს სჯობია, მაგრამ აქაც არა ერთი და ორი საეჭვო თვისების ცნობა მოიპოვება“.⁵

1. საქართველოს სიძველენი, I, №1, თბილისი, 1899, გვ. 1, 3.

2. ქრონიკები, II, გვ. 266.

3. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Hd-1370; ქრონიკები, II, გვ. 289.

4. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Qd-7118; საქართველოს სიძველენი, I, №2 გვ. 6; ქრონიკები, II, გვ. 278.

5. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სიგელთა-მცოდნეობა... გვ. 185.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შემჩნეული და სპეციალურად განილული სიგელის საეჭვო ცნობები ძირითადად ამ საბუთის გამოცემელთაგან (ექ. თაყაიშვილი, თ. ჟორდანიას) საბუთის ტექსტის არასწორი წაკითხვიდან მომდინარეობს.

საბუთის verso-ზე არის ამ სიგელის საყურადღებო დამტკიცება ბაგრატ მეფის მიერ: „ქ. შემდგომად ამისა ჩუენ, ღ-თივ გუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრატ, ნებითა ღ-თისათა, დავიპყართ მეფობა ორისავე ტახტისა ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა და ვნახეთ სიგელი ესე სასისხლო შეწყალებისა, ბიძისა ჩუენისა გ-გისგან წყალობით ბოძებული, და ჩუენცა შეგინწყალეთ და დაგიმტკიცეთ...“ აქ ასახულია საქართველოს ისტორიაში ცნობილი რეალური ვითარება – იმერეთიდან გადმოსულმა ბაგრატ მეფემ დაიპყრო მეფობა ორივე ტახტისა იმერ-ამერისა. ქართლში ბაგრატ VI-ის გაბატონების მცდელობას აღნიშნავს ზედგენიძეთა ერთი უთარილო სიგელიც, სადაც ნერიას, რომ ბაგრატ მეფე ქართლში გადმოვიდა და ციციშვილების წინააღმდეგ გაილაშქრა.¹ ბაგრატ მეფისეული დამტკიცებების თარიღად სიგელში აღნიშნულია ქორონიკონი რგ – 1472 წელი, რაც ექ. თაყაიშვილის გამოცემაში (საქართველოს სიძველენი, I, №2) სწორადაა შეტანილი. ამდენად, სწორია იქვე მითითებული „ზ“ (7) ინდიქტიონი ბაგრატის მეფობისა (იგულისხმება ორივე ტახტის მპყრობელად მისი გახდომა). ბაგრატი 1465 წლიდან, მას შემდეგ, რაც გიორგი VIII ყვარყვარე ათაბაგმა შეიპყრო, გახდა ერთიანი საქართველოს მეფე.² ივ. ჯავახიშვილის შენიშვნა: „ჟურულიანთ სასისხლო სიგელში ბაგრატის მეფობის ინდიქტიონიც ათწლიანი შეცდომით არის აღნიშნული“ და ამ დასკვნისათვის წამძღვარებული მსჯელობა, თ. ჟორდანიას მიერ ქორონიკონ „რგ“-ს შეცდომით „რო“-დ წაკითხვიდან მომდინარეობს.³

1. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Sd-1242; ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობიდან XV საუკუნეში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1937.

2. იხ. ჯ. ოდიშელი, აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის (XIV-XVII სს.); მისივე XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბილისი, 1964, გვ. 82.

3. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

ექ. თაყაიშვილის მიერ ნაკითხული „დიდ მეფეს გიორგის ხელითა ჩემითა დამიმტკიცებია“-ო, ივ. ჯავახიშვილს, როგორც გამოვლენა შეუწყნარებელი თავმომწონეობისა და უზრდელობისა, საკმაოდ საფუძვლიანად ახირებულ გამოთქმად მიაჩნია და ამის გამოც შეაქვს ეჭვი სიგელის ნამდვილობაში.¹ მაგრამ საქმე ის არის, რომ ყურულების სასისხლო სიგელი დამტკიცებულია გიორგი VIII-ისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ხელრთვითი ფორმულით: „ქ. მეფეს გიორგის დამიმტკიცებია“. – ასეა დედანში.²

ვანნაძეთა სასისხლო სიგელის განხილვისას აღნიშნული იყო, რომ კირმანეული, XIII-XV სს. დასავლურქართული ფული, ნაკლებად იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში. აღმოსავლურ სიგელებში სისხლის ფულადი საზღაურის ამ მონეტით დაანგარიშება, ვფიქრობთ, გამონევეულია თვით სასისხლო სიგელების, როგორც იურიდიულ-უფლებრივი დოკუმენტების, თავდაპირველად დასავლეთ საქართველოში ჩასახვით. დასავლური სასისხლო სიგელები ერთგვარი პროტოტიპები უნდა ყოფილიყვნენ აღმოსავლეთ საქართველოში, უკვე სხვა პოლიტიკურ-სამართლებრივ სიტუაციაში წარმოქმნილი სასისხლო სიგელებისა, რასაც უნდა გამოენვია სისხლის ფულადი საზღაურის ერთეულის აღმნიშვნელი მონეტის მექანიკური გადახერგვა დასავლეთიდან აღმოსავლეთში.

კირმანეული უცხოა აღმოსავლეთ საქართველოსთვის. ყურულების სიგელის ბაგრატ მეფისეულ დამტკიცებაში აღნიშნულია: „ვინცა კირმანაულისა თეთრისა ვითარობა არ იცოდეს, კირმანური თანგისა ზომა არის“-ო. ე. ი. აღმოსავლეთ საქართველოში კირმანეულის შესატყვისი ფულის ერთეული ყოფილა თანგა.

1. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

2. შეადარე – „ქ. მეფე გიორგი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა ამინ“ (ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, თბილისი, 1913, გვ. 29; იქვე იხ. მსგავსი ხელრთვები, გვ. 32, 36). ამრიგად, ს. კაკაბაძის მსჯელობა იმის შესახებ, რომ გიორგი მეფეს შეეძლო თავისი თავისთვის „დიდი“ ენოდებინა, უსაგნოა (იხ. მისი რეცენზია ივ. ჯავახიშვილის სიგელთამცოდნეობის შესახებ, გვ. 95-97).

ერთ-ერთი მთავარი და საკმაოდ საფუძვლიანი არგუმენტი, რომლის მიხედვითაც ივ. ჯავახიშვილი სასისხლო სიგელებს ნატყუარ საბუთებად მიიჩნევს, არის იქ აღნიშნული ძალიან დიდი ოდენობა სისხლის ფულადი საზღაურისა (900 000 კირმანეული თეთრი ბაქრაძეთა სიგელით, 365 000 კირმანეული თოფურიძეთა სიგელით, 400 000 ძველი ცხუმური თეთრი – ორალელისძე-კვიციანიშვილთა საბუთით, 500 000 თეთრი გურალიძეთა სიგელით და სხვ.). ივ. ჯავახიშვილს ამოკრებილი აქვს ცნობები სისხლის საზღაურის შესახებ კანონმდებლობის ქართული ძეგლებიდან: „გიორგი ბრწყინვალეს მსახურეული და საპატიო აზნაურისათვის სისხლად 6000 თეთრი აქვს მხოლოდ დანესებული, ხოლო ბექა-ალბულას სამართლის წიგნში თვით დიდებულის სისხლიც კი 40 000 თეთრად იყო შეფასებული, საპატიო აზნაურისათვის კი მხოლოდ 20 000 თეთრი არის აღნიშნული სისხლად, ვახტანგ VI კი დიდებული თავადის სისხლად 1536 თუმანი, გადიდებული აზნაურისათვისაც მხოლოდ 192 თუმანი ჰქონდა გადაწყვეტილი“.¹ ისტორიულად განსხვავებულ სხვადასხვა პერიოდში შედგენილ ამ საკანონმდებლო ძეგლებში მოცემული სისხლის საფასურის ფულადი ოდენობის თანაფარდობის გარკვევა ჯერჯერობით ვერ ხერხდება, ვინაიდან ბრუნვაში მყოფი მონეტების ცვალებადი მსყიდველობითი უნარიანობის დადგენა ნუმიზმატიკის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა იყო და არის.

ჟურულების სასისხლო სიგელში სრული სისხლის საურავად გადაწყვეტილია 160 000 კირმანეული თეთრი. ეს უნდა იყოს დამნაშავეისათვის დაკისრებული ქონებრივ-მატერიალური საზღაურის, ძირითადად ყმა-მამულის, ნომინალური ფასი, რაც დამახასიათებელია ფეოდალური საზოგადოების სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისათვის. გამორიცხული არ არის, რომ საურავის ნაწილი ანაზღაურდებოდა მონეტებით. ამ შემთხვევაში კირმანეულის შესატყვისი მონეტით – თანგათი. განვიხილოთ, რა ოდენობის თანხაა 160 000 კირმანეული, ანუ 160 000 თანგა.

1. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 178.

სომეხ ისტორიკოს თომა მენოფელს მოთხრობილი აქვს თავრიზის მფლობელის ჯეჰან-შაჰის საქართველოში შემოსევა 1440 წ. და მის მიერ სამშვილდის დარბევა-გაძარცვა. სპეციალურადაა აღნიშნული მოსახლეობის – როგორც სოფლელების, ისე ქალაქელების – ისეთი გაღარიბება, რომ მათ 1000 თანგის გადახდაც კი არ შეეძლოთ ახლობელ-ნათესავთა გამოსახსნელად იმ დროს, როდესაც თითოეულ ტყვეს 1000 თანგად თავისუფლებას ანიჭებდნენ.¹

გიორგი VIII-ის დროინდელ ერთ საბუთში – დავით კათალიკოსისთვის მიცემულ კალაურელთა და გორგიაშვილების მიერ ერთმანეთში კეთილმოყვრობის პირობის წიგნში ვკითხულობთ: „თუ... ჩუენგან ერთმანეთზედა ავ-კაცობა გამოვიდეს, თქუენი და თქუენის საყდრის შემცოდენი ვიყუნეთ და კუამლისთავსა ათას-ათასი თანგა მოგაბსენოთ“.²

1460 წ. გიორგი VIII-ის მიერ ზუიადისშვილებისთვის მიცემულ ყმა-მამულის წყალობის წიგნში ვკითხულობთ: „თქუენგან მოგუხსენდა ამისად ქრთამად: ქამხა სამი, იაზღური ხარა ერთი, ოქროს სალტე სამი – ოცდათორმეტი მიტყალია, ფეროზიანი ოქროს ბეჭედი ერთი, ვენეტიკური ფლური ოცდაათი, ვერცხლის თასი ერთი. ამას გარეთ კათალიკოზსა (ქ~ზსა) მიუხნდა თანგა ხუთასი. და კიდევ მოგუხნუდა: სომი ერთი, სკლატი ერთი, თასი ერთი, უნაგირი ერთი, ფლური ოთხი“.³ ათასი თანგა ალაპის ფასი ყოფილა უფრო მოგვიანებით – 1512 წ. და 1531 წ.⁴

როგორც დავინახეთ, თანგა, რომელიც ხუთასობითა და ათასობით ანგარიშდებოდა, არცთუ დიდი ფასის ფულადი ერთეული უნდა ყოფილიყო. კეთილმოყვრობის პირობის დარღვევისათვის თითოეულ კომლს კალაურელებისა და გორგია-

1. თომა მენოფელი, თარგმანი, შესავალი წერილი და კომენტარები ლ. მელიქსეთ-ბეგისა, თბილისი, 1937, გვ. 28.

2. ქრონიკები, II, გვ. 270.

3. იქვე, 277-278; ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, III, გვ. 36.

4. ქრონიკები, II, გვ. 329; საქართველოს სიძველენი, II, გვ. 401.

შვილებისას ათას-ათასი თანგა უნდა გადაეხადათ. ძირითადი ფულად-სასაქონლო საზღაურის გარდა, ზვიადაშვილებს 500 თანგა კათალიკოსისთვისაც მიუციათ. ყველაზე ფასეულია ჩვენთვის თომა მენოფელის ცნობა: ტყვე ყმა-გლეხის საშუალო ღირებულების მიხედვით გაიყიდებოდა, ხოლო ისტორიკოსის მიერ სპეციალური აღნიშვნა ხალხის ისეთი სიღარიბისა, რომ მათ ტყვეში 1000 თანგის გადახდაც კი არ შეეძლოთ, ერთხელ კიდევ გვარწმუნებს თანგის, როგორც მონეტის, დაბალ ფასში.

ყოველივე ზემოთ თქმულის, განსაკუთრებით კი მენოფელის ცნობის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ყურულების სრული სისხლი დაახლოებით 160 ყმა-გლეხის ღირებულებას უდრის, რაც დაუჯერებლად არ მოჩანს.

გერგეტის სულთა მატიანის იმ ნაწილში, ათაბაგთა ათაბაგ ყვარყვარეს მოსახსენებლით რომ იწყება, ერისთავთერისთავ შალვა ქვენიფნეველის მოსახსენებლის მახლობლად ჩანერილია: „სულსა ყურულისა წინამძღურისა გიორგისსა (გ^ეისსა) შ^ენ ღ^ენ. მეფეთა წინა მოსაქმე იყო და სიგელიცა მან დაგუნერა“.¹ ეს მოსახსენებელი სწორედ იმ გიორგი ყურულს, ანუ ყურულისშვილ გიორგის უნდა ეკუთვნოდეს, რომლისთვისაც გიორგი VIII-ს სასისხლო სიგელი მიუცია.

სიგელის დასაწყისში აღნიშნულია, რომ გიორგი მეფემ ყურულს სიგელი მისცა „ერისთვისა შალვასა და ლარგუელისა კითხვითა“. შალვა და ლარგუელ ქვენიფნეველ ერისთავთა საგვარეულო სახელებია და, ამდენად, შალვა იგივე შალვა ქვენიფნეველია, რომლის მოსახსენებელი გერგეტის სულთა მატიანეში გიორგი ყურულის მოსახსენებლის მახლობლად არის ჩანერილი.

გიორგი მეფის ხელრთვის შემდეგ ყურულების სიგელს ამტკიცებს ქართლის კათალიკოსი მარკოზი: „ქ. ჩუენ, ქრისტეს ღუთისა მიერ ქართლისა კათალიკოზი მარკოზ განაჩენითა

1. ქრ. შარაშიძე, საქართველოს ისტორიის მასალები (XV-XVIII სს.). მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 280.

ვამტკიცებთ“. იმავე ფორმულით („ქ. ჩუენ ქრისტესა ლუთისა მიერ ქართლისა კათალიკოზი მარკოზ კანუნითა ვამტკიცებთ“) არის დამტკიცებული 1464 წ. 13/XII კათალიკოს მარკოზის მიერ მეჯინიბეთუხუცეს მამისა ბერინაშვილისა და მისრი ედილაშვილისთვის მიცემული ყმა-მამულის წყალობის დამტკიცების წიგნი.¹ 1465 წ. 23/IV ერისთავ ვამიყ შაბურისძეს ყმა-მამული შეუწირავს სვეტიცხოვლისთვის, კათალიკოს მარკოზისთვის.²

ისტორიული დოკუმენტებით აგრეთვე დადასტურებულია ქართლის კათალიკოსად დავითი (1466-1479 წწ.), 1472 წ. ბაგრატ VI-ის შემდგომი დამამტკიცებელი ჟურულების სიგელისა.³

ამრიგად, ჟურულების სასისხლო სიგელში ნაყალბეობა არ ჩანს, პირიქით, საბუთი მეტად ფასეულია იქ დაცული ისტორიული ცნობების გამო. საბუთში უცენზურო სიტყვა შეიძლება ან დანაშაულის (გაუპატიურების) კონკრეტიზაციის მიზნით (ს. კაკაბაძე), ან იმერული ნაყალბევი სიგელების გავლენით მოხვდა და ამ დოკუმენტის ნაყალბეობის დამამტკიცებელ არგუმენტად არ გამოდგება.

სიგელში ბაგრატ VI ბიძას უწოდებს გიორგი VIII, რაც შესაძლებელია არც ეწინააღმდეგებოდეს ელ. მეტრეველის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, გიორგი VIII და ბაგრატ VI ბიძაშვილები გამოდიან.⁴ ასაკობრივი სხვაობის შედეგად ხშირად უმცროსი ბიძაშვილი უფროსს ბიძას ეძახის. ასე უნდა ყოფილიყო ძველადაც.

7. 1460 წ. („ქ. კსა რმშ“). სასისხლო სიგელი, მიცემული გიორგი მეფისა და დედოფალ ნესტან-დარეჯანის მიერ ერისთავ შალვა ქვენიფნეველისთვის.⁵

1. ისტორიული საბუთები, II, გვ. 14-15; ქრონიკები, II, გვ. 282.

2. ისტორიული საბუთები, II, გვ. 15-18; ქრონიკები, II, გვ. 285-286.

3. ქრონიკები, II, გვ. 287, 301.

4. იხ. ელ. მეტრეველი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

5. ქრონიკები, II, გვ. 280.

სიგელის ნამდვილობაში ეჭვი შეაქვს ს. კაკაბაძესაც და მიაჩნია, რომ იგი შემდეგდროინდელ გადამწერთა მიერ არის დამახინჯებული.¹ მართლაც, ერისთავი შალვა ქვენიფნეველი და მისი ძმა ლარგუელი ჩვენთვის ცნობილნი არიან როგორც ჟურნალების სასისხლო სიგელიდან, ისე სხვა წყაროებიდან. ჩანს, რომ გიორგი ჟურნული მათთან ვასალურ დამოკიდებულებაში ყოფილა, ამიტომ მათი სისხლის საზღაურში მხოლოდ 10 000 კირმანეულის განსხვავება მცირეა.

კირმანეულის განმარტებაში სიგელს სიახლე შემოაქვს: „კირმანაული ორი შაური არის“-ო. ნუმიზმატიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ პერიოდში შაური ფულად ერთეულად დადასტურებული არ არის. გაუგებარია აგრეთვე 170 000 კირმანეულის „წრ“ ე. ი. 4 100 თუმანთან შესატყვისობა.²

8. 1463 წ. („ქქსა რნა, ინდიქტიონი ათხუთმეტი“). სასისხლო სიგელი მიცემული გიორგი მეფის მიერ იოვანე ორალელისძე-კუიტასშვილისთვის.³ სიგელში არასწორადაა მინიშნებული ინდიქტიონი. 1463 წ. გიორგი VIII-ის მეფობის 15 ინდიქტიონის შესრულება ნიშნავს, რომ გიორგი 1448 წ. გამეფდა.

საეჭვოა, რომ ათაბაგისგან შევიწროებულ გიორგი VIII-ს 1463 წ. ქუთაისში ლიპარიტ დადიანის, მისი ძის მამია გურიელის (!), იმერელ თავადთა და დარბაზის ერთა თანდასწრებით სიგელი გაეცა იმ დროს, როდესაც ბაგრატ იმერთა მეფე, ზედგენიძეთა ზემოთ დამონმებული სიგელით (Sd-1242), ქართლში მძლავრობდა, ხოლო შემდეგ მთელი ქართლი იგდო ხელთ.

1. ს. კაკაბაძე, სასისხლო სიგელების შესახებ, გვ. 98.

2. იქვე.

3. ხელნაერთა ინსტიტუტი, Qd-9021; საქართველოს სიძველენი, III, №462, გვ. 435. საბუთის დასასრულს ექ. თაყაიშვილის მიერ ხელრთვები ასეა ნაკითხული: „ძემან მეფეთ-მეფისა გ ო“; შემდეგ - „მეფე ალექსანდრე[მ] შეგიწყალეთ და გიბოძეთ“. ორ ხელრთვად გაყოფა რაღაც სითხის (ალბათ წყლის) დანვეთებითაა გამონეული (ხელრთვის პირველი ნაწილი გაბაცებულია). დაკვირვებული თვალით კარგად იკითხება: „ძემან მეფეთ-მეფისა გიორგისა (გ ოსა) ალექსანდრე[მ] შეგიწყალეთ და გიბოძეთ“.

საექვოა ორალელისძე-კუიტასშვილთათვის გადანყვეტილი სისხლის საზღაურის ოდენობაც – 40 000 ძველი ცხემური.

ხელის მიხედვით საბუთი XV-XVI სს. უნდა ეკუთვნოდეს.

9. 1496 წ. 12/VII (ქორონიკონსა 184 და თუის ივნის ათორმეტს). სასისხლო სიგელი, მიცემული ალექსანდრე მეფის მიერ მაჭავარიანებისთვის.¹ სასისხლო სიგელთა ნაყალბეობის გამოსამჟღავნებლად, აღნიშნული მთელი რიგი მომენტების მიხედვით, ეს სასისხლო სიგელიც ნატყუარია. თარიღში აღნიშნულია „ინდნიკონის მეფობას ჩუენს“ და შემდეგ რიცხვი საერთოდ არ არის მითითებული. სისხლის საფასურად გადანყვეტილია 450 000 თეთრი და სხვ. თარიღიან სასისხლო სიგელთაგან ეს სიგელი პირველია, სადაც მთელი სამოხელეო-სამოსამსახურო სისტემაა ჩამოთვლილი უზედაესიდან უქვედაესამდე. თავისთავად მოხელე-მოსამსახურეთა ჩამოთვლა საინტერესოა, მაგრამ, ამავე დროს, დამაეჭვებელია, რაც დამადასტურებელია სიგელის ნაყალბეობისა. ცხადია, სისხლის სამართალთან მეჩანგე-მესტვირეს, მომღერალთ ან გოჭ-ქათმის მკრებელთ ხელი არ ჰქონდათ და მზარეულებს, ხაბაზებს, მეშუმპრეებს მეფე სიგელის დამტკიცებას ვერ სთხოვდა: „თქვენც ასრე დაამტკიცეთ“.

10. განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია სასისხლო სიგელთა შორის ქართლის მეფე სიმონ I-ის მიერ ქადაგ გედეონ მაღალაძისათვის მიცემულ სასისხლო სიგელს.² 1592 წლის ეს ორენოვანი ქართულ-სპარსული საბუთი ქალაღდის (სამნუხაროდ, ჭვირნიშანი არა აქვს), მელნის, კალიგრაფიის მიხედვით უტყუარად ეკუთვნის სიმონ მეფის კანცელარიიდან გამოსულ საკმაოდ მრავალრიცხოვან ქართულ-სპარსულ დოკუმენტთა რიცხვს.³ როგორც ჩვენს საბუთს, ისე სხვა რა-

1. ქუთაისის მუზეუმი, №875.

2. ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ad-1588; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ვ. ფუთურიძის გამოცემა, თბილისი, 1955, № 18.

3. სიგელის სპარსული ვარიანტის თარიღია 1593 წ. 25/XII-1594 წ. 22/I. შეადარე სიგელი ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულ საბუთებს: Qd-1673, Qd-1674, Hd-1050, Hd-14653, Hd-1374 (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 7, 15, 19, 22).

მდენიმეს, გრაფიკულად ზუსტად ერთნაირად აწერიათ სპარსულად: „ის არის ღმერთი, ქებული ყოველ საქმეში! აბულ მანსურ, სულთან მაჰმუდ-ხან მირზა სანყალი, ჩემი სიტყვა“. ¹

საბუთი უტყუარად უცნიათ როსტომ, თეიმურაზ, ნაზარალიხან, ერეკლე II მეფეებს და თავიანთი ხელრთვებითა და ბეჭდებით დაუმტკიცებიათ.

უფრო ადრე სიმონ მეფის „კითხვითა და ნება-დართვით“ 1562 წ. ქართლის კათალიკოს ნიკოლოზს ყმა-მამული უწყალობებია ქადაგ გედეონ მალალაძისთვის. ²

მალალაძეთა სისხლის საზღაურად გადანყვებილია 300 000 კირმანეული თეთრი. სიგელის სპარსული ვარიანტის მიხედვით, მალალაძეთა სისხლის ფასი ძველი სიგელებით 180 000 კირმანეული ყოფილა. ძნელი ასახსნელია, რატომ გადაუნყვითეს მალალაძეებს სისხლის საზღაურის ერთეულად კირმანეული, XVI საუკუნის დამლევის საქართველოს და ისიც აღმოსავლეთ საქართველოს ფულადი მიმოქცევისათვის უცხო მონეტა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კირმანეული აქაც იმერული სასისხლო სიგელების გავლენით მოხვდა, მაგრამ მისი ეკვივალენტი მითითებული არ არის და სასისხლო სიგელით სარგებლობის საჭიროებისას პრაქტიკულად სისხლის საზღაურის დადგენა გაჭირდებოდა. ეს ამბავი შეიძლება იმით ავხსნათ, რომ უეჭველად სანდო სიგელი მალალაშვილთა გვარის ზოგადი სოციალური პრივილეგიის დამადასტურებელი დოკუმენტია.

ძველი ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარ აკად. ი. დოლიძეს აღნიშნული აქვს, რომ მალალაძეთა სიგელი ბაგრატ კურაპალატის სამართლის მუხლებთან პარალელიზმს ამჟღავნებს, მათი გავლენით არის დაწერილი და იმავე საკანონმდებლო ძეგლის მე-100 მუხლით უზრუნველბის სიგელსაც უსარგებლია. ³ საერთო არქიტექტონიკური და სხვა ხასიათის

1. შეადარე ცსსა 1448, 2328; ხელნაერთა ინსტიტუტი, Hd-1050, Hd-14653.

2. ქრონიკები, II, გვ. 403; ხელნაერთა ინსტიტუტი, Ad-14989.

3. ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 627.

ურთიერთმსგავსების გარდა სასისხლო სიგელებში კიდევ შეიძლება დაიძებნოს საკანონმდებლო ძეგლებიდან აღებული მომენტები. მაგალითად, ბექა-ალბულას სამართლის | მუხლის გამოთქმა: „თუ შერისხდეს ღმერთი, ეშმაკისა ბირებითა და მანქანებით კაცმან კაცი მოკლას“¹ – ბევრ სასისხლო სიგელში გვხვდება (ორალელისძე-კუიტიასშვილთა, თაელისძეთა, ხელხელიძე-სარმანიშვილის, მალლაქუელიძეთა და სხვ.).

არ უნდა ყოფილიყო ნატყუარი სასისხლო სიგელი 1675 წ. 25/III მიცემული შაჰნავაზ მეფის მიერ მცხეთის სახლთუხუცეს პაპუა მალალაძისთვის.² სიგელს ამტკიცებდნენ: „ძმისწული შანაოზ მეფისა მუხრანის ბატონი თეიმურაზ“, ორბელიშვილი ვახტანგ და ერისთვისშვილი იასონ. მალალაძეებს სისხლის საზღაურად, სიმონ მეფის მიერ ქადაგ გედეონ მალალაძისთვის მიცემული სიგელის მსგავსად და ალბათ მის საფუძველზეც, გადანყვეტილი აქვთ 300 000 თეთრი.

სასისხლო სიგელების ნაწილი მოხატულია, შემკულია სხვადასხვა მხატვრული ღირსების მინიატიურით (ასეთებია: ყურულების, ორალელისძე-კუიტიასშვილთა, ქეროხიძეთა, ჯაკვა შერგილაძის, გირგალიძეების, გუგუნბერიძეების, კაკუ გუგუნავასი და სხვ.). ამ თვალსაზრისით სასისხლო სიგელების შესწავლა მომავლის საქმეა.

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი ძირითადად სწორია, როდესაც სასისხლო სიგელებს ნატყუარ საბუთებად მიიჩნევს. მათი უმრავლესობა ყალბია. სასისხლო სიგელების მონაცემთა უკრიტიკოდ გამოყენება არ შეიძლება, მაგრამ არ შეიძლება მათი იგნორირებაც. ნებისთ თუ უნებლიეთ სასისხლო სიგელებში ჩვენი ქვეყნის ისტორიისთვის მრავალი საინტერესო ცნობაა მოხვედრილი.

შემორჩენილი სასისხლო სიგელები, სიმონ მეფის შედარებით გვიანდელი სიგელის (1592 წ.) გამოკლებით, ეტრატზეა დანერგილი. სიგელებს აშკარა სიძველის იერი აქვთ, რამდენ-

1. ქართული სამართლის ძეგლები, I, გვ. 426.

2. დედანი არ გაგვაჩნია. იხ. ქრონიკები, II, გვ. 489.

ადაც, მართლაც, ძველადვეა (XIV-XVI სს.) შექმნილი. ამავე დროს, არქაული იერის გამო ეს სიგელები მეტად სანდონი ჩანან. აქ მართლდება ანატოლ ფრანსის სიტყვები: ხშირად ყალბი საბუთი უფრო ჰგავს ნამდვილსო.

სასისხლო სიგელების შექმნა საქართველოში ფეოდალური სეპარატიზმის გაძლიერების, ქვეყნის დაქუცმაცების, სათავადოთა სისტემის წარმოქმნის პერიოდს განეკუთვნება და ამ მოვლენებითაა განპირობებული.

მცირე ქრონიკები¹

კინკლოსების ისტორიული მინანერები

ისტორია პირველ რიგში ამბავთა, მოვლენათა გადმოცემაა ამა თუ იმ საზოგადოების განვითარებისა და წარმოუდგენელია ადგილისა და დროის მინიშნების გარეშე. ამდენად, საერთოდ ისტორია და განსაკუთრებით პოლიტიკური ისტორია არ არსებობს ისტორიული ქრონოლოგიისაგან დაცილებით.

ქართული ისტორიოგრაფია, სამწუხაროდ, ღარიბია ისტორიული ქრონოლოგიის თვალსაზრისით. „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შესულ თხზულებათა ნაწილში ქრონოლოგიური მასალა მწირია. მაგალითად, უამთააღმწერელთან თარიღები საერთოდ არ არის.

ისტორიოგრაფიის თვალსაზრისით უარესი მდგომარეობაა მოგვიანო შუა საუკუნეებში: XV-XVI სს. ამ პერიოდის ქართული თანადროული ნარატიული წყაროები (უმნიშვნელო გამონაკლისით) საერთოდ არ გაგვაჩნია. დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ამ ხანის ისტორიული თხზულებები ძნელბედობის ხანაში განადგურდა, ანდა იმავე უამთა სიავის, მეტად არახელსაყრელი საშინაო და საგარეო პირობების გამო, ქართულმა ფეოდალურმა საზოგადოებამ ისტორიოგრაფიისთვის ვერ მოიცალა და ასეთი თხზულებები აროდეს გვქონია. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ უკვე ვახტანგ VI-ის დროისათვის ზემოაღნიშნული პერიოდის ნარატიული ორიგინალური ისტორიული ძეგლები აღარ გაგვაჩნდა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე. წ. ქრონოგრაფიულ მასალას.

ქრონიკა ისტორიული თხზულების ტიპია, ჯერ კიდევ ანტიკურიდან რომ მოდის და განსაკუთრებით შუა საუკუნეებში ვითარდება. როგორც თვით სახელწოდება გვამცნობს, ქრონიკაში ამბები წლების მიხედვითაა დალაგებული. დასა-

1. შესავალი წერილი. „მეცნიერება“, თბილისი, 1968 წ.

ვლეთ ევროპაში ქრონიკები განვითარდნენ მოკლე წლიური ჩანაწერების – ანალების – სახით.

ქრონიკები იქმნებოდნენ ძირითადად მონასტრებში (ბერე-ბი), საეპისკოპოსო ქალაქებში, მსხვილი ფეოდალების კარზე. ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოქმნასთან ერთად შეიქმნა ვრცელი ქრონიკები, ე. წ. სამეფო კრებულები (დიდი ფრანგული ქრონიკები, სენტ-ოლბანური ქრონიკები – ინგლისში, პრალული ქრონიკები – ჩეხეთში, სამეფო ქრონიკები – ესპანეთში და ა. შ.). დაქუცმაცებულ გერმანიაში, იტალიაში მთავარი მნიშვნელობა შეიძინეს ე. წ. ქალაქურმა ქრონიკებმა. ევროპაში XIII საუკუნიდან ქრონიკების შედგენა ძირითადად საერო პირების ხელში გადადის. ხალხში გავრცელებული იყო ლექსად განყობილი ქრონიკები. რუსეთში ქრონიკებს შეესაბამება ე. წ. летописи.

ქრონიკათა საერთო მასიდან პირობითად შეიძლება გამოიყოს მცირე ქრონიკები, ქრონოგრაფიები, სადაც ამბები მშრალად, მოკლედაა გადმოცემული წლების მიხედვით. ტიპიურ ქრონოგრაფიას წარმოადგენს საქართველოს სინამდვილისათვის ე. წ. პარიზის ქრონიკა.¹ გვაქვს აგრეთვე სხვა ქრონოგრაფიები: მესხური დავითნის, ერისთავების დაუჯდომელის, ე. წ. წიგნი ქორონიკონნი, ანუ ლექსთა კრება (H-1164) და სხვ.² ქართული ქრონოგრაფიების ტრადიციაზე დაყრდნობით არის შედგენილი ვახუშტი ბაგრატიონის ქორონიკონები.

ჩვენი შესწავლის მიზანს შეადგენს არა საერთოდ ყველა ქართული ქრონიკა, არამედ პირველსახე ქართული ეროვნული ქრონოგრაფიისა, ე. წ. კინკლოსების ისტორიული მინაწერები.

ქრონოგრაფიების შესწავლას უკავშირდება საკითხი საკუთრივ ქრონოლოგიისა. საქართველოში ცნობილი იყო სა-

1. პარიზის ქრონიკა, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, 1903; Chronique Georgienne, traduite par M. Brosset jeune, Paris.

2. სამხრეთ საქართველოს ისტორიული მასალები (XV-XVI სს.), ქრ. შარაშიძის, გამოცემა, 1961; E. Такайшвили, Хроника эриставского акафиста. Сборник материалов для описания местностей и племён Кавказа, ХХІХ, 1901, ნან. I, გვ. 95-114.

მი ერა, ანუ სისტემა წელთაღრიცხვისა: დასაბამიდან, „ქრისტესით“ და ქორონიკონული. ქორონიკონულ სისტემაზეა დაყრდნობილი კინკლოსი, ციკლური ცხრილი, მონოდებული აღდგომისა და მასთან დაკავშირებული მობილური საეკლესიო-რელიგიური დღესასწაულების დასადგენად.

პასექის დღესასწაულის გავლენა საეკლესიო წელიწადის დადგენაზე ქართველებში, ისევე როგორც სხვა ქრისტიანულ ხალხებში, მეტად დიდი იყო. პასექი რელიგიურ დღესასწაულთა დღესასწაულია ებრაელთა შორისაც და აქედან მოდის რაბინთა უამრავი ნაშრომი ამ დღესასწაულის გასარკვევად მზისა და მთვარის მოქცევათა ასტრონომიული ურთიერთმომართების დასადგენად. ციკლების კომბინაციათა მრავალგვარობა, წესების, ტერმინთა სხვაობა – ყველაფერი ეს აღმოსავლური და არამართო აღმოსავლური ქრონოლოგიური საკითხების შესწავლის სირთულეს შეადგენს.

პასქალური ციკლების საფუძველია 532-წლიანი ციკლი. ფიქრობენ, რომ ეს რიცხვი ეგვიპტეშია გამოთვლილი ასტრონომიულ საფუძველზე. იგი მზისა და მთვარის მოქცევათა ნამრავლია. ქართული კინკლოსებიდან ეს კარგად იცოდა ვახუშტიმ, რომელიც აღნიშნავს: „რადგან მზის მოქცევა 28 არს და მთვარისა 19, და ესენი გასწორდებიან 532 წელს, ესრეთ, 28-ჯერ მოიქცევიან და ისევ პირველსავე მოჰყვებიან, და ამის ნაკლებ წილს არაოდეს შესწორდებიან“.¹

კარგად არის ცნობილი საქართველოში ქორონიკონული წელთაღრიცხვის შემოღების თარიღი. ამ წელთაღრიცხვის პირველი წელია 781, ხოლო კ. კეკელიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, *aninus nullus*-ი არის 780 წ. დასაბამიდან ქართული ქრონოლოგიური ერის მიხედვით 532-იანი ციკლი ამ წელს უკვე 12-ჯერ მოქცეულა.² ამ დროიდან, ე. ი. XIII მოქცევიდან მოკიდებული ქორონიკონული წელთაღრიცხვით ქართველი

1. ვახუშტი, საქართველოს ისტორია, თბილისი, 1885, გვ. 1.

2. იხ. ა. ბარამიძე, ძველი საქართველოს ქრონოლოგიის საკითხები XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში. „მაცნე“, №4, 1964, გვ. 176.

კაცი, პირველ რიგში, ქართული ისტორიოგრაფია, მოვლენათა დასათარიღებლად იძლევა რიცხვს პასქალური 532-იანი ციკლის ფარგლებში. ნამდვილი თარიღის მისაღებად XIII მოქცევის ქორონიკონებს უნდა დაემატოს 780 წელი, ხოლო XIV მოქცევისას $780+532=1312$ წ. ქორონიკონული წელთაღრიცხვით ამჟამად ჩვენ XV მოქცევაში ვიმყოფებით.

პასქალური ციკლის შიგნით თვის რიცხვები წლიდან წლამდე იცვლება, მობილურია აღდგომის დღესასწაულიც, ხოლო ერთი სრული 532-იანი ციკლის დასრულების შემდეგ კვირის, თვისა და წლის დღეები უცვლელი თანმიმდევრობით მეორებიან მომდევნო ციკლში. ეს მიღწეულია სწორ ასტრონომიულ საფუძველზე დამყარების გამო, მაგრამ დაწყება ქორონიკონული წელთაღრიცხვისა უკავშირდება რელიგიურ-ბიბლიურ ათვლას ქვეყნის გაჩენიდან. ვინმე ანდრიას მიერ შემოღებული 5604-წლიანი ქრონოლოგიური ერიდან გამოდის 532-წლიანი „ქორონიკონიცა“ და დასაწყისიც ამ ქორონიკონისა – 780 წელი. ამიტომ, როგორც სამართლიანად შენიშნავდა კ. კეკელიძე: „...ქორონიკონის ერა თითქოს, ერთი შეხედვით, ასტრონომიულ საფუძველზეა აგებული, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. ნამდვილად იმასაც რელიგიური საფუძველი აქვს, რადგანაც მის გამოსავალ წერტილსაც „ქვეყნის გაჩენა“ შეადგენს.“¹ უფრო სწორად, ქართული ქორონიკონული წელთაღრიცხვა რელიგიურ-ასტრონომიულ საფუძველზეა დამყარებული.

რელიგიური საფუძვლით ხსნის კ. კეკელიძე საკითხს, თუ რატომ იწყებენ ქართველები ქორონიკონულ წელთაღრიცხვას 781 წელს.² იგი ამ მოვლენას უკავშირებდა სომეხ-ქართველთა კონფესიურ განხეთქილებას.³ ორი დაპირისპირებული ეკლესია გაიმიჯნა კულტურულ-რელიგიური ურთიერთობის თვ-

1. კ. კეკელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1945, გვ. 326.

2. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 333. სამართლიანადაა გაკრიტიკებული მ. ბროსეს, ვ. ბოლოტოვის, დ. ჩუბინაშვილის შესაბამისი მოსაზრებანი.

3. კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 332.

აღსაზრისით მეტად მნიშვნელოვან საკითხშიც – პასექის დადგენაში. ამ მოსაზრებას ისიც ამტკიცებს, რომ ქართველები ყოველთვის აღნიშნავდნენ აღდგომის დღესასწაულის აღრევას სომეხთა მიერ: „სომეხებს აღდგომა შეეშალათ, თევდორობის კვირა ჭამეს, აღდგომა კვირაცხოვლობას დაიყენეს“-ო.¹

კინკლოსებში წელთაღრიცხვა მარტივი, ქორონიკონული სისტემითაა წარმოდგენილი. თითოეული სტრიქონი ცხრილისა ერთ წელს შეეფარდება. სტრიქონები ოთხეულებად არის დაყოფილი ნაკიანი წლების მიხედვით. კინკლოსური ცხრილის უმეტესად მარცხენა ან მარჯვენა არშიაზე მითითებულია ქორონიკონის თარიღი, რომელიც უმეტეს შემთხვევებში მე-14 მოქცევისაა. რიგ შემთხვევებში, როდესაც საქმე გვაქვს მე-13 მოქცევასთან, ქორონიკონულ თარიღთან ერთად მოცემულია თარიღი ქვეყნის გაჩენიდან, დაანგარიშებული ქართული ან ბერძნული წელთაღრიცხვით.

ამრიგად, კინკლოსი ტაბულა-ცხრილია ჟამთა მსვლელობისა წლიდან წლამდე. არშიებზე, სტრიქონებს შუა დარჩენილი ადგილები გამოიყენეს ქრონისტ-მემატიანეებმა, ადგილის სიმცირის გამო ლაკონიურად ისტორიული ხასიათის მინაწერები ჩანერეს და საეკლესიო-ლიტურგიკული ცხრილები ამავე დროს საერო ხასიათის ქრონიკებადაც იქცნენ. თითქოს ყველაფერი მარტივია ამ ქრონიკებით სარგებლობისას. საჭიროა გულდასმით ამოვიკითხოთ ადგილის სიმცირის გამო წერილად დაქარაგმებული, ხშირად დაუდევრად გაკეთებული ისტორიული მინაწერი. შემდეგ მინაწერის სტრიქონის შესაბამისად გამოვთვლით ქორონიკონის აღნიშვნიდან სტრიქონთა, ანუ წელიწადთა რაოდენობას, დავემატებთ, მოქცევის შესაბამისად, 780 ან 1312 წ. და მივიღებთ თარიღს. მაგრამ კინკლოსების ისტორიული მინაწერების თარიღები ხშირად მცდარია. ისინი კომენტირების საფუძველზე კორექტირებას საჭიროებენ.

1. ხელნაერთა ინსტიტუტი, А-873; М. Джапашвили, Описание рукописей... III, გვ. 114.

ქართული, როგორც ისტორიული, ისე ტექნიკური ქრონოლოგიის დიდი სპეციალისტი მარი ბროსე გულისტკივილით აღნიშნავდა: „ძლიერ არეული და ძალიან რთული საქმეა შესწავლა ქართული ქრონოლოგიისა, როგორც ზუსტი თარიღების ნაკლოვანების, ისე ამ დარგში მომუშავე ავტორთა ხშირი არათანმიმდევრულობისა და მათ შორის თანხმობის ნაკლებობის გამო. საეკლესიო ანუ რელიგიურმა წელიწადმა, რომელიც მსოფლიოს ყველა ქვეყანაში საფუძვლად, წესად უძევს ცივილურ წელიწადს, აქ ხშირ პოლიტიკურ გადატრიალებებში ცვალებადობა განიცადა და თავის მხრივ ამ უკანასკნელზე (საერო წელიწადზე – ვ. ო.) იქონია გავლენა, რასაც ყოველთვის ექნება ადგილი პოზიტიური ასტრონომიული ცოდნის ნაკლებობისას“.¹

კინკლოსური ქრონიკების ერთი ან ორწლიანი მცირე შეცდომების ახსნა მარტივად არის შესაძლებელი. შეცდომის საფუძველი სუბიექტურ ნიადაგზეა წარმომდგარი – ისტორიული მინაწერი სხვადასხვა პირმა მინაწერის გრაფიკული პოზიციის, მისი ხასიათის გამო, შეიძლება სხვადასხვა სტრიქონს მიაკუთვნოს და განსხვავება ერთ ან ორ წელიწადში იქნება.² ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში პლაგიატის გაგება არ არსებობდა. უმეტესი ნაწილი ქრონიკებისა პირწმინდადაა გადმოღებული სხვა ქრონიკიდან ან სხვა ქრონიკების ცნობათა კომპილაციაა. ერთი კინკლოსური ქრონიკიდან მეორეში ისტორიული მინაწერების გადატანისას გადამწერებს შეეძლოთ დაემვათ და დაშვებულიც აქვთ შეცდომები როგორც მინაწერის შესაბამის სტრიქონთან გაკეთების თვალსაზრისით, ისე სიტყვათა კალმისმიერი დამახინჯების ხაზით.

თავისი შინაარსით კინკლოსების ისტორიული მინაწერები მოიცავენ მეფე-მთავართა ზეობის წლებს, მტრის შემოსევებისა და ბრძოლების თარიღებს, ცალკეული ფეოდალური

1. Chronique Georgienne, გვ. I; იხ. აგრეთვე M. Brosset, De la chronologie technique georgienne, ecclesiastique et civile, Melanges asiatiques bull. de l'acad. imp. VIII, 1875.

2. E. Такайшвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

გვარების საოჯახო ქრონიკებს. კინკლოსური ქრონიკები ერთგვარად შეზღუდული ხასიათისა არიან. ისტორიული მოვლენების თვალსაზრისით ვინროა და ქვეყნის ისტორია გარემომცველი სამყაროსაგან კარჩაკეტილადაა წარმოდგენილი. მახლობელ აღმოსავლეთში ოტომანთა იმპერიის წარმოქმნის ამბებთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „...გასაოცარია, მაგრამ იმდროინდელ ქართულ კინკლოსებს თუ დავაკვირდებით, ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ქართველებს ყველა ეს ამბები გამოჰპარვოდეთ, თითქოს შინაური ბრძოლითა და ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტით გართულნი... ვერც კი ამჩნევდნენ, როგორ შეიქმნა მათ მახლობლად ახალი, დიდი და ძლიერი ოსმალეთის სახელმწიფო“.¹

ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად კინკლოსური ქრონიკები ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის შესასწავლად. სპეციალურად აღნიშნავს ვახუშტი ბაგრატიონი ქრონოლოგიური მასალის სიმწირეს: „უნყება ჯერ არს, უკეთუ ცხოვრებისა ჩვენისა, ქორონიკონნი არიან იშვიათ“ და ამ ნაკლის შესავსებად კინკლოსურ მასალასაც იყენებს. კინკლოსებს იყენებდა ვახტანგ VI, „სწავლულ კაცთა კომისია“, უფრო მოგვიანებით მარი ბროსე, რომელმაც მრავალი საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ქართული ქრონიკების შესახებ. რამდენიმე კინკლოსი შესავალი წერილითა და შენიშვნებითურთ გამოსცა ექ. თაყაიშვილმა. განსაკუთრებული ღვაწლი ამ დარგში მიუძღვის თ. ჟორდანიას, რომლის მიერ შეკრებილი და გამოცემული ქრონიკალური მასალა მეტად ძვირფასი წყაროა საქართველოს ისტორიისათვის. ქრონიკებში თ. ჟორდანიას პირუთვნელად და მიუკერძოებლად შეტანილი აქვს წყაროთა ყველა მონაცემი და შემდეგ ცდილობს მათ ახსნას, კომენტირებას, ცნობის წარმომავლობის დადგენას.

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1948, გვ. 63.

ამრიგად, ქართული კინკლოსური ცნობები მკვლევართა ინტერესს მოკლებული არ არიან და ეს ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული ვითარების გამო სავსებით გასაგებიცაა. შენიშვნებში, კინკლოსთა გამოცემებს რომ ერთვის, არც ერთ მკვლევარს არ უცდია დაედგინა მათი ურთიერთმიმართება იმ თვალსაზრისით, თუ რომელი კინკლოსი წარმოადგენს წყაროს მეორისათვის. ამის შეუძლებლობა ნათელი გახდა, როდესაც კინკლოსურ მასალას თავი მოეუყარეთ (მათი უმრავლესობა ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებშია დაცული) და ერთმანეთს შეეუჯერეთ. აპრიორულად შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ზუსტი თანადამთხვევები განსხვავებული კინკლოსების მთელი ისტორიული მასალისა, ამ მასალის შედგენილობის კომპილაციური ხასიათის, ერთი და იმავე კინკლოსის ისტორიული მინაწერების მრავალავტორიანობის გამო არც იყო მოსალოდნელი.

ქვემოთ მოცემულია ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული კინკლოსური ქრონიკების მიმოხილვა ამ ქრონიკების წინამდებარე გამოცემისეული პირობითი რიგის მიხედვით.

ქრონოლოგიურად საქართველოს ისტორიის ყველაზე ადრეული პერიოდის ცნობები შემონახულია A-1110 (I) ხელნაწერში¹, რომელიც XIV-XV სს. თარიღდება. თ. ჟორდანია ამ კინკლოსურ ქრონოგრაფიას „აფხაზთა ქრონიკას“ უწოდებს.² აქვე შევნიშნავთ, რომ ამ სახელწოდების ჭარბი პირობითობა აღნიშნული აქვს ივ. ჯავახიშვილს.

ეს კინკლოსური ქრონიკა, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩოებია 883-1245 წლები, სრულიად განცალკევებით დგას სხვათაგან. თავისი ცნობების სიძველით მას მხოლოდ A-85 (II) უახლოვდება, მაგრამ საერთო ხასიათის ცნობები მათ არ გააჩნიათ ორის გამოკლებით. „აფხაზთა ქრონიკა“ მიუთით-

1. აქ და ქვევით ხელნაწერის ნომრის პარალელურად ფრჩხილებში მითითებულია კინკლოსური ქრონიკის წინამდებარე გამოცემისეული ნომერი.

2. იხ. თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, გვ. LV, LVI. ხელნაწერთა აღწერილობა, A-IV, №1110.

ებს თამარ მეფის გარდაცვალებას 1207 წელს, ხოლო A-85 (II) – 1206 წ. ამ თარიღის ქვეშ თვით ფაქტის ლაკონიური გადმოცემაც ურთიერთგანსხვავებულია. თანხედრობა ცნობებში გიორგი III-ის გარდაცვალების შესახებ.

ქორონიკონით ტოვ (1688 წ.) თ. ჟორდანიას გამოცემული აქვს „აფხაზთა ქრონიკის“ მინანური – „აქა გორგა [გიორგი] მეფე გ[ა] და[აგდ]ეს; ერეკლალ [ერეკლე] დაჯდა“.¹ ხელნაწერზე გულდასმით დაკვირვებით ტოვ ქორონიკონის გასწვრივ ვერტიკალურად ზევიდან ქვევით გაირჩევა მხოლოდ – „აქ...გ...კ...ჯ...“ არც არის იმდენი ადგილი, რომ ამ ასოთა შორის ჟორდანიასეული წაკითხვა დაეციოს. ამავე კინკლოსში ტპ ქორონიკონზე (1692 წ.) თ. ჟორდანიას ამოუკითხავს: „აქა მაეფა [მეფე] არჩილ იმერეთს დაჯდა“.² ტპ ქორონიკონის გასწვრივ ხელნაწერში საერთოდ არაფერი იკითხება. ამის გამო მითითებული ჟორდანიასეული აღდგენები წინამდებარე გამოცემაში არ შევიტანეთ.

შექმნის დროის თვალსაზრისით ყველაზე ადრეულია ხელნაწერი კრებულის A-85-სადმი (XIII-XIV სს.) დართული კინკლოსის, უფრო სწორად, ორი კინკლოსის ისტორიული მინანურები. კინკლოსის პირველი ნაწილი 1206 წ. მინანურით სრულდება, ხოლო მეორე 1351-1640 წწ. ამბებს მოგვითხრობს. მსგავსად A-1110 ხელნაწერის კინკლოსისა, კინკლოსის პირველ ნაწილს სპეციალურად დართული აქვს სათვალავი ქვეყნის დასაბამიდან, რომელიც თანხედება ქორონიკონულ ნელთაღრიცხვას, დაანგარიშებულს XIII მოქცევით. ხელნაწერი წარმოადგენს უნიკალურ ტრაქტატს ქართული ნელთაღრიცხვის შესახებ.³

1444 წლის გასწვრივ კინკლოსში აღნიშნულია: „[აქა] კოსტანტიპოლი [დაი]ჭირეს თურქთა“. ეს არის ქართულ კინკ-

1. ქრონიკები, II, გვ. 507.

2. იქვე, გვ. 512.

3. როგორც რელიგიურ-ტექნიკური კალენდარი, A-85 შესწავლილია მ. ბროსეს მიერ. იხ. M. Brosset, Traite de comput ecclesiastique, Etudes de chronologie technique, Memoire de l'academie des sciences, VIII serie, t-XI, № 13, St.-Petersbourg, გვ. 24-56.

ლოსებში აღნიშნული ერთ-ერთი არამრავალთაგანი ცნობა, რომელიც საქართველოს გარემომცველ სამყაროსთან აკავშირებს. ფაქტი კონსტანტინეპოლის დაცემისა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოსა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთისათვის, მან წარუშლელი დაღი დააჩნია მომდევნო პერიოდის მთელ ისტორიას. ყველა ქართული კინკლოსი, XV საუკუნის ორმოციანი წლების მასალის შემცველი, აუცილებლად აღნიშნავს კონსტანტინეპოლის ხონთქრისგან, ურუმთაგან ან თურქ-თათართაგან დაპყრობას. უფრო მეტიც, H-3004 (V), A-1452 (VI, ყანჩაეთის გულანი), H-1738 (VIII), A-1153 (IX), S-2523 (X) საერთოდ ამ ფაქტის აღნიშვნით იწყებს კინკლოსურ ქრონიკას. მაგრამ იმ დროს, როდესაც კარგად არის ცნობილი, რომ კონსტანტინეპოლი თურქებმა 1453 წლის 29 მაისს დაიპყრეს, ყველა ზემოთ დასახელებული ხელნაწერი და დამატებით H-342 (III), S-4615 (IV) ამ ამბავს 1444 წელს აღნიშნავს. ფაქტი თავისი ისტორიული შედეგებით მეტად დიდმნიშვნელოვანი იყო და იგი არ შეიძლებოდა აღრეოდათ სხვა მოვლენაში, მაგალითად, თურქთაგან ბოსფორის სრუტის დაკავებაში, როგორც ამას თ. ჟორდანიას ვარაუდობს.¹ ამასთანავე, გარდა იკორთის ჟამნ-გულანისა, ყველა კინკლოსური ცნობა კონსტანტინეპოლის თურქთაგან დაპყრობას ერთხელ აღნიშნავს. რიგ ცნობებში კონსტანტინეპოლის აღებასთან ერთად სრულიად საბერძნეთის დაკავებაც არის მითითებული (H-1452, VI; A-1153, IX). შეუძლებელია ცნობათა აღრევა ისე მომხდარიყო, რომ ბოსფორის სრუტის დაპყრობა აღნიშნულიყო და შემდეგ კვლავ არ ყოფილიყო ცნობა საკუთრივ კონსტანტინეპოლის შესახებ.

ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ერთი ხელნაწერის ფრაგმენტი – მხოლოდ პასქალური ცხრილი (H-3004, V), რომელშიც 1457 წ. სტრიქონთან ჩანერილია: „აქა კსტნტიპოლი ხვანთქარმან დაიჭირა: ზემო ენერა მაგრა ეს უმართლოა, აქ

1. ქრონიკები, II, გვ. 256.

უნდოდა“-ო. ამრიგად, შეცდომა მინანერის ავტორსაც დაუნ-ახავს (ფრაგმენტს XVI-XVII სს. ათარილებენ), მაგრამ ნამდვილი თარიღი თვითონაც არ სცოდნია. ეს მცდარი თარიღი იკორთის ჟამნ-გულანშიც არის აღნიშნული.¹

ამრიგად, ნათელია, რომ საქმე გვაქვს პასქალური ციკლების ისტორიული მინანერების საკმაოდ მყარ ტრადიციულ 9-წლიან შეცდომასთან. სომხეთის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლისათვის მიძღვნილ ნაშრომში სენ-მარტენი წერდა: „უნდა შევნიშნოთ, რომ მთელ მე-15 საუკუნემდე ქართულ ქრონოლოგიაში ჩვენ ვხედავთ უხემ შეცდომას დაახლოებით 10 წლის (მეტ ან ნაკლებ) ფარგლებში, რისი მიზეზის ახსნაც ჩვენ არ ძალგვიძს“.² კონსტანტინეპოლის შესახებ ცნობის მაგალითზე ეს შეცდომა XV საუკუნეშიც გრძელდება. ამავე დროს, შეცდომის კანონზომიერების, თუკი მას ასეთი კანონზომიერება აქვს, დადგენა ძალიან ძნელია, ვინაიდან თუ კონსტანტინეპოლის დაცემის თარიღი მცდარად არის მითითებული, ჯვაროსანთაგან მისი დაპყრობა 1204 წელს ზუსტად არის მინიშნული იმავე ხელნაწერში.

1465 წლიდან, ყვარყვარე ათაბაგის მიერ გიორგი მეფის შეპყრობის ამბიდან მოყოლებული, აღნიშნულია რამდენიმე ფაქტი სამცხე-საათაბაგოს ისტორიიდან. ამასთანავე, ეს ფაქტები სხვა კინკლოსებშიც მეორდება. შესაძლებელია თ. ჟორდანიას ხელნაწერი A-85 უკეთეს მდგომარეობაში ჰქონდა ხელთ. ყოველ შემთხვევაში, 1472 წლის მინანერი დღეისათვის სულ არ გაირჩევა, ხოლო თ. ჟორდანიას ადგილების აღდგენით მას ასე კითხულობს: „აქა [ქართ]ლი [დაიჭირა] ბაგ[რატ] მეფემ და კ[ე] (ე. ი. კონსტანტინე – ავტორის შენიშვნა) გარდ[ა]გდო“.³ 1568-1640 წწ. მინანერები ძალიან დაზიანებულია.

ხელნაწერის ზოგიერთი ადგილი ძლიერ გადასულია და გამადიდებელი შუშითაც შეუძლებელი ხდება ასოების კითხვა.

1. იხ. ს. კაკაბაძე, ქრონიკა იკორთის №8 ჟამნგულანისა, 1912.

2. M. J. Saint-Martin, Memoires historiques et geographiques sur l'Armenie, Paris, 1818, გვ. 257.

3. ქრონიკები, II, გვ. 290.

სიტყვების აღდგენებში დიდ დახმარებას გვიწვედა თ. ჟორდანიას წაკითხვები, რომელსაც, ვიმეორებ, ალბათ ხელნაწერი უკეთეს მდგომარეობაში უნახავს, მაგრამ ზოგჯერ ჟორდანიასეული აღდგენები მის მიერ ამა თუ იმ თარიღის ამბების პოზიტიურ, სხვა წყაროებზე დაყრდნობილ ცოდნას უფრო ემყარება, ვიდრე თვით ხელნაწერიდან გამოდის.

მაგალითად, 1765 წ. (უნგ) ან შესწორებით 1465 წ. (რნგ) თ. ჟორდანია კითხულობს: „აქა მეფე [გიორგი] [დაი]ჭირა ტყუ[შდ] ყუარყუარემ“. ¹ მინაწერი ძლიერ მიმქრალია, მაგრამ აქ შემორჩენილი ასოების მიხედვით ლაპარაკი უნდა იყოს დასაბამიდან თარიღის ათვლაზე. თ. ჟორდანიასეული აღდგენილი ტექსტი მაინც შევიტანე წინამდებარე გამოცემაში.

ყველაზე ახლოს დგანან ერთმანეთთან H-342 (III) ჟამნგულანისა და S-4615 (IV) კინკლოსის მინაწერები. თითქმის ყველა ცნობა H-342-ისა არის S-4615-ში სამის გამოკლებით. სახელდობრ ეს ცნობებია: დასაბამიდან წელთაღრიცხვის ათვლისა (7022), 1600 წელს ბატონიშვილი როდამის გარდაცვალებისა და სვიმონ მეფის შეპყრობის, როსტომ მეფის ქართლში გამეფების. ამავე დროს, ეს კინკლოსები უშუალოდ ერთი მეორის წყარო არ უნდა ყოფილიყვნენ. S-4615-ში არის ცნობები, რომელნიც H-342-ში საერთოდ არ არის. თითონლიანი სხვაობა ერთი და იმავე ფაქტის დასათარიღებლად სტრიქონის მექანიკური აღრევით შეიძლება ავხსნათ, მაგრამ თანხვდომილი ფაქტების გადმოცემაც განსხვავებულია. S-4615-ში მარტივად არის აღნიშნული: „კონსტანტინეპოლი თათართ დაიჭირეს.“ ხოლო H-342-ში ვკითხულობთ: „აქა კსტინტინეპოლი დაიჭირეს ოთმანიანთა და სრლ (სრულ - ავტ. შენიშვნა) საბერძნეთი“. მსგავსი მაგალითები კიდევ შეიძლება მოვიყვანოთ, მაგრამ ამ კინკლოსების ცნობათა შორის ზუსტი ანალოგიებიც ბევრია. ამიტომ სავარაუდოა, რომ მათ საერთო წყაროთი უსარგებლიათ.

1. ქრონიკები, II, გვ. 284.

ჟამნ-გულანი H-342-ის გადაწერის თარიღია 1661 წ. იგი გადაწერილი ყოფილა სარდლის პალატუხუცესის პაპუნა ფანასკერტელ-ციციშვილის ძის ზაალისა და მისი თანამეცხედრის მარიამ ამირეჯიბის დაკვეთით ქართველთა მეფის დის დედისიმედის სულის საოხად.

ხელნაწერის ბოლოში დართული კინკლოსი ამკარად სხვა ქალაღდზეა დაწერილი სხვა ხელით. ხელნაწერში ზოგიერთი სიტყვა წითელი მელნითაა დაწერილი, ხოლო კინკლოსში – სინგურით. როგორც ხელი, ისე ქალაღდი კინკლოსისა უფრო ადრეული ჩანს, ვიდრე თვით ხელნაწერია და კინკლოსი შემდეგ უნდა იყოს მინებებული ხელნაწერისთვის. ისტორიული მინაწერების ნაწილი იმავე ხელითაა შესრულებული, რომლითაც თვით კინკლოსია დაწერილი. თ. ჟორდანიას ქრონიკებში ამ წყაროს „წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ქრონიკას“ უწოდებს.

S-4615 წარმოადგენს ჟამნს, დაწერილია მუქ ხორბლისფერ ქალაღდზე მოშავო-მოყავისფრო მელნით. თავსართი ასოები და ალაგ-ალაგ ტექსტის ზოგიერთი ფრაზა შესრულებულია სინგურით. ბოლოში დართული კინკლოსის ისტორიული მინაწერები 143-ე გვერდის არშიიდან იწყება. არშია გადაუჭრიათ, ამიტომ მინაწერები ზოგან სრულიად არ იკითხება. საჭიროა ტექსტის აღდგენები.

145-ე გვერდს თავზე აწერია: „ეს ფურცელი ზეით ამ წინ ფურცლს (sic) უნდა, ანი ნიშნათ უზის“ და გამოსახულია ნუსხური დიდი ანი. კინკლოსის ქრონოლოგიური თანმიმდევრობიდანაც ჩანს, რომ გვერდები მინაწერების გაკეთების დროისათვის უკვე გადასმული ყოფილა (144-ე გვერდი 145-ის შემდეგ უნდა იყოს). არშიის ნაჭრის შედეგად მინაწერის დაკარგული ნაწილების აღდგენა ხერხდება შესაბამისი თარიღის სხვა კინკლოსური წყაროებით 1656 წლამდე და ამ წლის ჩათვლით, პირველ რიგში H-342 (III)-ის ე. წ. წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ქრონიკის მიხედვით. 1543 წ. სტრიქონის გასწვრივ ქრონიკაში აღნიშნულია: „თათრის ფაშები გამოვიდ[ნეს], [რიც]ხვით ოცდაორი [ათასი] და ტაო მოსწყ[დეს]. მიუქდა

ბაგრატ მე[ფე] ქართლისა ქალაქს [გაემარ]ჯვა და ამოსწყვიტა“. H-342-ში კი ბრძოლის ადგილის სახელწოდება განსხვავებულად არის მოცემული: „აქა ხუანთქრის ფაშები მოვიდეს რიცხვით ოცდაორი ათასი და ს`დ ტაო ამოსწყვიდეს. მოუკდა მეფე ქარალაქს, გაიმარჯვა, ამოსწყვიდნა მრავალი“.¹ ამავე თარიღზე ყანჩაეთის ჟამნ-გულანში ვკითხულობთ: „აქა იყო ქარხაქის ომი – ურუმნი მოვიდეს, ტაო ამოსწყვიდეს და ბგრტ მეფემან გაიმარჯვა და მრავალნი ამოსწყუნდა“. ხოლო H-3004 (V)-ში ნაცვლად ქარალაქ-ქარხაქისა, კვლავ შეცდომით ქალაქზე, ე. ი. თბილისზეა ლაპარაკი. H-1738 (VIII)-ში ადგილის სახელწოდებად აღნიშნულია ქრბაკი. ეს ქარალაქ-ქარხაქ-ქარაბაკი სამცხე-საათაბაგომია საძიებელი.

სხვადასხვა, განსხვავებული (ძირითადად მხედრული) ხელით ნაწერი ქრონიკა, მოკიდებული 1658 წლიდან, სხვა არც ერთი კინკლოსური ქრონიკის თანმხვდომი არ არის. მოიცავს იგი ცნობებს მთელი საქართველოს შესახებ, თუმცა კი ცნობები ძირითადად ქართლ-კახეთის შესახებაა. უკანასკნელი მინაწერი გაკეთებულია 1738 წ.

შედარებით სხვა კინკლოსებთან, XV საუკუნის ამბები უფრო დანერვილებითაა გადმოცემული H-3004 (V)-ში. საერთოდ, მინაწერები ამ ციკლური ცხრილისა 1550 წლის ჩათვლითაა გაკეთებული. წყვეტილები წელთა აღწერაში მცირეა. ერთი საუკუნის ამბავია ამ ხელნაწერში გადმოცემული ქრონიკალურად, 26 მინაწერია ჩანერილი და წყვეტილები წელთა შორის 3-4 წელს არ აღემატება. ამას განსაკუთრებით იმიტომ აღვნიშნავთ, რომ ამ თვისებით მას სხვა არც ერთი კინკლოსი არ ემსგავსება. ყანჩაეთის ჟამნ-გულანში კონსტანტინეპოლის აღების ცნობას მომდევნო ცნობა მთელი ორმოცი წლის ინტერვალით მოსდევს. ასევეა H-1738 (VIII) და H-1755 (VII)-ში. ამ უკანასკნელში, შემდგომ 1485 წლისა, არის ცნობა 1535 წლის შესახებ.

1. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, გვ. 247.

H-3004 (IV) ცალკე კინკლოსური ფრაგმენტია, ჩართული სხვა ხელნაწერების კრებულში. როგორც ჩანს, იგი ლიტურგიკული ძეგლიდან ამოულიათ და მხოლოდ ქრონიკის დანიშნულება აქვს ცალკე სახით (თუმცა აღდგომის დღესასწაულის დასაანგარიშებლადაც ვარგისია). კინკლოსის ისტორიული მინაწერები გაკეთებულია 3 სხვადასხვა ნუსხური ხელით. ეს კინკლოსი თითქმის იდენტურია იკორთის ჟამნგულანის კინკლოსისა.¹ ერთი და იმავე თარიღის შესაბამისი ცნობები ზუსტად ერთნაირია. სხვაობა მდგომარეობს შემდეგში: 1. იკორთის ჟამნ-გულანის კინკლოსის დასაწყისში, 1457 წლამდე, რითაც იწყება HH-3004, არის კიდევ წინამდევალი 3 ცნობა 1431, 1444 და 1447 წლებისა; 2. სკზ ქორონიკონზე, ე. ი. 1539 წელს, ჩანერილია სხვა ხელით: „აქა სომეხნი შ[ე]იშალ[ენ]ენ“. სხვა მხრივ ცნობათა ოდენობისა და თარიღების მიხედვით იდენტურობა ამ ქრონიკებისა უდავოა. მცირეოდენი სხვაობებია სიტყვათა დაქარაგმებაში. ამ ქრონიკებს პირობითად სამცხური შეიძლება ვუნოდოთ, ვინაიდან ძირითადად აქ ათაბაგთა ქრონიკაა გადმოცემული. იკორთის ჟამნ-გულანის ისტორიული მინაწერები 1550 წლით არ სრულდება. დამატებით იქ მოცემულია 1624-1729 წწ. ამბები და ამჯერად საქმე ქართლ-კახეთს ეხება.

ამ ორი ქრონიკის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით კიდევ ერთ მომენტს აღვნიშნავთ: ზემოთაც იყო ნათქვამი და გავიმეორებთ, რომ H-3004-ში კონსტანტინეპოლის აღების თარიღი შესწორებულია. ტრადიციული 1444 წლის ნაცვლად 1457 წელს არის მინიშნული: „ზემო ეწერა მაგრა ეს უმართლოა, აქ უნდოდა“-ო. იკორთის ჟამნ-გულანში კონსტანტინეპოლის აღება 1444 წელსაც არის აღნიშნული, ხოლო 1457 წელს მინაწერის ავტორისეული შესწორების გარეშე წერია: „აქა კოსტანტიპოლი დაიჭირეს თათართა“. შესაძლებელია H-3004 იკორთის ძლისპირიდან არის გადმონერილი, მაგრამ რატომ

1. იბ. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი.

არის გამოტოვებული ცნობები 1431 წ. ალექსანდრეს მიერ ლორეს ალებისა და 1447 წ. ალბულასა და ყვარყვარეს შორის მომხდარი ბრძოლის, ვახტანგ მეფის გარდაცვალების შესახებ, ამაზე ვერაფერს ვიტყვით.

მეტ-ნაკლები მსგავსების საფუძველზე ერთმანეთის გვერდით შეიძლება დავაყენოთ სამი კინკლოსური ქრონიკა (H-1452, VI; H-1755, VII; H-1738, VIII). ამ ქრონიკათაგან ყველაზე უფრო ვრცელის, ყანჩაეთის ჟამნ-გულანის (H-1452), მიხედვით პირობითად მათ შეიძლება ვუნოდოთ ყანჩაეთის ჟამნ-გულანის ჯგუფი. მსგავსება აქ მეტად პირობითია და შეხებია მხოლოდ დასაწყის ნაწილებს ამ ქრონიკებისა და იქაც გადამწერთა სუბიექტური შეცდომების შედეგად ერთი და იმავე ფაქტის აღნიშვნაში არის თითონლიანი სხვაობა-შეცდომები.

ყანჩაეთის ჟამნ-გულანის ისტორიული მინაწერების თავისებურებას ის შეადგენს, რომ ქრონიკა, რომელიც, მსგავსად H-1738-ისა და H-1755-ისა კონსტანტინეპოლის თურქთაგან დაპყრობის თარიღით იწყება, 1679 წლის მინაწერის ჩათვლით, ერთი წვრილი ნუსხური ხელით არის შესრულებული. ექ. თაყაიშვილის სამართლიანი შენიშვნით, გადმონერილია ის სხვა წყაროდან, უპირველესად ყოვლისა, ალბათ, სხვა ხელნაწერის კინკლოსიდან.¹ გვიანდელი მინაწერები თანამედროვეთა მიერ არის გაკეთებული. ერთ-ერთი მათგანი, მამუკა მუხრან-ბატონი, 1726 წლის მინაწერში კინკლოსური ცნობისთვის არადამახასიათებელ საკმარის ვრცელ თხრობას იძლევა თანადროული საქართველოს შესახებ.² აღწერს ქვეყნის შეჭირვებულ მდგომარეობას, შინააშლილობას უჩივის.

ალბათ გადამწერის მექანიკური შეცდომის შედეგია, რომ ყანჩაეთის ჟამნ-გულანში მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობა

1. Е. Такайшвили, „Канчатский Жам-гулани“ и исторические приписки его кирилоса. Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, XXIX, 1901, გვ. 115.

2. მინაწერი კინკლოსის ცხრილ-ცხაეზე არაა გაკეთებული, არც დაეტეოდა. იგი დანეროლია ხარების გამოსახულების მომდევნო გვერდზე, ტექსტის არშიაზე, 451-ე გვერდზე.

საქართველოში შეცდომით 1579 წელს არის მითითებული, ნაცვლად 1578 წლისა.¹

ყანჩაეთის ჟამნ-გულანის ცნობები 1754 წლის მინაწერით, ხუნძახის ბატონზე ერეკლე მეფის გამარჯვების ამბით სრულდება.

H-1755 (VII) ჟამნის არშიებზე მიწერილი ისტორიული ქრონიკა ორი ხელითაა გაკეთებული (ნუსხურითა და მხედრულით). გადამწერლები არიან ნათანელ ბედისმწერლიშვილი და ვახტანგ ყაფლანიშვილი. ამასთანავე, ისე არ არის, რომ ერთი ხელი თავდებოდეს და მეორე იწყებოდეს, ეს ორი ხელი მონაცვლეობს. ქრონიკა, ვიმეორებთ, მეტად პირობით მსგავსებას იჩენს ყანჩაეთის ჟამნ-გულანთან. იგი უფრო ახლოს დგას H-1738 (VIII)-ის ისტორიულ მინაწერებთან, წყვეტილები თარიღებს შორის ამ უკანასკნელში უფრო მცირეა. ყანჩაეთის ჟამნ-გულანის მსგავსად აქაც ერთნლიანი ცდომითაა ნაჩვენები ლალა ფაშას საქართველოში ლაშქრობა, ხოლო HH-1738-ში თარიღი სწორადაა მითითებული. H-1738-ში 1625 წელს სწორად არის მითითებული მარაბდის ომის თარიღი, ხოლო ყანჩაეთის ჟამნ-გულანი კვლავ ერთნლიან შეცდომას უშვებს (1624 წ.). განსხვავებით ყანჩაეთის ჟამნ-გულანისაგან, H-1755-ში და H-1738-ში არის ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ.

H-1738 1707 წლის მინაწერით მთავრდება, ხოლო H-1755 ნიშანდობლივია, რომ სრულდება იმავე 1679 წელს, რა წელსაც დასრულებულია ერთი ხელით ნაწერი ტექსტი ყანჩაეთის ჟამნ-გულანისა, თუმცა კი ამ თარიღით ნაწერი ცნობები განსხვავებულია.

ერთგვარ შედარებით სიახლოვეს იჩენს ერთმანეთთან სამი ხელნაწერის კინკლოსთა ისტორიული მინაწერები, ესენი არიან: A-1 153 (IX), S-252 ბ (X), H-380 (XI).

1. მუსტაფა ლალა ფაშას შესახებ სპეციალური გამოკვლევა აქვს მ. სვანიძეს. იხ. მისი „მუსტაფა ლალა ფაშას ლაშქრობა საქართველოში“, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, №116.

A-1153 წარმოადგენს ჟამნს. თ. ჟორდანიას ქრონიკებში ისტორიული მინაწერები A-1153-ისა შესულია როგორც ცნობები ჟამნი №3-ის. ხელნაწერს ჟორდანიას ხელით პირველ გვერდზე აწერია „ჟამნი №3“. ამ ხელნაწერში ნუსხური ხელით არის შესრულებული მინაწერები 1700 წლის ჩათვლით. სულ ოთხი ხელი განირჩევა. მოკიდებული 1700 წლიდან 1793 წლის ჩათვლით მინაწერები საკმაოდ დაუდევრად არის გაკეთებული მხედრული ხელით. ეს უკანასკნელი ნაწილი საგვარეულო ქრონიკაა მუხრან-ბატონებისა, მასში ჩართული ცნობებით წილკნელთა შესახებ.

ამ კინკლოსის ქრონიკაში საინტერესოა 1602 წელს აღნიშნული ცნობა: „ამ ქრონიკონს მეფე დავით მიიცვალა კახთა“. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს პირველი (1948 წ.) გამოცემებისთვის დართულ მეფეთა ქრონოლოგიაში დავითის მეფობა რატომღაც 1601 წელს არის აღნიშნული. ამავდროს, თ. ჟორდანიას ქრონიკების II ტომში გამოცემულია (დედანს ან პირს ველარ მივაკვლიეთ) დავით მეფის 1602 წლის სიგელი – დედოფალ ქეთევანთან, შვილებთან: თეიმურაზთან, ბაგრატთან ერთად დავითი ნინოწმინდის ეკლესიას ყმებს სწირავს.¹

H-380 (XI) ხელნაწერი ჟამნ-გულანია. უმრავლესობა ისტორიული მინაწერებისა გაკეთებულია ერთი ნუსხური ხელით, იმ ხელით, რომლითაც აღნიშნულია კინკლოსის გადანერის თარიღი: ტკდ – 1636 წ. ხელნაწერის ანდერძიდან ირკვევა, რომ გადამწერია დიაკონი „იოანე მწერალი მცირე“. 1636 წლის შემდეგ ძირითადი ცნობები ციციშვილების საგვარეულო ქრონიკას განეკუთვნება, თუმცა მეფეთა ზეობის წლებიც არის ჩართული, ხოლო 1688 წელს აღნიშნულია, რომ „გიორგი მეფე გააგდეს“ და „ერეკლე მეფე მოვიდა“. ქრონიკა სრულდება სხვა მხედრული მინაწერებისაგან განსხვავებული ხელით, რომლითაც ჩანერილია 1722 წელს იმამ ყული-ხანის

1. ქრონიკები, II, 432.

გარდაცვალება და კონსტანტინეს (მაჰმად ყული-ხანი) გამეფება. განსხვავებით ვახუშტი ბაგრატიონისაგან, რომელიც ამ ამბავს 1721 წ. აღნიშნავს, თარიღი სწორად არის მოცემული. 1722 წელს გაცემულ „ღვთაების გუჯარში“ სასიკვდილოდ გადადებული იმამ ყული-ხანი ამბობს: „მიერით ჟამითვე დაუტევე ცხოვრება ესე და შევეძინე მამათა ჩვენთა თანა“-ო.¹

ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართო ქრონოლოგიური ჩარჩოების ქრონიკაა ხელნაწერ S-252 გ (X) კინკლოსის ისტორიული მინაწერები. თვით კინკლოსური ცხრილი 1579 წლისაა, ვინაიდან ამ თარიღთან მიწერილია: „ესე არს აწინდელი ქორონიკონი, რომელსაც დაენერა“. ამ თარიღამდე ჭარბობს ცნობები სამცხე-საათაბაგოს შესახებ. ასეთი ცნობები ქრონიკაში ქვევითაც არის, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1587 წელს აღნიშნულია „აქა სამცხე დაიჭირეს ოსმალთა“, ქრონიკა ძირითადად იმერეთის ამბებს, დასავლეთ საქართველოს ამბებს გადმოგვცემს. ამით ჩანს თვით ხელნაწერის ისტორიაც. იგი იმერეთში წაულიათ. 1579 წლის შემდეგ მინაწერები გაკეთებულია ორი ნუსხური ხელის მონაცვლეობით (ალაგ-ალაგ გარეულია მხედრულიც). ნუსხური მინაწერები სრულდება 1789 წ. ცნობით. შემდგომი მინაწერები გაკეთებულია საკმაოდ დაუდევარი მხედრულით. 1820 წლის მინაწერთან ერთად სრულდება კინკლოსის ცხრილიც.

ქორონიკონ სოზ-ის გასწვრივ კინკლოსში ასეთი მინაწერია: „ამა ქორონიკონსა დ^ა თ^ა აღმაშენებელსა გელათი დაუწყია და ქ^ე კნი მობრუნებული არი“. ე. ი. ცნობა უნდა დავიანგარიშოთ XII მოქცევით და გამოდის, რომ გელათის მშენებლობა დაწყებულა 1057 წელს, იმ დროს, როდესაც დავით აღმაშენებელი ჯერ დაბადებულიც არ იყო. თ. ჟორდანიას გამოთქვამს მოსაზრებას, რომ აქ იგულისხმება გელათის კომპლექსის ერთ-ერთი ეკლესიის (სახელდობრ, წმინდა გიორგის ეკლესიის) აგება ბაგრატ IV-ის მიერ და რომ ქრონიკაში, ისტორიულ

1. იხ. ქართული სამართლის ძეგლები, II, ი. დოლიძის გამოცემა, გვ. 97.

ტრადიციაზე დაყრდნობით, დავით აღმაშენებლის სახელი შეცდომით არის შეტანილი.¹ ამ მოსაზრების ერთგვარ საფუძველს დავითის ისტორიკოსის თხზულებაც იძლევა. დავითმა, მისი ისტორიკოსის ცნობით: „გარდაართხა ტაძარი ყოველად წმიდისა და უფროსად კურთხეულისა დედისა ღმრთისა, რაბამ რამე აღმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა“.² უკანასკნელი სიტყვები შესაძლებელია კონკრეტულად გელათის ადგილებში ნაშენ ეკლესიას გულისხმობდეს. დიუბუა დე მონპერე დავით აღმაშენებელს გელათის ხელმეორედ დამფუძნებელს უწოდებს.³

თუ S-252 გ კინკლოსური ქრონიკა 1787 წლის ამბებიდან დასავლურქართული, იმერული ქრონიკა ხდება, საკუთრივ იმერულ ქრონიკებად შეიძლება გამოვყოთ S-1204 (XII)-ისა და H-381 (XIII) ჟამნ-გულანების, გელათის – A-186 ა (XIV) და შემოქმედის – Q-103 ბ (XV) გულანების კინკლოსთა ისტორიული მინაწერები.

S-1204 ხელნაწერი XVII საუკუნეში გადაწერილი ჟამნ-გულანია. ისტორიული ცნობები მოთავსებულია კინკლოსის სტრიქონებს შორის, ყველა ერთი, კინკლოსისავე დამწერის, ხელით. გადამწერს რომელიღაც აღმოსავლურქართული კინკლოსის მინაწერები ჰქონია ხელთ და ამიტომ, სხვა იმერული ქრონიკებისაგან განსხვავებით, აქ შეტანილია ცნობა თათართა მიერ კონსტანტინეპოლის აღების, 1556 წ. შაჰ-თამაზის მიერ ქართლისა და სომხეთის აოხრების შესახებ და ორიოდე მინაწერია ახალციხე-ანყურის შესახებ. კინკლოსის ცნობები 1700 წლით სრულდება.

ჟამნ-გულანი H-381 (XIII), როგორც ეს კინკლოსის მინაწერებიდან ირკვევა, 1703 წ. გადაუწერიათ, ვინაიდან ერთი, დედნისეული, ხელით გაკეთებული მინაწერები აქ წყდება. ხელნაწერის მინაწერებიდან ჩანს, რომ იგი გადაწერილია დი-

1. ქრონიკები, I, გვ. 202-203. იგივე ცნობა არის შემოქმედის გულანშიც (Q-103 ბ).

2. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 329, 330.

3. Dubois de Montpereux, Voyage... II, Paris, 1839, გვ. 182-183.

აკონ ბაბუხადიას და იოანე პატარიძის მიერ ფირან მხეიძის ბრძანებით. დასაწყისში მე-200 ქორონიკონამდე კინკლოსს ფურცლები აკლია. ცნობები მოყვანილია 1803 წლამდე, სადაც ერთნლიანი შეცდომით აღნიშნულია გრიგოლ დადიანის სიკვდილი (გარდაიცვალა 1804 წ.). 1778 წლიდან მინანერები გაკეთებულია ცუდი მოგვიანო მხედრული ხელით. ერეკლე მეფის გარდაცვალების თარიღიც შეცდომით 1797 წელს არის მითითებული.

XVII-XVIII საუკუნეების გელათის გულანის (A-186 ა, XIV) კინკლოსის მინანერებში 2 განსხვავებული ნუსხური მონაცვლეობს. არის მხედრულით გაკეთებული მინანერებიც. 1519 წლიდან 1643 წლის ჩათვლით კინკლოსში სულ 5 მინანერია. 1653-1668 წლების ამბები საკმაოდ ვრცლად არის მოთხრობილი გედეონ გენათელის მიერ. შემდეგ ხელნაწერი კახეთში წაულიათ და 1736 და 1742 წწ. არის მინანერები ენისელთ მოურავის გივის ძის დავითისა და ნინოწმინდელი იოსებ ვაჩნაძის შესახებ.

დიდი ფორმატის ხელნაწერია Q-103 ბ (XV), ე. წ. შემოქმედის გულანი, გადაწერილი 1749 წ. მისი კინკლოსის მინანერები რიგი შეცდომებით გამოცემული აქვს დიმიტრი ბაქრაძეს.¹ 1749 წლამდე მინანერები გაკეთებულია თვით კინკლოსის გადმომწერის მიერ. ცნობები კინკლოსის სტრიქონებს შუა არის ჩანერილი და, როგორც სხვა მსგავს შემთხვევებში, აქაც ამკარაა, რომ გადმოღებულია სხვა კინკლოსური ქრონიკიდან. უკანასკნელი ცნობა კინკლოსისა 1718 წლით თარიღდება.

ყველა იმერულ ქრონიკაში კარგად მოჩანს დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავართა შინაომი. „ღონედ საკუთარი უძღურებისა“ (ნ. ბერძენიშვილი) თათრებს უხმობენ დასახმარებლად ლევან აბაშიძე, დედოფალი ნესტან-დარეჯანი. ასეთ ვითარებაში ქრონისტი ან ცალკეული მინანერის ავტორიც მთლიანად ჩართულია ძმათა ომში და არათუ სხვა მეზო-

1. იხ. Д. Бакрадзе, Археологические путешествия по Гурии и Абхазе, СПб, гв. 150-156.

ბელ ქვეყნებს ვერ ხედავს, არამედ იმერეთს ქართლ-კახეთის ამბებიც აღარ აინტერესებს და პირიქით. არ არის ეროვნული ერთიანობის შეგრძნება.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცულია კიდევ ორი მცირე ქრონიკა: S-5091 (XVI) და S-1384 (XVII) ხელნაწერების კინკლოსთა მინაწერები. პირველი მათგანი ლიტურგიკული ძეგლია (ამოკრებილი საკითხავები სახარება-სამოციქულოდან XVII ს.). იგი 1688-1733 წწ. ფარგლებში სულ შვიდ ისტორიულ მინაწერს შეიცავს. კინკლოსის არშიებზე ქორონიკონი მითითებული არ არის, მაგრამ რამდენადაც №2 მინაწერში აღნიშნულია: „კახი მეფის ბატონის თეიმურაზის ძე ერეკლე გაბატონდა“-ო, ცხადია, აქ ლაპარაკია ერეკლე I ნაზარალიხანზე, რომელიც ისტორიულ დოკუმენტებშიც არაერთხელ იწოდება თეიმურაზის ძედ (შვილიშვილი იყო). სხვა პასქალურ ცხრილებთან ამ მინაწერის გასწვრივი სტრიქონის შედარებამ აჩვენა, რომ ქორონიკონი უნდა იყოს ტოე - 1688 წელი, ნაზარალიხანის ქართლში გამეფების სხვა წყაროებითაც დადასტურებული თარიღი. ყველა მინაწერი დაუდევრადაა გაკეთებული. თვით პასქალურ ციკლში ნაკიანი წლების მონაცვლეობა არეულია. პირველი ორის გამოკლებით მინაწერები მხედრული ხელით არის გაკეთებული.

S-1384 (XVII) ხელნაწერის (XVI ს. სადღესასწაულო) კინკლოსს სულ 4 მინაწერი აქვს, რომელთაგან სიზუსტით ვერც ერთი ვერ დაიკვეხნის. 1718 წელს აღნიშნულია „ყენი გარდაადგო მირეიზმა“-ო, მაგრამ თარიღი აშკარად მცდარია, ვინაიდან მირ-ვეისი 1715 წ. გარდაიცვალა.¹ შეცდომით არის მოცემული თარიღები ვახტანგ მეფის რუსეთში წასვლისა და ავღანელთაგან შაჰის მიერ ისპაჰანის განთავისუფლებისა.

ვრცელი ქრონიკებისაგან განსხვავებით კინკლოსების ისტორიული მინაწერები მეტად შეკუმშულ ცნობებს იძლევიან. გაბმითი თხრობა საერთოდ არ არის ან თითქმის არ არის, მა-

1. იხ. М.С. Иванов, Очерк истории Ирана, Москва, 1952, გვ. 81.

გრამ კინკლოსებში დაცულ ცნობებს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისათვის საერთოდ მაინც დიდი ფასი აქვთ.

კომენტარებით აღჭურვილი კინკლოსური ქრონიკების ადრეული გამოცემების უმეტესობა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს. მაგალითად, S-252 გ (X) კინკლოსი თ. ჟორდანიას მიერ გამოცემულია ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ პერიოდულ კრებულში „Прибавление к Духовному вестнику грузинского экзархата“. 1903, №15-16, გვ. 25-33. კრებულის იმავე ნლის №7-8-ში გამოცემულია S-1204 (XII) კინკლოსის მინანურები. ასევე ნაკლებად ხელმისაწვდომია კინკლოსური ქრონიკების ბროსესეული ფრანგული გამოცემები. ქრონიკალური მასალის ამაგდარი მკვლევარი ქრისტინე შარაშიძის მიერ ხელნაწერთა აღწერილობებში გამოცემული კინკლოსური ქრონიკები, ხელნაწერთა აღწერილობის შედგენილობის პრინციპებიდან გამომდინარე, კომენტირებული არ არის.

რთული ქარაგმები კინკლოსური ქრონიკების ტექსტებში არ გვხვდება. ძირითადად აქ არის მარტივი დაქარაგმება ადვილად გასახსნელი საკუთარი სახელებისა.

სტრიქონებს შორის, არშიებზე ადგილის სიმცირის გამო, მინანურის დართვისას ქრონისტები იძულებულნი იყვნენ მეტად ეკონომიურად ეწერათ. ამით არის გამოწვეული კინკლოსების ისტორიული მინანურებისათვის დამახასიათებელი ხმოვანნაკლებობა.

ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი¹

თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის დადგენისათვის

ისტორიულ ქრონოლოგიას რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ისტორიული მეცნიერებისათვის, ეს უდავო ჭეშმარიტებაა. ისტორიული ქრონოლოგია ის კარკასია, რომელზედაც აგებულია ადამიანთა საზოგადოების განვითარების მეცნიერული ისტორია. ამიტომ ენიჭება ქრონოლოგიური თვალსაზრისით ისტორიული ფაქტებისათვის ადგილის მიჩენას დიდი მნიშვნელობა. სამწუხაროდ, მსოფლიო ცივილიზაციის მონინავე ხალხების ისტორიაც არ არის განებივრებული თუნდაც ტრივიალური ქრონოლოგიური ფაქტების სიუხვით, მათი უეჭველობით. თვით იმ ხალხების ისტორიაშიც კი, რომელთაც განვითარების შედარებით მშვიდობიანი, ხელსაყრელი პირობები ჰქონდათ, ქრონოლოგიური თვალსაზრისით მრავალი რამ არის დასადგენი, დასაზუსტებელი.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი განვითარების ქარტეხილებით აღსავსე თავგადასავლის მანძილზე ბევრი საისტორიო პირველწყარო განადგურდა, დაზიანდა და შეიწყვნა. განსაკუთრებული ძნელბედობის ჟამს იქნებ ვერც იცლიდნენ სანერად და ჩვენს ისტორიაში, თანადროული ხანის პირველწყაროების თვალთახედვით, ლაკუნებიც არსებობს. ამჟამად ჩემს მიზანს ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ისტორიის წარმოჩენა არ შეადგენს. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ ქართული ისტორიულ-ქრონოლოგიური მასალის შედარებითი სიმწირე კარგად ჰქონდა შეცნობილი სახელოვან ისტორიკოს-გეოგრაფს ვახუშტი ბაგრატიონს, ამასვე ხაზგასმით მიუთითებდა ღვანლმოსილი ქართველოლოგი მარი ფელისიტე ბროსე. ჩვენს ისტორიაში ქრონოლოგიური ხარვეზების შესავსებად უზარმაზარი შრომა გასწია ივანე ჯავახიშვილმა, მის კვალდაკვალ მრავალმა ისტორიკოსმა.

1. „ცისკარი“, №1, 1976 წ.

თითოეული კონკრეტული ისტორიული ფაქტისათვის ადგილის მიჩენას ქრონოლოგიური თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, თავისთავადი ღირებულება აქვს. ისტორიული მოვლენების მჭიდრო მიზეზობრივი ურთიერთკავშირის გამო, ქრონოლოგიურ მასალას, ცხადია, ფარდობითი, რელატიური ღირებულებაც აქვს. ქრონოლოგიურად დადგენილი თითოეული ისტორიული ფაქტი ადამიანთა საზოგადოების განვითარების გრძელი ჯაჭვის გარკვეულ რგოლს შეესაბამება. თითოეული დადგენილი ისტორიული ფაქტის ქრონოლოგიური სიზუსტე თუ უზუსტობა შესაბამისად მოქმედებს მასთან დაკავშირებული მოვლენების ქრონოლოგიაზე.

საქართველოს და სხვა მრავალი ქვეყნის პირველწყაროების ქრონოლოგიის ძირითად ღერძს გადახდილი ბრძოლების, მეფეთა, მხედართმთავართა და მღვდელმთავართა მოღვაწეობასთან, მათ ზეობასთან დაკავშირებული თარიღები წარმოადგენს. ბუნებრივია, ადამიანთა საზოგადოების, მწარმოებელი მასების თანამედროვე ისტორიის შექმნისას, ისტორიკოსებს მოვლენათა ქრონოლოგიური მიჯნების დასადგენად სწორედ ამ არსებული ქრონოლოგიური მასალით უხდებათ ოპერირება. ამასთან, მეფეთა ზეობის დადგენისას ერთი შეხედვით მშრალ ქრონოლოგიურ ამბებში მოჩანს კლასობრივი და განსაკუთრებით შინაკლასობრივი ბრძოლის მრავალი საინტერესო მომენტი. ფეოდალური სახელმწიფოს მეთაურის, მეფის, ტახტზე ასვლა ან მისი გარდაცვალება თავისთავადაც მნიშვნელოვანი მოვლენაა. ხშირად ეს სახელმწიფოს პოლიტიკური კურსის ცვალებადობას მოასწავებდა.

ყოველივე ზემოთქმულის გამო საქართველოს ისტორიაში დიდ ინტერესს იწვევს თამარ მეფის გარდაცვალების თარიღი. ინტერესს, რა თქმა უნდა, აძლიერებს ის, რომ თამარის დროს საქართველომ ფეოდალური განვითარების მწვერვალს მიაღწია და წინა აზიის უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. აღნიშნული თარიღის შესახებ საქართველოს ისტორიის მკვლევართ შესაბამისი არგუმენტაციით სხვადასხვა თე-

აღსაზრისი ჰქონდათ გამოთქმული. სულ უკანასკნელ ხანს ამ თარიღის დადგენას მიეძღვნა თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის სტატია „ცდა ერთი თარიღის დადგენისა“, შ. დარჩაშვილის წერილი „XIII ს. დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის“.¹ თამარის გარდაცვალების თარიღი კვლავ სადავო გახდა და, ვფიქრობ, მისი კვლევის ისტორია, ისტორიკოს-მკვლევართა განსხვავებული არგუმენტაციის წარმოჩენა ფართო მკითხველში საზოგადოებისათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს (საკითხის ისტორიაში გათვითცნობიერებული მკითხველის წინაშე სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის დამონშებული ფაქტების გამეორებისათვის ბოდიშს ვიხდი).

თამარის ისტორიკოსის თხზულებაში „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ისე მოჩანს, რომ თამარი თავისი სარდლის ზაქარია მხარგრძელის გარდაცვალების შემდგომ გარდაიცვალა. თამარის გარდაცვალების თარიღის დადგენისას ისტორიკოსები სწორედ ამ მომენტს იღებდნენ ამოსავალ წერტილად. ლაკონიურობისათვის მომაქვს ამონაწერი საკუთარი შრომიდან: „მ. ბროსემ მიიჩნია, რომ თამარი გარდაიცვალა 1212 წ. გარდაცვლილი ზაქარია მხარგრძელის შემდგომ, 1212-1214 წწ.“ (M. Brosset, Additions... გვ. 298).

თ. ჟორდანიამ გაითვალისწინა თამარ მეფის გარდაცვალების ბროსესეული თარიღი და ქრონოლოგიური წინააღმდეგობების შემცველი „ისტორიანი და აზმანის“ თხზულებაზე დაყრდნობით (მთიულთა აჯანყების ხანგრძლივობა) ერთწლიანი კორექტივი შეიტანა თარიღში. თ. ჟორდანიას მიხედვით, თამარ მეფე 1213 წ. გარდაიცვალა (ქრონიკები, I, გვ. 300). ეს თარიღი მიიჩნიეს მართებულად ალ. ხახანაშვილმა, საკუთარი დასაბუთებით ივ. ჯავახიშვილმა და იგივე დამკვიდრდა

1. იხ. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა. ჟურნალი „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1974, №№ 1-2; შ. დარჩაშვილი, XIII ს. დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის. ჟურნალი „მნათობი“, 1975, №2.

სამეცნიერო თუ სასწავლო ლიტერატურაში, ხოლო კ. კეკელიძის გამოკვლევით, თამარი 1216 წ. 27 იანვარს გარდაიცვალა (იხ. „Трапезундская хроника“ 1905, გვ. 19; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 290; „ისტორიანი და აზმანი...“ კ. კეკელიძის გამოცემა, 1941, გვ. 43).

თამარის გარდაცვალების თარიღად 1207 წელს ადრიდანვე მიიჩნეოდა ს. კაკაბაძე. ამასვე ამტკიცებდა იგი „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილ თავის უკანასკნელ შრომაში (ს. კაკაბაძე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, 1966, გვ. 228-230. ადრინდელი შრომების მითითება იხ. იქვე, შენიშვნა 1).

ბ. სილაგაძემ იბნ ალ-ასირის ცნობების შესწავლისას დამაჯერებლად დაამტკიცა, რომ იბნ ალ-ასირის ცნობა თამარის 1206-1207 წწ. გარდაცვალების შესახებ სწორია. მან მოიშველია მხითარ აირივანცის ცნობა, რომლის მიხედვითაც, 1209-1210 წწ. თამარ მეფე ცოცხალი აღარ იყო. მანვე გამოიყენა ფრანგი რაინდის დე ბუას მიერ ბეზანსონის ეპისკოპოსისადმი გაგზავნილი წერილი, 1207 წლით რომ ათარიღებენ და რომელშიც ვკითხულობთ, ქრისტიანობისათვის მებრძოლი 16 წლის ქართველთა მეფე თავისი დედის ძვლებს თან დაატარებსო (ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. კრებული – საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 124-129).¹

საერთოდ მეცნიერებაში, ამ შემთხვევაში კონკრეტულად ისტორიულ მეცნიერებაშიც, ძალიან დიდია ავტორიტეტის ძალა, ძალა მეტ-ნაკლებად ხანგრძლივი დროის მანძილზე გამეფებული ისტორიული ტრადიციისა, ძალა ინერციისა. სწორედ ამიტომაც, რომ დღესაც, როდესაც საფუძველი აღარ არსებობს მივიჩნით, რომ თამარი 1213 წელს გარდაიცვალა, მ. ბროსეს, თ. ყორდანიას, ალ. ხახანაშვილისა და განსაკუთრებით ივ. ჯავახიშვილის დიდი მეცნიერული ავტორიტეტის

1. მცირე ქრონიკები (კინკლოსების ისტორიული მინაწერები). ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯუმბერ ოდიშელმა, თბილისი, 1968, გვ. 95-96.

გამო ზოგიერთი ისტორიკოსი 1213 წელს – ამ თარიღს, რომელიც არც ერთ ისტორიულ წყაროში არასდროს დადასტურებული არ ყოფილა, მაინც სანდოდ მიიჩნევს.

ეს თარიღი, როგორც აღნიშნული იყო, მომდინარეობს „ისტორიანი და აზმანის“ ცნობების ერთგვარი ანალიზიდან, რის მიხედვითაც, თამარი ზაქარია მხარგრძელის სიკვდილიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. „ისტორიანი და აზმანი“, როგორც ამას მართებულად შენიშნავდა ს. კაკაბაძე, ერთი ავტორის მიერ არ უნდა იყოს დაწერილი. ამ თხზულებაში კონკრეტული ქრონოლოგიური მასალა არ არის, იგი არც ქრონოლოგიურ რიგზეა განწყობილი. შეინიშნება ქრონოლოგიური შეუსაბამობანიც. სომხური ეპიგრაფიკის მონაცემების (ჰალბატის, ბაგავანის წარწერები), სომეხი ისტორიკოსის კირაკოს განძაკელის თხზულების იმ ადგილის გათვალისწინებით, სადაც ზაქარია მხარგრძელის სიკვდილია მოთხრობილი, შ. დარჩაშვილი კარგად ასაბუთებს, რომ თამარ მეფე ზაქარია მხარგრძელზე ადრე, ე. ი. 1212 წელზე ადრე გარდაიცვალა.¹ ზაქარია მხარგრძელი რომ ცოცხალია თამარის შემდგომ, ამას ნათლად უჩვენებს ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანეც. თამარის სიკვდილის ფაქტის აღნიშვნის შემდგომ ვკითხულობთ: „და იყო სამეფო მისი (ლაშა გიორგის – ჯ. ო.) დიდსა დაწყნარებასა შინა, და იყვნეს გამგედ და განმზრახად ყოველთა საქმეთა მისთა მისისავე მშობლისობითგან (!) მკარგრძელი ზაქარია, მანდატურთ-უხუცესი და ამირსპასალარი, და ივანე ათაბაგი“.²

1211 წელს რომ თამარ მეფე ცოცხალი აღარ იყო, ამას ადასტურებს თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად შემოტანილი 1211 წლის 7 ივნისით დათარიღებული წერილი პაპი ინოკენტი III-ისა „საქართველოს ბრწყინვალე მეფეს – მოწოდება წმინდა მინის დასაცავად“.³

1. შ. დარჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 151-153.

2. ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1955, გვ. 370¹³⁻¹⁵.

3. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, „მაცნე“, №2, გვ. 188-189.

განვიხილოთ, რას მოგვითხრობენ თამარ მეფის გარდაცვალების შესახებ პირველწყაროები. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე გადმოგვცემს, რომ თამარმა 23 წელი იმეფა და მიიცვალა „თუესა იანვარსა თორმეტსა, დლესა ოთხშაბათსა, აგარათა სომხითისათა, ქრონიკონსა ოთხას ოცდაშუდასა. დამარხეს ახალსა მონასტერს გელათს“¹ ($1184+23=1207$. $427+780=1207$). თამარის მეორე ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდღვარიც მოგვითხრობს თამარის გარდაცვალების შესახებ და დასძენს: „თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეანყუდია ყოველი გუარი კეთილ-მეფობისა“.² ამ ცნობითაც, რამდენადაც თამარი 1184 წელს გამეფდა, იგი 1207 წელს გარდაცვლილა.

სომეხი ისტორიკოსი ვარდან აღმოსავლელი, რომელსაც თავის თხზულებაში მოთხრობილი აქვს პოლიტიკური ისტორია ვიდრე 1267 წლამდე, წერს: „თამარის მეფობაში ქრისტიანები გაძლიერდნენ. მან მიატოვა თავისი რუსი ქმარი და გათხოვდა ოს ასლანზე, რომელმაც გააგვსო იბერია თურქთათვის წართმეული ტყვეებითა და ალაფით. მას შეეძინა ერთადერთი შვილი, რომელსაც ლაშა უწოდა. მოკვდა 22 წლის მეფობის შემდგომ. ტახტზე ავიდა ლაშა, რომელსაც ლაშქარმა გიორგი უწოდა“.³ ვარდან აღმოსავლელის თხზულების ემინისეულ თარგმანში, რამდენადაც ემინი ფაქტების გაანალიზებასა და კომენტარში ეყრდნობოდა მ. ბროსეს, რომლის ქრონოლოგიით თამარი 1212-1214 წწ. გარდაიცვალა, შეცდომით ლაპარაკია დავით სოსლანის გარდაცვალებაზე. მოტანილ ტექსტში კი აშკარად ნახსენებია თამარის და არა დავით სოსლანის გარდაცვალება. გიორგი III 1184 წელს მარტში გარდაიცვალა. მის თანამოსაყდრე თამარს დარბაზის ერმა ამავე პერიოდში ხელმეორედ მისცა მეფობის დასტური და, ამრიგად, როდესაც ვარდან აღმოსავლელი აღნიშნავს, თამარი

1. ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369₂₂₋₂₃.

2. ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1959, გვ. 150_{1,2}.

3. Вардан Великий, Всеобщая история, 1861, ემინის გამოცემა, გვ. 171.

22 წლის მეფობის შემდეგ გარდაიცვალაო, ზეობის 22 სრული წელი 1207 წელზე გადადის.

არაბი ისტორიკოსის იბნ ალ-ასირის ცნობას ქართველთა მიერ ყარსის ალებისა და თამარის გარდაცვალების შესახებ 1207 წელს (ალ-ასირთან 1206-1207 წწ.) ადასტურებს აღდგომის დასაანგარიშებელი ერთი ციკლური ცხრილის, ანუ კინკლოსის ისტორიული მინაწერი.¹ მართალია, სხვა კინკლოსის მინაწერის მიხედვით თამარი 1206 წელს გარდაიცვალა, მაგრამ კინკლოსური ცნობების ბუნებიდან გამომდინარე, დასაშვებია ერთნაირი კალმისმიერი შეცდომა.² იმავე კინკლოსში XV საუკუნის მხედრული ხელით საკმაოდ დაუდევრად გაკეთებულია მინაწერი, რომლის მიხედვით, თამარი 1211 წელს გარდაცვლილა.

თ. ჟორდანიას აზრით, რამდენადაც აქ თამარი დედოფლად მოიხსენება, ეს მინაწერი არ ეხება თამარ მეფეს, მით უმეტეს, რომ იგი ჩართულია XIV მოქცევის ქორონიკონებში. ვფიქრობ, რომ ეს ცნობა, კინკლოსის წინამავალ ცნობასთან ერთად კონსტანტინეპოლის დანვის შესახებ, მექანიკურად იქნა გადმოტანილი სხვა კინკლოსიდან და თამარის დედოფლად მოხსენებისას გადამწერმა მექანიკური შეცდომა დაუშვა.³

თამარ მეფის გარდაცვალების დღის შესახებ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, როგორც ეს ზემოთაც იყო აღნიშნული, გვამცნობს, რომ ეს მოხდა 12 იანვარს, ოთხშაბათს. ბასილი ეზოსმოძღვრის მიხედვით, თამარი 18 იანვარს გარდაიცვალა.

ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაში, სადაც ქორონიკონული თარიღი არ არის, მოგვიანებით თამარის გარდაცვალების თარიღად სხვადასხვა პირებს მიუწერიათ ქორონიკონი უია და ქორონიკონი ულ (შესაბამისად – 1191 წელი და 1210 წელი). ეს უკანასკნელი თარიღი, როგორც მათთვის ხელსაყ-

1. მცირე ქრონიკები, გვ. 25, №24, პენ. 26.

2. იქვე, გვ. 26, №5, პენ. 26.

3. იქვე, გვ. 28, №32, პენ. 26.

რელი, აღნიშნული აქვთ თავის სტატიაში თ. ნატროშვილსა და გ. ჯაფარიძეს, აგრეთვე შ. დარჩაშვილს თავის წერილში. ორივე თარიღი გვიანი მინანქრია და, ამდენად, თანაბრად საეჭვო. ამასთან, პირველი თარიღის სიმცდარე მეტად თვალსაჩინოა.

ამრიგად, ისტორიული პირველწყაროები და უპირველესად ყოვლისა ლაშა გიორგის დროინდელი შემატიანე, თამარის გარდაცვალების თარიღად 1207 წლის იანვარს აღნიშნავენ. თამარ მეფის გარდაცვალების სხვა თარიღი არც ქართულ და არც უცხოურ პირველწყაროებში არ არის.

თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის სტატიაში თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის დასადგენად მოხმობილია მრავალფეროვანი მასალა, როგორც ისტორიული წყაროების, ისე სამეცნიერო ლიტერატურის თვალსაზრისით. სამეცნიერო აპარატით სტატია მეტად სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს და ავტორების ღრმა ერუდიციის დამადასტურებელია. მომიტევონ ავტორებმა, მაგრამ აქვე უნდა დავსძინო, რომ სტატიაში ხშირად მათი ერუდიცია რამდენადმე თვითმიზნურად არის გამოვლენილი, ჭარბობს წინასწარმიღებული დასკვნის დამტკიცების სურვილი. მიზნის მისაღწევად ავტორები ხშირად იყენებენ ერთი უცნობით მეორე უცნობის ამოხსნის გაუმართლებელ მეთოდს.

სტატიაში მიჩნეულია, რომ იბნ აღ-ასირი ცდება, როდესაც 1207 წელს აღნიშნავს თამარის გარდაცვალებას, რომ ამ დროს დავით სოსლანი გარდაიცვალა. იმის დასამტკიცებლად, რომ თამარი 1207 წლის შემდგომაც ცოცხალია, ავტორები ათარიღებენ ქართველთა ლაშქრობას ირანში, მათ მიერ მარანდის აღებას და გამოჰყავთ, რომ ეს ამბავი 1209 წლის შემოდგომაზე მოხდა.¹ მათივე არგუმენტაციით, პირველწყაროების მოშველიებით, ამ ლაშქრობაში დავით სოსლანიც მონაწილეობდა, რითიც ამკარად ეწინააღმდეგებიან საკუთარ თავს (დავით სოსლანი, მათი აზრით, 1207 წ. გარდაიცვალა).

1. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, „მაცნე“, №1, გვ. 156-157.

ქართველთა მიერ ირანში ლაშქრობის თარიღი ქართულ წყაროებში არ არის შემონახული. მისი თარიღის შესახებ ცნობას გვანვდის იბნ ხალიქანი. იგი მოგვითხრობს ცნობილი სწავლულის იბ ად-დინის არბელაში დამკვიდრების შესახებ და ამბობს: „ეს მოხდა, რამდენადაც ვიცი, 602 ან 603 წელს, მაგრამ იბნ ბატიში ამბობს, რომ ეს იყო 606 წელს. იმავე წელს ქართველები გამოემართნენ და აიღეს მარანდი, ქალაქი დაქვემდებარებული აზერბაიჯანზე, არბელას მახლობლად. მათ გაძარცვეს იგი, ამოჟლიტეს მცხოვრებთა ნაწილი და წაიყვანეს ტყვეობაში დანარჩენი“.¹ როგორც ვხედავთ, არც ამ ცნობაშია მოცემული ლაშქრობის გამოკვეთილი, ზუსტი თარიღი, თუმცა უპირატესობა უნდა მიენიჭოს იბნ ხალიქანის თარიღს (1205 წ. 18 აგვისტო – 1207 წ. 27 ივლისი), რომელიც, წარმოდგენილი ტექსტის მიხედვით, მხოლოდ კეთილსინდისიერებისათვის აღნიშნავს თავისი მასწავლებლის იბნ ბატიშის თარიღს (1209 წ. 6 ივლისი – 1210 წ. 24 ივნისი). თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის არგუმენტაცია იბნ ბატიშის თარიღის სასარგებლოდ არადაამაჯერებლად გვეჩვენება. ის, რომ ამ მოვლენის დროს იბნ ხალიქანი დაბადებული არ იყო და იბნ ბატიში კი მონიჭული კაცი იყო, ცხადია, არაფერს ამტკიცებს. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად უკრიტიკოდ უნდა გაგვეზიარებინა ისტორიულ მოვლენათა ყოველგვარი თანადროული პირველწყაროს ცნობა, რაც ფაქტობრივად ისტორიული მეცნიერების უარყოფამდე მიგვიყვანს. ესეც რომ არ იყოს, გავიხსენოთ განსაკუთრებით კრიმინალისტიკაში ცნობილი პარადოქსი: „თვითმხილველივით ცრუობს“-ო.

„ისტორიანი და აზმანის“ მიხედვით დავით სოსლანი გარდაიცვალა ბასიანის ომის (1202 წ. 27 ივლისი)² მომდევნო ხანაში. სხვა ქართული წყაროებით მას მონაწილეობა მიუღია ირანში ქართველთა ლაშქრობაში, რომლის ზუსტი თარიღი ჩვენ არ ვიცით (აბნ ხალიქანით – 1205-1207 წწ.).

1. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 156.

2. იხ. გ. ალასანია, ბასიანის ბრძოლის თარიღისათვის. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, № 1, 1975.

ორიოდე სიტყვით შევხებით თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის წერილში დამონშებულ ნუმიზმატიკურ მასალას. სტატი-
აში სავსებით სამართლიანად არის შენიშნული, რომ თამარის
გარდაცვალების თარიღის კომენტირებისას ნუმიზმატიკური
მასალისათვის ყურადღება არ მიმიქცევია. არ ჰქონდა იგი გა-
თვალისწინებული თამარის გარდაცვალების თარიღის დადგ-
ენისას ბ. სილაგაძესაც. უნდა ვალიარო, რომ იმდენად დასა-
შვებად მიმაჩნდა გრაფიკული აღრევა ქართულ ასომთავრულ
„ზ“-სა („ზ“) და „ზ“-ს („ლ“) შორის, რომ ვენდე პროფ. ს. კაკა-
ბაძეს. მიმაჩნდა, რომ დადასტურებულია თამარის უზ ქორო-
ნიკონით ($407+780=1187$ წ.) მოჭრილი მონეტები.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუ-
ზეუმის ნუმიზმატიკური კაბინეტის ფონდებში საგანგებოდ
შევამოწმე თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის სტატიაში
1210 წლით დათარიღებული თამარ მეფის მონეტები. მართ-
ლაც დადასტურდა, რომ ქართული ფულის ძირითად ფონდ-
ში: №№125, 129, 142, 149, 157, 1872, 1880, 1883, 4174, 4179
მონეტები; განძების და ცალკეული აღმოჩენების ფონდის
№№7716, 7721, 7729, 7730, 7747, 7750, 7752 მონეტები მოჭრ-
ილია თამარ მეფის სახელით და დათარიღებულია ქორონი-
კონი ულ-ით, ანუ 1210 წლით ($430+780$).¹

ამავე დროს, ნუმიზმატიკური მასალით მეფის ზეობის ზედა
საზღვრის დადგენის უხერხულობას აღნიშნავენ სტატიის ავ-
ტორებიც. „სამონეტო საქმის ისტორია, – მათი სამართლიანი
შენიშვნით, – იცნობს შემთხვევებს, როდესაც მონეტა იჭრე-
ბა გარდაცვლილი ან ტახტიდან ჩამოგდებული მონარქის სა-

1. განეული დახმარებისათვის მადლობას მოვახსენებ ნუმიზმატებს ი. ჯალაღანიას,
თ. აბრამიშვილს. თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ 1210 წლით
დათარიღებული მონეტებიდან ქართული ფულის ძირითადი ფონდის №№ 123, 1834,
1856, 1873-ში ქორონიკონი ულ არ იკითხება. განძებისა და ცალკეული აღმოჩენების
ფონდის №7718-ში თარიღი საერთოდ არ იკითხება, №7728-ში თარიღის ადგილი
გაჭეჭყლიდა დამლით. თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის სტატიაში ფონდების
სახელწოდებანი აღრეულია.

ხელით“. ¹ ლაპარაკობს რა ბარდავში აღმოჩენილ IX საუკუნის დირჰემებზე, მუსლიმანური მონეტების კლასიფიკაციაზე საერთოდ, ცნობილი ნუმიზმატი ე. პახომოვი აღნიშნავს, რომ კრიტიკულ დამოკიდებულებას მოითხოვენ საერთოდ ანონიმური მონეტები, ან მონეტები, რომლებზედაც საერთოდ არ არის აღნიშნული ხალიფის სახელი, ან რომლებზედაც აღნიშნულია არა მმართველი ხალიფის, არამედ მისი წინამორბედის სახელი. ²

ამრიგად, საქართველოს მეზობელ სამყაროში თამარ მეფის ხანამდე უკვე დადასტურებული იყო ფაქტები იმისა, რომ მონეტაზე სახელმწიფოს მეთაურის სახელი აღნიშნული იყო მისი გარდაცვალების შემდგომაც. საკუთრივ ქართული ნუმიზმატიკა საერთოდ არ არის განებივრებული ყველა პერიოდის მონეტების სიუხვით. მეფის გარდაცვალების შემდგომ მისი სახელით მოჭრილი მონეტები თითქოს არც XI-XII სს. ქართულ ნუმიზმატიკაშია დადასტურებული, მაგრამ, ჩანს, რომ აღნიშნული მოვლენის პრეცედენტს წარმოადგენს სწორედ თამარ მეფის 1210 წლის მონეტები.

დიდი და სახელგანთქმული მეფის გარდაცვალების შემდგომ ყოველთვის თავს იჩენდა ხოლმე სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერება. ისტორიული პირველწყაროები მოგვითხრობენ ლაშას არამყარ მდგომარეობაზე მისი მეფობის დასაწყისში. ლაშას მდგომარეობას ალბათ ართულებდა, მის პოზიციებს ასუსტებდა დადასტურებული ფაქტი მისი რინდებთან კავშირისა. ცენტრალური ხელისუფლების სისუსტეზე მიუთითებს ათაბაგის ჭარბად აღზევება, ის, რომ ლაშა-გიორგიმ, საქართველოს მეფემ, განძის ბრძოლაში დაშვებული შეცდომისათვის, მიუხედავად გამარჯვებისა, დიდებულებს დამამცირებელი ბოდიში მოუხადა. ³ დასასრულ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული მისივე დროინდელი მემაციანის ცნობით, მეფობის დასაწყისში, მოკიდებული ჯერ კიდევ მისი

1. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

2. Е. А. Пахомов, Монеты Азербайджана, IV, Баку, 1913, გვ. 149.

3. იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 153-154.

მშობლის სიცოცხლიდან, ლაშა-გიორგი ივანე ათაბაგისა და ზაქარია მხარგრძელის მზრუნველობისა და, შესაბამისად, მათი გავლენის ქვეშ იყო. ასეთ ვითარებაში, სრულიად ბუნებრივია, ლაშა-გიორგის მეფობაში მოჭრილი ყოფილიყო მისი სახელოვანი დედის მონეტები, მით უმეტეს, რომ ისტორიული თუ ხალხური ტრადიციით, თამარ მეფე საკმაოდ თავისებური პიროვნებაა. ხშირად მას საქართველოში ისეთი მოვლენები, ფაქტები მიენერებოდა, რომლებთანაც არაფერი ჰქონდა საერთო (უამრავი თამარის ციხე და სხვ.).

მსოფლიო ნუმიზმატიკაში უამრავი მაგალითია სახელმწიფოს განსვენებული მეთაურის სახელით მონეტების მოჭრისა. მოგვიანებით ეს მოვლენა ქალაქის ფულზეც გავრცელდა და დაკანონდა კიდევ. ამდენად, მხოლოდ ნუმიზმატიკური მასალით რომელიმე ისტორიული პირის, მეფის, ცხოვრების ზედა ქრონოლოგიური ზღვრის (*terminum post quem non*) დადგენა საერთოდ შეუძლებელია. უხემ მაგალითად ისიც გამოდგება, რომ დოლარების მიხედვით არავინ არკვევს ჯორჯ ვაშინგტონის ცხოვრების ქრონოლოგიას. ნუმიზმატიკური მასალით მით უმეტეს არ შეიძლება მეფის ზეობის, კონკრეტულ შემთხვევაში თამარ მეფის ზეობის, ზედა საზღვრის დადგენა, იმ დროს, როდესაც ნუმიზმატიკური მონაცემების გამომრიცხავ ცნობებს იძლევიან ნარატიული პირველწყაროები.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ 1210 წელი საქართველოს შინაპოლიტიკურ ცხოვრებაში შეესაბამება ლაშა-გიორგის მეფობის სტაბილიზაციის პერიოდს, მისი მდგომარეობის განმტკიცებას, ვინაიდან ამ თარიღით დადასტურებულია მისი არასწორი ქედვის სპილენძის მონეტები და სწორი ფორმის სპილენძის უნიკალური მონეტაც, რომლის თარიღს ე. პახომოვი და დ. კაპანაძე ჰიჯრის 606 წლით, ანუ 1209-1210 წწ. განსაზღვრავენ.¹

ფეოდალიზმის განვითარება კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლის გამწვავებას გულისხმობს. საქართველო-

1. იხ. E. A. Пахомов, Монеты Грузии, Тбилиси, 1970, გვ. 101; დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, გვ. 79.

ში ფეოდალიზმის განვითარებასთან ერთად ძლიერდება სეპარატისტული ტენდენციები, მწვავედება ბრძოლა სამეფო ხელისუფლებისათვის, ტახტის შენარჩუნებისათვის. XI საუკუნიდან საქართველოში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ე.წ. თანამოსაყდრეობა – მამის და შვილის თანამეფობა. მმართველი მეფე სიცოცხლეშივე იძულებულია რეალური ხელისუფლების გარანტია შეუქმნას თავის მემკვიდრეს (დემეტრე – გიორგი; გიორგი – თამარი). ქართული ნარატიული და ეპიგრაფიკული პირველწყაროებით, ასევე სომხური ისტორიული ცნობებით, სრულიად უდავოდ არის დადასტურებული თამარ მეფისა და მისი ვაჟის, „ჯავახთ უფლის“ – ლაშა-გიორგის, იმავე ლაშას თანამოსაყდრეობა (გუნია-ყალის წარწერა, ბეთანიის კედლის მხატვრობა და სხვ.). სავარაუდოა, რომ 1192-1193 წწ. დაბადებული ლაშა-გიორგი გვირგვინოსანი დედის თანამოსაყდრე გახდა მისი მამის დავით სოსლანის გარდაცვალების შემდგომ, დაახლოებით 1204-1205 წწ.¹ სწორედ ამ დროს იქნებოდა იგი, უამთააღმწერლის ცნობით, 13 წლის.²

ჭორომაირის სურბ ნიშანის ნამონასტრალის სომხური ეპიგრაფიკული ძეგლითაც ლაშა-გიორგი მეფეა 1206 წელს. „წელსა 655 (=1206) მეფობისა ლაშასი და ამირსპასალარობასა ზაქარესი და ძისა მისისა შაჰანშაჰის და ძმისა მისისა ივანესი, მე მამა სამუელ და სხვა თანაძმათა ჩვენთა აღვაშენეთ ეკლესია პატრონთა ჩვენთა დღეგრძელობისათვის მოსახსენებლად სულთა ჩვენთა და მშობელთა ჩვენთა“.³ წარწერა მრავალჯერ იყო ამოკითხული და გამოცემული. ლ. ალიშანისა და კ. კოსტანიანცის კვალდაკვალ ქართულ სამეცნიერო ლი-

1. იხ. ა. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 242-257; ბ. სილაგაძე, XII-XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი. კრებული – საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966, გვ. 118-119, 125, შენ. 79.

2. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151₂₃.

3. ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლორე-ტაშირის ეპიგრაფიკა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, 108, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბილისი, 1964, გვ. 325-326.

ტერატურაში მას შეცდომით მარმეტის ნარწერას უწოდებენ. შეცდომა თავის უკანასკნელ გამოკვლევაში გაასწორა ლ. მელიქსეთ-ბეგმა (ჰორომაირი ძოროგეტის ხეობაშია, მარმეტი – ახურიანის).

ძირითად საბუთად იმისა, რომ თამარი 1210 წელს გარდაიცვალა, შ. დარჩაშვილს თავის გამოკვლევაში მოყვანილი აქვს ჰალბატის 1210 წლის სომხური ნარწერა. მისი აზრით, ჰალბატის ნარწერა თამარის გარდაცვალების თარიღად 1210 წელს აცხადებს.¹ ნარწერაში ვკითხულობთ, რომ იგი ამოიკვეთა „მეფეთა მეფის გიორგის, დიდი მეფის თამარის ძის კურთხევის წელს“,² მაგრამ თამარის გარდაცვალებაზე იქ კრინტიც არ არის დაძრული.

უნდა გავიმეორო, თუ გავითვალისწინებთ იმ მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებას, რომელიც შეიქმნა ლაშას მმართველობის დასაწყისში, რის შესახებ ზემოთაც იყო ლაპარაკი და რაც ესოდენ ნათლად, დეტალურად აქვს გადმოცემული ქართველ უამთაღმწერელს (საქართველოს ყმადნაფიცთა განდგომა, ათაბაგის ჭარბად აღზევება და სხვ.), არაფერია გასაკვირი იმაში, რომ დედის სიცოცხლეშივე მეფედ კურთხეულ ლაშას მხოლოდ 1210 წლისათვის განემტკიცებინა თავისი შერყეული პოზიციები და ხელმეორედ მეფედ კურთხევისათვის მიეღწია. ნათლად არის ნაჩვენები, რომ ახალგაზრდა მეფის მცდელობას, „განეშორებინა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისანი“, ე. ი. განთავისუფლებულიყო მზრუნველობა-მეურვეობისაგან, თავადთა მხრივ მკაცრი პროტესტი გამოუწვევია („არა თავს ვიდებთო, ეტყოდეს, შენსა მეფედ ყოფასა“).³ მეფეს მორალის პოზიციებიდანაც შეუტეის.

რაც შეეხება ლაშას, უკვე მეფედ კურთხეული თანამოსაყდრის, ხელმეორედ მეფედ კურთხევას, ცნობილია, რომ ეს არ არის პრეცედენტი. გამწვავებული შინაკლასობრივი ბრ-

1. შ. დარჩაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 152.

2. იქვე.

3. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155, 11.

ძოლის ვითარებაში ამ დროისათვის ეს არის ტახტის დაკავების დაკანონებული ნორმა (ხელმეორედ ეკურთხნენ მეფედ გიორგი III, თამარ მეფე).

თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის დასადგენად თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის გამოკვლევაში ცალკეა გამოყოფილი ე. ნ. ეპისტოლური მასალა. საქმე ეხება ფრანგი რაინდის დე ბუას ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილ წერილს, რომელიც გაგზავნილი ყოფილა ბეზანსონის ეპისკოპოსის ამედე დე ტრემლესადმი. ავტორები ეყრდნობიან წერილის ქართულ თარგმანს, რომელიც გამოქვეყნებულია ზ. ავალიშვილის მიერ, იცნობენ წერილის ყველა მეცნიერულ გამოცემას.¹ გამოკვლევის ავტორების მოსაზრებანი ამ წერილის მეცნიერული შეფასების, მისი გამოცემების, მასში აღნიშნული ისტორიული მომენტების გააზრების თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანია და რეალური შემეცნებითი ღირებულება აქვთ. მაგრამ თამარ მეფის გარდაცვალების თარიღის დასადგენად, პირდაპირი ცნობების არსებობის ვითარებაში, ამ უთარილო წერილს, რომელსაც სხვადასხვა მეცნიერი სხვადასხვანაირად ათარიღებს, არ შეიძლება მიენიჭოს გადამწყვეტი, უპირატესი მნიშვნელობა. აქვე უნდა დავძინო, რამდენადაც დე ბუას წერილში თამარი გარდაცვლილადაა მოხსენებული, თ. ნატროშვილი და გ. ჯაფარიძე წერილის დათარიღებისას, სამწუხაროდ, ჭარბ მონდომებას იჩენენ, როგორმე წერილის თარიღი გადააცილონ 1210 წელს. ამის თვალსაჩინო მაგალითია მათ მიერ ზ. ავალიშვილის თარგმანის ერთი ადგილის გასწორების მცდელობა, ამ ადგილის ინტერპრეტაცია. განვიხილოთ ეს მომენტი.

ცნობილია, რომ დე ბუას წერილს ზ. ავალიშვილი ათარიღებდა იმის მიხედვით, რომ მასში ნათქვამია: „იერუსალიმის სამეფოს ბაბილონის სულთანთან დაზავება აქვს და ანტიოქიის სამთავრომაც ამ ბაბილონის სულთანთან ზავი შეჰკრა“-ო.² იე-

1. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, „მაცნე“ №2, გვ. 168, შენ. 1.

2. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან. ოთხი საისტორიო ნარკვევი, პარიზი, 1929, გვ. 139.

რუსალიმისა და აიუბიანთა სამეფოებს შორის დადებული ცნობილი საზავო ხელშეკრულებებისა (1204-1210; 1211-1217 წწ.) და „ბაბილონის სულთანთან“ ალ ადილთან ანტიოქიის სამთავროს მიერ დადებული ზავის (1207 წ. ზაფხული) თარიღების შეჯერების საფუძველზე ზ. ავალიშვილი ასკვნიდა, რომ ნერილი შედგენილია 1207-1208 წწ.¹ თ. ნატროშვილმა და გ. ჯაფარიძემ მიიჩნიეს, რომ დე ბუა „ბაბილონის სულთანთან“ ანტიოქიის სამთავროს მიერ დადებულ ხანგრძლივ დაზავებაზე კი არ ლაპარაკობს, როგორც ეს თავის თარგმანში გაგებული აქვს ზ. ავალიშვილს, არამედ დიდი ხნის წინათ დადებულ ზავზე. მათი აზრით, 1207 წელს ანტიოქია-ბაბილონს შორის დადებული ზავი 1208-1209 წლებში ვერ იქნებოდა დიდი ხნის წინათ დადებული ზავი. 1210 წ. ომი განახლდა და, ამდენად, ნერილში 1211-1217 წწ. დაზავება იგულისხმება. ამრიგად, დე ბუას ეპისტოლე 1211 წ. ან მის შემდგომ არის დაწერილი.²

უპირველესად ყოვლისა, ხანგრძლივი, გამუდმებული ჯვაროსნული ომების ვითარებაში დაზავების ერთი-ორი წელი ომით გაბეზრებული კაცისათვის სულაც არ არის მცირე დრო. ამდენად, 1207 წლის ზაფხულში დადებული ზავის შესახებ უკვე იმავე წლის დამლევს ან, მით უმეტეს, მომდევნო წელს სრულიად თავისუფლად შეეძლოთ ეთქვათ, რომ ზავი დიდი ხნის წინ დაიდო. ამასთან, ალბათ, არ იყო საჭირო აკად. ს. ყაუხჩიშვილის და დოც. ს. რავიჩის ავტორიტეტების მოშველიება დასადასტურებლად იმისა, რომ *per longum tempus* ქართულად ითარგმნება როგორც „დიდი ხნის განმავლობაში“. ასეთი თარგმანი დავას არ უნდა იწვევდეს. მაგრამ დიდი ხნის განმავლობაში დადებული დაზავება არის ხანგრძლივი დაზავება, როგორც ეს მართებულად უთარგმნია ზ. ავალიშვილს, და არა დიდი ხნის წინათ დადებული დაზავება, როგორც ამას მიიჩნევენ თ. ნატროშვილი და გ. ჯაფარიძე.³

1. ზ. ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან, გვ. 141.

2. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 173-174.

3. იქვე.

უმართებულოდ მიაჩნიათ თ. ნატროშვილსა და გ. ჯაფარიძეს დე ბუას წერილის ს. კაკაბაძისეული (1209 წ.) და ბ. სილაგაძისეული (1208-1209 წწ.) დათარიღება, რაც მომდინარეობს იქიდან, რომ წერილში დე ბუა ამბობს, საქართველოს მეფე 16 წლის არისო (1192/1193+16=1208/1209). თ. ნატროშვილს და გ. ჯაფარიძეს მიაჩნიათ, რომ სირია-პალესტინაში მყოფ ფრანგ რაინდს საეჭვოა ქართველთა მეფის ლაშა-გიორგის ასაკი ზუსტად სცოდნოდა.¹

ვფიქრობ, აქ საეჭვო არაფერია. საქართველო იმხანად წინა აზიის უძლიერესი ქრისტიანული სახელმწიფო იყო და ჯვაროსნული ლაშქრობებისადმი ამ სახელმწიფოს პოზიციით სპეციალურად დაინტერესებული პირისათვის ცნობები ამ სახელმწიფოს მეთაურის შესახებ დიდმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო. დე ბუამ სპეციალურად მოიხსენია წერილში ქართველთა მეფის ასაკი. ხოლო ქართველთა შესახებ ამბის მოთხრობის დანყებისას აღნიშნა, რომ ყველაფერი „სანდო მოციქულთაგან“ გაიგო.²

ამდენად, დე ბუას წერილში მოხსენებული ქართველთა მეფის ასაკის იგნორირება ამ წერილის დასათარიღებლად არ მოჩანს სწორი, მით უმეტეს, რომ ამ გზით მიღებული თარიღი არ ეწინააღმდეგება ზ. ავალიშვილის მიერ უფრო რთული მეცნიერული გზით დადგენილ თარიღს. წერილი ალბათ მართლაც 1208-1209 წწ. დაიწერა, დაიწერა მაშინ, როდესაც თამარ მეფე ცოცხალი აღარ იყო.

თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის გამოკვლევებში რაინდ დე ბუას წერილი დანვრილებით არის შესწავლილი. ავტორებს მრავალი ცოდნისმიერი მომენტი შეაქვეთ მისი დეტალების ინტერპრეტაციის საქმეში. სამართლიანად არის აღნიშნული ისიც, რომ წერილი პროპაგანდისტული ხასიათისაა და ყოველთვის ვერ მოვთხოვთ ისტორიული სინამდვილის ასახვას.³

1. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 170-171.

2. იქვე, გვ. 169.

3. იქვე, გვ. 187.

ასეა თუ ისე, თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის მიერ დე ბუას წერილის დათარიღებაც (1211 წლის შემოდგომა) რომ გავიზიაროთ, საკუთრივ წერილი არ გვაძლევს არავითარ საფუძველს ვიგულისხმოთ, რომ თამარ მეფე 1210 წელს გარდაიცვალა. იქ ლაპარაკია მხოლოდ იმაზე, რომ 16 წლის საქართველოს მეფე თავისი განსვენებული დედის ძვლებს თან დაატარებს, რათა ანდერძისებრ იერუსალიმში დაკრძალოს.¹ წერილში არ არის ნათქვამი, რომ თამარი ახლად გარდაცვლილია. პირიქით, ლაპარაკია განსვენებულის ძვლებზე და ეს მომენტი, ხცადია, ხელს უშლის თ. ნატროშვილისა და გ. ჯაფარიძის ვერსიას.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ მცდელობა თამარ მეფის გარდაცვალების ისეთი თარიღის დადგენისა, რაც ისტორიულ წყაროებში დადასტურებული არ არის, ხელოვნურია. სხვა საკითხებზე მსჯელობის მეცნიერული აპარატით უხვად შემადგრების შემთხვევაში, მას მხოლოდ მოჩვენებითი დამაჯერებლობა აქვს. ნუმიზმატიკური, ეპისტოლური (დე ბუას, ინოკენტი III-ის წერილები), ეპიგრაფიკული (ჰალბატის წარწერა) მონაცემები არ გულისხმობს თამარ მეფის გარდაცვალებას 1210 წელს.

ისტორიული წყაროების მიხედვით, თამარ მეფე გარდაიცვალა 1207 წლის იანვარში. არ არსებობს საფუძველი ამ თარიღში ეჭვის შეტანისა.

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისა და „ისტორიათა და აზმათა“-ს მეცნიერულ-კრიტიკული შესწავლისას რევან კიკნაძემ ისტორიული ქრონოლოგიის კვლევა-ძიების თვალსაზრისითაც მეტად სასარგებლო საქმე გააკეთა. ვახუშტი ბაგრატიონის ქრონოლოგია მან გამოიკვლია მისი შინაგანი კანონზომიერების, თარიღების ურთიერთმიმართების, მათი ფარდობითი მნიშვნელობის თვალსაზრისით. გამოიკვია, რომ თუ ვახუშტი ბაგრატიონის თამარის მეფობის დროინდელი

1. თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

თარიღები აბსოლუტური მნიშვნელობით მცდარად მოჩანს, შინაგანი კანონზომიერებით ეს თარიღები ურთიერთმიმართებაში ისტორიულ სინამდვილეს ასახავენ, რომ ვახუშტი ბაგრატიონიც თამარ მეფის გარდაცვალებას 1207 წელს აღნიშნავს.¹

პირველწყაროთა ჩვენებანი იმის შესახებ, რომ თამარ მეფე 1207 წელს გარდაიცვალა, გამდიდრდა კიდევ ერთი ფასეული მონაცემით (ცნობა არმენოლოგმა ალ. აბდალაძემ მოგვანოდა, რისთვისაც მადლობას მოვახსენებ). სამუელ ანეცის თხზულების (ქრონიკის) გაგრძელებაში, რომელიც 1290 წლის ამბების გადმოცემით მთავრდება და რომლის ავტორადაც ცნობილ სომეხ ისტორიკოს სტეფანოს ორბელიანს მიიჩნევენ, სომხური წელთაღრიცხვის 655 წლის თარიღით (655+551=1206) ვკითხულობთ: „ამ წელს ზაქარიამ ტაჭიკებს წაართვა კარსი. ივანეს ვაჟი ავაგი დაიბადა. მომდევნო წელს გარდაიცვალა თამარი და მისი ვაჟი ლაშა გიორგი გამეფდა საქართველოში“.² ე. ი. კიდევ ერთი ფასეული ისტორიული პირველწყარო ადასტურებს, რომ თამარ მეფე 1207 წელს გარდაიცვალა.

1. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბილისი, 1975, გვ. 129-132.

2. მცირე ქრონიკები, I, შეადგინა ვ. ჰაკობიანმა, ერევანი, 1951, გვ. 37 (სომხურ ენაზე).

დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ¹

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოადგენს ფრანგულ ტექსტს ქართული თარგმანითა და კომენტარებით 1768-1774 წწ. რუსეთ-თურქეთის ომში საქართველოში გამოგზავნილი რუსული სამხედრო კორპუსის სარდლის, გენერალ ტოტლებენის ყოფილი ადიუტანტის, კაპიტან შარლ დე გრაი დე ფუას მემუარული ხასიათის რელაციისა. იმჟამად დე გრაი ფელდ-მარშალ, გრაფ კირილე რაზუმოვსკის მთავარი კვარტირმაისტერია და რელაციაც სწორედ ამ უკანასკნელისათვის არის დანერილი.

რელაციაში, თვითმხილველის საკმაოდ დაკვირვებული თვალით, სამხედრო სიტუაციებთან კავშირში, აღწერილია საქართველოს სინამდვილე; დაცულია საინტერესო ცნობები საქართველოს ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური ისტორიის თვალსაზრისით; შენიშნულია ქართველების, ზოგიერთი სხვა კავკასიელი ხალხის ყოფის ეთნოგრაფიულად საინტერესო დეტალები.

რელაცია მნიშვნელოვანი დოკუმენტია იმის საილუსტრაციოდ, რომ, მიუხედავად პოლიტიკური კონიუნქტურის ცვალებადობისა, მეფე ერეკლე II მტკიცედ იდგა ჩრდილოეთისაკენ, ერთმორწმუნე რუსეთისაკენ აღებულ პოლიტიკურ ორიენტაციაზე.

შარლ დე გრაის რელაცია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივში, კე დორსეზე, გამოავლინა ცნობილმა ინგლისელმა ქართველოლოგმა, პროფესორმა დ. ლანგმა (ასე წარმოთქვამს იგი თავის გვარს პირადად). მასვე ეკუთვნის რელაციის პირველი პუბლიკაცია შესავალი წერილით და კომენტარებით (ინგლისურად).²

1. შესავალი წერილი. ფრანგულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო ჯ. ოდიშელმა. „მეცნიერება“, თბილისი, 1985 წ.

2. in Bulletin of the school of Oriental and African Studies University of London, 1954, t. XIII/4, D. M. Lang, Count Todleben's Expedition to Georgia 1769-1771 according to a French eyewitness.

რელაციის ქართული თარგმანი ახალციხის გაზეთ „წითელ დროშაში“ დაბეჭდა. კ. გურულმა.¹ ფრანგული ტექსტი შესულია „საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხავ წიგნში“.²

რუსეთ-თურქეთის საგარეო-პოლიტიკური ინტერესების შეჯახებათა ისტორიის გადმოცემა შორს ნაგვიყვანს. საინტერესოა, რომ უშუალოდ რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომის წინამავალ პერიოდში 60-იან წლებში რუსული დიპლომატიის თაოსანმა ნიკიტა პანინმა პრევენტიული ზომები მიიღო. 1764 წელს გაფორმებულ რუსეთ-პრუსიის სამხედრო კავშირის ხელშეკრულების ერთ-ერთი საიდუმლო მუხლი ითვალისწინებდა, რომ პრუსია ყოველწლიურად 400 000 მანეთს მისცემდა რუსეთს თურქეთთან ომის შემთხვევაში.

თურქეთი განსაკუთრებით მწვავედ უპირისპირდებოდა რუსეთს პოლონეთის საკითხში (ქალაქ ბარის კონფედერატებს ემხრობოდა).

1768 წლის 25 სექტემბერს რუსეთის ელჩს კონსტანტინოპოლში ობრეზკოვს ჯერ ულტიმატუმი წაუყენეს – მოსთხოვეს რუსული სამხედრო ნაწილების გაყვანა პოლონეთიდან, შემდეგ დააპატიმრეს ისე, რომ პასუხს არც დალოდებიან.

თურქეთმა 1768 წლის სექტემბერში რუსეთს ომი გამოუცხადა, მაგრამ იმდენად არ იყო მზად, რომ სამხედრო ოპერაციები მხოლოდ მომდევნო წელს დაიწყო.

აღნიშნულ ვითარებაში რუსეთისათვის მეტად აქტუალური გახდა ყველა ანტითურქული ძალის კონსოლიდაცია. ამიერკავკასიასთან ურთიერთობის თვალსაზრისით ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობდა საქართველოს გამოყენებას თურქეთის წინააღმდეგ ომში. გაიხსენეს და საგარეო საქმეთა კოლეგიის არქივებიდან გამოამზეურეს ყველაფერი, რაც მიმდებარე პერიოდში საქართველოს რუსეთთან ურთიერთობას ეხებოდა.

1. იხ. ახალციხის გაზეთი „წითელი დროშა“, 1964, №№ 108, 114, 117, 118, 121, 123.

2. Livre de lecture sur l'Histoire de la Georgie du Proche – Orient. 1963, „ცოდნა.“ შეადგინეს ც. დობროვოლსკიამ და ლ. მონონელიძემ.

მაგალითად, გაიხსენეს, რომ თურქეთის ვასალი იმერთა მეფე სოლომონ I 1766 წელს მისთვის შექმნილ მძიმე ვითარებაში, როდესაც თურქთა მხარდაჭერით თეიმურაზმა მას ტახტი წაართვა, რუსეთის ქვეშევრდომობას თხოულობდა. თავისი დესპანის, არქიეპისკოპოს გრიგოლის პირით იგი ითხოვდა, რომ თუ ვერ გაუმკლავდებოდა თურქებს, რომელნიც მას განსაკუთრებით „ტყვის-სყიდვის“ აკრძალვის გამო გადაემტერნენ, მისი ახლობელი პირების ამალით მიეღოთ რუსეთში დასასახლებლად.¹

რუსეთის რეზიდენტი კონსტანტინოპოლში ობრეზკოვი საგარეო საქმეთა კოლეგიას აცნობებდა, რომ თურქეთმა, მიუხედავად ძალთა მხრივ უპირატესობისა, მაინცდამაინც ვერაფერ წარმატებას მიაღწია იმერეთთან ბრძოლაში და ბოლოს ერეკლე მეფის შუამდგომლობით დაუზავდა სოლომონს, რომელმაც აღიარა თურქეთის პროტექტორატი. ობრეზკოვი აღნიშნავდა, რომ თურქები შემოფოთებული არიან რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს საქმეებში მოსალოდნელი ჩარევის შესაძლებლობით.²

იმპერიის საგარეო საქმეთა კოლეგიაში მთელი საქმე შედგა – „განსჯა საშუალებებისა, რომელთა მეშვეობით შეიძლება ქართველთა დაყოლიება, მონაწილეობა მიიღონ ოტომანის პორტასთან მიმდინარე ომში“.³

ირკვევა, რომ თავდაპირველად განზრახული იყო ომში მხოლოდ იმერეთის მონაწილეობის უზრუნველყოფა. ერეკლეს, რომელზედაც გავლენა უნდა მოეხდინათ ერთმორწმუნეობის ფაქტორის ხაზგასმით, ხელი არ უნდა შეეშალა სოლომონისათვის, მონაწილეობა მიეღო ომში.⁴

მხოლოდ შემდგომში დაისვა საკითხი ქართლ-კახეთის სამეფოს ომში ჩაბმის შესახებ. ამ თვალსაზრისით საინტერესოა

1. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия относящиеся к Грузии. I, под редакцией А. А. Цагарели, С.-Петербург, 1891. გვ. I; ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბილისი, 1957, გვ. 28-29.

2. Грамоты, I, გვ. 2

3. იქვე. გვ. 1-9

4. იქვე. გვ. 6-7

ეკატერინე II-ის 1768 წლის 28 ნოემბრის ხუთი კითხვა საგარეო საქმეთა კოლეგიისადმი და კოლეგიის შესაბამისი პასუხები.¹ მხოლოდ ამ პერიოდში დაინტერესდა ეკატერინე თეიმურაზ II-ის ელჩობის მიზნებით. მისი დავალებით კოლეგიამ გამოიკვლია საქართველოს გეოგრაფიული რუკების ვითარება, დაინტერესდა ერეკლეს რელიგიური მრწამსით.

ნიშანდობლივია, რომ 1768 წლის 4 ოქტომბერს, ოსმალთაგან დაფარულად, საიდუმლო მისიით ყიზლარში ჩასულ სოლომონ მეფის ელჩს მიტროპოლიტ მაქსიმე ქუთათელს მაინცდამაინც დიდი სიხარულით და ხელგაშლილობით არ შეხვედრიან. მასთან ურთიერთობაში ყიზლარის კომენდანტი პოტაპოვი 1767 წლის 30 აპრილის კოლეგიის ძველი მონერილობით სარგებლობდა.² მაქსიმე ქუთათელს კი სოლომონ მეფის საიდუმლო წერილები ჰქონდა ნიკიტა პანინისა და ეკატერინე II-ისადმი. 1768 წლის 23 ივნისით დათარიღებულ წერილში სოლომონ მეფე რუსეთის იმპერატორს სწერდა: „სანადელ არს ჩემდა, ძლიერო ხელმწიფეო, რათა მონა შენი, მეფე იმერეთისა სოლომონ, შემართო მონათა შენთა, რამეთუ მრავლით ჟამითგან მსურს, რათამცა სისხლი ჩემი დაითხიოს ქრისტეს მოცემულისა სჯულისათვის, და, თუმცა ყოვლად მონყალე ხელმწიფე ინებებს და დაგვდებს ძლიერსა ხელსა თვისსა, – მეც ამ აღთქმას მოვახსენებ, ქრისტეს შენევნითა, რომ აღმოსავლეთის სარწმუნოების და სჯულისათვის ყოვლად მონყალის ხელმწიფის სამსახურზე უცხო თესლთა, ოსმალთ შევაკვდე და ვიდრე სისხლის დათხევამდე ხელმწიფის სამსახურზე ვიღვანო. ათორმეტი წელიწადი არის, რომ ხვანთქრის ჯარსა და ჩვენ ძლიერი ბრძოლა გვაქვს“.³

1768 წლის 12 ნოემბერს რუსეთის საიმპერიო სახელმწიფო საბჭომ დაადგინა, მოწოდებით მიემართათ ბალკანეთის და საქართველოს ქრისტიანი ხალხებისათვის თურქებთან სარწ-

1. Грамоты, I, გვ. 9-10

2. იქვე, გვ. 17-19

3. Грамоты, II, გვ. 1-9

მუნოებისათვის წარმოებულ ომში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.¹

მკვეთრად შეიცვალა დამოკიდებულება იმერთა მეფის ელჩისადმი. 1768 წლის 30 ნოემბერს ყიზლარის კომენდანტმა უმაღლესი განკარგულება მიიღო, სადაც აღნიშნული იყო: „ოტომანის პორტასთან მიმდინარე ომის გამო, ჩამოსვლა ამ მიტროპოლიტისა მეტად ხელსაყრელია და დროული. დაგვრჩენია მხოლოდ ვისარგებლოთ მისი მბრძანებლის დამოკიდებულებით თურქების მიმართ, რაც აქაურ ჩვენს თვალსაზრისს ემთხვევა“.²

მაქსიმე ქუთათელის მიერ მიწოდებული ცნობების საფუძველზე საგარეო საქმეთა კოლეგიამ იმერეთის პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარების აღწერა შეადგინა. იმერეთში ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსასვლელი გზის შესწავლის თვალსაზრისით დაინტერესდნენ არაგვის და ქსნის საერისთავოებით. იმერეთის ვითარების საკმაოდ საფუძვლიანი ცოდნა გამოსჭვივის საქართველოში რუსეთის საქმეთა მუდმივ რწმუნებულად გამოგზავნილ ანტონ მოურავოვისთვის მიცემულ 1769 წლის 28 მაისის ინსტრუქციაში. ამასთან, დეტალურად არის გაშიფრული რეზიდენტის სამოქმედო პროგრამა.³

საგარეო საქმეთა კოლეგიას მაინცდამაინც დიდი იმედი არ ჰქონდა ერეკლე მეფის აქტიური მოქმედებისა რუსეთ-თურქეთის მიმდინარე ომში. ითვალისწინებდნენ, რომ ერეკლე თურქეთის ვასალი არ იყო, არავითარ ხარკს თურქებს არ უხდოდა, ნორმალური ურთიერთობა ჰქონდა ახალციხის ფაშასთან. მიაჩნდათ, რომ ლეკთა გაუთავებელი შემოსევების ვითარებაში ერეკლე ვერ მოიცილიდა თურქებთან საომრად. აღნიშნული თვალსაზრისი გამოთქმულია ანტონ მოურავოვისთვის მიცემულ ინსტრუქციაში, მრავალ სხვა დოკუმენტში.

1. Архив государственного совета, I, СПб, 1869, გვ. 10.

2. Грамоты, I, გვ. 20.

3. იქვე, გვ. 39-50.

აღნიშნულ ვითარებაში ერეკლე მეფის შემდგომი მოქმედების სწორად გასააზრებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ თურქთაგან ჩაგრული ხალხები რუსეთში ხედავდნენ „თავიანთ ბუნებრივ დამცველსა და განმათავისუფლებელს“ (მარქსი). სწორედ ამიტომ მოხდა, რომ ერეკლე თითქოს საკმაოდ იოლად დათანხმდა ჩაბმულიყო ომში, რომელიც ერთი შეხედვით მისი სამეფო ინტერესების სფეროში არ შედიოდა.

მახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივის თვალსაზრისით ხაზი უნდა დაესვა, რომ იმჟამინდელ დოკუმენტებში ერეკლე II და სოლომონ I რუსეთთან ურთიერთობის აფიშირებას ახდენენ, რუსეთის იმპერატორის ხელდებულებად აცხადებენ თავს.

რუსული მხედრობა ბალკანეთში ნიჭიერი სარდლის რუმინცივის ხელმძღვანელობით წარმატებებს აღწევდა.

1769 წლის 30 აპრილს მეფე ერეკლე ყიზლარის კომენდანტს, გენერალ პოტაპოვს სწერდა: „ივნისის შვიდსა თქუენის მალადადმსრულებლობის წიგნი მივიღეთ, რომელმანც ჩუენ დიდად სასურველი ჰამბავი გვახარა, რომელ მისის დიდებულების არმიასა ოსმალთა ზედა სახელოვანი ძლევა მიუღია“. ¹ იმავე წლის 5 ივნისს ერეკლეს უკვე გადაწყვეტილი პასუხი აქვს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრისათვის. იგი სწერს პანინს: „ოსმალთა თანა მტერობასა სრულის წადილით ვეცადნეთ“-ო. ერეკლეს თავისი მაჰმადიანი ვასალების თანადგომის იმედიც აქვს: „რომელნი მაჰმადიანნი ჩუენნი გარემონი არიან და ან ჩუენს მფლობელობას ქუეშ იმყოფებიან დღეს, ჩუენ ამას უეჭველად ვჰგონებთ, ესენიც რომელნიმე გაგვეერთდებიან და ოსმალთ მტერობაზედ რაოდენი სიმხნე და გამოცდილება აქუსთ, ზოგნი შიშისაგან და ზოგნი რომლისამე მიზეზისაგან ჩუენთან სიმართლით გაირჯებიან“.²

1. Грамоты, II, გვ. 5.

2. იქვე, გვ. 6-7.

საგარეო საქმეთა კოლეგიაში მაშინვე ოპერატიულად ადგენენ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიების, ამ ადგილებში მოსახლე ხალხების აღწერას.¹

1769 წლის 4 სექტემბერს მეფე ერეკლე დასტურს აძლევს ეკატერინე II-ს ომში მონაწილეობაზე: „მონყალებით გებრძანათ, რომ ხონთქრის სამფლობელოს, რომელიც ჩუენგან შეიძლებოდეს საქართველოს ნაპირებიდამ მტერობად განვენყუნეთ და თქუენისა ყოვლად დიდებულისაგან ჯართა და სხუას შენვენით ჩუენ, მდაბალნი მონანი, დაფარული ვიქმნეთ, ამას ზედა თქუენს ყოვლად მონყალებას დიდისა სიმდაბლითა ვმადლობთ და ვსასოებთცა თქუენის დიდებულებისაგან, რომ შემდგომად ამისსა დაუგდებლად დაგვიცუენე“.²

1769 წლის 4 სექტემბრის წერილში ნიკიტა პანინისადმი ერეკლე მეფე საკითხს სვამს პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ (მოთხოვნილი 15 პოლკიდან ხუთი ამთავითვე გამოგვიგზავნეთო).³

ამრიგად, რუსეთ-თურქეთს შორის საომარი მოქმედების დასაწყისისათვის საქართველო-რუსეთის ინტერესების ურთიერთდამთხვევის საფუძველზე, ამასთან, გამოცდილი, ოსტატობით ცნობილი რუსული დიპლომატიის წარმატებული მოღვაწეობის შედეგად, საქართველოს მონაწილეობა ომში გარანტირებული იყო. რუსეთის ერთმპყრობელი ეკატერინე II ერთგვარი საზეიმო ლაკონიზმით აცხადებს: „თურქეთს ცეცხლი შეეუწნეთ ოთხი მხრიდან: დუნაიდან, ყირიმიდან, ზღვიბიდან და თვით საქართველოდანაც კი“.⁴

საარქივო დოკუმენტების, ა. ცაგარლის მიერ გამოცემული სიგელ-გუჯრებისა და სხვა დოკუმენტური მასალის მეცნიე-

1. Грамоты, II, ნაკვ. I, 1769 წლის 14 ივნისი, გვ. 8-13. აღწერის დასკვნაში გამოორებულია აზრი, რომ „სირიელთა ერისა და ადგილისაგან ძალსა არამცირედსა მოვირთხამთ“, მაჰმადიანებს შემოვიერთებთ „და ქრისტიანობის მტერზედ აღმზედრდებიან და აღვამხედრებთ“.

2. Грамоты, II, ნაკვ. I, გვ. 13. ქართული ტექსტი.

3. იქვე, გვ. 14.

4. В. О. Ключевский, Курс русской истории. V, 1937, გვ. 40.

რულად გააზრების საფუძველზე ქართულ ისტორიოგრაფიაში ნათლად არის გამოკვეთილი აზრი, რომ სამხედრო მოქმედებას ამიერკავკასიაში, რუსეთ-თურქეთის ომის თვალსაზრისით, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება. რუსეთი საქართველოსთან ურთიერთობის ამ ეტაპზე თურქეთის წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაციების წმინდა გარეგნული ეფექტით უფროა დაინტერესებული. იმპერია იმჟამად კავკასიაში არც ახალი ტერიტორიების შემოერთებით არის დაინტერესებული.¹ აღნიშნული თვალსაზრისით პროფესორ ა. ცაგარელს მშვენივრად აქვს გააზრებული საგარეო საქმეთა კოლეგიის მიერ ქართველების რუსეთ-თურქეთის ომში ჩასაბმელად გამომუშავებული ინსტრუქციის დედააზრი.

ინსტრუქციაში ნათქვამი იყო: „ცუდი გზების გამო აქაური (რუსული – ჯ. ო.) ლაშქრის დახმარება ქართველთათვის არავითარ შემთხვევაში შესაძლებელი არ არის, მაგრამ გარკვეული ფულადი სახსარი ამ საქმეს მონაცვლეობას გაუწევს“. შემდგომში შესაძლებლად მიიჩნევდნენ საქართველოში გაეგზავნათ რამდენიმე მსუბუქი ზარბაზანი არტილერიისტებითურთ, რაც „გაამხნევებდა ქართველთა მხედრობას“. გარდა ამისა, „მათი დაიმედება, რომ პორტასთან მომავალში დადებულ საზავო ხელშეკრულებაში ისინი დავიწყებულნი არ იქნებიან, გაათავისუფლებს მათ თავიანთ მომავალ ბედზე ფიქრისაგან“.²

მრავალ მოწერილობაში, ინსტრუქციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ქართველების და რუსების ერთმორწმუნეობა. ცხადია, ურთიერთობის გაღრმავებისათვის ეს გადამწყვეტი ფაქტორი როდია, მაგრამ ქრისტეს რჯულის მართლმადიდ-

1. იხ. აკად. ნ. მარის სახელობის ენიშკის მოამბე, V-VI, თბილისი, 1940; ი. ცინცაძე, ორი საბუთი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან; ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, 1957, გვ. 25-53; საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1968; ვ. ქორიძე, საქართველოსთან ურთიერთობის საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წლების ომის დასაწყისში.

2. Грамоты, I, გვ. III.

ებლური რწმენის აღიარებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. „რწმენის სიმბურვალე, – ვკითხულობთ საგარეო საქმეთა კოლეგიის ინსტრუქციაში, – ქართველთა შორის დიდია, აქედან იღებს სათავეს მათი გარჯა და კეთილგანწყობა რუსეთის საიმპერატორო კარისადმი“.¹

ურთიერთობათა ამ ეტაპზე, არც სამხედრო კამპანიის დასაწყისში და არც მის დასასრულს, რუსეთი მიზნად არ ისახავდა იმპერიის საზღვრების გაფართოებას ამიერკავკასიაში. გენერალ სუხოტინს მიუთითებენ: „არ გვაქვს მიზნად საქართველოს მიწები შემოვუმატოთ ჩვენს იმპერიას, რადგანაც ეს მიწები შორსაა და არ გვემიჯნება“.²

ჯერ კიდევ 1766 წელს იმერთა მეფე სოლომონს მის პირად ამაღლასთან ერთად უარი უთხრეს რუსეთის ქვეშევრდომობაზე. თურქეთთან ომის ვითარებაში რუსულმა დიპლომატიამ არ მიიჩნია შესაძლებლად გამოეცხადებინა იმერეთი იმპერიის ხელდებულ ქვეშევრდომად. საგარეო საქმეთა კოლეგია აღნიშნავდა: „საღ პოლიტიკას სავსებით ეწინააღმდეგება დავკმაყოფილდეთ იმ დიდებით, რომ იმერეთი ჩვენს მფარველობაშია, მის დასაცავად ხელი გამოვიღოთ და ძალა გავლიოთ“.³ სოლომონ მეფისთვის გასაგზავნ საიმპერატორო სიგელში ნათქვამი იყო: „იმერეთის მიღებას ჩვენს უმაღლეს მფარველობაში მისი შემდგომი ბედილბალი განსჯის“.⁴

1769 წლის 26 მაისს ეკატერინე II მთელი საქრისტიანოს სახელით „ყოვლადმონწყალე მადლობას“ უთვლის სოლომონ მეფეს იმერეთში მართლმადიდებლური რჯულის დაცვის, „მჩაგვრელი პორტის უპატიო საქციელის, ქვეშევრდომთა გატაცების აღკვეთისათვის“, „მამულისა და სარწმუნოებისათვის“. ეკატერინე II სოლომონს მოუწოდებს: „ამასთან, თქვენი

1. Грамоты, I, გვ. 6-9.

2. იქვე, გვ. 471.

3. იქვე, გვ. 41.

4. АВПР, ფონდი – რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, 1769-1775, ანაწერი 110/2.

უგანათლებულესობისაგან გვესურს ყოველგვარი დაყოვნების გარეშე დაინწყით მოქმედება საერთო მტრის წინააღმდეგ.¹ იმავე თარიღით მეფე ერეკლესათვის გაგზავნილ წერილში რუსული დიპლომატიის თავკაცი ნიკიტა პანიინი რწმენას გამოთქვამს, რომ ქართლ-კახეთის მეფე ოსმალეთის წინააღმდეგ ომში იმერეთს ამოუდგება მხარში.²

სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ა. ცაგარელი: „საერთაშორისო ურთიერთობებსა და მოლაპარაკებაში თითოეულ მხარეს, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ხალხისა და სახელმწიფოს სარგებელი და გამორჩენა ამოძრავებს“.³ ამდენად, რუსეთისათვის მთავარი იყო „მოენყო მნიშვნელოვანი დივერსია საქართველოდან“ თურქეთის საწინააღმდეგოდ. ამასთან, „ქართველებს დივერსიაში მონაწილეობა ძირითადად საკუთარი ძალებით უნდა მიეღოთ“.⁴ შემდგომშიც, ინსტრუქციაში გენერალ სუხოტინისადმი, ეკატერინე II დაბეჯითებით იმეორებს იმავეს: „ჩვენი განზრახვა ადრეც და ამჟამადაც მდგომარეობს იმაში, რომ დივერსიაში მტრის წინააღმდეგ საკუთრივ ქართველები გამოვიყენოთ“.⁵ რუსეთის ცარიზმმა ამ თვალსაზრისით ფორმულაც კი გამოიმუშავა: „სული აქაური უნდა სუფევდეს, განხორციელება ქართველების საქმეა“.⁶

ასეთ ვითარებაში საქართველოში გასაგზავნი სამხედრო საექსპედიციო კორპუსის სარდლად იმპერატორის 1769 წლის 27 ივნისის განკარგულებით დაინიშნა იმპერიაში ფრიად ოდიოზური პიროვნება, გენერალ-მაიორი, გრაფი გოტილობ-კურტ ჰენრიხ ფონ ტოტლებენი. სამეცნიერო თუ პოპულარულ ლიტერატურაში, სადაც კი გაჭაჭანდება ტოტლებენის სახელი, თითქმის ყოველთვის მრავალი სალანძღავი სიტყვის თანდართვით, ლამის ყველა ავტორი ტოტლებენს ერთხმად ავანტიურისტს უწოდებს.

1. Грамоты, I, გვ. 50-55.

2. იქვე, გვ. 423-425.

3. Грамоты, II, ნაკვ. I, გვ. VIII.

4. Грамоты, I, გვ. VIII-IV.

5. იქვე, გვ. 471.

6. იქვე, გვ. 156. 1770 წლის 16 ივლისი. ნ. პანიინის წერილი ტოტლებენისადმი.

გონიერ რუს სახელმწიფო მოღვაწეებზე საუბრისას ვ. ველიჩკო ხაზს უსვამს, რომ მათ კარგად ჰქონდათ შეგნებული რუსეთის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესები, სწორად აფასებდნენ საქართველოსთან კულტურული დაახლოების საჭიროებას, მნიშვნელობას. ეს კარგად ესმოდათ „გამოჩენილ რუს ადამიანებს, ისეთებს, როგორებიც იყვნენ, მაგალითად, პოტიომკინი, რუსეთის წარმომადგენელი ერეკლე II-ის სამეფო კარზე ბურნაშოვი... ბურნაშოვიც და მისი უშუალო ხელმძღვანელიც ჩრდილოკავკასიური ჯარების სარდალი, გრაფი პავლე პოტიომკინი ჭეშმარიტად რუსი ადამიანები არიან, რომელთაც სწამდათ რუსული სიმართლისა და კეთილგანწყობისა კავკასიის მოსახლეობისადმი, საპირისპიროდ მათი თანამედროვის, უცხოელი ავანტიურისტის ტოტლებენისა“.¹

ტოტლებენი კეთილი სიტყვით არც რუსულ ისტორიოგრაფიაშია მოხსენიებული, მაგრამ საქმე ის არის, რომ არსებული სიტუაციის შესაბამისად ცარიზმს იმჟამად სწორედ ტოტლებენი სჭირდება. ალტერნატივა მარტივია – თუ ტოტლებენი მასზე დაკისრებულ მოვალეობას თავს გაართმევდა, საიმპერატორო ხელისუფლება ქება-დიდებას თავის თავზე მიიწერდა, თუ დაშვებული იქნებოდა მძიმე შეცდომები, ტოტლებენს, როგორც განტყვევის ვაცს, დასჯიდნენ. ადრეც სახელგატეხილი გენერლისთვის სასჯელი არც ახალი ხილი იქნებოდა.

ტოტლებენი დაიბადა 1715 წლის 31 დეკემბერს დაბა ტოტლებენში, ტიურინგიაში (სხვა ცნობებით – საქსონიაში). განათლება იენაში მიიღო. 1724 წელს დედამისმა საქსონიის კურფიურსტის პაჟად გაამწესა. დიდი წარმატებით სარგებლობდა ქალთა საზოგადოებაში. 1745 წელს კურფიურსტმა გრაფის ასულზე დააქორწინა და ნოდებაში გასათანასწორებლად გრაფობა მიანიჭა, ამასთანავე დანიშნეს სასამართლოს წევრად. შემდგომში სასამართლოს დადგენილებით გაეყარა მეუღლეს. 1747 წელს მექრთამეობისა და სამსახურში ჩადე-

1. В.Л. Величко, Кавказ, I, С.-Петербург, 1904, გვ. 10.

ნილ სხვა ბოროტმოქმედებათა გამო ჰოლანდიაში გაიქცა. ჰოლანდია იმხანად ომში იყო ჩაბმული და ტოტლებენს ნება დართეს თავის ხარჯზე პოლკი შეედგინა, მაგრამ ეს პოლკი იმდენად დაბალი დონისა იყო, რომ ომის დამთავრებისთანავე დაითხოვეს. 1750 წელს თავისი მეურვეობის ქვეშ მყოფი მდიდარი ობოლი გოგონა შეირთო და ბერლინში წაიყვანა. მეორე ცოლსაც ცუდად ექცეოდა და გაეყარა კიდევ. შემდეგ იძულებული გახდა დაეტოვებინა ბერლინი და საქსონიაში, მერე კი ჰოლანდიაში წავიდა.

როდესაც გაიგო, რომ რუსეთის იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასული აპირებდა მონაწილეობა მიეღო ავსტრია-პრუსიის ომში საქსონიის კურფიურსტიისათვის დახმარების აღმოჩენის საბაბით, ტოტლებენმა მოახერხა შეხვედროდა რუსეთის დედოფალს და თავისი სამსახური შესთავაზა ე. წ. მცირე ომის წარმოების პროექტით. ტოტლებენი აიყვანეს რუსეთის სამსახურში, მისცეს გენერალ-მაიორის წოდება და ცალკე კორპუსი ჩააბარეს. შვიდწლიან ომში ტოტლებენი დაიჭრა, დაჯილდოებულ იქნა ალექსანდრე ნეველის ორდენით. 1760 წლის 8 ოქტომბერს თავისი კორპუსით მონაწილეობდა ბერლინის აღებაში.

1761 წლის 19 ივნისს, როდესაც გამოვლინდა ტოტლებენის მოლაღატეობა – გამოამკარავედა, რომ მტერთან საიდუმლო გამყიდველური ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული, პომერანიისკენ მიმავალი ტოტლებენი მისი კორპუსის პოლკების მეთაურებმა ბერნშტაინის ბანაკში დააპატიმრეს. შემდეგ ბადრაგით ჩაიყვანეს პეტერბურგში და ციხეში ჩასვეს. 1762 წლის 20 მაისს სამხედრო სასამართლომ საომარ ვითარებაში პრუსიის მეფე ფრიდრიხ II-სთან დამყარებული მოლაღატური კავშირის გამო ჰენრიხ ტოტლებენს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. აპყარეს ყოველგვარი პატივი, ჩამოართვეს მამული. სიკვდილით დასჯას ტოტლებენი იმან გადაარჩინა, რომ გარდაიცვალა იმპერატორი პეტრე III, ხოლო სენატმა 1763 წლის 11 აპრილს გამოაქვეყნა იმპერატორ ეკატერინე II-ის მიერ 31 მარტს ხელმოწერილი გა-

ნეარგულეობა, რომლის ძალითაც ტოტლებენი, რომელიც ბრალდებული იყო იმპერიის სანინაალმდეგო მოქმედების მცდელობაში, გასახლებულ უნდა ყოფილიყო იმპერიის ფარგლებიდან. ტოტლებენს ამ განკარგულებით სიცოცხლე კი შეუნარჩუნეს, მაგრამ მას იმპერიაში შესვლა აეკრძალა და თუ ვინმე მას იმპერიის ტერიტორიაზე ნახავდა, უფლება ჰქონდა მოეკლა.

1763 წლის 13 მაისს ტოტლებენი მიიყვანეს პრუსიის საზღვარზე და ქვეყნიდან გააძევეს.

შემდგომში ტოტლებენმა ნერილით მიმართა ეკატერინე II-ს, თავი შეაცოდა, რუსეთის გარდა არსად შემიძლია ცხოვრებაო. ეკატერინე II-მ შეივრდომა იგი და ნიკიტა პანინს მისწერა: „როგორი აზრის ხართ თქვენ? – ვფიქრობ, შესაძლებელია მივეცეთ მას თავშესაფარი რუსეთის რომელიმე ნაწილში, ციმბირში“.

1769 წლის 5 ივნისს „პეტერბურგის უწყებებში“ გამოქვეყნდა ტოტლებენის თხოვნა შეწყალების შესახებ და დედოფლის მიერ მისი პატიების განკარგულება.¹

ასეთი კაცი შეარჩიეს საქართველოში გამოსაგზავნი კორპუსის სარდლად. ნიშანდობლივია, რომ რუსულ დიპლომატიას თავისი არსებობის თითქმის მთელ მანძილზე კარგად

1. ბიოგრაფიული ცნობები გრაფ ტოტლებენის შესახებ მოხმობილია ა. ცაგარლის მიერ გამოცემული სიგელ-გუჯრების წინასიტყვაობიდან (იხ. Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, том I, С.-Петербург, 1891, გვ. VII-VIII). იქვეა აღნიშნული ტოტლებენის შესახებ არსებული ლიტერატურა: ურნალი „Новое время“, 1880, „გრაფი ტოტლებენი XVIII საუკუნის ერთ-ერთი ავანტიურისტი“; გ. რეპინსკის სტატიები „გრაფი ტოტლებენი 1715-1763 წწ. – მასალები ბიოგრაფიისათვის“; იხ. Русская старина, 1880, ტომი X, ტომი XII; 1889, ტომი XIII; 1889, ტომი XIV.

ბრონევესკის მიხედვით, გრაფი ტოტლებენი დანიშნულ იქნა სარდლად, რათა შემეწობა აღმოეჩინა ქართველი ხალხებისათვის (sic), მათი დახმარებით დაეპყრო ზღვისპირეთის ნავსადგომები, ციხე-სიმაგრეები, ესარგებლა ხელსაყრელი ვითარებით და განეგრძო წინსვლა თვით ტრაპიზონამდე, რათა თურქეთის ძალთა ყურადღება ამ მხრისაკენ მომართულიყო. იხ. Материалы для истории Кавказа, I, ბუტკოვის გამოცემა, გვ. 280. იქვე აღნიშნული წიგნის დამატებებში დაბეჭდილია ეკატერინე II-ის 1763 წლის 29 აპრილის რესკრიპტები და ეკატერინეს მიერ ტოტლებენის „უმოწყალებად პატიება“ გამოქვეყნებული 1769 წლის 27 მაისს „სანკტ-პეტერბურგის უწყებებში“ (იხ. Материалы... გვ. 459-461).

აქვს შეგნებული თავისი მისია. იგი გამოირჩევა ნათელი მიზანდასახულობით, ოპერატიულობით, რეალიზმით. ყველაფერი ეს შესანიშნავად არის ჩამოყალიბებული ფრიდრიხ ენგელსის ნაშრომში, რომელიც სპეციალურად რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესწავლას მიეძღვნა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით ტოტლებენის კანდიდატურა გამიზნულად შერჩეული მოჩანს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთში დაბრუნებული გრაფი არათუ არ დაუსჯიათ, არამედ პატივით მიიღეს, დააჯილდოეს კიდევც.

თვალში საცემია კორპუსის ოფიცერთა შემადგენლობა, რაც ტოტლებენის შერჩეული უნდა ყოფილიყო. იმხანად რუსეთის არმიაში მრავალი უცხოელი იყო,¹ მაგრამ ტოტლებენის კორპუსი მთლად ლანდსკნეხტების თავყრილობას მოგვაგონებს. გრაფმა ცუდად იცოდა ან, შეიძლება ითქვას, თითქმის არ იცოდა რუსული ენა და ქართველებთან ურთიერთობისათვის ორმაგი თარჯიმნობა სჭირდებოდა, ჯერ უნდა ეთარგმნათ რუსულად, ხოლო რუსულიდან გერმანულად ან ფრანგულად. რელაციებს ტოტლებენი ფრანგულ ენაზე ავზავნიდა.

ტოტლებენის ადიუტანტი, წინამდებარე მემუარული ხასიათის რელაციის ავტორი შარლ დე გრაი დე ფუაც უცხოელია და, მისივე აღიარებით, რუსული ენის არმცოდნე. კორპუსში მაღალი და დაბალი რანგის ოფიცრებად არიან: ბიქსერი, ვეგლერი, გრანერი, დევისი, ზორნაი (ცორნაი), კლავერი, ლუქსი, პიქსერი, შტიანი და ა. შ. ცხადია, ამ უცხოელებს არათუ ადგილობრივი მოსახლეობა, არამედ არც რუსული მხედრობის სახელი და დიდება არ ადარდებდათ. ძარცვა-რბევის დროს სწორედ ისინი გამოირჩევიან განსაკუთრებული გულმოდგინებით. ასე გამოიჩინეს თავი გერმანელმა ოფიცრებმა უბრძოლველად აღებული ქუთაისის გაძარცვის დროს.²

1. ერთხანს რუსეთის სამხედრო სამსახურში იყო ცნობილი კარლ ფრიდრიხ იერონიმ მიუნჰაუზენი (1720-1797), კაცი, რომელიც ტყუილების გამოგონებით მხატვრული ოსტატობის სიმალღემდე ავიდა.

2. ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, გვ. 97; Грамоты, I, გვ. 257-261.

რელაციის პირველი გამომცემელი, პროფესორი დ. ლანგი შენიშნავს, რომ ტოტლებენის ყოფილ ადიუტანტს, კაპიტან დე გრაი დე ფუას ისტორიაში რამდენადმე შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. გენეალოგიური კვლევა-ძიების საფუძველზე გამოვლინდა, რომ იგი უნდა იყოს შთამომავალი ჟან დე გრაისი, ჟალეს პატრონისა, რომლის ქორწინება ბლანშ დე კარტენესთან იზეიმეს 1666 წელს. შემდგომში მისი ოთხი ვაჟიდან ერთ-ერთი საფრანგეთის ფლოტში მსახურობდა. თუ ვიმსჯელებთ მის მიერ დაწერილი რელაციით, კაპიტანი დე გრაი, ჩანს, გონიერი და დაკვირვებული კაცი იყო.

თავდაპირველად დე გრაი ტოტლებენთან მეტად დაახლოებული, განსაკუთრებული ნდობით აღჭურვილი პირი ყოფილა, აღმსრულებელი მისი საიდუმლო დავალებების. შემდგომში დე გრაი ტოტლებენის წინააღმდეგ განზრახულ ოფიცერთა შეთქმულებას მიემხრო.¹

გვარის დაწერილობის მექანიკური გახმოვანების შედეგად, ავთენტურ რუსულ და ქართულ წყაროებში დე გრაი დე ფუა ცნობილია დეგრალის, დეგრალიეს სახელით. მისი ფრანგული სახელი შარლიც კარლოდ არის გადასხვაფერებული.

ტოტლებენის წინააღმდეგ განზრახულ ოფიცერთა შეთქმულების შესახებ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მისი დეტალები საკმაოდ კარგად არის ცნობილი.² შევეხებით მხოლოდ უშუალოდ დე გრაის თავგადასავალს, რომლის რამდენიმე დეტალი რელაციაშიც არის მოთხრობილი.

1770 წლის 1 მაისს პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი, რომელიც ბადრაგს დაუსხლტა, და სამსახურიდან დათხოვილი დე გრაი თბილისში მოვიდნენ და მეფე ერეკლეს ეახლნენ.³ მეორე დღეს სრულიად რუსეთის ყოვლადმონყალე იმპერა-

1. BSOAS, 1951, XIII/4, გრაფ ტოტლებენის ექსპედიცია საქართველოში 1769-1771, გამოცემული დ. ლანგის მიერ, გვ. 879.

2. პროფ. ვ. შაჰარაძეს ნაშრომში „ასპინძის ბრძოლა“ ამ პრობლემის გამოკვლევისათვის მთელი თავი აქვს დათმობილი – ოფიცერთა შეთქმულების საკითხისათვის, გვ. 88-94.

3. Γραμμα, I, 1770 წლის 10 მაისის პატაკი ანტონ მოურავოვისა ნიკიტა პანინისადმი.

ტორის სახელით ტოტლებენი რუსულ და ქართულ ენებზე ავრცელებს მანიფესტს, რომლის ძალითაც აღთქმულია 1000 თუმანი გასამრჯელო მათთვის, ვინც ცოცხლად შეიპყრობს პოდპოლკოვნიკ თავად ნიკოლოზ იურის ძე რატიევს, პოდპოლკოვნიკ თავად ნაუმ ნიკოლოზის ძე ჩოგლოკოვს, პორუჩიკ დე გრაის. ხოლო ამ მოღალატეთა მოკვლისათვის დანესებული იყო 1000 მანეთი.¹

1770 წლის 2 მაისს პორუჩიკი დე გრაი თავისი მოქმედების შესახებ განმარტებას აძლევს მეფე ერეკლეს:

„ქ. მის სიმაღლეს უგანათლებულესს მეფეს, ჩემს ხელმწიფეს ირაკლის. რადგან იარანალის ტოტლებენისაგან გასტუმრებული ვიყავ იმ მიზეზით, როგორც მოგხსენებიათ, რომ მე დამინერია ამისთანა წიგნები, რომელიც ჩემის ხელმწიფის საზიანო და უმეტესად ხელმწიფის ირაკლის წინააღმდეგ იყო, – გავშტერდი, რომ ღრაფს თქვენის სიმაღლისთვის მოუხსენებია, რომ მე დანაშაული მქონდეს, დავეჭირო და გავეგდო, ის წიგნები ჩემის ნებით დამენეროს. ამას ვგონებდი, რომ ტფილისის ქალაქს მოვიდუ და ჩემი თავი გავიმართლო. მართალია, რომ ის წიგნები დამინერია, მაგრამ იარანალის ბრძანებით: პირველი დამინერია ადოს მინდორში, სადაც მისი სიმაღლე იარანალის შაეყარა, მეორე წიგნი – როდესაც იმერეთიდან გარდმოვედით; კიდევ დამინერია საქართველოს გასინჯულობა – მუდამ იარანალის ბრძანებით, მესამე წიგნი დამინერია ზამთარში, მოზდოქს რომ წავედით, – ტფილისის ქალაქის გასინჯულობა, და სულ ეს წიგნები ყოველი სიმართლისა და მისის სიმაღლის მეფის ირაკლის დიდების სრულიად წინააღმდეგი ყოფილა, და ჩემგან დანერილი ყოფილა იარანალის ბრძანებით, როგორც

1. Грамоты, I, გვ. 221-222. 1770 წლის 28 ივლისის პატაკში პანინისადმი მოურაოვოი აღნიშნავს, რომ მანიფესტის გამოცხადებას მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია მეფე ერეკლეზე. საკუთარი თავის დასაცავად მას განსაკუთრებული ზომები მიუღია, ვინაიდან, მისი აზრით, „ტოტლებენი, უდავოა, ვინმეს მოხიბლავდა ფულით და მის მოკვლას უბრძანებდა“. (Грамоты, I, გვ. 241).

იპოება კოპია იმის წიგნებში. დღეს სამი კვირა არის, რომ თქვენის ლაგირიდამ ღრაფი მოვიდა და თავის ოფიცრებთან დამაბეზლა, რომ მე ამისთანა წიგნები დამინერია. მერე მე მაგ იარანალის მოვახსენე: შენ ხომ იცი, – ეს წიგნები შენის ბრძანებისამებრ დამინერია. როცა იარანალმა შეიტყო, რომ იმ საიდუმლოს შენახვა მე არ მინდოდა, მიბრძანა, რომ მე პეტერბურლს გაგისტუმრებ კაის პატივით, და მაჩუქა შვიდი ველენდიზის ოქრო და მომიმატა სახელი – პორუჩიკობა, ამ იმედით ნავედით; მაგრამ შემეიტყვია, რომ თქვენის სიმაღლისთვის მოუხსენებია, რომ მე გამაგდო ერთის ავის კაცივით და საქართველოს წინააღმდეგსავით; ვერ მოვითმინე ამისთანა დაბეზლება, რადგან მუდამ ერთგული ვყოფილვარ ამაღლებულის ჩემის ხელმწიფის წინაშე და თქვენის სიმაღლის წინაშე, და თქვენგან დიდის ვედრებით ვითხოვ მფარველობასა. იარანალის ფიქრები და ნიშნები მუდამ წინააღმდეგი ყოფილა თავის ინსტრუქციისა და ჩვენის ხელმწიფის ბრძანებისა, და მუდამ მოატყუა რუსის პირველი მინისტრები: ბევრჯერ მიუწერია იარანალ ჩერნიშოვთან და იარანალ პანინთან, რომ ერთი ყამი დაიხელოს და საქართველო დაიჭიროს თავის იმპერატრიცის სახელით, რომელი ქვეყანაც მეფის ერეკლეს საბრძანებელს ქვეშ არის. ესეც მისწერა: რუსეთს აბაზი მოსჭრან, აქ გამოგზავნონ და, თუ იმ აბაზებს მეფე ირაკლი არ მოიწონებს, ამას მტრობას გამოუცხადებს.¹ კიდევ სხვაც ბევრი წიგნები არის ჩემგან დაწერილი იარანალის ბრძანებით, რომელიც თქვენის სიმაღლის წინააღმდეგია და სრულიად საზიანოდ არიან. ფრიად გევედრები, რომ ეს დაიჯერო: გაჭირვებულმა დავწერე. ახლა თქვენ გევედრებით, რომ არ დამაბეზლოთ ამაღლებულის იმპერატრიცას წინაშე, რომლის, იმპერატრიცის, და თქვენის სიმაღლის მუდამ ერთგული და დიდის სიმდაბლით ვიყავ და ვიქნები.

1. იხ. 1770 წლის 29 ივნისის წერილის პროექტი ნ. პანინისა ტოტლებენისადმი რუსულ-ლი ფულის გავრცელებისა და ქართული ფულის რუსეთში მოჭრის შესაძლებლობის შესახებ (ფრანგულად) – *Грмоты*, I, გვ. 463-465.

ჩემო უგანათლებულესო ბატონო ხელმწიფე, ფრიად მდაბალი და ფრიად მორჩილი მოსამსახურე კარლო დეგრალი და პოდპორუჩიკი.

ქ. კარლო დეგრალისაგან ჩემთან მოწერილის წიგნის პირი არის.

ირაკლი
ტფილისს, მაისის ბ, წელსა ჩლო“.¹

შეთქმულების მონაწილე სხვა ოფიცრებთან ერთად შარლ დე გრანი დე ფუაც 1771 წლის 22 აპრილს ყაზანში გუბერნატორ ბრანტის თავმჯდომარეობით გაასამართლა სამხედრო სასამართლომ. აშკარად გამოსჭვიოდა ტენდენცია, დაეგმოთ შეთქმულება, დაესაჯათ შეთქმულების მონაწილენი. დე გრანი მაინცდამაინც დიდ დამნაშავედ ვერ ცნეს და უნტერ-ოფიცრად ჩამოაქვეითეს. აქ მთავარია თვალი გავადევნოთ ხელისუფლების დამოკიდებულებას ტოტლებენისადმი. მას მხარში უდგანან, მფარველობენ. მთავარი თვით დასჯის ფაქტის კონსტატაცია იყო. მისჯილნი ვერაფერი დამნაშავენი იყვნენ და მოკლე ხანში თითქმის ყველა ჩამოქვეითებული კვლავ აღადგინეს უფლებებში. მაგალითად, მაიორი რემენნიკოვი, რომელთანაც ტოტლებენს ადრევე მოუვიდა კონფლიქტი, 1774 წელს პერეკოპის კომენდანტია პოდპოლკოვნიკის ჩინით. მალევე აღადგინეს უფლებებში პოდპოლკოვნიკი რატიევი (ყველაზე დიდი დამნაშავე, რომელმაც სამხედრო წინააღმდეგობა გასწია). იგივე შარლ დე გრანი მალე კვლავ რუსული არმიის სამსახურშია, ფელდმარშალ რაზუმოვსკის მთავარი კვარტირმაისტერია კაპიტნის ნოდებით. ამასთან, თვით ტოტლებენის საქციელი მკაცრად არავის დაუგმია. ეს კი არის, რომ მას მდგომარეობა შეერყა, როდესაც იმპერატორი ეკატერინე II ნიკიტა პანინს მიუთით-

1. Грамоты, II, ნაკვ. I, გვ. 24-25. – ქართული ტექსტი; Грамоты, I, გვ. 450-451.

ებს სამი ოფიცრის ყაზანის სამხედრო სასამართლოსთვის გადაცემაზე, იქვე აღნიშნავს, რომ ტოტლებენი უნდა შეიცვალოს სარდლის პოსტზე.¹

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ურთიერთობა, ერთი მხრივ, მეფე ერეკლეს, სოლომონ მეფესა და, მეორე მხრივ, ტოტლებენს შორის, რაც საიმპერატორო კარის ოფიციალური თვალთახედვის პრიზმაში გარდატეხილი მოჩანს.

შედარებით ნათლად ეს ურთიერთობა ისტორიულ დოკუმენტებშია ასახული, თორემ ქართული ნარატიული წყაროები ერთობ თავშეკავებულად მოგვითხრობენ ამ ამბების შესახებ. მაგალითად, ომან ხერხეულიძე მხოლოდ 1770 წლიდან იწყებს ტოტლებენთან დაკავშირებული ამბების თხრობას. „კვალად წელსა 1770, ქორონიკონსა 458, განიზრახა მეფემან ირაკლი ახსიხაზედ განმხედრება, ვინაიდან რუსნი და ოსმალნი აშლილნი იყვნენ და რუსეთის მხედრობა ჰბრძოდა ოსმალთა საბერძნეთის მხარეს და საქართველოსაცა წარმოუვლინა იმპერატრიცა ეკატერინემ რუსეთის უძლეველი მხედრობა, მხედართმთავრობასა ქვეშე ლენერალ-მაიორის ღრაფ ტოტლებენისასა, რომელიც წინას წელიწადებში იყო მოსული და აღსდგა ჯარით ქრცხინვალს“. ტოტლებენსა და ერეკლე მეფეს შორის მომხდარი განხეთქილებაც ომან ხერხეულიძეს მეტად მარტივად აქვს ახსნილი და წარმოსახული: „ხოლო შთააგდეს შური ბოროტთა კაცთა და უზიდევდენ ღრაფ ტოტლებენსა ავსა სიტყვასა და მის ძალით შემოსწყრა ღრაფ ტოტლებენი მეფესა, აიყარნეს თავისი ჯარით და წამოვიდა. მოვიდა მეფე ირაკლი, მრავალს ეხვეწნა...“²

ოფიციალური ცარისტული ისტორიოგრაფია ტოტლებენსა და მეფე ერეკლეს შორის მომხდარ კონფლიქტში ერეკლე მეფეს ადანაშაულებს. „საკუთარი უფლებისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, – აღნიშნავს პ. ბუტკოვი, – ირაკლის

1. Сборник Императорского русского исторического общества, т. X, С.-Петербург, 1872, გვ. 442.

2. ქართლის ცხოვრება, II, სანკტ-პეტერბურგი, 1854, მეფობა ირაკლი მეორისა, მეფის თეიმურაზის ძისა, ქმნილი ომან მღივანბეგისაგან, გვ. 491.

სურდა მოეხდინა დაპყრობები, ეშოვა ალაფი არა საკუთარი ძალებით, არამედ რუსთა მეშვეობით, იმ დროს, როდესაც რუსები დამხმარე, სამარქაფო ძალებად არიან გამიზნულნი“.¹

ურთიერთობის გამწვავება მეფესა და გენერალს შორის, 1772 წლის 28 ივლისს გენერალ მედევისათვის გაგზავნილ რესკრიპტზე დაყრდნობით, მარტივად იმით არის ახსნილი, რომ ტოტლებენმა არ იცოდა არც რუსული, არც აზიური ენები და მეფესთან კონტაქტისას ორმაგი თარჯიმნობა იყო თითქოს საფუძველი ყოველგვარი გაუგებრობის.²

რაც შეეხება მეფე ერეკლეს, იგი ყოველმხრივ ცდილობს ურთიერთობის გაუმჯობესებას ტოტლებენტან, მიდის დათმობებზე, არ თაკილობს ხვეწნა-მუდარას. საქმე ისაა, რომ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში და კონკრეტულად კი რუსეთ-თურქეთის 1768-1774 წწ. ომში „ქართველებმა სწორად შეაფასეს რუსეთისა და თურქეთის პოლიტიკური ინტერესების შეურიგებელი წინააღმდეგობანი და თავდაცვით ბრძოლაში თურქეთისა და ყიზილბაშური ირანის წინააღმდეგ პოლიტიკური ორიენტაცია რუსეთზე აიღეს“.³

დიდ სირთულეებს ქმნიდა საექსპედიციო კორპუსის სურსათ-სანოვაგით მომარაგების საკითხი. ერთ დოკუმენტში ერეკლე მეფე ჩივის, თევზს კიდევ ვშოულობ, მაგრამ პურით მომარაგება მიჭირსო. რაც შეეხება ტოტლებენს, იგი ამ პრობლემას ძარცვა-რბევის მეშვეობით წყვეტდა („როცა მოუნდის, ურმის ხარებიდამ გლებკაცს ართმევდა, უხოცდა და ნახევარ ფასს აძლევდა“).⁴ განსაკუთრებით ხშირად არბევდა არაგვის საერისთავოს, კაცის კვლასაც არ ერიდებოდა. ქარელში მეფის ერთგული ლეკები ამონყვიტა.⁵

1. П. Бутков, *Материалы*, I, გვ. 282.

2. იქვე, იხ. შენიშვნა 1.

3. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მიმომხილველი, III, 1953; Н.А. Бердзенишвили, *Путеводитель к выставке „Грузинская колония в Москве“*, გვ. 282.

4. *Грамоты*, II, ნაკვ. I, გვ. 27-28.

5. *Грамоты*, I, გვ. 457, 468; *Грамоты*, II, ნაკვ. I, გვ. 18, 49.

განსაკუთრებით მწვავედ განიცადა ერეკლემ მის დაუკითხავად თავის ქვეყანაში შეთქმულ ოფიცერთა შესაპყრობად ტოტლებენის მიერ მანიფესტის გამოცხადება; ფულადი გასამრჯელოს შემწეობით მოსახლეობის ცდუნებაში ჩაგდების ბოროტი მცდელობა. ეს მომენტი მრავალგზის ფიგურირებს სათანადო დოკუმენტებში.¹

ერეკლე მეფე ყოველმხრივ ცდილობს, არ ჩაერიოს კორპუსის საშინაო საქმეებში, განზე დგება პოდპოლკოვნიკ ჩოგლოკოვის, დე გრაის საქმისაგან. ამასთანავე, ზრუნავს პოდპოლკოვნიკ სიმონ ჩოლოყაშვილის ბედ-იღბალზე, ცდილობს შეინარჩუნოს ეს ოფიცერი საქართველოში. საქმე ის არის, რომ ჩოლოყაშვილი არავითარი დაჯგუფების მონაწილე არ არის, საარტილერიო საქმის სპეციალისტია და ქართველობას მეზარბაზნეობას ასწავლის.²

1770 წლის 12 მაისს მეფე ერეკლე იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრს ნიკიტა პანინს შესჩივის: „ჯარების მოსულის ამბავიც მოგვივიდა, და ამ ჯარების კეთილ დაყენებისა და სურსათის ზრუნვაც გვეთანამდებებოდა, ამ მიზეზებით იქიდან კაცი და წიგნი მიუვლინეთ და დავიბარეთ, რომ ჯარებისათვის ადგილიც გამოგვეჩრია და სურსათის რიგიც მიგვეცა. და კიდევ მომავალის ჯარებისათვის სახმარნი და საჭირონი ნივთნი გვეფიქრა და მტერზედ მოსულისა დრო და პაემანიც გამოგვეჩრია, მაგრამ პასუხი არა მოგვეცა რა ჩემის წიგნისა, რომელმაც მტერზედ წასვლის უწინარეს, მრავალნი ბოროტნი იმოქმედა ჩვენს ქვეყანაში ჩემს თავადებზე და აზნაურებზედ, და ჩემს გლეხკაცებზედ, და თვით ჩემზედაც, მრავლის წამებით ჩემი სული შეანუხა, მაგრა ყოველი დაუთმე, რადგან მისი დიდებულების იარანალ მაიორი იყო“.³ უფ-

1. Грамоты, I, გვ. 109; Грамоты, II, ნაკვ. I, გვ. 19-20.

2. იხ. Грамоты, II, ნაკვ. I, ერეკლე მეფის 1770 წლის 10 მაისის წერილი ვიცე-კანცლერ გოლიცინისადმი, გვ. 27-30 და მეფის 1770 წლის 10 მაისის წერილი გრაფ ორლოვისადმი, გვ. 30.

3. Грамоты, II, ნაკვ. I, გვ. 31-32.

რო პირდაპირი და გულახდილია მეფე ერეკლე თავის თანამემამულესთან, ამავე დროს, რუსეთის რეზიდენტთან ანტონ მოურავოვთან მიმონერაში. 1770 წლის 6 მაისს მეფე ანტონ მოურავოვს ტოტლებენის შესახებ სწერს: „მე მაგას ჩემს ქვეყანაში ვერ გაუძღებ და ჩემის მონყალის ხელმწიფის სამსახურშიც მომაცდენს, თუ ამისთანა ყოვლად ბოროტს კაცს მომამორებთ, რაც აქ ხელმწიფის ჯარები არის, იმათთვის სურსათისა და კეთილ გამოზრდის საქმეც თავსმიდვია...“¹ შემდგომში ერეკლეს ტოტლებენის დაპატიმრება გადაუწყვეტია და მიმონერის საფუძველზე ტომსკის პოლკის მეთაურის კლავერის მიმხრობაც განუზრახავს. მოურავოვის დაჟინებითი მოთხოვნის შედეგად ყოველივე ამაზე ერეკლეს უარი უთქვამს.² იგი განსაკუთრებით მადლიერია მოურავოვისა, ვინაიდან განხეთქილება ისე შორს არ წავიდა, რომ ტოტლებენი ანანურიდან რუსეთში არ გაბრუნდა.

ერეკლეს მაინც მოუხდა ახსნა-განმარტების მიცემა პანინისათვის ტოტლებენის დაპატიმრების მცდელობის გამო. 1770 წლის 25 მაისს მეფე პანინს სწერს: „იარანალ მაიორის არესტი ორმა საქმემ გამოგვარჩევინა: პირველად ანყურიდან მისმა გამოპარვით წამოსვლამ და მეორედ, ანანურს მისვლამ, – [ეს ხომ] ოსმალისა და დალისტნის გზით უკუნქცევა არის, და რადგან პირველიც ისტორია მისი გვსმენოდა, ამასაც ვარწმუნებ თქვენს მაღალბრწყინვალეობას, რომ ვინც ყოვლად მონყალის რუსეთის ხელმწიფის ჯარს ამ ქვეყნიდან წაიყვანდა, მე იმაზედ ჩემს თავს დავსდებდი და სიცოცხლეს (ხაზი ჩემია – ჯ. ო.) და არ გაუშვებდი, მანამ მისი იმპერატორობითი დიდებულების ბრძანება მომივიდოდა, ამისთვის რომ ჩემი და ჩემის ქვეყნის გაოხრება იქნებოდა“.³

1. Грамоты, II, ნაკვ. I, გვ. 26.

2. Грамоты, II, ნაკვ. I, მეფე ერეკლეს 1770 წლის 13 მაისის წერილი ა. მოურავოვს.

3. იქვე, გვ. 35-36. Грамоты, I, გვ. 228-229; შეადარე: ომან ხერხეულიძე ათქმევიწნებს ერეკლეს: „უმჯობეს არს სიკვდილი ჩემი, ვიდრემდის ამათგან რუსთა მხედრობას ევნოს რამე“ (იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 492).

თავის მხრივ, გენერალი ტოტლებენი, თავისი მოქმედების შესაბამისად, ოფიციალურ მიმონერებშიც აუგად იხსენებს ერეკლესა და სოლომონს. უკრძალავს ყველა თავის ოფიცერს, განსაკუთრებით ქართული წარმოშობის ოფიცრებს, ურთიერთობა იქონიონ ქართველი მეფეების გარემოცვასთან.

1770 წლის 12 მაისს, როდესაც დაძაბულობამ აპოგეას მიაღწია, ტოტლებენი იმპერიის ცენტრს აცნობებდა, „რომ განზრახული აქვს აიღოს თბილისი, დაუქვემდებაროს მთელი საქართველო რუსულ ხელისუფლებას, ჩამოართვას ერეკლეს ანდრია პირველწოდებულის ბაფთი, გააგზავნოს იგი პეტერბურგს ან შედენოს შავ ზღვაში“.¹ ანანურსა და დუშეთში მან რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე ხალხის დაფიცება დაიწყო. სოლომონ მეფეს, ცნობილია, იგი „თურქს“ უწოდებდა.

ასეთია მეფე ერეკლესა და ტოტლებენს შორის მომხდარი კონფლიქტის მოკლე ისტორია. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საიმპერიო ხელისუფლებამ ამ საქმეში ძირითადად ერეკლეს დასდო ბრალი.

1770 წლის 9 ივნისს რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II მანიფესტით მიმართავს ყველა ქართველ თავადს, აზნაურს, მთელ ქართველ ხალხს: „ქართველ მფლობელთა შორის ერთერთმა ყველაზე უფრო გამოჩენილ პირთაგანმა, ირაკლიმ, რომელიც თავისი მდგომარეობის გამო ვალდებული იყო მისაბაძი მაგალითი ყოფილიყო, საპირისპიროდ ყოვლისა, თავისი უცნაური საქციელით, რაც გამოიხატა ჩვენ მიერ საქართველოში გაგზავნილი ჯარის წინამძღოლად შერჩეული გენერალ-მაიორის გრაფ ტოტლებენის მოქმედების განსჯაში, მით შეურაცხყო თვით ჩვენ მიერ ამ სამხედრო ხელისუფალზე დაკისრებული ნდობა. თითქოს განგებ და წინასწარი განზრახვით, ამავე გზით ცდილობდა ხელი შეეშალა სამხედრო ღონისძიებებისათვის მთელი საქრისტიანოსა და განსაკუთრებით იმავე საქართველოს მტრის წინააღმდეგ. რადგან

1. С. М. Соловьев, История России, том XXVIII, гл. 142.

ნაცვლად იმისა, რომ გარჯილიყო ჩვენს გენერალთან ურთიერთობაში გულითადობითა და თანადგომით, გაეთვალისწინებინა საერთო, თანხმობით განსახორციელებელი ღონისძიებანი და ნამდვილად შეესრულებინა ისინი, გარჯილიყო ჩვენი ლაშქრის გამოკვების საქმეში, ერთი სიტყვით, ნაცვლად იმისა, რომ დაეჩქარებინა საქართველოში კეთილდღეობის დაფუძნება, იგი ბოროტმოქმედთა ანკესზე წამოეგო“.¹

იმავე შინაარსის წერილს, ოლონდ დანერილს რამდენადმე უფრო შერბილებული ტონით, უგზავნის ეკატერინე II 1770 წლის 9 ივლისს ერეკლე II-ს.²

იმავე თარიღით გამოგზავნილ წერილს ერეკლე მეფისადმი ნიკიტა პანინი ასე იწყებს: „ყოვლად-უმაღლესი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის წერილიდან თქვენს უგანათლებულესობას უკვე ჰქონდა შესაძლებლობა შეეტყყო, თუ როგორი განცვიფრება და უკმაყოფილება გამოიწვია აქ თქვენმა შეცდომებმა“.³

ერეკლე მეფე წამოწყებულ საომარ კამპანიაში უღალატოდ იქცევა და ჯერ კიდევ საიმპერიო ხელისუფლების მიერ კონფლიქტის მიზეზების განსჯამდე, 1770 წლის 3 ივნისს, ტოტლებენს ერთობლივი საომარი მოქმედების გაგრძელებისაკენ მოუწოდებს.⁴ კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ერეკლეს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობაში არჩევანი, ჩანს, მტკიცედ აქვს გაკეთებული. მას რუსეთი, როგორც საქრისტიანოს დამცველი, არა მარტო სპარსეთ-ოსმალეთის, არამედ როგორც მუზობელი და რეალურად ხელშეწყობისა და დახმარების განხორციელების შემძლებელი, ევროპის ქვეყნებსაც ურჩევნია.

სწორედ ამიტომ საკონფლიქტო სიტუაციის აღსაკვეთად ჩამოსული კაპიტანი იაზიკოვი 1770 წლის 9 ივლისს განცვი-

1. Грамоты, I, გვ. 125-126.

2. იქვე, გვ. 132-134.

3. იქვე, გვ. 134.

4. Грамоты, II, I, გვ. 37-38. „ერთმანეთს ნუ შემოეწყობით... და თქვენს სამდურავეზედ მტერს ნუ გავახარებთ“.

ფრებული აცნობებს პანინს: „შექმნილი ვითარების შესაბამისად ვფიქრობდი, რომ დიდი ჯაფა დამადგებოდა, რათა დამეყოლიებინა ირაკლი [შერიგებოდა ტოტლებენს და განეგრძო ლაშქრობა თურქთა წინააღმდეგ]. ნაცვლად ამისა მეფე [ირაკლი] ყველაფერს გვიჯერებს და სავსებით ბრმად ერთგულია ჩვენი დედოფლის“.¹ ცხადია, აქ ბრმა ერთგულება არაფერ შუაშია, ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს გონიერი სახელმწიფო მოღვაწის გააზრებულ მოქმედებასთან, რომელსაც თავისი ქვეყნის ბედ-იღბლის წარსამართავად ძალუძს საკუთარი გრძნობების დათრგუნვა. ამ პერიოდისათვის ერეკლე მეფისა და მისი ქვეყნისათვის რუსეთზე ორიენტაცია ერთადერთ რეალურ გამოსავლად მოჩანდა უმძიმესი საგარეო და საშინაო პოლიტიკური სიტუაციიდან თავის დასაღწევად. მრავალგზისმა მცდელობამ ევროპისაკენ საგარეო-პოლიტიკური კურსის წარმართვისა, შედეგი არ გამოიღო. „ამ დროს პატარა საქართველო და მისი გმირი, ნიჭიერი მეფე განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველმხრივ მონყვეტილი იყო“ (ივ. ჯავახიშვილი).

ზემოთ ხაზგასმული იყო და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ რუსული დიპლომატია საკმაოდ საღ, რეალისტურ პოზიციებზე იდგა. ამდენად, ტოტლებენის სამხედრო კორპუსის გაგზავნის წინამავალ პერიოდში ჩატარებული კვლევა-ძიების საფუძველზე კორპუსის ხელმძღვანელობას გარკვეული სურათი უკვე ჰქონდა საქართველოს ცალკეული ნაწილების, კერძოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური, ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. ბუნებრივია, თვით კორპუსის სარდალი, მისი ოფიცრები დაკვირვებას აწარმოებდნენ ადგილზე შექმნილ რეალურ სიტუაციაზე. ასეთ ვითარებაში ტოტლებენის მცდელობა, ჩამოართვას ტახტი ერეკლეს და მისი ქვეყანა რუსეთის იმპერიას შეუერთოს, ტოტლებენის ავანტიურიზმის ტოლფასოვნად საქართველოს სამხედრო

1. Грамоты, I, გვ. XIX.

სისუსტეზეც მიუთითებს. ბოლოს და ბოლოს საექსპედიციო სამხედრო კორპუსის ოპტიმალური შემადგენლობა 3767 კაცს არ აღემატებოდა.¹

უკვე იყო ლაპარაკი ტოტლებენის განზრახვაზე, ხელთ ეგდო საქართველო. ამჟამად მოუუსმინოთ კაპიტან ლვოვს, რომელიც აღნიშნავს, რომ ტოტლებენმა საბოლოოდ გადაწყვიტა „მეფე ერეკლეს ორდენი ჩამოხსნას და თვით იგი რუსეთს გააგზავნოს. მონინაალმდევე ბანაკის თავადები, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, დათრგუნოს და მთელი საქართველო მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომად აქციოს. მთელი საქართველოს რუსეთის ქვეშევრდომად გადაქცევა, რაღა თქმა უნდა, ჩვენი 3000 ჯარისკაცის მეშვეობითაც მეტად იოლია (ხაზი ჩემია – ჯ. ო.). შემდეგ იმერეთის გავლით შავ ზღვამდე შეიძლება მისვლა, რაც აგრეთვე ძნელი საქმე არ არის, ვინაიდან ჩვენ ახლა იმ ზღვიდან 300 ვერსზე ვართ; ადრე კი 140 ვერსით ვიყავით დაშორებული. შავ ზღვამდე ვერაფერი შეგვაკავებს. თურქების სიმამაცე აწყურთან კარგად ვიხილეთ, იქით კი ისინი უარესები არიან“.²

საქმე ის არის, რომ ამ აქციის განხორციელება საკმაოდ რეალურად მიუჩნევიათ საიმპერიო ცენტრში და კაპიტან იაზიკოვისათვის მიცემულ სამოქმედო ინსტრუქციაში გათვლილი იყო ვარიანტი იმისა, რომ ერეკლე შესაძლებელია ტახტიდან გადაყენებულიყო. თუმცა კვლავ ხაზი უნდა გავუსვათ იმას, რომ რუსეთი იმჟამად იმპერიის საზღვრების გაზრდას არ აპირებდა. მთავარი იყო საქართველოს შენარჩუნება თურქების სანინაალმდეგო ერთობლივი საომარი მოქმედებისათვის. იაზიკოვის მეშვეობით პანინი აცნობებდა ტოტლებენს: „ამჟამად ძირითადი საჭიროება იმაში მდგომარეობს, რომ ქართველებმა ომში შემწეობა აღმოგვიჩინონო“-ო.³ 1770 წლის დამლევისათვის ტოტლებენის კავკასიიდან განწევის საკითხი

1. იხ. ვ. მაჭარაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47. იქვეა მოცემული ცნობები კორპუსზე დახარჯული თანხების შესახებ. იხ. აგრეთვე *Ирмосты*, I, გვ. 81.

2. *Ирмосты*, I, გვ. XIV, გვ. 224-226.

3. იქვე, გვ. XXIV.

უკვე გადანყვნილი იყო. 19 დეკემბერს ეკატერინე II მანიაშასწერდა: „ვფიქრობ, რომ მას უფრო ძალუძს ნააზღვროს ჩვენი საქმეები საქართველოში, ვიდრე სასარგებლოდ გაისარჯოს, მიმარჩია, საჭიროა იქ სხვა ვინმე გავამნესოთ“.¹

ამრიგად, მიუხედავად დიდი წარმატებებისა, რომელთაც თურქეთთან საომარ კამპანიაში მიაღწიეს იმერთა მეფე სოლომონმა და განსაკუთრებით კი ერეკლე მეფემ ასპინძლის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვებით, ქვეყნის სამხედრო პოტენციალის სისუსტე თვალსაჩინოა და საკმაოდ კარგად გამოვლენილი იმდროინდელი რუსული დიპლომატიისათვის, რუსული სამხედრო კორპუსის სარდლობისათვის. შენდგომში საგარეო და საშინაო ვითარების კიდევ უფრო დამძიმებამ ქართლ-კახეთის სამეფო კრწანისის ტრაგედიაზე მიიყვანა. მარცხი კრწანისთან ქართულ ისტორიოგრაფიაში სავსებით სამართლიანად შეფასებულია როგორც ლოგიკური შედეგი ჩვენი ქვეყნის შინაგანი სისუსტის და არა როგორც გამოვლენება იმჟამინდელი ირანის სიძლიერისა.

უნდა დავძინოთ, რომ ქართულ-რუსული ურთიერთობის მთელ მანძილზე ათასი ჯურის პრეტენდენტს საქართველოს სამეფო ტახტზე, ქართული სამეფო ხელისუფლების სხვა ქვეგამხედვარებს მეტად მეორეხარისხოვანი როლი ეკისრებოდათ რუსული დიპლომატიის კარდინალური ხაზის წარმართვის თვალსაზრისით. ასევე მხოლოდ უშედეგო მასლაათის დონეზე შეიძლება გავიაზროთ ზაალ ორბელიანის გასაუბრება რუს მოხელესთან ბაკუნითან: „იმან მითხრა: – არ იცი, ხელმწიფე მეფეს ერეკლეს უწყრებაო. მერმე მე უთხარი: – თუ მეფეს ერეკლეს უწყრება, ან რუსს ვისმე უბოძოს ქვეყანა და ან მეფეს სოლომონსაო“.² ამასთან, მაინც გარე სამყაროში, უცხო, თუნდაც კეთილგანწყობილ სახელმწიფოში, ადგილობრივი სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგეთა

1. Сборник Императорского русского исторического общества, т. X, გვ. 41.

2. იესე იესეს ძე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ა. იოსელიანის გამოცემა, თბილისი, 1950, გვ. 67.

მომრავლება კვლავ ქვეყნის შინაგანი სისუსტის თვალსაჩინო სიმპტომია. ამავე დროს, ქვეყნის „აღდგომა-გამოხსნის“ დიდ საქმეში ერეკლე მეფე მარტო არ არის. „ქართველ პატრიოტებს, – შენიშნავდა აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი, – ღრმად ესმოდათ ის მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა რუსეთს ქართული პოლიტიკური იდეალის განსახორციელებლად (მტრული გარემოცვის გარღვევა). ისინი კარგად ერკვეოდნენ მახლობელ აღმოსავლეთში რუსეთის სახელმწიფოებრივ ინტერესებში და ამიტომ მიიჩნევდნენ რუსეთის სახელმწიფოს თავის ყველაზე მეტად საიმედო მფარველად და მოკავშირედ“.¹

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა განვითარების სხვადასხვა ეტაპზე როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს მხრიდან გადადგმულ იქნა ნაბიჯები იმისათვის, რომ საქართველო რუსეთის მფარველობაში შესულიყო. კერძოდ, რუსეთ-თურქეთის ომის მიმდინარეობის დროს, 1771 წელს, მფარველობის აქტის გასაფორმებლად ერეკლემ რუსეთში მიავლინა თავისი ვაჟი ლევანი და კათალიკოს-პატრიარქი ანტონი. თუმცა, ერეკლეს ასეთი მცდელობა წარუმატებლად დამთავრდა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის იმ საფეხურზე, რომელიც გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის წინააღმდეგ წარმოგვიდგება, კერძოდ 1782 წლის 21 დეკემბერს, სუხოტინთან და განსაკუთრებით კი ტოტლებენტან ურთიერთობის გამოცდილებით გაბეზრებული ერეკლე მეფე რუსეთის იმპერატორს სთხოვს: „რამდენადაც ჩემი შესაძლებლობების კვალობაზე მაგ ჩვენსკენ გამოგზავნილი ლაშქრის სარდლის რჩევის შესაბამისად უნდა გავისარჯო, ამდენად იმ მთავარსარდალმაც მიიღოს ჩემი რჩევები, რადგანაც საკმაო მონაცემები მაქვს აქაურ საქმეთა მდგომარეობა-ვითარების შესახებ“-ო.²

1. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „მომოხილველი“, III, გვ. 283.

2. „Вопросы истории“, №7, 1983. Публикации, გვ. 110.

როგორც აღნიშნული იყო, შარლ დე გრადი დე ფუა საკმაოდ დაკვირვებული კაცი მოჩანს. მაგალითად, შეუნიშნავს ძველ საქართველოში და საქართველოს მთაში დღესაც დამკვიდრებული ჩვევა, რომლის მიხედვითაც მამაკაცი მამაკაცს სახეზე არ კოცნის.¹ მასვე აღწერილი აქვს ქართველთა ჯდომის თუ ჭამის წესები. დე გრადის მიერ ანაზღეულად აღწერილი ერთი პასაჟის მიხედვით კარგად ჩანს, რომ თბილისის მოსახლეობას 12 საათის დადგომას ზარბაზნის გასროლით ამცნობდნენ.²

დე გრადის რელაცია რამდენადმე მემუარული ხასიათისაა და იქნებ მონოდებული საქმეებისაგან უკვე ჩამოშორებულ ფელდმარშალ კირილე რაზუმოვსკის ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად. დე გრადის, როგორც მთავორიანი საქართველოს რელიეფს შეუჩრევველ კაცს, დროში მეტად გახანგრძლივებული გადაადგილება სამხედრო ნაწილის თუ ცალკეული ოფიცრებისა, სივრცით ორიენტაციაში აბნევს. როგორც წესი, მის მიერ შემოთავაზებული მანძილები აშკარად გადაჭარბებულია. არ გვიცდია აგრეთვე შეგვესწორებინა თარიღები. უნდა ვიფიქროთ, რომ აქ დაშვებული შეცდომები მხოლოდ დე გრადის მიერ გრიგორიანული კალენდრით სარგებლობის შედეგი არ უნდა იყოს. კვლავ უფრო მტკიცდება აზრი, რომ რელაცია ზუსტი ინფორმაციის მონოდების მიზნით არ არის დაწერილი, იგი მემუარული ხასიათისაა.

რელაცია, როგორც აღვნიშნეთ, პროფესორ დ. ლანგს მიუკვლევია საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს არქივის XXXI ტომში, სადაც დაცულია საქმეებში „რუსეთი 1760-1799“; სერიაში „მემუარები და დოკუმენტები“ რელაციას უკავია 50-68-ე გვერდები. დ. ლანგი შენიშნავს, რომ რელაცია

1. ეს მომენტი, ალბათ, სანიტარული ჰიგიენის ისტორიის თვალსაზრისითაც საინტერესოა. ამჟვე დროს, ადოს მინდორზე გიორგი უფლისწულისა და ტოტლებენის შეხვედრის დე გრადის მიერ აღწერილი ეს დეტალი უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია, ვიდრე მოურავოვის ცნობა, თითქოს იმავე შეხვედრისას ერეკლემ ტოტლებენი გადაკოცნა (იხ. Грамоты, I, გვ. 62).

2. საქმე ეხება თბილისიდან ახალციხის ფაშის ელჩების გაპარების აღწერის მომენტს.

დანერილია თანამედროვის ხელით. ძნელი სათქმელია, ასლია იგი თუ დედანი. მელანი რამდენადმე გაფერმკრთალებულია.

რელაციის ტექსტი საკმაოდ მარტივი ლექსიკით არის შედგენილი და მისი ქართულად თარგმნა სირთულეებთან არ იყო დაკავშირებული. ასევე საკმაოდ იოლი გახდა ამოცნობა პირთა საკუთარი სახელების, ტოპონიმების. წინამდებარე რელაციაშიც აისახა უცხოელი ავტორებისათვის ზოგადად დამახასიათებელი ნიშან-თვისება – დე გრავიც გურიას მისი ფეოდალი მფლობელის გურიელის სახელდებით მოიხსენიებს.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მახლობელი აღმოსავლეთის საქმეებით მუდამჟამს დიდი დაინტერესების შესაბამისად, ბუნებრივია, რომ ფრანგი კაცის ფრანგულად დანერილი რელაცია კე დორსეს არქივსაცავებში აღმოჩნდა.

ქართულ-რუსული ურთიერთობების განვითარების თვალსაზრისით რელაციის ამკარად პესიმისტური დაბოლოების მიხედვით ჩანს, რომ დანერილია იგი გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატის დადებამდე. რელაციის დანერის ქვედა ქრონოლოგიურ საზღვრად გამოდგება 1777 წელი, რამდენადაც რელაციის ავტორმა იცის, რომ ერეკლე მეფემ, დავით ერისთავის გარდაცვალების შემდგომ, საერისთავო ჩამოართვა მის ვაჟს. ეს ამბავი კი 1777 წელს მოხდა.

არ გამართლდა შარლ დე გრავი დე ფუას ვარაუდი, რომლის მიხედვითაც რუსეთისათვის საქართველოში შესასვლელი კარები სამუდამოდ დაიხშო.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი „საქართველოს ისტორიაში, – წერდა ნ. ბერძენიშვილი, – იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი... საქართველო გაემიჯნა აზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიიქცია პროგრესული ჩრდილოეთისაკენ“.¹ მისივე სიტყვებით, ტრაქტატი პროგრესის ძალთა ეპოქალური გამარჯვება იყო.

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბილისი, 1971, გვ. 179.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“¹

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ „ქართლის ცხოვრებაში“ შესულ საისტორიო თხზულებათა შორის ყველაზე მაღალი რანგის ნაწარმოებია. იგი ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის მწვერვალია. „დავითის ისტორიკოსის თხზულებაში აისახა გარკვეულ სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებზე აღმოცენებული კლასობრივი თუ შინაკლასობრივი ბრძოლისა და მძაფრი იდეოლოგიური დულილის მთელი ნახევარსაუკუნოვანი ხანა ჩვენი ისტორიისა“. მასში წარმოსახულია ეპოქა, რომლის განმავლობაში არაბობაგამოვლილი, თურქთა შემოსევებისაგან შეჭირვებული ქვეყანა წინა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა. დიდი გაქანების ბრძენმა სახელმწიფო მოღვაწემ დავით IV აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალის ასამაღლებლად მრავალი ძირეული ხასიათის რეფორმა განახორციელა. საისტორიო თხზულების სავარაუდო ავტორი არსენი ბერი, დავით აღმაშენებლის დიდი პოლიტიკის მარტოოდენ პირუთენელი აღმწერი როდია, არამედ მისი აქტიური დამცველი და თანამდგომი. დავითის მიერ განხორციელებულ ფართო მასშტაბის გადამჭრელ ღონისძიებებს ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური განვითარების სფეროში, სამხედრო და სასულიერო ცხოვრების დარგში, ცხადია, მრავალი მონინააღმდეგე ჰყავდა. სწორედ ამიტომ მისი ერთგული თანამზრახველის, დავითის ისტორიკოსის, თხზულება პოლემისტური ნაწარმოებია, მონოდებული საქართველოს სახელმწიფოს საქეთმპყრობლის, დავით აღმაშენებლის, დასაცავად „მაბრალობელთაგან“, მისი გეზის მონინააღმდეგეთაგან.

თხზულებაში ობიექტურად, განსაკუთრებული სისავსით წარმოსახულია დავითის პროგრესული სამხედრო-პოლი-

1. წერილი რედაქტირებული სახით გამოქვეყნდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის XI ტომში 1987 წ.

ტიკური ხასიათის ღონისძიებანი, ნაჩვენებია კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული ეკლესიის დემოკრატიზაციისაკენ, ქვეყნის საშინაო და საგარეო ძლიერების ასამაღლებლად. ნაჩვენებია საქართველოში ყივჩაღთა გადმოსახლების საკმაოდ რთული, გონივრულად განხორციელებული მრავალი ასპექტის მქონე პროცესი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოკვეთილია, რომ თხზულება დაწერილია დაახლოებით 1130-იან წლებში, როდესაც ისტორიკოსი დროის დისტანციიდან უფრო ნათლად ხედავს თავისი დიდი თანამედროვის მთლიან პიროვნებას, წარმოაჩენს მის ურყევ ნებისყოფას, ღრმა განათლებას.

თხზულება დაწერილია დიდად განათლებული, მაღალნიჭიერი სახელმწიფო და სასულიერო პირის მიერ. ცხადია, რამდენადაც შუა საუკუნეების საქართველოში ერთადერთი წარმმართველი იდეოლოგია ქრისტიანობა იყო, ისტორიული პროცესის ძირითადი ახსნა პროვიდენციალიზმს ეყრდნობოდა. ამასთან, ერუდიტი ავტორი წარმატებით იყენებს ისტორიულ-შედარებით მეთოდსაც. ბუნებრივია, თხზულების ავტორი წინა პლანზე წამოსწევს ქრისტიანული მორალის ძირითად დოგმებს. მრავლად არის გაბნეული მასში რემინისცენციები სასულიერო წიგნებიდან. ქრისტიანული მსოფლმხედველობის ძირითადი არსის – იმქვეყნად სასუფევლის დამკვიდრების გზების წარმოსახვასთან ერთად, თხზულების ავტორი გამჭრიახი რეალისტის თვალთ უყურებს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს, ცხოვრებას.

ბიზანტიური სამყაროს გავლენით, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს და მისი მესვეურის გაძლიერებისა, თხზულებაში პირველად არის აღიარებული მეფის ღვთისსწორობის იდეა (იზოთეიზმი). ამ იდეას კონკრეტული პოლიტიკური მისია ეკისრება – „ყოველი წინააღმდეგი მეფისა შინა გამცემელია... დავითი „მესიის ხმალია“. მისი სახით თვით ღმერთი მოქმედებს და ამდენადვე მეფის წინააღმდეგ მოქმედება ღმერთის წინააღმდეგ მოქმედებაა... არსად აქამდე ქართ-

ულ საისტორიო მწერლობაში მეფის ხელისუფლება, მეფის უფლება და მისი პიროვნება არ ყოფილა ღვთაებამდე ატანილი“ (ნ. ბერძენიშვილი).

ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს ისტორიის კარგი ცოდნის საფუძველზე, დავით აღმაშენებლის როლის განსაკუთრებით ნათლად წარმოსაჩენად, ისტორიკოსი საინტერესო პარალელებს ავლებს, ერთი მხრივ, დავითსა და, მეორე მხრივ, ალექსანდრე მაკედონელს, ტროას გმირს აქილევსს შორის. ნათლად არის გამოკვეთილი, რომ ხშირად პიროვნების როლის წარმოსაჩენად დიდია მნიშვნელობა ნიჭიერი მწერლისა და ისტორიკოსის კალმისა (ტროასთან ომში ამაოდ დამაშვრალი აქილევსი კი არა, ჰომეროსი იყო დიდო). ალექსანდრე მაკედონელთან დავითის პიროვნების შედარებისას ისტორიკოსი ხაზს უსვამს, რომ პირველის დიდი სახელი მისი ქვეყნის სიძლიერემ, საბერძნეთის როლმა განსაზღვრა მსოფლიო-ისტორიულ პროცესში და რომ პირადი ღირსებებით დავითი ალექსანდრეს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

თხზულება დანერვილია დახვეწილი სტილით, მდიდარი ქართულით, იკითხება პოეტური პროზის ნაწარმოებთა დონეზე. მკითხველს უცილობელ ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის ავტორისეული დახვეწილი ფრაზა, შესანიშნავად ჩართული აფორიზმის კატეგორიის ანდაზები, ხატოვანი რემინისცენციები ბიბლიიდან. დიდი პოლიტიკური მოღვაწის დავითის ისტორიკოსი თვითონაც უდავოდ გამოჩენილი პიროვნებაა, რომელმაც დიდი ოსტატობით შეძლო წარმოესახა დავითის მშფოთვარე ეპოქის სული, ნათლად ეჩვენებინა პოლიტიკური ჭიდილი სოციალურად დაპირისპირებული ძალებისა. ამასთან, კარგი განათლების მქონე ნიჭიერ ისტორიკოსს მშვენივრად ესმოდა, რომ არ არსებობს ისტორია დროისა და ადგილის მინიშნების გარეშე და ამიტომ თხზულება მდიდარია როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული, ისე ქრონოლოგიური მასალით.

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“ თვალსაჩინო ძეგლია XI საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური

აღმავლობისა. თხზულებაში დავით აღმაშენებლის თანამებრძოლის გიორგი ჭყონდიდლის შესახებ ნათქვამი სიტყვები სავსებით მიესადაგება მის ავტორს. იგი ნამდვილად არის „თანაგამკაფელი ყოველთა გზათა, საქმეთა და ლუანლთა მისთა“.

სამწუხაროდ, ქვეყნის განვითარების არახელსაყრელი საგარეო და საშინაო პირობების გამო, „დავითის ისტორიკოსის შემდეგ ჩვენს ძველ ისტორიოგრაფიას აღარაფერი ახალი (იდეის განვითარების თვალსაზრისით) არ მოუცია“ (ნ. ბერძენიშვილი).

პირთა ანოტირებული ლექსიკონი¹

XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით

საქართველოს ფეოდალური ხანის წერილობით წყაროთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იურიდიული შინაარსის ისტორიულ საბუთებს, რომლებშიც ფეოდალური საზოგადოების ცხოვრების მრავალი ასპექტია აღბეჭდილი. განსხვავებით თხრობითი საისტორიო წყაროებისაგან, იურიდიული საბუთები ფეოდალური საზოგადოების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი პირების სოციალურ საქმიანობას წარმოაჩენენ. იურიდიულ საბუთებში არეკლილია ცოცხალი ისტორიული პროცესი და ამ პროცესში ყველა ფენისა და ნოდების როლი. მათში დაცული ცნობები საშუალებას იძლევა დიაქრონიულ ჭრილში განისაზღვროს ფეოდალური დიფერენციაციის ხარისხი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, გააშუქდეს ცალკეული ფეოდალური სახლების დანიანურებისა თუ დაკნინების მიზეზები, გამოვლინდეს მათი ხვედრითი წონა საზოგადოებრივ სარბიელზე, დადგინდეს სამოხელეო იერარქია და ცვლილებანი მართვის სახელმწიფო აპარატში.

ისტორიული საბუთები საუკეთესო წყაროა აგრეთვე სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულების, მწარმოებელი მოსახლეობის საგადასახადო ვალდებულებების, ცალკეული კუთხეების ეკონომიკური პოტენციალის, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის, ასევე სხვადასხვა ისტორიული მხარეების ეთნიკური შედგენილობისა და მოსახლეობის მიგრაციების შესასწავლად.

განუზომლად დიდია ისტორიული საბუთების მნიშვნელობა ფეოდალური ხანის ქართული სამართლის საკითხების გასაშუქებლად. კონკრეტულ გარემოებათა შესაბამისად, ისტორიულ დოკუმენტებში ხშირად არის გადმოცემული ამბები და ფაქტები ქვეყნის პოლიტიკური ისტორიიდან, რაც, ცხადია, კიდევ მეტად ზრდის დოკუმენტის ღირებულებას. ამდე-

1. შესავალი წერილი. ტ. I. „მეცნიერება“, თბილისი, 1991 წ. თანაავტორი მ. სურგულაძე.

ნად, ისტორიულ საბუთებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოების განვითარების, მის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შესასწავლად.

უამთა სიავემ, მტრების გამუდმებულმა შემოსევებმა კულტურის სხვა ძეგლებთან ერთად გაანადგურა ქართული საისტორიო პირველწყაროების საკმაო ნაწილი. იყო პერიოდები ძნელბედობისა, როდესაც ქართული ფეოდალური საზოგადოება საერთოდ ვერ იცლიდა ისტორიული თუ სხვა ხასიათის მწერლობისათვის. ბუნებრივია, ასეთი პერიოდებისათვის ყოველგვარი პირველწყაროს, განსაკუთრებით კი ისტორიული დოკუმენტების ცნობებს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ.

ფეოდალურ საქართველოში სამართლებრივი აზროვნების მაღალმა კულტურამ შესაბამისი, საკმაოდ რთული საქმისწარმოების შექმნა გამოიწვია. ამ ვითარებამ სათანადო ასახვა პოვა ნაირგვარი იურიდიული პირობის გამომხატველი საბუთებისათვის სპეციალური ფორმულარისა და დიპლომატიკური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებაში. ისტორიული საბუთების კლასიფიკაცია რამდენიმე პრინციპის მიხედვით ხდება. ამათგან უმნიშვნელოვანესია საბუთების იურიდიული ფუნქცია, რომელიც საშუალებას იძლევა შენარჩუნებულ იქნეს ფეოდალური სამართლის ნორმებთან სიახლოვე და, ხშირ შემთხვევაში, თვით საბუთებში დადასტურებული იურიდიული ტერმინები. აღნიშნული საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით საბუთები ჯგუფდება შენარჩუნების, წყალობის, შეუვალობის (გვიანდელი ტერმინით – თარხნობის), ბრძანების, აზატობის, ყიდვა-გაყიდვის, გაცვლის, შრომითი ვალდებულებების, ვასალური ურთიერთობების, სამამულე დავის, კეთილმოყვრობის, ვახშის, თამასუქის და სხვ. წიგნებად (ეს ნაირგვარობა საბუთთა იურიდიული ფუნქციისა წინამდებარე ნაშრომში გამოყენებულია ანოტაციის ტექსტში შინაარსობრივი ჯგუფების გამოსაყოფად).

Из числа „провинциальных царей“ только лишь Георгий именуется Аластанцем. Ни в одном первоисточнике Мелхиседек или же Андроник не именуется аластанцами. Нужно полагать, что и Мелхиседек, наподобие Андроника и Давида, таюже был царем в Горийском регионе. С этим же регионом, в частности с Ксанским эриставом, в определенной степени можно связать и имя Георгия Аластанского. В поминальных записях Иерусалимского Джварского монастыря вслед за поминальной записью о Георгие Аластанском следует поминальная запись об Амилахоре Квенилпневели, убитого, по данным „Уложения Эриставов“, вместе с царем Георгием.

Прозвище сына царя Андроника, Георгия – Аластанели (Аластанский), безусловно, происходит от Джавахетского селения Аластани. В целях исследования возникновения этого прозвища проследим за историей. После подавления могущества феодального рода Багваши, а во времена царя Тамар после свержения клдекарского эристава Апридона, клдекарское эриставство было включено в царский домен и, видимо, с раннего периода превратилось в вотчину цареви́ча. В начале надписи Гунн-Кала вместе с Тамарой упоминается и его сын Георгий-Лаша. В конце же надписи читаем: „Воздвигнут камень этот богоравным царем царей Георгием“, что, по справедливому замечанию А. Бакрадзе, говорит в данном случае на данной территории о приоритете Георгия-Лаша над своей царствующей матерью. Видимо, тем самым указан факт передачи этой местности во владение

царевича (А. Бакрадзе, Надпись из Гунна-Кала. Вестник Государственного музея Грузии, т. XVII-В, 1953, стр. 224). Эта мысль подтверждается надписью письмом асомтаврули на аверсе монеты Георгия-Лаша: „Х. Царя Георгия, сына Тамары, владыки джавахов“. Должно быть „владыкой джавахов“ Лаша именовался в бытность царевичем. При повествовании событий после смерти Русудан в „диване царей“ об Улу Давиде сказано: „В это время сын Аластанца, царь Давид, предстал перед ханом с просьбой о получении царства“ (Дзвели Сакартвело, II, разд. III, Тбилиси, 1911-1913 гг. стр. 65). В данном случае Лаша-Георгий – „владыка джавахов“, именуется как Аластанский.

По сведению „Уложения Эриванов“, когда между Вахтангом III и Давидом VIII произошло соглашение, „тогда Вахтанг дал Давиду Джавахети и Аластани, вывел его из Гвелети“.

Таким образом видно, что Аластани, как резиденция и владение царевичей, занимает особое место.

После поражения в битве с турками в 1373 году и гибели Георгия Аластанского, по сведениям грамоты 1434 года Александра I, Грузия потеряла Лоре. В таком плане приемлемым кажется предположение С. Какабадзе: „Поскольку в 1373 году Георгий Аластанский сражается в Сомхити, нужно полагать, что Лоре с окрестностями принадлежит ему. Тогда получается, что владения Георгия Аластанского, кроме Джавахети, включали в себя также южную часть Сомхити (Лоре)“ (С. Какабадзе, Царь Георгий Аластанский, сын Андроника. Мелкие Штудии... Тбилиси, 1914, стр. 23).



Уточнены многие хронологические аспекты истории Грузии XIV-XVII вв. (в докладе нет возможности затронуть все эти моменты).

В XIV-XVII вв. Грузия, как единое государство, уже не существует. Вполне реальная подоплека лежит в основании еще в XIV веке возникшего термина „Сакартвелоеби“ („Грузии“). Новый этап в политической истории феодальной Грузии, как отмечает академик Н. Бердзенишвили, ярко отражен в условиях мирного договора, заключенного еще в начале XVI века между царем Картли Давидом и царем Кахетии: „Грузия разделена на три равноправных царства, но все эти „Грузии“ в

отношении внешнего мира сохраняют культурную целостность“. Цари этих „Грузий“, представители грузинского царствующего рода Багратионов, в первую очередь цари Картли, не отказываются от идеи восстановления единого грузинского царства. Но то обстоятельство, что в стране нет социальной силы, заинтересованной в централизме, делает эту идею беспочвенной, обрекает его осуществление на провал. Политической разрозненности способствует крайне неблагоприятная внешнеполитическая обстановка. Эти два фактора – внутренний и внешний – определяют друг друга и взаимосвязаны. Этим было вызвано заторможение развития производительных сил, феодальная Грузия оказалась в тупике. Политическими знаменателями этого тупика является воцарение какого-нибудь Багратиона сперва в Кахети, потом в Картли, затем опять в Кахети (Ираклий I Назаралихан), или же в Имерети, потом в Кахети и опять в Имерети (Арчил), что было вызвано колебанием исторической конъюнктуры, связанной с турецко-персидским засильем. Социально-политическую слабость страны безошибочно показывает мощь возникшей системы „Сатавадо“ (обособившихся княжеств), двоецарствие в Картли и произвол иранских ханов в Кахети.

В такой социально-политической ситуации борьба царя Картли за присоединение Кахети и, наоборот, это суть, ослабляющая страну внутриклассовая борьба под флагом централизма.

Грузинские грамоты выкупа крови

В феодальном обществе исторические документы, в первую очередь царские грамоты, давали членам этого общества, их потомству социальные, экономические привилегии. При благоприятном сочетании обстоятельств, на основе сфабрикованных документов, можно было достичь ощутимых успехов. Соблазн был велик, и было создано множество фальшивых документов.

На пути своего научного становления первые шаги дипломатика делала как вполне практическая, утилитарная отрасль общественной жизни.

Научное изучение исторических документов происходит путем применения в исследовании данных палеографии, исторической хр-

онологии и географии, нумизматики, сфрагистики, геральдики и т. д. В свою очередь дипломатика предоставляет нам ценнейшие сведения в области вышеуказанных отраслей исторической науки.

В данном случае темой исследования являются так называемые грузинские грамоты выкупа крови.¹ „Дипломатика, – писал академик И. Джавахишвили, – должна изучать суть всяких документов, однако поскольку более обильные сведения культурно-политической истории сохранились в грамотах царей и высших церковных сановников, поэтому обычно, в первую очередь, дипломатика занимается исследованием документов указанной категории“.² Грамоты выкупа крови попали в сферу исследования академика И. Джавахишвили, поскольку это царские грамоты. По грузинскому феодальному праву, вершение уголовного права – прерогатива царской власти. В 417-й статье законов Мхитара Гоша, включенных в судебник Вахтанга VI, читаем: „Уголовное право должно вершиться государем, другие судьи не вправе заниматься уголовными делами“.³

При исследовании грамот выкупа крови И. Джавахишвили усомнился в их подлинности. Доказав фальшивость некоторых грамот выкупа крови, ученый гиперкритически отнесся ко всей массе этих документов. В его трудах, в большинстве случаев, сведения грамот выкупа крови не принимаются во внимание. Так, например, в специальном исследовании, посвященном проблемам истории грузинской нумизматики и метрологии, И. Джавахишвили обошел молчанием часто упоминаемую в грамотах выкупа крови денежную единицу „Кирманеули“. В современной же грузинской нумизматике засвидетельствовано распространение этой монеты в Западной Грузии в XIII-XV вв.

При исследовании проблемы происхождения царя Александра Великого, И. Джавахишвили наряду с другими документами использовал также грамоту выкупа крови, данную царем Константином главному виночерпию (мегвинетухуцеси) Гелатского храма Наврозу

1. Дж. Одишели, Из истории грузинской дипломатики, „Мацне“, 1966, №4 (на груз. яз.).

2. И. Джавахишвили, Грузинские грамотоведение или дипломатика, Тбилиси, 1926, (на груз. яз.).

3. Памятники грузинского права, I, Издание И. Додидзе, Тбилиси, 1968, стр. 386 (на груз. яз.).

(Институт рукописей, Qd-9019). В данном случае ученый действовал вопреки своему скептическому отношению к грамотам выкупа крови, а главное, была исправлена ошибка Вахушти Багратиони, считавшего Александра сыном Георгия VII. И. Джавахишвили установил, что Александр I был сыном Константина I.¹

Априори можно заявить, что даже признавая все грамоты выкупа крови фальшивыми, сфабрикованными, сведения их, с соблюдением научной осторожности, следовало бы принимать во внимание, поскольку палеографически эти грамоты созданы в период, не слишком отстающий от отражаемой в них эпохи. Надо добавить, что, если бы все данные этих документов были бы фиктивными, теряется смысл самой фальсификации.

Следует также отметить, что в отношении к царю Давиду в первоисточниках наименование „агмашенебели“ („строитель“, „возновитель“) впервые встречается в грамоте выкупа крови XV века.

Как юридическими документами грамотами выкупа крови трудно было пользоваться уже во времена Вахтанга VI и, видимо, даже ранее. В 23-ей статье судебника Вахтанга VI читаем: „Мы ничего не говорим о некоторых князьях и дворянах, имеющих грамоты выкупа крови, пожалованные им древними государями, поскольку некоторые князья сохранили старое величие, иные – измельчали, некоторые же люди возвысились. Поэтому по тем старым документам мы можем судить лишь в тех случаях, когда род сохранил свое величие. Как будут поступать судьи в грядущем, это их дело, что же касается меня, то считаю, что вершить суд по тем древним грамотам сложно, поскольку тогда и властитель Грузии был великим государем“.² В данном случае царь-правовед подходит к вопросу оценки грамот выкупа крови с иной, практической точки зрения. Он вообще не ставит вопрос о возможности фальсифицирования этих грамот.

В отношении оценки грамот выкупа крови, точки зрения И. Джавахишвили и С. Какабадзе расходятся. Последний считал, что все эти документы, за исключением одного-двух, подлинные. Причем С.

1. И. Джавахишвили, История грузинского народа, IV, стр. 24-26.

2. Судебник Вахтанга VI. Издание Т. Енукидзе, Тбилиси, 1955, стр. 55 (на груз. яз.).

Какабадзе не указывал, какие именно документы считал фальшивыми в этой массе.

В специальном исследовании, посвященном изучению грамот выкупа крови (статья была написана в связи с выявлением новых грамот выкупа крови),¹ С. Какабадзе попытался доказать реальность существования некоторых упомянутых в этих грамотах царей Грузии. Этой же проблеме он посвятил отдельные маленькие статьи.²

Изучение грамот выкупа крови, установление подлинности документов интересно не только для исследования истории развития отдельных феодальных домов, но, учитывая, что и эта точка зрения не лишена определенного реального интереса, указанные грамоты в основном привлекают внимание как источник социально-политической и экономической истории страны.

При оценке общей массы документов выкупа крови следует учесть весьма ценное соображение профессора С. Какабадзе: „Изготовление фальшивых грамот выкупа крови было бы бессмысленным занятием, если бы документы аналогичной формы и аналогичного содержания не существовали в реальной жизни и не принимались в реальном обращении“.³

Следует заметить, что поскольку в феодальной Грузии нормы уголовного права устанавливались специальными судебниками, законодательными уложениями, нужно полагать, что сам факт возникновения грамот выкупа крови, видимо, вызван фальсификацией. В дальнейшем возникло парадоксальное положение – размножение фальсифицированных грамот выкупа вызвало возникновение действительных документов.

В этом отношении знаменательным является тот факт, что существующие грамоты выкупа крови в основном западногрузинского, имеретинского, происхождения. Следовательно, нужно полагать, что грамоты выкупа крови возникли в Западной Грузии, в той среде, где

1. С. Какабадзе, О грамотах выкупа крови. Исторический вестник, III, 1924 (на груз. яз.).

2. См. С. Какабадзе, Вахтанг, неизвестный царь Абхазо-Имеретии, Тбилиси, 1912; его же Неизвестный царь Абхазо-Имеретии Тamar II, Тбилиси, 1913 (на груз. яз.) и т. д.

3. С. Какабадзе, И. Джавахитвили. Грузинское грамотоведение или дипломатика (рецензии). „Исторический сборник“, II, Тбилиси, 1928 (на груз. яз.).

сравнительно слабее была политическая организация государственности, а также соответственно невысок был уровень развития правовых норм.

Всего учтено до 50-ти грамот выкупа крови. Из них в Институте рукописей имени академика К. Кекелидзе в виде подлинников или же ранних копий хранятся 14, в Кутаисском историко-этнографическом музее имени академика Н. Бердзенишвили – 9, в Государственном центральном историческом архиве Грузии – 5.

Как об этом говорилось выше, большинство грузинских грамот выкупа крови западнотурецкого, имеретинского происхождения. Этот факт еще более осложняет проблемы изучения указанных грамот, поскольку некоторые моменты истории Западной Грузии еще менее известны, чем проблемы истории Восточной Грузии, что вызвано сравнительной скудностью исторических нарративных и документальных материалов. Нужно полагать, что в Западной Грузии соблюдение правовых норм регулировалось не на должном государственном уровне, и отдельные лица старались достичь привилегированного положения путем фабрикации царских грамот.

Для установления ряда вопросов по исторической хронологии, политической истории Западной Грузии, за неимением аутентичных первоисточников, подчас у нас имеются лишь сведения, сохранившиеся в историческом сочинении Вахушти Багратиони. Здесь следует учесть, что в своем „Обращении к читателям“ Вахушти говорит о том, что особое значение придавал данным исторических грамот. В этом плане он, видимо, не делал исключений в отношении грамот выкупа крови.

В рамках краткого сообщения, конечно, нет возможности детально анализировать каждую грамоту выкупа крови. Следует отметить, что грамота выкупа крови, данная царем Константином Наврозу Цириладзе, датированная 4 июня 1408 года, помогла внести ясность в вопросы конкретного факта престолонаследия. Была исправлена ошибка, допущенная Вахушти Багратиони, который считал, что Александр I был сыном Георгия VII. Было установлено, что Александр I был сыном Константина I. Исходя из хронологических данных указанной грамоты, с привлечением других исторических сведений, правильнее считать, что Константин I вззошел на престол в 1406 г.

Анализируя грамоты выкупа крови, следует принимать во внимание, что часто фиктивные документы исторически ничего не давали фальсификаторам. Например, когда грамоту выкупа крови Авжандадзе представили в XIX веке в русское правление, на ней появилась следующая приписка на русском языке: „Сей документ в имерегинском временном правлении от крестьянина... Ореба Абжандадзева 12 мая 1824 года явлен и в книгу под №913 записан“.¹

Весьма интересным документом является грамота выкупа крови, данная 12/VI 1460 г. царем Георгием священнику Георгию Журули.² По палеографическим данным грамота явно относится к XV веку. Отмеченные И. Джавахишвили сомнительные места документа вытекают из неправильного прочтения текста издателями (Е. Такайшвили, Ф. Жордания). Подтверждает документ своим факсимиле царь Баграт VI, который отмечает, что он это сделал, когда объединил под своей властью Западную и Восточную Грузию. Этот документ дает возможность определить номинал „Кирманеули“ – западногрузинской монеты, соответствующей восточной тамге.

По всем историческим реалиям грамота выкупа крови, данная Георгию Журули, является подлинным документом.

Среди всей массы грамот выкупа крови особое место занимает грамота, данная Симоном I Гедеону Магаладзе. Этот двуязычный грузино-персидский документ, бесспорно, принадлежит к циклу довольно многочисленных документов, вышедших из канцелярии Симона I. Документ подтвержден подписями и печатями царей Грузии: Ростома, Теймураза, Назаралихана, Ираклия II. Подлинность этого документа не вызывает сомнения.³

Должно быть также подлинным являлся документ, выданный 25 марта 1675 года царем Вахтангом V Папуна Магаладзе (к сожалению, подлинник не сохранился).⁴

1. Институт рукописей имени К. Кекелидзе, Sd-521; Древности Грузии, II, №31; Ф. Жордания, Хроника, II, стр. 264. Из-за неправильного прочтения текста эта грамота известна как грамота Авжандадзе.

2. Институт рукописей имени К. Кекелидзе, Qd-7118; Древности Грузии, I, №2; Ф. Жордания, Хроника, II, стр. 278.

3. Ф. Жордания, Хроника, II, стр. 403; Институт рукописей, Ad-14989.

4. Памятники грузинского права. Тексты издад, исследованием и словарем снабдил И. Долидзе, Тбилиси, 1963, стр. 627.

Часть грамот выкупа крови украшена миниатюрами различной художественной ценности.

Следует заключить, что И. Джавахишвили прав, считая грамоты выкупа крови в основном фиктивными документами, однако даже в фиктивных документах сохранились ценные исторические сведения и, как было отмечено выше, в массе фиктивных грамот выкупа крови имеются документы подлинного происхождения.

Возникновение грамот выкупа крови относится к периоду усиления феодального сепаратизма, дальнейшего углубления процесса дробления страны, ослабления централизованной власти и определяется наличием упомянутых моментов.

ტირმინი „იმერეთი“¹

ამჟამინდელი გაგებით „იმერეთი“ წარმოადგენს დასავლეთ საქართველოს ნაწილს, გეოგრაფიული ფაქტორიდან გამომდინარე, იყოფა პირობითად: ზემო და ქვემო იმერეთად, ხოლო იმერეთის მკვიდრ მოსახლეობას იმერლები ეწოდება. ისტორიული, საბჭოური თუ თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფის მიხედვით იგი მოიცავს: ქუთაისის, წყალტუბოს, თერჯოლის, ბაღდათის, სამტრედიის, ვანის (ქვემო იმერეთი), აგრეთვე ჭიათურის, საჩხერის, ხარაგაულის, ზესტაფონის საგამგეოებს (ზემო იმერეთი). ცალკე იყო ოკრიბა, რომელიც დაახლოებით ტყიბულის საგამგეოს მოიცავდა. ამასთან, ცხადა, საგამგეოთა საზღვრები ყოველთვის როდი შეესაბამება ზუსტად ზემო და ქვემო იმერეთის ისტორიულ გაგებას.

გიორგი მთაწმინდლის „ცხოვრება ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთუმესის“ ტექსტის მიხედვით, ძველი ქართული ენის ლექსიკონში ი. აბულაძე ასე განმარტავს იმერს: გაღმა მხარე, იმერი, იქით, გაღმა გადაღმა: „იმიერ და ამიერ“. „განყო წყალი იმიერ და ამიერ“ (ძველი აღთქმა. წიგნი მეფეთაჲ. III-IV).

სულხან საბა ორბელიანის ლექსიკონით, იმიერ არის – იქიდამსავით (სიტყვა ზოგ ნუსხაში არც არის განმარტებული).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში იმერლები განმარტებულია როგორც იმერეთის მკვიდრი ქართველები. იმერლობა – 1. იმერლების თვისება, ხასიათი; 2. კრებითი – იმერლები ერთობლივ.

მეტად საყურადღებოა მარი ფელისიტე ბროსეს ლაკონიური, ამასთან, საკმაოდ ამომწურავი თვალსაზრისი: „ქართველთა მეორე სამეფო, იმერეთი, სრულიად უეჭველად სახელდებულია იმის გამო, რომ მდებარეობს გადაღმა ლიხის მთისა, რომელიც განყოფს მას ქართლისაგან. იმერ ნიშნავს გადაღმას, აქედან მომდინარეობს სახელწოდება იმერეთი. ბოლოს ეს სახელწოდება შედარებით ახალია, ვინაიდან ქვეყანამ, რომელსაც იგი აღნიშნავს და რომელიც შედგება კო-

1. კრებული „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“, „მეცნიერება“, თბილისი, 1993 წ.

ლხიდისა და მესხეთის ნაწილისაგან, რაც ძველად ლაზიკას ეკუთვნოდა, დამოუკიდებელი არსებობა იწყო 1259 წლიდან, მაგრამ საქართველოს დაყოფა იმერ-ამერად წარმოჩნდა ისტორიაში აფხაზეთისა და ქართლის ერთ სამეფო გვირგვინში გაერთიანების შემდგომ, X-ე საუკუნის დამლევისათვის“.¹

ყველა მეცნიერი თუ უბრალოდ საკითხით დაინტერესებული პიროვნება მარტივად მიიჩნევს, რომ იმერეთი და იმერლები მომდინარეობს სიტყვა იმერ-იმიერიდან, საიდანაც განვითარდა სიტყვები: იმერეთი, იმერი, იმერელი. განსხვავებულ თვალსაზრისზე იდგა აკადემიკოსი ნიკო მარი. მისი აზრით, დასავლეთ საქართველოდან განავრცეს ბერძნებმა, სომხებმა სახელწოდება ჰიბერი აღმოსავლეთ საქართველოზე და ქართველებს, იბერიას ვირქ უწოდეს. საქმე ისაა, რომ ლინგვისტურად მარი იბერს უკავშირებდა ეგრისს, აქედან ნაწარმოებ მეგრულს.²

ივანე ჯავახიშვილი არ იზიარებდა მარის თვალსაზრისს და აღნიშნავდა: „მარტო იმ საბუთით, რომ ეგრისი და მეგრელი მისი აზრით ძველი სატომო სახელი „ჰიბერისაგან“ უნდა იყოს წარმომდგარი, ნ. მარი ამტკიცებდა, რომ იბერიად უნდა აღმოსავლეთ საქართველო კი არ ვიგულისხმოთ, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, არამედ დასავლეთ საქართველო, სახელდობრ, სამეგრელო და მეგრელები. გამოდის, რომ წმინდა ნინოს აღმოსავლეთ საქართველო კი არა, არამედ მეგრელები და დასავლეთ საქართველო მოუქცევია. განთქმული საეკლესიო მოღვაწე იბერიის უფლისწული პეტრე ქართველიც, იბერად წოდებულიც, ალბათ სამეგრელოდან უნდა ყოფილიყო და იერუსალემში არსებული იბერთა და ლაზთა მონასტრებიც ალბათ ამავე მეგრელებისა და ლაზების სავანეები უნდა ყოფილიყო. ამ მეგრელთა ტომის სახელი ბერძნებმა და სომხებმა აღმოსავლეთ საქართველოს ქართველებსაც უწოდესო“.³

1. Histoire de la Georgie depuis L'antiquite jusqu'au XIX^e siecle, par M. Brosset.

Introduction de tables des matiers, St.-Petersbourg, 1858, გვ. VII.

2. ივ. ნ. Н.Я. Март, Крещение армян, грузин etc. святым Григорием, СІІБ, 1905, გვ. 169-170.

3. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928 წ. გამოცემა, გვ. 176; 1951 წ. გამოცემა, გვ. 191, 1976 წ. გამოცემა, გვ. 231.

იბერიის ლინგვისტურ გაიგივებას დასავლეთ საქართველო-სთან – ეგრისთან – არ იზიარებდა ექვთიმე თაყაიშვილიც. „მარი ერთობ ლინგვისტი იყო და ლინგვისტურ თავისებურ განმარტებას ზოგჯერ სწირავდა ისტორიულ ფაქტებს, – ნერდა, ექ. თაყაიშვილი. – ასეთია, მაგალითად მისი მტკიცება, რომ „იბერია“ დასავლეთი საქართველო იყო და შემდეგ ეს სახელი აღმოსავლეთ საქართველოზე გადაიტანესო, მაშინ როდესაც ყველა კლასიკური მწერალი და განსაკუთრებით სტრაბონი იბერიად აღმოსავლეთ საქართველოს გულისხმობენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს წინეთ კოლხიდა ჰქვიოდა. შემდეგ ლაზიკა, მეშვიდე საუკუნიდან მეათემდის აფხაზეთი და ბოლოს იმერეთი. უკანასკნელ სახელს იბერიასთან კავშირი არა აქვს, ვინაიდან წარმოსდგება სიტყვიდან „იმერ“, „იმიერ“. მიუღებელი იყო აგრეთვე მოსაზრება, ვითომც სახარება პირველად სვანურ ენაზე ყოფილიყოს ნათარგმნი და შემდეგ ქართულად. ასეთი ლაპსუსები აქვს მარს, მაგრამ ეს არ უშლის მის დიდ მეცნიერებას და დიდ დამსახურებას, ვინაიდან აუარებელი განმარტებანი სიტყვებისა თუ საგნებისა და კვლევა-ძიებანი ფასდაუდებელი აქვს“.¹

ამრიგად, ექ. თაყაიშვილი და ივ. ჯავახიშვილი არ იზიარებენ ნიკო მარის მცდარ თვალსაზრისს იბერიდან იმერის წარმომავლობის შესახებ. ექ. თაყაიშვილი ამ შეცდომას მარის ლინგვისტიკით ჭარბი გატაცებით ხსნიდა, ხოლო ივანე ჯავახიშვილისათვის მცდარი თვალსაზრისის ამოსავალი წერტილი უპირატესად იყო საქართველოსა და ამიერკავკასიაში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების მარისეული სქემა.

„საქართველოს ისტორიის საკითხებზე“ მუშაობისას ნიკო ბერძენიშვილი მხოლოდ აღნიშნული მომენტის (იბერიდან იმერის წარმომავლობის) იჭვნეული ფიქსაციით დაკმაყოფილდა.²

მონღოლთა მიერ საქართველოს ორ ნაწილად გაყოფის დროიდან დავით ნარინის შემდგომ, ერთხანს ნარინის მემკვიდრეებიც ატ-

1. ექ. თაყაიშვილი, ნიკო იაკობის ძე მარრი. დაბრუნება, ემიგრანტული ნაშრომები, თბილისი, 1991, გვ. 128-129.

2. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბილისი, 1990, გვ. 635.

არებენ თითქოს იმერთა მეფის ტიტულს, მაგრამ მას შემდეგ, რაც გიორგი ბრწყინვალემ კვლავ გააერთიანა საქართველო, ცხადია, აღარ არსებობდა არც იმერეთის სამეფოს პოლიტიკური ერთეული. გიორგი VIII-ის შემდგომ, როდესაც ფეოდალური საქართველო დაიშალა, მოკიდებული ბაგრატი იმერთა მეფიდან, იმერეთის სამეფო არსებობდა, ვიდრე მას XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთი დაიპყრობდა. იმერთა უკანასკნელი მეფე სოლომონ II გახლდათ. შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ დოკუმენტებში იმერეთი ფიგურირებს სიტყვის თანამედროვე, ტრადიციული გაგებით, როგორც დასავლეთ საქართველოს ნაწილი, დასახლებული იმერლებით.¹

ისტორიული გეოგრაფიის საკითხების კვლევისას ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავდა: „საქართველო იყოფოდა ორ ნაწილად: ერთს „ლიხთ იმერეთი“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) წოდებოდა. მეორეს, რასაკვირველია, „ლიხთამერეთი“ ერქმეოდა. მცხოვრებთათვისაც არსებობდა ამგვარი სახელი „ლიხთიმერი“ („ისტორიანი და აზმანი...“ 625, გვ. 400) და „ლიხთამერი“. ეს ლიხთიმერი საქართველო შეიცავდა სხვადასხვა ქვეყნებს, რომელთა მიწა-წყალი ეკუთვნოდა ამა თუ იმ რომელსავე ქართველ ტომს, და თითოეულს მათგან თავთავისი საკუთარი სახელი ჰქონდა. უკვე აფხაზთა პირველმა მეფე ლეონმა დაიპყრო „აფხაზეთი და ეგრისი ლიხთამდეო“ (მატიანე ქართლისაჲ, 441, გვ. 218), მაშასადამე, მისი სამფლობელო აფხაზეთს გარდა დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებსაც შეიცავდა.“²

ქართველთა ისტორიულ-გეოგრაფიული შეხედულებების შესაბამისი გახლავთ ტერმინები: „იმიერ ტაო“, „ამიერ ტაო“, „ქვემო ტაო“. როგორც სამართლიანად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, ამ შემთხვევებში გამყოფი არის არა ქედი, არამედ ბანაოლთისის წყალი.³

1. იხ. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის, I, (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით), გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბილისი, 1964.

2. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბილისი, 1965, გვ. 49.

3. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 65.

ქართლის ცხოვრების სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამოცემის საკუთარ სახელთა საძიებელში უამრავი მაგალითია დაფიქსირებული, როდესაც ნარატიულ ისტორიულ ძეგლებში მრავლად არის მოცემული იმერი, იმერელნი, ლიხთიქითელნი, ლიხთიქითურნი, აგრეთვე ამერი... მაგალითისათვის: თამარმა „განსცა ბრძანება და წარავლინა შიკრიკი და მალემსრობლნი წვევად ლაშქრისა იმერით და ამერით“.¹

ქართულ ისტორიულ ნარატიულ წყაროებში იმერეთის საკმაოდ დიდ ნაწილებს ეწოდება არგუეთი, მარგუეთი, სამოქალაქო. ეს უკანასკნელი, ივანე ჯავახიშვილის სავსებით მართებული შენიშვნით, ალბათ ქუთაისის სანახებს ეწოდებოდა. იქ, სადაც გადმოცემულია თბილისის ამირა საჰაკის გარდაცვალების შემდგომი ამბები, წყარო მოგვითხრობს, რომ ბაგრატ მეფემ „ამოიარა და მოვიდა ქუთაისს, და მოიყენა ქუთაისისა სამოქალაქოსა ლაშქარნი“.² რაც შეეხება ლეონტი მროველისეულ ცნობას მარგუეთის ზღვამდე განვრცობის შესახებ, ამაში ივანე ჯავახიშვილს ეჭვი ეპარება, შეცდომად მიიჩნევს.³ საკუთრივ იმერული, აგრეთვე გურული მოსახლეობის გაჩენა დასავლეთ საქართველოში ივანე ჯავახიშვილისათვის მიგრაციული პროცესების შედეგია, რაც VIII საუკუნისათვის უკვე თითქმის საბოლოოდ გამოკვეთილ სახეს იძენს.⁴

ისტორიული გეოგრაფიის საკითხების სპეციალური კვლევის დროს აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილს დიდად მნიშვნელოვანი ხასიათის ჩანაწერები გაუკეთებია. ეს ჩანაწერები ისე ლაკონიურად, ზუსტად უპასუხებს პრობლემას, რომ უმჯობესია მეტწილად, ყოველგვარი პერიფრაზის, უცვლელად და კომენტარის გარეშე დავიმონწმოთ: „ივანე ლიპარიტის ძე საბერძნეთს იყო გადახვენილი. „და თუთ ბაგრატცა გამოიზიდნა გა-

1. „ისტორიანი და აზმანი...“; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1959, გვ. 64.

2. მატიანე ქართლისაჲ. ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 299.

3. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 51.

4. „აი რა დროს უნდა განეწილიყო იმერ-გურულთა ტომები დასავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში“. - ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

მოიყვანა ამას სამეფოსა, და უბოძა მამული არგუეთისა და ქართლისა, და ჰმონებდა ერთგულებით“.

„ლიხს ქუემოთი კერძი“ „აფხაზეთი“ იყო. ლიხს ზემოთი „ქართლი“ იყო, მაგრამ „ლიხი“ რალა იყო? ლიხი იგივე „არგუეთი“ იყო, რომელიც პოლიტიკურად თითქო ქართლში იმყოფებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეთნიკურად ის „ქართლში“ არ იგულისხმებოდა: ეს ამ ჩვენი ციტატიდან ჩანს, მაგრამ არგუეთი არც აფხაზეთი იყო...

ასევე ჩანს 309¹⁰: კაცხი და სუერის ციხე არგუეთში...

ქ. ცა. I. ც-ბა დავითისი, 331¹⁴.

„ხოლო ვიდრე ამა ჟამადმე ქალაქი ტფილისი, რუსთავი და სომხითი და ყოველი სამშულდე და აგარანი თურქთა ჰქონდეს. ხოლო თრიალეთი და კლდე-კარნი ჰქონდეს თევდორეს, ჭყონდიდელისა დისწულისა, კაცსა გონიერსა და დიდად მყოფსა. რამეთუ რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად (აფხაზეთით). უმცრორე ეშინოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა. მას ჟამსა მეფე გარდავიდა იმერეთს; და შეკრბეს გიორგი ჭყონდიდელსა მნიგნობართუხუცესსა წინაშე თევდორე, აბულეთი და იოანე ორბელი, და სიმარჯუთ მოიპარეს სამშულდე“.

ვგონებ, პირველად გვხვდება ტერმინი იმერეთი. აქაც სიმონ ყაუხჩიშვილს უფრო სწორი იქნებოდა უპირატესობა მიეცა საკითხავისათვის „იმერით“, „იმერიოს“: ეს ფორმები უფრო ძველია და იმერეთი მიღებული ჩანს „იმირით“, „იმერით“-ისაგან.

ეს ადგილი განსაკუთრებით საინტერესო იმითაა, რომ ავტორი აქ ამ სიტყვას ხმარობს არა როგორც გეოგრაფიულ ან ეთნიკურ ტერმინს, არამედ როგორც საგეოგრაფიო ცნებას, მის მიერვე ზემორე მოხსენებული „აფხაზეთის“ ნაცვლად (ე. ი. „აფხაზეთის ქვეყანა არის იმერეთის ქვეყანა, ანუ აფხაზეთი არის იმირეთი, ანუ აფხაზეთი არის იმერეთი). ეს თ ან ით იგივე სუფიქსია, რაც სომხით, გელათი, ბალდათი, ხრეითი.

ქართული სამართლის ძეგლები. II. 24. გიორგი III-ის სიგელი.

„შეკრბეს ყოველნი სამეფოჲსა ჩუენისა მონაზონნი და ებისკოპოსნი იმერნი და ამერნი, კათალიკოზი, მოძღუარი და ყოველნი მეუღაბნოენი...“

თუ სწორია ეს ნაკითხვა (ეპისკოპოსი იმერი (იმიერი) და ეპისკოპოსი ამერი (ამიერი), ტერმინი უკვე დამკვიდრებულია. თუ ეპისკოპოსი იყო „იმერი“, ასევე შეიძლება ყოფილიყო წარჩინებული „იმერი“, აზნაური „იმერი“ და ა. შ. ე. ი. ადამიანი „იმერი“, აქედან – ქვეყანა იმერეთი.

ეს ახსნა უფრო ბუნებრივია, ვიდრე ის, აქამდე რომ ვფიქრობდი (იმიერით ქვეყანა – ამიერითი ქვეყანა – იმიერითი ქვეყანა – იმერეთი და აქედან – იმერელი): რომ „იმერეთი“ მიღებულია „იმერეთისაგან“ (პროგრესული ასიმილაციით) და არა „იმერისაგან“.

ქ. ცა. I. ლაშას მემატიანე. 369₂.

თამარის დროსაო „ქარავანსა ვერვინ ძარცვდა ამერი და იმერი“.

ბუნებრივია, რომ შექმნილიყო ტერმინი „იმერეთი“ და რომ იმერეთი გვიან ნაწარმოებია ყველა იმ ეთების ანალოგიით...

ქ. ცა. II. ისტ. აზმ. 15₁₄.

გიორგი მეფე „უამსა ზამთრისასა გარდავიდის ლიხთ-იმერითს, და მიუნიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი“.

ამ ლიხთ-იმერეთში მთელი დასავლეთ საქართველო იგულისხმება პონტოს ზღვამდე.

სწორი ფორმაა ლიხთიმერეთი და კ. კეკელიძის კონიექტურა ლიხთ-იმერეთი შეცდომაა, ის ნაგვიანეცია.

აქ „ლიხთიმერეთი“ იგივე „აფხაზეთია“ და, მაშასადამე, ქვეყნის ეთნიკურ-ტერიტორიული აღნიშვნა კი არ არის, არამედ ზოგადგეოგრაფიული ცნება.

გამოდის, რომ იყო გეოგრაფიული ცნება ლიხთიმერეთი. ადამიანი ამ დროს იყო ლიხთიმერი ან იმერი, მაგრამ იმერეთი მიღებულია არა იმერეთისაგან, არამედ იმერისაგან. იმერეთ-ი, იმერეთისაგან ჩვენ ვერ მივიღებდით იმერელს, არამედ გვექნებოდა იმერითელი. ამრიგად: იყო ლიხთიმიერი, ლიხთიმიერითი, აქედან განვითარდა იმიერი, იმერი, აქედან მივიღეთ იმერეთი, აქედან კი იმერელი.

ქ. ცა. II. ისტ. აზმ. 21₃.

გიორგი მეფემ „თანადგომითა... დიდებულითა იმიერთა და ამიერთა, ვაზირთა და სპასალართა“ მეფედ დასვა თამარიო.

იმიერი ქვეყანა,
იმერი დიდებული,
იმერი ადამიანი,

მაგრამ ალარა გვაქვს იმერი ქვეყანა, არამედ გვაქვს იმ-
ერთი, რაც მოწმობს, რომ ეს ერთსუფიქსიანი genitivus plu-
ralis სიმრავლე კი არა, წმინდა გეოგრაფიული ცნებაა: ამიტ-
ომაც გვაქვს იმერელი.

ქ. ცა. II. ისტ. აზმ. 14₁₄.

თამარმაო „იპყრნა ზღუთ პონტოსით ზღუადმდე გურგან-
ისად და სპერიტგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიი-
სა იმერელნი და ამერელნი ხაზარეთამდის და სკუთთამდის“
(„იმერნი და ამერნი“ ვახუშტის მიხედვით).

აქ უკვე იმერელნი ან იმერნი კავკასიის ჩრდილოეთის მც-
ხოვრებნი არიან, ისევე როგორც ამერელნი და ამერნი კავკ-
ასიის სამხრეთის მცხოვრებნი. და ამკარაა, არავითარი ტო-
მობრივი ერთეულის მნიშვნელობა ამ ტერმინებს (იმერელნი,
იმერნი და ამერელნი, ამერნი) არ აქვთ და ზოგადი მნიშვნელ-
ობის ცნებებია მთის იქითის და მთის აქათის აღსანიშნავად.

ქ. ცა. II. ისტ. აზმ. 54₁₃.

რუსი რომ დამარცხდა, „ლიხთ-იმერთა დიდებულთა... ით-
ხოვნეს ცხოველნი ხატნი და თუთ დედოფალი რუსუდან მათ
წინაშე საყოფელად“.

ლიხთიმერი დიდებული იმას მოწმობს, რომ იგულისხმებ-
ოდა ლიხთამერი დიდებულიც.

„იმერი“ რომ ეთნიკური ცნება ყოფილიყო, მაშინ „ლიხთ“ სა-
ჭირო არ იქნებოდა. სწორედ ეს „ლიხთ“ ანიჭებს „იმერს“ საგე-
ოგრაფიო სახელის ცნებას. როცა „იმერს“ ამბობენ, ყოველთვის
იგულისხმება „ლიხთ“. ასე რომ, დამოუკიდებელი ცნება „იმ-
ერი“ ამ დროს შობის პროცესშია და იგი ამ დროს სრულიადაც
არ ნიშნავს დასავლეთ საქართველოს რომელიმე ერთი კუთხის

მკვიდრს, არამედ გულისხმობს მთელ დასავლეთ საქართველოს. როგორც ეტყობა, ცნება **იმერი**, **იმერეთი** დასავლეთ საქართველოს ერთი კუთხის, სახელდობრ, არგვეთ-სამოქალაქოს აღსანიშნავად გვიან შემოდის, როცა ლიხთიმერით ქვეყანას პოლიტიკურად ჩამოშორდა ოდიში, აფხაზეთი და გურია.

ქ. ცა. II. ისტ. აზმ. 99₁₆.

თამარიო „ჟამ გარდვიდიან აფხაზეთს და განაგიან საქმენი მანდაურნი, და მოინადირიან კეთილი იგი სანადირო გეგუთი და აჯამეთი, მერმე გარდამოვიდიან ქართლს, სომხითს და დადგიან დურს...“

აფხაზეთშია გეგუთი და აჯამეთი და არა „იმერეთში“, ასეთი ტერმინი იმ დროს არ არსებობდა. რომ არსებულებოდა, სწორედ აქ იყო მისი მოხსენიების ადგილი, აკი ერთ-ერთ ვარიანტს ჩაუმატებია: „იმერეთად“.

ქ. ცა. II. უ. ა. 217₁₉.

უმეფობის ჟამს ეგარსლანი მეტისმეტად გაძლიერდა. მეფობა ეგულეობდა...

„ამისთჳს შეკრბეს მთავარნი ამერის საქართველოსანი: შანშე, ვარამ გაგელი, ყუარყუარე ჯაყელი, სარგის თმოგველი... სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, გამრეკელი თორელი, ორბელნი, და მრავალნი ერისმთავარნი და ძებნა ყვეს ლამას ძისა დავითისათჳს“.

იყო ამერი საქართველო, ცხადია, იყო იმერი საქართველო.

ამერ საქართველოში შედის სომხითი. ფორმა ამიერი უკვე გარდასულია.

ქ. ცა. II. უ. ა. 275₁.

„და კუალად ამათ ჟამთა დამმუჯნა ქუეყანა ლიხთიმერი“ (იგულისხმება დავით ნარინის დრო).

ეს ქვეყანა მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს და, ამდენად, ენაცვლება ძველს, ზოგად ცნებებს **ეგრისს** და **აფხაზეთს**. ასე რომ, არაა სწორი ჩემი წინა მოსაზრება, რომ ეგრისის და აფხაზეთის შემცველელი ზოგადი ცნება დასავლეთ საქართველოს აღსანიშნავად არ წარმოქმნილა-მეთქი. როგორც ვხედ-

ავთ, ის წარმოქმნის პროცესში იყო, მაგრამ ასეთი ზოგადი შინაარსით საბოლოოდ ვერ გაფორმდა: ქვეყნის დაშლამ უსწრო და „იმერეთი“ დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთი მხარის სახელად დამკვიდრდა და სწორედ იმ ნაწილის, რომელიც ძველთაგანვე ერთგვარ განსხვავებულობას ამჟღავნებდა და არც დამოუკიდებელი სახელი ჰქონდა („არგვეთი“ „იმერეთს“ არ ფარავს). იმერეთი, როგორც ქვეყანა, გაერთიანების შემდგომი ხანის წარმონაქმნია (არგვეთის, ოკრიბის, რაჭა-ლეჩხუმის, ვაკე-სამოქალაქოსა და ფერსათისაგან შემდგარი ქვეყანა)...

„ქარის გარიგებით“, იმიერი, იმერი, აღმოსავლეთ საქართველოს (და აქაურს) ნიშნავს, ამიერ, ამერი – დასავლეთ საქართველოს.

ნ. მარი. ჯვრის მონასტრის აღაპები. გვ. XXIII.

მოსახსენებელი: „იმერელთ მეფეთ-მეფე ალექსანდრე.

მამა მისი მეფე ბაგრატი, დედა დედოფალი (სახელი არაა). მეუღლე ალექსანდრესი დედოფალი თამარი“.

აქ „იმერელთ მეფეთ-მეფე“, რა თქმა უნდა, არ არის ნახმარი ტომობრივი გაგებით, არამედ ლიხთიქეთის, ე. ი. აფხაზეთის გაგებით.

აქვე, გვ. XXII: „მოიქსენე უფალო ყოველი იმერელნი მართლმადიდებელნი აფხაზეთის კ-ზი დავით აფხაზეთის კ-ზი ლორთქიფანიძე გრიგოლიოს“ და სხვ. იმერელნი აქაც არა ტომობრივი, არამედ ლიხთიქეთის გაგებითაა ნახმარი.¹ საინტერესოა აღინიშნოს, რომ უცხოელ (ევროპელ) ავტორებთან მეტწილად დაფიქსირებულია ფორმა Imierethi, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ეს გარკვეულწილად ფონეტიკური მოდელით იყოს გამოწვეული.

ვახუშტი ბატონიშვილისათვის ქართველნი შეესატყვისება ქართლელებს, ხოლო იმერელნი – დასავლეთ ქართველებს, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთ.²

1. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბილისი, 1990, გვ. 635-640.

2. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი. ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, თბილისი, 1973. როდესაც საქართველოში ყიზილბაშთა წეს-ჩვეულებათა გავრცელებაზე წერს, ვახუშტი აღნიშნავს: „არამედ ქართველნი და იმერელნი ეგნენ ხნეთა მათ ზედავე“. გვ. 31₂. მაგალითების მომრავლება შესაძლებელია.

ე. ვეიდენბაუმის მიერ შედგენილ კავკასიის გზამკვლევაში იმერეთი, ანუ იმერეთია ასეა განმარტებული: „მდინარეების ყვირილისა და რიონის აუზები მდინარე ცხენისწყლამდე შედიოდნენ იმერეთის სამეფოში, ახლა ნარმოადგენენ შორაპნის, ქუთაისის და რაჭის მაზრებს. უკანასკნელი მდებარეობს მდინარე რიონის სათავეებთან და რაჭა ეწოდება“.¹

ვეიდენბაუმი საკუთრივ ტერმინ იმერეთს არ განიხილავს, ხოლო საქართველოს შესახებ აღნიშნავს: „გრუზინები თავის თავს უწოდებენ ქართველებს. თავის ქვეყანას საქართველოს. კლასიკურ მწერლებთან საქართველო ეწოდება იბერიად ან ივერიად. დასავლეთ ევროპაში საერთო ხმარებაშია ამჟამად სახელწოდება გეორგია, რომლის ნარმოშავლობაც დღემდე არ არის გამორკვეული. ჩვენი სახელდება „გრუზია“, „გრუზინები“, სავარაუდოა, მომდინარეობს თურქმანული „გურჯიდან“, რომლის მნიშვნელობა უცნობია“.²

ამრიგად, ისტორიულ-გეოგრაფიული ტერმინი „იმერეთი“ ნაწარმოებია სიტყვისაგან „იმიერ“-„იმერ“, რაც ნიშნავს „გადაღმას“, „პირიქითს“. ტერმინი ჩაენაცვლა ადრეული ხანის ცნებებს: ეგრისს, აფხაზეთს და მთლიანად მთელი საქართველოს აღმნიშვნელ გაგებად იქცა. ამასთან, იმერეთსა და იმერელს არც ამჟამად დაუკარგავს შინაარსი მთელი დასავლეთ საქართველოს და მისი მოსახლეობის აღნიშვნის თვალსაზრისით.³ ფეოდალური საქართველოს დაშლის შემდგომ, გიორგი VIII-ის მეფობის შემდეგ განსაკუთრებით, იმერეთი და იმერლები აღნიშნავს საკუთრივ იმერეთის სამეფოს, მის მოსახლეობას – იმერლებს.

1. Путеводитель по Кавказу, თბილისი, 1888, გვ. 11.

2. Путеводитель по Кавказу, გვ. 81-82.

3. გავიხსენოთ კახეთში მორაული გამოთქმა: „ძიაკაცო, აქეთ უფრო რა მოდისო? აქეთ, შვილოსან, უფრო იმერელი მოდისო“.

კრედიტის

ქართული წყაროთმცოდნეობითი ლიტერატურის შენაძენი¹

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოსცა რევაზ კიკნაძის წიგნი „ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ნაშრომი მრავალმხრივ საინტერესო მეცნიერულ გამოკვლევას წარმოადგენს და ქართული წყაროთმცოდნეობითი ლიტერატურის ფასეული შენაძენია. სარეცენზიო წიგნის ავტორის სამართლიანი შენიშვნით, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ ძველ სახელმწიფოთა ისტორიის მეცნიერული შესწავლა უცილობლად გულისხმობს მტკიცე წყაროთმცოდნეობითი ბაზის უზრუნველყოფას. საქართველოს მეცნიერული ისტორიოგრაფიის შემდგომი განვითარებაც, ბუნებრივია, მჭიდროდ არის დაკავშირებული ისტორიის წერილობითი წყაროების კვლევის, მათი მეცნიერული პუბლიკაციის საქმესთან.

მართალია, არც ამჟამად ვართ განებივრებული ისტორიული წყაროების სიუხვით, მაგრამ იყო დრო, როდესაც ივ. ჯავახიშვილი ხაზგასმით მიუთითებდა, რომ ქართველი ხალხის ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიება განსაკუთრებით მოითხოვდა ახალი უცხოური წყაროების გამოვლენას, მათ მეცნიერულ შესწავლას. განსვენებულ მეცნიერს უპირველეს ყოვლისა აღმოსავლური წყაროები ჰქონდა მხედველობაში. დღეისათვის როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური წყაროების პუბლიკაციის საქმეში გარკვეული წარმატებებია მიღწეული. განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწია ქართულმა აღმოსავლეთმცოდნეობამ – არაბისტიკამ, ირანისტიკამ, თურქოლოგიამ. ამასთან, სამწუხაროდ, რიგ შემთხვევებში, გამოვლინდა მავნე ტენდენცია ქართულ ცნობებთან შედარებით უცხოური წყაროების ცნობებისათვის ხელაღებით უპირატესობის მინიჭებისა. ამა თუ იმ ისტორიული ფაქტის უეჭვ-

1. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №2, 1976 წ.

ელობის დასადასტურებლად, უცნაურია, მაგრამ ზოგიერთ მკვლევარს საკმარის, ზოგჯერ ძირითად არგუმენტად მხოლოდ ცნობის უცხოური, არაქართული წარმომავლობა მიაჩნია. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გამოკვლევის ავტორის სიტყვები: „უცხოური წყაროების მონაცემების შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ისტორიის მრავალი საყურადღებო საკითხის დასამუშავებლად, მეტადრე საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა შესასწავლად. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ძირითადი და უმთავრესი წყარო შუა საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა საკუთრივ ქართული ძეგლებია. ქართული საისტორიო წყაროები (თხრობითი, დოკუმენტური, ეპიგრაფიკული...) შეიცავენ შედარებით უფრო სრულ ინფორმაციას. მხოლოდ ქართულ წარატიულ ძეგლებშია მოცემული მეტ-ნაკლებად გაბმული თხრობა ქვეყნის ისტორიული თავგადასავლისა“.¹

სწორედ ამ თვალსაზრისით მიმდინარეობს მუშაობა უკვე გამოვლენილი არაერთხელ გამოცემული ქართული წყაროების ახლებური ტექსტოლოგიური შესწავლის, მათი შინაარსობრივი გააზრების ხაზით. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ზოგიერთი ქართული წარატიული ძეგლი, რომელიც დიდი ხანია აღარ გამოცემულა, ბიბლიოგრაფიულ იმეი-ათობას წარმოადგენს და რამდენადმე მივიწყებულია.

სარეცენზიო ნაშრომში შესწავლილია XVII ს-ის გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის მრავალმხრივ საინტერესო საისტორიო თხზულების ერთი ნაწილისა და თამარის ე. წ. პირველი ისტორიკოსის ნაშრომის „ისტორიათა და აზმათას“ ურთიერთობის საკითხი. საქმე ეხება „ისტორიათა და აზმათას“ კრიტიკული ტექსტის დადგენას ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების შესაბამისი ადგილის ისტორიულ-ტექსტოლოგიური შესწავლის საფუძველზე, ვინაიდან ცნობილია, რომ ფარსადან გორგიჯანიძის თხზუ-

1. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბილისი, 1975, გვ. 4.

ლების გარკვეული ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთი უძველესი ნუსხის მიხედვით არის დაწერილი. რაც შეეხება „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტს, გამოჩენილ ქართველ წყაროთმცოდნეთა საერთო აღიარებით, ჩვენამდე იგი მეტად დამახინჯებული სახით მოვიდა და გამართვას საჭიროებს.

გამოკვლევის ავტორს კარგად აქვს შეცნობილი გვიანდელი ხანის ძეგლების მიხედვით ადრეული ხანის მოვლენებზე მსჯელობასთან დაკავშირებული სირთულენი. წიგნში სპეციალურად არის მოცემული განზოგადებული, თეორიული მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ფარგლებშია დასაშვები წყაროთმცოდნეობითი რეტროსპექცია. გააზრებულია საბჭოური წყაროთმცოდნეობის ცნობილი წარმომადგენლების: ა. ზიმინის, ი. ლურიეს, ს. შმიდტის, დ. ლიხაჩოვის, ს. აზბელევის, ლ. ჩერეპნინის და სხვათა შეხედულებანი ისტორიულ-ტექსტოლოგიური კვლევის ზოგად და კონკრეტულ საკითხებზე. „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტისა და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ურთიერთმიმართების შესახებ რ. კიკნაძე წერს: „ჯერ ერთი, გასათვალისწინებელია აღებული ხანის საქართველოს ისტორიის წყაროთა შედარებითი ნაკლებობა. მეორეც, გორგიჯანიძის თხზულება ამ შემთხვევაში „ისტორიათა და აზმათას“ ერთ-ერთი ვარიანტის როლს ასრულებს. დაბოლოს, რაც მთავარია, ყველა შემთხვევაში აუცილებელია ისტორიკოსის ფრთხილი, კრიტიკული დამოკიდებულება წყაროს მიმართ, რომელი ხანისაც არ უნდა იყოს იგი“.¹

ცალკე თავშია განხილული საკითხები, რაც უშუალოდ ფარსადან გორგიჯანიძის პიროვნებას, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ზოგადად მის საისტორიო თხზულებას შეეხება. ფარსადანი მოღვაწეობდა XVII ს-ის II ნახევარში, იმ დროს, როდესაც XV-XVI სს. უამთა სიავეს, ქართული ისტორიული აზრის დაქვეითებას, საისტორიო მწერლობის ახალი აღმავლობა მოჰყვა. როგორც არ უნდა იყოს მკვლევართა მიერ

1. რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 6, შენ. 7.

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ცალკეული ნაწერების ხარისხონად განსხვავებული შემადგენელი ნაწილების შეფასება, უდავოა, რომ საისტორიო აზროვნების გამოღვიძებისა და გაცხოველების საქმეს „ფარსადან გორგიჯანიძის ფრიად საგულისხმო და შინაარსიანი ნაწარმოებიც ემსახურებოდა“.¹

პიროვნულად ფარსადან გორგიჯანიძე მეტად საინტერესო პოლიტიკური მოღვაწე იყო. მას საკმაოდ მაღალი რანგის ადმინისტრაციული თანამდებობანი ეჭირა ირანში სეფიანთა კარზე. ბევრი ჭირ-ვარამიც მოსწიეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა.

ნაშრომში გამოვლენილია ფარსადანის მრავალფეროვანი, ნაყოფიერი მოღვაწეობა ქართული კულტურის განვითარების სარბიელზე, დაზუსტებულია ბიოგრაფიის დღემდე დაუდგენელი დეტალები. გამოკვლევის ავტორი სავსებით დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ ფარსადან გორგიჯანიძის საისტორიო თხზულების მართებული სათაური უნდა იყოს „საქართველოს ცხოვრება“; რომ თხზულება დასრულდა არა 1696 წელს, როგორც ეს მიჩნეული იყო, არამედ 1694 წელს.

რ. კიკნაძის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, ასე ვთქვათ, მეცნიერული რეაბილიტაცია ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ე. წ. მეორე ნაწილისა, იმ ნაწილის, რომელიც „ისტორიათა და აზმათას“, აგრეთვე ჟამთააღმწერლის თხზულების მიხედვით გადმოგვცემს ისტორიას გიორგი III-ის მეფობიდან XIII ს-ის მიწურულამდე. მეცნიერ ქართველოლოგთა საერთო აღიარებით, ეს ნაწილი არ იმსახურებს ყურადღებას, როგორც არაორიგინალური და, ამასთან, უზუსტო ასლი „ქართლის ცხოვრების“ შესაბამისი ადგილებისა. მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად რ. კიკნაძე აბათილებს ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებისადმი ასეთ ხელაღებით ზეკრიტიკულ შეხედულებას. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების აღნიშნული ნაწილის იგნორირება არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ თავისთავად საინტერესოა მისი, ქართულ-სპარსულ საისტო-

1. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, V, თბილისი, 1953, გვ. 61.

რიო მწერლობაში გათვითცნობიერებული XVII ს-ის ისტორიკოსის, მიერ ინტერპრეტაცია XII-XIII სს. ამბებისა. ამასთან, ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების თვალსაზრისით უცილობლად ანგარიშგასანეგია ის ფაქტი, რომ ფარსადანი იმ დროს იმყოფებოდა როსტომ მეფის კარზე, როდესაც მარიამ დედოფლის განკარგულებით „ქართლის ცხოვრების“ გადანუსხვა ხდებოდა (შეიქმნა ე. წ. მარიამისეული „ქართლის ცხოვრება“). ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად რ. კიკნაძე აღნიშნავს: „როგორც ირკვევა, „ქართლის ცხოვრების“ მის მიერ გამოყენებული ნუსხა ზოგიერთ შემთხვევაში უფრო სრული და უკეთესად შენახული ყოფილა, ვიდრე ამჟამად ცნობილი ნუსხებია და ის ნუსხებიც, ვახტანგის კომისიას რომ ჰქონდა ხელთ. ამის წყალობით გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებაში“ გვხვდება რიგი ადგილებისა, რომლებიც არ მოიპოვება თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებათა დღეს ცნობილ ტექსტებში. რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ ფარსადან გორგიჯანიძეს რაიმე დამატებითი წყარო (ან წყაროები) გამოეყენებინა“.¹

ასეთ ვითარებაში, ცხადია, ყოვლად დაუშვებლად მოჩანს გორგიჯანიძის თხზულების მონაცემთა უგულებელყოფა ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხებშიც. ამასთან, რ. კიკნაძის ნაშრომში გამოკვეთილად არის ნაჩვენები, რომ „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტმა არა მარტო ჩვენამდე მოაღწია აშკარად შერყვნილ-დამახინჯებული სახით, არამედ უმეცარ გადამწერთა თუ სხვა გარემოებათა გამო იგი უკვე დამახინჯებული იყო ვახტანგ VI-ის დროსაც. „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტის გასამართავად ყოველგვარ დამხმარე ცნობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ნაშრომში ცალკე თავი აქვს მიძღვნილი თამარის დროინდელი საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლას ფარსადან გო-

1. რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 25-26.

რგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებაში“. აღნიშნულია, რომ ამ პერიოდის მოვლენები ნაცვლად „ისტორიათა და აზმათას“ ძნელად გასაგები, მალალფარდოვანი ენისა, ფარსადან გორგიჯანიძესთან მოთხრობილია ბევრად უფრო მარტივად, გასაგებად, ანუ როგორც XIX ს-ის მნიგნობარ-გადამწერი სვიმონ ტაბიძე ამბობს: „ბევრი უფრო დიახ კარგათ აღუნერია და მაშინდელი ლაპარაკის კვლობაზე ადვილ გასაგონათ დაუთხზავს“.¹

რ. კიკნაძის გამოკვლევით, ფარსადან გორგიჯანიძე „ქართლის ცხოვრებიდან“ მარტოოდენ ბრმად, მექანიკურად როდი იწერს თამარის დროინდელი საქართველოს ისტორიის მომენტებს. მას თავისი თვალსაზრისი, გარკვეული ისტორიული კონცეფციაც აქვს. შესაძლებელია სწორედ ლეგიტიმიზმის პოზიციებიდან ცდილობს იგი „გაასწოროს“ „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი და ამიტომ აცხადებს დემეტრე I-ის უფლებაშელახულ ვაჟს დავითს უმცროს ვაჟად. ფარსადანისეული ვერსიით, არც დემეტრე I-ის ვაჟს დავითს, არც მის შვილს, დემნა უფლისწულს, ტახტის დაკავების არავითარი ლეგიტიმური საფუძველი არ გააჩნდათ.

„ისტორიათა და აზმათას“ ტექსტის გასამართავად ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების მნიშვნელობის წინ წამონევის გამოკვეთილი მეცნიერული ტენდენციის მიუხედავად, რ. კიკნაძე არ ღალატობს ობიექტურ სამართლიანობას და თვალსაჩინოდ მიუთითებს ფარსადან გორგიჯანიძის მიერ დაშვებულ ტექსტოლოგიურ ხარვეზებზე, არასწორ ნაკითხვებსა თუ აზრობრივ ლაფსუსებზე. ცალკეა მინიშნებული აგრეთვე ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ საკვლევი ნაწილის დამახინჯებული, საერთოდ გაუგებარი ადგილები. ეს ადგილები შედარებულია „ისტორიათა და აზმათას“ შესაბამის ადგილებთან.

სპეციალური თავი აქვს მიძღვნილი ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ მნიშვნელობის ისტო-

1. რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

რიულ-ტექსტოლოგიურ ანალიზს „ისტორიათა და აზმათას“ კრიტიკული ტექსტის დასადგენად, თხზულების ადგილების დასაზუსტებლად და გასამართავად.

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების მიხედვით „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტის გამართვისა თუ ახლებურად გააზრების მცდელობა რ. კიკნაძის ნაშრომში სავსებით ლოგიკურად და დამაჯერებლად მოჩანს. პირველ რიგში საქმე ეხება დამახინჯებული ონომასტიკონის გასწორებას როგორც ტოპონიმების, ასევე პირთა სახელების კორექტირების თვალსაზრისით. ეს საქმე მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც არასწორად გაგებული, დამახინჯებული საკუთარი სახელები, ცხადია, ტექსტის გაბუნდოვანებას, აზრობრივად მის არასწორ გაგებას განაპირობებენ.

აზერბაიჯანის ათაბეგის აბუ ბაქრის დასასჯელად წასულ ქართულ ლაშქარს თამარ მეფე დვინამდე გაჰყვა თუ დვირამდე, ამის გარკვევას, ცხადია, ის არსებითი მნიშვნელობა აქვს, რომ გავარკვიოთ – ქართველთა მხედრობა ორი მიმართულებით მიდიოდა, თუ თამარმა ორი დღის სავალზე, საქართველოსა და არანის საზღვარზე მდებარე დვირამდე, გააცილა დავით სოსლანის სარდლობით წასული ლაშქარი.

ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების მოშველიებით შესაძლებელი ხდება დაზუსტდეს, რომ შამქორის ომის შემდგომ აბუ ბაქრის საშველად წამოსულ ქართველთა მიერ დამარცხებულ ლაშქარს სარდლობდა არა ბალშანი, არამედ იზად-დინ ბალბანი, შემდგომში ხლათის სასულთნოს გამგებელი (1206-1207 წწ.). ამავე ისტორიულ თავგადასავალში „ისტორიათა და აზმათას“ არნი, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების მიხედვით, არანის ქვეყანაა.

მისაღები მოჩანს რ. კიკნაძის მსჯელობა „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტში კეროულკარულის ან კარეულის ნაცვლად კეროლის დამკვიდრების, ისპიანის სივნიეთად შეცვლის თვალსაზრისით. როგორც გამოკვლევიდან ჩანს, რუსეთიდან თამარისათვის სასიძოს ჩამოსაყვანად გაგზავნილი იყო არა

ზანქან ზორაბაბელი, არამედ ზანქელ ზორაბაბელ, რაც ან დუბლსახელია, ან ორ პირს აღნიშნავს.

მკვლევარი სწორად აფასებს ფარსადან გორგიჯანიძის რამდენადმე რბილ, ტოლერანტულ პოზიციას ქართველ-სომეხთა კონფესიური განხეთქილების საკითხში. განსხვავებით „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტისაგან, იგი არ აზვიადებს, ხაზს არ უსვამს ამ რელიგიური განხეთქილების დეტალებს. ქართულ ისტორიოგრაფიას „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტში ქართველ-სომეხთა სარწმუნოებრივი დავის აქცენტირება ნეგატიურად აქვს შეფასებული და რომელიმე ფანატიკოსი ბერის მიერ გაკეთებულ ჩანართად მიაჩნია (კ. კეკელიძე, ივ. ლოლაშვილი და სხვ.).

რ. კიკნაძე საილუსტრაციო მასალით ადასტურებს, რომ ფარსადან გორგიჯანიძე თავისი თხზულების დაწერისას მარტოოდენ „ქართლის ცხოვრებით“ როდი სარგებლობდა. ამასთანავე საინტერესოა, „თუ როგორი სიყვარულით და მონივნებით იხსენიებს და ამკობს, როგორ გულწრფელად აქებს და აღიდებს თამარს XVII საუკუნის მეორე ნახევარში ირანში მცხოვრები „გათათრებული“ ქართველი ისტორიკოსი“.¹

ქართული ისტორიული წყაროთმცოდნეობის მეცნიერული კვლევა-ძიება, ცხადია, შეუძლებელია ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის გათვალისწინების გარეშე. ამასთან, ეს მეცნიერული მემკვიდრეობა სათუთ დამოკიდებულებას მოითხოვს. რ. კიკნაძის ნაშრომის ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ გაკეთებულია საინტერესო შენიშვნები, რაც აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ივ. ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის აკადემიური გამოცემისას.²

„ქართლის ცხოვრების“ XV-XVIII სს. ხელნაწერების კვალდაკვალ ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება ადასტურებს, რომ რიგი კონიექტურებისა, რაც ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ სწავლულ კაცთა ნახელავად მიაჩნდათ, სინა-

1. რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 78.

2. იქვე, გვ. 75-76, 109.

მდვილეში ადრეული ხელნაწერებიდან მოდის, ტექსტისეულია. ეხება ეს ამბავი თამარის ქმარყოფილის გეგუთში მეფედ დასმის საკითხს, მისი ამბოხების დეტალების, ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი მომენტის დაზუსტებას. ირკვევა, რომ კახა სამცივარი სამშობლოს მოლალატე არ ყოფილა, რომ შამქორის ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია მანდატურთუხუცეს ჭიაბერსაც და სხვ. ამგვარად, ვახტანგისეული რედაქციის „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთი განსხვავებული დეტალი მეტ სანდოობას იძენს.

რ. კიკნაძეს თვალი გაუდევნებია იმ კონიექტურებისათვის, რომელნიც სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევართ (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ს. ყაუხჩიშვილი) შეუტანიათ „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტში. ამ გასწორება-კონიექტურებს ფარსადან გორგიჯანიძის თხზულება რიგ შემთხვევებში ადასტურებს და მეტ საბუთიანობას მატებს, ხოლო ზოგჯერ აბათილებს.

ქართულ ისტორიოგრაფიაში მრავალგზის აღნიშნულა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შესული ისტორიული თხზულებანი ქრონოლოგიური მასალით რამდენადმე ღარიბნი არიან. ეს თხზულებანი ყოველთვის როდი იცავენ თხრობის ქრონოლოგიურ თანამიმდევრობას. ჟამთა ვითარებაში პირველწყაროთა გადაწერისა და გადაკეთების პროცესში, რიგ შემთხვევაში, წყაროთა მონაცემების ქრონოლოგიური სიზუსტე დარღვეულია. პირველწყაროთა ისტორიულ-ტექსტოლოგიური ანალიზის, სხვადასხვა პერიოდის ფენების გამოკვეტის თვალსაზრისით, უნდა ვიფიქროთ, საინტერესო შედეგს მოგვცემდა პირველწყაროებზე დაკვირვება მათში ქრონოლოგიური მასალის მექანიკური შეტანით.

ნაშრომში მეტად სასარგებლო სამუშაოა განეული ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ზოგიერთი მომენტის დასაზუსტებლად (შამქორის ომი, ქართველთა ლაშქრობა არდებილში და სხვ.). ერთხელ უკვე გვქონდა შესაძლებლობა აღგვენიშნა, რომ რ. კიკნაძემ ვახუშტი ბაგრატიონის ქრონ-

ოლოგიის შინაგანი კანონზომიერების გამოვლენის საფუძველზე დაადგინა, რომ ექვსნობიანი კორექტივით ეს თარიღები ისტორიულ სინამდვილეს სრულად შეესაბამება. სხვა ისტორიული მონაცემების კვალდაკვალ ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვითაც გამოდის, რომ ბასიანის ბრძოლა მოხდა 1202 წელს, რომ 1205 წელს უნდა გარდაცვლილიყო დავით სოსლანი, ხოლო თამარ მეფე – 1207 წელს.

დასასრულ, კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ რ. კიკნაძემ დიდი და სასარგებლო შრომა გასწია ისტორიული წყაროთმცოდნეობის განვითარების თვალსაზრისით. ფარსადან გორგიჯანიძის თხზულების მიხედვით „ისტორიათა და აზმათას“ ტექსტის ყველა ადდგენის, კორექტივის დაბეჭდვითი კრიტიკული შესწავლა გულისხმობს ავტორის მიერ განეული დიდი სამუშაოს განმეორებით შესრულებას. სარეცენზიო ნაშრომი კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ფარსადან გორგიჯანიძის მემკვიდრეობის მეცნიერული ათვისების გზაზე.

ნაშრომის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის განმაზოგადებელი, თეორიული ხასიათის მსჯელობა, რაც საერთოდ წყაროთა პუბლიკაციის საქმის უნიფიკაციის მოსაწესრიგებლად არის გამიზნული. ეს მომენტი მით უფრო დასაფასებელია, რომ ეს საკითხები წინა პლანზე აქვს წამოწეული აღნიშნული საქმის ერთ-ერთ მესვეურს, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელს.

სანიმუშო ნიგნი ძართული სოფლის ისტორიაზე¹

თითოეულ ქალაქს, სოფელს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ისტორია აქვს. ამასთან, საქართველოს გეოგრაფიული გარემოს მრავალფეროვნების გამო მეზობელ ხეობებში მდებარე ქალაქებსა და სოფლებს განვითარების მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი ეტაპები აქვთ განვლილი. რიგ შემთხვევაში, საქართველოს ფეოდალური დაქუცმაცებულობის ვითარებაში, ისინი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ ვითარებაში ექცეოდნენ, ხშირად სხვადასხვა სამეფო-სამთავროებში მდებარეობდნენ მიუხედავად გეოგრაფიული სიახლოვისა. ამდენად, საქართველოს ქალაქებისა და სოფლების ისტორიის დანერის დროს დამატებით სიძნელეებს ვაწყდებით. სწორედ ამიტომ თითქმის შეუძლებელია გამოვიმუშავოთ ერთიანი უნივერსალური თარგი, ვარგისი ყველა ქალაქისა და სოფლის ისტორიის დასაწერად. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ პირველწყაროების სიმწირის გამო, ხშირად იძულებული ვხდებით შემოვიზღუდოთ არსებული მასალით.

ამთავითვე მინდა აღვნიშნო, რომ ზემოთ ჩამოთვლილი სირთულეების გათვალისწინებით, ავთანდილ სონღულამვილის ნიგნი „საბჭოთა სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი“, რომელიც სოფელ დიღმის ისტორიის შესწავლას ეძღვნება, ვფიქრობ, ქართული სოფლის ისტორიის დანერის თვალსაზრისით სანიმუშოდ შეიძლება ჩაითვალოს.

სოფლის ისტორიის დანერა გულისხმობს მისი ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემოს წარმოსახვას. თუ დასახლება ძველია, საჭიროა უძველესი დროიდან მისი განვითარების სპეციფიკურად სრულიად განსხვავებული ეტაპების შესწავლა. აუცილებელია ფოლკლორული, ეთნოგრაფიული მასალის მოხმობა. ერთი სიტყვით, საჭიროა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკ-

1. „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №4, 1985 წ.

ონომიკური განვითარების ფონზე სოფლის განვითარების ჩვენება. ნიგნის ავტორის სამართლიანი შენიშვნით „ყოველი სოფლის ისტორია ერთიანი ქართული კულტურის შემადგენელი ნაწილია“. ცხადია, განსახილველი საკითხების მრავალფეროვნება, მრავალპროფილიანობა მოითხოვს, რომ ისტორიკოს მკვლევარს დიდი ერუდიცია, ფართო თვალსაწიერი ჰქონდეს. ამავე დროს, შეუძლებელია ადამიანი, თუნდაც კარგი სპეციალისტი, საზოგადოების ისტორიის ყველა ეტაპს ერთნაირად კარგად იცნობდეს, შეუძლებელია მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, იგი თანაბრად ერკვეოდეს გეოგრაფიაში, ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში. ამდენად, საკითხების ფართო წრის შესწავლის დროს უპირველესად ყოვლისა იგულისხმება, რომ მეცნიერ-მკვლევრის ყველაზე დიდი ღირსებაა, როცა მან იცის სამეცნიერო ლიტერატურის ჯეროვანი გამოყენება, იცის, სად რას მიაკვლიოს. ამ თვალსაზრისით ავთანდილ სონღულაშვილის მიერ გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ნუსხა ავტორის ინტერესების ფართო წრეზე, მის კარგ და საფუძვლიან განათლებაზე მიგვითითებს. ამასთან, უნდა დავძინო, რომ ლიტერატურა ავტორს გამოყენებული აქვს ყოველთვის ზუსტად, კონკრეტული მომენტების გასაშუქებლად, არსად შეიმჩნევა საკუთარი განათლებით თავმონონების სურვილი.

მეცნიერული კეთილსინდისიერებით და ანალიზის მშვენიერი უნარით არის მოცემული ნიგნში ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოს აღწერა, კარგად არის გადმოცემული თანამედროვე არქეოლოგიური მეცნიერების უახლესი მიღწევები. დილმის ეტიმოლოგიის დასადგენად მშვენიერად არის მოხმობილი ქართველური ენების ზოგადი ლინგვისტიკის დებულებები. სამართლიანად მოჩანს ავტორის მიერ გაზიარებული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ დილომს გარკვეული წვლილი მიუძღვის თბილისის გადგედაქალაქების საქმეში.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ ნიგნში ზედმეტი არაფერი არ არის. ავტორი თავისუფალია მეცნიერების ჰუ-

მანიტარულ დარგებში, სამწუხაროდ, გავრცელებული ჭარბი მრავალსიტყვიანობისაგან. იგი მეტად ლაკონიური, შინაარსობრივად კარგად დატვირთული, ტევადი წინადადებებით წერს. ეკონომიკურ-პოლიტიკური ისტორიის წარმოსახვისას ავტორი ყოველთვის სძლევს ცდუნებას მიატოვოს კონკრეტული საკითხზე მსჯელობა და ფართოდ შეეხოს საქართველოს ან თუნდაც ქართლის სამეფოს ისტორიას. მის მიერ მოხმობილი მასალა ყოველთვის უშუალოდ სოფლის ისტორიას ეხება და ზოგადისტორიული პროცესების განხილვა ყოველთვის კონკრეტულად დიღმის ისტორიის უფრო სრულად წარმოჩენის საქმეს ემსახურება.

შესანიშნავად, დაკვირვებული სპეციალისტის თვალთ, არის ნაჩვენები დიღმის ისტორია ფეოდალური ძნელბედობის ხანაში.

ნიგნში კარგად, კონკრეტულ-სტატისტიკური მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია ცვლილებები, რომლებიც სოფელმა განიცადა ფეოდალიზმიდან ახალ კაპიტალისტურ ფორმაციაში გადასვლასთან დაკავშირებით. საარქივო მასალით, პრესის მონაცემებით კარგად არის გამოკვეთილი გასული საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის სოფლის სოციალურ-ეკონომიკური პროფილი. მონონებას იმსახურებს სოფლის ძირძველი მკვიდრების, ხანდაზმული ადამიანების მონათხრობის საფუძველზე დახატული სოფლის რელიგიის, საკულტო ნაგებობების, ხალხური ტრადიციების სურათი.

სოფლის ეთნიკური ისტორიის თვალსაზრისით, ავტორს კარგად აქვს გაანალიზებული ქართულ-სომხური ძირძველი ურთიერთობები. მის მიერ წარმოჩენილი კონკრეტული მასალა, გონივრულად გაკეთებული დასკვნები საქართველოს მასშტაბით, გარკვეული თვალსაზრისით, გლობალური ხასიათისაა. აღნიშნულ კონკრეტულ შემთხვევაშიც ავტორი ძალიან კარგად, ოსტატურად იყენებს ქართული ლიტერატურის, ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მასალებს.

მეტად მნიშვნელოვანია ავტორის მიერ წარმოჩენილი და შესწავლილი რელიგიურ-საკულტო ისტორიის მასალები. ასევე

მნიშვნელოვანია სოფლის მოსახლეობის წმინდა სამეურნეო-ეკონომიკური ურთიერთობის ისტორია კულტის მსახურებთან.

მეცნიერულად არის შესწავლილი ჩვენი დღევანდელი აქტუალური საკითხები. ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოჩენილია ის ძვრები, რომლებიც მოხდა სოფელ დილომში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველივე დღეებიდან. მკითხველს ეძლევა საშუალება გაადევნოს თვალი პირველი სამელიორაციო ამხანაგობების ჩამოყალიბება-განვითარების ისტორიას, სოფლის თანმიმდევრული ელექტრიფიკაციის ეტაპებს. დახატულია იმის ნათელი სურათი, თუ როგორ მომძღაერდა სოფელი ხარისხობრივად განსხვავებული განვითარების ახალ, სოციალისტურ ეტაპზე. ცალკეა წარმოჩენილი საკოლმეურნეო მშენებლობის გამარჯვების ისტორია, მასების პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ზრდა.

ციფრობრივ-დოკუმენტური მასალების მომარჯვებით, დიდი გულითადობითა და სითბოთი წარმოსახულია ის ჯეროვანი წვლილი, რომელიც სოფელმა დილომმა გაიღო დიდი სამამულო ომის წლებში. წიგნში აღნიშნულია, რომ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე მებრძოლი 800 დიღმელი ვაჟკაციდან, 570 შინ აღარ დაბრუნებულა. კონკრეტულად, გვარსახელებით არიან ჩამოთვლილი ის ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში. ასევე კონკრეტული მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია ის სათანადო ეკონომიკური წვლილი, რომელიც სოფელმა მტერზე გამარჯვების საქმეში შეიტანა.

წიგნის ავტორმა კარგად აჩვენა, რომ სოფელმა დილომმა, მსგავსად ჩვენი ქვეყნის მრავალი სოფლისა, კარგად ჩააბარა სამამულო ომის პერიოდის მძიმე გამოცდა.

ცალკე ქვეთავი ეძღვნება წიგნში შინმოუსვლელთა უკვდავეყოფას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღსაზრდელად.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თავი, რომელიც ასახავს ომის შემდგომი პერიოდის ისტორიასა და სოფლის სო-

ციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპს. ამ თავში მდიდარი ფაქტობრივი მასალის გაანალიზების შედეგად სრული ისტორიული სურათია დახატული. ამასთან, ნიშანდობლივია, რომ დაწერილია იგი კონკრეტულ-სოციალური კვლევა-ძიების მეთოდებს კარგად დაუფლებული, დაკვირვებული მეცნიერის მიერ, ამიტომ სოფელ დიღმის განვითარების პერსპექტივების დანახვის თვალსაზრისით უდავო ღირსებები გამოარჩევს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში და საერთოდ მთელ ნიგნში ნათლად არის წარმოჩენილი ისტორიკოსის მიერ მოძიებული მასალის მჭიდრო, ორგანული კავშირი დღევანდლობასთან, მომავალთან.

ნიგნი დაწერილია სოფელ დიღმის მკვიდრი ისტორიკოსი მკვლევრის მიერ. კარგად ჩანს, რომ ავტორს სათუთად უყვარს თავისი მშობლიური სოფელი. ბუნებრივია, მას ახარებს მისი სადღეისო წარმატებანი. სხვა შემთხვევაში ალბათ კალმის ხელში აღებას აზრი არ ექნებოდა, მაგრამ დიდად დასაფასებელია, რომ ნიგნი თავისუფალია ყოველგვარი ზერელე პლაკატურობისაგან, არ არის მასში ზეანუელი ფუჭი ფრაზეოლოგია. ავტორს გულთან ახლოს მიაქვს სოფლის ძველი ისტორიის თუ თანამედროვეობის საჭირობოროტო საკითხები. იგი ავ-კარგს პირუთვნელად აღწერს და ამიტომ მკითხველმაც უფრო მკაფიოდ უნდა დაინახოს სოფლის განვითარების პერსპექტივები.

მისთვის ჩვეული საფუძვლიანობით, კონკრეტულ-ფაქტობრივი მასალით აქვს წარმოსახული ავტორს სოფელ დიღმის კულტურა-განათლების ისტორია. ნაჩვენებია, თუ როგორ იკიდებდა განათლება ფეხს სოფლის გლეხკაცობაში. ბუნებრივია, წარმოჩენილია ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დიდი როლი. კარგად არის ნაჩვენები ის უდიდესი მნიშვნელობის ხარისხობრივი ხასიათის ძვრები, რაც აღნიშნული თვალსაზრისით მოხდა სოფელში საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

განათლების ისტორიის განვითარების თვალსაზრისით ნიშანდობლივია ნიგნში დამონმებული ციფრობრივი მონაცემები.

ცხადია, სოფლის ისტორია, კონკრეტულ შემთხვევაში სოფელ დიღმის ისტორია, არ იქნებოდა სრული, მასში ცალკე რომ არ იყოს ლაპარაკი სოფლის გამოჩენილ ადამიანებზე. საამაყო მათი უბრალო ჩამოთვლაც კი (ცნობილი დრამატურგი აქვსენტი ცაგარელი, გამოჩენილი ისტორიკოს-ფილოლოგი და ლინგვისტი ალექსანდრე ცაგარელი, ცნობილი მეცნიერი პედიატრი მარიამ უგრელიძე).

განსაკუთრებული სითბოთი წერს ნიგნის ავტორი თავისი ახლო წინაპრის, შესანიშნავი ადამიანის, იროდიონ სონღულაშვილის შესახებ. ი. სონღულაშვილს სულ ახლახან თავის მოგონებებში გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით გამთბარი სტრიქონები მიუძღვნა აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ.

ვისაც საქართველოს მუზეუმში ერთხელ მაინც მოუსმენია საქართველოს სიძველეების უდიდესი დამფასებელი მამულიშვილის ი. სონღულაშვილის იშვიათი უშუალოებითა და გულწრფელობით გამთბარი საუბარი, მას არასოდეს დაავიწყდება სოფელ დიღმის ეს შესანიშნავი მკვიდრი.

რეცენზიის დასკვნაში სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია გავიმეორო დასაწყისში ნათქვამი: სოფელ დიღმის მკვიდრმა მეცნიერმა ისტორიკოსმა ავთანდილ სონღულაშვილმა მშობლიური სოფლის ისტორიას ისეთი შესანიშნავი წიგნი მიუძღვნა, რომ ზოგადად იგი საქართველოს სხვა სოფლების ისტორიის დასაწერ ნიმუშადაც გამოდგება. ამ კარგი ნობათისათვის ეს ახალგაზრდა კაცი უკვე თამამად შეიძლება ჩაირიცხოს სოფლის რჩეულ მკვიდრთა შორის.

ნიგნი იმდენად კარგად არის დანერვილი, რომ რეცენზიის წერისას ძნელია გაუძლო ცდუნებას და მისი მოკლე შინაარსის გადმოცემას არ შეუდგე, მაგრამ, ცხადია, უმჯობესია მკითხველი უშუალოდ გაეცნოს ნიგნს.

საწყენია, რომ კარგად დანერვილ ნიგნს არ ახლავს ილუსტრაციები, თვალსაჩინოების თვალსაზრისით ნიგნი დიდად მოიგებდა დიღმის სანახებში აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის ილუსტრაციით. თვალნათლივ გამოჩნდებოდა სო-

ფლის განვითარების დინამიკა. სოფლის ძველი და ახალი ხედების ჩვენებით, მეტად ფასეული იქნებოდა ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ფოტო-მასალა, ფოტოები სოფლის მკვიდრთა საოჯახო ალბომებიდან.

კვლავ მინდა გავიმეორო: წიგნი სანიმუშოა სოფლების ისტორიის დანერის თვალსაზრისით. მისი მნიშვნელობა არ იფარგლება მარტოოდენ სოფელ დიღმის კონკრეტული ისტორიით. ამდენად, დააინტერესებს ფართო მკითხველ საზოგადოებას. სამწუხაროა მხოლოდ, რომ იგი შედარებით მცირე ტირაჟით დაიბეჭდა.

ისტორიული წყაროთმცოდნეობის დიდი შენაკენი

ამჟამინდელი შეჭირვებული მდგომარეობის შედეგად, ქალაქის ნაკლებობის, პერიოდული მეცნიერული გამოცემების შემცირების, გაიშვიათების გამო, ველარ ხერხდება დასტამბული მეცნიერული პროდუქციის დროული, სათანადო შეფასება. სწორედ აღნიშნულის გამო, ფართო საზოგადოებას ვერ მიენოდა ცნობები ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ მზექალა შანიძის დიდებული პუბლიკაციის – „ცხორება მეფეთ-მეფისა დავითისი“-ს შესახებ (თბილისი, „მეცნიერება“, 1992, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო მზექალა შანიძემ).

სანთელ-საკმეველმა თავისი გზა არ დაკარგა და კარგა ხანია, რაც ხალხი ჯეროვან, დამსახურებულ პატივს მიაგებს ქართველთა მოდგმის მხსნელ დიდად ღვანღმოსილ-აღმაშენებელ მეფე დავითს. დაინერა მრავალი გამოკვლევა, მონოგრაფია, თბილისის ერთ-ერთ მთავარ ქუჩას მისი სახელი ეწოდა. მალე დედაქალაქს სახელგანთქმული მეფის ცხენოსანი ქანდაკება დაამშვენებს.

ყველაზე დიდი ძეგლი დავით აღმაშენებელს დაუდგა მისმა თანამოაზრემ და თანამებრძოლმა იმ ბრწყინვალე მემკვიდრეებში, რომლის ნაღვანი ქართველთა ბიბლიის, „ქართლის ცხოვრების“ კრებულის, საუკეთესო თხზულება გახლავთ. ამბავი დიდი დავითის მოღვაწეობის შესახებ ყველაზე სრულად სწორედ ამ ნაშრომიდან არის ცნობილი. თხზულება დიდ ინტერესს იწვევს არა მხოლოდ პროფესიონალ ისტორიკოსთა, ფილოლოგთა, საერთოდ ჰუმანიტარული დარგის მკვლევართა თვალთახედვით, არამედ საყურადღებოა ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის ზოგადად.

წყაროთმცოდნეობა მასაზრდოებელი საკვებია ისტორიისა. არაერთგზის აღნიშნავდა დიდი ივანე ჯავახიშვილი „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალ თხზულებათა საგანგებო ტექსტოლოგიური შესწავლის აუცილებლობას, არსჭირდება კომენტარი ასეთი პერსპექტიული სამუშაოს შე-

სრულების უდიდეს მნიშვნელობას. განსვენებულმა რევაზ კიკნაძემ ცალკე, მეცნიერულად სათანადო დონეზე გამოსცა კიდევ „ასნლოვანი მათიანი“ და ქალბატონ მზექალას მიერ გამოცემული ისტორიაც დავით აღმაშენებლისა ივანე ჯავახიშვილის ნაანდერძევის ხორცმესხმა გახლავთ. ისტორიული პირველწყაროს მაღალ მეცნიერულ დონეზე გამოსაცემად მრავალმხრივი განათლება არის საჭირო. ტექსტოლოგს უნდა ხელენიფებოდეს წყაროს გამოწვლილვით გაანალიზება ისტორიულ, ფილოლოგიურ, ენათმეცნიერულ ასპექტებში. უცხო ენებზე წყაროს ადრეული პუბლიკაციების არსებობის საბედნიერო შემთხვევებში, ტექსტის მართებული დადგენისთვის ტექსტოლოგი პოლიგლოტიც უნდა გახლდეთ.

პროფესორ მზექალა შანიძეს ქართული მეცნიერული და არამართო მეცნიერული საზოგადოება კარგად იცნობს. იცნობს როგორც მაღალი რანგის მეცნიერისთვის დამახასიათებელი ზემოთ აღნიშნული თვისებებით აღჭურვილ პიროვნებას. სწორედ ამიტომაც არის მის მიერ გამოცემული ძეგლი დავით აღმაშენებლის ცხოვრებისა, მაღალი ნიმუში წყაროთმცოდნეობით-ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების.

მკვლევარს შესწავლილი აქვს თხზულების ტექსტი „ქართლის ცხოვრების“ ყველა ნუსხის შესაბამისად (ამ კრებულის გარეშე თხზულების ნუსხა არ არის დადასტურებული). ნაშრომი შესწავლილია ენის მორფოლოგიური, სინტაქსური კონსტრუქციების თავისებურებათა თვალსაზრისით. ფართო ერუდიციით არის გამოკვლეული ძეგლის ლიტერატურული წყაროები, გასწორებულია ტექსტის ლექსიკურად გამრუდებული ადგილები. ყოველივე აღნიშნულს შეიცავს გამომცემლის მიერ ტექსტისთვის წამძღვარებული გამოკვლევა, რომელიც საკუთრივ ტექსტს თითქმის ორნახევარჯერ აღემატება. თავდაპირველად, ცოდვა გამხელილი ჯობს, კაცი იფიქრებს, რა მოხდა, რა ამბავიაო? მაგრამ გამოკვლევის დაკვირვებით გაანალიზებისას მიხვდებით, რომ კვლევა-ძიება ჩატარებულია სრულიად სკრუპულოზურად გამიზნული დატვირთვით,

რომ მასში არაფერია ჭარბი. ვიმეორებ, გამოცემა ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების სანიმუშო თარგია, გაკეთებულია ყველაფერი, „რათა ისტორიკოსებს ხელთ ჰქონდეთ შეძლებისდაგვარად სანდო და „სუფთა“ ტექსტი“. ქალბატონ მზექალას პოლიგლოტური განათლების საფუძველზე ხელენიფებოდა და ტექსტის მეცნიერულად გასამართავად სასარგებლოდ გამოიყენა „დავითის ცხოვრების“ მარი ბროსესეული, მიხაკო ნერეთლის, ჰერტრუდა პეჩის, კეტრინ ეშტონის, ილია აბულაძის თარგმანები ფრანგულ, გერმანულ, ინგლისურ, სომხურ ენებზე. ბუნებრივია, სათანადოდ არის გამოყენებული და დაფასებული დიდი წვლილი აკადემიკოს სიმონ ყაუხჩიშვილისა.

ქალბატონმა მზექალა შანიძემ დიდი დავითის დიდი ისტორიკოსის თხზულების ფასი შესანიშნავად იცის. ცხადია, კარგად იცის ფასი მის მიერვე განეული შრომისა, მაგრამ საკმაოდ მოკრძალებულ შეფასებას აძლევს მას. მოვუსმინოთ თვით მზექალა შანიძეს: „წინამდებარე გამოცემა დავითის ისტორიკოსის თხზულების ტექსტოლოგიური შესწავლისა და ნაწარმოების ავტორისეული ტექსტის შეძლებისდაგვარად დადგენის ცდას წარმოადგენს. გამომცემლის სურვილი იყო, მიეწოდებინა მკითხველისთვის „ძალისა და გულისხმისყოფისა ჩუენისაებრ“ გამართული ტექსტი და ამით მცირედენი წვლილი შეეტანა იმ ნაწარმოების შესწავლაში, რომლის კვლევისთვის პირველი ეკლიანი გზა წინა თაობათა წარმომადგენლებმა გაგვიკაფეს და რომელსაც შემდგომშიც უთუოდ მრავალი მკვლევარი გამოუჩნდება. ამით არის გამოწვეული ის გარემოება, რომ წინამდებარე ნაშრომში წინ არის წამოწეული ის საკითხები, რომლებიც ტექსტის გამართვას შეეხება. ამის შესაბამისად არის შესწავლილი თხზულების ენისა და სტილის ზოგიერთი მხარე, გათვალისწინებულია კულტურულ-ისტორიული რეალიებიც, რომლებიც ტექსტის გაგებისთვის არის საჭირო. ნაწარმოების ენისა და პოეტიკის სრული, თანმიმდევრული და სისტემური ანალიზი კვლავ მომავლის საქმედ რჩება“.

ამრიგად, ხელთა გვაქვს დიდად ფასეული მეცნიერული გარჯის შედეგი. სამწუხაროა, რომ ძნელბედობის გამო წიგნი მიღწეული განსაკუთრებული ნარმატების აღნიშვნის გარეშე დარჩა. დიდად ფასეულია ისიც, რომ გამომცემელმა, ქალბატონმა მზექალა შანიძემ, თხზულების შემდგომი შესწავლის კონკრეტულად გააზრებული სწორი პერსპექტივაც წარმოაჩინა. „მხოლოდ ტექსტოლოგთა და ისტორიკოსთა ერთობლივი კვლევის შედეგად, – მართებულად აღნიშნავს ქალბატონი მზექალა, – გახდება შესაძლებელი როგორც დავითის მემატრიანის თხზულებასთან დაკავშირებული მრავალი კონკრეტული საკითხის გადანიყვეტა (მათ შორის, ნაწარმოების ავტორობისაც), ისე ამ ნაწარმოების ადგილისა და მნიშვნელობის გათვალისწინება ქართულ ისტორიოგრაფიაში და ქართული ენისა და მწერლობის ისტორიაში“.

ეთნოგრაფია და „ეთნოგრაფი“¹

დიდად გაიზარდა ხალხის ინტერესი ქვეყნის სულიერი თუ მატერიალური ცხოვრების ტრადიციული ნორმების შესწავლისადმი. ხუროთმოძღვრების ისტორიული ძეგლებით ფართო საზოგადოება დაინტერესდა. კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობა გარანტირებულია კანონმდებლობით. საბჭოთა მთავრობის, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პერიოდის დადგენილებებმა, ისტორიულმა გადანყვეტილებებმა ყველა პირობა შექმნეს წარსულის კულტურის ძეგლების დაცვისათვის, მათი სათანადო აღდგენა-შეკეთებისათვის. სასიხარულო ფაქტია, რომ ამ მიზნების განსახორციელებლად სპეციალური რესპუბლიკური სამმართველო შეიქმნა.

რესპუბლიკის დაწესებულებებში ჭეშმარიტად დიდი პატრიოტული შემართებით იქმნება კულტურის ძეგლთა აღდგენისა და მოვლა-პატრონობისათვის მონოდედებული პირველადი ორგანიზაციები.

ძეგლების მოვლა-პატრონობის საქმეს, რა თქმა უნდა, დიდად წაადგება მოქალაქეთა პირადი გარჯა, ორგანიზაციებში მოგროვილი თანხები, მაგრამ აქ ალბათ უპირველესია ამ პატრიოტული ნამონყების უდიდესი მორალურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა.

ბუნებრივია, სადღეისოდ უფრო ინტენსიური გახდა ხალხის ყოფისა და კულტურის ისტორიის შემსწავლელი დარგების მუშაობა. კერძოდ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება.

ის, რაც ქართული ეთნოგრაფიული სკოლის არსებობის მანძილზე გაკეთდა, ცხადია, ერთ მოკლე წერილში არ ჩამოითვლება. განსაკუთრებით სასიხარულოა და თვალსაჩინო, რომ მეცნიერულ-თეორიული მიღწევების ბაზაზე საბჭოთა საქართველოში გაფართოვდა სამუზეუმო ქსელი, გამდიდრდა ექსპოზიციები.

1. „განთიადი“, №5, 1981 წ. თანაავტორი ი. სურგულაძე.

ქართველ ეთნოგრაფთა მეცნიერული მოღვაწეობის ძირითადი მიმართულების შეფასება სპეციალისტთა წრეში დავას არ იწვევს. ნათლად არის გამოკვეთილი დარგის განვითარების პერსპექტივებიც.

ასეთ ვითარებაში ბოლო დროს ზოგიერთი ჟურნალისა და გაზეთის ფურცლებზე გახშირდა ეთნოგრაფიული მეცნიერებისაგან შორს მდგომი, უსაფუძვლო ბრალდებების გამოქვეყნება. ავტორი ამ ბრალდებებისა გახლავთ ეთნოგრაფი ლევან ფრუიძე.

1978 წლის 22 იანვარს საქართველოს რადიომ გადმოსცა ლ. ფრუიძის საუბარი, რომელიც თითქმის უცვლელად დაიბეჭდა ჟურნალ „განთიადის“ 1979 წლის პირველ ნომერში სათაურით – „ქართული ეთნოგრაფიის თანამედროვე პრობლემები“. სამწუხაროდ, „საუბარი“ და სტატია სავესტა ფსევდოპატრიოტული ფრაზებით, შინაარსით ამ მასალას საერთო არაფერი აქვს მეცნიერებასთან. იგი არ ისახავს მიზნად რეალურად არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას, არ არის მოცემული საქმის უკეთ წარმართვისათვის ვარგისი თუნდაც ერთი საჭირო წინადადება. ეს არის მდარე პასკვილი, რომელიც ვითომდა საქმეზე ზრუნვის ნიღბით, მიზნად ისახავს სახელი გაუტეხოს ქართულ ეთნოგრაფიულ სკოლას, მის მესვეურებს.

ავტორს დიდი პრეტენზიები აქვს ლიტერატურული სტილის, მწერლობის პრობლემების ცოდნის თვალსაზრისით. ამ საკითხებზე ქვევით კვლავ შევჩერდებით, მაგრამ ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალ „განთიადის“ რედაქციის გარჯით, რადიოში გადმოცემული საუბრის ტექსტი რამდენადმე ჩასწორებულია (ეს ტექსტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას რადიოგადაცემის შემდეგ გადაეგზავნა). ჟურნალში აღარ წერია, რომ საქართველოს მიწა „ხანდაზმულია“, რომ „არქეოლოგია და ეთნოგრაფია ერის ისტორიის გუთანში შებმული ორი მძლავრი და დაუწოქებელი ხარია“ და სხვ. (ქვევით ყველგან საუბარი იქნება ჟურნალში დაბეჭდილ ტექსტზე).

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ეთნოგრაფ ლ. ფრუიძეს არ ესმის ეთნოგრაფიული მეცნიერების უპირველესი მიზანი. ეთნოგრაფის მოვალეობად მას ძველის, დრომოჭმულის ხელოვნური აღდგენის აუცილებლობის ქადაგება მიაჩნია. სხვანაირად არ შეიძლება გავიგოთ მისი სტატიის სიტყვები იმის შესახებ, რომ რუსთაველის პროსპექტზე ქართულ ტანსაცმელში გამოწყობილი მოხუცი კაცი „გამომწვევად და უსიტყვოდ გვეუბნება – „ეი, თქვენ, მოდასგადაყოლილნი, ჩვენებურად ჩაცმა სირცხვილი როდიაო“. ამ ფსევდოპატრიოტული ფრაზის მიღმა მრავალი შეცდომაა. ჯერ ერთი, დროა, მოდა სალანდლავი სიტყვის მნიშვნელობით აღარ ვიხმაროთ. მეორეც, იმის გამო, რომ თუ კაცს ჩოხა-ახალუხი არ აცვია და ქალი ჩიხტიკოპში არ არის გამოწყობილი, ცხადია, ისინი „მოდასგადაყოლილებად“ არ უნდა მოვნათლოთ. სტატიის ავტორი ჩივის: „მეცნიერებმა ვიცით, რამდენია ასეთი გატაცების ადამიანი?!“ საქართველოში კი ყველა ეთნოგრაფმა კარგად იცის, რომ ჩოხოსანთა თუ ტრადიციული წეს-ჩვეულებათა მცოდნე პირთა აღრიცხვა უაზრობაა. ამავე დროს სპეციალურად ხდება ტანსაცმლის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა მოკიდებული გასული საუკუნის შუა ხანებიდან. ტანსაცმლის კოლექციები სისტემატურად შედის მუზეუმის ფონდებში, ავსებს ექსპოზიციებს. გაკეთებულია შესაბამისი ანაზომები, თარგები და სხვ. ასე ესმის ეთნოგრაფიულ მეცნიერებას თავისი მოვალეობა ტანსაცმლის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. ჩოხითა და ქამარ-ხანჯლით სიარულის აგიტაცია არ არის მეცნიერების საქმე და არც კერძო პირს შეეხება ამგვარი „პატრიოტული“ ქადაგება.

ჩვენში მრავალი ქორეოგრაფიული და ვოკალური ანსამბლია ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი და ამდენად ლ. ფრუიძის არც ის განცხადებაა სწორი: „ეროვნული ტანსაცმლის მკერავი ერთადერთი თერძი – დერციკი შემოგვრჩა“-ო (ამ გამოგონილ ამბავს მან სპეციალური საგაზეთო წერილიც უძღვნა).

ლ. ფრუიძე აფრთხილებს საზოგადოებას მოსალოდნელი საშიშროების გამო და აცხადებს: „შორს აღარ არის დრო, როდესაც აღარ გვეყოლება მეკალათენი, მეგოდრენი, მექვეერეები, მეჭურჭლეები...“ და სხვ. ჯერ ერთი, უახლოეს მომავალში ხელოსნობის აღნიშნულ დარგებს გაქრობის საშიშროება არ ელის. ბევრი მათგანი ინერგება ან უკვე დანერგილია სახელმწიფო წარმოებაში. მეფარდაგეთა, მეხალიჩეთა საქმიანობას იყენებენ და კიდევ უფრო ფართოდ გამოიყენებენ დიზაინერები, ხოლო ეთნოგრაფიის მოვალეობას ხალხური ხელოვნების ნიმუშების წარმოების მეცნიერული აღწერა შეადგენს, თორემ ბოლოს და ბოლოს უგოდროდაც შეიძლება იოლად ნასვლა, თუკი მის მაგივრობას უკეთესი, უფრო მოსახერხებელი ნივთი გაგვინევს.

არ შეიძლება ლ. ფრუიძის წერილის ზოგი ადგილი იუმორის სფეროს არ მიაკუთვნო. „კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე არის ისეთი ფენომენები მიკვლევული, რაზედაც დრო ვერ მოქმედებს. მაგალითად საცივი მილიარდი წლის შემდეგაც საცივად დარჩება და ისევე ნუგბარი საჭმელი იქნება, ასევე კეცში გამომცხვარი მჭადი და ნალამზე შემწვარი მწვადი, ჩახოხბილი თუ ჩაქაფული, ნივრის წნილი თუ რაჭულად გამოყვანილი ლორი. ყოველივე ეს ხალხის მონაპოვარია, მსოფლიო მნიშვნელობის სტანდარტია და თვალისჩინივით უნდა გაფრთხილება. ასეთ წერილმანებს თუ მსხვილმანებს ეთნოგრაფია უნდა უვლიდეს, მაგრამ საქმე ჯერჯერობით სასურველად ვერ წარიმართა...“

„კაცობრიობის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მიკვლევული ფენომენების... მსოფლიო მნიშვნელობის სტანდარტების“ ამ „რამდენამდმე არასრული ჩამოთვლისას“ მკითხველს პირველ ყოვლისა პირზე ნერწყვი მოადგება, მილიარდი წლების მანძილზე საცივის ბედის განმსაზღვრელი ავტორის ისტორიულ-გეოლოგიური ჭვრეტის უნარი მოხიბლავს და ბოლოს გული დასწყდება, რა დაშაედებოდა, ამდენის მცოდნე კაცი მსოფლიო სტანდარტების მნიშვნელობაშიც ყოფილიყო გარკვეული. იმავე საცივის საკავშირო და საერთაშორისო

პროპაგანდა ალბათ საჭირო საქმეა, მაგრამ ჯერჯერობით საცივი მხოლოდ საქართველოში გავრცელებული საჭმელია და, ბუნებრივია, მსოფლიო სტანდარტებთან, ჩაქაფულისა არ იყოს, არაფერი აქვს საერთო.

ლ. ფრუიძის „საუბარსა“ და სტატიაში ლაფშია ამოსვრილი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიული საქმიანობა. დაწესებულება, რომელიც ადრე მთელი კავკასიის სამუზეუმო საქმიანობას ედგა სათავეში, ამჟამად თურმე ველარ უძღვება დაკისრებულ მოვალეობას. თურმე იშვიათად ენცობა ექსპონატების შემძენი ექსპედიციები, არ ხდება ყოფითი მასალების მიზნობრივი გამოვლენა, აღნიშნულ საქმეზე კაპიკები იხარჯება... ყოველივე ეს სინამდვილის გაყალბებაა. უკანასკნელი ათიოდე წლის მანძილზე მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდს შეემატა 3000-ზე მეტი ნივთი, გადაღებულია ეთნოგრაფიული ფილმები. ნივთების მოვლა-პატრონობასა და დაცვას ემსახურება სპეციალური ლაბორატორია, სადაც მოქმედებს საგანგებო ბიოჯგუფი. გამომუშავებულია მეთოდოლოგიური მითითებანი. სარესტავრაციო საქმეს ეძღვნება კრებულები, გამოცემულია კატალოგები.

მუზეუმს მართლაც უჭირს. იქ დაგროვილ უამრავ ექსპონატს გაცილებით მეტი ფართობი სჭირდება. ცხადია, ეს უარყოფით გავლენას ახდენს კვლევა-ძიებაზე. მუზეუმის ხელმძღვანელობა შესაშური ენერგიით იღვწის სათანადო ორგანოებში, ცდილობს მეტი ფართი მოუპოვოს დაგროვილ მასალას. თუ რა ფასი აქვს ლ. ფრუიძის ბეჭდურ სიტყვას, რა ობიექტურობით ხასიათდება იგი, ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ორიოდე ფრაზას მისივე წერილიდან, რომელიც „ცისკრის“ 1975 წლის №2-ში დაისტამბა. სამუზეუმო საქმის მდგომარეობას მაშინ იგი ასე აფასებდა: „აკად. გ. ჩიტაიამ სამუზეუმო საქმიანობა ეთნოგრაფიული მუშაობის შემადგენელ ნაწილად აქცია. თუ რევოლუციამდელ საქართველოში ექსპონატების მოპოვებას სპორადული ხასიათი ჰქონდა და იძენდნენ გარეგნულად ეფექტურ, ოღონდ შინაარსსმოკლ-

ებულ ანტიკვარულ ნივთებს, დღეისათვის მუზეუმის მუშაკები კომპლექსურ-ინტენსიურ მეთოდზე დაყრდნობით, თავს უყრიან მშრომელთა ფართო ფენების საქმიანობის ამსახველ ექსპონატებს. ეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან ჩვენს გლობალურ ხანაში ხალხები ფრიად სწრაფად უახლოვდებიან ერთმანეთს“. თურმე ახალი მეცნიერული მეთოდის საფუძველზე „კარგად მოხერხდა ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების წარმართვა... საექსპედიციო მუშაობა გაიშალა საქართველოს გეოგრაფიული ზონალობის მთის, მთისძირა და ბარის ზოლში“ („ცისკარი“, 1975 წ. №2, გვ. 131-132).

კვლავ უნდა გავიმეოროთ, არ ესმის ლ. ფრუიძეს ეთნოგრაფიული მეცნიერების არსი. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ გაერკვევი მის ჩივილში: „ხშირად ლიტერატურულ რედაქციებში ეთნოგრაფიულ წიგნს „წმინდა მეცნიერებად“ აცხადებენ“-ო. ვერ გაიგებ მის გულისტკივილს: „ეთნოგრაფია საუნყებო საქმედ ვაქციეთ“-ო, და მოწოდებას სამუზეუმო მასალის შეგროვების საერთო-სახალხო საქმედ გამოცხადების შესახებ. ჩვენ კი არ გვესმის, რატომ არ არის ეთნოგრაფია წმინდა მეცნიერება, რატომ არ უნდა არსებობდეს იგი, როგორც კვლევა-ძიების ცალკე დარგი, რომელსაც თვალსაჩინო მეცნიერები ხელმძღვანელობენ (ფრუიძის გამოთქმით, მეცნიერების „ჩინოსნები“), ან რატომ უნდა იყოს მთელი ხალხი გადასული ეთნოგრაფიული ნივთების შემგროვებლობაზე.

კვლავ იძულებული ვართ გავიმეოროთ, ლ. ფრუიძეს ეთნოგრაფია მაინცდამაინც ძველი ყოფის შესწავლა და ამ ყოფის ხელოვნური აღდგენა ჰგონია. იგი შემოგვჩივის, „ბარის სოფელი კოლექტივიზაციის სრულ გატარებამდე კვლავ ინარჩუნებდა ტრადიციულ კოლორიტს“, ახლა ხელიდან გავუშვით დრო და თითზე კბენანი გვიანიო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეთნოგრაფიული მასალა რომ არა, საიდან იცის მთიანი რაჭიდან ჩამოსულმა, კოლექტივიზაციის შემდეგ დაბადებულმა ლ. ფრუიძემ, როგორი იყო საქართველოს ბარის სოფლის „დაკარგული ტრადიციული კოლორიტი“.

ქართული კინოხელოვნების თვალსაჩინო მიღწევები თანამედროვე ყოფის, ადამ-ჩვევების რეალისტური ეკრანიზაციის ხაზით, ლ. ფრუიძემ კოლეგების საწინააღმდეგოდ გამოიყენა. „ახლა, როცა ყოფის მოვლენები ეგზოტიკურ იშვიათობად იქცა... მათი შენარჩუნებისათვის (!) ხელოვნების მოღვაწენი უფრო ზრუნავენ... ვიდრე პროფესიონალი მეცნიერები, რომელთაც ამისათვის ხელფასი ეძლევათ“-ო. ეთნოგრაფიული მეცნიერების არსში გაურკვევლობის გამო, ავტორი არც კი იწუხებს თავს აღნიშნოს, რომ ეგზოტიკურ იშვიათობად ძველი ყოფის მოვლენები იქცა. ამასთან, მამულიშვილურ საქმიანობაში ხელოვნების მოღვაწენი არავის დაუდებენ ტოლს, მაგრამ ხელფასს, მსგავსად მეცნიერებისა, ისინიც იღებენ და აქ გასაქილიკებელი არაფერია.

ჭარბი პრეტენზიები აქვს ლევან ფრუიძეს ქართული მწერლობის ლიტერატურული სტილის საკითხების ცოდნის თვალსაზრისით. უფროსი თაობის დამსახურებულ მეცნიერებს იგი დაუნდობლად აკრიტიკებს, მეტყველებას და აზროვნებას უწუნებს. წიგნებში „ჩვენი კეთილმოუბარი, ბრძენი მოხუცები ისე მეტყველებენ და აზროვნებენ, სირცხვილი დაგვწვავს“-ო. ლ. ფრუიძის ლიტერატურული ლაფსუსების შესახებ ზემოთ უკვე იყო გაკვრით აღნიშნული. უნდა დავუმატოთ, ვერაფრით შევაგნებინეთ, რომ „მამასისხლად“ და „დანასისხლად“ (განსახილველ სტატიიაში ამ უკანასკნელ სიტყვას რატომღაც დეფისით წერს) სინონიმური მნიშვნელობის სიტყვები არ არის, რომ დანასისხლად რაიმეს გაყიდვა არ შეიძლება. ადრე დაბეჭდილ სტატიიაში დაშვებულ შეცდომაზე მივუთითეთ (შემდეგ გაზეთ „კომუნისტშიც“ აღინიშნა ეს შეცდომა). არაფერი გამოვიდა. რადიოსაუბარშიც და „განთიადის“ სტატიიაშიც ჩივის, კერძო კოლექციონერები დანასისხლად ყიდიან ნივთებსო.

სხვას რომ აზროვნებას უწუნებს, ვერ გაიგებ, უკვდავების დაკანონებას მოითხოვს, თუ რისი თქმა უნდა, როდესაც წერს: „მთიანეთში ძალიან ჭირს მთხრობელების შოვნა, ერთ წე-

ლს იმუშავებ, მეორე წელს ჩახვალ და მამაკაპური ადათების მცოდნე ბერიკაცი ცოცხალი აღარ გვხვდება“-ო.

ჩვენი რესპუბლიკა საინტერესო ქვეყანაა გერონტოლოგიის თვალსაზრისით, არც ჯანმრთელობის დაცვის საქმეა თითქოს კატასტროფულ მდგომარეობაში. ლ. ფრუიძე კი ჩივის, „სწრაფად გადადის მხცოვანთა თაობა“-ო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, „მხცოვანთა თაობა“ აბსურდული ცნებაა. მერე სტატიის ავტორს ქართული თონის პური მოენატრა და რიტორიკულად აცხადებს: „ძნელია, ძნელი ხალხური მუსიკის გარეშე გაძლება, მაგრამ შეუძლებელია, არ გქონდეს პური შენი არსობისა“-ო (?!). ასე დაიყვანა ერთ-ერთი ურთულესი ზოგადსაკაცობრიო პრობლემა ლ. ფრუიძემ თონის პურის პრობლემაზე.

საზოგადოებას რომ თავი ეთნოგრაფიაზე შეყვარებულ კაცად მოაჩვენოს, ლ. ფრუიძე ასეთ პარადოქსებს გვთავაზობს: „დიდმა ილიამ ეთნოგრაფია და ეთნოგრაფიული მუშაობა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რანგში აიყვანა“-ო. ამ საფუძველს მოკლებული განცხადებით არა გვგონია, რომ ლ. ფრუიძეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაკნინება სურდა, მაგრამ, ცხადია, ეთნოგრაფიული მეცნიერების ღირსებას ვერაფერი შემატა.

სრულიად აბსურდულია ლ. ფრუიძის სხვა პარადოქსიც: „ეთნოგრაფია უცილობელი და უმთავრესი საკვები – პური იყო და არის ქართული მწერლობის“. ქართულ მწერლობას ათას ხუთასი წლის რეალური ისტორიული ტრადიცია აქვს, იმ დროს, როდესაც, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, ქართული ეთნოგრაფია სპეციალურ სამეცნიერო დარგად საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩამოყალიბდა. იძულებული ვართ, განვმარტოთ მარტივი ჭეშმარიტება, რომ ქართული ლიტერატურა უპირველესად ყოვლისა ქართველ ხალხზეა დაფუძნებული და არა მისი ყოფის, ზნე-ჩვეულებებისა და კულტურის ისტორიის შემსწავლელ მეცნიერებაზე. მართალია, მხატვრულ ნაწარმოებში აუცილებლად არის ხოლმე ხალხ-

ის ყოფის, ადათ-ჩვევების ამსახველი სურათები (სწორედ ამ ფონზე ისხამს ფრთას მწერლის ფანტაზია), მაგრამ მწერალი მხატვრული სიტყვის ოსტატია და არა ეთნოგრაფი.

ლ. ფრუიძე საყვედურობს, რომ მწერალთა კავშირი მუზეუმის ეთნოგრაფიული ექსპოზიციების საკითხებში არ ერევა, ეთნოგრაფიული ნაშრომების განხილვებს არ აწყობს. ქართული ლიტერატურის წინაშე უამრავი სასიცოცხლო, საჭირბოროტო პრობლემა დგას. ეთნოგრაფია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შორის იშვიათი განსაკუთრებულობით არ ხასიათდება და ასეთ ვითარებაში კარგი წარმოსადგენია სხვადასხვა ტიპის გამოფენათა ექსპოზიციების საკითხებით, მეცნიერების თუნდაც მხოლოდ ჰუმანიტარული დარგების წიგნების განხილვით დაკავებული მწერალთა კავშირის საქმიანობა.

ლ. ფრუიძე შეურაცხყოფას აყენებს კოლეგებს. ლაპარაკობს ვითომცდა ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში გაჩენილ სიცარიელეზე. მერე, ეთნოგრაფებისთვის სახელის გატეხის მიზნით, ბრალს სდებს კოლეგებს, მთხრობელთა საუბრის ჩანერის უნარი არ გააჩნიათ.

ერთი სიტყვით, ლ. ფრუიძის საჟურნალო სტატია და რადიოსაუბარი სავსეა ცილისწამებით, აბსურდული განცხადებებით. მარტო ის რად ღირს, რომ „ეთნოგრაფიის პრობლემების გარკვევის შემდეგ“, არქეოლოგიის მესვეურებთან მოლაქუცების მიზნით, ლ. ფრუიძე აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში ცხოვრების ლენინური ნორმების აღდგენის საფუძველზე არქეოლოგიამ კრიზისს თავი დააღწია. „ორიოდე წლის წინათ თუ არქეოლოგიური წიგნი იშვიათი ხილი იყო, ახლა თვალს ახარებს მრავალტომეულები“. თურმე არქეოლოგებმა, ჩამორჩენილი ეთნოგრაფებისაგან განსხვავებით, წერის კულტურაც კი აიმაღლეს.

ვფიქრობთ, ზედმეტია მსჯელობის გაგრძელება ლ. ფრუიძის პასკვილის მეცნიერულ ღირსებებზე. მას არ ესმის ეთნოგრაფიული მეცნიერების არსი, მისი მიზანი. იგი ხელოვნურად ავიწროებს ეთნოგრაფიის ჩარჩოებს.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა ქართლ-კახეთის სამეფოში მე-18 საუკუნის 60-იან წლებში¹

პაატა ბატონიშვილის შეთქმულება

არსებული წყაროებისა და ლიტერატურის ამომწურავად გამოყენების საფუძველზე სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება სრულად წარმოადგინოს პაატა ბატონიშვილის შეთქმულება, ამასთან, იგი ამით არ ისახლვრება. ნაშრომში ასახულია ისტორიული ვითარება შეთქმულების წინამავალ ხანაში. მოცემულია ზოგადი მონახაზი ქართლ-კახეთის სამეფოს XVIII ს. 60-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გასარკვევად. დადგენილია და დაზუსტებული პაატა ბატონიშვილის ბიოგრაფიის დღემდე უცნობი მომენტები, დეტალები. დაზუსტებულია მარშრუტი, რომლითაც პაატა ბატონიშვილი რუსეთიდან საქართველოში ჩამოვიდა. დისერტანტი საკმაო დამაჯერებლობით ამტკიცებს, რომ 1754-1758 წწ. პაატა ბატონიშვილი იმერეთშია, ლევან აბაშიძის აქტიური თანამებრძოლია.

ნაშრომში არის ცდა ახლებურად იქნეს გააზრებული ერეკლე II-ის წინააღმდეგ პაატა ბატონიშვილის მეთაურობით მომხდარი დინასტიური ხასიათის შეთქმულება. ავტორი ფართოდ მსჯელობს საქართველოში „მუხრანელ მეფეთა“ დინასტიური ბრძოლის სტადიების შესახებ. ამ ბრძოლის ისტორიაში მას სწორად აქვს გამოკვეთილი ის რადიკალური ცვლილებები, რამაც იგი რეგრესულ მოვლენად აქცია. აქვე შევნიშნავთ, რომ ნაშრომში სწორად არის მინიშნებული რუსეთის მთავრობის ნეგატიური პოზიცია ერეკლე II-ის მოწინააღმდეგე ტახტისმაძიებელთა მიმართ.

სადისერტაციო ნაშრომის ავტორი კარგად იცნობს სამეცნიერო ლიტერატურას, წყაროებს, ავლენს ბეჯითი მეცნიერული კვლევა-ძიების უნარს. ამიტომ ვშუამდგომლობ ივ.

1. ლ. ტუხაშვილის სადისერტაციო ნაშრომის რეცენზია. 1970 წ.

ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა ლოვარდ ვასილის ძე ტუხაშვილს მიენიჭოს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

დადებით შედეგებთან ერთად სადისერტაციო ნაშრომს მნიშვნელოვანი ხარვეზებიც აქვს. მიუხედავად ნყაროების სიმცირისა, ხოლო რიგ შემთხვევებში ისტორიული ცნობების სრული უქონლობისა, ალბათ შეთქმულების ისტორიის რაც შეიძლება სრული სურათის ასახვის სურვილით შეპყრობილი დისერტანტი ზედმეტადაა გატაცებული სრულიად დაუსაბუთებელი ჰიპოთეტური კონსტრუქციებით. ზოგჯერ ნაშრომში ერთ დაუსაბუთებელ ჰიპოთეზაზე დაფუძნებულია სხვა ჰიპოთეზა. ბუნებრივია, რომ ამის შედეგად დასკვნა დაუსაბუთებელი და არადამაჯერებელია ან, უბრალოდ, მცდარია. ასე მაგალითად, ნაშრომში რამდენადმე ხელოვნურია შეთქმულების სოციალური სტრუქტურა, მისი დაყოფა რამდენიმე სოციალურ-პოლიტიკურ მიმდინარეობად, სადაც თვით პაატა ბატონიშვილი რალაც მეორეხარისხოვან „დემოკრატიულ“ დაჯგუფებაზე მიტმასნილ პიროვნებად მოჩანს.

მიუხედავად იმისა, რომ დისერტანტი ჰიპოთეზების მოშველიებით ცდილობს დაამტკიცოს პაატა ბატონიშვილის, მის თანამზრახველთა გარკვეული ნაწილის იდეების, პირადი მისწრაფებებისა და საერთო სუბიექტური სულისკვეთების პროგრესული ხასიათი, ამით იგი შეთქმულების ობიექტურ შეფასებას ვერ ცვლის. ამიტომ მიუღებლად მიგვაჩნია მისი განცხადება, თითქოს პაატას შეთქმულებასთან დაკავშირებით „ქართული ისტორიოგრაფიის აქამდის გაკეთებული ყველა მონაცემი თითქმის აბსოლუტურად მცდარია“, რომ „დღემდის XVIII ს. 60-იანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო გამოვლენის 1765 წ. პაატა ბატონიშვილის შეთქმულების განმსაზღვრელი მომენტები, სოციალური ბაზა, მიზეზები, მიზნები, მთავარი მიმართულება და კონცეფცია უცნობი დარჩა“ (სადისერტაციო ნაშრომი. გვ. 40).

შეთქმულების წინამავალი პერიოდის ისტორიული მიმოხილვისას დისერტანტი, ვფიქრობ, მცდარად აფასებს თეიმურაზ I-ის მოღვაწეობას, თავისი შედეგებით მის დიდმნიშვნელოვან შეუპოვარ ბრძოლას ქართველობისათვის. საბოლოოდ თეიმურაზის შაჰისადმი დამორჩილება, დისერტანტის აზრით, თითქოს მთელი მისი ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლის ამაოების მართებული აღიარებაა თვით თეიმურაზის მიერვე (გვ. 4).

აღნიშნული მქონდა და ვიმეორებ, სადისერტაციო ნაშრომში დაზუსტებულია პაატა ბატონიშვილის ბიოგრაფიის დეტალები, მაგრამ ზოგჯერ წყაროების უქონლობის გამო, ვფიქრობ, უმჯობესი იყო დისერტანტს თავი შეეკავებინა დაუსაბუთებელი დაზუსტებებისაგან. მაგალითად, მართალია, სქოლიოში, მაგრამ მაინც აღნიშნულია, რომ სხვადასხვა არაპირდაპირი ცნობისა თუ ტრადიციის გათვალისწინებით, პაატა 1720-1722 წწ. არის დაბადებული, რომ პაატა და ვახუშტი ბატონიშვილი დედიტაც ძმები არიან, ხოლო მათი დედა თავთაქიშვილის ქალი უნდა ყოფილიყო. ნაშრომის სხვა სქოლიოში გამოთქმულია ვარაუდი, რომ პაატა, რამდენადაც მას მეფე ერეკლეს საველე კარავში მრავალგზის გაუთევია ღამე, მეფის მთავარი სამხედრო კონსულტანტი იყო (გვ. 234, შენიშვნა 1).

ზემოთ აღნიშნული ჰიპოთეზების დასადასტურებლად დისერტანტი არავითარ კონკრეტულ მასალაზე არ მიგვითითებს. პაატა ბატონიშვილის რამდენიმე წარუმატებელი ცდა მოხვედრილიყო რუსეთის სამხედრო სამსახურში, ის ამბავი, რომ იგი მეტად ზედაპირულად იცნობდა არტილერიის საქმეს, რომ ზარბაზნებისა და ფორტიფიკაციისა პრაქტიკულად არაფერი გაეგებოდა, ცხადია, არ გამოდგება იმის დასამტკიცებლად, რომ იგი გამოცდილი სარდლის, ერეკლე II-ის, მთავარი სამხედრო კონსულტანტი იყო. ასევე სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა ყოფილიყო პაატა ქალაქ თბილისის მოურავი. ცხადია, ამის დასასაბუთებლად არ გამოდგება ის, რომ პაატას თბილისში ქონება ჰქონდა და დაახლოებული იყო თბილისურ წრეებთან.

დისერტანტმა მშვენივრად იცის, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პაატა ბატონიშვილის შეთქმულება, სრულიად მართებულად, კვალიფიცირებულია როგორც დინასტიურ შუღლზე აღმოცენებული რეაქციონერი თავადების გამოსვლა მეფის წინააღმდეგ. ამ შიდაკლასობრივ დაპირისპირებაში ერეკლე II-ის ბრძოლა სამეფო ცენტრალიზმისათვის უდავოდ პროგრესული მოვლენა იყო. ბრძოლა მის წინააღმდეგ ქვეყნისათვის საზიანოა. მიუხედავად ამისა, დისერტანტი 1765 წლის შეთქმულებაში გამოყოფს ე. წ. დემოკრატიულ პროგრესულ დაჯგუფებას. სადისერტაციო ნაშრომის მთავარ ნაკლად მიმაჩნია პაატა ბატონიშვილის წარმოჩენა რალაც დუალისტურ პიროვნებად, რომელიც თავისი სუბიექტური შეხედულებებით, თავისი პოლიტიკური მრწამსით მხოლოდ დისერტანტისეული „დემოკრატიული“ დაჯგუფების ლიდერია, ხოლო შეთქმულების არისტოკრატიული ნაწილი მას ტახტის რეალურ პრეტენდენტად არც მიიჩნევს.

შემორჩენილ მცირე ოდენობის ცნობებში აბსოლუტურად არაფერია დაცული პაატა ბატონიშვილის პროგრესული შეხედულებების შესახებ. პაატა მოჩანს როგორც არაშორსმჭვრეტელი, ახირებული, მოავანტიურისტო პიროვნება. ამაზე მიგვანიშნებს რუსეთიდან მისი გამოპარვის მთელი ოდისეა, ის, რომ პაატა დახმარებას სთხოვს რუსეთის მეფის ერთგულ მსახურს, თავის ძმას გენერალ გიორგის და წერილში შეურაცხყოფას აყენებს მას: მაგისტანა ქვეყანაში, სადაც ცხოვრობ, „კაცმა როგორ გასძლოს, თუ კაცია კაცთაგანი“-ო (გვ. 81). ალექსანდრე ამილახვარი ერთგან წერს, რომ პაატამ უგუნურება ჩაიდინა, სხვაგან კი აღნიშნავს, რომ პაატა უცნაური კაცი იყო.

არ შეიძლება პაატას შეხედულებების პროგრესულობა ვამტკიცოთ მის მიერ შეთქმულებაში იოსებ ემინის ჩათრევის უნაყოფო ცდის გამო, როგორი პროგრესული შეხედულებებიც არ უნდა ჰქონოდა ამ უკანასკნელს. უამრავი მაგალითი ვიცით, როდესაც რიგ შემთხვევებში საერთო მიზნის გამო ანტაგონისტურად განწყობილი ძალებიც კი ერთიანდებიან.

დისერტანტი, ვფიქრობ, უსაფუძვლოდ, აცხადებს, რომ ალექსანდრე ამილახვარს „ზოგიერთი დემოკრატიული მისწრაფება სწორედ პაატა ბატონიშვილის ზეგავლენით შეიძლება გასჩენოდა“ (გვ. 139).

სიტყვამ მოიტანა და აქვე შევნიშნავთ, რომ 1765 წლის შეთქმულების მონაწილის ალექსანდრე ამილახვრის მსოფლმხედველობის შესწავლას სადისერტაციო ნაშრომში საკმაოდ გილი აქვს დათმობილი. ალექსანდრე ამილახვრის თხზულება „გეორგიანული ისტორია“, მართალია, ტენდენციური, მაგრამ ძვირფასი წყაროა შეთქმულების ისტორიისათვის. რაც შეეხება ალექსანდრე ამილახვრის მსოფლმხედველობას სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ, რაც გადმოცემულია თხზულებაში „ბრძენი აღმოსავლეთისა“, დანერილია შეთქმულების დამარცხებიდან კარგა ხნის შემდგომ – 1780 წ. განმანათლებლური ფრაზეოლოგია ალექსანდრე ამილახვარმა რუსეთში ემიგრაციისას შეითვისა. შეთქმულების დროს ალექსანდრე 15 წლის იყო. და უნდა ვიფიქროთ, დაკავშირებული იყო შეთქმულებასთან არა რაიმე პოლიტიკური შეხედულებებით, არამედ როგორც დიმიტრი ამილახვრის შვილი, ხოლო მკაცრად დაისაჯა ყმანვილური ყოყლოჩინობის გამო. ამდენად, ალექსანდრე ამილახვრის ჩვენთვის ცნობილ იდეოლოგიას მეტად პირობითი კავშირი აქვს საკუთრივ შეთქმულებასთან, შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ დამარცხებული შეთქმულების იდეოლოგიურ მემკვიდრეობაზე. ალექსანდრე ამილახვარი თავადური პოზიციიდან ცდილობს დაამტკიცოს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა. ამასთან ერთად, მას შესანიშნავად ესმის, რომ არ შეიძლება თუნდაც ძალიან მომხიბვლელი კანონების მზამზარეული სახით ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანა. მისი იდეოლოგია ევროპულად განათლებული ქართველი თავადის იდეოლოგიაა.

ალექსანდრე ამილახვრის პოლიტიკური იდეოლოგია მეტად ობიექტურად, ავკარგიანად არის შესწავლილი და შეფასებული ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის გ. აკოფაშ-

ვილის მიერ. ვერ გავიზიარებთ დისერტანტის შეხედულებას, რომელიც საექვოდ მიიჩნევს გ. აკოფაშვილის ზოგიერთ მოსაზრებას ამ საკითხზე.

დისერტანტი წერს: „ვეფიქრობთ, მკვლევარი გ. აკოფაშვილი ცოტათი აჭარბებს, როდესაც ალ. ამილახვრის კონცეფციას მხოლოდ თავადურ მსოფლმხედველობად მიიჩნევს, საერთოდ ასევე საექვო უნდა იყოს თავადური მსოფლმხედველობის ხელალებით და უშენიშვნოდ რეაქციულად გამოცხადება. ასეთი დასკვნების გაკეთების შემდეგ, აუხსნელი რჩება ერთი შეხედვით თითქოს უცნაური მოვლენა: „ქვეყნის დამლუბველი“ თავადური თეორიის წინააღმდეგ წარმატებით მებრძოლ ერეკლეს როგორ ჩამოექცა თავზე ქართული სახელმწიფო“ (გვ. 138). იძულებული ვარ გავიმეორო ქართულ ისტორიოგრაფიაში კარგად ცნობილი ახსნა ამ ვითარებისა: ერეკლეს წარუმატებლობა გამოიწვია საქართველოში თავადური რეაქციის ასალაგმავად სამეფო ცენტრალიზმისათვის საყრდენი სოციალური ძალის არარსებობამ და არა იმან, რომ ერეკლე ვერ ჩასწვდა თავადური პროგრესული იდეოლოგიის მომენტებს, ვერ გამოიყენა იგი თავის სასარგებლოდ.

აქვე უნდა დავძინო, სავსებით მართებული განცხადების შემდგომ, რომ „ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის ყოველგვარი მტერი ფეოდალურ ეპოქაში ობიექტურად ებრძვის პროგრესს“, დისერტანტი უცნაურად ავითარებს აზრს და ამბობს: „ობიექტურად რეაქციულობა“, ყოველთვის არ გვაძლევს უფლებას სუბიექტის ანტიეროვნულ ბანაკში დგომა ვამტკიცოთ“ (გვ. 140). ამ პარადოქსის გამართლებას დისერტანტი შეთქმულების მონაწილე თავადების წინაპართა წარსული პატრიოტული დამსახურების აღნიშვნით ცდილობს, ამასთანავე, იგი აყალიბებს შეთქმული თავადების პოლიტიკურ პროგრამას, რომელიც მისი გაგებითაც რეაქციულია. აქ აშკარად მოჩანს დისერტანტის სურვილი, მაინცდამაინც ახლებურად გაიაზროს შეთქმულების არსი.

შეთქმულების ახლებურად გააზრების სურვილით არის ნაკარნახევი დისერტანტის მიერ მასში „დემოკრატიული“ ნაკადის გამოყოფა. ამასთან, ამ ნაკადის არსებობის ერთ-ერთ დამამტკიცებელ არგუმენტად დისერტანტს მიაჩნია ის, რომ პაატა ბატონიშვილმა შეთქმულებაში მონაწილეობა შესთავაზა იოსებ ემინს, დისერტანტის გამოთქმით, „ინდოეთის სომხური ბურჟუაზიის მთავარ აპოლოგეტს“. ამავ მოსაზრებისათვის დისერტანტი იყენებს პროფესორ ა. იოსელიანის დაკვირვებებს იმის შესახებ, რომ პაატას შეთქმულებაში „ფეოდალური არისტოკრატის ზედაფენებთან ერთად გლეხები და მოქალაქეებიც იყვნენ ჩათრეულნი“, რომ შეთქმულებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული „ამიერკავკასიის ხალხთა დიდი მომღერლის საიათნოვას ცხოვრებაც“.

სავსებით ბუნებრივია, რომ პაატას შეთქმულებაში მოქალაქეებიც და გლეხებიც იყვნენ ჩათრეული. იგივე დათუნა ფეიქარი, ამ შეთქმულების გამცემი, გლეხი იყო. ფეოდალურ საზოგადოებაში პირველ რიგში გლეხი, იგივე მოქალაქე-ვაჭარიც თავისი სოციალური მდგომარეობის გამო მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ამა თუ იმ ფეოდალზე და იძულებულია აკეთოს ის, რაც ფეოდალს სურს, თუნდაც ეს ქმედება მისი პიროვნული ინტერესების საზიანო იყოს. ამიტომ გლეხების, მოქალაქეების შეთქმულებაში მონაწილეობის ფაქტი თავისთავად სრულებითაც არ მიგვანიშნებს იმაზე, რომ ამ უკანასკნელებს შეთქმულებაში რაიმე საკუთარი პლატფორმა გააჩნდათ. არც ერთ წყაროში არავითარი მინიშნება არ არის იმის შესახებ, რომ შეთქმულებაში რაიმე „დემოკრატიული“ ნაკადი ყოფილიყოს. თუმცა ძალიან საეჭვოა, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, შეთქმულებაში ბატონყმობის საწინააღმდეგო ლექსების ავტორის საიათნოვას აქტიური მონაწილეობა რომც დამტკიცდეს, ცხადია, პრინციპულად არაფერი იცვლება.

ვთქვათ, დისერტანტი მართალია, როდესაც აცხადებს, რომ პაატას შეთქმულებაში არსებობდა ე.წ. დემოკრატიული ფრთა, რომელიც თავადური სახელმწიფოს მთავარ იდეას არ გა-

იზიარებდა, და ცალკე იდგა შეთქმულებაში, ვინაიდან მისთვის ალექსანდრე ამილახვრის სახელმწიფოებრივი კონცეფციის ძირითადი დოგმები გაუგებარი იქნებოდა. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ალექსანდრე ამილახვრის გვიან ჩამოყალიბებული კონცეფციები აქ არაფერ შუაშია, ნყაროებისა და მეცნიერული ლიტერატურის ან თუნდაც რაიმე ლოგიკური სქემის საფუძველზე, დისერტანტს უნდა გამოეკვეთა ის სოციალურ-ეკონომიკური ნანამძღვრები, რაც ამ ჯგუფს „უნესრიგობაში ნესრიგის შემტანი“, „ბატონ-ყმობის რიგის“ დამცველი, ცენტრალიზმისათვის მეზობლი პროგრესული მოღვაწის, ერეკლეს, მონინალმდეგეთა ბანაკისაკენ უბიძგებდა.

ვაჭარ-ხელოსნები, „მდიდრები“ სწორედ ის ძალაა, რომელსაც განიხილავენ მეფის პოტენციურ მოკავშირედ ცენტრალიზმისათვის ბრძოლაში. თავადური სეპარატიზმის ასალაგმავად მეფესთან კავშირისაკენ მოუწოდებს ამ სოციალურ დაჯგუფებას მისი სასიცოცხლო ინტერესები. ამ სოციალური ძალების სისუსტე, ვიმეორებ, იყო მიზეზი ერეკლეს ტრაგედიისა თავადურ რეაქციასთან ბრძოლაში.

ვფიქრობ, დისერტანტი სავსებით მართალია, როდესაც პაატასთვის ევროპული, ანგლოფილური შეხედულებების მიწერის ნყაროდ მიიჩნევს ზ. ჭიჭინაძეს. კარგად არის ახსნილი, თუ რაში დასჭირდა ეს ზ. ჭიჭინაძეს. უმჯობესი იყო დისერტანტი აქ შეჩერებულიყო. აპელირება დრამატურგ ლ. გოთუას დრამაზე საჭირო აღარ იყო (გვ. 172).

სამწუხაროდ, სადისერტაციო ნაშრომში საკმაოდაა ენობრივ-სტილისტური ხასიათის შეცდომები. ნაშრომს აბუნდოვანებს ავტორის მიდრეკილება ქვეტექსტებით საუბრისაკენ. თვითნებურად ხმარობს დისერტანტი ბრჭყალებს, რის შედეგადაც ხშირად ნაგულისხმევის ნაცვლად სრულიად სანინალმდეგო აზრი გამოუდის. ამავე მიზეზით, ვფიქრობ, მის უნებურად, იგი ერთგვარად უპატივცემულოდ იხსენებს ისტორიკოს მკვლევარებს: ზ. ჭიჭინაძეს, ი. ლორთქიფანიძეს, ალ. ფირცხალაიშვილს.

გლახობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და კლასობრივი ბრძოლა XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში¹

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის სათაური ამ-
კარად მეტყველებს შერჩეული თემის აქტუალობაზე. ფე-
ოდალური საზოგადოების ძირითადი მწარმოებელი კლასის
– გლახობის – სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გა-
მოკვლევის, მისი კლასობრივი ბრძოლის ისტორიის შესწავ-
ლის დიდი მნიშვნელობის შესახებ ორი აზრი არ არსებობს.

აღნიშნულ საკითხს, საქართველოს ისტორიის სხვადასხვა
პერიოდის მიხედვით, როგორც ეს სათანადოდ არის აღნიშნ-
ული სადისერტაციო ნაშრომის შესავალში, ბევრი ისტორიკო-
სი სწავლობდა და სწავლობს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გა-
ნსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში არიან ის ისტორიკოსები
(ამ შემთხვევაში – წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი), რომე-
ლნიც დასავლეთ საქართველოს ისტორიას სწავლობენ. ცნ-
ობილია, რომ საქართველოს ამ ნაწილის შესახებ გაცილებით
ნაკლები პირველწყარო არსებობს, ვიდრე ქართლ-კახეთის
შესახებ. ამის გამო სადისერტაციო ნაშრომის ავტორს მოუხ-
და ძალიან შრომატევადი სამუშაოს განევა. იგი იყენებს ფო-
ლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებს, ხშირად იძულებულია
მოგვიანო პერიოდის დოკუმენტების გამოყენებით რეტროს-
პექტულად აღადგინოს სოციალურ-ეკონომიკური ყოფისა, თუ
კლასობრივი ბრძოლის გამოვლენის ესა თუ ის მომენტი. ამიტ-
ომ მისი ნაშრომის დადებით მხარედ უნდა მივიჩნიოთ ის მორი-
დებულობა, რომლითაც ზოგჯერ გვთავაზობს დასკვნებს.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავლისაგან, ოთხი თა-
ვისაგან, სადაც სათანადო მეცნიერულ დონეზე სამეცნიერო
ლიტერატურისა და პირველწყაროების ჯეროვანი გამოყენე-
ბით განხილულია XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოს

1. ჯ. როგავას სადისერტაციო ნაშრომის რეცენზია. 1971 წ.

გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და მისი კლასობრივი ბრძოლის ფორმები. ნაშრომს დართული აქვს მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველზე მიღებული ავტორისეული დასკვნები. უთუოდ მნიშვნელოვანია ჯ. როგავას მიერ სხვადასხვა არქივსაცავში მოძიებული გამოუქვეყნებელი მასალებისა და მისი პირადი არქივის დოკუმენტების გამოყენება.

პირველ თავში დისერტანტს შესაძლებელი სისრულით ასახული აქვს XVIII ს. დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალური სტრუქტურა, გამოკვლეული აქვს გლეხთა კატეგორიები, მათი ბეგარა-ვალდებულებანი. გლეხთა კატეგორიების დადგენისას დისერტანტი ცდილობს იხელმძღვანელოს არა მხოლოდ გლეხთა ქონებრივ-ეკონომიკური მდგომარეობის გამოვლენის პრინციპით, არამედ სწავლობს მათ უფლებრივ-იურიდიულ სტატუსსაც. ცნობილია, რომ გლეხთა კლასი, მოკიდებული მისი წარმოქმნიდან, მუდმივ დიფერენციაციას განიცდის და სავსებით მართალია დისერტანტი, როდესაც ხაზგასმით აღნიშნავს გლეხთა კატეგორიებს შორის არსებული მიჯნის მერყეობას.

კარგად არის გამოვლენილი ანტაგონიზმის საფუძველი, რასაც იწვევს მინის ფეოდალური საკუთრება. კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ნაჩვენებია მეზატონის ტენდენცია, დაარღვიოს „ბატონ-ყმობის რიგი“, გაზარდოს ბეგარა-გამოსაღებები; მისი მცდელობა, არა მარტო დაბეგროს, არამედ მიითვისოს თვით გლეხის ნასყიდი მიწაც. აქვეა დახასიათებული, თუ რას წარმოადგენს გლეხის მეურნეობა, მისი სახლ-კარი, როგორია მისი სამოსი, რა სამუშაო იარაღებს იყენებს და რა ურთიერთობა აქვს თავისი ნაწარმით ბაზართან.

ცალკეა შესწავლილი ბატონისა და ყმის უფლებრივი ურთიერთობა. კარგად არის ნაჩვენები სამართლებრივი ნორმების გაუგონარი დარღვევები მეზატონეთა მიერ, რასაც ყმა-გლეხი მონის მდგომარეობამდე დაჰყავდა და რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა დასავლეთ საქართველოში ქართულ ფეოდალურ სამეფო-სამთავროთა არსებობის უკანასკნელ

პერიოდში. აქვეა დახასიათებული დასავლეთ საქართველოში მეტად გავრცელებული ე. წ. ტყვის სყიდვის სოციალური არსი, მისი საზარელი შედეგები.

განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დისერტაციის უკანასკნელი, მეოთხე, თავი, სადაც ბატონყმურ ურთიერთობათა გამწვავების ფონზე, ნაჩვენებია გაღრმავებული კლასობრივი ბრძოლა. ნაშრომში ასახულია გლეხთა კლასობრივი ბრძოლის როგორც აქტიური, ისე პასიური ფორმები. გლეხი ცდილობს აიძულოს მებატონე დაიცვას „ბატონ-ყმობის რიგი“, რისთვისაც ჩივის მის უკანონო საქციელზე მეფე-მთავართან. ნაჩვენებია ასეთი სარჩელის („დავის“ ანუ „დეობის“) კონკრეტული მაგალითები. მსგავსი პასიური ბრძოლის შემთხვევები მრავალია, როდესაც გლეხი ცდილობს თავი დააღწიოს მძიმე ბატონყმურ ურთიერთობას თავის გამოსყიდვის გზით, ან აიყრება და გარბის მებატონისაგან, ხიზნად მიუდის სხვა ბატონს. ხშირად გლეხი უარს ამბობს დამძიმებულ ფეოდალურ ვალდებულებათა შესრულებაზე, გადის ყაჩაღად, „ფირალად“ და იარაღით ხელში იბრძვის ბატონის წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ ასეთი მოვლენები ხშირად კოლექტიურ ხასიათს ატარებენ, მაგალითად, ფეოდალების – ლაკერბასა და აჩბას – წინააღმდეგ გლეხთა ჯანყი. ფეოდალთა წინააღმდეგ გლეხთა ბრძოლის ნათელი მაჩვენებელია იმერეთის გლეხთა მოძრაობა 1785-1786 წწ.

ხიზნობის სოციალური ინსტიტუტის წარმოქმნის კლასობრივი ბრძოლის ფორმებით ახსნისას ავტორს ტრადიციულ-ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით მოცემული აქვს მეუნარგიებისა და საკუთარი გვარის – როგავას – სამეგრელოში ჩამოსახლების საინტერესო ისტორია, რაც ორგანულად უკავშირდება სადისერტაციო თემას. შესაძლებელია ჩემი შენიშვნა კონკრეტულ შემთხვევაში არც იყოს მართებული, მით უმეტეს, რომ დისერტანტი გადაჭრით არაფერს ამტკიცებს, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ, ჩანს, ვენდეტის „რომანტიკით“ გატაცების გამო, თითქმის ყველა მთური წარმოშობის

გვარის ბარში ჩამოსახლებას კაცის შემოკედლომით ხსნის. ამ რიგის მასალა რომ განაზოგადო, ისე გამოდის, რომ მთის მცირემინიანობა და მიგრაციული პროცესების ამხსნელი სხვა საფუძვლები ძველად თითქოს არც არსებულა.

თქმა არ უნდა, ყველა ის დასკვნა, რომელიც ნაშრომის დასასრულსაა მოცემული, ავტორისეული სრული ორიგინალურობით ვერ დაიკვეხებს. აქ გამოყენებულია, და ასეც უნდა იყოს, წინამავალ ისტორიკოსთა კვლევის საფუძველზე დადგენილი მომენტები. ისიც ცხადია, რომ კიდევ ბევრის გაკეთება შეიძლება წარმოდგენილი საკითხის შესწავლის გაღრმავების საქმეში, მაგრამ ჯ. როგავას მეტად შრომატევადი სამუშაო აქვს შესრულებული. მისი ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ დისერტანტი დაუფლებულია მეცნიერული კვლევა-ძიების მეთოდებს. სადისერტაციო ნაშრომი საქართველოს სოციალური ისტორიოგრაფიის კარგი შენაძენია. აღნიშნულის გამო ვშუამდგომლობ ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რათა ჯანიერ აპოლონის ძე როგავას მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

Печатью большой душевной теплоты, дружеской любви, а также неподдельного юмора, отмечен стихотворный диалог между Акакием Церетели и Георгием Шарвашидзе. Все вышеуказанные моменты вообще характерны для всех произведений писателя. Особо следует подчеркнуть, что юмор, присущий Георгию Шарвашидзе, пронизан большим человеколюбием, тактом, мягкостью. Писатель не ставит перед собой цель оскорбить кого-либо. Отвечая журналисту, злопыхателю Лоренцу, он пишет: „У г. Лоренца, по-видимому, претензия на остроумие, но, к сожалению, он смешивает злословие с остроумием, между ними очень большая разница“.

Все поэтические произведения Георгия Шарвашидзе, даже те, которые сохранились в частных альбомах и не предназначались для публикации, написаны талантливо. „И с точки зрения формы поэзии Георгия Шарвашидзе, – писал С. И. Джанашиа, – стоит на высоком уровне, его образы оригинальны и неожиданны, ритм – чарующий, слог – ясный и не подлежит изменению“.

Сохранившиеся русские стихотворения поэта, видимо, не предназначались для печати. Это лирические стихи, записанные в домашних литературных альбомах. Стихи эти являются подражательством, но подражательством великому Пушкину и опять-таки доказательством таланта их автора, свидетельством, как превосходно владел он русским языком. Свою высокую гражданскую позицию доказал Георгий Шарвашидзе, сделав русский перевод широко известного стихотворения Маами Гуриели „Человек“.

Большой патриот Георгий Шарвашидзе, рассуждая о проблемах патриотизма и космополитизма, писал: „Патриотизм – это чувство, космополитизм – идея! Первое требует выполнения реального долга, второе же является хорошей мечтой“.

Писатель, горячо любивший свою родину, одновременно был большим интернационалистом. К нему обращены слова: „В высшем сословии ты первый возвысил сознание уважения ко всем кавказским народам. Тридцать лет тому назад не только чужестранцы, но и просвещенная часть нашего общества с некоторой жалостью, свысока смотрела на нашу нацию. Стыдились даже беседовать о проблемах значения нации. У нас ведь избалованные высокие, средние и даже мелкие чиновники

в каком-то насмешливом тоне говорили о „туземцах“. Однако ты первый возвысил голос в защиту чести твоего угнетенного народа. Многие высокопоставленные чиновники и сановники испытали твой страшный гнев и даже испытали на себе твою физическую силу за то, что непочтительно отозвались о нашем народе и нашей национальности“.

В указанном плане большой интерес представляет письмо Георгия Шарвашидзе редактору газеты „Берлинер Тагеблат“, напечатанное в „Закавказской речи“ (1911 год №146), гневно осуждающее злопыхательскую статью корреспондента указанной берлинской газеты Лоренца. „Этот народ, – писал Г. Шарвашидзе, – к которому он отнесся презрительно, имеет блестящее историческое прошлое... Грузины – рыцари, ходившие в крестовый поход поборниками первого христианства, стояли у врат Кавказа на часах с мечами наголо в течение пятнадцати веков не для того, чтобы врваться в чужие страны и расхищать чужое добро, а для защиты отечества... У грузин есть богатейшая древняя эпическая литература, сравниваемая с мировыми произведениями... В иерархии грузинских царей и народа встречаются имена необыкновенных героев и людей гениальной мудрости ...“

По поводу указанной статьи писатель Антон Пурцеладзе с чувством благодарности писал Георгию Шарвашидзе: „Я давно знал Вас как человека, сердечно любящего нашу обездоленную страну... Я еще раз убедился в Вашей любви к нашей стране и в Ваших литературных дарованиях“.

Георгий Шарвашидзе по-рыцарски, с интернациональных позиций боролся также против проявления социального притеснения. Армянская социал-демократическая газета „Паикар“ с чувством благодарности отмечала, что в 1904 году Георгий Шарвашидзе выступил в защиту армянских поселенцев территории Абхазии.

Для полноты отображения литературной деятельности писателя необходимо сказать хотя бы несколько слов об его театральных рецензиях.

Истинный ценитель сценического искусства Георгий Шарвашидзе всегда находился в гуще театральных событий. Читая его искрение, талантливо написанные рецензии, человек весьма рельефно может представить себе, что происходило на сцене. Давая оценку мастерству корифеев грузинской сцены: Ладо Месхишвили, Васо

Абашидзе, Валериана Гуния, М. Сафаровой-Абашидзе, Е. Черкезишвили, Коте Кипиани и др. писатель не прибегает к восторженным лозунгам, не теряет чувства меры и объективности. В рецензиях острым глазом знатока подмечаются молодые дарования.

Рецензии написаны на высоком профессиональном уровне: дается оценка самого драматургического произведения; оценка отдельных пьес, мизансцен. Рецензент с присущей ему доброжелательностью и тактом указывает на отдельные огрехи режиссуры, артистов, драматургии. Например, в некоторых рецензиях говорится об оплошностях, допущенных в костюмировании, в заучивании ролей артистами и т. д.

Писателя и общественного деятеля Георгия Шарвашидзе особо интересует социальное значение театра и поэтому почти во всех рецензиях он акцентированно подмечает проблему посещаемости театра обществом и часто, с болью в сердце, констатирует равнодушное отношение к театру, выраженное в малочисленности зрителей.

Как истинный ценитель театра, писатель посещает спектакли не только грузинской театральной труппы. Он пишет рецензию о спектакле „Ханума“, поставленного армянской труппой на бенефисе артистки Вардуи („Иверия“, 24 ноября 1893 г. №254). В рецензии отмечено, что песни на спектакле исполнялись на грузинском языке и что публика пришла в восторг в связи с отличным исполнением лекури артистами Черкезишвили и Ацкурели.

В „Иверии“ напечатана статья писателя по поводу грузинского литературного вечера (9 декабря 1893 г. №266). Не было в его правилах кривить душой, красочно и только лишь восторженно описывать события. Он критически оценивает выступление Л. Месхишвили, говорит о восторге общества, вызванного тем, что Акакий Церетели на вечере прочел несколько своих неопубликованных стихов, отмечает прекрасное выступление В. Абашидзе и Гедеванишвили. Далее Г. Шарвашидзе пишет: „Русский музыкальный ансамбль-то сумел исполнить „Лекури“, однако, к сожалению, грузинское общество, собравшееся на грузинском литературном вечере, не выявило умение танцевать „Лекури“. У вальса и мазурки нашлись рьяные поклонники тогда, когда национальный танец оказался забитым в угол и не привлекал ничьего внимания“.

В театральных рецензиях Г. Шарвашидзе особое место занимает также призыв к языковому пуризму. Он борется против искажения языковых норм, которое подчас имело место со стороны артистов, а иногда являлось виной переводчиков пьес с русского языка на грузинский.

Вынужденный жить вне пределов родной Абхазии, писатель-патриот подписывал свои рецензии псевдонимом „Изгнанник“.

Писатель хорошо видел язвы, разъедающие западную цивилизацию. „Да, мы еще не дошли до европейской высшей цивилизации, где животные имеют преимущество перед людьми. Так, например, олени занимают обширные пространства парков, а люди, не имея клочка земли, задыхаются в копиях, за тяжелыми работами; великолепные здания выстроены для лошадей, их кормят, поят и холят, а человек, не имея двух пенсов для ночлега, зачастую издыхает на дворе“.

Уважение к человеку, в особенности к обездоленному, это характерная черта Г. М. Шарвашидзе. Будучи настоящим демократом, на своей визитной карточке он просто напечатал „Георгий Шарвашидзе“. Нет там никакого указания на чины, регалии, на принадлежность к высшему сословию.

Георгий Шарвашидзе отличался прекрасной внешностью. Знаменательно, что именно его избрал для олицетворения образа Тарнела при театрализованной постановке живых картин по „Витязю в тигровой шкуре“ известный венгерский художник Михай Зичи. Писатель олицетворял как раз тип рафинированного интеллигента-абхазца, судя по которому в грузинских общественных кругах сложилось понятие об утонченной воспитанности.

Скончался Георгий Михайлович Шарвашидзе 19 февраля 1918 года и похоронен рядом со своим отцом в Моквском соборе.

Георгий Михайлович Шарвашидзе – это символическое олицетворение многовекового братства между грузинским и абхазским народами.

„Как подобает истинному абхазцу, – писал Геронтий Кикодзе, – Георгий Шарвашидзе с одинаковой силой любил мать, родившую его, а также мать, которая вскормила его своим молоком. Он не изменил им и в пору их бедности и унижения и до конца своего жизненного пути сохранил веру, что обеих ждет счастливое будущее“.

საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას ხანგრძლივი, საინტერესო ისტორია და შესაბამისად საკმაოდ მდიდარი ისტორიოგრაფია აქვს. რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების ცდები შეიმჩნევა ადრეულ შუა საუკუნეებში, ქართული ფეოდალური სახელმწიფოს განვითარების ზენიტშიც, იმ დროს, როდესაც რუსეთი საქართველოს უშუალოდ არც კი ესაზღვრებოდა. დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების იმხანად გავრცელებული ფორმის შესაბამისად, ქართველი ბაგრატიონები დაუმოყვრდნენ კიევის მთავარს იზიასლავ მსტისლავის ძეს, თამარ მეფე დაქორწინდა ვლადიმირ-სუზდალის მთავრის ვაჟზე იური ბოგოლიუბსკიზე.

ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობათა შემდგომი გაღრმავება და თვით ფაქტიც საქართველოს რუსეთთან შეერთებისა ისტორიულ მოვლენათა განვითარების რამდენადმე ლოგიკური შედეგი იყო.

მოკიდებული XIII საუკუნიდან, შედეგად განუწყვეტელი შემოსევებისა, საქართველო, ერთ დროს წინა აზიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო, გამაერთიანებელი მთელი ამიერკავკასიისა, მკვეთრად თმობს პოზიციებს. ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების სიკეთით მომადლებული ქვეყანა ეკონომიკურად განყდა წელში, პოლიტიკურად დაიშალა შედარებით სუსტ სამეფო-სამთავროებად, გაუჭირდა დამოუკიდებლობის შენარჩუნება.

განსაკუთრებით დამძიმდა ვითარება მას შემდეგ, რაც 1453 წელს დაეცა კონსტანტინეპოლი და ცივილიზებული ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს აგრესიული თურქეთი გაუმეზობლდა. ამიერიდან ამიერკავკასია ირან-ოსმალეთის ინტერესთა შეჯახების ასპარეზად იქცა, მათ შორის გავლენის სფეროებად დანაწილდა. ირანსა და ოსმალეთს შორის 1555 წელს ამასიის ზავის დადებიდან მოკიდებული ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი ამ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა პოლიტიკური კონიუნქტურის მერყეობის შესაბამისი იყო. ამიერიდან აღმოსავლ-

ეთი საქართველო – ქართლ-კახეთი – ნილხვედრილია ირანის, ხოლო დასავლეთი – ოსმალეთისა. როგორც ცნობილია, თურქულ-ირანული ისტორიოგრაფია საქართველოს ისტორიას მთელი შუა საუკუნეების მანძილზე განიხილავს როგორც თავისი ურჩი პროვინციების ისტორიას. ამასთან, „საქართველოში, – აღნიშნავდა ნ. ბერძენიშვილი, – ერან-ოსმალეთის მძლავრობა და თავადურ-ბატონყმური სისტემა ერთიმეორეს ავსებდა და ერთიმეორეს გულისხმობდა“.

ფეოდალურად დაქუცმაცებული, პოლიტიკურად დასუსტებული საქართველოს ბედ-იღბლის მესვეურნი გამოსავალს ეძებენ. „გამოხსნა-აღდგენის“, განვითარების ნორმალური გზის ძიების გამუდმებული ცდების ისტორიაა საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორია. იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოს მეთაურები ცდილობენ ნეოსრიგი შეიტანონ ფეოდალურ უნესრიგობაში, გამოასწორონ მძიმე საშინაო მდგომარეობა. მიუხედავად ამისა, მტრული მუსლიმანური ქვეყნების გარემოცვაში მოქცეული საქართველო ვეღარ უმკლავდება არა მარტო ოსმალეთსა და ირანს, არამედ გვიან შუა საუკუნეებში საქართველოს მოსახლეობისათვის რისხვად გადაქცეულ ლეკთა ბელადების გამუდმებულ შემოსევებს – „ლეკიანობას“. დასავლეთ საქართველოში გამეფდა ტყვის სყიდვა, თვალსაჩინო გამოვლენა სიმახინჯისა: ქართველი ტყვედ ჰყავდა ქართველს, გამდიდრების სურვილი თრგუნავს ეროვნულ შეგნებას და გამუდმებული შემოსევების შედეგად ისედაც შეთხელებული მოსახლეობა კატასტროფულად კლებულობს. ქართველი ტყვეები მახლობელი აღმოსავლეთის თითქმის ყველა ტყვეთა ბაზარზე იყიდებოდნენ.

მძიმე მდგომარეობისაგან თავის დასაღწევად საქართველოს სახელმწიფოს მესვეურნი ამაოდ ცდილობდნენ დახმარება მიეღოთ ევროპისაგან. არც საფრანგეთმა და არც რომელიმე სხვა ევროპულმა სახელმწიფომ ხელი არ გამოიღო.

ვატიკანი მისიონერების გამოგზავნითა და კათოლიციზმის ქადაგებით დაკმაყოფილდა. ამაოდ დაშვრნენ ევროპაში

წარგზავნილი საქართველოს ელჩები: სულხან-საბა ორბელიანი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი და სხვანი. ევროპამ ვერასდროს შეიგნო საკუთარი რეალური ინტერესები საქართველოსა და ამიერკავკასიაში. უფრო მეტიც, „რუსეთთან ქიშპში ინგლისი და საფრანგეთი ამიერკავკასიის ხალხთა ერან-ოსმალეთისათვის დამონების მოღვაწეებად გამოდიოდნენ“ (ნ. ბერძენიშვილი).

XVIII საუკუნეში განსაკუთრებით გართულდა ქვეყნის საშინაო და საგარეო-პოლიტიკური სიტუაცია. ლეკიანობა იმდენად მძიმე, საშინელ მოვლენად იქცა, რომ დედაქალაქის – თბილისის მოსახლეობაც არ იყო დაზღვეული ტყვედ გატაცებისაგან. ნაპოლეონის ცნობილი მამლუქი რუსტამი ნაპოლეონის იმპერიის დამხობის შემდგომ, საფრანგეთში სასამართლო პროცესზე მოწმედ გამოსვლის დროს, ჩვენებაში აცხადებდა, რომ დაიბადა თბილისში, აქედან გაიტაცეს, ტყვედ გაყიდეს.

ნიშანდობლივია, რომ გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს იმდენად უჭირდა, ისე იყო ჩაკეტილი საკუთარ ნაჭუჭში, რომ იმ პერიოდის ქართულ ისტორიულ ქრონიკებს გარე სამყარო აღარც კი აინტერესებთ. „ამ დროს პატარა საქართველო და მისი გმირი, ნიჭიერი მეფე (ერეკლე II – ჯ. ო.), – წერდა ივ. ჯავახიშვილი, – განმარტოებული და განათლებულ ქვეყნიერებას ყოველმხრივ მოწყვეტილი იყო“.

საქართველოს ბედ-იღბლის მესვეურნი დარწმუნდნენ, რომ ერთადერთი სახელმწიფო, რომელთანაც რეალური, სასარგებლო ურთიერთობის დამყარება შეიძლებოდა, იყო ერთმორწმუნე, აღმავალი რუსეთი. სწორედ ამიტომ აქვს მზარდი ინტენსიფიკაციის ტენდენცია საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ კურსს, მიმართულს ჩრდილოეთით.

ერის საუკეთესო შვილებს კარგად ესმოდათ რუსეთზე აღებული გეზის უპირატესობა; ესმოდათ, რომ დაინტერესება ორმხრივი იყო. პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის ურთიერთობას დავეით გურამიშვილი ასე ახასიათებს:

„ვითარ ირემსა მამურალსა
 წყაროსა წყალი სწყუროდა,
 ეგრეთ მეფესა რუსეთის
 ხელმწიფის ნახვა სუროდა“.

მძიმე ბედ-იღბალი ერგო დ. გურამიშვილს, ცხოვრების უმძიმეს წუთებში რუსი კაზაკის მიერ მისთვის აღმოჩენილი დახმარების ამსახველი სტრიქონები ერთ-ერთი ყველაზე ადრეული პოეტური სიტყვებია, მაჩვენებელი ორი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა:

„როგორც რომ ერთმან ყაზახმან
 მე მაშინ მამიარაო,
 როცა რომ მყვანდა, მივლიდა
 მეტს მამაჩემი არაო;
 შევბრალდი გულზე მიმირქვა,
 მკოცნა და ცრემლი ღვარაო.“

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა განსაკუთრებით გაღრმავდა XVIII საუკუნის დამლევს, თეიმურაზ II-ისა და მისი მემკვიდრის ერეკლე II-ის მეფობის ხანაში. ამასთან, ერეკლე II იმდენად მყარად დადგა რუსულ თვალსაზრისზე, ისეთი შინაგანი რწმენით, რომ, როდესაც რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომში ნებაყოფლობით ჩაბმულ ქართველ მეფეს ავანტიურისტმა გენერალმა ტოტლებენმა ბევრი უსიამოვნება შეამთხვია, მოსალოდნელი გართულებების თავიდან ასაცილებლად გამოგზავნილი კაპიტანი იაზიკოვი განცვიფრებულიც კი დარჩა ერეკლეს ურყევი რუსული ორიენტაციით.

200 წლის წინათ, 1783 წლის 24 ივლისს 1 საათზე, ქალაქ გეორგიევსკში ხელმოწერილ იქნა ისტორიული ხელშეკრულება, რომლის ძალითაც საქართველო შედიოდა რუსეთის მფარველობაში. „ტრაქტატი, – წერდა ნ. ბერძენიშვილი, – საქართველოს ისტორიაში იყო უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი. ამ აქტით საქართველო გაემიჯნა აზიურ (ოსმალურ-ყიზილბაშურ) ჩამორჩენილობას და გადაჭრით პირი მიიქცია ჩრდილოეთისაკენ... საქართველოს ნებაყოფლობითი შესვლა

რუსეთის მფარველობაში, 1783 წლის აქტი, პროგრესის ძალა ეპოქალური გამარჯვება იყო“.

პროფესორი ა. ცაგარელი აღნიშნავდა, რომ თვით ისტორიამ მიანიშნა საქართველოს მოკავშირედ რუსეთი აერჩია, შესულიყო მის მფარველობაში.

ტრაქტატში, რომელიც რუსი და ქართველი ხალხების დამოხილება-დამეგობრების დოკუმენტია, კარგად მოჩანს ქართული სამეფო დინასტიის ბედი პერსპექტივაში. მომავალში მისი შთამომავლობის მიერ ტახტის დაკარგვის რეალური შესაძლებლობა აიძულებს ერეკლეს, დოკუმენტში ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ ბაგრატიონთა სამეფო პრეროგატივების ხელყოფა არ მომხდარიყო.

ისტორიულ მოვლენათა შემდგომ ეტაპზე, 1801 წლის 12 სექტემბერს, რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთს შეუერთა. საქართველოსათვის უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული მნიშვნელობის ამ მოვლენას დიდი ილია ასე აფასებდა: „დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი, დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ყღერა ხმლისა და მახვილისა მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწავდა და ჰბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, გათავდა რბევა და აკლება... დაუდგა ახალი ხანა, ხანა უშიშარი ცხოვრებისა სისხლდანთხეულ და ქრისტეს ჯვარისთვის ჯვარცმულ საქართველოს“.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებამ განსაზღვრა ისტორიული ბედ-იღბალი არა მარტო დანარჩენი საქართველოსი, არამედ უდიდესი გავლენა მოახდინა მთლიანად ამიერკავკასიის რეგიონის შემდგომ განვითარებაზე. XIX საუკუნის დასაწყისიდან კიდევ უფრო გააქტიურდნენ რუსული ორიენტაციის ძალები სომხეთში, ხოლო 1828 წლის 10 თებერვლის თურქმანჩაის ზავის თანახმად რუსეთმა შეიერთა სომხეთი. 1829 წლის 2 ოქტომბერს რუსეთ-ოსმალეთს შორის

დადებული ადრიანოპოლის ზავით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდნენ აზერბაიჯანული სახანოები.

საბჭოურ ისტორიოგრაფიას შესამჩნევი ტენდენცია ახასიათებს ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთების დამკვიდრების, ხალხთა შორის ისტორიულად ჩამოყალიბებული კეთილი ურთიერთობის გამოვლენის წინ წამოწევისა. ხალხთა შორის მეგობრობა ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერის ერთ-ერთი საფუძველია და ამიტომაც მიმდინარე წელს ქართველი ხალხი, მოძმე საბჭოთა ხალხებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, რუს ხალხთან ერთად, საზეიმო ვითარებაში აღნიშნავს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს.

ხალხთა შორის მეგობრობის ისტორიული ფესვების წარმოჩენა გარკვეულ აღმზრდელობით, სააგიტაციო-პროპაგანდისტულ მიზნებს ემსახურება. ამასთან, ეს მეტად დიდმნიშვნელოვანი მუშაობა ობიექტური ისტორიული პროცესების ასახვას წარმოადგენს. კონკრეტულ შემთხვევაში საქართველოს ბედ-იღბლის დაკავშირება რუსეთთან დადებითად აქვთ შეფასებული ნ. ბარათაშვილს, ი. ჭავჭავაძეს, ა. ნერეთელს, ვაჟა-ფშაველას, ი. გოგებაშვილს და სხვ.

რუსეთთან საქართველოს შეერთების სასიკეთო შედეგი, უპირველეს ყოვლისა, იყო ის, რომ გაჩანაგების პირას მისულმა მრავალტანჯულმა ქვეყანამ სული მოითქვა. ხალხს მომრავლების საშუალება მიეცა. როგორი არაზუსტიც უნდა იყოს იმდროინდელი დემოგრაფიული ცნობები, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის მოსახლეობა 35 000 ოჯახსლა მოითვლიდა, ამ თვალსაზრისით მდგომარეობა მაინც კატასტროფული იყო. საქმე იქამდე მივიდა, რომ მოსახლეობის მომრავლების მიზნით ფეოდალური სახელმწიფოს მეთაური – მეფე ერეკლე – ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ საფუძვლებს ხელყოფს: კანონით ყმობიდან ათავისუფლებს ტყვეობიდან სამშობლოში დაბრუნებულ გლეხებს.

ისტორიკოსი რეალურად მომხდარ მოვლენებს სწავლობს და აფასებს. ამდენად ალტერნატივა იმისა, შთანთქავედა თუ

არა ირანი ან ოსმალეთი საქართველოს, საკმაო დოზით შეიცავს მკითხაობის ელემენტს, თუმცა პირველის შესაძლებლობა უფრო სავარაუდო იყო. ბუნებრივია, აღნიშნული თვალსაზრისით რეტროსპექტივაში და განსაკუთრებით პერსპექტივაში ნათლად გამოიკვეთება სიკეთე საქართველოს ბედ-იღბლის დაკავშირებისა პროგრესის გზაზე დამდგარ აღმავალ რუსეთთან. ეს გარემოება კარგად ესმოდა სახელოვან სარდალს პეტრე ბაგრატიონს, რომელიც ოთარ ამილახვარს სწერდა: „თქვენ იცით, თუ რუსეთის უძლეველი მხედრობა და ყოვლის მონყალის ხელმწიფის საფარველი მაგ ქვეყანას არ შესწევდა, აქამდინ დიდსა უბედურებას მიეცემოდა“.

ქართლის ბედზე ღრმად დაფიქრებული ნ. ბარათაშვილი აღნიშნავდა:

„სადაც აქამდინ ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი, მუნ სამშვიდობო მოქალაქის მართავს ან ხელი“.

საქართველოს ისტორიის ღრმად გააზრების საფუძველზე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბელადი ი. ჭავჭავაძე კარგად ხედავდა რუსეთის პროგრესულ როლს საქართველოს მიმართ. „რა საჭიროა დამალვა, – წერდა იგი, – ჩვენ უცილობლად გვიყვარს ჩვენი სამშობლო, ხოლო არც საჭიროა სიყალბე; მარტო მით, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვიყვარს, გვიყვარს რუსეთიცა. ეს ისეთი ბუნებრივია, ისეთი ცხადია, ისეთი ადვილად გასაგებია საგანთა არსებობის მიხედვით. რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა წახდენისა და განადგურებისაგან, იგი დღესაც იფარავს მას ყოფილი წამებისა და ტანჯვის გამეორებისაგან, მან განუკურნა ჩვენ სამშობლოს მისი წყლული“.

საქართველო, რუსეთთან შეერთების შედეგად, რუსეთის მეშვეობით, ევროპული განვითარების გზას დაადგა. ნიშანდობლივია, რომ ეროვნული პროგრესის მოთავენი, ერის საუკეთესო შვილები, სწორედ რუსეთში სწავლა-განათლება მიღებული „თერგდალეულები“ იყვნენ. XIX საუკუნის საქართველოს კულტურულ-მეცნიერული განვითარება მთლიან-

ად რუსეთის გზით ევროპული განათლების ზიარების ნიშნით ხასიათდება. ამ ტრადიციის გაგრძელების აუცილებლობაზე მიუთითებდა 1914 წელს ა. წერეთელი: „როცა ჩვენმა წინაპრებმა მოგიწვიეს თქვენ, რუსები, მაშინ ჩვენც, შვილიშვილებს, დაგვიტოვეს ანდერძი: არ დავივიწყოთ სტუმართმოყვარეობა, გვიყვარდეს რუსები, მეგობრობა ვიქონიოთ მათთან და განუყრელად ვიაროთ ასეთი გზით“.

გეორგიევსკის ტრაქტატში ისტორიულ საზღვრებში საქართველოს აღდგენის პერსპექტივა არის დასახული. დღევანდელი საქართველო სრულიად წარმოუდგენელია ახალციხე-ახალქალაქის, ასპინძის, აჭარის გარეშე, რაც დედასამშობლოს სწორედ რუსული იარაღის შემწეობით დაუბრუნდა. პოლიტიკური კონიუნქტურის სირთულეები რომ არა, თურქთაგან მიტაცებული მთელი ისტორიული საქართველოს მიწების განთავისუფლებაც არაერთგზის იყო შესაძლებელი.

აღსანიშნავია, რომ პროგრესული როლი, რომელიც რუსეთმა მთელი აღმოსავლეთის მიმართ შეასრულა, ობიექტური პროცესების შედეგია და, რა თქმა უნდა, არ ემთხვეოდა ცარიზმის სუბიექტურ ზრახვებს. საკუთარი ხალხის მჩაგვრელი საიმპერიო მმართველობა, ცხადია, სხვა ხალხებისათვის, მათ შორის ქართველებისათვის, დიდად არ შეინუხებდა თავს, მაგრამ, მიუხედავად ცარიზმის მიერ განხორციელებული კოლონიური ჩაგვრისა, მართალი იყვნენ თაობები პროგრესულად მოაზროვნე ქართველებისა, რომელთაც კურსი რუსეთისაკენ აიღეს.

გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდგომ საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობის შეფასებისას საბჭოური ისტორიოგრაფია უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ქართველი და რუსი ხალხების დამეგობრების ისტორიული საწყისების წარმოჩენას. ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული რუსეთის არსებობის ვითარებაში, XIX საუკუნისა და მომდევნო პერიოდის ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების

საქმეში უდიდეს როლს ასრულებდა დეკაბრისტების, რევოლუციონერი-დემოკრატების – გერცენის, დობროლიუბოვის, ჩერნიშევსკის კეთილისმყოფელი გავლენა. ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბაირახტარი დიდი ილია თავისი მოღვაწეობის ადრეულ ეტაპზევე აყალიბებს თვალსაზრისს პროგრესულ რუსეთთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობის შესახებ.

XIX–XX საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოში საფუძველი ეყრება მეცნიერების მთელ რიგ ახალ დარგებს და სწორედ რუსეთის მეშვეობით ევროპულ, საკუთრივ რუსულ მეცნიერებასა და კულტურას ნაზიარები ქართველები უდგებიან სათავეში კვლავ ახლად ფეხადგმულ მეცნიერებას ჩვენში.

რუსეთთან საქართველოს შეერთების მნიშვნელობა ქართველი საზოგადოების გამოჩენილ, პროგრესულ მოღვაწეებთან ერთად შეგნებული ჰქონდა ქვეყნის ძირითად მწარმოებელ საზოგადოებას, გლეხობას. ცარისტული რუსეთის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ XIX საუკუნის დასაწყისში აჯანყებული ქართველი მთიელები და კახელი გლეხები აცხადებდნენ, რომ ისინი რუსეთისა და რუსების უარყოფელი არ იყვნენ.

ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები სავსებით რეალურად აფასებდნენ წინა აზიის პოლიტიკურ სიტუაციას, საქართველოს ადგილს საგარეო-პოლიტიკურ დაჯგუფებათა სისტემაში. ამიტომ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები მიილტვოდნენ რუსეთის სახელმწიფოში საქართველოსთვის ავტონომიური უფლებების მოპოვებისათვის. აღნიშნული თვალსაზრისის მომხრე იყო ვაჟა-ფშაველა, რომელიც აღნიშნავდა: „ჩემი ნათქვამი სეპარატიზმად, შოვინიზმად არ ჩამომართვათ, რადგან არც ერთი და არც მეორე ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის, არამედ გაიგოთ ისე, რომ საქართველო რუსეთის სხეულში, ორგანიზმში არ უნდა იყოს გათქვეფილი, როგორც უსულო სანოვაგე, არამედ მას ედგეს გვერდით, როგორც ცოცხალი სალი არსე-

ბა რუსეთთან ერთად მოსიარულე პროგრესის გზაზე, თავის მცნობელი, თავის ავისა და კარგის მგრძნობელი“.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთის პროგრესულ მოღვაწეთა კეთილისმყოფელ გავლენას განიცდიდა. ცარიზმთან ბრძოლაში ყველა პროგრესული ძალა ერთიანდებოდა და ეპოქის განმათავისუფლებელ მოძრაობად ყალიბდებოდა.

„მეცნიერება და ტექნიკა“, №11, 1987 წ.

ერთაშორის ურთიერთობის სფეროში კრიზისული ვითარების შესახებ¹

დღევანდელობამ მთელი სიმწვავეით, სიღრმით, ფართო მასშტაბით დაგვანახვა ეროვნული საკითხის უდიდესი მნიშვნელობა. ეროვნული საკითხის მოუგვარებლობა საქართველოს გარდა კარგად გამოჩნდა საკავშირო მასშტაბით: სომხეთში, აზერბაიჯანში, ბალტიისპირეთსა თუ შუა აზიაში. ეროვნული ტკივილების სიმძაფრე, მათი უგულვებელყოფა იყო ქვაკუთხედი 9 აპრილის სისხლიანი ტრაგედიისა. დღესდღეობით ეროვნულმა პრობლემამ უკანა პლანზე მოიტოვა სოციალური საკითხები. არცთუ ისე დიდი ხნის წინ კი ხმამაღალი მარშების გრიალში დიდი ზარ-ზეიმით ვაცხადებდით, რომ ჩვენს ქვეყანაში ეროვნული საკითხი ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილია. ახლო წარსულის გადასახედიდან არც არის ეს გასაკვირი – ყალბად გაგებული საექვო ღირსების ლოზუნგების გენერალიზაციის საფუძველზე მიჩნეული იყო, რომ მთავარია სოციალური საკითხი; რომ ეროვნული საკითხი წარმოებულ, დამოკიდებული საკითხია, ნაწილი რალაც მთელისა, რომ მას არა აქვს თვითკმარი ღირსება. ეროვნული ნიჰილიზმი საზოგადოების რევოლუციური განახლების, ძირეული გარდაქმნის დროშაზე იყო წარმოდგენილი და ამ ლოზუნგით, ვითომ ინტერნაციონალური პოზიციებიდან, ითრგუნებოდა ეროვნული. ამჟამად ეს თითქოს ძნელი დასაჯერებელიცაა, ანაქრონიზმად მოჩანს, მაგრამ ეროვნული ნიჰილიზმის დროშით „რევოლუციონერები“ წარმატებებს აღწევდნენ. ეროვნული ნიჰილიზმის, მისი პრაქტიკული განხორციელების სათავე რევოლუციურ დოქტრინებში იყო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ „ხალხის მტრობის“ უმძიმეს ბრალდებად სწორედ ეროვნული იდეების აღიარება მიიჩნიეს. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების სხვადასხვა შემადგენლობის მონაცვლეობისას ყოველი

1. სსრკ. მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა განცხადების ქართული თარგმანის წინათქმა.

ახალი ხელისუფალი, უპირველეს ყოვლისა, არარსებული ნაციონალისტების გამოგონება-დევენით იწყებდა საქმიანობას. შემზარავი რეპრესიების ხანაში იდევენებოდა ეროვნული ღირსების გამოვლენა, თრგუნავდნენ ყოველივე ჭეშმარიტად პატრიოტულს.

მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ხალხები მართლაც ერთად იბრძოდნენ, ერთად გაიმარჯვეს, მაგრამ ომი, ცხადია, ექსტრემალური სიტუაციაა და ომის შემდგომი პერიოდის ისტორიოგრაფიასა თუ ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებაში ყალბ საფუძვლებზე კიდევ უფრო განმტკიცდა ილუზია იმისა, თითქოს საბჭოთა ქვეყანაში ეროვნული საკითხი გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს. აღარავის ჰქონდა უფლება წარმოესახა საქმის რეალური ვითარება, რომლის დასახასიათებლად მარტო გამარჯვების ბანკეტზე რუსი ხალხისადმი მიძღვნილი სტალინის უზნეო სიტყვაც გამოდგებოდა. შემდეგ კვლავ აღორძინდა ეროვნებათა და ეროვნული ენების ურთიერთშერწყმის უგუნური თვალსაზრისი, დეკრეტიტ აპირებდნენ ეროვნული კუთვნილების აღნიშვნის გაუქმებას.

დღეს ყველა ერში და, ცხადია, ქართველებშიც, ახალი ძალით წარმოჩნდა ეროვნული თვითშეგნება, ჩვენი წარსულის ახლებური, სწორი გაგების მცდელობაზე დაფუძნებული პატრიოტიზმი, დაიღვარა უდანაშაულო ადამიანების სისხლი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა მიიღო ეთნოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტის მეცნიერ-ეთნოგრაფთა განცხადება, რომელსაც ვაქვეყნებთ ფართო საზოგადოების განსასჯელად. განცხადებაში მრავალ ღირსებასთან ერთად ინერციით აისახა ის ხარვეზებიც, რომლებიც ჩვენში ზოგადად ახასიათებდა ეროვნული საკითხების ეთნოგრაფიულ კვლევა-ძიებას, როდესაც ეროვნებათაშორის ურთიერთობათა კარდინალური პრობლემები განიხილებოდა, როგორც ვინრო თვალსაწიერის ეთნიკური პროცესები, როგორც ხალხების ამორფული შერწყმის, უფ-

რო მარტივად კი რუსიფიკაციის პერსპექტივა. სამწუხაროდ, განცხადება არ არის დაზღვეული ჭარბი მენტორული ტონისაგან, ერებს შორის უფრო ღრმა დაპირისპირებულობის შესაძლებლობის მქონე კატეგორიის მზამზარეული ფორმულირებებისაგან. აქვე უნდა სიამოვნებით დავძინო, რომ ეთნოგრაფიის ინსტიტუტი ახალი სასიკეთო გზის დასაწყისში დგას.

ეროვნული საკითხის შესწავლა თავისი გლობალურობით გულისხმობს მრავალი, ჰუმანიტარული თუ არაჰუმანიტარული დარგის ერთობლივ კომპლექსურ მუშაობას. მეცნიერ-ეთნოგრაფთა ქვემოთ წარმოდგენილი თვალსაზრისი, ვიმედოვნებთ, დააინტერესებს ფართო საზოგადოებას.

„ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 23 VI.

პირველი რუსი მარქსისტი¹

თითქოს დაიძრა ყინული. არის მცდელობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში არსებული „თეთრი ლაქების“ შევსებისა, მცდელობა იმ ნაყალბევის გასწორებისა, რასაც ჩვენი ოფიციალური ისტორიოგრაფია თანმიმდევრულად და გეგმაზომიერად ახორციელებდა ათეული წლების მანძილზე. მოსკოვის საისტორიო-საარქივო ინსტიტუტის რექტორმა, პროფესორმა ი. აფანასიევმა მწერლებისა და ისტორიკოსების მოსკოვურ შეხვედრაზე მაღალი ტრიბუნიდან განაცხადა, რომ მსოფლიოში არ ეგულება ქვეყანა, რომელსაც ჩვენს სახელმწიფოზე უფრო გაყალბებული ისტორია აქვს. ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები ისტორიკოსთა თაობებს „მოკლე კურსის“ თარგზე გამოჭრილ ფალსიფიცირებულ ისტორიას ასწავლიდნენ მხოლოდ, რომ არაფერი ვთქვათ იმ ხარვეზებზე, რომლებიც ფართო საზოგადოებას აქვს ისტორიის ცოდნის თვალსაზრისით. ისტორიის ფაკულტეტების დამთავრების შემდეგ, პროფესიონალმა ისტორიკოსებმა იცოდნენ, რომ ლევ ტროცკი ვერაგი, ბნელი და ცუდი კაცი იყო, მაგრამ რაში მდგომარეობდა მისი უარყოფითი თვისებები კონკრეტულად ან, უბრალოდ, რა საქმიანობას ეწეოდა ახლად შექმნილ სახელმწიფოში, ბურუსით იყო მოცული. იგივე შეიძლება ითქვას ბუხარინზე, რიკოვზე, კამენევზე, ტომსკიზე, რადეკზე...

პიროვნების როლის შეფასება ისტორიაში ჩვენში უკიდურესი პრიმიტივიზმით გამოირჩევა. არაფერი რომ არ ვთქვათ ფერების მრავალ ტონალობაზე, პიროვნების, ისტორიული ფაქტის, მოვლენის შესაფასებლად ჩვენ სპექტრალურ ფერებსაც არ ვიყენებთ. გვაქვს მხოლოდ თეთრი და შავი ფერები. თუ ვინმე შევაქეთ, ანგელოზად ვაქცევთ, ხოლო თუ ვინმე დავგმეთ, ისეთ სატანად წარმოვსახავთ, არაფერს დავუტოვებთ ადამიანურს. განსაკუთრებით სავალალო ის არის, რომ ისტორიული მოვლენების, პიროვნებების შეფასების აღნიშნული კრიტერიუმი ამჟამადაც ძალაშია. პარტიული და სა-

1. ს. ტიუტიუკინის წერილის ქართული თარგმანის ნინათქმა.

მოქალაქო რეაბილიტაციის შემდგომ დაუჯერებლად ნათელ ფერებში ცდილობენ წარმოსახონ იმავე ბუხარინის, რადეკის, ტომსკის, რეპრესირებული ქართველი ბოლშევიკების პიროვნებანი. ამასთან, ანგარიშს არ უნევენ, რომ, მართალია, ისინი რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ, მაგრამ სხვებისთვის ტყვია არ ენანებოდათ, მიაჩნდათ, რომ „ნათელ მომავალს“ დახვერტით მიაღწევდნენ (სხვისი არ ვიცი, მაგრამ ასეთი იდეების მოთაყვანე ნიკოლოზ ბუხარინი ისე შემაჯავრეს, დიდად მეეჭვება მასზე ოდესმე გული მომიბრუნდეს). აქვე უნდა დავძინო: მიჭირს, ესენინის აგრესიულად მოძულე იმავე ბუხარინის წარმოდგენა ნათელი გონების დახვეწილ ესთეტად.

აღნიშნულ ვითარებაში ჩამოყალიბებული ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა, ცხადია, ხშირად ანომალიურია. ეს ანომალია ჩვენს ყოფით ურთიერთობაშიც იჩენს თავს. ალბათ, დღესაც ხშირად მოჰკრავთ ყურს, ერთი კაცი მეორის აზრს რომ არ იზიარებს და ამბობს: დასაჭერია, დასახვერტია, რაებს ლაპარაკობსო.

მართალია, მარქსმა აღნიშნა, დღემდე არსებული ისტორია კლასთა ბრძოლის ისტორია არისო. ისიც მართალია, რომ კლასთა ბრძოლა მარქსამდეც იყო აღმოჩენილი და აღიარებული, მაგრამ არც მარქსს უთქვამს და არც სხვა ვინმეს, ისტორია მხოლოდ კლასთა ბრძოლა არისო. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ კი ამ დებულების აბსოლუტიზაციის შედეგად, ამბავი განდევნა ისტორიიდან და, ფაქტობრივად, სქემები გაამეფა. დროა ისტორიის ფურცლები ადამიანებით დავასახლოთ, წარმოვსახოთ რეალური მოვლენები, ნამდვილი ადამიანური ურთიერთობანი.

არ შეიძლება ისტორიას მხოლოდ „ერთადერთი სწორი მოძღვრების“ პრიზმიდან უყურებდე. აღიარებულა, რომ მარქსსა და ბაკუნინს შორის ატეხილ დავაში მარქსი ყოველთვის შეუცდომელი არ იყო.

ბაკუნინთან დაკავშირებით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ საბჭოური ბელეტრისტიკის, განსაკუთრებით კი კინემატო-

გრაფის გადამკიდე, ანარქიზმი ჩვენში ადამიანების უმრავლესობას წარმოსახული აქვს, როგორც პრიმიტიული ბანდიტიზმი („цыпленок жаренный, цыпленок варенный, цыпленок тоже хочет жить...“).

ახლა კი გამოჩნდა, რომ ის „ღვთისპირიდან გადავარდნილი“ მახნო საკმაოდ ტრაგიკული პიროვნება ყოფილა, თურმე გლეხების ინტერესებს იცავდა, ხოლო კროპოტკინი ანარქისტული იდეოლოგიის პრაქტიკულმა განხორციელებამ ცუდ ხასიათზე დააყენა.

ჩვენში გამეფებული სიტუაციის გამო, ბუნებრივია, მაგრამ სამწუხარო, რომ ფრიად ზერელე წარმოდგენა გვაქვს გამოჩენილი მოაზროვნის გიორგი პლехანოვის შესახებ. ცნობილი იყო, რომ იგი მენშევიკურ პოზიციებზე დადგა, უღალატა რევოლუციას. გამეფებული თარგის მიხედვით, აღარავის აინტერესებდა თვითონ პლехანოვი, მთავარი იყო მისი „მხილება“ და კრიტიკა.

„არგუმენტი ი ფაკტიში“ (1989 წ. 24-30 ივნისი, №25 (454) წარმოსახულია პირველი რუსი მარქსისტის საინტერესო პოლიტიკური პორტრეტი. „გ. ვ. პლехანოვი (1856-1918), – ვკითხულობთ ბიულეტენში, – პირველი რუსი მარქსისტი და გამოჩენილი მოაზროვნე, როგორც ცნობილია, მკვეთრად გაემიჯნა ლენინს რუსეთში სოციალისტური რევოლუციის პერსპექტივებზე თვალსაზრისის შემუშავებისას. ნამდვილად ჰქონდა თუ არა პლехანოვს წინასწარ განჭვრეტილი სოციალიზმის დეფორმაცია, პიროვნების კულტი? გვთავაზობდა თუ არა 1917 წელს რეალურ გზებს მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად და იყო თუ არა პლехანოვის ალტერნატივა უკეთესი, ვიდრე ლენინის, ბოლშევიკების?

აი, ის კითხვები, რომლებსაც უპასუხებს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სსრკ ისტორიის ნამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ს. ვ. ტიუტიუკინი“.

აქვე უნდა დავძინოთ, რომ ბოლო პერიოდის მეცნიერულ თუ პუბლიცისტურ ნაწერებში ხშირად ლაპარაკობენ სოციალ-

იზმის დეფორმაციაზე, რაც გარკვეულწილად გაუგებრობას იწვევს. საქმე ისაა, რომ არც მარქსიზმის კლასიკოსებს, არც უტოპიური სოციალიზმის იდეოლოგებს სოციალიზმის რამდენადმე რეალური სოციალურ-ეკონომიკური მოდელი არ წარმოუსახავთ. ამდენად, ცხადია, ძნელია ან სულაც შეუძლებელი ლაპარაკი მისი დეფორმაციის საკითხებზე, მაგრამ ეს ცალკე და გაცილებით უფრო ფართო ხასიათის საუბრის თემაა...

„ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 28 VII.

რუსეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი

კარგა ხანია რუსული პერიოდიკის ფურცლებზე, სამწუხაროდ, ე. წ. „მეცნიერულ“ გამოცემებშიც „დაყავი და იბატონეს“ პრინციპიდან გამომდინარე, მრავალგზის აშკარად წარმოჩნდა ქართველი ხალხის ეროვნული სტრუქტურის დამახინჯების მცდელობის სავალალო მაგალითები. ცალკე ხალხებად ასახელებენ მეგრელებს, სვანებს, აჭარლებს (ამ უკანასკნელთ, როგორც ცნობილია, გამოუგონეს, თითქოს ისინი ქართულისაგან განსხვავებულ ენაზე მეტყველებენ და წერენ). შესაძლოა, ბევრმა უბრალოდ არც იცის, რომ ცალკე ხალხებად არ არსებობენ მეგრელები და სვანები, კახელები, ქართლები, იმერლები, რაჭველები, გურულები, მესხები, ლეჩხუმლები; რომ ისინი ქართველი ხალხის განუყოფელი ნაწილი არიან.

სამწუხაროდ, ეს ის შემთხვევა როდია, როდესაც არცოდნა არცოდნად შეიძლება მიიჩნოს. მით უმეტეს იმ დროს, როდესაც მიუხედავად არაერთგზისი სათანადო განმარტებისა, ქართველთა ეროვნული მთლიანობის ხელყოფის ავი განზრახვა კვლავ მოქმედებს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი – თუშ-ფშავ-ხევსურეთი ამ მხრივ თითქოს რამდენადმე დაცული იყო. ქართველთაგან განცალკევებით თუშებს, ფშავლებს, ხევსურებს არ ახსენებდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, მოისაკლისეს და ჯერი მათზეც მიდგა.

ფრიად სოლიდური ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ილუსტრირებული ჟურნალის „სოვეტსკი სოიუზის“ ამა წლის №9 (476)-ში გამოქვეყნებულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების შექმნასთან დაკავშირებული მასალა. საარქივო დოკუმენტები ასახავს ბალტიისპირეთის დემოკრატიული სახელმწიფოების საბჭოთა კავშირში შესვლის მომენტებს, ე. ი. წარმოჩენილია უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობითი მასალა. შემდეგ ჟურნალი აცხადებს, რომ „კვლავაც განზრახული აქვს მოუთხროს მკითხველს სსრკ ისტორიის შესახებ, ჩვენი ქვეყნის ხალხების შესახებ. ამას რედაქციაში გამოგზავნილ წერილებში ითხოვენ უმბერტო დელაპიკა (იტალ-

ია), ანდრეას პახტერი (გფრ), რიტვა ჰენკელი (ფინეთი), ჩუაო დეხუნი (ჩინეთი), მრავალი საბჭოთა მკითხველი”.

ჟურნალის აღნიშნულ ნომერში გამოქვეყნებულია ბოგდან ხმელნიცკის 1648 წლის 8 ივნისის წერილის ორიგინალის ფოტოპირი მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი უკრაინელი ხალხის თხოვნით, შეერთებოდა რუსეთს; ფოტოპირი ალექსანდრე პირველის 1802 წლის მაისის სიგელისა თურქმენი ხალხის რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ.

იქვეა დაბეჭდილი ფოტო თუშ-ფშავ-ხევსურთა მიერ 1657 წლის იანვარში მეფე ალექსი მიხეილის ძისადმი გაგზავნილი ქართული წერილისა. წერილს ქვემოთ მიწერილი აქვს: „თუში, ხევსური და ფშაველი ხალხების წერილი მათი რუსეთის ქვეშევრდომობაში მიღების თხოვნით. 1657 წლის იანვარი. ძველი აქტების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 110, ანაწერი 3, საქმე 10“.

აღნიშნული სამი დოკუმენტის პუბლიკაციას ნათლად აკავშირებს თვალშისაცემი მიზანი – წარმოსახონ ხალხების ისტორიული სწრაფვა რუსეთის იმპერიისაკენ. ეს ტენდენცია ძველია და რუსეთის იმპერიის ისტორიასთან გაიგივებულ სსრკ-ის ისტორიას რომ კითხულობ, გიკვირს კიდევაც, რატომ უნოდებდა ლენინი რუსეთს „ხალხთა საპყრობილეს“, ან ამ ღვთივეკუთრთხეულ, სხვადასხვა ხალხებზე გულმოდგინედ მზრუნველ რუსეთში საერთოდ რა საფუძვლები ჰქონდა რევოლუციას.

თითქოსდა პუბლიკაციაში შემამოფოთებელი არაფერია – თუშები, ფშაველები, ხევსურები უკრაინელების და თურქმენების დარად ცალკე ხალხებად არიან გამოცხადებული, მაგრამ უკიდურესი უვიცობის შემთხვევაშიც კი ქართველთაგან თუშ-ფშავ-ხევსურების განცალკევების არავითარ საფუძველს არ იძლევა თვით გამოქვეყნებული დოკუმენტი.

თუშ-ფშავ-ხევსურების აღნიშნული წერილი ქართული ისტორიოგრაფიისათვის კარგად ცნობილი დოკუმენტია. აი, მისი ტექსტი აკადემიკოს მარი ფელისიტი ბროსეს პუბლიკაციის შესაბამისად (იხ. „Переписка... грузинских царей с российскими государями, от 1659 г. по 1770 г.“ С. Петербург, 1861, стр. 74-75).

ორიგინალს აწერია: „№2 1657 წლის იანვრის ტრაქტატებიდან“.

„ქ. დიდო და ყოვლის მპყრობელო ბატონო დიდო მეფევე და ყოველთ ქრისტიანეთ ხელმწიფევე, ალექსი მიხაილის შვილო! ყოვლისა მპყრობელო! შენის ბრძანებითა ჩვენს დედოფალსა და ბატონის შვილს კაცი ებოძა, და ჩვენი ქვეყნის კაცი დაებარებინა, რომე ჩვენც ამ დიდის ხელმწიფის ხელთა ვართო, და თქვენც ამისი ყმანი შეიქენითო და თქვენც ამას დაუკარით თავიო. ანე... ხელმწიფევე, ჩვენი ხელმწიცი თქვენა... არის და ჩვენც თუშეთის და ხევსურეთის და ფშავის ქვეყანათა, სამთავ ქრისტიანთ ქვეყანასა პირობა გვიქნია და ზურგი მოგვიბამს ერთმანესათვინ და ელჩები გამოგვიგზავნია. ხევის ბერი სოზამე მაქსიმიჩ, და გრიგოლ სიდორიჩ, და პავლე ივანიჩ. და შენი ყმანი შევექმნილვართ და თავი დაგვიკრავს, როგორც თქვენი ბრძანება იქნება ჩვენი იმისი მქმნელნი ვართ: ჩვენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ხელმწიფე თეიმურაზ. ჩვენ მაგარს ალაგს ვართ და არას კაცს შევეპოვებით. ამდენი ხანი არის საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენა არც შემოგვიშვია ყაენის კაცი. და სადაც მოგვიხელებია, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგვინყვეტია: ანუ დიდო ხელმწიფევე, ჩვენი ხელმწიფე ყაენმა წაახდინა და ზურგი აღარ სადით გვექონდა, და მღვთისაგან ველოდებოდით, რომე ერთი შენი ბრძანება და კაცი მოგვსვლიყო: ანე მოგვივიდა შენი ბრძანებაცა და ჩვენი დედოფლის კაციცა, და თქვენი ბრძანება გაგვითავებია, და შენ შემოგხვენნივართ, და შენთვის თავი დაგვიკრავს გიმსახურე (sic) და გვალაშქრე ამ დღემოი შენი ყმანი შევექმნილვართ“.

ბროსეს ქართულ ტექსტთან ერთად გამოცემული აქვს დოკუმენტის ადეკვატური, ზუსტი რუსული თარგმანი. ალბათ „სოვეტსკი სოიუზის“ პუბლიკატორებმა, სამწუხაროდ, ქართული არ იციან, მაგრამ რუსული ტექსტის გაცნობიდან შესანიშნავად ჩანს, რომ დოკუმენტი დაინერა რუსეთის მეფის კარზე მყოფი კახთა მეფის დავითის (1602 წ.) ქვრივის დედოფალ ელენეს და მისი შვილის, თეიმურაზ I-ის შვილიშვილის, რუსეთში

ნიკოლოზად ცნობილი ერეკლე ბატონიშვილის მეცადინეობით (ერეკლე I ნაზარალიხანი შემდგომში მეფობს კახეთში 1662, 1664-1672, 1675-1688 წწ.; 1688-1703 წწ. – ქართლში; 1704-1705 წწ. კვლავ კახეთის მეფეა იმამყულიხანთან ერთად).

თუშ-ფშავ-ხევსურები ელენეს თავის დედოფლად მიიჩნევენ, ერეკლე-ნიკოლოზს ბატონიშვილს უწოდებენ და საცსებით გარკვევით აღნიშნავენ: „ჩვენა ერთი ღმერთი ვიცით და მეორე ხელმწიფე თეიმურაზ... ამდენი ხანი არის საქართველოს ყაენი ებრძვის და ჩვენა არც შემოგვიშვია ყაენის კაცი. და სადაც მოგვიხელება, მოგვიკლავს და მისი სარდარი გაგვიქცევია და ლაშქარი გაგონყვეტია“-ო. ერთი სიტყვით, საქმე ისე წაგვივიდა, რომ იძულებული ვართ, სერიოზულად ვამტკიცოთ: თუშ-ფშავ-ხევსურები ცალკე ხალხები კი არა, ქართველები არიან, ქართველთა მეფის ქვეშევრდომები იყვნენ და საქართველოსთვის იბრძოდნენ.

აქვე უნდა დავძინო, რომ 1635 წლის აგვისტოს შემდგომ, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის გამოცოცხლების ახალ ეტაპზე, XVII საუკუნის 50-იან წლებში, საქართველოს მთიანეთის, თუშ-ფშავ-ხევსურეთის, როლის გაზრდა აღნიშნული თვალსაზრისით გამოიწვია იმან, რომ ქართლი იმუამად ირანის შაჰის ვასალს როსტომ მეფეს ეპყრა და არაგვის საერისთავო პრორუსული პოლიტიკის მიმდევარი თეიმურაზ I-ისთვის ჩაიკეტა. თუშ-ფშავ-ხევსურეთის და რუსეთის უშუალო ურთიერთობის ინტენსიფიკაციის საქმეში გადამწყვეტი როლი გეოგრაფიულმა ფაქტორმა ითამაშა.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამჟამად გარკვეულია, რომ 1657 წლის იანვრის თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩობა XVII საუკუნის 50-იან წლებში პირველი არ იყო (იხ. ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, „მეცნიერება“, 1976 წ. თ. ტივაძე, თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუსეთთან ურთიერთობის საკითხისათვის. XVII საუკუნის 50-60-იან წწ. გვ. 235-249).

„მიმონერის“ მარი ბროსესეული გამოცემის ისტორიული მიმოხილვის ავტორი აქტიუარიუსი (არქივარიუსი) ფრანცისკო პიონენი თუშ-ფშავ-ხევსურთა ელჩობის შესახებ წერს: „შემდეგ

(1657) თუშეთის მიწიდან რუსეთში გამოგზავნილი იქნენ ელჩები, ჩამოსულნი ქვეშევრდომობის სათხოვნელად და უკან გაბრუნდნენ წარუმატებლად. შემდგომ წელს კი (1658) თეიმურაზთან ერთად ჩამოსულები მიღებულნი იქნენ ქვეშევრდომობაში და უკან გაბრუნებისას დაასაჩუქრეს“ (გვ. XII). საქართველო-რუსეთის ურთიერთობის აღნიშნულ ეტაპზე, ჩანს, თუშებს რაღაც უპირატესობა ენიჭებოდათ, თუმცა ნიშანდობლივია, რომ ფრანცისკო პიონი, დოკუმენტებისგან განსხვავებით, თუშ-ფშავ-ხევისურეთის ნაცვლად მარტივად ლაპარაკობს ელჩობაზე თუშეთის მიწიდან. მსგავსი მომენტები (რუსულ დოკუმენტებში ამკარად ხევისურული გვარების თუშებად შერაცხვა) მიგვანიშნებს ერთგვარ გამარტივებაზე: თუშ-ფშავ-ხევისურების ნაცვლად მარტო თუშებს ასახელებენ.

ძველი დოკუმენტებიდან კარგად ჩანს, რომ, სამწუხაროდ, XVII ს. რუსეთში უფრო ჩაკირკიტებით სწავლობდნენ საქართველოს მთიანეთის პრობლემებს. რუსეთის საგარეო საქმეთა საგანგიო სპეციალურად იკვლევდა თუშ-ფშავ-ხევისურეთის ვითარებას (იხ. ი. ცინცაძე, საქართველო მთიანეთის რუსეთთან ურთიერთობის ისტორიიდან, „მნათობი“, 1956 წ. №2. გვ. 173-184).

ბოლოს მინდა აღვნიშნო, სავალალოა, რომ დეზინფორმაცია ქართველი ხალხის ეროვნული სტრუქტურის შესახებ 22 ენაზე გავრცელდა (სწორედ ამდენ ენაზე გამოდის ჟურნალი „სოვეტსკი სოიუზი“). ძნელია ახლა ევროპულ ენებზე, კორეულად, მონღოლურად, ტამილისა და ურდუს ენებზე ამტკიცო, რომ თუშ-ფშავ-ხევისურები ცალკე ხალხები კი არა, ქართველი ხალხის ორგანული შემადგენელი ნაწილია. ამასთან, როგორც ჟურნალი გვამცნობს, აეროფლოტი ამ ჟურნალს მსოფლიოს 100 ქვეყანაში ავრცელებს.

ჟურნალ „სოვეტსკი სოიუზის“ რედაქციას სათანოდ ვაცნობეთ დაშვებული შეცდომის გამოსწორების აუცილებლობის შესახებ. ვნახოთ, რა ზომებს მიიღებენ.

„ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 3 XI.

„ნაციონალ-უკლონისტები“ და საქართველოს დამოუკიდებლობა

ამჟამად სრულიად ნათელია, რომ უახლესი ისტორიის, ანუ ე. წ. საბჭოური პერიოდის ისტორიოგრაფიის მთელი რიგი საკითხები, უფრო მარტივად კი, მთელი ისტორიოგრაფია, ახლებურად არის გასაანალიზებელი, ახლებურად არის დასაწერი. აღნიშნული თვალსაზრისით ახლებურ შეფასებას მოითხოვს „ნაციონალ-უკლონისტების“ საკითხიც. ამ პრობლემის თანამედროვე პოზიციებიდან გაშუქებას მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში სპეციალური დისკუსიაც მიეძღვნა.

თავის დროზე ტერმინი „ნაციონალ-უკლონიზმი“ ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებში წარმოიშვა, ხოლო გასული წლის 20 სექტემბერს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: „ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს პოლიტიკური რეაბილიტაციის კომისიამ საგანგებოდ განიხილოს ეგრეთ წოდებული „ნაციონალ-უკლონიზმის“ ბრალდებებთან დაკავშირებული საკითხები, მისცეს მათ შეფასება, აღუდგინოს სახელი იმ პარტიულ და საბჭოთა მოღვაწეებს, რომლებსაც ამ მიზეზით პოლიტიკურად სახელი გაუტეხეს“. მარტივად რომ ვთქვათ, „ნაციონალ-უკლონიზმი“ თურმე „ნაციონალ-უკლონიზმი“ არ ყოფილა.

თავის დროზე ასევე აღადგინეს „ნაციონალ-უკლონისტების“ თავდადებული მონინალმდეგეების (ალბათ უფრო უპრინიანია ვთქვათ, მტრების) მ. ორახელაშვილის, შ. ელიავას, სხვათა სახელები. საოცარია, მაგრამ თბილისში მათი სახელობის ამჟამად გადასარქმევი ქუჩებიც კი გაჩნდა.

აშკარად არის გამოკვეთილი ტენდენცია, ერთობლივად გაამართლონ, უფრო მეტიც, ჯილა დაადგან ოციანი-ოცდაათიანი წლების პარტიულ მოღვაწეებს. ურთიერთდაპირისპირებულ დაჯგუფებებს, დამსჯელ-დასჯილებს აერთიანებენ იმ ნიშნით, რომ მრავალი მათგანი იქნა ბოლოს რეპრესირებული. აცხადებენ მათ ზვარაკად, შარავანდედით მოსავენ.

დასაჭერად და დასახვრეტად კაცის განირვისაგან ღმერთმა დაგვიფაროს. ისე კი, დღეს სავსებით ნათელია, რომ ახ-

ლად დამყარებული საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჩამოყალიბებული დაჯგუფებები მცირეოდენი ნიუანსებით განსხვავებული ერთიანი კამპანიის ნაწილები იყო. მნიშვნელოვანწილად მათი ვითომცდა იდეური უთანხმოებანი ძალაუფლებისათვის ბრძოლით იყო განპირობებული, უბრალოდ რომ ვთქვათ, „ალია და ოსმანა ორივე თათარია“. „ნაციონალ-უკლონისტების“ ეროვნული პოზიცია რამდენადმე სწობდა სტალინ-ორჯონიკიძე-ძერჟინსკის ბლოკის პოზიციას, პარტიის ორთოდოქსულ-გენერალურ ხაზს. „უკლონისტები“ ერთგვარ სიმპატიასაც კი იმსახურებენ. მაგრამ ის, რომ მათი რეაბილიტაციის თვალსაზრისით, საერთოდ არასწორად ჩავთვალოთ მათი კვალიფიკაცია „ნაციონალ-უკლონისტებად“, არ მიმაჩნია მართებულად. ასეთი გზით სიარული საკუთრივ კომუნისტური პარტიის ისტორიის კიდევ ერთი, მორიგი დამახინჯებისაკენ გვიბიძგებს. საქმე ის არის, რომ კომუნისტური პარტიის მიერ ეროვნულ პოლიტიკაში გატარებული გენერალური ხაზის მიხედვით, „ნაციონალ-უკლონისტები“, რათქმა უნდა, ამახინჯებენ პარტიის „სწორ“ ეროვნულ პოლიტიკას. კომუნისტური პარტია არასდროს ყოფილა ეროვნული პარტია და ქართველებისათვის რაიმე შეღავათების მიცემა მის ინტერესებში არასდროს შედიოდა. ტერმინ „ნაციონალ-უკლონიზმის“ გაუქმების მცდელობა მარტივად გულისხმობს პარტიის ნიჰილისტური ეროვნული გენერალური ხაზის სწორად მიჩნევას.

ამ შემთხვევაში შეიძლება შემოგვედავონ, დოკუმენტური მასალებით გვიჩვენონ, რომ ლენინი და ტროცკი ერთგვარი სიმპატიით ექცევიან „ნაციონალ-უკლონისტებს“, მაგრამ, ჯერ ერთი, კაცმა არ იცის, რით დაასრულებდა ასეთ ურთიერთობას ლენინური აზროვნების დიალექტიკა და, მეორეც, რაც მთავარია, პარტიის პოზიციის შეფასებისათვის მთავარია არა მისი ბელადების ეპისტოლარული მემკვიდრეობა, არამედ ის, თუ რას წარმოადგენს პარტია მოქმედებაში. ბოლშევიკების ნიჰილისტური ეროვნული პოზიცია, მათი რეალური

საქმიანობა ამ მიმართებით დღეს და კარგა ხანია არავითარ საიდუმლოს არ წარმოადგენს.

ამრიგად, მოკლედ რომ ვთქვათ, გახშირდა სრულიად უსაფუძვლო მცდელობა „ნაციონალ-უკლონისტების“ ეროვნულ გმირებად გამოცხადებისა. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს გრიგოლ ჟვანიას სტატია „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან“ (გაზ. „კომუნისტი“, 25 თებერვალი, 1990 წ.).

ბოლოს და ბოლოს, „ნაციონალ-უკლონისტები“ ეროვნულ საკითხში მხოლოდ შედარებით ზომიერ პოზიციაზე იდგნენ და დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის პრობლემასთან არაფერი ჰქონდათ საერთო. განა სწორედ საქართველოს კომპარტიის ნაციონალ-უკლონისტური ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1922 წლის 15 სექტემბრის დადგენილებაში არ ვკითხულობთ: „ამხ. სტალინის თეზისების საფუძველზე წამოყენებული დამოუკიდებელი რესპუბლიკების ავტონომიზაციის ფორმით გაერთიანება ნაადრევად ჩაითვალოს. სამეურნეო ძალისხმევის გაერთიანება და საერთო პოლიტიკა აუცილებლად მიგვაჩნია“. ავტონომიზაცია ნაადრევად ჩაითვალოსო! ეს არის დამოუკიდებლობისათვის და სუვერენიტეტისათვის ბრძოლა?!

იმისათვის, რომ აჩვენოს, თუ რამდენად უარყოფითი პიროვნებანი არიან „ნაციონალ-უკლონისტების“ წინააღმდეგ მებრძოლნი, პროფესორ გ. ჟვანიას მოხმობილი აქვს კორიანტელი სალანძღავი სიტყვებისა, რომლითაც ს. ორჯონიკიძე ამკობს „ნაციონალ-უკლონისტებს“ – ბ. მდივანს, კ. ოკუჯავას. ეს არც არის გასაკვირი. ორჯონიკიძე მათ მართლაც უზრდელად ელაპარაკება, მაგრამ საკმარისია ამ უკანასკნელთა ტერმინოლოგიაში ჩავიხედოთ, რომ კვლავ დავინახავთ, რომ ესენიც იგივე კამპანიაა, რომ ესენიც ლანძღვა-გინების კარგი სპეციალისტები არიან და რომ საბოლოო ჯამში ბრძოლა ძალაუფლებისათვის მიმდინარეობს.

ვის დააჯერებ დღეს, რომ ბუდუ მდივანი და ძმანი მისნი საქართველოში კომისრებად ჩვენი დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის საბრძოლველად მოდიოდნენ.

„ნაციონალ-უკლონისტები“, გურულად რომ მოვეუქციოთ, „მის უარესს ჯობდნენ“, თორემ არც ცალ-ცალკე და არც ერთად საქართველოს ისტორიაში დადებით შეფასებას არ იმსახურებენ. მართალია, მათი ნაწილი რეპრესირებულ იქნა, მაგრამ ეს არ იძლევა საფუძველს, გავაკეთოთ მცდარი დასკვნა: „ასე სასიკვდილოდ დაუჯდათ მათ ქართველი ერის სუვერენიტეტისათვის ბრძოლა“ (გ. ჟვანიას დამონმებული სტატია).

სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, შთამომავლობა ღირსეულად შეაფასებს ჭეშმარიტ მამულიშვილებს და ეს სასიკეთო პროცესი კარგა ხანია დაიწყო ჩვენში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მხოლოდ მომავლის იმედით ვიყოთ და თვალი დავხუჭოთ კონიუნქტურისადმი ხარკის გალების ცდებზე.

„კომუნისტი“, 1990 წ. 25 III.

მითი მარქსის შესახებ¹

„გზა, რომელზეც ვსხედვართ (sic), სწორია. ამისათვის ჩვენ დიდხანს და მხურვალედ უნდა გვიხდინდეს მადლობას ყველა. ჩვენ ვსხედვართ იქ, სადაც შესაძლებელია აღმოჩენილიყვნენ ისინი, ცოტათი ადრე რომ მოეკიდათ ხელი მარქსისთვის და მაგრად შეესწავლათ თეორია“. ეს სიტყვები მიხეილ ჟვანცუკის ეკუთვნის, კაცს, რომელიც თავისი სატირული თუ უფრო სატირული იუმორით ცხოვრებას გვიმსუბუქებს, შეღავათს გვაძლევს.

ცნობილმა ინგლისელმა ფანტასტმა ჰერბერტ უელსმა დაიქაღნა, ოდესმე მაკრატლით შევიარაღდები და დავწერ მარქსის წევრების შეჭრის თაობაზეო. დანაპირები ვერ შეასრულა. შესაძლებელია, ვერ მოიცალა ანდა ამ საქმისათვის მეტად სერიოზული კაციც გახლდათ და ხელი არ გაისვარა.

არ ვიცი, წარსულს სიცილით უნდა გამოეთხოვოს კაცობრიობა თუ არა, მაგრამ ნათელია, ამჟამად მარქსთან, მარქსისტებთან სერიოზულ კამათს, ალბათ, აზრი არა აქვს, იუმორისტული საუბარია უმჯობესი. აღნიშნულის დადასტურებაა ის დიდი პოპულარობა და მხარდაჭერა, რასაც თამაზ ნივნივადის „მარქსისტულ“ წერილებს ხვდა წილად ფართო საზოგადოებაში. ხალხი იღვიძებს, ახლებურ აზროვნებას იწყებს.

ჩემთვის დიდად სასიხარულო იყო, როდესაც გასულ წელს ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სახელმწიფო საგამოცდო კომისიას ახალგაზრდა დიპლომანტმა გაბედულად განუცხადა: ყოველივესთან ერთად მარქსს მისი მოძღვრების ამორალურობაში ვდებ ბრალსო. ცხადია, არ იყო ეს დასკვნა ორიგინალური, მაგრამ მისასაღმებელი იყო დიპლომანტის გამბედაობა, რამდენადაც მისი ბედი დამოკიდებული იყო საგამოცდო კომისიის წევრთა მისთვის უცნობ თვალსაზრისზე. სასიხარულოა, რომ ახალგაზრდობა ცოცხლად, გაბედულად აზროვნებს, სხვა დროა და არც ეშინიათ ნააზრვის გაცხადების.

1. ა. ციკოს წერილის ქართული თარგმანის წინათქმა.

მარქსი ისტორიის ბებიასადა რევოლუციას მიიჩნევდა და რადგან მისი მოძღვრება საზოგადოების განვითარების ახსნის ერთადერთ სწორ მსოფლმხედველობად ჩავთვალეთ, ამიტომ საბჭოური ისტორიოგრაფიის და, ცხადია, არამარტო ისტორიოგრაფიის, სფეროში გაბატონდა ზოტბა და აპოლოგია ძალმომრეობის, სისხლის ღვრის, ნგრევა-განადგურების. მადლობა ღმერთს, ჩვენში ასეთები არ იყვნენ, მაგრამ რუსულ ისტორიოგრაფიას ცაში აპყავდა სტეპკა რაზინი, ემელიანე პუგაჩოვი და ძმანი მათნი (ამ ბოლო პერიოდში რუსულმა ისტორიოგრაფიამ მოახდინა პუგაჩოვის ნამდვილი ძმის, ფროლკას, რეაბილიტაცია).

შემდეგ განავითარეს მარქსიზმი. თუმცა ამ საკითხს ერთგვარი კომენტარი სჭირდება. ცამდე მართალი იყო გრიგოლ რობაქიძე, როცა ზღვარს დებდა მარქსსა და ლენინს შორის. ლენინისადმი მიძღვნილი მისი წერილი ბოლშევიკების მიერ დაპყრობილ თბილისში იყო დაბეჭდილი და რობაქიძემ ვერ დააკონკრეტა, რისი თქმა სურდა. აქვე უნდა დავძინო, რობაქიძის გარდა სხვაც მრავალი დიდ ზღურბლს დებს მარქსიზმსა და ლენინიზმს შორის.

მარქსის მოძღვრების ზოგიერთი ძირითადი დებულება იმთავითვე დიდად საშიში იყო. პროლეტარიატის დიქტატურის მავნე იდეას საბუთიანი დამაჯერებლობით აკრიტიკებდა მარქსის ერთ-ერთი ძირითადი ოპონენტი ბაკუნინი. ამ ბოლო დროისათვის ისიც გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის, რომ რუსეთის იმპერიის ჩამორჩენილობის გამო, ვერა ზასულიჩისადმი გაგზავნილ წერილში, მარქსი თვითონ არ მიიჩნევდა შესაძლებლად, რომ მის მსოფლმხედველობას რუსეთში განეცადა ხორცშესხმა. შემდეგში მარქსს ველარავინ დაეკითხებოდა და მისი საქმის გამგრძელებელმა სწორედ რუსეთში დაამყარა კომუნისტური ხელისუფლება, პროლეტარიატის დიქტატურა. „რუსეთს საშინელი კატასტროფა მოუვიდა. იგი ბნელ უფსკრულში შთაინთქა“, – ასეთი კვალიფიკაცია მისცა რევოლუციის შედეგებს დიდმა რუსმა მოაზროვნემ ნ. ბერდიაევმა. ბუნებრივია, ცივილიზებულ ევროპაში, ამერიკაში მა-

რქსიზმმა ვერ გაიმარჯვა. სავსებით ლოგიკურია, ვერც გაიმარჯვებდა. ვერ გაიმარჯვებდა, რადგან ხელყოფდა ადამიანის ბიოლოგიურ ბუნებას, ილაშქრებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტის წინააღმდეგ, აპირებდა დაემსხვრია მოწესრიგებული, თაობათა მიერ შექმნილი ადამიანთა საზოგადოებისათვის მისაღები სახელმწიფოებრივი ორგანიზმი.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რუსეთში მარქსიზმი, განსაკუთრებით კი მისი ლენინურ-ბოლშევიკური ნაირსახეობა ციდან არ ჩამოვარდნილა. „ბოლშევიზმი გაცილებით უფრო ტრადიციულია, ვიდრე მიღებულია ამაზე ფიქრი“, – წერდა იგივე ნ. ბერდიაევი. იგი ეთანხმება რუსული ისტორიული პროცესის თავისებურებებს, მოხდა მარქსიზმის რუსიფიკაცია და ორიენტალიზაცია.

ახლანდელ სიტუაციაში მარქსიზმის, ლენინიზმის დამცველები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მარქსიზმი ის არ არის, რაც დღემდე გვეგონა, რომ ლენინიზმიც სხვა რამ არის, რომ სტალინმა, მისმა სხვა მომდევნო კომუნისტურმა ლიდერებმა გაამრუდეს „კომუნიზმის ელვარე მწვერვალებისაკენ მიმავალი ნათელი გზა“.

ამჟამად დისკუსიები ეძღვნება პრობლემებს იმის შესახებ, თუ როგორი იყო მარქსიზმი გუშინ, როგორია დღეს და რა პერსპექტივები აქვს ხვალ (იხ. ჟურნალი „ლათინური ამერიკა“, №№5, 6). დღესაც ჰყავს მარქსიზმს მრავალი თაუნამკედარი დამცველი. ზემოთ აღნიშნულ დისკუსიაზე მუშათა საერთაშორისო მოძრაობის ინსტიტუტის თანამშრომელმა, ფილოსოფიის კანდიდატმა კ. კანტორმა პათეტიკურად განაცხადა: „კაცობრიობის ხომალდის კაპიტნები მარქსის იდეალის ვარსკვლავეთის მიხედვით აიღებენ გეზს ხვალინდელი დღისაკენ“-ო. მანვე შეადარა მარქსის უარყოფა ქრისტეს შესაძლებელ დაუშვებელ უარყოფას რენესანსისა და რეფორმაციის ეპოქაში. თქვა, რომ მარქსიზმი „კაპიტალში“ გადმოცემული მსოფლმხედველობაა, იქ კი პროლეტარიატის დიქტატურაზე, კლასების კედომაზე და ა. შ. არაფერიაო ნათქვამი.

მართლაც, ძალიან ძნელია ლაპარაკი ერთიან მარქსისტულ მსოფლმხედველობაზე, მით უმეტეს, „კაპიტალის“ გულდასმით წამკითხავი, მისი შინაარსის გამგები არავინ ჩანს და თურმე ნუ იტყვიოთ, წიგნი მარქსსა და ენგელსსაც ველარ გაუგიათ სრულად.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად ბევრ ახალ რამეს იგონებენ „ერთადერთი სწორი მოძღვრების“ აღმსარებელნი. თურმე უკურნებლად დაავადებულ პროლეტარიატის ბელადს ვლადიმერ ილიჩს იმ დროს, როდესაც კაცმა არ იცის, რა დონეზე იყო მისი აზროვნება, თვალებზე ლიბრი აეხადა და მან სხვა გზით სიარული გადაწყვიტა. ლენინს რომ დასცლოდაო, ლენინი რომ ცოცხალი იყოსო... აგრესიული ათეისტები – მარქსისტ-ლენინელები – პირდაპირ მისტიკაში გადავარდნენ.

საზოგადოების საფუძველია მისი დამოკიდებულება საკუთრების ფორმებთან. ეფემერულ, უპიროვნო ე. წ. საერთო-სახალხო საკუთრებას არ შეეძლო შესაბამისად ერთგვაროვანი ტიპის პოლიტიკური დესპოტიები არ წარმოექმნა. სათავეში ამ ტიპის სახელმწიფოებს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ტიპის ხელმძღვანელ-ბელადები წამოასხდნენ. არ არსებობს არავითარი სტალინიზმი. სავსებით მართებული, რეალური შინაარსი იდო ლოზუნგში: „სტალინი ლენინია დღეს“ (დროდადრო ლენინზე უფრო ლენინი იყო). გაპოზილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს კომუნისტური დიქტატორები და თუ ადრეული ხანის ცრუ კერპებს სისხლში ჰქონდათ გასვრილი ხელეები, შემდგომმა თაობებმა მოძღვრება „განავითარეს“ და ჯორსაკიდებელიც არ დაიკლეს, ოქროში და თვალ-მარგალიტში ჩაეფლნენ. ჩვენს პრესაში გაუთავებელი, ალბათ, სამართლიანი ლანძღვა-გინება არის სამოსასი, დიუვალიეს, პინოჩეტის... მაგრამ მხოლოდ ახლა და ისიც კანტიკუნტად გამოჩნდა ცნობები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენენ პოლიტიკური მონსტრები კიმ ირ სენი, ფიდელ კასტრო. გავიხსენოთ „დიდებული“ კამპანია: ჩაუშესკუ, ჰონეკერი, ჟიგოვი... მათი წინამავლები: დიმიტროვი, ვილჰელმ პიკი, ჩერვენკოვი...

მცდარ დოქტრინულ საფუძვლებზე აგებული საზოგადოება არ შეიძლება არ ყოფილიყო აღვირახსნილი დესპოტიის თარეშის ასპარეზი. კაცობრიობას ამის შესახებ მრავალი გონიერი მოაზროვნე ამაოდ აფრთხილებდა (ბაკუნინი, პლექანოვი, კოროლენკო...). დიდი ილია ნოე ჟორდანიას „რუსი მარქსისტების თვალაბმულ თუთიყუშს“ უწოდებდა მისი მარქსისტული დოქტრინებით ქარში გატაცების გამო. ჩვენში ჯეროვნად ჯერ კიდევ დაუფასებელი, დიდი დრამატურგი პოლიკარპე კაკაბაძე, ცხადია, პიესის პერსონაჟის პირით ამბობდა: „სოციალისტები (აღბათ, სურდა ეთქვა კომუნისტები – ჯ. ო.) იმაზე ამბობენ მართალია, რასაც თვითონ ამბობენ“-ო. კარგად იცოდა კაკაბაძემ, რა ცხოვრება მოდიოდა და ამიტომ იძლეოდა მისი ყვარყვარე ფიცხელ განკარგულებას: „დაურთეთ თავში კონდახები! იქნება შეუშვან შიგ ახალი ცხოვრების აზრი“-ო.

აბსურდამდე მიყვანილი ხელისუფლების დიქტატორულ-ტირანული ფორმები, მოშლილი ეკონომიკა მცდარი დოქტრინების აღიარების შედეგია. აბა, სად შეიძლებოდა XX საუკუნეში სახელმწიფოს სათავეში, ცოცხალი ლემის, ჩერნენკოს მოქცევა.

მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია ემპირიულად დადასტურდა „ერთადერთი სწორი მოძღვრების“ სრული გაკოტრება, ძლიერი ინერციის გამო, იოლი არ არის ჯერ კიდევ ადამიანთა შეგნებიდან მისი გამოდევნა. ბევრ ადამიანს, მეცნიერს კვლავაც გულწრფელად სჯერა დღესაც, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ერთადერთი სწორი მოძღვრებაა. ამ გულუბრყვილო რწმენის შედეგია, რომ ზოგიერთს მიაჩნია, რადგან ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში „კაპიტალი“ აღმოჩნდა, ამიტომ ილია ლამის მარქსისტი იყო. საქმე მარქსს, მის „კაპიტალს“ ეხებოდა, თორემ არც ისეთი მიაშიტიები გახლავან ირწმუნონ, რომ მდიდარი ბიბლიოთეკის პატრონი მის ბიბლიოთეკაში დაცული ყველა ფილოსოფიური მოძღვრების აღმსრულლებელია.

სამწუხაროდ, დღეს კიდევ მრავალს სჯერა – მარქსიზმმა კაცობრიობის საუკეთესო გამოცდილება, ცოდნა შეისისხლ-ხორცა და სიკეთისაკენ მიმავალ გზაზე კელაპტრად ანთიაო. ასეთი ადამიანებისათვის თვალის ასახელად, ზემოთ აღვნიშნე, უმჯობესია კამათის იუმორისტული ფორმების გამოყენება, მაგრამ, აგრეთვე, კარგად გამოდგება ფილოსოფიის დოქტორის ა. ციპკოს პოლემიკური სტილიც (იხ. ჟურნალი „ლათინური ამერიკა“, 1990 წ. №6). ა. ციპკოს ფართო საზოგადოება კარგად იცნობს თუნდაც ტელევიზიით. დიდად გახმაურდა მისი საინტერესო გამოკვლევა „სტალინიზმის სათავეებთან“, რომლის ქართული თარგმანი ადრე გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“.

„ლიტერატურული საქართველო“, 1990 წ. 7 IX.

დაბრუნება

მკითხველი საზოგადოება უთუოდ დიდი კმაყოფილებით შეხვდა ჩვენი ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეულის გამოცემას, რომელსაც სავსებით ლოგიკურად ეწოდება „დაბრუნება“. ხელის მომწერებმა უკვე მიიღეს სერიალის სამი ტომი.

ძნელად სანდოა ადამიანის მეხსიერება, ძალიან იოლად ავინწყდება კაცს, რა იყო ახლო წარსულში. არსებულ ვითარებას იოლად ვეგუებით, მივიჩნევთ, რომ სულ ასე იყო. უახლოეს წარსულში კი ემიგრაციის უბრალოდ ხსენებისათვისაც კი ათას უბედურებას დაგატყებდნენ თავს.

ახლა სრულიად ნათელია, რომ ჩვენი საუკუნის საქართველოს განვითარების შინაგანი მამოძრავებელი ძალების გამოსავლენად და გასაანალიზებლად ლიტერატურის ახლებურ, აკაკი ბაქრაძის მიერ შემოთავაზებულ ნაკითხვასთან ერთად, გვერდს ვერ ავუვლით ემიგრანტულ ნააზრევს, ემიგრანტულ ლიტერატურას, რაც ორგანული, განუყოფელი ნაწილია ქართული მწერლობისა.

ემიგრანტული თხზულებების გამოცემას ჩვენში მრავალმა დადო ღვაწლი. ამ რიგის ნაშრომების ნაწილს საზოგადოება უკვე კარგად იცნობს. ამასთან, ცალკე სერიით პუბლიკაციის საკითხი არავის გაუხდია სადავოდ. ძნელია გადაჭარბებით წარმოსახო ის შრომა, გარჯა, რაც მთავარია, საქმის გულითადი სიყვარული, რაც გამოავლინა სერიის მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა გურამ შარაძემ. საზოგადოების განცვიფრებას იწვევდა ის დიდი რუდუნება და ოპერატიულობა, რითაც გ. შარაძემ ჩვენი ყურნალ-გაზეთების ფურცლებზე მოკლე ხანში წარმოადგინა საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მამულიშვილების პორტრეტების დიდი გალერეა. აქვე მინდა დავძინო, რომ ყოველივე ეს გაფანტულია ყურნალ-გაზეთების ფურცლებზე და, ცხადია, გაცილებით უკეთ აღიქმება წიგნების სერიალში. ემიგრანტული ნაშრომების გამოცემისას, ბუნებრივია, მრავალი პრობლემა წამოიჭრება. ერთ-ერთი უპირველესი პრობლემაა ქართული სოციალ-

დემოკრატიული ემიგრაციის ნააზრევის პირუთენელი შეფასება. ბოლშევიკებმა ისე ღვარძლიანად, წრეგადასულად ლანძღეს მენშევიკები, ზოგადად, მთელი ემიგრაცია, რომ ქართველთა დიდ უმრავლესობას მიავიწყდა, მენშევიკებიც მარქსისტები რომ იყვნენ, ეროვნულ საკითხში ნიჰილისტურად განწყობილნი, და ბოლშევიკებთან ერთად თრგუნავდნენ ყოველივე ეროვნულს, უპირისპირდებოდნენ დიდ ილიას. ქართული ემიგრაციის მასალებისადმი რამდენადმე უკრიტიკო დამოკიდებულება გამოვლინდა, როდესაც მათ იმონებდნენ ილიას მკვლელობის ძიებასთან დაკავშირებით. ემიგრანტული ლიტერატურის აკკარგიანობის გასარჩევად არ უნდა დავივიწყოთ მენშევიკების მარქსისტულ-დოქტრინული ნიჰილიზმი, მათ მიერ დაშვებული მრავალი შეცდომა.

30 ტომად ჩაფიქრებული ემიგრანტული შრომების პირველი ტომი, რომლის შესახებაც დღეს ვისაუბრებთ, ეძღვნება დიდ მამულიშვილს, საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესს ექვთიმე თაყაიშვილს. ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს ამ უანგარო ადამიანს, რომელმაც უკიდურეს გაჭირვებაში არათუ მოაკლო რამე ეროვნულ განძეულობას, არამედ, შეძლებისდაგვარად, ხელი შეუწყო მის გამდიდრებას. ფაქტია, რომ ამოდენა განძის მეურვეს, უსაზღვროდ გაჭირვებულ კაცს, თხა ასაზრდოებდა. როდესაც მეორე მსოფლიო ომის დასასრულს სრულიად ღატაკი, ტანსაცმელშემოძარცული სამშობლოში ბრუნდებოდა, გულს მხოლოდ ის უკლავდა, რომ ძვირფასი მეუღლის ნეშტი საფრანგეთის მიწაში დარჩა. საქართველოში დაბრუნებულს ტანჯვა-წამება არ მოაკლეს „ნითელმა“ თანამემამულეებმა, ხოლო მისი თანამეცხედრის თბილისში გადმოსვენება მხოლოდ ახლახან მოხერხდა.

ემიგრანტული ნაშრომების პირველ ტომში ფართოდ არის წარმოდგენილი ექვთიმე თაყაიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობა. დაბეჭდილია ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი, სპეციალური გამოკვლევაა მიძღვნილი ქართული კრიპტოგრამების პრობლემისადმი. წარმოჩენილია ნიკორწმინდის

სულთა მატიანის მეცნიერული ღირებულება, ნუმისმატიკური მასალა. მკითხველს დიდად დააინტერესებს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ გამოვლენილი სომხით-საორბელოს ძეგლები. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამოკვლევას მიძღვნილს სამუსლიმანო საქართველოს შესწავლისადმი, სადაც მიმოხილულია ტაო-კლარჯეთის ისტორია, გამოთქმულია თვალსაზრისი ეთნოგენეტიკური პრობლემისა და ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნის შესახებ.

ექვთიმე თაყაიშვილს პირველი მსოფლიო ომის ხანის სამუსლიმანო საქართველოს კოლორიტული სურათი აქვს დახატული. „მუსულმანი ქართველები, – წერს ექ. თაყაიშვილი, – ყოველგან თვალსაჩინოდ განირჩევიან სხვა სამუსულმანო საქართველოს მცხოვრებთაგან, თურქებისაგან, ქურთებისაგან, თარაქამებისაგან და სხვებისაგან. განირჩევიან სახით, ჩაცმადახურვით, ზნე-ჩვეულებით, დარბაისლობით (პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა), სიღინჯით და პატიოსნებით“. ხახულის მუსლიმანი მცხოვრებლების შესახებ ბატონი ექვთიმე ასეთ პარადოქსს გვთავაზობს: „აი ხალხი, რომელთაც განახორციელეს თავიანთ შორის ქრისტიანული იდეალები“.

ნიგნში წარმოჩენილია საინტერესო ისტორიული მასალა ამჟამად თურქეთის შემადგენლობაში მოხვედრილი ქართული მიწა-წყლის შესახებ. მკითხველი აქვე გაეცნობა საყურადღებო გამოკვლევას აფხაზებისა და აფხაზეთის შესახებ.

დღევანდელობის თვალსაზრისით მეტად აქტუალურია პუბლიკაცია ოსებისათვის მიცემული ექვსი ქართული სიგელისა. ექ. თაყაიშვილი დოკუმენტურად უჩვენებს, რომ გვიან შუა საუკუნეებში ჯერ კიდევ ცოცხალია ადრეულ ხანაში ჩასახული იდეა კავკასიის ხალხთა ერთიანობისა, რომ ამ იდეის სულისჩამდგმელნი ქართველები არიან.

დიდი ეროვნულ-პატრიოტული ჟღერადობისაა ექვთიმე თაყაიშვილის „მიმართვა ქართული ემიგრაციისადმი“ და „ანგარიშები ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა“. შესაშური ტაქტიკით, მისაბაძი

გულმოდგინებით უბიძგებს ექვთიმე თაყაიშვილი ხელმოკლე ქართულ ემიგრაციას ქველმოქმედებისაკენ, აქეზებს ამ საქმისათვის, არავის უკარგავს ღვანლს. ერთ ანგარიშში იგი ხაზგასმით აღნიშნავს ახალგაზრდა, დამწყები მუშაკების – ძმების ირაკლი და ორესტი გორდელაძეების ქველმოქმედებას.

ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ცოცხლად დახატული გალერეა თანამედროვე გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა პორტრეტებისა დიდი განძია ჩვენი საზოგადოებისათვის. იქვეა აღნიშნული, რომ „ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობდა ჩვენს პოეტებს, ლიტერატორებს, ისტორიკოსებს და საზოგადოდ ქართული საზოგადოების მოღვაწეებს, რომელნიც სათავეში ედგნენ და ხელს უწყობდნენ ეროვნულ აღორძინებას“.

ყოველი პორტრეტი წარმოსახულია ადამიანური ყოფის ელემენტების ჩვენებით, მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ მეცნიერული საქმიანობა განხილულია სხვა ადამიანებთან ურთიერთობის კონტექსტში.

საინტერესოდ, დიდი ადამიანური სითბოთი არის დახატული თბილისის უნივერსიტეტის პირველი რექტორის, პროფესორ პეტრე მელიქიშვილის პორტრეტი. ამჯერადაც, ადამიანის დახასიათებისას, უპირველესი გახლავთ მისი ეროვნული პოზიცია. ექ. თაყაიშვილი იხსენებს ცნობილი ავსტრიელი ლინგვისტის ჰუგო შუხარდტის მიერ პეტრე მელიქიშვილისათვის იუმორით ნათქვამს: ქიმიას ევროპელებიც მოუვლიან. თქვენ ასეთი მდიდარი ენა გაქვთ და მისი კილოკავები... მე რომ შენი ვიყო, ქიმიას თავს დავეანებებდი და ქართული ენის კვლევას დავინწყებდიო.

დიდი გულითადობით, უშუალოდ ახასიათებს ექ. თაყაიშვილი პეტრე მელიქიშვილს: „პეტრე იყო სპეტაკი ადამიანი, ყოვლად უანგარო, ლმობიერი და თავმდაბალი, სასიამოვნო მოსაუბრე და ფხიზელი გონების პატრონი“. ვიმეორებ, ცალკეულ პიროვნებათა დახასიათებისას ექვთიმე თაყაიშვილი, თუნდაც რამდენიმე ნიშანდობლივი შტრიხით, დიდებულად აღწერს თავის თანამედროვე საინტერესო ადამიანებს.

დღევანდელი საბჭოთაეთის საოცარი აქტუალობით ჟღერს ერთი პასაჟი პეტრე მელიქიშვილის პედაგოგიური მოღვაწეობიდან. გამოცდის მსვლელობისას ბატონი პეტრესათვის სტუდენტს უთქვამს: ახლა ისეთი დროა, შეღავათი უნდა მოგვცეო. მეცნიერს უპასუხია: დიახ, ახლა ისეთი დროა, რომ ყველა კარგად უნდა აღვიჭურვოთ ცოდნით, თორემ მაგეთი უვიცობით, შენ რომ მოდიხარ, სახელმწიფოს ვერ ავაშენებთო...

ნიკო მარის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაწერილ სტატიაში, განსაკუთრებული სიტბოთი, „მოკრძალებისა და გაგულისების“ გარეშე აქვს წარმოჩენილი ექვთიმე თაყაიშვილს დიდი მეცნიერის წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნება. „მისი შრომისა და ღვაწლის დაფასება საზოგადო მეცნიერებისათვის და კერძოდ საქართველოსა და მთელი კავკასიისმცოდნეობისათვის, რასაკვირველია, საგაზეთო წერილით ოდნავაც არ ამოიწურება, ამისთვის მთელი ტომის დაწერაც არ იკმარებს“, – სამართლიანად აღნიშნავდა ექ. თაყაიშვილი.

„მარი ენციკლოპედისტი, გრიგალი, ბუმბერაზი მეცნიერებაში“, – ასეთია თაყაიშვილისეული შეფასებანი. მარის ფილოლოგიური ნაღვანის შესახებ აღნიშნულია: „ნ. მარის გამოცემული ტექსტები სამაგალითოდ ჩაითვლება ჩვენს ლიტერატურაში თავისი სისწორით, კრიტიკის გარჩევით და ყოველგვარი აპარატი“.

„1930 წელს, – აღნიშნავს ექ. თაყაიშვილი, – ნ. მარი ეწერება კომუნისტურ პარტიაში.“ ექ. თაყაიშვილს მიაჩნია, რომ მარმა ეს გააკეთა მისი იმპულსური ბუნებიდან გამომდინარე, რწმენით და არა ფარისევლობით. „მარი დიდი მეცნიერია, მაგრამ მრავალი შეცდომაც აქვს და ამ შეცდომებს უფრო ხშირად თვითონ აღიარებს“-ო.

მშვენივრად არის წარმოჩენილი ნიკო მარის ვაჟის, ღრმად განათლებული ირანისტის, უდროოდ გარდაცვლილი იური მარის პიროვნება.

კეთილგანწყობით, სიყვარულით ლაპარაკობს ექვთიმე თაყაიშვილი მოღვაწე, ქველმოქმედი კაცის პავლე იოსების

ძე თუმანიშვილის შესახებ. როდესაც აღნიშნავს თუმანიშვილის ღვანლს „საქართველოს საისტორიო და საფონოგრაფიო საზოგადოების“ წინაშე, ექვთიმე თაყაიშვილი ჩვეული იუმორით გადმოგვცემს: დავით სარაჯიშვილს შედარებით ხელმოკლე „პავლუშას“ ქველმოქმედების ამბავი რომ გაუგნია, უთქვამს, ხომ არ შეიშალაო, რაზედაც თაყაიშვილს მისთვის მიუგია: ღმერთმა შენც ისე შეგშალოს, როგორ ისო.

როდესაც ბოლშევიკებმა ილია ჭავჭავაძის „რეაბილიტაცია“ მოახდინეს, რევოლუციონერ-დემოკრატებში ჩაწერეს. მიუხედავად მისი „დეგრადაციის გზაზე დამდგარი თავად-აზნაურობიდან“ წარმომავლობისა, სოციალისტური რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე, ისეთ ოლიმპზე მჯდომარედ წარმოსახეს, რომ ერთობ გაჭირდა მისი აღქმა ხორცშესხმულ ადამიანად. სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით, დიდად ფასეულია ექვთიმე თაყაიშვილისეული საოცრად ცოცხალი სურათი დიდი ილიასი – ადამიანური ვნებებითა და აე-კარგით წარმოჩენილი. დიდი ტაქტით არის მოთხრობილი „ბანკოვიატის“ სირთულეთა შესახებ, ნაჩვენებია ილიას დამოკიდებულება ხელისუფალთადმი, საერთოდ, მისი ადამიანური პოზიცია. დიდი ილია რამდენიმეჯერ გაკენწლილ-გაკრიტიკებულიც არის (ლევან ჯანდიერისაგან განსხვავებით, ეთნოდემოგრაფიულ საკითხებს ნაკლებ ყურადღებას აქცევდაო). კრიტიკულად აფასებს თაყაიშვილი ილიასეულ განცხადებას, დღეს რომ მრავალთა მიერ არის ატაცებული, „მე ქართველებისთვის ვწერ და არა მეცნიერთათვის“-ო.

სხარტად, კოლორიტულად არის დახატული აკაკის პორტრეტი. ნაჩვენებია, როგორ აფასებდა აკაკი ხალხურ პოეზიას, როგორ ირჯებოდა მისთვის. ექ. თაყაიშვილი ლაპარაკობს აკაკის მუდმივ ფინანსურ გაჭირვებაზე, მოგვითხრობს აკაკის ანდერძის შესახებ, რომლითაც მან ქონება „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას“ უანდერძა. პორტრეტი, ცხადია, სრული არ იქნებოდა აკაკისეული იუმორის წარმოჩენის გარეშე. ენაკვიმატი მგოსანი ოჯახის წევრებსაც არ ინდობდა

და თურმე ერთხელ ავადმყოფ აკაკის ცოლის მისამართით უთქვამს: „რა მომარჩენს, ეს თუ არ მომაცილებ“ -ო.

როდესაც შესანიშნავი მწერლისა და მეცნიერის გიორგი წერეთლის მარქსისა და ენგელსის სოციალურ-ეკონომიკური მოძღვრებით გატაცებაზე ლაპარაკობს, ექ. თაყაიშვილი ჩვეული იუმორით დაურთავს აკაკის სიტყვებს: „გიორგი წერეთელს ორი თავი აქვს, ერთი ჭკვიანი და მეორე სულელი. ხან ერთს ხმარობს და ხან მეორეს“ -ო.

კვლავ უნდა აღვნიშნო, თითოეული პორტრეტის ძერწვისას ექვთიმე თაყაიშვილი დიდ ყურადღებას აქცევს ანტურაჟს. ყალბის რამდენიმე მოსმით გამოკვეთილია მრავალი საინტერესო დეტალი და თვისება გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების: ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძის, დიდი ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ხიზანიშვილის, იოსებ ყიფშიძისა და სხვათა.

ცხადია, ემიგრანტული ნაშრომების პირველი ტომის მიხედვით ყველაზე ნათლად გამოკვეთილია სურათი თვით ექვთიმე თაყაიშვილისა. ქართველი მკითხველის წინაშე კიდევ ერთხელ წარდგა სამშობლოსთვის თავდადებული დიდი მამულიშვილი.

ქართული ემიგრაციისადმი მიმართვაში ექ. თაყაიშვილი წერდა: „იშვიათია პატარა ერი, რომელსაც ასეთი მდიდარი ძველი კულტურა ჰქონდეს, ამ კულტურამ გადაარჩინა ქართველი ერი მოსპობას ჟამთა ვითარების აბოზოქრებული ქარტეხილისაგან, მისცა უნარი სიმტკიცისა, გამძლეობისა და ყოველი ჭირის გადატანისა. ვინც ამ კულტურას ასე თუ ისე არ იცნობს, ის არასოდეს არ იქნება ნამდვილი ქართველი, ჭეშმარიტად ქართული სულის მატარებელი, მას გადაგვარება მოეღოს“.

არ ღირსებია ექვთიმე თაყაიშვილს ნაამაგარის დაფასება სიცოცხლეში. იუბილეების მიმართ დიდი ილიაც სკეპტიკური შეხედულებისა იყო: „ეს იუბილე ერთგვარი ყვენობა არის“ -ო, და როდესაც საფრანგეთში ექ. თაყაიშვილის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის აღნიშვნის საკითხი დაუყენებ-

იათ, ბატონმა ექვთიმემ თავმდაბლად, რეალობის სწორი შეფასებით ბრძანა: „ემიგრაციაში იუბილე ვის გაუგონია, არ ეგების“-ო.

ექვთიმე თაყაიშვილის პორტრეტი დასრულებულად ვერ იქნება წარმოდგენილი მისი თავისებური ენობრივი სამყაროს წარმოჩენის გარეშე. როდესაც მეცნიერმა-არქეოლოგმა გიორგი ლომთათიძემ დიდი საქმე იტვირთა და ბატონი ექვთიმეს მდივნობა დაივალა, შესანიშნავმა მოქართულემ, ყოველგვარი ლიტერატურული კოსმეტიკის გარეშე გადაიტანა ქალაქში მისი მონათხრობი. შემდეგში ველარ მოხერხდა ბატონი გიორგისეული ჩანაწერების უცვლელად დაბეჭდვა. იქნებ პრინციპული თვალსაზრისით ტექნიკური რედაქტორები მართლებიც არიან, მაგრამ, ვფიქრობ, იმისათვის, რომ წარმოჩნდეს ექვთიმე თაყაიშვილისეული ორიგინალური, თავისებური მეტყველების სტილი, ლომთათიძისეული ჩანაწერები ნიმუშად მაინც უნდა დაიბეჭდოს ლიტერატურული გაჩარხვის გარეშე.

30-ტომეულის პირველი ნიგნი კარგად არის გამოცემული ჩვენი პოლიგრაფიული შესაძლებლობების გათვალისწინებით. ვფიქრობთ, ტომის შედგენისას ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვის ნაცვლად, უმჯობესი იყო თემატური პრინციპის მომარჯვება. უკეთესი იქნებოდა მეცნიერული შრომები ყოფილიყო ერთად, ასევე თანმიმდევრულად იქნებოდა ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების ფონდების ანგარიშები. ცხადია, ერთად იქნებოდა მოთავსებული ქართველ მამულიშვილთა პორტრეტებიც. აქვე მინდა დავძინო, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის ყურნალს ფრანგულად ეწოდება „რევიუ დე ლ'ორიან კრეტიენ“ და არა „რევიუ დე ლ'ორიენ შრეტიენ“.

„ლიტერატურული საქართველო“, 1992 წ. 16 X.

პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ...¹

საქართველოში დღეს არსებული რთული, დაძაბული სიტუაცია არ შეიძლება არ აღელვებდეს ჩვენი საზოგადოების ყველა მეტ-ნაკლებად მოაზროვნე წევრს. ადამიანებს სრულიად ბუნებრივად უჩნდებათ ჩვენი წარსულის გააზრების, ამჟამინდელ სიტუაციაში გარკვევის, სამომავლო პერსპექტივების დასახვის სურვილი. სწორედ აღნიშნული თვალსაზრისით გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 5 დეკემბრის ნომერში ნიკოლოზ ბარათაშვილის ცნობილი სენტენციით – „საქართველოს დღეს გარდაუწყდება თავისი ბედი და უბედობა“ – გვთავაზობს პოეტ შოთა ნიშნიანიძის და კრიტიკოს გიორგი გაჩეჩილაძის გასაუბრებას.

შორს ვართ იმ აზრისგან, რომ სამომავლო გზების გამოსაკვეთად არ შეიძლება განსხვავებული აზრები არსებობდეს, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ბატონი გიორგი გაჩეჩილაძის ზოგი მოსაზრება ვერ გაუწევს კარგ სამსახურს ფართო მკითხველ საზოგადოებას. მხედველობაში გვაქვს ისეთი გამონათქვამები, რომელნიც ვინმემ გულთან ახლოს რომ მიიტანოს, მოსალოდნელია სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბოს.

ბატონი გიორგი საუბრობს მისთვის დამახასიათებელი ჭარბად პათეტიკური სენტენციების მოშველიებით, ამიტომ ყოველთვის იოლი როდია იმის გაგება, თუ რისი თქმა სურს.

საუბრის დასაწყისშივე ბატონი შოთა აღნიშნავს, შინააშლილობა, ჩვენ რომ გვჭირს, არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემაა, ვიდრე საგარეო საკითხები, ჩვენი საზოგადოების გატაცების საგანს რომ შეადგენსო. ბატონი გიორგი ეთანხმება, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის, სულიერი ერთიანობის შენარჩუნება არანაკლები მნიშვნელობისაა, ვიდრე საგარეო ფაქტორები. ვფიქრობთ, ჩვენი საშინაო ვითარება თავიდათავია ჩვენი არსებობისა, და თუ ამ მხრივ საქმე არ გამოსწორდა, მდგომარეობა კიდევ უფრო დაიძაბება. მაგრამ საშინაო მდგომარეობის მოწესრიგებისათვის დიდი მნიშვნე-

1. თანაავტორი მ. ლორთქიფანიძე.

ელობა აქვს საგარეო ფაქტორს. შინაური მტერი მაშინაა დიდ გულზე, როდესაც ძლიერი გარეშე ძალა უჭერს მხარს. ასე იყო ყოველთვის ჩვენს ისტორიაში, ასეა ახლაც...

ბატონი შოთა საუბრის დასაწყისშივე სამართლიანად არ ეთანხმება ბატონ გიორგის, რომელიც ჩვენი სინამდვილის შესწავლის შედეგად მისთვის თავზარდამცემ დასკვნამდე მი-სულა: „ხალხის შემადღლებელი სისხლისმიერი ნათესაობა, ეთნიკური ერთიანობა, წარსულის ხსოვნა, კულტურა, ენა, ტე-რიტორია, რომლებზეც ჩვენი ცხოვრებაა ორიენტირებული...“, თურმე „მეორადი ანუ არაგანმსაზღვრელი ფაქტორებია ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის პოლიტიკურ ინტერესთა ერთიანობასთან შედარებით“. აღარ გავაგრძელებთ საკმაოდ ბუნდოვანი შინაარსის ციტატას, იმას კი ვიტყვით, რომ ბატონი გიორგი არ ცდილობს გამონახოს ლოგიკური კავშირი ჩვენს უახლოეს წარსულსა და პოლიტიკური პარტიების, ან ვითომც-და პოლიტიკური პარტიების ამბიციებს შორის.

აქვეა გაშლილი მსჯელობა „ხალხისაგან გამოცალკევებულ პარტიულ თუ ფრაქციულ მომავალზე“ (?!). ძნელია ყო-ველივე ეს კონკრეტულად გაიაზრო, მაგრამ გვჯერა, რომ პოლიტიკური ცხოვრება ცივილიზებულ ჩარჩოებში ჩაჯდება. პარტიათა სიმრავლე აღარ იქნება, ხოლო რეალური საფუ-ძვლის მქონე პოლიტიკურ პარტიებს (ცხადია, არა თითიდან გამონოვილ ხელოვნურ დაჯგუფებებს) თავისი საკუთარი ადგილიც ექნებათ და მომავალიც. ჭეშმარიტი დემოკრატიის, მრავალპარტიულობის გზა რთული და ხანგრძლივია, მას მო-თმინებით სწავლა და გააზრება ესაჭიროება.

აქვე ბატონი გიორგი აღნიშნავს, თითქოს ილიას სრულიად არაორაზროვან, ნათელი შინაარსის გამონათქვამში – „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“ – ჩაქსოვილია „ხალხთა (?!) ერთობლივ მომავალზე ერთობლივი ორიენტაციის შინაარსი“. ასე გაგებულნი ეს ფრაზა კომუნისტურ მოწოდებას წაავას.

ბატონი შოთა ნიშნინიძე სამართლიანად არ დაეთანხმა ბ-ნ გიორგი გაჩეჩილაძეს და თქვა, რომ „წარსულის ხსოვნა,

ტერიტორია, ენა და კულტურა მარადიული ღირებულებებია ერისათვის და არა მხოლოდ მეორადი ფაქტორები". ისლა დაგვრჩენია დავძინოთ, რომ სწორედ ამ მარადიული ფაქტორების მოქმედება ქმნის ოპტიმიზმის საფუძველს.

სამწუხაროდ, ბატონი გიორგი ცდილობს პოლიტიკისა და კულტურის გამიჯვნას ფუნქციური თვალსაზრისით, იძლევა კულტურის გაუმართლებელ შეფასებას ზნეობრივ-მორალური თვალსაზრისით. საქმე ის არის, რომ თანამედროვე, სავსებით მართებული გაგებით, კულტურა მოიცავს ადამიანების შემოქმედებითი საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის, პოლიტიკასაც.

მივადექით ბატონი გიორგის საუბრის იმ ნაწილს, რომელიც ჩვენთვის, გვჯერა, მრავალთათვის, ფრიად საჩოთიროა და ძალუძს გააღვივოს ბოროტი თესლი.

„უფლებრივი კატეგორიის დამკვიდრების საინიციატივო ძალები საქართველოს ისტორიაში ძირითადად სამი მამოძრავებელი ეთნოპოლიტიკური საწყისიდან იძვროდა, – ბრძანებს ბატონი გიორგი, – ეს იყო: ქართლი, ეგრისი, აფხაზეთი“.

ვთქვათ და გავიგეთ, რა არის „ეთნოპოლიტიკური საწყისი“, მაგრამ ქართლი, ეგრისი, აფხაზეთი სრულიად გაუგებარი ტრიადაა. აღმოსავლეთ საქართველოს – ქართლს, იბერიას ყოველთვის ჰქონდა დიდი ისტორიული მნიშვნელობის ურთიერთობა დასავლეთ საქართველოსთან; თანამედროვე რუკად – კოლხეთთან, ეგრის-აფხაზეთთან; თანამედროვე განზოგადებული გაგებით – იმერეთთან, მაგრამ ეგრისთან, აფხაზეთთან? გაუგებარია, რადგან იმ გაგებით, როგორც აქ ამის წარმოდგენა სურს ბატონ გიორგის, ცნებები „ეგრისი“ და „აფხაზეთი“ ფარავს ერთმანეთს. თუ აქ ერთიანი ფეოდალური საქართველოს წარმოქმნაა ნაგულისხმევი, მაშინ ლაპარაკი უნდა იყოს ტაო-კლარჯეთზე, ქართლზე, აფხაზეთზე. აფხაზეთზე, რომელიც მთელ დასავლეთ საქართველოს, ეგრისსაც მოიცავს და რომელსაც ეგრისიც ეწოდება.

„რა თქმა უნდა, – განაგრძობს ბატონი გიორგი, – საქართველოს ყველა კუთხეს თავისი როლი აქვს შესრულებული და

შესასრულებელი უფლებრივი საქართველოს (!) ხვედრში, მაგრამ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ამ ხვედრის ტვირთვაში საგანგებო როლი სამეგრელოს დაეკისრა. ეს არც მოგონილია და არც ქათინაური სამეგრელოსადმი“.

„ვინც იცნობს ქართულ კულტურას, – განაგრძობს ბატონი გიორგი, – მოეხსენება, რომ XX საუკუნის საქართველოს ეროვნულმა ინტუიციამ (!) საქართველოს უფლებრივი ხორცშესხმის ძალისხმევა (!) სამეგრელოში დაიგულა.

სამეგრელო არის საქართველოს და ქართული ცნობიერების ეთნიკურად ყველაზე შენახული რეზერვი. აქ შეურყენელადაა გადარჩენილი უძველესი ქართული მითოლოგიისა და ქართული ენობრივი სტიქიის (!) ძირძველი ფორმები. სამეგრელოს აკისრია ეროვნული ფსიქოლოგიის კატალიზატორის (!) ფუნქცია საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესში.

ამიტომ, რომ XX საუკუნის ქართულ კულტურაში (!) ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ენთუზიაზმის კერად უფრო მეტად სამეგრელოა მიჩნეული, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეები.

ქართულმა ეროვნულმა ცნობიერებამ სამეგრელოში აღმოაჩინა ასპარეზი და ქრონოტოპი (ანუ დროისა და სივრცის ერთიანობა), რომელშიც საქართველოს ხვედრის მისტირია (!) სრულდება“.

ბოდიშს ვიხდით „საუბრიდან“ ესოდენ გრძელი ამონაწერის მოტანის გამო, მაგრამ სხვა გზა არა გვაქვს. რა არის ეს, მიკერძობა, თუ ავტორის მცდელობა „მოეფეროს ჩაგრულ“ მეგრელებს, მათში ჩანერგოს და გააღვივოს განსაკუთრებული სრულფასოვნების კომპლექსი. დაუჯერებელია, მაგრამ ნუთუ სურვილია, უარგუმენტო განცხადებებით დანარჩენი საქართველო გააგულისოს, შეაქიშპოს სამეგრელოს?! .

ყველაფერში ვერ გაედავები მოსაუბრეს, მაგრამ მაინც სრულიად გაუგებარია XX საუკუნის მეორე ნახევრიდან „უფლებრივი საქართველოს ხვედრში“ (!) რა განსაკუთრებული როლი დაეკისრა სამეგრელოს.

საინტერესოა, სცადოს და ახსნას ვინმემ, რა არის ქართული „ეროვნული ინტუიცია“, მერე შეისწავლოს ქართული კულტურა და, საინტერესოა, თუ მოახერხებს სადმე დაიგულოს „საქართველოს უფლებრივი ხორცშესხმის ძალისხმევა“, არა აქვს მნიშვნელობა, იქნება ეს გურია, სამეგრელო, რაჭა-ლეჩხუმი, თუ რომელიც გნებავთ საქართველოს სხვა კუთხე.

სამეგრელო იყო და არის საქართველოს ერთიანი ორგანიზმის ცოცხალი, განუყოფელი ნაწილი და არა მისი „ეთნიკურად ყველაზე შენახული რეზერვი“. ძალიან გვეჭკვება, ვინმემ შეიმეცნოს, რას ნიშნავს, რომ „სამეგრელოს აკისრია ეროვნული ფსიქოლოგიის კატალიზატორის ფუნქცია“. სამეგრელოში „საქართველოს ხვედრის მისტერია კი არ სრულდება“, საქმე გვაქვს ეროვნულ ტრაგედიასთან.

კვლავ ჯობდა, ალბათ, ბატონ გიორგის არ შეეწუხებინა დიდი ილია. ილიასეული ნათქვამი სამეგრელოში საქართველო ვნახეო, მისთვის ჩვეული პათეტიკით, ბატონმა გიორგიმ გაიაზრა, როგორც „ფორმულა გენიალური ნათელხილვისა“. არ არის ეს არავითარი ფორმულა, მით უმეტეს, გენიალური ფორმულა, და არაფერი აქვს, ცხადია, საერთო ნათელხილვასთან. უბრალოდ, სამეგრელოში ჩასულ ერის წინამძღვარს გაუქრა უსაფუძვლო სკეფსისი და გახარებულმა თქვა, – საქართველო ვნახეო. ამით მას იმის თქმა სურდა, რომ სამეგრელო ისეთივე საქართველო იყო, როგორც მისი სხვა კუთხეები. სხვათა შორის, ილიასეული ნათქვამი ზოგი მეგრელის სავესებით სამართლიან უკმაყოფილებასაც იწვევს, მართლაცდა, რა უნდა ენახა ილიას სამეგრელოში, თუ არა საქართველო?

ბატონი გიორგის პანეგირიკმა ბატონ შოთასაც დააცდენინა შეცდომა. „განა კოლხეთი ყველა ქართველისა და მთელი საქართველოს სულიერი დედობილი არ არის?“ – კითხულობს იგი. აქ ალბათ საუბარში დაშვებულ ლაფსუსთან გვაქვს საქნე, თორემ ქართველისათვის არც კოლხეთია დედობილი,

არც კახეთი და არც თუშ-ფშავ-ხევსურეთი, არც რომელიმე სხვა კუთხე („ყველა ჩემი სამშობლო“), ყველა ერთნაირად დედაა. ეს, ცხადია, კარგად მოეხსენება პოეტს.

როგორც ეროვნებათმორისი საკითხების ყოფილი მრჩეველი, ბატონი გიორგი ახასიათებს რუსების, ფრანგების „პოლიეთნიკური განვითარების სურათს“. იქნებ ჯობდა ამ საკითხში მეტი სიფრთხილე გამოეჩინა. როგორც უნდა გავი-აზროთ ხალხის განვითარების უცილობლად თანმხლები ას-ნიმილაციურ-დისიმილაციური პროცესები, ფრანგები მაინც არ წარმოადგენენ „რასებისა და ეთნოსების ნაზავს“. ბატონი გიორგის საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ჩვენც, ქართველები, რასებისა და ეთნოსების პოლიეთნიკურ ნაზავად მივაჩნევართ. რასაკვირველია, სუფთა ერი, ისევე როგორც სუფთა რასა, არ არსებობს, მაგრამ ეთნოსების და რასების ნაზავს არც ფრანგები, არც ქართველები და არც ბე-ერი სხვა ერი არ წარმოადგენს. აღნიშნული თვალსაზრისით მიუღებელია მეგრელების, კახელების, სვანების, ქართლელე-ბის, იმერლების და სხვათა ეთნოტიპებად ჩამოსახელება.

ჭეშმარიტად გაუგებარია ჩვენთვის, რისთვის დასჭირდა ბატონ გიორგის „გამარჯვებით „მთვრალი“ ქართველი მე-ომრების“ მართლაცდა უმსგავსი სიმღერის ტირაჟირება გა-ზეთის ფურცლებზე. ამ ბრიყვული სიმღერის გამეორებაც კი შემზარავია, თუკი იგი ერთხელ მაინც დაცდენია ვინმეს.

გაუგებარია, რას ნიშნავს „პოლიტიზებული და ჩვეულებრ-ივ აღმნიშვნელობითი ენა“.

ერთობ გავუშინაურდით ქრისტეს რჯულის განმარტების საკითხებს. ბატონი გიორგი სამართლიანად უწონებს ბატონ შოთას ლექსის ოთხ სტრიქონს, მაგრამ იქ არსად არ არის ქრ-ისტიანული შეგონება. წმინდა ქრისტიანული თეოლოგიური დოგმატიკით, საერთოდ არ უნდა ახვიდე არავითარ ტახტზე, არც ავტომატით და არც შარავანდით. ცხოვრებას თავისი კა-ნონები აქვს, ქრისტიანული ეკლესია აკურთხებს ტახტზე ას-ვლას, მაგრამ ეს სულ სხვა მხარეა საკითხის.

ყოვლად მიუღებელი თვალსაზრისია გატარებული ბატონი გიორგის, რბილად რომ ვთქვათ, განსაცვიფრებელ განცხადებაში: „ძველის აღდგენა შეუძლებელია, რადგან ეს გამოინვეს რევანშიზმს, რომლის გადასატანი ენერგია საქართველოს აღარ გააჩნია“. მთავარი, თურმე, რევანშიზმის შიში ყოფილა, და არა ის დამღუპველი პოლიტიკური კურსი, რომელიც შეიძლება ამას მოჰყვეს. ისიც უნდა ითქვას, ბატონმა გიორგიმ, ჩანს, კარგად იცის რევანშიზმის რა საშიშროება შეიძლება გაჩნდეს.

ბოლშევიკური ფრაზეოლოგიით კეკლუცობა რომ არა, სენაკში ჯოხარ დუდაევის სურათებით ხელაპყრობილნი, რა თქმა უნდა, ბრბოს წარმოადგენდნენ და არა ხალხს: ხიდებისა და გზების ამფეთქებელნი, მკვლევები ნუთუ „უტუს ლაშქარია“? გვსურს დავასკვნათ, რომ ცეცხლზე ნავთის დასხმით და, ვფიქრობთ, ზოგჯერ ცუდად გააზრებული ფრაზების გავრცელებით ფონს ვერ გავალთ. იქნებ ჯობდა ბატონ გიორგის პრეზიდენტის მრჩევლად ყოფნის დროს ერჩია, არ მოეწვიათ დამხმარენი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მაშინ იქნებ არ აგორებულებოთ განხეთქილების ვაშლი. მაგრამ, მგონი, შეუძლებელს კი ვთხოვთ. თურმე მიუცია კიდეც კეთილი რჩევა, „ადამიანურად“ არაფერი ჰქონიათ ამის საწინააღმდეგო, მაგრამ უკვე შეუძლებელი გამხდარა „აგორებული შეუწყნარებლობის გამკლავება“.

ის, რაც სამეგრელოში მოხდა, მძიმე ტრაგედია გახლავთ ყველა ქართველისთვის. ეს დანაშაულია და, წარმოიდგინეთ – უფრო მეტიც, ეს არის მრავალმხრივი შეცდომა. განმარტებისათვის უნდა აღვნიშნოთ, რომ დანაშაული გარკვეულნილად გულისხმობს ნებელობის მომენტს, ხოლო შეცდომა მოკლებულია რაციონალურ სანყისს. მაგალითისათვის, მსოფლიო თვალსაზრისით დიდ პიროვნებას სტალინს, მორალის თვალსაზრისით მრავალი საზარელი დანაშაული ჰქონდა ჩადენილი და არ ჰქონდა, ან თითქმის არ ჰქონდა, შეცდომები, კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა.

საფუძველი დაშვებული შეცდომებისა არც ისე ძნელი ასახ-
სნელია. სამწუხაროდ, ხშირად ეს შეცდომები ლამის ფატალუ-
რად გარდაუვალია. სამართლიანად აღნიშნავდა მერაბ მამარდ-
აშვილი: „ჩვენი ისტორიის გაგება შეუძლებელია, თუ თვითონ
შიგნიდან არ განიცადე ეს ისტორია; მეორე მხრივ, არის ამ ის-
ტორიის ისეთი მონაკვეთები, რომელთა გაგება არც არის სა-
ჭირო; კიდევ რომ გაიგო, კიდევ რომ აღიქვა ეს გამოცდილება,
აქედან ვერავითარ დასკვნას ვერ გააკეთებ, ნორმალურ ადამ-
იანურ ცხოვრებაში, ან ადამიანის ნორმალურ ტრაგიკულ მდ-
გომარეობაში ვერაფერს გადმოიტან. ეს ყველაფრის მიღმა“.

იოლი არ არის, რომ საზოგადოებამ ჯერ შეიგნოს და მერე
განიკურნოს იმ სენისგან, რომელსაც დაკომპლექსებულობა,
დასტრუქტურულობა ეწოდება. „უნდა გვესმოდეს, – ამბო-
ბდა მერაბ მამარდაშვილი, – რომ ჩვენში ჯერ კიდევ არის და-
მანგრეველი ველი, რომელშიც თვით აზროვნების შესაძლებ-
ლობაა გარყვნილი, დანგრეული“.

ჩვენი უახლოესი, წინამავალი ისტორია, ბუნებრივია, ქა-
რს არ წაუღია. კომუნისტების განუყოფელი ბატონობის ხანა-
ში ჩამოყალიბებული სტრუქტურების რღვევა არ არის იოლი.
განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ჭეშმარიტად თა-
ვისუფალი, დაუკომპლექსებელი ადამიანის რეგენერაცია, თუ
გნებავთ, რეანიმაცია. ყველაზე დიდი დეფიციტი, კომუნისტებ-
ის მიერ ხელოვნურად შექმნილი, ეს არის დეფიციტი ჭეშმარ-
იტად ღირსეული, გონიერი ადამიანებისა. თუ გადავხედავთ ჩვ-
ენს წინამავალ ისტორიას, წარმოვსახავთ საბჭოთა ადამიანის
მორალურ-ზნეობრივ სახეს, გავიაზრებთ მის ეროვნულ პოლი-
ტიკურ მრწამსს, მაშინ უნდა ვალიაოთ, რომ დღევანდელი მძ-
იმე ვითარების გათვალისწინებით, კიდევ არა გვიძავეს რა.

როდესაც ენაში არსებობს ცნება „ბრბო“, მას, ცხადია,
თავისი კონკრეტული სემანტიკაც აქვს. განა ბრბოს, თუნდ-
აც მხიარულ ან, უფრო სწორად, მხიარულობანას მოთამაშე
ბრბოს არ წარმოადგენდნენ ისინი, ვინც ბელადებისა და სა-
ხელმწიფოს მეთაურთა სურათებით დახუნძლულები ყალბი

აღლუმების დროს მხიარული ყიყინით, სახეგაბადრულები მიეშურებოდნენ „საყვარელი მთავრობის“ ტრიბუნისკენ? მერე... მერე თავისუფლად შეეძლოთ ერთსულოვნად მოეთხოვათ სიკვდილის განაჩენი „ხალხის მტრებისთვის“. ამდენად, ცხადია, სენაკში ჯოხნარ დუდაევის თუ სხვათა სურათებით გამოსვლაც საბჭოური ტრადიციის გაგრძელება იყო. აღნიშნული თვალსაზრისით, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ბატონ გიორგის, რომ „ახლის შარავანდედით შემოსვა, როგორც მეგუნდრუკენი ცდილობენ, გაუმართლებელია“. ამასთან, ასევე გაუმართლებელია, რომ ვერ დავინახოთ სასიკეთო პროცესების დასაწყისი.

ბატონი გიორგი სამართლიანად შენიშნავს, რომ დემოკრატია ბოლშევიკური შეუვალობა არ არის, რომ იგი უპირველესად კომპრომისის გულისხმობს. ვართ კი ჩვენ, არის ჩვენი საზოგადოება მზად ნამდვილი დემოკრატიისთვის? ჩვენ ხომ არ გაგვივლია ცხოვრების ის გზა, რომელსაც დემოკრატიულ აზროვნებამდე, ცხოვრების დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებამდე უნდა მივეყვანეთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენში მაინც არსებობს შემწყნარებლური კომპრომისის აუცილებლობის გრძნობა. სწორედ ასეთი შემწყნარებლური კომპრომისი განხორციელდა იმ პირთა მიმართ, რომელნიც იარაღითაც კი იბრძოდნენ არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ. ალბათ არ შეიძლება ამის დაუნახაობა. არც იმის დაუნახაობა შეიძლება, რომ ამ კომპრომისების გატარებაში მცირედი არ იყო როლი ინტელიგენციისა, რომლის წარმომადგენლები თავდებადაც კი დაუდგნენ ზოგიერთებს. ღრმად გვნამს, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, შეგვეწევა ჩვენი ძირძველი კულტურის მადლი, ისტორიული წარსულის გამოცდილება, თავს იჩენს ქართველი კაცისთვის დამახასიათებელი საღი პრაგმატიზმი. ვნებები დაცხრება, ქართველები ერთმანეთს გავეუგებთ, ცხოვრება დაღვინდება, წყალნი წაელენ და წამოვლენ... საერთო მეცადინეობით ქვეყანა დამშვიდდება.

თითოეული მოქალაქის პატრიოტული მოვალეობაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ამ ბუნებრივ პროცესს, დააჩქაროს იგი. „ეროვნული ინტუიციით, საქართველოს უფლებრივი ხორცშესხმის ძალისხმევის“ დაგულების მცდელობა ქვეყნის რომელიმე, თუნდაც საუკეთესო კუთხეში სასიკეთოს არაფერს მოგვიტანს. ალბათ უხერხულიც კია იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს ყველა კუთხე ყოველი ჩვენგანისთვის, გარკვეულწილად, საუკეთესოა თავისი სიკეთით და ნაკლითაც.

დასასრულ, სახარებისეული შეგონებანი გვსურს გავიხსენოთ – „არაფერი გააკეთოთ ჯიბრით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით; საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი“ და „თითოეული მარტო თავის თავზე კი ნუ იზრუნებს, არამედ სხვებზეც“.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წ. 12 XII.

თეატრი დიდი სასწავლებელია¹

ჩვენს მეხსიერებაში მყარად არის ჩაბეჭდილი მარჯანიშვილის თეატრის ადრინდელი სპექტაკლის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ სრულიად განუმეორებელი ხიბლი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცეცილია ნუნუნავას ზუსტი მიგნებით წარმოთქმული „დააა!“ დააა!“ გაცილებით უფრო ნათლად წარმოსახავდა გასული საუკუნის შუა წლების ქართული სალონური ცხოვრების ქეშმარიტ შინაარსს, ვიდრე იმჟამინდელი ყოფის აღწერისადმი მიძღვნილი სპეციალური რომელიმე საისტორიო გამოკვლევა. გიორგი შავგულიძის მიერ წამოწყებულ სიმღერას „ალექსანდრე რაზბონიკო, შენი ჭირიმეს“ მთელი ქალაქი მღეროდა...

ამთავითვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ სანდრო მრეველიშვილისეულმა ახალმა თეატრალურმა დადგამამ არანაკლებ წარუშლელი შთაბეჭდილება დაგვიტოვა. ქეშმარიტად, ბრწყინვალეა სოლომონ ისაკიჩის როლში ბატონი გიორგი გეგეჭკორი: დახვეწილი, ახალგაზრდული პლასტიკა, მშვენიერი ვოკალური მონაცემები, მსახიობის საოცარი უნარი თითოეული ბგერის განსაკუთრებული ჟღერადობით ამეტყველებისა, ცხადია, მაყურებელს გულგრილს ვერ დატოვებს. მიგვაჩნია, რომ სოლომონ ისაკიჩი ერთ-ერთი საუკეთესოა გიორგი გეგეჭკორის მიერ შექმნილ მდიდარ სამსახიობო გალერეაში. სპექტაკლის რეცენზირების მიზანი არ გვაქვს, ამასთან, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ღირსეულია წარმოდგენის თითოეული მონანიღე. მსახიობები სპექტაკლში სულაც არ ქმნიან ძირითადი პერსონაჟის ანტიურაჟს. თითოეული მათგანი გამოკვეთილი ინდივიდუალური სამყაროს მატარებელია. ისინი იქვე, ჩვენ თვალწინ, ახერხებენ კოსტიუმირებულ გარდასახვას – ხან ბაზრის მშფოთვარე ბრბოდ წარმოგვიდგებიან, ხან – თეატრალურ პუბლიკად. ზომიერი გროტესკით წარმოსახვენ თათარი ვაჭრების ამქარს დამახასიათებელი მეტყველებით. ვფიქრობთ, თეატრალური კრიტიკა ყოველ მათგანს ჯეროვნად

1. თანავტორები: გ. რამიშვილი, თ. ძნელაძე.

დააფასებს. ალბათ, უთუოდ აღინიშნება თუნდაც სოლომონის ვაჟის, ისაკის, როლის შემსრულებლისაგან სახის სრულყოფილად გამოსაძერწად გათვლილი ჟესტი, ნიშანდობლივი მეტყველება, სიმღერის მანერა, მიხრა-მოხრა (უფრო სწორად, გაყინჩული მოძრაობა) მშვენივრად წარმოსახული ისაკის ფონზე გამორჩეული რელიეფურობით აღიქმება.

ლავრენტი არდაზიანის თხზულება აქტუალურობას, ალბათ, არასდროს დაკარგავს, სოლომონ ისაკიჩი ჩვენი სინამდვილის „გააზნაურებული მდაბია“. რამდენჯერ შეუნიშნავს ყოველ ჩვენგანს ოპერაში უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი სოლომონ ისაკიჩის პროტოტიპი ცხოვრებაში. ამდენად, მეჯღანუაშვილის სცენაზე ხელახალი გაცოცხლება, მართლაც, დროულია. დღესაც თავდაპირველი აქტუალურობით ჟღერს თეატრალური ხელოვნების არდაზიანისეული შეფასება: „თეატრი დიდი სასწავლებელი, თურმე, არის: ყოველს პიესაში წარმოადგენენ, თურმე, კაცის რომელიმე შეცთომილებას და ნაკლებობასა, კეთილსა და ბოროტ მხარესა, აქ უნდა გული და გონება ადევნოს მაყურებელმა და გაიგოს აზრი და მიზეზი მოქმედებისა... გარდა ამისა, თვით საზოგადოება მაყურებელთა მრავალს რასმე ასწავლის კაცსა!“

თბილისის თეატრებმა თაობები აღზარდეს. ბევრი დააკლდა მას, ვინც თავის დროზე ვერ ეზიარა აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, ვასო გოძიაშვილის, სერგო ზაქარიაძის, შალვა ლამბაშიძის, აკაკი კვანტალიანის, გიორგი შავგულიძის, სხვათა მაღალნიჭიერების მადლს. ვერაფერი შეავსებს ხარვეზს ადამიანის კულტურულ ჩამოყალიბებაში, თუ იგი სესილია თაყაიშვილისა და ვერიკო ანჯაფარიძის უბადლო ხელოვნების თანაზიარი არ ყოფილა.

მეორე მსოფლიო ომის მრისხანე წლებში სილატაკეში, შიმშილსა და წყურვილში თეატრი იდგა ადამიანის ცხოველური გადაგვარების საშიშროების მტკიცე ჯებირად. ახლაც ომია, მძიმე განსაცდელის ჟამი გვიდგას, მაგრამ ისევ და ისევ საკუთარი თავის სასიკეთოდ, ადამიანებმა, უწინარესად ახალ-

გაზრდობამ, ზურგი არ უნდა აქციოს თეატრს, რომელსაც მნიშვნელოვანწილად აკისრია ადამიანთა სულის განსაზღვრდელის დიდი მისია.

გული დაგვწყვიტა 27 დეკემბერს აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში ნანახმა: „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“ ტელევიზია იღებდა... დარბაზში ოცდაათიოდე კაცი თუ იყო, დაახლოებით ორჯერ მეტი, სპექტაკლში დაკავებულ მსახიობთა რაოდენობასთან შედარებით. ირგვლივ დასადგურებულ სიცივეს სცენიდან წამოსული ცივი ჰაერის ჭავლი მთლად ყინვად აქცევდა. ასეთ ვითარებაში შილიფად ჩაცმული მთავარი გმირის, დეკოლტირებული ქალების დახვეწილი მსახიობური ოსტატობა მოქალაქეობრივ გმრობად აღიქმება.

მძიმე მდგომარეობაში ვართ, გვიჭირს მრავალმხრივ, მაგრამ ვიმეორებთ, თუ უკეთესი მერმისისათვის ვირჯებით, თუ საკუთარი თავისთვის და განსაკუთრებით მომავალი თაობებისთვის სიკეთე გვსურს, თეატრები არ უნდა გამოვაცარიელოთ.

სულიერი კულტურის ნაკლებობა ყოველ ნაბიჯზე აშკარად შეიმჩნევა ადამიანთა უკიდურესად გაუხეშებულ ურთიერთდამოკიდებულებაში, გაუკუღმართებულ მეტყველებაში... გაივლის დრო და ამჟამინდელ ახალგაზრდობას, თუ იგი ასეთი გულგრილი დარჩა თეატრისადმი, შეუვსებელ ხარვეზად ექცევა ის, რომ არ ეზიარნენ ჩვენი დღევანდელი თეატრალური ხელოვნების ბრწყინვალე ოსტატების შემოქმედებას. მომავალი საქართველოს ღირსეული მოქალაქეების აღზრდის საქმეში თეატრს ძალზე დიდი როლი აკისრია.

ასეთი ფიქრები აღგვეძრა მშვენიერი სპექტაკლის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ ნახვის შემდგომ.

„თბილისი“, 1993 წ. 20 I.

უსაგნო კრიტიკის პასუხი

ბატონო რედაქტორო! დიდად განმაცვიფრა „საქართველოს რესპუბლიკის“ 17 ივლისის ნომერში დასტამბულმა ამირან შეროზიას წერილმა – „გამოხმაურება ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის ერთ პუბლიკაციაზე“. ნამდვილად არ ვიცი, რა მოეჩვენა ბატონ ამირანს, როდესაც წერილი მსხვილი შრიფტით დაასათაურა „რატომ ვეძებთ არარსებულ სეპარატიზმს?“

პირადად მეც მომდგა: „...საპოლემიკო წერილს „პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ...“ ხელს აწერს ვინმე ჯუმბერ ოდიშელი. ასეთი გვარისა და სახელის მქონე პიროვნებას ზუგდიდის ინტელიგენცია არ იცნობს. თუ თავის ვინაობას უმაღლავს გაზეთის მკითხველებს, საინტერესოა რატომ?“ – რიტორიკულად კითხულობს იგი.

ბატონი ამირანი სახალხო განათლების წარჩინებული კი ყოფილა, მაგრამ მეეჭვება, რომ ეს წოდება ვინმეს უფლებას აძლევდეს, თავი გამორჩეულად მაღალი დონის ზუგდიდის ინტელიგენციის ლიდერად გამოაცხადოს. სხვა მხრივ კი, სულო ცოდვილო, ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში“, ნებისმიერ გაზეთში, წერილის, თუნდაც თანაავტორობით დასაბეჭდად, საჭირო იყო, რომ სახალხო განათლების წარჩინებული ამირან შეროზია პირადად უნდა გიცნობდეს.

მეგრელები სიმკვირცხლით სახელგანთქმული ხალხია. მეგრელი გახლავართ და, სახალხო განათლების წარჩინებული ამირან შეროზიასაგან განსხვავებით, ვინც მიცნობს, არც ჩემთვის შეუნიშნავს ვინმეს მოვლენებზე დაქვეითებული, დაგვიანებული რეაქცია. ახლა გამოხმაურება 1992 წლის დეკემბერში გამოქვეყნებულ სტატიაზე იმას ჰგავს, უირაფს რომ ჰკითხეს, რა გაცინებსო და, მელამ შარშან ანეკდოტი გვიამბოო.

ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძის თანაავტორობით გამოქვეყნებულ წერილში ყველაზე მკაცრი, ჩაკირკიტებული კრიტიკოსიც კი ვერ იპოვის რაიმე მინიშნებას, სურვილს, ვინმეს ბრალი დავდოთ სეპარატიზმში. ბუნებრივია, სტატიაში არც ეს სიტყვა არის სადმე ნათქვამი. ამჟამად, როდესაც

ჩვენი ქვეყანა უმძიმეს განსაცდელშია, ყველა ქართველის, უფრო მეტიც, საქართველოს ყველა მოქალაქის მთელი ნიჭი, უნარი, მიმართული უნდა იყოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად, ეროვნული თანადგომის, ერთობის სანუკვარი მიზნის მისაღწევად. ასეთ ვითარებაში რაიმე სეპარატიზმზე ლაპარაკიც კი ღალატს უდრის, ხიდების ამფეთქებლების, მძარცველების და მკვლელების „საქმიანობის“ ტოლფასია. არც მე ვიცნობ ა. შეროზიას და, ღმერთო შეგცოდე, ისე ხომ არ არის, მელას რაც ელანდებოდა, ის რომ ესიზმრებოდა?..

სახალხო განათლებას ბატონი ამირანი თურმე წარჩინებით ემსახურა, მაგრამ საქართველოს ისტორიის პრობლემებზე, სეპარატიზმის ცნებაზე ერთობ მწყრალად გახლავთ. ამჟამად ზუგდიდის ინტელიგენცია არ იკმარა და სამეგრელოს საღად მოაზროვნე ადამიანების სახელით აცხადებს: „ე. წ. „მეგრული“ სეპარატიზმი არასოდეს არ არსებობდა და არც იარსებებს“-ო. „ქართლის ცხოვრებას“ თავი რომ დავანებოთ, ბატონ ამირანს, ეტყობა, ძალიან უგულისყუროდ აქვს წაკითხული თუ გადათვალთვალული საქართველოს ისტორიის საშუალო სკოლის ნებისმიერი სახელმძღვანელო. ათას ხუთასი წელი ჩვენი ფეოდალური ხანის ისტორიისა, სწორედ-აც რომ სეპარატიზმთან განუწყვეტელი ბრძოლის ისტორია გახლავთ. შინააშლილობა იყო საქართველოს ნებისმიერ კუთხეში. არსებობდა კახეთის, ქართლის, გურიის... ბუნებრივია, სამეგრელოს სეპარატიზმიც. აღნიშნული თვალსაზრისით არ წარმოვადგენთ გამონაკლის ქვეყანას. სეპარატიზმი ბრძლენიდა კლასიკური ფეოდალიზმის ქვეყნებს: საფრანგეთს, გერმანიას... არცთუ დიდი ხნის წინ სამეგრელოში სეპარატიზმის მავნე გამოვლინების რეციდივი გახლდათ ისაკი ჟვანიას ჯგუფის არსებობის ფაქტი.

ეს ყველაფერი უცილობლად ისტორიას უნდა ჩაბარდეს. ახლა კი, ვიმეორებ, ჩვენი უპირველესი მოვალეობაა ვისწრაფოთ ეროვნული მთლიანობისაკენ, ვაშენოთ ძლიერი, დემო-

კრატული სახელმწიფო და მოვეშვათ მყვირალა, უშინაარსო სენტენციებს.

სამწუხაროა, რომ სახალხო განათლების წარჩინებული ა. შეროზია ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან დედისა და დედობილის შინაარსს. თავი რომ დავანებოთ ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის რთულ პრობლემებს, რაშიც ა. შეროზია, ცხადია, ავტორიტეტად ვერ გამოდგება, კოლხეთში სახელმწიფოებრიობა, იბერიასთან შედარებით, ხუთი კი არა, თხუთმეტი საუკუნითაც ადრე რომ წარმოქმნილიყო, კოლხეთი, ისევე როგორც კახეთი, საქართველოს სხვა კუთხეები, ქართველი კაცისათვის მაინც დედად დარჩებოდა და არა დედობილად (საინტერესოა, რა ვერ გაიგო, რას დავობს?).

კარგა ხნის წინ, ზუგდიდში აკადემიკოს ილია აბულაძეს მეგობარმა, დარბაისელმა მეგრელმა კაცმა უმასპინძლა და პირადად გახლდით მონმე იმისა, რომ იმ კაცმა აღშფოთება გამოხატა დიდი ილიას ცნობილ გამონათქვამზე, აღელდა, სამეგრელოში თუ არა საქართველო, ადამიანმა, აბა, სხვა რა უნდა ნახოსო. სახალხო განათლების წარჩინებულ ა. შეროზიას კი ზრდილობაზე ხელი აუღია და არ ეკადრება, რომ გონებაჩლუნგსა და დამთხვეულს უნოდებს ყველა მეგრელს, ვისაც აღნიშნული ცნობილი გამონათქვამი არ მოსწონდა ან არ მოეწონება. არადა, ა. შეროზიასავე განმარტებით, ილიას ეს სიტყვები რუსეთის ცარიზმის მზაკვრული პოლიტიკის მისამართით და „აშორდიასთანა გადაგვარებული ნაძირალების ასალაგმავად“ დასცდენია. ჩვენ კი მარტივად აღვნიშნავდით, რომ ილიას გაუქრა სრულიად უსაფუძვლო სკეფსისი და სამეგრელოში საქართველოს ხილვით გაიხარა.

ძნელი ამოსაცნობია, რატომ უთვლის ბატონი ამირანი პარტიის წევრობის სტაჟს ქალბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს, ან სად ამოიკითხა მისთვის საპოლემიკოდ გადაქცეულ წერილში პასაჟები პატიოსანი და კორუმპირებული კომუნისტების დაპირისპირების შესახებ? ეტყობა, ამხანაგი ა. შეროზია ამჟამადც მართლმორწმუნე კომუნისტია, თორემ მე თუ არა, ქა-

ლბატონ მარიამ ლორთქიფანიძეს ხომ იცნობს და კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ, მსგავსად ქართული ინტელიგენციის ბევრი წარმომადგენლისა, ქალბატონი მარიამი იმჟამად არსებულმა ვითარებამ აიძულა ყოფილიყო პარტიის წევრი, რომ კომუნისტების იდეური თანამზრახველი არასდროს ყოფილა.

კვლავ იძულებული ვარ დავიმონწმო ადრე დაბეჭდილ სტატიაში აღნიშნული, რომ სამეგრელო ქართული ენის იქ შემონახული უძველესი ფორმებით, მდიდარი ფოლკლორული მითოსური მასალით, ბრწყინვალე სიმღერებით, მაღალი კულტურით „იყო და არის საქართველოს ერთიანი ორგანიზმის ცოცხალი, განუყოფელი ნაწილი და არა მისი „ეთნიკურად ყველაზე შენახული რეზერვი...“ ის, რაც სამეგრელოში მოხდა, მძიმე ტრაგედია გახლავთ ყველა ქართველისათვის. ეს დანაშაულია და, წარმოიდგინეთ – უფრო მეტიც, ეს არის მრავალმხრივი შეცდომა“. ბუნებრივია, რომ ზუგდიდელ კაცს, ბატონ ამირანს, გულს უკლავს იავარქმნილი მშობლიური ქალაქის ხილვა, მაგრამ დღეს საქართველოში, ჩვენდა საუბედუროდ, ვერავის გააკვირვებ დამწვარი, განადგურებული სახლების, გატაცებული მანქანების ან თუნდაც ფულის გამოსაძალველად მძევლად აყვანილი ადამიანების რაოდენობის სიჭარბით. მინდა დავარწმუნო ბატონი ამირანი, რომ უნივერსიტეტის კაბინეტებიდან საკმაოდ კარგად მოჩანს ყოველივე და, უპირველესად ყოვლისა, რუსთაველის პროსპექტი, საქართველოს მძიმე ჭრილობა – ბარბაროსულად დაზარეული კოპნია სოხუმი.

ბატონო რედაქტორო, არა მგონია, რომ პრესის თავისუფლება, დემოკრატია თითიდან გამონოვლი შინაარსის სტატიების უცილობლად პუბლიკაციაში გამოიხატებოდეს. ვეჭვობ, რომ სახალხო განათლების წარჩინებულ ამირან შეროზიას წერილმა საზოგადოებას რაიმე სასიკეთო შესძინა.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წ. 14 VIII.

არა შეჯღა მწყერი ხეხა...

კარგა ხანია დასრულდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის სამეცნიერო კოლექტივის ერთ-ერთი ჯგუფის მრავალწლიანი სამუშაო. 1991 წელს კი გამოცემლობა „მეცნიერებამ“ დასტამბა ფუნდამენტური შრომის „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ I ტომი. ამჟამად უკვე იყიდება II ტომი და ქალაქის პრობლემა რომ არა, მალე გამოვიდოდა დასაბეჭდად გამზადებული III ტომიც.

განუვლია დიდი შრომატევადი სამუშაო – უძველესი დროის ქართული ისტორიული დოკუმენტებიდან (სიგელ-გუჯრებიდან) XVII ს. ჩათვლით ამოკრებილია ანოტირებული ცნობები ქართულ დოკუმენტებში დასახელებულ პირთა შესახებ. რამდენადაც ვიცით, ასეთი ტიპის ორიგინალური ნაშრომი სხვა ქვეყნებში არსად შესრულებულა. ისტორიული კვლევა-ძიების პერსპექტივის თვალსაზრისით, ძნელია განუვლი შრომის მნიშვნელობის სათანადოდ შეფასება. მარტივად რომ ვთქვათ, ნაშრომი დოკუმენტებში გადმოცემული „ქართლის ცხოვრების“ ასახვა გახლავთ. ბუნებრივია, ველოდით ნაშრომის ღირსება-ნაკლოვანების ობიექტურ განსჯას, ახლაც ვიმედოვნებთ, რომ ფართო საზოგადოებრიობა, განსაკუთრებით მეცნიერი ისტორიკოსები, ფილოლოგები, ენათმეცნიერები ნაშრომის გამოქვეყნებას დუმილით არ აუვლიან გვერდს.

სამწუხაროა, რომ პირველი მერცხლის წვევის ნაცვლად ნაშრომს, რომ იტყვიან, ყვავმა დასჩხავლა. გამოძახილის მართო სათაური რად ღირს – „ლაფში ჩაფლული ურემი“ (გაზეთი „თბილისი“, 1995, 16 I). ვერ შევედავებით გაზეთის რედაქციას. „რეცენზიას“ ხელს აწერს ისტორიული მეცნიერების უმაღლესი რეგალიებით აღჭურვილი მეცნიერების ხუთი ადპტი. რა ვქნათ? დაბეჭდეს...

ვიდრე „რეცენზიაში“ წამოჭრილ „საკითხებს“ შევეხებოდე, ორი სიტყვა მინდა მოგახსენოთ მის ხელის მომწერთა შესახებ. ისინი განსჯიან წიგნს, რომელიც მთლიანად საქართველოს ისტორიის ფეოდალური ხანის დოკუმენტებზე გახლავთ

დაყრდნობილი, „რეცენზენტების“ უმეტესობა კი საქართველოს საბჭოური პერიოდის შესწავლაში გაისარჯა. არც ერთ „რეცენზენტს“ (ხელის მომწერს) ქართულ სიგელთმცოდნეობასთან არანაირი კავშირი არა აქვს და თუ გავითვალისწინებთ მათ სოლიდურ ასაკს, არც არის მოსალოდნელი, რომ პერსპექტივაში რომელიმე მათგანი ქართულ დიპლომატიკას ან, გნებავთ, ზოგადად საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საქმეს წაადგეს.

არკადი რაიკინისეული ჩამოსახელება რომ გამოვიყენოთ, სტატია დაწერილია სოლოვიოვ, იმედია კარგად გამიგებთ, სედოის მიერ, ახირებული კაცი რომ არის და უადგილო ადგილას რაღაც წარწერები რომ ეზმანება. უშალეს, არ დაიშალა... ღმერთმა ხელი მოუმართოს! ნაიკითხოს, სადაც რა მოეჩვენება, მაგრამ ალბათ არავის უნდა ჰქონდეს უფლება, აუკრძალოს სხვებს ნათლად დაწერილის დაფიქსირება.

„რეცენზიის“ ხელმომწერთა მიმართ ალბათ არ გვექნებოდა პრეტენზია, ნაკითხული რომ ჰქონდეთ ის, რასაც ხელი მოაწერეს. არც მათ, ცხადია, არც რედაქციას, არ ეკადრებათ „რეცენზიაში“ გამოყენებული სიტყვები, გამოთქმები, კვალფიკაციები („უსუსური“, „უმეცრული“, „უგბილმეტყველი უკეთურება“, „მიუტევებელი სიბრყვე“ და ა. შ.).

„რეცენზენტების“ დიდი გულისწყრომა, აღშფოთება გამოუნვევია ქართველ მეფეთა გვარის – ბაგრატიონის – „ლექსიკონში“ დადასტურებულ ვარიაციულ ფორმას – ბაგრატუნთან. „წუნდებული (?! – ჯ. ო.) ნიგნის 212-ე გვერდზე შემდგენელნი ბაგრატიონების და ბაგრატუნთან იდენტიფიკაციასაც ამტკიცებენ, რაც მიუტევებელი სიბრყვეა“, – უზრდელად, ამბიციურად აცხადებს „რეცენზია“. მითითებულ ადგილას კი ნიგნში არავინ არაფერს ამტკიცებს. იქ უბრალოდ მითითებულია, თუ რა ფორმებით გვხვდება ისტორიულ დოკუმენტებში ქართული სამეფო გვარ-სახელი (ბაგრატოვანი – ბაგრატონიანი – ბაგრატუანი – ბაგრატუნიანი – პანკრატიონი – პანკრატოანი). ეს არის და ეს.

ქართული დიპლომატიკის პრობლემებისადმი „რეცენზიის“ ავტორის ან ავტორთა სრული უბინოება რომ არა, კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენი სამეფო საგვარეულო ასეთი ვარიაციებით ფიქსირებულია შესაბამისი ისტორიული დოკუმენტების მრავალ პუბლიკაციაში (იხ. ი. დოლიძის ქართული სამართლის ძეგლები; ექ. თაყაიშვილის, სხვა მეცნიერთა გამოცემები). ბაგრატიონები ბაგრატიონიანებად არიან სახელდებულნი „ქართლის ცხოვრებაში“ („ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიანთა“ – სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“; „მატიანე ქართლისაჲ“). თავის დროზე ამ მომენტმა „აღმფოთება“ გამოიწვია ერთი გაუთვითცნობიერებელი პოეტისა, რომელმაც მოითხოვა, „ქართლის ცხოვრება“ გაეასწოროთ და ისე გამოეცეთო.

ასეა თუ ისე, ქართულმა სამეფო საგვარეულომ, ცხადია, ყველაზე უკეთ იცოდა საკუთარი სახელდების პრობლემა, იცოდა, რა ენოდებინა საკუთარი თავისათვის. ცხადია, არსებობს ქართველი და სომეხი ბაგრატიონების გენეტიკურ-ისტორიული ურთიერთდამოკიდებულების რთული პრობლემა, რომელსაც, ვფიქრობთ, გვარის ფონეტიკურ ჟღერადობასთან, მით უფრო, ამჟამინდელი აღქმით, ნაკლები კავშირი უნდა ჰქონდეს. შესაძლებელია რამდენადმე უხეში მაგალითი გახლდეთ, მაგრამ ვიტყვი: სვანური წარმომავლობის გვარები „რეცენზენტებს“ შესაძლოა სომხურად მოეღანდოთ. მაგათ რომ ვუყუროთ, ალბათ, მოლდაველ მუნტიანს ან გასკონელ ფრანგს – დარტანიანს – გრიგორიანებად აქცევენ... ამ „რეცენზენტებს“, ალბათ, აშოტ კურაპალატიც სომეხი ჰგონიათ, სხვა მრავალი ქართველიც, ამ სახელს რომ ატარებდა (ვარიაციულად – აშოთანს). დავამ სრულიად დილეტანტური ხასიათი რომ არ მიიღოს, აქ შევჩერდებით, აღარ ჩავუღრმავდებით ბაგრატიონების საკითხს (...ვისთან? რაზეა კამათი?!).

დიდად ღირსეული კაცი კი იყო, მაგრამ მაინც გაუგებარია, რატომ არის აღიარებული „რეცენზიაში“ ჩალაღანთან ომში დაღუპული თუ სპარსელი ისტორიკოსის მირჰონდის, სომეხი

ისტორიკოსის მათეოს განძაკეცის ცნობებით, ტყვეობაში შავბატკნიანთა ტომის ბელადის ყარა-იუსუფის მიერ 1411 წელს მოკლული კონსტანტინე I საქართველოს უძლეველ მეფედ.

„რეცენზია“ აშკარა სიყალბესაც არ ერიდება. ილარიონ ფავნელი 1260-1267 წლებისათვის არავის დაუდგენია თამარ მეფის მოძღვრად. იგი მოხსენიებულია მის მწირველად (ლექსიკონი, გვ. 305).

„რეცენზიაში“ აღნიშნულია, თითქოს „ლექსიკონში“ აღრეულია ქართველ მეფეთა ზეობის წლები. წერის მანერისა რა მოჯახსენოთ (ჭეშმარიტად მეცნიერულ-ბრძნული სტილია – „პერტურბაციებით მოყირჭებული მკრეხელობის გაცნობიერება“, უზრდელური გამოთქმები), მაგრამ თურმე ნუ იტყვიოთ, „რეცენზენტებს“, უფრო ზუსტად კი „რეცენზენტს“, არც კითხვა ემარჯვება. „ლექსიკონის“ წინასიტყვაობის მე-10 გვერდზე შავით თეთრზე წერია: „მეფეებთან მითითებული თარიღები ყოველთვის არ ემთხვევა მათი ზეობის წლებს, ისინი აღნიშნავენ მოღვაწეობის იმ პერიოდს, რომელიც მხოლოდ დოკუმენტებით დასტურდება“.

ასეთი უმდაბლესი დონის „რეცენზია“ პასუხს არც იმსახურებდა, მაგრამ მრავალი ადამიანი შეურაცხყო დიდი საშვილიშვილო, პატრიოტული საქმის ასე ჰარიჰარად ხელყოფის უდიერმა მცდელობამ და ამიტომაც გავისარჯეთ. აუცილებლად გაგახსენდება კაცს კრილოვის ცნობილი იგავ-არაკის შეგონება – უბედურებაა, როცა მენალე ჩექმების კერვას შეეშვება და ღვეხელის ცხობას დაეშურება.

„კომუნისტი“, 1995 წ. 17 II.

პირველად იყო სიტყვა!

მომრავლდნენ ჩვენში წიგნებნაუკითხავი ადამიანები. სამწუხაროა, რომ მრავალ ახალგაზრდას პირდაპირ ზედ ანერია, რომ არასდროს სჭერია ხელში „ტომ სოიერის თავგადასავალი“, ნარმოდგენა არა აქვს „დავით კოპერფილდის ისტორიაზე“... ძნელად დასაჯერებელია, რომ ბოროტმოქმედებს, რომელთაც მოყვასის სასიკვდილოდ გამეტება იოლად ძალუძთ, არაფრად უღირთ კაცის მოკვლა, „შელის ნუკრის ნაამბობზე“ ცრემლი დაეღვაროთ. ამ დროს კი სიტყვის ძალა უდიდესია. საზოგადოების ინტელექტუალურ დონეს, ბუნებრივია, განსაზღვრავს ის, თუ რა წიგნებს კითხულობს ხალხი.

წინამავალმა სოციალისტურმა საზოგადოებამ „მარქსიზმის კლასიკოსთა“ ნაწარმოებების გასაფრცვლებლად, „ბრძენი პარტიის ყრილობების, კონფერენციების... ისტორიული დადგენილებების შუქის“ ხალხში დასაღვრელად, „მასებში“ „ცოდნა“ შეიტანა. გავიხსენოთ რითი ინყებს ბულგაკოვის პოლიგრაფ პოლიგრაფის ძე შარიკოვი ინტელექტუალურ პიროვნებად ჩამოყალიბებას – იგი ენგელსისა და კაუცკის მიმონერას კითხულობს და... ორივეს შეიძულეხს. ამასთან, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ზემოთ აღნიშნულ ცრუ ცოდნას, რეალური, ჭეშმარიტიც ახლდა თან და წინამავალი საზოგადოება მართლაც ნაყოფიერად კითხულობდა ბევრს.

ამჟამად, მიუხედავად ქალაქის კრიზისისა, მრავალი ისეთი წიგნი გამოდის, იმთავითვე მაკულატურაშია გადასაძახებელი. ასეთი წიგნები საზოგადოების გამრყენელ (პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით) ფაქტორებად გვესახებიან. კიდევ უფრო ღრმა ჩიხში შევალთ, თუ იაფფასიან (ფულად ღირებულებაზე სულაც არ არის ლაპარაკი) ლიტერატურას ნამდვილი სულიერი საზრდო არ დავუპირისპირეთ – წიგნები, რომელნიც მონოდებულნი არიან აღზარდონ მაღალი ინტელექტის საზოგადოება მაღალი ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებით.

ხომ რთული საქმეა კარგი წიგნის დანერა, მაგრამ ახლა წიგნის გამოცემაც საოცრად გაძნელდა და ამიტომ დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენში კიდევ მოიძებნებიან ადამიანები, რო-

მელთა ც კარგი ნიგნების გამოცემის ნიჭი და უნარი აქვთ მომადლებული. ჩვენი ბიბლიოთეკების, ძველი ქართული ოჯახების თაროებს მრავლად ამშვენებს ექვთიმე ხელაძის სტამბაში დაბეჭდილი, ახლა უკვე რარიტეტად ქცეული ლიტერატურა. ნინაპრის დიდებულ ტრადიციას ახლა, როდესაც ქვეყანას ესოდენ უჭირს, დიდებულად აგრძელებს ექვთიმე ხელაძის შთამომავალი შადიმან ხელაძე, გამომცემლობა „ჯი-სი-აი“-ს თავკაცი. მის თანამდგომთა გუნდი, რომელშიც ცნობილი მათემატიკოსისა და შესანიშნავი მოქალაქის ოთარ წერეთლის ვაჟი ზურაბიც შედის, საშვილიშვილო საქმეს აკეთებს.

ამჯერად „ჯი-სი-აი“-ს მიერ გასულ წელს გამოცემულ სამ მნიშვნელოვან ნიგნზე გვინდა გესაუბროთ.

1958 წელს ფრანგი ავტორის რემონ დიუგეს თხზულების „მოსკოვი და წამებული საქართველო“-ს ნაწილი თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩვენმა სასიქადულო ბიბლიოთეკარმა, ქალბატონმა თამარ მაჭავარიანმა მალვით აჩვენა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსის კოტე ბაქრაძის ქალიშვილს მზიას, ფრანგული ენისა და ფილოლოგიის ცნობილ სპეციალისტს. 1961-62 წლებში ქალბატონმა მზიამ ეს თხზულება უკვე პარიზში ნახა ნიკოლაძეთა ოჯახში. თუმცა ხრუშჩოვისეული „დათბუნების“ პერიოდი კი იდგა, მაგრამ კომუნისტური „დათბუნების“ სუსხი კარგად ვუნყით და გამომცემლობა „ჯი-სი-აი“-მ მზია და აკაკი ბაქრაძეების მიერ ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი ნიგნი მხოლოდ 1994 წელს გამოსცა. მას მთარგმნელთა მცირეოდენი მალაღბარისხოვანი განმარტებები აქვს დართული. მთარგმნელთა მაღალი დონე არც კი სვამს დღის წესრიგში თარგმანის ხარისხის საკითხს. ნიგნი ისე იკითხება, თითქოს იმთავითვე ქართულად იყოს დაწერილი. რემონ დიუგე ბოლშევიკური რუსეთის მიერ დემოკრატიული საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის საკითხებზე მოგვითხრობს. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიის უპირველესი გაკვეთილი ისაა, რომ მის გაკვეთილებს თითქმის არავინ არასოდეს ითვალისწინებს, მაინც საწყ-

ენია, გასაგებ მიზეზთა გამო ქართული ფართო საზოგადოება წიგნს ადრე რომ არ იცნობდა. წიგნში თანამედროვეობის თვალსაზრისით ჩვენთვის ბევრი რამ არის ნიშანდობლივი და ჭკუის სასწავლებელი.

როდესაც სიმართლე შენს მხარეზეა, ალბათ, ქვეყანაზე მეგობრები არ დაგელევა. ამას ადასტურებს წიგნისთვის ნამძღვარებული პოლკოვნიკ ს. ბ. სტოკის, ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ყოფილი უმაღლესი კომისრის, წინასიტყვაობა. რემონ დიუგეს, მისი თხზულების შესახებ პოლკოვნიკი წერს: „ამ წიგნის დანერით ავტორმა დიდი სამსახური გაუწია საქართველოს... დიდი სიმპათიით საუბრობს ქართველებზე. მეც მთლიანად ვიზიარებ ამგვარ შეხედულებას. ქართველი ხალხი მკვეთრად გამოხატული ეროვნული გრძნობებით, დიდებული ისტორიით, კუნთმაგარი და სალი აზროვნების გლებებით (რაც მისი მოსახლეობის უმრავლესობაა) ცხოვრობს საოცრად ლამაზი ბუნების ქვეყანაში, მისი წიაღი ძალიან მდიდარია. ეს ხალხი უდაოდ იმსახურებს იმას, რომ მიეცეს საშუალება განვითარდეს თავისუფლად, საკუთარ მისწრაფებათა შესაბამისად და მშვიდობიანად“.

რემონ დიუგე ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტი მეგობარი გახლდათ. ამასთან, იგი არ კარგავს ობიექტურობის გრძნობას ჩვენი ქვეყნის შეფასების თვალსაზრისით. წიგნში სათანადო სისრულითაა წარმოჩენილი მუხანათური პოლიტიკა ბოლშევიკური რუსეთისა პატარა ქვეყნის მიმართ მის დაპყრობამდე და დაპყრობის შემდგომ.

ამჟამად, ჩვენი უკიდურესად შეჭირვებული ცხოვრების შედეგად, ერთგვარი ილუზიებიც კი გაჩნდა კომუნისტური წარსულისადმი, თავისებური ნოსტალგიაც კი დაიბადა. ამიტომ არ უნდა დაგვაფიწყდეს რემონ დიუგეს წიგნის წინასიტყვაობის პოლკოვნიკ სტოკისეული სიტყვები: „ამ წიგნის ნაკითხვის შემდეგ შეუძლებელია არ განიმსჭვალო იმ აზრით, რომ ბოლშევიზმი არის სიმართლის ყოველნაირი იდეის, პატიოსნების, ზნეობრივი ქცევის და ჰუმანურობის უარყოფა“.

დემოკრატიული საქართველოს სახელმწიფოებრივი ტრ-აგედიის ამომწურავად დასახასიათებლად დიუგეს ნიგნში ციტირებულია ბრწყინვალე ქართველი ისტორიკოსისა და დიდებული მოქალაქის ზურაბ ავალიშვილის ფორმულად ქც-ეული ისტორიული კვალიფიკაცია: „როდესაც 1921 წლის თე-ბერვალ-მარტის მძიმე დღეებში საქართველო მაგიდაზე და-ანვინეს და ნაცადმა დასტაქარმა საბჭოთა ხელისუფლებამ სასტიკი ოპერაცია ჩაუტარა, ამ ქირურგმა იცოდა, რომ პაცი-ენტი ქლოროფორმით დაბანგა და საოპერაციოდ მოამზადა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ასევე გამოცდილმა, თუმცა ნაკლებად კადნიერმა ხელმა“.

ამრიგად, გამოკვეთილად არის ნაჩვენები, რომ იმჟამად სა-ხელმწიფოს სათავეში მოვლენათა განვითარების ლოგიკის საწინააღმდეგოდ მოქცეული სოციალ-დემოკრატები (მენშევი-კები) ასევე ალოგიკურად უძღვებოდნენ საქმეს. გამომზეუ-რებულია სოციალ-დემოკრატიული მმართველობის ნაკლოვ-ანი მხარეები. დღევანდელობის თვალსაზრისით საინტერესოა მენშევიკური პრეტორიანული გვარდიის, საერთოდ, სამხედ-რო მშენებლობის საქმეში დაშვებული შეცდომები.

დღევანდელი საქართველოს შემხედვარეს, ნიგნი ხანდახ-ან გაოცებს კიდევ. „ქართველები დისციპლინირებული არიან, უყვართ წესრიგი“, – წერს რემონ დიუგე და მკითხველი დაბნ-ეულია, უნდა იფიქროს, რომ ან ავტორი ცდება, ან გაიაზროს, რა უქნეს ბოლშევიკებმა ერს 70-წლიანი ბატონობის შედეგად.

დიუგე აღწერს ქართველთა ვაჟკაცურ ბრძოლას ბოლშევი-კური ურდოების წინააღმდეგ. ციფრობრივი მონაცემებით წარმოაჩენს ძალთა რეალურ შეფარდებას, დოკუმენტურად უჩვენებს საერთაშორისო სიტუაციის ფონს. ცხადია, გმირულ ბრძოლას უკვალოდ არ ჩაუვლია („ცუდად ხომ მაინც არ ჩა-ივლის...“). დაშვებული შეცდომები რომ არა, დიუგეს მიაჩნია, რომ დემოკრატიულ საქართველოს დამოუკიდებლობის შენა-რჩუნება შეეძლო. აქ კი უნდა დავძინო, რომ იმჟამად რუსეთში გაღვიძებულ ბოლშევიკურ ურჩხულს, თავისი საქმეებით გა-

რთული ევროპული ინდიფერენტიზმის ფონზე, ვერავინ შეაკავებდა. არ მოგვეშვებოდნენ ბოლშევიკურ სარბიელზე დანინაურებული ჩვენი წითელი თანამემამულენი. ამიტომ, იმჟამად საქართველოს ანექსია ფატალურ გარდაუვალობად მესახება.

გამომცემლობა „ჯი-სი-აი“-ს, მის თავკაცს შადიმან ხელაძეს, კვლავ დიდი მადლობა ეთქმის ჩვენთვის ამჟამად ყველაზე მტკივნეული თემის – აფხაზური პრობლემისადმი მიძღვნილი კიდევ ორი წიგნის დასტამბვისთვის.

ქართულად გამოიცა სვეტლანა ჩერვონაიას გახმაურებული წიგნი „აფხაზეთი 1992: პოსტკომუნისტური ვანდია“. მთარგმნელი გახლავთ თინათინ მიქელაძე, რედაქტორი – შუქია აფრიდონიძე. სვეტლანა ჩერვონაიას წიგნზე, რომელიც უკვე გამოიცა ინგლისში, სხვა ენებზეც ითარგმნა, უკვე ბევრია ნათქვამი და აღარ გავაგრძელებ სიტყვას. დიდად დასაფასებელია, მისასალმებელი, რომ სანთელ-საკმეველმა, სიმართლემ გზა არ დაკარგა და მეცნიერმა, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, მრავალი შრომის ავტორმა, აფხაზური სეპარატიზმის მოვლენათა ობიექტური სურათი დახატა. სვეტლანა ჩერვონაია, რომ იტყვიან, კრახანების ბუდეში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის მიკლუხო მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტში (ამჟამად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეთნოლოგიისა და ანთროპოლოგიის ინსტიტუტი) მოღვაწეობს. იქ იგეგმებოდა ყოველწლიური ეთნოკონფლიქტი. ნიშანდობლივია, რომ ინსტიტუტის ამჟამინდელი დირექტორის ტიმკოვის პატარა ბროშურაში – „შეისმინე, უფალო, ლოცვაი ჩემი“, ლაპარაკია არარსებულ (დაგეგმილ) ქართულ-ბერძნულ კონფლიქტზე. სვეტლანა ჩერვონაიას მაღალი მეცნიერული სინდისი, მოქალაქეობრივი მრწამსის შეგნება და ვაჟკაცური შემართება რომ არა, რუსულ-აფხაზური რეაქციული ძალები მას სულ სხვა სოციალურ დაკვეთას აკისრებდნენ. გამრუდებული ინფორმაციის გამო, გარე სამყაროს შეექმნა შთაბეჭდილება – დიდი საქართველო ანგარიშს უსწორებდა პატარა აფხაზეთს. ასეთ ვითარებაში, ობიექტური სურათის წარმომჩენი სვეტლანა ჩერვონაიას წიგნის მნიშვნელობის

გადაჭარბებით შეფასება ერთობ ძნელია. ობიექტურობას ისე გადაგვაჩვიეს, რომ შესაძლოა წიგნი პროქართულადაც მოგეჩვენოთ. ავტორს კი სუბიექტურობას ვერ დასწამებ. იგი არ არის ქართველი, საქართველოსთან ადრე არანაირად არ ყოფილა დაკავშირებული. მისი არაქართული წარმომავლობის გამო, ჩერვონაიას ისეთი ამბები გაანდევს, რასაც ქართველს არასოდეს გააგებინებდნენ; მისთვის ხელმისაწვდომი გახდა ისეთი უნიკალური მნიშვნელობის დოკუმენტები, რომლებსაც არავინ არასდროს გაგვაკარებდა. ავტორმა ქალმა უმოკლეს დროში უდიდესი შრომატევადობის სამუშაოს შესრულება შეძლო. კარგად არის წარმოჩენილი აფხაზი სეპარატისტების, არძინბას ზროვის, მუხანათური ანტიქართული საქმენი.

სვეტლანა ჩერვონაია ის ქალია, ადამიანთა მოდგმისადმი პატივისცემის გრძნობით რომ განგანყოფს. აფხაზური სეპარატიზმის პრობლემებზე მრავალი ღვარძლიც დაინთხა და უნებურად კაცს სახარებისეული სიტყვები გაგახსენდება: „...რომელი სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისაი არს. ხოლო აგარაკი იგი ესე სოფელი არს; ხოლო თესლნი იგი კეთილნი ესე არიან ძენი სასუფეველისანი, და ლუარძლნი იგი არიან ძენი უკეთურისანი“ (მათე, 13, 37-38).

სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს, შუბი ხალთაში არ დაიმალება. წინასწარგამჭვრეტი სიტყვებით სრულდება სვეტლანა ჩერვონაიას მშვენიერი წიგნი: „არსებობს ზომა დანაშაულისა და ზომა პასუხისმგებლობისა, დადგება განკითხვის ჟამი და, დაე, ეს წიგნი ბრალდების მოწმობად დაიდოს ტრიბუნალის მაგიდაზე. ადექით, სასამართლო მოდის!..“

გასულ წელს გამომცემლობა „ჯი-სი-აი“-მ კიდევ ერთი საჩუქარი უძღვნა საზოგადოებას. გამოვიდა თეიმურაზ მიბჩუანის ნაშრომი – „აფხაზური სეპარატიზმის სისხლიან ნაკვალევზე“ (რედაქტორი პროფესორი ვალერიან ზუხბაია). წიგნი ქართველი მეცნიერის მიერ, როგორც სათაურიდანვე ჩანს, ჯერ კიდევ ცოცხალ ნაკვალევზეა დანერილი. თვითონ ბატონი თეიმურაზი სოხუმიდან ლტოლვილი, ჭირგამოვლილი კაცია და სეპარატისტულ-ფაშისტური ზროვის საშინელებებს, სამწუხაროდ, მარტო-

დენ პუბლიკაციებით როდი იცნობს. იგი მოვლენათა ცენტრში ტრიალებდა. აფხაზი სეპარატისტების მუხანათობის წარმოჩენისას, ავტორს პირდაპირ გმინვასავით აღმოხდა: „მსოფლიოს უახლოეს ისტორიაში ამ მზაკვრობას ბადალი არ გააჩნია“-ო.

თეიმურაზ მიბჩუანი ქართველი კაცია, თავისი ხალხისა და საკუთარი ღირსების შელახვა-შეგინებით გულდამწვარი. ცხელ კვალზე მოკვლეული მასალა მუხანათობისა და მზაკვრობის, არაადამიანური სისასტიკის ისეთ ამაზრზენ სურათებს წარმოაჩენს, რომ ერთიანად შეგძრავს. მაინც ცდილობს ქართველი მეცნიერი შეინარჩუნოს ობიექტურობის გრძნობა. იგი სათანადო პატივს მიაგებს ღირსეული აფხაზების საქციელს. არ ხუჭავს თვალს ჩვენ მიერ დაშვებულ შეცდომებსა და დანაშაულზე. ასეთ ვითარებაში, ტაციტუსის მონოდებისამებრ, იქნებ უმჯობესი ყოფილიყო, ნიგნი თავიდან ბოლომდე გაგულისებისა და მიკერძოების გარეშე დაგვეწერა. ალბათ აჯობებდა, ავტორი აფხაზთა ეთნოგენეზისისა და ამ ეთნოსის ევოლუციის რთულ პრობლემებს არ შეხებოდა. ისე მეჩვენება, რომ ისტორიის მიმდინარე ეპოქისთვის ეთნოგენეტიკურ პრობლემატიკას ჭარბ პოლიტიკურ დატვირთვას ვანიჭებთ.

თეიმურაზ მიბჩუანმა დიდად საჭირო საქმე წარმატებით შეასრულა. ამასთან, იგი მკითხველის წინაშე წარდგა არა როგორც მხოლოდ ფაქტობრივი მასალის წარმომჩენი ანალიტიკოსი ისტორიკოსი, არამედ როგორც საღად მოაზროვნე, კარგად გათვითცნობიერებული პოლიტიკოსი – „საქართველოს აფხაზეთი დაუბრუნდება მაშინ, – წერს ბატონი თეიმურაზი, – როდესაც ამ რეგიონში და საერთოდ რესპუბლიკაში რუსეთის ინტერესები დაკმაყოფილებული იქნება. იქნებ ეს დროც მოახლოებულია. თუ რა იგულისხმება ამ „ინტერესებში“, ამას მომავალი დაგვანახვებს“. უნდა დავეთანხმოთ, ასეთია პოლიტიკური რეალობა.

ისლა დაგვრჩენია, დიდი მადლიერების გრძნობით მოვიხსენიოთ გამომცემლობა „ჯი-სი-აი“-ს მესვეურნი.

კვადოურადან კრემლამდე

მასების, კლასების ისტორიით ჭარბად გატაცებულ საბჭოთა იმპერიაში, მის ნაწილში, საქართველოში, ინტერესი ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებისადმი ისტორიოგრაფიაში, გნებავთ, მხატვრულ ლიტერატურაში, არ იყო დიდი. მთლად უყურადღებოდ ეს სფერო მაინც არ დარჩენილა და 1933 წელს მაქსიმ გორკის ინიციატივით შეიქმნა კიდეც სერიული გამოცემა „თვალსაჩინო ადამიანთა ცხოვრება“. შემდეგ მას მოჰყვა ციკლი „მგზნებარე რევოლუციონერებისადმი“ მიძღვნილი. შორს წაგვიყვანს ჩამოთვლა სახელოვანი მწერლებისა, ამ მიმართებით რომ გაისარჯნენ (ანდრე მორუა, მიხეილ ბულგაკოვი, გერონტი ქიქოძე ჩვენში...). ბულგაკოვი „მოლიერის“ დაბეჭდვას ვერ ეღიროსა. ჭეშმარიტად დიდი მწერალი გახლდათ და აღნიშნავდა, რომანტიკული დრამა და ვნერე და არა ისტორიული ქრონიკაო. მშვენიერი ნიგნია გერონტი ქიქოძის „ერეკლე მეორე“. მწერალს მოვლენათა ისეთ სიღრმეში წვდომის უნარი აქვს, რაც სხვებს აზრადაც არ მოუვიათ. სწორედ ამიტომ აქვს განსაკუთრებული ფასი მწერლის მიერ ისტორიულ თემებზე შექმნილ თხზულებებს.

საქართველოში ამჟამად მიმდინარე რთული პროცესების შედეგად, ცხოვრების უაღრესად მძიმე პირობების გამო, ისე მოხდა, საზოგადოებამ ჯეროვნად ვერ დააფასა რეზო ჭეიშვილის დიდებული ნიგნი „რკინის სახკომი“. ახლა ნიგნი, მწერლის სხვა თხზულებებთან ერთად, წარდგენილია რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად. ამთავითვე მინდა ხაზი გავუსვა – გაკვირვებას იწვევს, რომ რეზო ჭეიშვილი დღემდე არ ყოფილა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ამასთან, მწერლისთვის სახელოვანი პრემიის მოსაპოვებლად „რკინის სახკომი“ სავსებით საკმარისი გახლავთ.

„სერგო ორჯონიკიძის უკუღმართსა და ტრაგიკულ ცხოვრებაზეა დაწერილი ეს ნიგნი“, – მორიდებით გვამცნობს ავტორი. მორიდებით-მეთქი იმიტომ მოგახსენებთ, რომ ნიგნი შორს სცილდება ერთი ადამიანის თუნდაც რთული, სისხლსავსე ცხოვრების თავგადასავალს. მწერლის თვალით დიდად საინტე-

რესო ეპოქაა დანახული, ამასთან, წარმოსახულია ისეთი გამოწვევით, ჩაკირკიტებით, რუდუნებით, რაც მეცნიერებს უფრო ახასიათებთ, ვიდრე ლიტერატორებს. ამიტომ არის იგი უაღრესად ფასეული წმინდა ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით. სრულიად შეჭველია, ავტორი ამ ნაშრომით ისტორიის დარგში უმაღლეს სამეცნიერო ხარისხს იმსახურებს. ავტორს თხზულებისთვის თან რომ დაერთო, უზარმაზარი იქნებოდა სია გამოყენებული ლიტერატურის, პირველწყაროების. მთავარი კი წიგნში წარმოჩენილი მწერლის თვალთახედვაა. „მწერალი ჭვრეტს, გრძნობს, ამბობს და რა ვთქვი ესო, უკვირს თავადვე“, – სამართლიანად ბრძანებს ბატონო რეზო.

თხზულების უპირველესი ღირსება გახლავთ ის, რომ დაწერილია დიდი უშუალოებით, ზღვა იუმორით. კითხვას რომ დაიწყებ, ვეღარ მოწყდები წიგნს. ჟანრის გათვალისწინებით, ასეთი გატაცებით ტარლეს „ნაპოლეონი“ თუ იკითხებოდა. მწერალს სრულიად მკვეთრად გამოხატული პოზიცია აქვს, იუმორი, ხშირ შემთხვევაში, რომ იტყვიან, მომაკვდინებელი, მაგრამ პარადოქსად შეიძლება ჟღერდეს – წიგნი დაწერილია გაგულისებისა და მიკერძოების გარეშე. ფართოდ, მასშტაბური თვალსაზრისით ხედავს მწერალი მოვლენებს. დიდებულად აქვს გააზრებული ფასი III დასის სამოქმედო გეგმისა, „ტილიპუჭურას“ რესტორანში რომ მოიხაზა. ბერლინში ჩასულ ორჯონიკიძეს ხელი რომ მომართოდა, განათლებულ ელექტროინჟინრად ჩამოყალიბებულიყო, „საქართველოს ისტორიულ კატაკლიზმებში შეიცვლებოდა რამე?“ – კითხულობს ბატონი რეზო. – „არა, – უპასუხებს თავადვე. – მოსახდენი ცოტა უკეთესად, ცოტა უარესად, ცოტა ადრე, ცოტა გვიან მაინც მოხდებოდა; თუკი სერგო რევოლუციას ჩამოშორდებოდა (რამდენი ნასწავლი და უმაღლესგანათლებული შერჩა რევოლუციას), სხვას დაატრიალებდა ისტორიის ჩარხი თუ ღერძი ჯარაში“.

შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება რევოლუციების შეფასების თვალსაზრისით. ახლა უკვე სხვანაირად ვაფასებთ ვასილ როზანოვის ნააზრევს: რევოლუციას ორი განზომილება

აქვს – სიგრძე და სიგანე. სიღრმე არ გააჩნია და ვერაფერს სასიკეთოს ვერ ჩაისახავს, ვერ შობსო. არადა სულ მიკვირდა, ქართული საზოგადოების უკეთეს წარმომადგენლებს 1905 წლის რევოლუციის მონაწილეთა რიგებში რომ ვერ ვხედავდი, იმ რევოლუციის, ჩვენ, ქართველებმა, თურმე 1903 წელს (მგონი, უფრო ადრეც?!) რომ დავინყეთ.

გამოგვიტენეს თავი 1905-1907 წლების რევოლუციის, „გენერალური რეპეტიციის“, დიდი სიკეთის აბრუნდული წარმოჩენით. რეზო ჭეიშვილს კი შესანიშნავად აქვს წარმოსახული „ვინ იყვნენ... ახალი ბატონები და მძარცველები?“, „წითელი რაზმელები“, „პროპაგანდისტები“, „ხალხთა მეგობრები“ და „ჩაგრულთა მფარველები“. „გენერალური რეპეტიციის“ ადეკვატური შეფასება აქვს მემუარებში ჯონ-მალხაზ შალიკაშვილის მამას დიმიტრის.

დიდებული ქუთათური მაკვარანცხული (სხვა სიტყვა არ ეგების) იუმორით არის გათამაშებული ნიგნში „მაჭავარიანის პაციენტის“, სერგოს, ცხენთან ტრაგიკომიკური დამოკიდებულების სიუჟეტები (ცხენს ჩემი დედულეთის, ნერეთლების სოფელ ცხრუკვეთშიც უმუხთლია მომავალი სახკომისთვის). სიცილის მომგვრელ რეფრენად გასდევს ნიგნს ლენინის ნასიბრძნი – „მე მგონი, სერგოს ტყუილის თქმა არ შეუძლია!“

გონებამახვილი, ფრიად ტევადი მიგნებაა: კვადოურა, კავბიურო, კრემლი.

მიხაკოს და „გიორგი აბესალომიჩის“ სერგოსთან, უკვე დიდ ხელისუფალთან, სტუმრობისას თვალწინ ნათლად დაგიდგება კაკუტა და ბეჩარას ვიზიტი გამარჯვებულ რევოლუციონერთან.

მსუბუქი იუმორით არის გადმოცემული ამბავი, თუ როგორ მიბეგვეს მაგრად „ლორემელი გრიშკა“ ციხეში ესერებმა ქარცივაძის ხელყოფისთვის. ამასთან, მწერალი არსად მიეძალება ღვთივმომადლებულ იუმორს, იმად არ ხუმრობს, რომ იხუმროს. არადა, კვლავ გავიმეორო მინდა, ესოდენ სერიოზული უანრის ნაწარმოები ისე ოსტატურად არის შეზავებული

იუმორით, გგონია „ცისფერი მთების“ სცენარს კითხულობ. ადამიანის შინაგანი, გარეგანი მახასიათებელი ნიშნების საოცარი ხედვით გვიძერწავს ავტორი ისტორიულ პერსონაჟებს. როგორია დიდი კულტურტრეგერი ჟდანოვი? ნათლად ხედავს კალინინს, „საბჭოთა მეურნეობის მოანგარიშეს რომ ჰგავდა“. ასევე ნათელი პორტრეტისთვის ბრწყინვალე შტრიხია მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის, ლენინის, მხურვალე დაინტერესება „მისი ოცნების ქალიშვილის“, ინესა არმანდის, კალოშებით. ლენინის და პოლიციის მაძებარი ძალის „ტრეფის“ სიუჟეტი კი პირდაპირ გამოდგება პატარა კინოკომედიის სცენარად.

დიდად საინტერესოდ არის წარმოდგენილი ლენინის და ჟორდანიას (კასტროვის) ურთიერთობა. მშვენივრად ხატავს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრემიერ-მინისტრის ნოე ჟორდანიას სახეს პასაჟი – თბილისის ბოლშევიკებისთვის ჩამბარებელს მცხეთას იქით რომ გამოეღვიძა და თავი აღსტაფაში ეგონა. ამჟამად გაბუქული ჟორდანიას პორტრეტის სრულყოფისთვის კარგად, ნაბიჯ-ნაბიჯ არის წარმოჩენილი მისი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკის კარდინალური ხაზი, დამოკიდებულება ეროვნული საკითხისადმი. არ არის დავინწყებული ჟორდანიას „შესაშური“ ქართული („მეუმრავლესობა“, „მეუმცირესობა“).

თხზულებაში ანალიტიკურად არის გამოკვეთილი, რომ დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში ალოგიკურად მოსული მენშევიკური ხელისუფლება იმთავითვე განწირული იყო. აღმავალი აგრესიის ბოლშევიკური რუსეთი, ამიერკავკასიის, გნებავთ კავკასიის, გასაღების – საქართველოს თავისუფალ არსებობას არ დაუშვებდა. საუბედუროდ, მენშევიკური საქართველო რამდენადმე თავად ამზადებდა ქვეყნის ბოლშევიზაციის საფუძველს (ზურაბ ავალიშვილი). „შორიდან უყურებდნენ ამ პროცესებს, დროს და მომენტს ელოდებოდნენ გამოჩენილი ქართველები სტალინი, ორჯონიკიძე და სხვები; კარგად იცოდნენ რა ხდებოდა საქართველოში, საით

მიექანებოდა დემოკრატიული საქართველო. საქართველოს დამოუკიდებლობას ისინი რომ არ დაუშვებდნენ, ამას მომავალში დავინახავთ“ (გვ. 92).

ისტორიული თვალსაზრისით არა მარტო სწორად არის შეფასებული რუსეთ-საქართველოს 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება (სამწუხაროდ, ასე არაა საქართველოს ისტორიის XI კლასის ახლახან გამოცემულ სახელმძღვანელოში), არამედ კარგად არის წარმოჩენილი, თუ რატომ გაიგზავნა ხელშეკრულების დასადებად გრიშა ურატაძე და არა აკ. ჩხენკელი, ირ. ნერეთელი ან ზ. ავალიშვილი.

საქართველოს გასაბჭოებაში სერგო ორჯონიკიძის როლი ლაკონიურად, სხარტულად არის შეფასებულ-დაფასებული. „საქართველო, – ნერს რეზო ჭეიშვილი, – მარტო სერგო ორჯონიკიძეს არ დაუმარცხებია. უფრო დიდი ქართველი მონაწილეობდა საქართველოს დამონებაში და უფრო პატარა ქართველების ჯოგი ერია ამ საქმეში“.

მწერლის მახვილ თვალს არ გამოჩენია, რომ ნოე ჟორდანიამ, ნოე რამიშვილმა ვერცხლის კოვზები კი შესწირეს საქართველოს თავდაცვის ფონდს, მაგრამ ქვეყანას ვერაფერი არგეს და „...თვალ-მარგალიტით, ლობიოთი, ქინაქინით დატვირთული გემი შორდება ბათუმის ნავსადგურს, ტირიან უწამლოდ და უღობიოდ დარჩენილი მუშები პორტში და უყურებენ ბაქანზე გამოსულ შავ კოსტუმიან, შავ შლიაპიან მენშევიკებს. ასეც შეიძლება წარმოვიდგინოთ... ქართველების გაქცევა საქართველოდან“.

რეზო ჭეიშვილის თხზულებას წითელ ზოლად გასდევს სერგო ორჯონიკიძისა და სტალინის დრამატიზმით აღსავსე ურთიერთობა, სერგოსთვის ტრაგიკული ფინალით რომ დასრულდა. ორჯონიკიძეს „სტალინის გაღმერთკაცების პროცესში ედო წილი, ცხადია, სხვას ვერ აჯობა, მართალია, მაგრამ ტოლიც არავის დაუდო“. როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს დამოკიდებულება სტალინის პიროვნებისადმი, თითქმის არავინ დავობს, რომ მას „დიდებული“ ანტურაჟი ახლდა

(მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ყდანოვი, მალენკოვი, ხრუშჩოვი... მარტო ვოროშილოვი და ბუდიონი რად ღირან). არ შეიძლება უკიდურესად მავნე ზეგავლენა არ მოეხდინა სტალინზე გარემო პირობებს. „ღღის 12 საათზე დგებოდა ღამენათევი სტალინი აგარაკზე. ათვალეერებდა ბოლშევიკურ პრესას, თავიდან ბოლომდე კითხულობდა გაზეთ „პრავდას“ უზმოზე. ახლა რა არის, მაშინ რა იქნებოდა გაზეთი „პრავდა“, ახლა რა ეკითხება, მაშინ რა სინდის-ნამუსი უნდა მოკითხოდა „პრავდას“, რა კარგი უნდა დამართოდა ამ გაზეთში ყოველდღიურად უზმოზე ჩაგულისყურებულ ადამიანს. ხალხთა დიდი გამომლენჩებელი ბუდიონისკენ იხრებოდა შეუმჩნეველად, თანდათანობით“ (გვ. 255).

„რკინის სახკომის“ ნაკითხვისას დიდი სურვილი გამიჩნდა, უკეთ ალბათ ძნელად თუ ვინმე შეძლებს, იქნებ მწერალმა ყველა ხალხისა და ყველა დროის ხალხთა დიდი ბელადის პორტრეტიც გამოძერწოს. წიგნის გარეკანზეც სიმბოლურად რკინის სახკომისა და სტალინის ფოტოებია გამოსახული.

ამჟამად მეტად მძიმე პირობები შეიქმნა საქართველოს საბჭოური პერიოდის ისტორიის მოვლენების გასაანალიზებლად. განანამებ ხალხს ერთგვარი მონატრების გრძნობაც კი გაუჩნდა კომუნისტებისადმი. ჩვენი წარსული ცხოვრების ეკონომიკურად შეუდარებლად უფრო მაღალ დონეს კომუნისტებს მიაწერენ. ამჟამინდელ უმძიმეს მდგომარეობაში ვეღარ ფიქრობენ, რომ ის ხელოვნური პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემა აგებული შიშველ ადმინისტრირებაზე, ძალდატანებაზე შეუჩერებლად მიექანებოდა დასასრულისკენ, მას განვითარების პერსპექტივა არ ჰქონდა. ძნელად კი იყო წარმოსადგენი, რომ ის ქვეყანა ასე მაღლე, ჩვენ თვალწინ დაიქცეოდა, რომ მისი ნგრევის პროცესის მომსწრენი გავხდებოდით. ნგრევა-მსხვრევა კი მარად მტკივნეულია. გართულდა მიმდინარე ისტორიული მოვლენების ანალიზი; არეულ ქვეყანაში მიზეზშედეგობრივი კავშირების გამოვლენა განსაკუთრებით ძნელია.

ისე მოხდა, რომ დიდებულ ნიგნზე დაგვიანებულ გამომცხილს ბერლინში შვილთან სტუმრად ჩამოსული ვნერ. იქ, სადაც არ შედგა სერგოს ჩამოყალიბება სწავლულ ელექტროინჟინრად, სადაც რევოლუციონერ სერგოს გერმანიის იმპერიის გამგებელთა ქანდაკებებმა ნერვები მოუშალა (კაიზერთაგან განსაკუთრებით, ალბათ, ფრიდრიჰები ალაშფოთებდნენ). ახლა ნამდვილად არავინ იცის, რა სოციალ-დემოკრატიულ ბაღნარს ააშენებდნენ მენშევიკები საქართველოში. ყოველი ეს ამბავი ისტორიას ჩაბარდა და ვერავინ შეძლებს ტიმ სევერინით ექსპედიცია მოაწყოს რატომღაც შარავანდდადგმულ ჟორდანიას საქართველოში, მაგრამ აქაური გადმოსახედიდან კარგად მოჩანს ის „დიდი სიკეთე“, ორჯონიკიძემ და მისმა საძმომ რომ მოუტანა მშობლიურ ქვეყანას (მშობლიური ენაც კი ძირითადად კომუნიზმის იდეების ქადაგების საშუალებად მიაჩნდათ).

გერმანელები ევროპაშიც შრომისმოყვარეობით, ნესრიგით გამორჩეული ხალხია. შრომის ბარაქით სავსე ბერლინში ისეთი სინყნარეა, შეუჩვეველს დაძინება მიჭირდა. სროლაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი და ვერც მანქანების საყვირის ხმას გაიგონებ სადმე. აქ არაფერი „მაგონებს ჩემს სამშობლოს დაჩაგრულსა“. ალბათ, არავინ იფიქრებს, ისე მიმაჩნდეს, თითქოს გერმანელებს საკუთარი პრობლემების სიმრავლე არ ანუხებდეთ. ამ ნახევარი საუკუნის წინ თორმეტი წელი შესციცინებდნენ საკუთარ შლეგ ბელადს. შემდეგ მკაცრად დაისაჯნენ კერპთაყვანისმცემლობისთვის. დღეს კი ძნელად წარმოსადგენია, რომ ბერლინი ოდესღაც ნაცარტუტად იყო ქცეული. ორჯონიკიძისა და მისი საძმოს როლის შესახებ რომ მოგახსენებდით, სულაც არ ვგულისხმობდი, რომ უმაგათოდ საქართველო თანამედროვე განვითარებული გერმანიის დონის სახელმწიფო იქნებოდა, მაგრამ ბოლშევიკებმა რომ ქვეყნის განვითარება საშინლად დაამუხრუჭეს, ტვინი უღრძეს ადამიანებს და მრავალს ნორმალური აზროვნების უნარი დააკარგვინეს, ფაქტია.

ბოლოს იმავე სიტყვაზე მოვიდეთ. რეზო ჭეიშვილის წიგნს რომ კითხულობ, ხშირად ისეთი პასაჟებია, ცრემლებამდე იცინი. წერის ცხოველხატული მანერა საშუალებას გაძლევს ნათლად დაინახო მწერალთან იმერულ კილოზე მოსაუბრე „მიხაკო“, რომელიც ბელადის ბიუსტს ხან ჩამოიღებს, ხან „ისტეველე“ შემოასკუპებს ძველ ადგილზე (რა ქნას?!). რეზო ჭეიშვილის წიგნი „რკინის სახკომი“ სამაგალითო წიგნი გახლავთ ლიტერატორთათვის, ისტორიკოსებისთვის, ფართო საზოგადოებისთვის. წინამდებარე წერილში სულ ვებრძოდი სურვილს, რაც შეიძლება მეტი ციტატა მომეყვანა ამ შესანიშნავი თხზულებიდან. საქართველოს უახლესი პერიოდის ისტორიკოსთათვის ეს სამაგიდო წიგნი გახლავთ. დაუინებით, გულითადად მინდა ვთხოვო ფართო საზოგადოებას, კარგად „ჩაუგულისყურდეს“ ამ წიგნს, რომელიც სრულიად უეჭველად იმსახურებს დიდ შექებას, უმაღლეს შეფასებას, უმაღლეს ჯილდოებს.

„კავკასიონი“, 1995 წ. 26 V.

ორიენტირი¹

ამჟამინდელმა, უპირველესად ყოვლისა, მძიმე ეკონომიკურმა ვითარებამ წარსულის მიმართ ერთგვარი ნოსტალგიური ილუზიაც კი შექმნა, მაგრამ, რადგან ზღაპარზე მიდგა საქმე, სავსებით გამოკვეთილად უნდა გითხრათ – ზღაპარში, ამასთან, ძალიან ცუდ ზღაპარში, ამ მოკლე ხნის წინ ვიმყოფებოდით. არავის სჯეროდა კომუნისტების, ეს ცნება მხოლოდ იუმორისტულ შეფერილობაში გვესახებოდა, მაგრამ საით მივექანებოდით, გარკვევით ძალიან ცოტას თუ ესმოდა. ესმოდა ეს იმათ, ვინც ჩახედული იყო გაუბედურებულ „სოციალისტური უპირატესობებით“ მოსარგებლე საბჭოური ეკონომიკის სამზარეულოში. კრიზისისკენ მიდიოდა პოლიტიკა, იდეოლოგია, ადამიანთა სულიერი განვითარების სფერო.

ახლა რა ანერია გზაგასაყარის მანიშნებელს? არაფერი ისეთი, რაც დანარჩენი სამყაროს გზის მაჩვენებლებს. მივდივართ იმ გზით, რითაც სხვანი, მაგრამ აზროვნების ინერციის, დადგენილი, შესისხლბორცებული თარგების შესაბამისად მრავალს ჰგონია, რომ რაღაც ისეთ საზოგადოებას „აშენებს“, რომელშიც „ცხოვრება საამური იქნება“. არაფერი მაგგვარი. ახალი საზოგადოება იქნება ისეთი, როგორც სხვა ქვეყნებშია. არ არის საჭირო ლოზუნგები. ყველაფერი ჩვენს გარჯაზეა დამოკიდებული. სადღეისოდ ვითარებას ამძიმებს ის, რომ გზის დასაწყისში ვდგავართ. ჯერ, ალბათ, გასავლელი შარას მონაკვეთის დასაწყისის დასასრულიც არ ჩანს. მრავალს ლუკმაპური ენატრება. ხალხს შია, სცივა. ამიტომ გზის მაჩვენებელზე უპირველესად უნდა ეწეროს: დაძლევა შიმშილის, სიცვივის, უსინათლობის. გზაგასაყარის ეს მიმართულება ცივილიზებული საზოგადოების ელემენტარული მოთხოვნილებაა. აღნიშნული პრობლემების დაძლევა არის შეჭიდებული დღეს ჩვენი საზოგადოება. ყოველივე არ უნდა იქცეს ფუჭ მოწოდებებად, ლოზუნგებად.

ეს გზა, ეს მიმართულება ერთადერთია, ყველა სხვა გზას, განსაკუთრებით კი უკანსვლას ე. წ. სოციალისტურ-კომუნისტური საზოგადოებისაკენ, ან ბაბრთან მიყვავართ, ან აფთართან. სხვა გზები არ არსებობს, ვინაიდან, ბოლოს და ბოლოს, სულერთია, მგელი შეგჭამს თუ მგლისფერი ძაღლი.

1. პასუხი გაზეთ „კვირის ფოსტის“ შეკითხვაზე. 1997 წ. 14-21 ი.

ერთობით გავისარჯოთ¹

მართლაც რომ ვერვინ მოთვლის ქართლის ჭირს. არ დაგველია პრობლემები. როგორც კი რაიმე გამოსავალი დაისახება, იმედის ნაპერწკალი გაიელვებს, მაშინვე თავს იჩენს ახალი, უფრო მძიმე სატკივარი, ვითარება კიდევ უფრო მეტად მძიმდება.

თავი და თავი ყველა ჩვენი უბედურებისა უკიდურესად მოშლილი ეკონომიკა გალხავთ. რა ბედენაა, თორემ ჩვენს უახლეს ისტორიაში ჩახედული კაცისათვის ძნელი ასახსნელი არ არის ის, რაც ხდება ამჟამად საქართველოში. დაახლოებით იგივე პროცესები მიმდინარეობს ყოფილი იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. ინფორმაციის ნაკლებობის ვითარებაში მიგვაჩნია, რომ ჩვენ ყველაზე უარეს დღეში ვართ. ყოველივე კი შედეგია იმისა, რომ ბოლშევიკებმა, ასე თუ ისე, მაინც მოახერხეს ე. წ. ახალი ისტორიული ერთობის, საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება. ხალხის, რომელსაც ღირებულებათა შეფასებაში დანარჩენი სამყაროსგან განსხვავებული კრიტერიუმები გამოუმუშავეს. დიდი ხნის წინ დასავლური პრესა საბჭოელების შესახებ ხაზგასმით აღნიშნავდა, მათგან რაიმე სასიკეთო ძვრებს არ უნდა მოველოდეთ, ეს ის ხალხია, რომელმაც კარგად ისწავლა ურთიერთობა საკუთარ დესპოტურ ხელისუფლებასთან, მოირგო, მოინყო ცხოვრება, ათასგვარი კანონსაწინააღმდეგო ხრიკებით დახელოვნდა ხელისუფლებისგან კუთვნილის გამოძალვის საქმეში. საბჭოთა ადამიანისთვის სახელმწიფო ქონების მითვისება, მარტივად რომ ვთქვათ, ქურდობა (მისი ფრიად რელატიური გაგებით), ცხოვრების ნორმად იქცა. უფრო მეტიც, ამ დაკანონებული ქურდობის გარეშე საზოგადოება ვერც იარსებებდა, ხალხი დაიმშეოდა, მრენველობა შეჩერდებოდა, არაფერი აშენდებოდა და ა. შ. ვასილ შუკშინის „ენერგიული ადამიანების“ მთავარი მოქმედი პერსონაჟი, საბჭოთა საქმოსანი, მართალია, როდესაც აცხადებს – არაფერს ვიპარავ, სახელმწიფოს ჩემი ქურდობა დაგეგმილი აქვსო.

1. სტატია დაწერილია 1993 წ.

საბჭოთა ადამიანებში, ბუნებრივია, ქართველებშიც, სახელმწიფო ქონების მითვისება ცხოვრების წესად იქცა. შრომამ ფასი დაკარგა. გამეფდა თვალსაზრისი, რომ უმჯობესია ნაკლები ან სულაც არ იმუშაო და მეტი იხვედრო. ამჟამინდელი ჩვენი საზოგადოება კვლავ იგივე დაკომპლექსებული საბჭოური საზოგადოება გახლავთ ძველი მენტალიტეტით. როგორც კი მოეშვა, უფრო სწორად, თითქმის მოისპო სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციული აპარატის შემაკავებელი მუხრუჭები, თავი იჩინა აღვირახსნილმა ძარცვა-გლეჯამ, რამაც გლობალური ხასიათი მიიღო.

ინერციის ძალით მოძრავმა ჩვენმა საზოგადოებამ ვერ შეიგნო, რომ ახალი საქართველო ის სახელმწიფო არ არის, რომელიც ძველებურად, ძველებურზე უფრო ინტენსიურად უნდა გაყვლიფო და გაძარცვო. ამასთან, მართალი გითხრათ, არა მგონია, რომ ძარცვა-რბევისაგან თავის შეკავების პრობლემა, შეგნებასთან იყოს დაკავშირებული და არა ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ქმედით ღონისძიებებთან. და, მადლობა ღმერთს, მგონი, როგორც იქნა დაადგა ხელისუფლება ქმედითი ღონისძიებების განხორციელების გზას.

ჩვენი ქვეყნის ტრაგედია იმაშიც გამოვლინდა, რომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე ხელისუფლების სათავეებთან აღმოჩნდნენ დესტრუქციული ძალები (რამდენადმე განმეორდა წინამავალი ისტორიის ფარსი: სოციალ-დემოკრატები დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში ბედის ირონიის გამოვლინებაა). ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ადამიანები, რომელთაც მხოლოდ არეულობა-მიტინგების მართვის გამოცდილება ჰქონდათ. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება საკმაოდ მყარი მოჩანდა მთელი იმპერიის მასშტაბით. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა დისიდენტური მოძრაობისგან საკმაოდ შორს იდგა. რა მიზეზებით, როგორ დაინგრა სოციალისტური რეჟიმი და მის კვალდაკვალ იმპერია, ეს ცალკე, ფრიად სერიოზული საუბრის თემაა. ამ თვალსაზრისით,

ერთგვარად დისიდენტურ მოძრაობასაც მიუძღვის წვლილი, მაგრამ ცხადია, რომ „მრგვალების“ მოსვლა ხელისუფლების სათავეში ეროვნული მოძრაობის მოჩვენებით წარმატებათა უზომო გაბუქვის შედეგი იყო. უფრო მეტიც, „მრგვალები“ მიიჩნევდნენ, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სწორედ მათი საქმიანობით დაიწყო.

ასე იყო თუ ისე, დესტრუქციული ძალები ხელისუფლების სათავეში ძველი რეჟიმის სიძულვილმა და გაუცნობიერებელმა სახალხო აზვრთებამ მოიყვანა. შემდეგ მოხდა განხეთქილება მათსავე რიგებში, ხელისუფლება იმთავითვე დაუპირისპირდა ერის მოწინავე ნაწილს – ინტელიგენციას, მთელ ხალხს და, ბუნებრივია, დამარცხდა, გაიქცა.

დამარცხებულებს, უპირველესად ყოვლისა, მათ სარქალს, არ აღმოაჩნდათ არც მოქალაქეობრივი ღირსება, უბრალო ადამიანური პატიოსნებაც დაივიწყეს, სამშობლოს და მშობლიური ხალხის სიყვარული ალბათ არც არასოდეს ჰქონიათ. როგორც სახარებაშია ნათქვამი, ხორბალში ღვარძლი ჩათესეს, წავიდნენ, ხელი შეუწყვეს მის გაღივებას. ღვარძლმაც, ბუნებრივია, თავი იჩინა.

არც ახალ ხელისუფლებას აღმოაჩნდა საკმარისი სურვილი თუ ძალა ან ორივე ერთად საზოგადოებრივი მდგომარეობის მყარი სტაბილიზაციის მისაღწევად. თავს იქით ძალა არ იყო, დემოკრატიული ქვეყანა უნდა აეშენებინათ, მაგრამ ხელ-ფეხი ჰქონდათ შებორკილი. დემოკრატია მაღალი პოლიტიკური ცივილიზაციის, განვითარებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ქვეყნებისთვისაც კი მმართველობის საკმაოდ რთული ფორმა გახლავთ, ხოლო როდესაც ქვეყნად არ არის ან თითქმის არ არის ასეთი მმართველობის გამოცდილება, მაშინ დემოკრატიასთან კეკლუცობა ალბათ მავნეც კი არის.

ამჟამად ყოველგვარი ქვეგამხედვარობა, ბრძოლა არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ, მტრის წისქვილზე წყლის დასხმის, ქართველი ხალხის ზურგში მახვილის ჩაცემის ტოლფასია. დამხობილი ხელისუფლების რეანიმაცია საბავშვო

ზღაპარს ჰგავს. ელემენტარული ისტორია უნდა იცოდეთ კაცმა. აბა რა შედარებაა – სად ექსპრეზიდენტი, სად დიდი ნაპოლეონ ბონაპარტი. და ამ უკანასკნელმაც ვერ აღიდგინა ძალაუფლება.

სახიფათო და სავალალო ის არის, რომ ჩვენს უბედურ დღეში, მიუხედავად საზოგადოების მოჩვენებითი პოლიტიზირებისა, ხალხი არ არის კარგად გათვითცნობიერებული. მშიერ-მწყურვალი ხალხის საკმაოდ დიდ ნაწილს აღარავითარი პოლიტიკა აღარ სურს და რამდენადმე მოსვენებული ცხოვრების ფასად ემშაკს ჩაეხუტება. აღარა ვართ ჩვენ ძველი ქართველები. სხვა ხალხებიც შეიცვალნენ. მაინც მჯერა, რომ ქართველი ხალხის უმრავლესი, შეგნებული ნაწილი ედუარდ შევარდნაძის სტრატეგიულ კურსს უჭერს მხარს. არაფერი აქვს საერთო ამას კერპთაყვანისმცემლობასთან. ეს არის რწმენა იმისა, რომ დიდად ნიჭიერ, უდიდესი გამოცდილების კაცს, ძალუძს კონკრეტული და გლობალური ინფორმაციის სწორი ანალიზის შედეგად ქვეყანა მართებული გზით წაიყვანოს. ამასთან, არსებობს უამრავი ხელის შემშლელი გარემოებაც. დაუშვებელია, პოლიტიკურ მოღვაწეს მოსთხოვო ყოველი ჩანაფიქრის გამომზეურება, გახსნილი კარტით თამაში.

იმთავითვე არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სრულყოფილ პარლამენტს ავირჩევდით. ასეთი პარლამენტი არც არასოდეს არსებულა სადმე. ერთი კი ცხადია, პარლამენტის სხდომების გადმოცემებმა კარგად გვაჩვენა, ვინ რა არის. სატელევიზიო გამოსვლაში შესანიშნავად, ხატოვნად დაგვისურათხატა მწერალმა რეზო გაბრიაძემ ვითომცდა პოლიტიკური პარტიების არსი.

ამთავითვე უნდა გავითვალისწინოთ საქართველოში ფაშიზმის მომძლავრების საშიშროება. ქართველი ხალხის, საქართველოს მთელი მოსახლეობის უპირველესი მოვალეობაა ძალების მომრავლება, ერთურთის გატანა, თანადგომა, ერთნებობა. ყოველი ძალა უნდა ვიხმაროთ ურთულესი პრობლემების მშვიდობიანი გზებით გადასაჭრელად. პირველად

იყო სიტყვა. ყველას თავისი იარაღი აქვს და ინტელიგენციის უმთავრესი იარაღი გონიერებისკენ მონოდება, სიტყვისა და დარწმუნების ძალა გახლავთ.

ღვთისმშობლის წილხვედრი კი არის თითქოს ჩვენი ქვეყანა, მაგრამ არ უნდა გვაზინყდებოდეს ჩვენი ისტორიის გაკვეთილები. მტერი არ დაგველია. ცხრა საუკუნის წინ, XI საუკუნეში, ყაზუს-ნამეში განცხადებული აღმოსავლური სიბრძნე გვამცნობს: „მტერს ზედმეტად ნუ დაამცირებ. მტრისაგან თავს მშვიდად ნურასოდეს იგრძნობ, განსაკუთრებით შინაური მტრისაგან. ყველაზე მეტად შინაური მტრისა გეშინოდეს. გარეშე მტერი შენს საქმეში ისე არაა ჩახედული, როგორც შინაური მტერი. ის გინდაც გააძევო, შენდამი ბოროტი განზრახვა მისი გულიდან არასოდეს ამოვა და მუდამ გითვალთვალეებს. შინაურმა მტერმა შენი ასავალ-დასავალი იცის, გარეშე მტერმა კი არა“.

ჭარბად ემოციური ხალხი ვართ ქართველები. იოლად ავენტებით და გრძნობებს აყოლილნი ჭკუას გვიან მოვუხმობთ ხოლმე. ადრე მიგვაჩნდა, რომ მსოფლიოში ჩვენზე უკეთესი ხალხი არ არსებობდა, ახლა ბევრი პირდაპირ მაზოხისტური სიამოვნებით აცხადებს, ჩვენზე უარესი ხალხი არ არსებობს და არც არსებულაო. ყოველივე ელემენტარული ისტორიის უცოდინარობით არის გამონვეული. არავისზე უარესი ხალხი არ ვართ და განსაკუთრებულად საგინებელი არაფერი გვჭირს. სხვა ხალხებსაც მრავალი ჰყავდა ქვეგამხედვარე და ორგული, პარანოიკულად გონებასუსტიცა და მზაკეარიც, შინააშლილობაც ბევრი ყოფილა სხვა ქვეყნებისა და ხალხების ისტორიულ თავგადასავალში და უსინდისო ღალატიც.

საქართველოს ისტორია დამადასტურებელია მძიმე ბედთან შეურიგებლად შეჭიდებული ოპტიმისტი ხალხის თავგამოდებული, ვაჟკაცური ბრძოლისა და გამარჯვების. ისიც მართალია, რომ მავნე ზეგავლენა იქონია ჩვენზე უახლესმა წარსულმა, მაგრამ კვლავ მინდა გავიმეორო, რომ ქართველი ხალხი გონიერი, ცხოვრების სიდუხჭირისადმი პრაგმა-

ტულად განწყობილი ხალხია. ყოველივე იძლევა საფუძველს, რომ ერთმანეთის თანადგომით, წარმატებით ვივლით უკეთესი მომავლისკენ. გული არ უნდა გავიტეხოთ. თითოეულმა ჩვენგანმა გონების ძალით უნდა შევიმეცნოთ, გავითავისოთ ქვეყნის საერთო სატკივარი. არ უნდა ავყვეთ ათას ჭორიკანასა და მზაკვარს.

„ნეტარია კაცი, რომელიც არ მისდევს უღმრთოთა რჩევას, და ცოდვილთა გზას არ ადგას, არ ზის ავყიათა საკრებულოში“, – ასე იწყება ფსალმუნთა შეგონებანი.

„განახლებული ივერია“, 2002 წ. №2

შენიშვნები ნაციონალიზმის შესახებ¹

ამ სიტყვას არ ვხმარობ იმ ჩვეულებრივი გაგებით, როგორც მიღებულია. ხშირად იგი არ უკავშირდება ნაციას, ერს ან ტერიტორიის გარკვეულ კონკრეტულ ნაწილს. ხშირად ვიყენებ ეკლესიის, კლასის მიმართ უარყოფითი მუხტით. გაგებით, რომელიც რალაცის წინააღმდეგ არის მიმართული და არ აქვს პროზიტიური მუხტი.

ნაციონალიზმში უპირველესად ყოვლისა ვგულისხმობ საშუალებას, რომ თითქოს მსგავსად მწერებისა, შესაძლებელია ადამიანთა კლასიფიცირება „კარგის“ და „ცუდის“ იარლიყის მიკერებით.

უპირველეს ყოვლისა, ნაციონალიზმი არის ადამიანთა ჩვეულება, მიაკუთვნოს თავი რალაც განსაკუთრებულ ჯგუფს, დააყენოს ეს ჯგუფი ავ-კარგზე მაღლა და მიისაკუთროს უპირველესი თვისება, ემსახუროს მაინცადამაინც ამ ჯგუფს. ეს მის უპირველეს ვალად ჩაითვალოს.

არ უნდა გავაიგივოთ ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი. ეს ორი ცნება ისე გამოიყენება, რომ ნებისმიერი მათი განმარტება შეიძლება გახდეს საკამათო. უნდა განვასხვაოთ ძირი. ამ ძირის მიხედვით პატრიოტიზმი და ნაციონალიზმი არათუ განსხვავდება, არამედ გამორიცხავს ერთმანეთს.

პატრიოტიზმი არის ადამიანის მიკერძოება რომელიმე კონკრეტული გეოგრაფიული გარემოს, ცხოვრების რომელიმე წესის მიმართ, რასაც მსოფლიოში საუკეთესოდ მიიჩნევს. ამასთან, არა აქვს სურვილი, ეს თავისი გრძნობები, მიდრეკილებები ვინმეს ძალით მოახვიოს თავს. პატრიოტიზმს თავისი ბუნებით თავდაცვითი ხასიათი აქვს როგორც სამხედრო, ისე კულტურული შინაარსით. ნაციონალიზმი პირიქით, განუყოფელია ძალაუფლებისკენ მიდრეკილების გაგების თვალსაზრისით. თითოეული ნაციონალისტი მუდმივად ცდილობს მიაღწიოს უფრო მეტ უფლებას და პრესტიჟს, მაგრამ ამას აკეთებს არა ინდივიდუალურად თავისთვის, არამედ ნაცი-

1. ქვეყნდება პირველად.

ისტების ან ჯგუფისტების, რომელშიც გადაწყვეტა გათქვიფოს თავისი ინდივიდუალობა.

რამდენადაც კარგად არის ცნობილი ნაციონალიზმის კონკრეტული გამოვლინება გერმანიაში, იაპონიაში, ეს ნათელია, თვალსაჩინოა. ამასთან, ხშირად ნაციონალისტების მიერ ნაციონალობები განიხილება როგორც ინდივიდუალობები. აქედან ტერმინები: „იგი“, „მას“, „მეობა“ და შემდეგ ერისთვის მინერა განზოგადებული თვისებებისა, რომლებიც ახასიათებს ინდივიდს: „ესპანელი დაბადებით არისტოკრატია“, „ინგლისელი ყალბია“. ასეთი განცხადებების უნიადაგობა დრო და დრო სრულიად ნათელია, მაგრამ ჩვევა რჩება. ასეთ რამეებში სცოდავენ თვით ტოლსტოი და ბერნარდ შოუ.

როდესაც ნაციონალიზმზე ვლაპარაკობთ, საკმარისია მისი ნაირსახეობა ნაციზმი ვახსენოთ და სრულიად გასაგები ხდება მისი ნეგატიური ჟღერადობა. ამიტომ უარყოფითი დატვირთვის გადმოსაცემად ხშირად ვხმარობ „ნაციონალიზმს“, რადგან უკეთესი, შემცვლელი ტერმინი არ მაქვს. ამდენად, ფართო გაგებით ნაციონალიზმი მოიცავს ისეთ მოძრაობებს, ცნებებს, როგორც არის პოლიტიკური კათოლიციზმი, კომუნიზმი, სიონიზმი, ანტისემიტიზმი, ტროცკიზმი, პაციფიზმი. ეს ყოველთვის როდი აღნიშნავს ერთგულებას რომელიმე კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლების მიმართ. უფრო ნაკლებად აღნიშნავს იგი ერთგულებს საკუთარი ქვეყნის მიმართ. უფრო მეტიც, ჯგუფები, რომლებსაც ერთგულებს ნაციონალისტი, არ არის სავალდებულო, არსებობდნენ სინამდვილეში.

აი, რამდენიმე თვალნათელი მაგალითი: ებრაელობა, ისლამი, ქრისტიანობა, პროლეტარიატი, თეთრი რასა – ყოველივე ეს ცხარე ნაციონალისტური გრძნობების ობიექტებია, მაგრამ ამათი არსებობა საკამათოა, დავა საკმაოდ სერიოზულად შეიძლება წარმართოს და არც ერთი მათგანისათვის არ არის მოცემული ისეთი განსაზღვრულობა, რომელიც ყველას მიერ საყოველთაოდ იყოს მიღებული.

ხაზი უნდა გაესვას, ამას თავისი შინაარსი აქვს, რომ ნაციონალისტური გრძნობები ნეგატიურად აღიქმება. არიან მაგალითად, ტროცკისტები, რომლებიც საბჭოთა კავშირის მტრებად კი გადაიქცნენ, მაგრამ რომელიმე სხვა ჯგუფს არ მიკედლებიან. აქ უნდა ჩავუყვირდეთ ამ მომენტს.

ნაციონალისტი არის ის, რომელიც ირჯება, მხოლოდ შეჯიბრებითი პრესტიჟის კატეგორიებით აზროვნებს. იგი შეიძლება იყოს პოზიტიური ან ნეგატიური ნაციონალისტი. შეუძლია მიმართოს საკუთარი ინტელექტუალური ენერგია ამაღლების და დამცირების, დაკნინების გზით, მაგრამ, უპირველესად ყოველისა, ყველა შემთხვევაში მისი აზრები მიმართულია გამარჯვების ან დამარცხების, ტრიუმფის ან დამცირებისაკენ. იგი განიხილავს ისტორიას, განსაკუთრებით თანამედროვე ისტორიას, როგორც მუდმივ ზესწრაფვას ან დაკნინებას დიდი საზოგადოებრივი დაჯგუფებების და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ეჩვენება, რომ მისი მხარე იმარჯვებს და საზიზღარი მეტოქენი მარცხდებიან. არ უნდა გავაიგივოთ აგრეთვე ნაციონალიზმი წარმატების მარტივ გაღმერთებასთან.

ნაციონალისტს ვერ დასდებთ ბრალს მიდრეკილებაში, დაიკავოს უძლიერესის მხარე. ეს მომგებიანი პრინციპია, მაგრამ ასე არ არის. პირიქით, როდესაც დაიჭერს რომელიმე პოზიციას, იგი უმტკიცებს თავს, რომ სწორედ ეს პოზიცია არის უძლიერესი. იგი მაშინაც კი დაკავებულ პოზიციაზე დგას, როდესაც ფაქტები სრულიად სანინააღმდეგოს უჩვენებენ, მის წინააღმდეგ არიან.

ნაციონალიზმი ეს ძალაუფლების დაუოკებელი წყურვილია, ლტოლვა ძალაუფლებისაკენ შეზავებული თავის მოტყუებით. თითოეული ნაციონალისტი მზად არის აღვირახსნილი უპატიოსნების, უზნეობის ჩასადენად, მაგრამ (რადგანაც მიაჩნია, რომ ისეთ რამეს ემსახურება, რაც თვით მასზე გაცილებით მეტია) ყოველთვის მართლად მიიჩნევს თავს.

ასეთი განმარტების მერე უნდა განვაცხადო, რომ ასეთი ტიპის აზროვნება უფრო ინგლისურ ინტელიგენციას ახასიათებს, ვიდრე ხალხთა მასებს.

ასე მაგალითად, ზოგიერთი პრესტიჟული თემის გამოკვეთა სრულიად შეუძლებელია. „რომელმა ქვეყანამ – სსრკ-მა, ბრიტანეთმა თუ ამერიკამ დაამარცხა გერმანია?“ თეორიულად ამ კითხვაზე შეიძლება სალი და სრულიად ამომწურავი პასუხის გაცემა. პრაქტიკაში კი ამ საკითხის განსჯისას კაცი გამოთვლებს კი არ დაიწყებს, არამედ პრესტიჟულ შეჯიბრებას გამართავს. უპირველესად ყოვლისა, იგი საკითხს გადაწყვეტს რუსეთის, ბრიტანეთის ან ამერიკის სასარგებლოდ და მერე დაიწყებს არგუმენტების მოხმობას. იმ არგუმენტების, რომლებიც წაადგება მის თვალსაზრისს. ასეთ კითხვებზე ობიექტური პასუხი აქვს დაუინტერესებელ პიროვნებას, პიროვნებას, რომლის პასუხი არც არავის აინტერესებს. აქედან მომდინარეობს ჩვენს დროში დიდი დაქვეითება სამხედრო და პოლიტიკური წინასწარჭრეტის.

საინტერესოა, რომ ყოველგვარი მიმართულების „ექსპერტთა“ შორის არ აღმოჩნდა არავინ, ვინც იწინასწარმეტყველებდა 1939 წლის გერმანია-სსრკ-ის პაქტს. (ზოგიერთი, მაგალითად, პიტერ დრიუვერი, მიიჩნევდა, რომ შესაძლებელია კავშირი ან თუნდაც გაერთიანება, მაგრამ იმ სახით, როგორადაც პაქტი დაიდო ვერავინ იწინასწარმეტყველებდა). პაქტის განმარტებებიც, რომლებიც დადებისთანავე გაისმა, სრულიად სხვადასხვა კატეგორიის იყო, ვინაიდან აგებული იყო სურვილზე, წარმოეჩინათ სსრკ, როგორც კარგი ან ცუდი, სუსტი ან ძლიერი!!!

პოლიტიკური ექსპერტები, სამხედრო კომენტატორები ვალდებული არიან, მსგავსად ასტროლოგებისა, დაუშვან შეცდომები, ვინაიდან მათ მიმართავენ არა იმიტომ, რომ ფაქტები შეფასდეს, არამედ იმიტომ, რომ მოხდეს ნაციონალისტური სურვილების სტიმულირება.

ამის გამოა, რომ კომენტატორები დაყოფილნი არიან ანტირუსულ ან პრორუსულ ძალებად. აქედან, შეცდომები მაჟინოს ხაზის შეფასებაში, „ბარბაროსას გეგმის“ გათვლაში. კომენტატორები ხშირად იმას ამბობენ, რისი გაგონებაც უნდოდათ მათგან.

ერთხანს, ომამდე, კომუნიზმის წინააღმდეგ გამოდიოდა პოლიტიკური კათოლიციზმი, რომლის დიდი წარმომადგენელი იყო გ. ჩესტერტონი.

პოლიტიკურმა ნაციონალიზმმა, პოზიციამ ჩესტერტონი აიძულა წასულიყო პატიოსნების, ობიექტურობის წინააღმდეგ (დიდი მწერალი კი იყო). იგი ერთხანს საფრანგეთში ცხოვრობდა და ისე წარმოაჩინა, თითქოს საფრანგეთი დასახლებული იყო კათოლიკე გლეხებით, რომელნიც გამუდმებით მარსელიებს მღეროდნენ, სვამდნენ წითელ ღვინოს... და... საფრანგეთის სამხედრო პოტენციალის შეფასებაში კოლოსალური შეცდომა მოუვიდა. ამიტომ დანერა სრულიად უგემოვნო ლექსები, რომლებიც სხვას რომ დაენერა, თვითონ ჩესტერტონი მწარედ გააკრიტიკებდა. ამასთან, თვითონ იყო წინააღმდეგი იმპერიული იდეების, ურაპატრიოტიზმის.

ამან მიიყვანა მუსოლინის გაიდეალებამდე. მუსოლინიმ გაანადგურა სიტყვის თავისუფლება, რისთვისაც თავის ქვეყანაში იბრძოდა ჩესტერტონი. მაგრამ მუსოლინი იტალიელი იყო, იტალია ძლიერი ქვეყანა გახადა და მორჩა! აქ არის თავი და თავი. მისი, ჩესტერტონის, გემოვნება, დემოკრატიზმი მაშინვე ქრებოდა, როგორც კი ვეხებოდით მის ნაციონალიზმს.

სრულიად ნათელია მსგავსება პოლიტიკურ კათოლიციზმს, კომუნიზმს, სიონიზმს, ანტისემიტიზმს შორის, ისევე როგორც ირლანდიურ, შოტლანდიურ ნაციონალიზმს შორის.

თითოეული ნაციონალისტი, უპირველეს ყოვლისა, გამუდმებით ფიქრობს საკუთარი დაჯგუფების უპირატესობაზე, აღიზიანებს ყოველგვარი ჩრდილის მიყენება მისი დაჯგუფებისთვის.

ამტკიცებს, ყველაზე ლამაზები, მძლავრები, კულტურულები, ფიზიკურად კეთილანდნებანი თვითონ არიან, საუკეთესო ლანდშაფტი, კლიმატი, სამზარეულო მათია... ისინი მოითხოვენ, ეს ყველაფერში აისახოს, მაგალითად, უნდა ითქვას ამერიკო-ბრიტანელები და არა ანგლო-ამერიკელები...

სტუდენტურ სცენაზე

ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში დიდი ხანია ტრადიციად დამკვიდრდა სტუდენტთა მონაწილეობით უცხოურ ენებზე სპექტაკლების დადგმა.

ამ სპექტაკლებში მონაწილეობა ხელს უწყობს სტუდენტებს, სრულყოფილად გამოთქმის ტექნიკა, გამოიმუშაონ უცხო ენაზე თავისუფალი მეტყველების ჩვევა. მასწავლებლებს ეძლევათ საშუალება შეამოწმონ მათი ცოდნის ხარისხი და გამოთქმის სისწორე, ასევე დაინახონ, რამდენად კარგად აქვს ათვისებული ენა მაცურებელს.

ახლახან უცხო ენათა ინსტიტუტში მოეწყო თანამედროვე ფრანგული თეატრის საღამო (ფაკულტეტის დეკანი – დოც. ნ. ტერელაძე, ფრანგული ენის კათედრის გამგე – დოც. მ. ბაქრაძე). პირველ სპექტაკლად წარმოდგენილ იქნა ეჟენი იონესკოს პიესა „სკამები“.

როგორც ცნობილია, ეჟენი იონესკო ითვლება ალოგიკური, ირაციონალური თეატრის, „აბსურდის თეატრის“ ფუძემდებლად. იონესკოს თეატრში რეალიზმი ფანტასტიკას ესაზღვრება, ლოგიკა – აბსურდს. თუმცა კონკრეტულად შერჩეულ სპექტაკლში არაფერია აბსურდული, მისთვის დამახასიათებელი პირობითობა კი სახსებით მისაღებია რეალისტური თეატრისთვისაც.

პიესის გმირები არიან მარტოდმარტო მცხოვრები, ყველასაგან მივიწყებული ხანდაზმული მეუღლეები. ერთ დღეს მათთან მრავალი სტუმარი იყრის თავს. მოხუცები ბედნიერნი არიან. იხსენებენ გარდასულ ამბებს, მხიარულობენ, იქანცებიან სტუმრების მიღების ცერემონიალით, მაგრამ, ვაი რომ, ყველაფერი ეს წარმოსახვისა და ფანტაზიის შედეგია.

სცენაზე არავინაა, გარდა ცარიელი სკამებისა და ერთმანეთის მოყვარული წყვილისა. ეფექტის მისაღწევად ავტორს შემოჰყავს ყრუ-მუნჯი „ორატორი“, მონვეული მოხუცი კაცის მიერ, კაცობრიობისადმი მიმართული სიტყვის წარმოსათქმელად. კომიკური სიტუაცია, რომელიც იქმნება სცენ-

აზე „ორატორის“ მიერ პათეტიკური სიტყვის „წარმოთქმით“, ხაზს უსვამს ადამიანთა გათიშულობას, ზოგჯერ მათ შორის ნორმალური ურთიერთობის შეუძლებლობას.

მეორე პიესად წარმოდგენილ იქნა „კაცი და ქალი“ თანამედროვე ფრანგი მწერლის ბორის ვიაშის ნოველის „რით არიან საშიშნი კლასიკოსები“-ს მიხედვით.

პიესის მთავარი პრობლემაა კაცობრიობის განვითარების განხილვა ეთიკურ ასპექტში. მოქმედება ხდება 2000 წელს. როგორები გახდებიან ადამიანები სულ რაღაც ოციოდე წლის შემდეგ?

მწერლის აზრით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი აკინებებს, აუფერულებს ადამიანთა სულიერ სამყაროს, სრულიად ცვლის ქალისა და მამაკაცის შინაგან ბუნებას. მწერალმა წარმოსახა დრო, როდესაც მამაკაცი თავისი თვისებებით ქალს ემსგავსება, ხოლო ქალი, გათავისუფლებული ყოველგვარი პირობითობისაგან, უფრო ენერგიული, ვაჟკაცური, მამაკაცურია. ამგვარად წარმოსახული შეყვარებული წყვილი შემთხვევით პოულობს პოლ ჟესარდის ლირიკული ლექსების პატარა წიგნს „შენ და მე“. ისინი აღმოაჩენენ, რომ ეს წიგნი თავისი სასიყვარულო ლირიკით სრულიად უსარგებლო, გამოუსადეგარია.

სანინალმდეგო შეხედულებაში მათ არწმუნებს ახალგაზრდა მეცნიერის მიერ შექმნილი ჭკვიანი და თავხედი რობოტი, რომელიც მეცნიერმა სწორედ ჟესარდის წიგნის ლირიკული გმირის მიხედვით შექმნა. მხოლოდ „სიყვარულით ატაცებული“ რობოტის დაშოშმინებითა და გათიშვით ახერხებენ შეყვარებულები თავი აარიდონ საფრთხეს, პოვონ ბედნიერება. რაც მთავარია, ამიერიდან ისინი იწყებენ მეტყველებას „ძველ მოდაზე“, კითხულობენ საუკუნის დასაწყისის სატრფიალო ლექსებს, კვლავ უბრუნდებათ უნარი, შეიგრძნონ პოლ ჟესარდის სტრიქონების მშვენიერება და მოულოდნელ ბედნიერებას ეზიარებიან.

როლები მშვენივრად შეასრულეს V კურსის სტუდენტმა რ. ოგანიანმა, მეოთხეკურსელმა კ. თურმანიძემ, მესამეკურსელმა ნ. ამბოკაძემ, პირველი კურსის სტუდენტმა ნ. სვანაძემ.

მხატვრის მიერ ეფექტურად არის წარმოსახული კიბერნეტიკულ-კოსმოსური სამყარო. სპექტაკლი მუსიკალურადაც საინტერესოდაა გაფორმებული. ზომიერების დაცვითაა გადწყვეტილი სპექტაკლის ქორეოგრაფიაც (მოცეკვავე რობოტები: ე. ბაქრაძე, მ. კახურაშვილი, ნ. ცერცვაძე, მ. ნილოსანი, კ. თურმანიძე. ქორეოგრაფი – IV კურსის სტუდენტი მარინე გოცირიძე).

ორივე სპექტაკლი რეჟისორულად განახორციელა ფრანგული ენის მასწავლებელმა ირინე ტუხულოვამ, მასვე ეკუთვნის სპექტაკლის მუსიკალური და მხატვრული გაფორმება.

სტუდენტთა სპექტაკლებმა ქალაქის ფართო საზოგადოების ყურადღებაც უნდა მიიქციოს.

სასურველია მათი სპექტაკლებით დაინტერესდეს პროფესიული თეატრალური კრიტიკაც.

სილუეტები

მალალი შეფასება

ს. ჯანაშიას სახელობის პრემია შ. მესხიას ნაშრომს

განსვენებულმა მეცნიერმა პროფესორმა შ. მესხიამ თავის მეცნიერულ-პოპულარულ ნაშრომს დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის კვალდაკვალ სრულიად მართებულად „ძღვევაჲ საკვირველი“ უწოდა. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ თავისი მრავალსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე ქართველ ხალხს ურიცხვი ომი და ბრძოლა აქვს გადახდილი, ძნელია საოცარი გამარჯვება არ ვუნოდოთ დავით აღმაშენებლის სარდლობით დიდგორთან 1121 წლის აგვისტოში ქართველთა მხედრობის გამარჯვებას თურქ-სელჩუკთა კოალიციურ ურდოზე.

დიდგორის ომის წინამავალ ხანაში „მოოხრებულ იყო ქართლი და თვინიერ ციხეთა სადამე, არა სადა იყო კაცი სოფელსა შინა, არცარა შენებულობა“. ქვეყანა გაუკაცრიელებული იყო და საქართველოს დედაქალაქი თბილისიც მაჰმადიანებს ეპყრათ. პროფესორ შ. მესხიას წიგნში მეცნიერულად არის გაანალიზებული შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსის დავით აღმაშენებლის ბრძოლის ისტორია ქვეყნის მოსაშენებლად, ქართული სახელმწიფოებრიობის გასაძლიერებლად. ამ რიგის სხვა რეფორმებთან ერთად კარგად არის გაშუქებული დავითის მიერ გატარებული სამხედრო რეფორმის არსი, მის მიერ ლაშქრის რეორგანიზაცია, ყიფჩაყთა გადმოსახლების მიზანი და საქართველოში მათი განსახლების წინასწარ განჭვრეტილი, სწორი პოლიტიკა.

სხვა გადამჭრელ ღონისძიებებთან ერთად დავითი მაჰმადიანთა ხელთ მყოფი ქართული ქალაქებისა და პირველ რიგში თბილისის განთავისუფლებისათვის იბრძოდა. დიდი გარჯით „მოეშენა ქვეყანა ქართლისა, განძლიერდა დავით და განამრავლა სპანი და არლარა მისცა სულტანსა ხარაჯა, და თურქნი ვერლარა დაიზამთრებდეს ქართლს“. სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ დავითის მიერ შევიწროებულმა თბილისის, დმანისისა და განძის მაჰმადიანმა გამგებლებმა ერაყის სელჩუკიანთა მეუფეს სულთან მაჰმუდ მოჰამედის ძეს მიმართეს შემწეობის თხოვნით.

შ. მესხიას გამოკვლეული აქვს წინა აზიაში შექმნილი საერთო პოლიტიკური სიტუაცია, რამაც მაჰმადიანური სამყაროს გამგებელნი მარდინისა და ალექოს მფლობელის ამირილ-ლაზის სარდლობით ერთიან, უზარმაზარ კოალიციაში გააერთიანა. შესანიშნავად არის მოთხრობილი საკუთრივ ომის მსვლელობა, განხილულია დავითის მიერ გამოყენებული ტაქტიკისა და სტრატეგიის ძირითადი მომენტები. ბოლოს მოცემულია იმდროინდელი სამყაროსათვის დიდგორის ომის ისტორიული მნიშვნელობის ღრმა ანალიზი. სხვა დიდმნიშვნელოვან შედეგებთან ერთად დიდგორის ომის მეორე წელს, ამ ძლევამოსილი ბრძოლის შედეგად, „400 წლის განმავლობაში უცხოელთა ხელში მყოფი საქართველოს დედაქალაქი ქართველობას დაუბრუნდა“ (ივ. ჯავახიშვილი).

პრემირებული წიგნის უდავო ღირსებაა ის, რომ იგი დაფუძნებულია მეცნიერულად გაანალიზებულ წყაროებზე. ავტორი ეყრდნობა ქართულ ნარატიულ, დოკუმენტურ, ეპიგრაფიკულ და ნუმიზმატიკურ მასალას; მონაცემებს სომხური, არაბული, თურქული, ევროპული წყაროებიდან და ისტორიოგრაფიიდან. ამ წყაროების ობიექტური მონაცემების საფუძვლებზე პროფესორმა შ. მესხიამ შესანიშნავად, დამაჯერებლად წარმოაჩინა, რომ თურქთა უღლის სიმძიმის გამო ქართველთა დროშის ქვეშ გაერთიანებული იყვნენ ამიერკავკასიის ხალხები განურჩევლად რელიგიისა. ქართულ ლაშქარში იყვნენ: ყივჩაყები, ოსები, სომხები, შირვანელები. ამასთანავე, შ. მესხიას კარგად აქვს წარმოჩენილი ის, რაც არსებითად განასხვავებდა ქართველთა მხედრობისა და ჯვაროსნების ბრძოლას თურქ სელჩუკებთან. ჯვაროსნებისთვის ეს იყო რელიგიური ფანატიზმით შეფიცხებული დამპყრობლური ომი. „საქართველო, – წერს იგი, – თავისი თვითმყოფობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა, დამპყრობლებს ერეკებოდა თავისი ქვეყნიდან და არა მაჰმადიანებს, მუსლიმანებს“. დიდგორის ომის უშუალო შედეგი იყო კავკასიაში საქართველოს მრავალეროვანი, ძლიერი სახელმწიფოს შექმნა.

პრემიერული ნაშრომი დაწერილია მიმზიდველი, პოპულარული ენით, იკითხება როგორც ბელეტრისტული ნაწარმოები.

ნიგნის ღირსებათა შორის უნდა აღინიშნოს, რომ პროფესორი შ. მესხია, მისთვის ჩვეული მაღალმეცნიერული მომთხოვნელობით, საქართველოსათვის, მთელი წინა აზიისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოვლენების ობიექტურად გაშუქებისას ყოველთვის ურყევად იდგა პატრიოტულ-მამულიშვილურ პოზიციაზე. განსვენებულ მეცნიერს შესანიშნავად ჰქონდა შეგნებული დიდი მოვალეობა ისტორიკოსისა ქართველი ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

„კომუნისტი“, 1974 წ. 17 II.

მეცნიერების სამსახურში¹

60 წლისა შესრულდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილების ხელმძღვანელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი რევაზ კანდიდის ძე კიკნაძე.

რ. კიკნაძე მეცნიერ-მკვლევრის შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ, ფართო ერუდიციის იმ სპეციალისტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც მეცნიერების უანგარო სამსახური ცხოვრების მიზნად აქვთ ქცეული. იგი 70-ზე მეტი ნაშრომის, მათ შორის 7 მონოგრაფიის ავტორია ქართულ, რუსულ, ევროპულ ენებზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე რ. კიკნაძე სამამულო ომგამოვლილი, ვალმოხდილი მოვიდა. თავისი ნიჭით, შრომისმოყვარეობით მან იმთავითვე მიიქცია გამოჩენილი მეცნიერების ვ. ფუთურიძის, ვ. გაბაშვილის და სხვათა ყურადღება. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რ. კიკნაძე შევიდა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიაში დასასპეციალებლად. ასპირანტურაში მას ხელმძღვანელობას უწევდა აკადემიის ნ/კ ვ. გაბაშვილი. ამ ხანებში მან გამოაქვეყნა შრომები XIII-XIV სს. ირანის ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების ისტორიის შესახებ. აღსანიშნავია მონღოლური ხანის ზოგიერთი გადასახადის შინაარსის მის მიერ მოცემული მეცნიერული განმარტება, ირანის ხელოსნურ წარმოებაში გავრცელებული ინსტიტუტების გააზრება. მისი თანაავტორობით უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტების სტუდენტებისათვის დაინერა სახელმძღვანელო მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში. ასპირანტურაში სწავლისა და შემდგომ პერიოდში გამოიკვეთა ძირითადად ახალგაზრდა მეცნიერის ინტერესთა სფერო – კვლევა-ძიება საქართველოსა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკვანძო საკითხების წყაროთმცოდნეობითი ბაზის შესაქმნელად. იგი

1. თანაავტორი ვ. ითონიშვილი.

მუშაობს ნარატიული ძეგლების შესასწავლად, დაინტერესებულია ძეგლების თარგმნისა და მეცნიერული გამოცემის უმნიშვნელოვანესი საკითხებით, სწავლობს წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიულ პრობლემებს და სხვ.

1956 წელს რ. კიკნაძემ წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ჰულაგიდების სახელმწიფოში“. 1957 წლიდან რ. კიკნაძე ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელია. სწორედ აქ გამოამუშავა მან სრულად მაღალი რანგის მეცნიერისათვის აუცილებელი თვისებები: სიახლის მუდმივი ძიების სურვილი, უტყუარი შემოქმედებითი ალღო. სწორედ ამ თვისებების გამო ჩამოყალიბდა იგი რთული წყაროთმცოდნეობითი პრაქტიკული და თეორიული კვლევა-ძიების აღიარებულ თაოსნად.

1960 წლიდან რ. კიკნაძე სათავეში ჩაუდგა ინსტიტუტის ერთ-ერთ წამყვან, მდიდარი სამეცნიერო ტრადიციების საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებას. ქართულ ისტორიულ წყაროთმცოდნეობას, როგორც ცნობილია, საფუძველი აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა ჩაუყარა. წყაროთმცოდნეობის განყოფილებას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი მეცნიერები: ა. შანიძე, ს. ყაუხჩიშვილი, ვ. დონდუა. ჰუმანიტარული მეცნიერების საერთო განვითარების, კერძოდ ისტორიული მეცნიერების აღმავლობის შესაბამისად საგრძნობლად ამაღლდა როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული გამოკვლევების დონე საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში. მეცნიერების ეს დარგი გაცდა ვიწრო ჩარჩოებს, გაიზარდა მისი თვალსაწიერი. ქართული წყაროთმცოდნეობის მიღწევები საკავშირო საისტორიო მეცნიერებისათვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წყაროთმცოდნეობის კომისიისა და მისი თავმჯდომარის, აკად. შ. ძიძიგურის დიდი ხელშეწყობითა და ინიციატივით, რ. კიკნაძემ აქტიური მუშაობა გასწია წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიების

პრობლემებისადმი მიძღვნილი საკავშირო (1976, 1982 წწ.) და რესპუბლიკური სესიების ჩასატარებლად.

რ. კიკნაძის ინიციატივით, ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით გამოსაცემად მომზადდა სტუდენტებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელო საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში. იგი ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა უცხოური, კერძოდ, სპარსული წყაროების მეცნიერულ მიმოქცევაში შემოსატანად. აღნიშნულ მიზანს მიეძღვნა მისი მონოგრაფიული გამოკვლევები „ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ“ (ვ. ფუთურიძესთან თანაავტორობით, 1966 წ.), „ულულულბეგი“ (1968 წ.), „ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ“ (1974 წ.), „სამყაროს საკვირველებათა ცნობები საქართველოს შესახებ“ (1978 წ.). მკვლევარი დიდ ყურადღებას უთმობს საკუთრივ ქართული საისტორიო წყაროების შესწავლა-პუბლიკაციის საშვილიშვილო საქმეს, რაც, ბუნებრივია, ფუნდამენტს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის წარსულის მეცნიერულ გაშუქებაში.

ქართული წყაროთმცოდნეობის მრავალი საკითხია დასმული და გადაჭრილი რ. კიკნაძის მონოგრაფიებში „ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (1975 წ.), „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის ნარკვევები“, „ფარსადან გორგიჯანიძე და „ქართლის ცხოვრება“ (1980 წ. რუსულ ენაზე). ეს შრომები ავტორის მრავალწლიანი კვლევა-ძიების დაგვირგვინებაა. ქართული წყაროთმცოდნეობის ზოგადთეორიული პრობლემები არის განხილული მის გამოკვლევაში „საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები“ (1982 წ.).

რ. კიკნაძე საქართველოს ისტორიის ნარკვევების რვატომეულის თანაავტორია. მეცნიერ-მკვლევარი აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა: არის ინსტიტუტის სარედაქციო-საგამომცემლო კომისიის თავმჯდომარე, ჟურნალ „მაცნეს“ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერიის რედაქტორის მოადგილე. მის მიერ მაღალ მეცნიერულ დონეზეა შემუშავებული „ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნისა

და გამოცემის წესები". მეტად მნიშვნელოვანია მისი წვლილი ნყაროთმცოდნეობის სფეროში კვლევების კოორდინირების საქმეში. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა.

ჯეროვნად ეხმაურება რ. კიკნაძე აქტუალური ისტორიული პრობლემების კვლევას. იგი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი მთელი რიგი საიუბილეო გამოცემების რედაქტორია. სათანადოდ აფასებს მკვლევარი წინამავალი დამსახურებული მეცნიერების ღვაწლს. აღსანიშნავია მისი დამსახურება განსვენებული მეცნიერების ვ. ფუთურიძისა და ვ. დონდუას სამეცნიერო მემკვიდრეობისა და არქივის დამუშავება-გამოცემის საქმეში. ამასთანავე მისაბაძია ის შესაშური ხალისი, კეთილგანწყობილება, რომლითაც მეცნიერი უზიარებს გამოცდილებას უმცროს კოლეგებს. იგი დროსა და ენერჯიას არ იშურებს ახალგაზრდა მკვლევარებისათვის. მისი ხელმძღვანელობითა და კონსულტაციით ბევრი დისერტაცია მომზადდა. ამასთან, განეული ხელმძღვანელობა ახალ, უფრო მაღალ მეცნიერულ დონეზე ასვლას ნიშნავს. რ. კიკნაძე ახალგაზრდობას სირთულეთა დაუფლებისა და დანერგვისაკენ მოუწოდებს. კერძოდ იგი დიდი ენთუზიასტია ტექსტების შესწავლაში რაოდენობრივი მეთოდების გამოყენების დანერგვისა.

საიუბილეო თარიღს განვლილი მუშაობის, მიღწეული შედეგების ერთგვარი შეჯამება უკავშირდება, რაც მომავალი მეცნიერული მუშაობის პერსპექტივასაც განსაზღვრავს. ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი რ. კიკნაძე მაღალი რანგის მეცნიერად არის მიჩნეული არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ გაცილებით ფართო სამეცნიერო წრეებში საქართველოს ფარგლებს გარეთაც. ამჟამად იგი მეცნიერული აღმავლობის გზაზე, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის სტადიაზეა და გვინდა დღეგრძელობა ვუსურვოთ შესანიშნავ მეცნიერ-მკვლევარსა და მამულიშვილს.

1983 წ.

მიხეილ თამარაშვილი ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე¹

1910 წელს რომში გამოქვეყნდა ახალი წიგნის პუბლიკაციის ანონსი. მიქელ თამარატი (მიხეილ თამარაშვილი) ევროპელ მკითხველს ამცნობდა:

„თავს ნებას ვაძლევთ, განათლებულ საზოგადოებას და საერთოდ ფართო პუბლიკას შევთავაზოთ სრულიად ახალი სახის ნაშრომი, რომლის შინაარსი ისევე ნაკლებად არის ცნობილი, როგორც საინტერესო. ეს გახლავთ „ქართული ეკლესიის ისტორია დასაბამიდან დღემდე“. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ეს ეკლესია არა მარტო წინააღმდეგობას უწევდა მწვალებლობებს თავდაპირველი მრწამსის შესანარჩუნებლად, არამედ იწვევდა ქრისტიანობისა და ცივილიზაციის ყველაზე მრისხანე მტრების თავდასხმებს. იგი იქცა მარადიულ ჯვარცმულად, რომლის ისტორია უწყვეტი მარტიროლოგი გახლავთ. ამ თვალსაზრისით მას აქვს უფლება არდავიწყებისა“.

მართლაც, იმავე წელს საზოგადოებამ მიიღო მაღალ ევროპულ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული წიგნი – „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“. მ. თამარაშვილის პირად არქივში დაცული მასალა ცხადყოფს, რა დიდი გამოხმაურება ჰქონდა მას მთელ ევროპაში, რა დიდი იყო წიგნზე მოთხოვნა და მისი რეცენზირების სურვილი.

მ. თამარაშვილის „ქართული ეკლესიის ისტორია“, მართალია, 1910 წელს გამოქვეყნდა, მაგრამ რამდენიმე წლით ადრე იყო მზად. გამოქვეყნებას მნიშვნელოვანი მატერიალური სახსარი სჭირდებოდა. ავტორს იგი არ გააჩნდა. რაც ჰქონდა, იმასაც წიგნის მასალის მოპოვებაში ხარჯავდა. ამიტომ, ბუნებრივია, საჭირო თანხის გამღებლებს მ. თამარაშვილი საქართველოშიც ეძებდა. წერილებში, რომელთაც ამ მიზნით წერდა, ცდილობდა, აეხსნა ადრესატისათვის წიგნის მნიშვნელობა და ხასიათი. ამ წერილებიდან ჩანს, როგორ კარგად ჰქონდა მას გააზრებული წიგნის სტრუქტურა, დანიშნულება

1. ქართული გამოცემის წინასიტყვა. თანაავტორი ზ. ალექსიძე.

და მნიშვნელობა. 1907 წლის 5 ნოემბერს თავად გიორგი ბაგრატიონ-დავითაშვილს სწერს:

„ევროპაში ხშირად შევნიშნე, რომ საქართველოს და მის ეკლესიის შესახებ საზოგადოთ არაფერი ცნობა აქვს, და თუ იციან რამე, ისიც სულ შეცთომილი და მრუდე აზრით თუ სომხების და თუ რუსების ჭეშმარიტებას მოკლებული წერილების გამო. ამნაირ მოვლენამ მეტად სამწუხარო შთაბეჭდილება იქონია ჩემზედ, რადგან ევროპა დღეს თვით უკანასკნელ და მეტად დაშორებულ ტომებსაც საკმაოდ იცნობს, ხოლო საქართველო თავისი წარსულით კი დღევანდლამდინ შავ წყვიადში მოსილია მისთვის, რადგან აქამდის ვერცერთ ქართველმა განიზრახა ევროპისთვის წარედგინა ნამდვილი საბუთებთ შედგენილი ისტორია, რათა ზედმიწევნით გაეცნობიერებინა მისთვის საქართველოს დიდებული წარსული. ამისთვის ესრეთი უმძიმესი ტვირთი მარტოდ მარტო მე ავიღე თავზე და შემდგომ დიდი განწირული შრომისა და ხარჯისა დავამთავრე ფრანგულად საქართველოს ეკლესიის ისტორია „L'Eglise Georgienne“. რათა ეს შრომა სრული ყოფილიყო, თავში ჩავურთე გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური საქართველოს ისტორია, რომელიც ერთს შესანიშნავს წიგნს შეადგენს, თუ ცალკე გამოიცემოდეს. ამ შრომას დავატანე ორი გეოგრაფიული კარტაც ერთი ახლანდელი და ერთიც სულ უუძველესის დროსა, ესე იგი უწინარეს ექვსი საუკუნოსი ქრისტეზედ წინ. ამ შრომის აღწერა აქ ძლიერ შორს წავა. კმარა უწყოდეთ, რომ ყველა საგანი გამოვიკვლიე რაოდნათაც შეიძლებოდა უუძველესის დროიდან, სადამდისინც კი ისტორიულ კვალი მიაღწევს. ეგრეთვე საეკლესიო ისტორიაში ვატან საქართველოს წმიდებისა და მონუმენტების სურათებსაც. თქმა აღარ უნდა, რა საგანსაც შევეხე, ყველა გამოვიკვლიე ისტორიული კრიტიკით, რაოდნათაც კი შეიძლებოდა, რათა ყველა კარგად დასაბუთებული წარუედგინო განათლებულ ევროპას. ჩემი ქართულად ორი გამოცემული წიგნი ამასთან შედარებით არასფრად ჩასათვლელი იქნება“.

მ. თამარაშვილის წიგნმა, ცხადია, ჩამოაღწია საქართველოშიც. ქართველი განათლებული მკითხველის რეაქციას ნაშრომზე ზუსტად გადმოგვცემს სიმონ ქვარიანის მიერ 1911 წლის 5 თებერვალს ქუთაისიდან ავტორისათვის გაგზავნილი წერილი:

„ნაკითხულმა აღტაცებაში მომიყვანა თავისი მეცნიერული ნაშენობით, საგულისხმო მასალა-ფაქტებით და კარგის ფრანგული ენით. გულახდილად მოგახსენებთ, რომ ეგ თქვენი კაპიტალური ნაშრომი ძვირფასი განძია. ჩვენსა და ევროპის ლიტერატურაში ამ საგანზე ჯერ მაგის მსგავსი არაფერი დანერვილა. წიგნის ავტორს ეტყობა დიდი ერუდიცია და შრომის დიდი უნარი. ბ-ნო მიხეილ, ჭეშმარიტად ვაშა თქვენს მხნეობას, მეცადინეობას და სამშობლო ქვეყნის სიყვარულს! მე აღტაცებაში მოყვავარ თქვენს ასეთ არა თანამედროვე ქართველობას, არამედ ნამდვილ ევროპიულ უნარსა და ენერჯიას. გისურვებ გულით დღეგრძელობას და მრავალჟამიერ სიცოცხლეს ჩვენი ბედშავი ქვეყნის საკეთილდღეოდ. თუ თანამედროვე ქართველი საზოგადოება ვერ შეიგნებს თქვენს ასეთ ღვაწლს, მომავალი თაობა მაინც ღირსეულათ დააფასებს მას და უკვდავყოფს თქვენს შარავანდედით მოსილ სახელს. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული...“

ამ ორ ნაწყვეტში მ. თამარაშვილის მიმონერიდან ფაქტობრივად ყველაფერია ნათქვამი: შეფასებულია წიგნიც და მისი ავტორიც, მოცემულია მომავლის სწორი პროგნოზიც. მხოლოდ ერთში შეცდა ს. ქვარიანი, როდესაც იგი დღეგრძელობას უსურვებდა მ. თამარაშვილს, „ქართული ეკლესიის ისტორიის“ ავტორს სულ რაღაც რვა თვის სიცოცხლეღა ჰქონდა დარჩენილი. 1911 წლის 16 სექტემბერს 53 წლის ქართველმა აბატმა მიქელ თამარატიმ უცხოელი მოყვასისათვის თავი განირაიტილიაში სოფელ სანტა-მარინელასთან. მან ევროპას გააცნო ქართველი და საქართველო არა მარტო თავისი, როგორც თვითონ წერდა, „დიდი განწირული შრომით“, არამედ თავისი ამ „დიდი განწირული“ სიკვდილითაც. დაკრძალეს მ. თამარაშ-

ილი 1911 წლის 18 სექტემბერს იქვე, სანტა-მარინელაში, ხოლო შემდეგ გადასვენეს ქალაქ ჩივიტავეკიას პანსიონში.

მ. თამარაშვილის წიგნის გამოცემიდან დღემდე ქართულ-მა ისტორიოგრაფიამ დიდი გზა გაიარა. სამწუხაროდ, ამ გზას იგი ისე გადიოდა, თითქმის არ იცნობდა მ. თამარაშვილის რომში გამოქვეყნებულ წიგნსა და მასში მოცემული კვლევის შედეგებს. ძნელია იმის ახსნა, რატომ მოხდა ასე: წიგნი ბევრს არა ჰქონდა ხელთ, ფრანგულად იყო დანერილი, თუ მოქმედებდა კიდევ სხვა რაღაც უფრო დაფარული რამ მიზეზი. ფაქტი ის არის, რომ ხელახლა გახდა აღმოსაჩენი ზოგი ისეთი საკითხი, რომელიც მასთან გადაჭრილი თუ არა, დასმული მაინც იყო (მაგ. ევაგრე პონტოელის ვინაობა). ამ წიგნში ჯერ კიდევ არის ბევრი ისეთი ცნობა და დაკვირვება, რომელიც დღესაც გაამდიდრებს ქართულ ისტორიოგრაფიას (პირველ ყოვლისა, ეს ეხება საქართველოს დასავლურ სამყაროსთან ურთიერთობის საკითხებს). ამიტომ მისი ქართულ ენაზე გამოცემა მხოლოდ ხარკის გადახდა არ არის სახელოვანი მეცნიერისა და მამულიშვილის ხსოვნის წინაშე. დარწმუნებული ვართ, იგი ცოცხლად და აქტიურად ჩაერთვება საქართველოს და ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის საქმეში, ახალ იმპულსებს მისცემს ამ პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევართ, მომავალ თაობებს.

რაც უნდა კარგი აზრისა ვიყოთ მ. თამარაშვილის წიგნზე, მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ოთხმოცზე მეტი წლის წინ დაიწერა. ბევრი თეორია და ნაშრომი, რომელსაც ავტორი ეყრდნობოდა, მოძველდა, ქრონოლოგია შეიცვალა, ფაქტები დაზუსტდა და ა. შ. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ამ დღესაც დიდად სასარგებლო წიგნს კრიტიკულად წაკითხვა უნდა და არა ყველაფერში ბრმად ნდობა. ნაშრომს თავისი კვალი დააჩნია მ. თამარაშვილის კონფესიურად კათოლიკობამაც, რომელიც, საბედნიეროდ, მხოლოდ მოვლენათა შეფასებებსა და ემოციებში გამოიხატება და არა კვლევის ობიექტურობაში. თავდაპირველად წიგნის რედაქტორებს განზრახული ჰქონ-

დათ „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ შესაბამისი კომენტარებით გამოეცათ, ანუ ეიძულებინათ მკითხველი, იგი თანამედროვე ისტორიკოსის თვალთ ნაეკითხა, მაგრამ თარგმანზე მუშაობის პროცესშივე ისინი დარწმუნდნენ ამ განზრახვის უნაყოფობაში. ჯერ ერთი, ასე გამოცემული ნიგნი სულ მცირე ორჯერ მეტი გამოვიდოდა, ვიდრე ის ისედაც დიდტანიანი ნაშრომი, რომელიც მ. თამარაშვილმა დაგვიტოვა. მეორეც, სადავო შემთხვევებში, ან თუნდაც ისეთ შემთხვევებში, რომლებიც ჩვენი თვალსაზრისით სადავოც არ არის, უფრო დიდი დრო უნდა იყოს მსაჯული, ვიდრე დღემდე არის განვლილი. რაკი ასეთ გადაწყვეტილებამდე მივედით, ვარჩიეთ ნიგნში არავითარი ცვლილება არ შეგვეტანა, არ გაგვესწორებინა აშკარად ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებიც კი (ვთქვათ, როდესაც ერთი და იგივე ძეგლი ან ერთი და იმავე მეფის ზეობა ტექსტში სხვაგვარად არის დათარიღებული და ილუსტრაციის წარწერაში კი სხვაგვარად).

ქვემოთ გვინდა რამდენიმე განმარტება მივცეთ მ. თამარაშვილის ნიგნის „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ ქართული თარგმანის მკითხველს:

1. ნიგნის კითხვისას უნდა გვახსოვდეს, რომ იგი დაწერილია უცხოელი მკითხველისათვის, რომელიც სრულიად არ იცნობს ან ძალიან სუსტად იცნობს ქართულ სამყაროს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, როდესაც ავტორი წმინდა ნინოს შესახებ ამბობს: „ეს წმინდანი ძალიან ნაკლებად არის დღეს ცნობილი“.

2. რომ შეგვენარჩუნებინა ნიგნში ავტორის დროინდელი სურნელი, მრავალრიცხოვანი ციტატა ქართული წყაროებიდან მოგვაქვს იმ გამოცემების მიხედვით, ვთქვათ, საბინინის „საქართველოს სამოთხის“ მიხედვით, რომელთაც ავტორი მიუთითებს, თუმცა დღეს უკვე არსებობს იმავე ტექსტების ბევრად უკეთესი პუბლიკაციები. ეს შენიშვნა არ ეხება ტექსტებს, რომელთა ფრანგული თარგმანი მ. თამარაშვილის დროს უკვე არსებობდა და ავტორი იყენებდა მათ თარგმანე-

ბს და არა დედანს. პირველ რიგში ვგულისხმობთ „ქართლის ცხოვრებას“, რომელიც მოგვყავს ს. ყაუხჩიშვილის და არა მ. ბროსეს გამოცემით. ანალოგიურად, როდესაც „მოქცევაჲ ქართლისაჲსთვის“ ავტორი მიუთითებს საგანგებოდ შატბერდულ რედაქციაზე, ჩვენ ტექსტი მოგვაქვს ამ ხელნაწერის ახალი, სპეციალური გამოცემიდან.

3. არაქართული წყაროები ქართული გამოცემისათვის საგანგებოდ არის თარგმნილი, თუ მათი თარგმანები დღემდე არ არსებობდა. თუ თარგმანი არსებობს, როდესაც არ უნდა იყოს იგი შესრულებული, მოტანილია შესაბამისი პუბლიკაციიდან.

4. მართალია, წიგნის ქართული გამოცემა არსებითად იმეორებს თავის ფრანგულ დედანს, მაგრამ მაინც რამდენადმე გამარტივებულია. მაგალითად, როდესაც ავტორს თარგმანთან ერთად მოაქვს ბერძნული, ლათინური, არაბული, სპარსული ან სხვაენოვანი ტექსტები, მხოლოდ თარგმანით ვკმაყოფილდებით, დედანს აღარ ვიმეორებთ და მივუთითებთ მის სათანადო გამოცემაზე.

5. ბერძნული და ლათინური ტექსტები, რომელთა თარგმანი ქართულად არ არსებობდა, საგანგებოდ არის ამ წიგნისათვის თარგმნილი დედნიდან (მთარგმნელები იამზე გაგუა და თინათინ დოლიძე) და არ არის გადმოღებული მ. თამარაშვილის ფრანგული თარგმანიდან. ამ წიგნისთვის ასევე ითარგმნა იტალიურიდან იტალიელ მისიონერთა ის წერილები, რომელთა თარგმანი ქართულად არ გაგვაჩნდა (მთარგმნელი ნინო ხმაღაძე), და მადლობას მოვახსენებთ იტალიელ ქართველოლოგებს ლუიჯი მაგაროტოსა და ჯორჯო როტას მთარგმნელისთვის განეული კონსულტაციისთვის.

6. არქივების, ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოგრაფიის ინდექსში შენარჩუნებულია დედნის ვითარება. გამონაკლისი გაკეთებულია მხოლოდ ქართულისთვის.

7. თუ ჩვენ მიერ გამოყენებულ გამოცემაში ქართული წყარო უაზრობამდე არის დამახინჯებული, მასში მცირე შესწ-

ორება შეგვაქვს სწორი წაკითხვისა და, განსაკუთრებით, თვით მ. თამარაშვილის თარგმანის გათვალისწინებით.

მ. ის ტექსტები, რომელთა თარგმანი თვით მ. თამარაშვილის ეკუთვნის („ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“), ჩვენ მიერ მხოლოდ მცირედ არის ნარედაქტირები, უმთავრესად ორთოგრაფიის თვალსაზრისით.

მ. თამარაშვილის წიგნის – „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ – გადმოქართულება, ქართულ ისტორიოგრაფიასა და წყაროებთან მისი ადაპტაცია არ იყო იოლი საქმე. ალბათ ამიტომ აღინიშნა იგი ჯერ კიდევ ხელნაწერის სახით 1990 წელს პარიზში ქართულ-ევროპული ინსტიტუტის მიერ დაწესებული ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიით.

პირველთაგანი, რომელმაც მიხეილ თამარაშვილის დიდი ღვაწლი დაინახა, ამაგი ჯეროვნად დააფასა, გახლდათ მისი თანამედროვე და ჭეშმარიტი თაყვანისმცემელი, თავადაც შესანიშნავი ქართველი მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე. 1912 წელს თბილისში დაიბეჭდა მისი პატარა წიგნი „სამშობლო ქვეყნის მოღვაწეები – მიხეილ პეტრეს ძე თამარაშვილი“.

მ. თამარაშვილი პოლიგლოტი იყო, იცოდა: იტალიური, ლათინური, ფრანგული, თურქული, სომხური, ბუნებრივია, ქართული. ზაქარია ჭიჭინაძეს მოჰყავს ალექსანდრე ხახანაშვილის სიტყვები: „მე პირველად ვხედავ ასეთ შრომისმოყვარე ქართველ კაცს, ეს პირველი მაგალითია, რომ ასეთ შრომასა და ცოდნასთან ევროპის ერთა ამდენი ენებიც იცოდეს... მ. თამარაშვილის შრომამ მე ცხადლივ დამიმტკიცა ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ქართველ კაცსაც შესძლება ვრცელი თხზულების წერა“.

მიხეილ თამარაშვილის შემოქმედებითი შრომის საფუძველზე ნათელი ეფინება მრავალ მეცნიერულ პრობლემას. საქართველოს დემოგრაფიული ისტორიის თვალსაზრისით კარგად ჩანს, რომ ქართველთა საკმაოდ მასობრივი გასომხების ერთ-ერთი ფაქტორი სომეხ კათოლიკეთა მეცადინეობის შედეგი ყოფილა. მგზნებარე პატრიოტის ზაქარია

ჭიჭინაძის ნიგში არის სიტყვები, რომელნიც ნიშანდობლივ გასათვალისწინებელია განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ ამჟამინდელ ქართველთათვის: „თუმცა ჩვენს სამშობლოში ხშირად დიდს უბედურებაშიც ვიყავით, მაგრამ მაინც ქართველი კაცის გული და სული საქართველოს ნიადაგზე ისე იყო მიბმული და მიჯაჭვული, რომ იგი საქართველოს მინას არას შემთხვევაში არ დასტოვებდა, არას გასაჭირში საქართველოდან სხვაგან არ გადასახლდებოდა“.

ძნელია უკეთესი სიტყვები მოიძიო დიდებული მამულიშვილის მიხეილ თამარაშვილის შემოქმედების თანამედროვის თვალთ შესაფასებლად, ვიდრე ეს შეძლო ზაქარია ჭიჭინაძემ: „მ. თამარაშვილის შრომა ჩვენს მნიგნობრობაში არი უშესანიშნავესი შრომა, თვალთ-საჩინო, სადაც „ქართლის ცხოვრება“ იქმნება და სხვა მისთანა ნიგნები, იქ არც ეს ნიგნგი ჩამორჩება უკან. ამიტომ ჩვენ სრულის სიამოვნებით და სიხარულით ვეგებებით მ. თამარაშვილის შრომას. მისი შრომის დაფასება დღეს ჩვენ არ შეგვიძლიან, ამის გადახდა მომავალში შეეძლება მხოლოდ ქართველ განათლებულს საზოგადოებას, რომელიც შეიგნებს მ. თამარაშვილის საქართველოს ისტორიისათვის დაუფასებელ შრომის მნიშვნელობას... სწორედ საგლოველია ჩვენი წარსული, სავალალო და სატირელიცა კი, გულით სწუხარ, სულით იტანჯები იმ დროს, როცა შენის სამშობლოს ასპარეზზედ ხედავ აუარებელს უძღურებას და იმავ დროს, შინათ გამცემთ, დამლუპავთ და ქვეყნის დამნაცრებელ ფარფარუჭობას. ასეთის სურათების ჭეშმარიტი თავდებია მ. თამარაშვილი... ვინც კი მოასწრო და გადაშინჯა ეს შრომა, ყველანი აღტაცებულნი დაშთენ“.

ზემოთაც იყო აღნიშნული, მთლად ნათელი არ არის, ქართული ისტორიოგრაფიის გზაზე მიხეილ თამარაშვილის ნაკვალევი მაინცდამაინც მკაფიოდ რატომ ვერ აისახა. ფაქტია, მისი სახელი, შემოქმედება რამდენადმე მივიწყებული იყო. ახალი ეტაპი დაიწყო, როდესაც 1978 წელს მიხეილ თამარაშვილის ნეშტი იტალიიდან საქართველოში გადმოასვენეს.

მისი სახელი შესულია ქართულ ენციკლოპედიაში. ყველაზე სრული ცნობები მ. თამარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ აისახა პროფესორ შოთა ლომსაძის მონოგრაფიაში „მიხეილ თამარაშვილი და ქართველი კათოლიკენი“ (თბილისი, 1984 წ.).

მიხეილი დაიბადა 1858 წლის სექტემბერში ქალაქ ახალციხეში, პეტრე თამარაშვილის მრავალშვილიან ოჯახში. ერისკაცობაში ალექსანდრე ერქვა და ათი შვილიდან მეცხრე გახლდათ. ოჯახში რუმბების კეთების ხელობას მისდევდნენ, მაგრამ ნიჭიერი, გონებაგახსნილი ბავშვი, მიხეილი, „ქვემო ეკლესიის“ სამრევლო სკოლაში მიუბარებიათ ამ სკოლის მესვეურისა და თავკაცის, გამოჩენილი თეოლოგი-ისტორიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ივანე გვარამაძისათვის (წერდა „ვინმე მესხის“ ფსევდონიმით). მოძღვარმა წარუშლელი კვალი დააჩნია ბავშვის სწავლა-განათლების საქმეს. იგი შემდგომშიც განსაკუთრებული სითბოთი განაგრძობდა ყოფილ შეგირდთან მეცნიერულ თუ ადამიანურ, სულიერ ურთიერთობას. ივანე გვარამაძე იმთავითვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ნიჭიერ ყმანვილს, ჩანს, მან „საგანგებო წვრთნა დაუნყო მას, ვითარცა დიდი საქმისათვის მოვლენილ კაცსა“.

1874 წელს მიხეილი ძმასთან ერთად ქუთაისში გადავიდა. წარუმატებლად სცადა საბაყლო დუქანს გასძღოლოდა, ხარაზობდა კიდევ. შემდეგ კვლავ წარუმატებლად ძმებმა სახარაზო სახელოსნო ხაშურში გახსნეს, გაკოტრდნენ და ახალციხეში დაბრუნდნენ.

1878 წელს ივანე გვარამაძის გულმოდგინე რჩევით, რეკომენდაციითა და ლოცვა-კურთხევით მიხეილი სწავლის გასაგრძელებლად კონსტანტინოპოლს გაემგზავრა პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ სასწავლებელში. იქვე აღიკვეცა ბერად. იქიდან კიდევ ორ წარჩინებულ მოსწავლესთან ერთად კათოლიკეთა ძმობამ მიხეილი საკუთარი ხარჯით ესპანეთს მიავლინა სწავლის გასაგრძელებლად. გამოცდების ჩაბარების შემდეგ მ. თამარაშვილი ჩაირიცხა

სემინარიაში, სამი წელი ისწავლა ესპანეთში, შემდეგ კვლავ კონსტანტინოპოლში დაბრუნდა. აქ მღვდლად აკურთხეს, აღჭურვეს „ხმის გალების“ უფლებით. შემდეგ პეტრე ხარისჭირაშვილის მატერიალური დახმარებით ახლად ხელდასხმული პატრი მიხეილი და მისი მეგობარი იოსებ მერაბაშვილი პარიზს გაემგზავრნენ განათლების გასაგრძელებლად წმინდა ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში.

1888 წელს თამარაშვილი და მერაბაშვილი პარიზის სასულიერო სასწავლებლის წარმატებით დამთავრების შემდეგ კვლავ კონსტანტინოპოლში არიან. დასწრებული პეტრე ხარისჭირაშვილის მონაცვლემ კონსტანტინოპოლში მინცდამაინც ვერ ივარგა და მიხეილ თამარაშვილი სამშობლოში დაბრუნდა. თბილისში იგი კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის მოძღვრად გაამწესეს. შოთა ლომსაძე შენიშნავს, რომ „იგი მრევლს ისტორიის პატრიოტულ ფურცლებს ახსენებდა... სიმტკიცისა და ერთობისაკენ მოუწოდებდა“. მისი ქადაგებანი „ეროვნულ საკითხებზე ჩატარებულ მეცნიერულ ლექციებს უფრო ჰგავდა“. ამ დროს კი ის ხანა იდგა, როდესაც მძაფრ რუსიფიკატორულ პოლიტიკას, კავკასიის მთავარმართებლის დონდუკოვ-კორსაკოვის აქტიური მხარდაჭერით, არმენიზაციის გეზიც დაემატა. მაგალითისთვის: 1886 წელს გამოვიდა უმაღლესი ბრძანება „ქართული ენის გამოყენების აკრძალვის შესახებ სომხურ-კათოლიკურ ეკლესიებში მღვდელთმსახურების დროს და კავკასიის ლათინურ სამრევლოებში“. 1893 წლის მაისის უზენაესი ბრძანებით ქართველ კათოლიკეთა ეკლესია მოხსენებულ იქნა ვითარცა სომხური.

ასეთ ვითარებაში განათლებული პატრიოტი, პატრი მიხეილი, თბილისში მეტად არასასურველი პიროვნება გახლდათ და მისდამი მტრულად განწყობილმა თბილისის გუბერნატორის ძმამ, პრელატმა მაქსიმე ორლოვსკიმ, შეძლო მისი გაძევება ახალციხეში, თან მღვდელმსახურების უფლება ჩამოართვა. 1889 წელს თამარაშვილი სტამბოლში ჩავიდა. იქიდან 1890 წლის ზაფხულში რომს გაემგზავრა. მიხეილს კონსტა-

ნტინოპოლის საეპისკოპოსოც დევნიდა, მაგრამ მან გამოცდები ჩააბარა რომის სასულიერო აკადემიაში და ჩაირიცხა კიდევ იქ. საეპისკოპოსო შემდგომშიც არ ეშვებოდა მ. თამარაშვილს – რამდენჯერმე მიმართა ვატიკანს, რომ თამარაშვილი აკადემიიდან გაერიცხათ.

თამარაშვილის ფონდში დაცული მიმონერით, განსაკუთრებით კი მისი მეცნიერული პროდუქციით, კარგად ჩანს ის ჭეშმარიტად ტიტანური შრომა, რომელიც მეცნიერმა გასწია რომის, საერთოდ, ევროპის არქივსაცავებში ქართული მასალების მოსაძიებლად. დიდ ჯაფას თან ერთოდა მუდმივი, გულის გამანვრილებელი ხელმოკლეობა, შეუწელებელი ფიქრი ახლობლებზე, თანამეტომეებზე.

1894 წელს მიხეილ თამარაშვილი რომიდან კონსტანტინოპოლში ჩაიყვანეს, მეცნიერულ მოღვაწეობას მოწყვიტეს, მაგრამ 1897 წელს იგი კვლავ დაბრუნდა რომში და სიცოცხლის ბოლომდე მეცნიერულ საქმიანობას მისდევდა.

1894 წელსვე დაამთავრა მ. თამარაშვილმა რომის სასულიერო აკადემია და თეოლოგიის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიიღო. შემდგომში იგი იყო რომის უნივერსიტეტის პროფესორი, მოღვაწეობდა სხვადასხვა კოლეჯში. როგორც მ. თამარაშვილის პირადი არქივის მასალებიდან ირკვევა, იგი იყო რუსეთის იმპერიის წარმომადგენელი რომის პაპის კარზე (იხ. ნათელა ფოფხაძე, მიხეილ თამარაშვილის არქივის იტალიური ფონდის სიახლეები, ჟურნალი „ცისკარი“, 1988, №11).

1902 წელს თბილისში დაიბეჭდა მიხეილ თამარაშვილის ფუნდამენტური შრომა „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, „ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე“ ლვანლმოსილი მეცნიერის უკანასკნელი ნაშრომია.

1978 წელს რ. თაბუკაშვილის ინიციატივითა და მეცადინეობით მ. თამარაშვილის ნეშტი იტალიიდან თბილისში გადმოასვენეს და დაიკრძალა დიდუბის პანთეონში. ამ წიგნის ქართულად გამოცემის ერთ-ერთი ინიციატორიც სწორედ

რ. თაბუკაშვილი იყო. ნიგნის თარგმნა და მისი გამოქვეყნება ძალიან დაგვიანდა, მაგრამ ახლა უკვე საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ მ. თამარაშვილი თავისი შემოქმედებითაც მთლიანად დაუბრუნდა სამშობლოს.

„ნიგნებს თავისი ბედი აქვთ“. გვინდა ვირწმუნოთ, რომ ფართო მკითხველი საზოგადოება გულისყურითა და ინტერესით მიიღებს ვალმოხდელი მამულიშვილის ნაშრომს. სწორედ იმიტომაც, რომ ჩვენში ამჟამად შექმნილი მძიმე ვითარების გამო ნიგნების ბეჭდვა ფრიად გართულდა, კვლავ ზაქარია ჭიჭინაძის სიტყვებით გვინდა დავასრულოთ ჩვენი წინათქმა – „კითხვის დროს, მკითხველი რამდენიც უფრო მწარე ცნობებს და ნუთებს ხედავს ქართველი ერისას, იმდენი მას უფრო უცხოველდება სიყვარული ჩვენის ბნელის ეტლისა, დატანჯული სამშობლოს არსებობისა. საჭიროა, ჭეშმარიტად საჭიროა, რომ ასეთი ისტორიული ნიგნები ჩვენს ენაზედ ხშირად ისტამბებოდეს“.

1995 წ.

ნათელა როდონაია¹

ქართველ ისტორიკოსთა რიგებს უდროოდ გამოაკლდა ნათელა სამსონის ასული როდონაია. იგი დაიბადა 1932 წელს, ხობის რაიონში, სოფელ ხეთაში. ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის ქალთა მე-13 სკოლა და შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. 1955 წელს, უნივერსიტეტის წარჩინებით დასრულების შემდეგ, ჩაირიცხა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში საქართველოს ახალი ისტორიის სპეციალობით. 1958 წლიდან ამავე ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი იყო, ხოლო 1964 წლიდან – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. 1962 წელს წარჩინებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქალაქ თბილისის მრეწველობა XIX ს-ის მეორე ნახევარში“.

საქართველოს ახალი ისტორიის ნიჭიერი და ღრმად განსწავლული მკვლევარი, ნათელა როდონაია, ფართო მეცნიერული ინტერესით გამოირჩეოდა. იგი წლების მანძილზე იკვლევდა კაპიტალიზმის განვითარებას მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, აგრარული ქვეყნის ძირითადი მწარმოებელი მასის – გლეხობის ისტორიას და ქართული ისტორიოგრაფიის აქტუალურ პრობლემებს, მათ შორის XIX ს-ისა და XX ს-ის დამდეგის საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფიას.

უაღრესად ფასეულია ნ. როდონაიას მონოგრაფია – „თბილისის მრეწველობა XIX ს-ის მეორე ნახევარში“ (1961 წ.), რომელიც ხსენებულ მაგალითზე ცხადად წარმოგვიდგენს კაპიტალიზმის გენეზისსა და განვითარებას საქართველოს მრეწველობაში. საამისოდ ავტორმა საქართველოსა და ლენინგრადის საისტორიო არქივებში გამოვლენილი ახალი წყაროების მონაცემების მოშველიებით გამოიკვლია თბილისის მრეწველობის დარგები, დაადგინა მათი სტადიური განვითარება (ხელოსნობა, მარტივი კოოპერაცია, მანუფაქტურა,

1. თანაავტორი გ. მარგინი.

მანქანური წარმოება). ნაშრომში მკაფიოდაა ნაჩვენები ხელოვნობის ბურჟუაზიული ევოლუცია, წარმოების დარგებში თავისუფალი დაქირავებული მუშახელის გამოყენების მასშტაბის ზრდა, მრეწველობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მრეწველობის სხვადასხვა ფორმების უწყვეტი თანაარსებობა.

ნ. როდონია ასევე წარმატებით იკვლევდა კაპიტალიზმის განვითარებას სოფლის მეურნეობაში. ამის ნიმუშია მისი ნაშრომი „თბილისის და მისი გარეუბნების სოფლის მეურნეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში“ („მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, №3). აქ პირველადი, უპირატესად ადრე უცნობი წყაროების მონაცემების ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია, ერთი მხრივ, ქალაქის განაშენიანების შედეგად მისი სოფლის მეურნეობის შედეგად მისი სოფლის მეურნეობის განდევნა გარემოუბნებისაკენ, მეორე მხრივ, საქალაქო მოსახლეობის ზრდის შედეგად სოფლის მეურნეობის ნაწარმზე, პირველ რიგში არატრანსპორტაბელურ პროდუქტზე, მოთხოვნის გადიდება, რაც გაფართოების სტიმულს აძლევდა კავკასიის ცენტრის გარეუბნების სოფლის მეურნეობას XIX ს-ის მეორე ნახევარში.

XIX ს-ისა და XX ს-ის რევოლუციამდელ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პროცესების შესწავლას ნ. როდონიამ მრავალი მაღალკვალიფიციური გამოკვლევა მიუძღვნა. ამანვე განაპირობა მისი დაინტერესება გლეხობის ისტორიითა და გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფიით. ნ. როდონიამ ხანგრძლივი კვლევის შედეგად შექმნა მნიშვნელოვანი მონოგრაფია „საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფია“, რომელიც გამომცემლობა „მეცნიერების“ 1980 წლის გეგმით გამოქვეყნდება.

როგორც ცნობილია, საქართველოს გლეხობის ისტორია 1900-1921 წლებში მხოლოდ მისი კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისითაა შესწავლილი. ნ. როდონიამ ბევრი დრო და ენერგია შეაღწია ნაშრომს „საქართველოს გლეხობის ისტო-

რია იმპერიალიზმის ხანაში“, რაც მან თითქმის დაასრულა. აქ მაღალ აკადემიურ დონეზეა გაშუქებული ქართველი გლეხობის ცხოვრება და მდგომარეობა საკვლევ ხანაში. ავტორი მასში აბათილებს ჯერ კიდევ 20-30-იანი წლებიდან მომდინარე ვულგარულ-სოციოლოგიურ თვალსაზრისს, რომ თითქოსდა ჩვენში კაპიტალიზმის გამარჯვება გლეხობის, როგორც კლასის, დაშლის დამთავრებასაც მოასწავებდა. ამ შეხედულების საპირისპიროდ მიუთითებს, რომ 1905-1907 წწ. რევოლუცია საქართველოშიც გლეხური რევოლუცია იყო.

სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში ნ. როდონაიამ დიდი ამაგი დასდო ინსტიტუტის მეცნიერული ისტორიის შექმნის საქმეს – ნაშრომი, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ავტორი იგი არის, უახლოეს წლებში გამოქვეყნდება.

ნათელა სამსონის ასული როდონაიას, ამ შესანიშნავი მეცნიერისა და მოქალაქის გულისხმიერი და კდემამოსილი მეგობრის, ჭეშმარიტი მამულიშვილის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი კოლეგების – ქართველ ისტორიკოსთა ფართო წრეში.

„მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №4, 1979 წ.

„საქმემან შენმან...“

ჭეშმარიტად დრონი მეფობენ და არა მეფენი! არცთუ დიდი ხნის წინ ბრწყინვალე კაცის, აკადემიკოს ანდრეი სახაროვის არათუ შექება, კეთილად ხსენებაც არ იყო უხიფათო საქმე. დღეს კი ამ დიდებული მოქალაქის სახელი ყველას პირზე აკერია. პრესა მას ქება-დიდებით იხსენიებს. მართლაც რომ „საქმემან შენმან გამოგაჩინოს!“

უფრონაღ „ოგონიოკის“ ამა წლის თებერვლის №8-ში დაბეჭდილია ვანდა ბელეცკაიას მშვენიერი წერილი „ამფეთქებელი“. სტატიამი ორიგინალური ფორმით გაანალიზებულია აკადემიკოს ა. სახაროვის ღვანლი საზოგადოების წინაშე, მოთხრობილია მისი ცხოვრების დრამატული ოდისეა. იყო პერიოდი, როცა „საზოგადოებამ“ დაგმო აკადემიკოსი. მის განქიქებაში ერთმანეთს ეცილებოდნენ სოციალური იერარქიის სხვადასხვა საფეხურზე მდგომი პირები. აკადემია რისი აკადემია იქნებოდა, რომ ამ საქმეშიც მონინავეთა რიგებში არ მდგარიყო (სხვათა შორის, ამჟამადაც დეპუტატობის კანდიდატად ა. სახაროვი აკადემიას არ წამოუყენებია). 1973 წლის 29 აგვისტოს ნომერში გაზეთმა „პრავდამ“ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის 40 წევრის ხელმოწერით დაგმო სახაროვის პოზიცია საბჭოთა სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის შეფასების საქმეში. უფრო მოგვიანებით, 1975 წელს, ნობელის პრემიის მიღებასთან დაკავშირებით ა. სახაროვის მიერ წარმოთქმული სიტყვის კრიტიკას ხელი უკვე აკადემიის 72 წევრმა მოაწერა. 1973 წელს იმავე „პრავდაში“ გამოქვეყნებულ სტატიას ჩვენში დაკანონებული სტერეოტიპების შესაბამისად ქართველი (სომეხი, აზერბაიჯანელი, უკრაინელი...) მეცნიერებიც უნდა „გამოხმაურებოდნენ“. ეს არცაა გასაკვირი – როდესაც ადამიანი სავსებით სახელმწიფოზეა დამოკიდებული, ხელისუფლება ცდილობს დათრგუნოს პიროვნება, აიძულოს იგი უღალატოს საკუთარ მრწამსს. ამისათვის ყოველთვის როდია აუცილებელი შიში დაპატიმრებისა და ფიზიკური განადგურებისა. საბედნიეროდ, ყოველთვის არიან სულით ძლიერი ადამიანები, რომელნიც სინდისთან კომპრო-

მისს არ ურიგდებია. ასე იყო სახაროვისადმი დამოკიდებულების საქმეშიც. მის განსაქიქებელ წერილებს საკავშირო აკადემიაში ყველამ როდი მოაწერა ხელი. ასევე მოხდა ჩვენშიც, საქართველოში.

ვინც სახელგანთქმულ მეცნიერს, ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის ფუძემდებელს, აკადემიკოს გიორგი წერეთელს ახლოს იცნობდა, განაცვიფრებდა ამ პიროვნების ორი გარეგნულად განსხვავებული სახე. ოფიციალურ სამეცნიერო თუ სახელმწიფოებრივ-ადმინისტრაციულ წრეებში მას მეტწილად ასკეტური იერი ჰქონდა, მოკლებული იყო ყოველგვარ ფამილიარობას, საუბრისას ყოველთვის იყო ლაკონიური, ზუსტი, საქმიანი, ერთგვარად ცივიც კი. ამავე დროს, მეგობრულ-შინაურულ წრეში საოცრად გულთბილი, მხიარული, იუმორით უხვად დაჯილდოებული რამდენადმე მიაშიტი კაცი იყო, სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა ბავშვური გულუბრყვილობა. ცხადია, გიორგი წერეთლის პიროვნების ავ-კარგის წარმოჩენა იოლი საქმე არ არის, ბუნებრივია, არც საგაზეთო სტატია ეყოფა მომავლისათვის ჩაფიქრებული ამ საქმის განხორციელებას.

გიორგი წერეთელი, ანუ გოგი წერეთელი, როგორც მას უფრო მეტად ბავშვობიდან შემორჩენილი სახელით იცნობდა ქართული საზოგადოება, პრინციპული კაცი იყო. პრინციპულობა საერთოდ მეტად მძიმე ტვირთია ადამიანისათვის. განსაკუთრებით მძიმე იყო სტალინიზმის ეპოქაში, ცხადია, მომდევნო ხანაშიც. პრინციპების უღალატობისათვის გიორგი წერეთელს, მიუხედავად სამეცნიერო რეგალიებისა, მრავალი ტანჯვა-წამება გადახდა, მაგრამ არ გატეხილა.

ლენინგრადის სამეცნიერო წრეებში კარგად ახსოვდათ და დღესაც იხსენებენ, რომ როდესაც ახალგაზრდა მეცნიერს, გოგი წერეთელს, მისი დიდი მასწავლებლის ი. კრაჩკოვსკის განქიქება დაევალა, იგი კრებაზე არ გამოცხადდა. სრულიად გასაგები მიზეზების გამო, იმუამად ეს მოქალაქეობრივი გმირობის, თავგანწირვის ტოლი საქციელი გახლდათ.

გიორგი წერეთელი მისთვის საბედისწერო 1973 წლის გაზაფხულზე წყნეთში აგარაკზე მოვინახულე. გულითადად მიმილო, მერე შემომჩვილა, ხელები დამისივდაო. ათასი რამ მივკიბ-მოვკიბე, დავამშვიდე, კარგი მედიკოსივით მრავალი უხიფათო მაგალითი დავუსახელე... მერე, ვნანობ, აღარ მომეცა მისი ნახვის საშუალება. თბილისიდან ნავედი და დაბრუნებულს ცუდი ამბავი დამხვდა – მძიმე ავადმყოფი გიორგი წერეთელი მე-4 სამმართველოს საავადმყოფოში დაენვინათ.

სექტემბრის დასაწყისის რა რიცხვი იყო აღარ მახსოვს, ღამით ავადმყოფთან დავრჩი, სახლში წასულს საავადმყოფოში დაბრუნება შემავიწყდა. დაბრუნებულმა დავინახე ბატონი გიორგის და თინათინ წერეთელი, რომელიც სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა ნერვიულად. გიორგიმ პალატაში მიხმო, ცოტა შემომწყრა კიდევ. ლოგინის გადაგებაში მაინცდამაინც მოხერხებულად ვერ გავისარჯე. მერე მთხოვა, გადი, თიკოს უთხარი სიგარეტს ნუ ეწევა, ხომ ხედავ რა მიყო მაგ ოხერმაო!

გარეთ გამოსულმა აღელვებული თინათინ წერეთლის მონათხრობი მოვისმინე: აკადემიიდან მოსულან მთავრობის დავალებით და გიორგი წერეთლისათვის, როგორც საკავშირო აკადემიის ნამდვილი წევრისათვის, წინადადება მიუციათ, აკადემიკოს ა. სახაროვის საქციელის დაგმობაზე ხელი მოაწერო. ბატონ გიორგის მოსულები არ მიუღია. მაშინ თინათინს სთხოვეს, თქვენი ძმის მაგივრად მოაწერეთ ხელიო. გაფიცებულა თინათინ წერეთელი: არ უნდა გეკადრებინათ ჩემთვის ასეთი რამ, მე ხომ სისხლის სამართლის სპეციალისტი ვარ და ამგვარ კრიმინალს როგორ მთავაზობთო (ჩვენი აკადემიის წევრ-კორესპონდენტი თინათინ წერეთელი საბჭოთა კავშირში პირველი ქალი გახლდათ, რომელმაც იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი მიიღო სისხლის სამართალში). ხელმოწერაზე უარი საბოლოო იყო. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბატონი გიორგი საკუთარ თავს არ ღალატობდა, ხუმრობდა, ხელმოწერა რომ შემომთავაზეს,

თავი მოვიმკვდარუნო. შემდეგ ყველა გააფრთხილა, მაგ სა-
კითხზე ჩემთან აღარავინ შემოუშვათ, სულერთია, თანხმო-
ბას ვერ მიიღებენო.

„ლიტერატურული საქართველოს“ მიმდინარე წლის 3 მა-
რტის ნომერში დასტამბულ მარია აბაიშვილისა და თამარ
ებრალიძის წერილში სიამოვნებით წავიკითხე: „ჩვენი ბავშვო-
ბის წლებიდან ლეგენდასავით გვახსოვს, აკადემიკოსმა ივანე
ბერიტაშვილმა უარი რომ განაცხადა, ხელი მოეწერა სოლჟ-
ენიცინის განსაქიქებელ დოკუმენტზე“. კარგია, რომ კეთილი,
ვაჟკაცური საქმე არ იკარგება. ამასთან, მინდა დავძინო: არ
ვიცი, როგორ იყო საქმე სოლჟენიცინთან დაკავშირებით, მა-
გრამ ის კი ნამდვილად ვიცი, რომ იმ 1973 წლის ადრეულ შე-
მოდგომაზე აკადემიკოს ანდრეი სახაროვის გაკრიტიკებაზე
ჩვენმა სასიქადულო თანამემამულემ, აკადემიკოსმა გიორგი
წერეთელმა ჩვეული პრინციპულობით კატეგორიული უარი
განაცხადა.

„ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ. 7 IV.

ნოდარ ნაკაშიძის ხსოვნას¹

ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. 1980 წლის 19 სექტემბერს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 52 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სკკპ წევრი 1953 წლიდან ნოდარ თადეოზის ძე ნაკაშიძე.

ნ. ნაკაშიძე დაიბადა თბილისში 1928 წელს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1950 წელს ასპირანტურაში ჩაირიცხა სსრკ ხალხთა ისტორიის სპეციალობით. ასპირანტურის დამთავრებისთანავე, 1953 წელს, მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „რუსეთ-ინგლისის ურთიერთობა XVI საუკუნის მეორე ნახევარში“. ნ. ნაკაშიძის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობა ამის შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დაუკავშირდა, სადაც იგი მოღვაწეობდა უნივერსიტეტის სწავლულ მდივნად, სსრკ ხალხთა ისტორიის კათედრის დოცენტად, შემდეგ პროფესორად.

1959 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ნ. ნაკაშიძე მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროს მეცნიერ თანამშრომლად.

ინსტიტუტში გადმოსვლის შემდეგ ნ. ნაკაშიძე ფეოდალური ხანის საქართველოს პოლიტიკური ისტორიის შესწავლას შეუდგა. მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის პრობლემამ. მართალია, ცოტა რამ არ იყო გაკეთებული მისი წინამორბედი თუ თანამედროვე ისტორიკოსების მიერ, მაგრამ ბევრი რამ კიდევ დასაზუსტებელი და შესასწავლი რჩებოდა. სწორედ ამ მიმართულებით ჩატარებული მრავალწლიანი კეთილსინდისიერი კვლევის შედეგი იყო მისი მონოგრაფია: „საქართველო“

1. თანავტორი გ. პაიჭაძე.

ველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში" (რუსულ ენაზე), რომელიც 1968 წელს გამოაქვეყნა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“.

ნ. ნაკაშიძის ეს ნაშრომი პირველი მონოგრაფიაა, რომელიც მიეძღვნა XVII ს-ის საქართველო-რუსეთის პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიის საკითხებს. ავტორმა უკვე არსებული სპეციალური ლიტერატურისა და დოკუმენტური მასალების ღრმად გაანალიზების საფუძველზე თანამიმდევრულად და დეტალურად განიხილა არა მარტო საქართველოდან რუსეთში ან, პირიქით, რუსეთიდან საქართველოში ელჩობათა მიმოსვლის სურათი, არამედ შემოგვთავაზა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობათა ისტორიის ახლებური პერიოდიზაცია. ნაშრომში კარგადაა ნაჩვენები XVI ს-ის მინურულისა და XVII ს-ის პირველი ნახევრისათვის შექმნილი საერთაშორისო ვითარება ევროპაში, კავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთში, წარმოჩენილია რუსეთისა და საქართველოს შინაგანი განვითარების შედეგად წამოჭრილი მოთხოვნები და ის სასიცოცხლო ინტერესები, რომლებიც ამოძრავებდა ამ ქვეყნების პოლიტიკურ წრეებს. ნაშრომის დასასრულს ცალკე თავად გამოყოფილია ავტორის მიერ მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად მიღებული მრავალმხრივ საინტერესო დასკვნები.

ამავე მონოგრაფიაში ავტორმა მკვეთრად დასვა საკითხი ქართლის მეფე როსტომისა და კახეთის მეფე თეიმურაზის, როგორც პოლიტიკური მოღვაწეების, სწორი მეცნიერული პოზიციებიდან შესწავლის აუცილებლობის შესახებ. მითითებული ნაშრომი 1969 წელს წარდგენილ იქნა სადოქტორო დისერტაციად, რომელიც მან წარმატებით დაიცვა.

ნ. ნაკაშიძის თვალსაწიერი ფართო იყო. მის კალამს ეკუთვნის მნიშვნელოვანი მეცნიერული გამოკვლევები ფეოდალური ხანის საქართველოს, რუსეთის და უკრაინის ისტორიის საკითხებზე. მას კარგად ესმოდა, რომ საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ისტორიის ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლა შეუძლებელი იყო საქართველოსთან ახლოს თუ

მომორებით მცხოვრები ხალხების ისტორიული განვითარების შესწავლის გარეშე. ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის შედეგად დაინერა სწორედ მისი მეტად საინტერესო სტატიები: „საქართველო-რუსეთ-ირანის ურთიერთობა და ბახტრიონის აჯანყება“ და „საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში XVII ს-ის პირველ ნახევარში“.

ნიჭიერ მკვლევარს კარგად უჭრიდა კალამი. ისტორიული მეცნიერების მიღწევების პოპულარიზაციის თვალსაზრისით მან არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა. ამ მხრივ სანიმუშოა მისი ცნობილი გამოკვლევა „წინამურidan ბახტრიონამდე“, რომელიც 1977 წელს გამოაქვეყნა, სადაც დახვეწილი ენით, სათანადო მეცნიერული სიღრმით კიდევ ერთხელ შესანიშნავად დაასაბუთა თავის მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება იმის თაობაზე, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თეიმურაზ I-ის თავდაუზოგავ, შეურიგებელ ბრძოლას ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის.

ნ. ნაკაშიძემ დიდი ამაგი დასდო ქართული ისტორიული წყაროების რუსულ ენაზე თარგმნის საქმეს. აღსანიშნავია მის მიერ თარგმნილი და გამოცემული ვახუშტი ბაგრატიონის და სეხნია ჩხეიძის თხზულებები, მანვე თარგმნა ჰაპუნა ორბელიანისა და ომან ხერხეულიძის საისტორიო ნაწარმოებები.

ნ. ნაკაშიძე მისთვის ჩვეული პატრიოტული სულისკვეთებით მონაწილეობდა ქართული ენციკლოპედიის მომზადებასა და გამოცემაში. 1972 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი ენციკლოპედიის სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის რედაქციის უფროსი სამეცნიერო რედაქტორი იყო.

ნ. ნაკაშიძე წლების მანძილზე ნაყოფიერ პარტიულ-საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა, იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების კონსულტანტი.

ჭეშმარიტი მამულიშვილი ნოდარ ნაკაშიძე ყოველთვის გამოირჩეოდა მოქალაქეობრივი შემართებით, პრინციპუ-

ლობით, ადამიანებისადმი უანგარო და ფაქიზი დამოკიდებულებით, სამაგალითო იყო მისი გულითადი ურთიერთობა მეგობრებისა და კოლეგებისადმი.

ნავიდა ჩვენგან შესანიშნავი მეცნიერ-ისტორიკოსი, გულმხურვალე მამულიშვილი და სანიმუშო მოქალაქე, რომელსაც ბევრი განუხორციელებელი ჩანაფიქრი დარჩა და რომლისგანაც ქართული საზოგადოებრიობა კიდევ ბევრ საინტერესო გამოკვლევას მოელოდა.

გამოსათხოვარი¹

შემოქმედებითი სიმნიფის ხანაში მძიმე ავადმყოფობით გარდაიცვალა შესანიშნავი ქართველი მკვლევარი ქალი, ქართული კულტურის ამაგდარი მუშაკი, ჩუმი და უპრეტენზიო მოღვაწე თინა ენუქიძე.

ყმანვილქალობაშივე დაინტერესდა ქალბატონი თინა ძველი ქართული წერილობითი ძეგლებით. თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დამთავრებისთანავე მივიდა ის ქართული კულტურის ისტორიის დიდ საგანძურში – საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაში (1958 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი), სადაც დიდი გულისყურით შეუდგა ძველი ქართული ხელნაწერების შესწავლას. ბუნებით მომადლებული ნიჭისა და იშვიათი შრომისმოყვარეობის წყალობით დამწყებმა მკვლევარმა იმთავითვე მიიქცია გამორჩენილი ქართველი მეცნიერების ნიკო ბერძენიშვილისა და ილია აბულაძის ყურადღება. მათი შეუნელებელი მზრუნველობითა და დახმარებით ჩამოყალიბდა თინა ენუქიძის, როგორც მკვლევრისა და მოქალაქის, პიროვნება. ოთხ ათეულ წელზე მეტი იღვანა ქალბატონმა თინამ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. უნდა ითქვას, რომ ეს გზა ყოველთვის ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. იყო წყენა და ჟამიერი უიმედობა, მაგრამ ბევრი იყო აგრეთვე სიხარული და ბედნიერებაც. მთავარი კი ის იყო, რომ თ. ენუქიძემ ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი დაიკავა ძველი ქართული მნიგნობრობის მკვლევართა შორის და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა სპეციალური წყაროთმცოდნეობითი დისციპლინების – არქეოგრაფიის, დიპლომატიკის, ეპიგრაფიკის, პალეოგრაფიის, ტექსტოლოგიის განვითარებაში. მართლაც უსაზღვრო სიყვარული უნდა ჰქონდეს საქმისა ადამიანს, რომ მთელი სიცოცხლე გულდაგულ ჩხრიკოს გაცრეცილი ძველი ხელნაწერები და მარცვალ-მარცვალ ეძიოს მშობლიური ქვეყნის ისტორიის მასალა.

1. თანავტორები: ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე, ნ. შოშიაშვილი.

ქალბატონ თინას, როგორც მკვლევარს, ახასიათებდა მიზანსწრაფულობა, შესასწავლი საგნის ღრმა ცოდნა, მაღალი პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა, მახვილი თვალი და დიდი მეცნიერული ალღო. ის დიდი ყურადღებით სწავლობდა ძველ ქართულ თხრობით, დოკუმენტურ და საკანონმდებლო ძეგლებს, გამოსაცემად ამზადებდა მათ გამოკვლევებითა და სამეცნიერო აპარატით (ვახტანგ VI-ის სამართლის ნიგნი, „ისტორია დავით ბაგრატიონისა“, „ტბეთის სულთა მათიანე“ და სხვ.), აქტიურად მონაწილეობდა ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის მომზადებასა და გამოცემაში. თბილისის, მოსკოვის, ლენინგრადისა და სხვა ქალაქების სიძველეთსაცავებში ეძიებდა საქართველოს ისტორიის წყაროებს. მის ხელშია გავლილი ათასობით ქართული საბუთი, რომელთაგან მრავალი მანვე განსაზღვრა, დაათარიღა და აღწერა. დიდი ღვაწლი დასდო თ. ენუქიძემ იოანე ბაგრატიონის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლასა და გამოცემას. რამდენიმე საყურადღებო ძეგლი მან სხვა ცნობილ მეცნიერებთან თანაავტორობით გამოსცა და, უნდა ითქვას, რომ მისი საკუთარი წვლილი საერთო საქმეში ყოველთვის ფრიად მნიშვნელოვანი, განსაკუთრებული და განუმეორებელი იყო.

თ. ენუქიძეს გამოსაცემად მომზადებული ჰქონდა XVI-XIX სს. ქართული არზა-ოქმები. ბოლო წლებში ის კიდევ ერთ მამულიშვილურ საქმეს შეეჭიდა: გამოსაცემად ამზადებდა „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ საყურადღებო ხელნაწერს – ე. წ. თეიმურაზისეულ ნუსხას. სამწუხაროდ, მძიმე სენმა აღარ აცალა ამ საქმის გასრულება. ნაშრომის ხელნაწერი მეცნიერის მაგიდაზე დარჩა დაუმთავრებელი. ბევრი სხვა საინტერესო შემოქმედებითი ჩანაფიქრიც დარჩა განუხორციელებელი ღვაწლმოსილ მკვლევარს. მის მეგობრებს და ახლობლებს ისღა დარჩენიათ იმედად და ნუგეშად, რომ თავისი ნაშრომებით და წყაროთა სანიმუშო პუბლიკაციებით თინა ენუქიძემ მტკიცედ დაიმკვიდრა ადგილი ერის ღირსეულ შვილთა შორის.

გოგი ნულუკიძე

73 წლის ასაკში გარდაიცვალა და 15 ოქტომბერს ბერლინში დაკრძალეს შესანიშნავი ქართველი ინტელიგენტი, გულმხურვალე მამულიშვილი გიორგი (გოგი) ნულუკიძე. ბატონი გოგი, პროფესორი, ექიმი, გერმანიაში სახლობდა და ისე გარდაიცვალა, საქართველოში ჩამოსვლის განუხორციელებელი სურვილი, ნატვრა საფლავში ჩაჰყვა.

გერმანიაში ჩასული მრავალი ქართველისათვის გაუნევია გულითადი მზრუნველობა, ამაგი დაუდვია, კარგად იცოდა ქართული კუჭურის ისტორია. საქართველოზე შეყვარებულმა მამულიშვილმა ქართული ენციკლოპედიის დაკლებული ტომების შეესება მთხოვა და ბატონ ავთანდილ საყვარელიძის შემწეობით ბედნიერება მქონდა შემესრულებინა მისი თხოვნა. შესანიშნავად, პროფესიულ დონეზე ესმოდა მუსიკა, განსაკუთრებით ქართული მუსიკა. მშვენივრად უკრავდა ფორტეპიანოზე, საინტერესო დაკვირვებანი გამიზიარა საქართველოს ამჟამინდელი ჰიმნის მუსიკის შესახებ.

უბადლო ენთუზიაზმით, ენაწყლიანად, გამორჩეული ნიჭიერებით ემარჯვებოდა გარდასულ ამბავთა მოთხრობა.

ბატონი გოგი ნულუკიძე ტიპიური კეთილშობილი ქართველი ინტელიგენტი გახლდათ. ამასთან, ახალგაზრდობაში საკმაოდ ბრგე, შემძლებელი ვაჟკაცი. ბერლინში ჩემი ყოფნის უამს მომითხრო, მუშტით როგორ დაიცვა ებრაელი თანასკოლელი მოფაშისტო ელემენტებისაგან... მერე როგორ უშველა ამ საქმეში მისმა თავადურმა წარმოშობამ. შემდეგ აღმოსავლეთ გერმანიაში გამეფებული „რუსულ-სოციალისტური“ რეჟიმის ბატონობისას მომხდარ პოლიტიკური ხასიათის ინციდენტში კომუნისტებისაგან იხსნა ბატონი გოგი ალექსანდრე ნულუკიძის მოგვარეობამ.

მართლაც რომ მომხიბლავი კაცი გახლდათ. განსაკუთრებული სიხალისით მიგვიღო ქართული ოჯახი ბერლინის ქალაქკარეთ აგარაკზე, მისმა მეუღლემ კი ხაზგასმით აღნიშნა, საერთოდ გულში სევდას ატარებს და ასეთი მხიარული, ხალისიანი ქართველებთან შეხვედრის უამს ხდებოაო.

ახლოს იცნობდა გრიგოლ რობაქიძეს, მიხაკო წერეთელს, ერის მარია რემარკს... ბატონმა გოგიმ გამანდო, მემუარებს ვწერო. დიდად ნიჭიერი ჩვენი განსვენებული თანამემამულის მემუარების წიგნი კარგი საჩუქარი იქნება ქართველი, ვიმედოვნებ, არამარტო ქართველი მკითხველისათვის.

ღმერთმა გაანათლოს!

შინაარსი

ჩემი მემოზარი ჯუმბარი.....	5
ისტორია	15
ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ	17
პლინიუს სეკუნდუსის ცნობები კოლხეთის შესახებ	37
პომპეუსის ლაშქრობა კავკასიაში.....	53
XV-XVI სს. დასავლეთ საქართველოს ისტორიული	
ქრონოლოგიის საკითხისათვის	113
დავით აღმაშენებლის 1123 წლის სიგელი, როგორც წყარო.....	130
დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის	151
აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური	
ისტორიისათვის (XIV-XVII სს.).....	165
ქართული დიპლომატიკის ისტორიიდან	232
მცირე ქრონიკები	259
ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი.....	282
დე გრაი დე ფუა საქართველოს შესახებ	301
„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“	331
პირთა ანოტირებული ლექსიკონი.....	335
Проблемы дипломатики периода распада феодальной Грузии	346
ტერმინი „იმერეთი“	372
პრიტიკა	383
ქართული წყაროთმცოდნეობითი ლიტერატურის შენაძენი.....	385
სანიშნო წიგნი ქართული სოფლის ისტორიაზე.....	395
ისტორიული წყაროთმცოდნეობის დიდი შენაძენი.....	402
ეთნოგრაფია და „ეთნოგრაფი“	406
საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა	
ქართლ-კახეთის სამეფოში მე-18 საუკუნის 60-იან წლებში.....	415
გლეხობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და	
კლასობრივი ბრძოლა XVIII საუკუნის დასავლეთ საქართველოში	423
Грузия в отражении общественного мнения Средней Европы	
XVI века и грузино-венгерские связи данной эпохи.....	429
XVII-XIX სს. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური	
განვითარების საკითხები მზითვის ნიგნების მიხედვით.....	431

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისას“ ინტერპრეტაციისათვის.....	433
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიები დასავლეთ ევროპაში 1918-1921 წწ.....	436
სამხატვრო განათლება საქართველოში XIX ს. II ნახევარსა და XX ს. I ნახევარში	440
Произведение дилстанга	445

კულტურისტიკა	447
300 არაგვეს.....	449
სიტყვა „ნიანგის“ წარმომავლობისათვის	451
Символ грузино-абхазской дружбы.....	453
საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა.....	464
ერთაშორის ურთიერთობის სფეროში კრიზისული ვითარების შესახებ.....	474
პირველი რუსი მარქსისტი	477
რუსეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთი	481
„ნაციონალ-უკლონისტები“ და საქართველოს დამოუკიდებლობა.....	486
მითი მარქსის შესახებ.....	490
დაბრუნება.....	496
პლატონი ჩემი მეგობარია, მაგრამ.....	504
თეატრი დიდი სასწავლებელია.....	514
უსაგნო კრიტიკის პასუხი.....	517
არა შეჯდა მწყერი ხესა.....	521
პირველად იყო სიტყვა!.....	525
კეადოურადან კრემლამდე.....	532
ორიენტირი.....	540
ერთობით გავისარჯოთ.....	541
შენიშვნები ნაციონალიზმის შესახებ.....	547
სტუდენტურ სცენაზე.....	552

სილუატები	555
მაღალი შეფასება	557
მეცნიერების სამსახურში.....	560
მიხეილ თამარაშვილი. ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე.....	564
ნათელა როდონია	576
„საქმემან შენმან...“	579
ნოდარ ნაკაშიძის ხსოვნას.....	583
გამოსათხოვარი.....	587
გოგი ნულუკიძე	589